

699/  
1962/5



Օրաշար

7

96210

# ქვეყნის

ლიბერალურ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
თურნალი  
საქართველოს ალკა ც. კ-სა და  
მწერალთა კავშირის ორგანო



8895

7

## შინაკრსი

თ. ნატროშვილი — რამდენიმე დღე (მოთხრობა)	3
ხ. ბაგვა — ლექსები	22
წ. ნიჭაბაძე — ლექსები	25
ი. ჩაღუნელი — ცხოვრების ზღურბლზე (რომანი, დასასრული)	26
ნ. ბაბრიჩიძე — ლექსები	44
ბ. ძნელაძე — მოთხრობები	45
ბ. კოლევოი — ჩვენ საბჭოთა აღაშიანები ვართ (მოთხრობა, თარგმნა ბ. ვაშაძემ)	50
ბ. და ელ. პაპაშვილები — საღაც უველაფერი შეიძლება მოხდეს	61
რომანოვი კოვტაძე — (ლექსები, თარგმნა თ. ჩხენკელმა)	72

### მწერლის ბრძინიღან

ბ. ბელიაშვილი — მოგზაურობა ამერიკაში (გაგრძელება)	74
---	----

### ჩვენი აღაშიანები

დ. ლომთაძე — შეშართება	83
რ. ელანიძე — თვალის ბროლის აღდგენა	88

### პრიტიკა და პუბლიცისტიკა

ვ. მუხაშვილი — გერონტი ქიქოძე	
ვ. ზამბახიძე — ცაბუნია	
ბ. ჯიბლაძე — უკანასკნელი სიტყვა კორნელი კეკელიძეს	

1962

ივლინი

გამომცემლობა  
„საბავთა მწერალი“







შ. ლომსაძე — ქართული კულტურის ზოგიერთი კერის შესახებ მე-19 საუკუნის ევროპაში . . . . .	102
რ. ბარბაქაძე — გიორგი წერეთელი — ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი . . . . .	113
ნ. ზაზი — პრესის როლი ახალი ადამიანის აღზრდის საქმეში . . . . .	118
ლ. თაყაიშვილი-ურუშაძე — ქართულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნის პირველი ცდა . . . . .	123
ბ. შილაძე — მუსიკა ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში . . . . .	126

სკორბი

თ. ნორბი — ვერესტზე (დასასრული. თარგმნა ლ. ჩხეიძემ) . . . . .	131
ე. ბასი — კლავშუბელთა გუნდი . . . . .	142

უძველი მხრიდან

ქრონიკა . . . . .	151
-------------------	-----



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:

კ. კალაძე, რ. მეტრეველი, გ. შატბერაშვილი, ჯ. ჩარკვიანი (პ/მგ. მდივანი),  
ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VII-62 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვეთა № 683. უე 03828. ქალაქის ზომა 70 X 108. ტირაჟი 6500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფიამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата, Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

თამაზ ნაჯროშვილი

სამეცნიერო დღი

1

იმ წელს ყველას შავი კოსტუმი ეცვა თბილისში. ყველას მოედო ახალი შოდა გადამდები სენივით. შავ კოსტუმთან ერთად იყო თეთრი პერანგი, თანამედროვე სტილის მიხედვით საყელოსთან წვრილად შესკვნილი შავი ჰალსტუხით. შავი კოსტუმი ეცვათ საღამოს, შუადღით და დილითაც. გამოეფინებოდნენ პროსპექტზე, როგორც გვი იტყოდა ხოლმე, შეჩოხიანი ვაყები, და შავ ჩარჩოში ჩასმული თოვლიანი პეიზაჟებივით იდგნენ მაღალი ჭადრების ქვეშ. დაკეტილ მაღაზიებს გამაღიზიანებლად დაჰლულუნებდა შუქრეკლამები და მათი სინათლე უფრო მეტად ალაპლაპებდა საგულდაგულოდ გაწყებულ კოსტუმებს.

სწორედ იმ წელს იყო გრანდიოზული ქორწილი გურიამი.

სწორედ იმ წელს გაიცნო ნოდარმა ნანა.

„შავი კოსტუმი ჩაიცვი და ისე წადი ქორწილში“, — უთხრეს მშობლებმა. ნოდარს ეზარებოდა შავი კოსტუმის ჩაცმა. „არა ღირს, მატარებელში დამეჭმუჭნება ან გურული საცივით ამოვსერი“, — მოიმიზეზა მან. ნოდარი შავ კოსტუმში თავს გრძნობდა მანეკენივით, რომელმაც მოხდენილი ტანსაცმლით გამოწვეული ბედნიერი გამომეტყველება უნდა დაიკეროს პირისახეზე, რათა ყურადღება მიიზიდოს. „სირცხვილია, ყველანი გამოპრანჭულები იქნებიან“. მაგრამ ნოდარს საშინლად ეზარებოდა შავი კოსტუმი. „გოგოები ზედაც არ შემოგხედვენ“. ნოდარი უარობდა. „ბიჭადაც კარგი ბიჭი ვარ, შავი კოსტუმი დიდად არ დამამშვენებს“, — თქვა მან. მაინც ვერ გაიტანა თავისი და სხვა მაყრებივით ისიც შავ კოსტუმში იყო ჩამჯდარი.

თავბრუდამხვევად ბრუნავდა ცეკვა-სიმღერისა და ღვინის სმის კარუსელი. როცა სუფრას თვალები აუჭრელდებოდა, თამადა მიძიმედ, აუჩქარებლად დგებოდა ზეზე და ხელში იღებდა სავსე სასმისს. კარუსელი სიჩქარეს თანდათან

როდი ანელებდა, — რაღაც უხილავი ძალის წყალობით ერთბაშად ჩერდებოდა. სიჩუმე ჭორივით ვრცელდებოდა მთელს სუფრაზე. მერე თითქოს ორთქლმავალი მიიწვედა აღმართში პათეტიური სიტყვების წამოკივლებით. სიჩუმე უსმენდა თამადას. ორთქლმავალი დინჯად მიიწვედა აღმართში. მერე ისევ იწყებოდა კარუსელი.

აუარებელი მაგიდა დიდი სადგურის ლიანდაგივით ჩამწყრივებულიყო. ბრეზენტის უზარმაზარი თავსახური იცავდა სუფრას წვიმისაგან, მაგრამ არ წვიმდა. მოხეტიალე ცირკს წააგავდა შორიდან სეფა.

სუფრის თავში, ამაღლებულ ადგილას, სავანგებოდ განათებულ მაგიდას ნეფე-პატარძალი და ხელისმომკიდენი უსხდნენ. სავანგებოდ განათებული მაგიდა საერთო ყურადღების ცენტრში იყო. გაუთავებლად ადღეგრძელებდნენ ნეფე-პატარძალს, უსურვებდნენ გამრავლებას, და ეს სიტყვა ათასგვარი ვარიაციით მეორდებოდა, სუფრაზე თამოყრილი ხალხის სიმრავლე უნებურად ხაზს უსვამდა დალოცვის აზრს, თითქოს გაჰქედილი სუფრა ახალ წვევრებს მოითხოვდა. ნოდარს ელანდებოდა გამრავლების ტაბულა, ისევე მარტივი და დიდი ხნის წინათ დაწესებული, როგორც ეს საზეიმო სადღეგრძელოები და გრძნობა საერთო ბედნიერებისა, რომელიც ღვინის სმაში პოულობდა გამოსავალს. „გაუმარჯოს გამრავლების ტაბულას, — თავისთვის ბუტბუტებდა შეზარხოშებული ნოდარი, — გაუმარჯოს იმას, რომ ორჯერ ორი ოთხია და ორჯერ ორი ყოველთვის იქნება ოთხი“.

ნეფე-პატარძალი, გაბრუებულნი, სახე გაწითლებულნი, კვალდაკვალ მისდევდნენ მხიარულების აფეთქებას. პირს ვერაფერს აკარებდნენ, არც სვამდნენ, და მათკენ დაჟინებით მოიჩქეოდა თავაზიანი ფორმით შემოსილი სურვილი, რომელიც მათს მომავალ ინტიმურ ცხოვრებას ეხებოდა. ისინი უსმენდნენ სადღეგრძელოებს, თავს უქნევდნენ ყველას მადლობის ნიშნად, ისევ და ისევ იმიორებდნენ სამადლობელს ჩუმად, ჩურჩულით. პატარძალი უფრო და უფრო წითლდებოდა, თითქოს შეშინებულიყო ამდენი ხალხის თავშეყრით, და ვერ დაეჯერებინა, რომ თვითონ იყო ამ თავშეყრის მთავარი მიზეზი. ღვინით ენაგახსნილი სტუმრების მკერამეტყველება ველარაფერს შეეჩერებინა. სიმღერა მოუსვენრად ეხეთქებოდა ბრეზენტის კედლებს. სიმღერა მოსდევდა სტუმრებს იმ წუთიდან, როცა დასტოვეს პატარბელი, ჩასხდნენ „ვოლგებსა“ და „პობედლებში“ და შოფრებს თითი აღარ მოუცილებიათ სიგნალის ბურთულიდან. პალმებით მორთული ქუჩები ჩაისრიალეს, მერე ტრიფოლიატის ღობეებს იქით განაბული სახლები დაადვიდა მომღერალი მანქანების გამაფრთხილებელმა და საზეიმო გუგუნმა. იღვებებოდა ერთმანეთში სიგნალი და თბილისელი სტუმრების სიმღერა, რომელიც მტვერივით გაფანტულიყო მთელს გზაზე. „საყვარელო გურია, შენი ნახვა მწყურია“, — მღეროდნენ შავკოსტუმიანი ბიჭები. ისინი დილიდანვე დიდ მზადებაში იყვნენ და აზარტით შეპყრობილნი ლეღვდნენ, როგორც სპორტსმენები შეჯიბრის წინ, ზუმრობდნენ, იცინოდნენ და ნოდარი წამდაუწუმ ეუბნებოდა წვერმოუპარსავ კაცს, რომელიც ჯერ კიდევ დიდი სუფრის გამლამდე არაყს აძალებდა ნამგზავრ სტუმრებს, ღმერთი არ გაგიწყრეთ და გურული ღვინო არ გვასვით ქორწილშიო. „არა, ბატონო, იმერული ღვინო გვაქვს, ვანიდან ჩამოტანილი“, — პასუხობდა წვერმოუპარსავი კაცი და თბილისელი სტუმრებს ისევ აძალებდა არაყს. „არ გვინდა, ამხანაგებო, არაყი, ღვინოს ველარ დავლევთ მერე“, — იყვირა ბოლოს ერთმა. წვერმოუპარსავი კაცი აორთქლდა.

ღვინოს სვამდნენ ლუდის ტოლჩეებით და სიმთვრალე ატყვევებდა სუფრას.

— ყველაფრით დამილევია ღვინო, მაგრამ ლუდის ტოლჩით პირველად ვსვამ, — უთხრა ნოდარმა მწითურ მეზობელს.

— ყველაფერში რა შედის მაინც? — დაინტერესდა მწითური.

— ბევრი რამ.

— მაინც, მაინც? — არ მოეშვა მწითური.

— რუჟაკით დამილევია სამი ათასი მეტრის სიმაღლეზე.

მწითურმა გაიცინა და თქვა:

— აბა ლუდის ტოლჩით არაფერი დაგიშავდება.

თოხს შეჩვეული მკლავები მსუბუქად ატრიალებდნენ ლუდის ტოლჩებს. ნოდარი პირველად სვამდა ღვინოს ლუდის ტოლჩით და გაოცებას ვერ მალავდა.

— კარგი ღვინოა, — უთხრა მან მწითურს.

— შესანიშნავი, — დაუდასტურა მწითურმა.

— ღვინოს ჩაი თუ შეედრება ამ ქვეყნად, სხვა ვერაფერი.

— ჩაი რამდენიც გინდა.

— მაგარი, სურნელოვანი ჩაი და მუქში გაწურული ლიმონი გავიყვებით მიყვარს.

— ჩაი და ლიმონი რამდენიც გინდა, — ამაყად თქვა მწითურმა.

ნოდარი კარგად სვამდა ღვინოს. სიხარულსა და საზეიმო განწყობილებას შეეკრა სხეული და ღვინო ლუდის ტოლჩებით ვერაფერს აკლებდა. ღვინო წყალივით ჩადიოდა ყელში. ნოდარს არ აშინებდა მომაბეზრებელი მუქარა, რომელსაც ყოველი მხრიდან უმიზნებდნენ თბილისელი სტუმრების სმენას: „ეს ერთიც დამილიე, ძამა“.

ენერგიული ჭამა-სმა სუფევდა სუფრაზე. თანაც დასავლური სიმკვირცხლე დაჰყვებოდა ამ ბარაქის აბობოქრებას. „აღბათ ასევე ყოჩაღად შრომობენ“, — გაიფიქრა ნოდარმა.

— ჩაიდან მობტანეთ, ჩაიდან, ყველაზე დიდი ჩაიდან, — მქაზე ხმით ყვიროდა რომელიღაც სტუმარი.

თბილისელი ბიჭები მღეროდნენ „ბერიკაცს“. ეს სიმღერა უკეთესად გამოსდიოდათ და უკვე მესამეჯერ მღეროდნენ. სიმღერა მოუსვენრად ეხეთქებოდა ბრეზენტის კედლებს.

უცბოდ და შორეულად მოეჩვენა ნოდარს თავისი მეგობარი. იგი განათებულ მაგიდასთან იჯდა თეთრ პატარძალთან ერთად და ჰგავდა დალილ მსახიობს, თითქო ტაშს უკრავდნენ და აღარ უშვებდნენ კულისებში სულის მოსათქმელად. მაგრამ მაინც უჩვეულოდ ბედნიერები იყვნენ ისინი და ნოდარი საკუთარივით შეიგრძნობდა მათს ბედნიერებას, ლამობდა თავი წარმოედგინა ნეფის ადგილზე.

ნეფე-პატარძალს ნელ-ნელა შორდებოდა სიმღერით გაჟღენთილი სუფრა, როგორც მდინარის ხმაური. ისევ მოჩანდა მდინარე, მაგრამ მისი ხმაური უკვე ნაპირთან დარჩა. უფრო მეტ მანძილზე შორდებოდნენ, ისევ მოჩანდა მდინარე, მაგრამ ხმაური მთლიანად მიწედა. მხოლოდ თვალით გრძნობდნენ, რომ ხმაურობს მდინარე, დიდი მანძილით მიტოვებული და ბურუსგადაკრული.

ნოდარი აბოლებდა პაპიროსს და შეჰყურებდა შუბლზე თმაჩამოშლილ ქალიშვილს.

სიმთვრალეში ნოდარს ეძალებოდა რაღაც უცნაური გრძნობა. ეს გრძნობა ღვინოზე მეტად ათრობდა და მის თვალეში ღვრიდა ალერსს. სიბრალული და დამამშვიდებელი მოფერების სურვილი ერთვოდა ამ გრძნობას. ნოდარი გულ-



მოდგინედ ათვალიერებდა ქალიშვილებს. ისინი თითქოს ზედმეტნი იყვნენ სუფრაზე, ამდენ ღვინის სმაში, ამდენი მთვრალი, სახეზე სისხლმოწოლილი მამაკაცების გვერდით, რომლებიც უშიშრად ეჭიდებოდნენ ღვინოს. თვალს ახალისებდა ქალიშვილების ყოფნა. ზრდილობიანი ხელები სთავაზობდნენ ახალ-ახალ კერძებს. იყო ქათინაურების მოზღვავება.

ნოდარს ეცოდებოდა ისინი ამ სიმთვრალის სამყაროში, სისხმწოლილ სახეებსა და განიერ ბეჭებს შორის. ეცოდებოდა ისევე, როგორც ვერის ხიდზე ქარიან ამინდში, როცა კაბებს აფრიალებს ქარი.

შუბლზე თმაჩამოშლილი ქალიშვილი გულიანად იცინოდა. მარჯვნიდან და მარცხნიდან ართობდნენ ენამოსწრებული მეზობლები.

ნოდარი პაპიროსის ბოლში გახვეულიყო. ფერფლს ჰყრიდა თეფშზე, ძვლებით მოფენილ ტყემლის გუბებში, და ისევ შუბლზე თმაჩამოშლილ ქალიშვილს აკვირდებოდა. ქალიშვილმა იგრძნო, რომ მას ვაჟის თვალები ზომავენდნენ და ეშმაკურად გაელიმა.

ნოდარი თავს იკატუნებდა და თამაშობდა სიმთვრალეს. თვალები გააშტერა ერთ წერტილში, ხანდახან ხუჭავდა, თითქოს თვლემა ერეოდა. მერე ახამხამებდა უეცრად გაღვიძებულივით, ვითომ ებრძოდა ძილს და სიმთვრალეს აბრალებდა თვალების ერთ წერტილში გამტერებას. თვალები ათვალიერებდნენ ნანას.

— ნანა, თქვენ არ დალევთ ღვინოს? — ჰკითხა ნოდარმა.

მარჯვენა მეზობელმა გამოლენჩებული მხერა მოატრიალა ნოდარისაკენ, უზროდ გაუცინა და ხელები დააფათურა სუფრაზე, ძლივს იპოვა თეფშებსა და ბოთლებში მიმაღული ჭიქა და შეუვსო ნანას.

— არა, ღვინო დამატობს.

— ღვინოს დასათრობად სვამენ, — თქვა ნოდარმა.

— არ მინდა, — ნანამ თავი გააქნია.

— დალიე, შენ გენაცვალე, ძვირფასი ღვინოა, არ დაგათრობს, — არწმუნებდა მარჯვენა მეზობელი. ნანამ ხელები გაასავსავა, მარცხენა მეზობელი უკმეხად შეკმუნწულიყო.

— ნანა, მე თქვენი სადღეგრძელო მინდა დავლიო, — ღიმილით თქვა ნოდარმა.

— არ შეიძლება, — შეფუცხუნდა მარცხენა მეზობელი. — ვაცალოთ თამადას.

ნოდარს ვითომ არ გაუგონია.

— თქვენს თვალებს გაუმარჯოს, ნანა! — ხმამალა თქვა მან, მერე მხიარულად ვაიფიქრა: „აქ თავი არ გამიტეხონ ახლა ლუდის ტოლჩით“. მარცხენა მეზობელი უქმაყოფილოდ ბუზღუნებდა, — მის თვალწინ იიგვარებოდა სადღეგრძელო დალია ნოდარმა და ქართული სუფრის წესები დაიგაფყა.

ნოდარს გულში ეცინებოდა: „აბა საიდან გაახსენდება ნანას თვალები თამადას“. თვალები წყალს უგავდა, სუფთა და კამკამა წყალს; გაიღიმა — და თითქოს კენჭი ისროლეს წყალში და რგოლები სრიალით იშლებოდნენ წყლის ზედაპირზე.

კარუსელი ისევ გაჩერდა. ფეხზე წამოდგა თამადა და შეუქვა აღმართს. ჩამოვარდნილ სიჩუმეში მკაფიოდ ისმოდა, როგორ ახრამუნებდა მჭადს მარჯვენა მეზობელი. ორთქლმავალს უკვე შესამჩნევად უჭირდა აღმართი. სიმთვრალე არღვევდა სიჩუმეს და კარუსელი ინერციით იძვროდა ერთი ადგილიდან.





თითქოს მოიშალა კარუსელი, ვეღარ ინარჩუნებდა წონასწორობას, მაგრამ თვებრუნდამხვევი ბრუნვის ნაცვლად მოკლე, ნერვული ბიძგებით ცახცახებდა.

ფეხზე წამომდგარ თამადას ლუდის ტოლჩა დროშასავით აეწია მადლა. ნანა აღარსად ჩანდა, ნოდარმა თამადის ნებადაურთველად მიატოვა სუფრა და გარეთ გავიდა.

— მოსვენება ხომ არ გინდა, გენაცვალე? — ჰკითხა დეიდა თინამ. იგი შავებში იყო ჩაცმული და ალერსიანი სახე ჰქონდა, დანაოქებული და გაცრეცილი.

— არა, დეიდა, თინა, სუფთა ჰაერი მომენატრა.

— დაგათვრეს გურულებმა, ნენა?

— რა ვიცი, დეიდა თინა, მგონი არ მეტყობა.

— შენ როდის აპირებ, ნენა, დაცოლშვილებას?

ნოდარი ყასიდად მოიღუშა.

— შაკიკი ხომ არა მჭირს, დეიდა თინა, რა დროს ცოლია.

— უიმე ჩემი სიკვდილი, — შეიცხადა დეიდა თინამ, — მეორედ არ გამაგონო, ჩემმა შვილმა რავე უნდა გაჯობოს, არც წლოვანება აქვს შენზე მეტი, არც სიმაღლე.

— უკვე მაჯობა, — თქვა ნოდარმა და ხელი ჩაიქნია.

აქეთ-იქით ატრიალებდა კისერს. ეტყინა კისერი ნანას ძებნაში, მაგრამ ნანა არსად ჩანდა. ხეებზე იზაბელას ლერწები გადახლართულიყო. ქალის დიდრონი შავი თვალბივით დაჰყურებდნენ ნოდარს ყურძნის მტევნები. ნოდარი ბარბაცებდა და ბლუჯა-ბლუჯად კრეფდა ყურძენს. მარცვლები თითებში იწყლიტებოდა პირთან მიტანამდე. ყურძნის წვენით მოყთხუპნა ხელები და სახე. მერე მორზე ჩამოჯდა და ათვალეერებდა ჭიანჭველებს. ისინი ხან აღმართს მიჰყვებოდნენ და ჩვეულებრივ არ ფორთხავდნენ, ხან დაღმართში ეშვებოდნენ სირბილით. ჭიანჭველების საქმიანი ფუსფუსი ქორწილის გამოძახილივით იყო. დიდხანს იჯდა მორზე და ცალკეულ ბგერებად დაშლილი ქორწილი ყრუდ ჩაესმოდა ყურში. მიწა ისევ ქანაობდა მის თვალწინ და ბარბაცებდნენ მთვრალი ჭიანჭველები.

— რა ბარათაშვილივით ჩაფიქრებულხარ წყლის პირას, — თქვა გვიმ და მხარზე ღონივრად დაარტყა ხელი.

ნოდარმა გაკვირვებით მიიხედ-მოიხედა. არსად იყო წყალი.

— რატომ ბარათაშვილივით? — ამოილულღულა მან.

— წამო, სოფელში გავიაროთ, — თქვა გვიმი.

— გათავდა ქეიფი?

— არა, მაგრამ ჩვენი ბიჭებიდან მარტო ზურიკოლა შემორჩა. მხეცივითა სვამს და თამადას გაეჯობრა.

— ყოჩაღ, ზურიკო!

დიდხანს იხეტიალეს. დიღინით სეირნობდნენ ორღობეში და ძაღლებს აბრაზებდნენ. მერე სიბნელე ჩამოწვა, ნოდარს წესიერად არც ახსოვდა. როდის დააბინავეს მასპინძლებმა ორსართულიან სახლში. იწვა გაქათათებულ ლოგინში და ოთახი ბონდივით ირწეოდა. ბიჭები ტრუსების ამარა გარბოდნენ აივანზე იმის გასაგებად, წვიმსო თუ არა, ალბათ სიმთვრალის გამო უჭირდათ ზუსტად დადგენა და რამდენიმე წუთით ყოვნდებოდნენ.

ძოელი ღამე წვიმდა. აღარ თავდებოდა წვიმა ენადგაკრეფილი ადამიანის ყბედობასავით. შუაღამისას გაეღვიძათ და ალაპარაკდნენ. სინათლე აანთეს, იწვნენ საბანში გახვეულები. კბილებს აკაჟუნებდნენ და აკანკალებდათ. ნო-



დარს უყვარდა გარეთ წვიმა და შინ სითბო. სახლს ჰქონდა მყარი, ნამუსიანი კერი.

— მისკდება ეს ოხერი თავი, — თქვა გვიმ.

— შვამლით? — წრიბინა ხმით იკითხა ბადრიმ. თავის ლექტორს აჯავრებდა. ლექტორი თვალწინ წარმოუდგათ და ხმამალა გადაიხარხარეს.

იწვხენ და ლაპარაკობდნენ ათას რამეზე. ჯერ ბორჯომი ინატრეს, მერე ხინკალი და ცივი ლუდი.

— ახლა ყველაფერს ჯობია წყალი, — თქვა გვიმ.

ოთხივეს წყუროდა, მაგრამ ვერც ბოთლი იპოვეს, ვერც გრაფინი. პატარა მაგიდაზე მტვრიან წიგნებს შორის ქიქა იყო. მასპინძლის ჩუსტებს წამოიცვამდნენ და ჩარბოდნენ ეზოში. შიშველი სხეულით არღვევდნენ წვიმის თხელ ფარდას. ღვინომორეულ სხეულს უწყალოდ ასველებდა წვიმა. ონკანი შორს იყო სახლიდან. ონკანთან, ხეების ქვეშ სვამდნენ, მერე მიარბენინებდნენ სავსე ჭიქას, ნახევარი გზაში იღვრებოდა, დანარჩენ ნახევარს იქვე, აივანზე ითხოვდა მოწყურებული ყელი. ყველას სათითაოდ მოუწია წყალზე წასვლა. ამოლუმპულეები ისევ გაეხვივნენ ჭრელ საბნებში. სინათლე ჩააქრეს, მაგრამ ძილი არ ეკარებოდათ. ისევ აეშალათ ლაპარაკის საღერღელი.

— რას უყვებოდი ნანას? — ჰკითხა ზურიკომ ნოდარს.

— რა შენი საქმეა.

— გახეთქილი მთვრალი ბრძანდებოდი, ალბათ, არც გესმოდა, — ჩაიქირქილა ბადრიმ.

— როგორ არ მახსოვს, სწორედ სიმთვრალეში გამეხსნება ხოლმე ენა.

— მაინც რას უყვებოდი? — ჩააცვიდა ზურიკომ.

— რა ვიცი, ყველაფერი მოვუყუვე: როგორ დავეჩვიე პაპიროსს, როგორ ვსწავლობდი ტრამვაიზე შეხტომას, სტვენას...

— სიყვარულზე არ გილაპარაკია?

— რალა დროს ჩვენი სიყვარულია, — მიუგო ნოდარმა.

— არ მოგეწონა ნანა?

— ეჰ, სიმთვრალეში ყველა გოგო მომწონს.

ნოდარი მონადირეებისვით გარშემორტყმულ ნადირივით ფრთხილობდა. მერე ყველანი ერთხმად ალაპარაკდნენ და ერთმანეთს ართმევდნენ პირიდან სიტყვას.

— ღირს ეგეთი გოგოს სიყვარული, ოქრო გოგოა.

— მოიცა, შენი ჭირიმე, გვეყოფა პოეზია.

— ნანა პოეზია კი არა, სიმღერა არის.

— ნოდარსაც სწორედ სიმღერა უყვარს.

— ხვალ აღარ დავლევ ღვინოს, — თქვა ნოდარმა.

— ნამდვილად შეყვარებული ხარ, — დაასკვნა ბადრიმ.

— ნუ გამიწყალებ გული, მეძინება, — თქვა ნოდარმა და საბანი წაიხურა თავზე.

ახალდაქორწინებულებს ერქვათ თამრიკო და იუზა. ისინი პატარა, მაგრამ ხმაურიან ქუჩაზე ცხოვრობდნენ. მათი სახლის წინ იყო ოთხსართულიანი სკოლა. დილიდან საღამომდე მთელ ქუჩას იკლებდა ბავშვების უსასრულო ყრიაძელი. ოთხსართულიანი სკოლის სიახლოვეს ხარაზის სახელოსნო მიმალუ-

ლიყო, სანახევროდ წაშლილი აბრა პატრონივით მრავალ წელს ითვლიდა, ცალკე ეპატიებოდა კლიენტებს და, ხარაზისაგან განსხვავებით, არავის აყოლებდა თვალს. სახელოსნო ვიწრო იყო და ბნელი, თაროებზე მოჩანდა ჩაწიკიკებული ფეხსაცმელები და მაგიდაზე—დახვავებული ინსტრუმენტები. სახელოსნოში ყოველთვის ტრიალებდა ტყავის სუნი. კედლებიც გაყვანილი იყო ამ სუნით. ქუშყიან კედელზე ჩამოკიდებული სურათიდან ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ვაჟკაცი ავღებულად გადმოჰყურებდა ბნელ სივრცეს და სრულიად არ ჰგავდა ხარაზს, თუმცა ხარაზი შვილებს ფიცულობდა, ჩემი ახალგაზრდობისდროინდელი სურათიაო. ზოგიერთი აზიზი კლიენტი უსიამოვნოდ იბღვიებოდა ტყავის მძაფრი სუნით შეწუხებული და სურათთან ახლოს ღრმად ისუნთქავდა ცხვირით ჰაერს, სურათსაც ხომ არ ასდის ტყავის სუნით. ხარაზი ჰყვებოდა ახალ-ახალ ანეკდოტებს და მალი-მალ ქუჩისაკენ გაუბრუნდა თვალი, სათვალის ქვემოდან ფოტოაპარატივით იჭერდა კადრს. კადრში ჩნდებოდა ქუსლმოქცეული და შელახული ფეხსაცმელი. პირველი საათიდან ორის ნახევრამდე ხარაზი შესვენებას აცხადებდა. სკოლის წინ მზესუმზირითა და უცხოელ კინოვარსკვლავთა სურათებით ვაჭრობდა გაურკვეველი ხნოვანების ცალხელა კაცი. ხარაზი სიცილით ესალმებოდა მას და მუსაიფში იწვევდა, მაგრამ უშედეგოდ. ცალხელა უძილობით დაწითლებულ თვალებს არიდებდა და თითქოს გასაქცევს ეძებდა. სიტყე-სიცივეში პლაში ეცვა, თავზე ყურებიანი ბეწვის ქუდი ეხურა. უყვარდა მოკლე სიტყვა-პასუხი და ცალი ხელით შეუჩვევლად ფურცლავდა სურათებით სავსე ალბომს. მზესუმზირა და სურათები იოლად საღებოდა სკოლის წინ. ბავშვები თვითონ არჩევდნენ სურათებს და ცალხელას თითქოს ვერც ამჩნევდნენ. შესვენებაზე ხარაზიც ყიდულობდა მზესუმზირას, ხანდახან მსახიობი ქალის სურათსაც და ისევ მიეშურებოდა ტყავის სუნით აქოთებულ სახელოსნოში. მზესუმზირას მომცრო თეფშზე აწევდა და კლიენტებს სთავაზობდა. ისინი უზრუნველად აწყაპუნებდნენ მზესუმზირას, იატაკი ჩენჩოთი იფინებოდა. მსახიობი ქალის სახეს ხარაზი თავისი ახალგაზრდობისდროინდელი სურათის ჩარჩოსთან ამაგრებდა. წკრილა ქაღალდზე დაბეჭდილი ფოტოსურათი ნათურასავით ციმციმებდა ბნელ სახელოსნოში. ხარაზი ხშირად, თითქმის ყოველდღე, ყიდულობდა მზესუმზირას, იატაკი მუდამ ჩენჩოთი იყო მოფენილი. ხოლო მსახიობი ქალის სახე თვეში ერთხელ იცვლებოდა. ხარაზი ფიქრობდა, რომ მსახიობი ქალები დიდხანს ვერ გაუძლებდნენ სახელოსნოს სიბნელეს ან ტყავის სუნს, რასაც თვითონ უკვე კარგა ხანია შეჩვეოდა.

ხარაზი და ცალხელა ერთდროულად ამთავრებდნენ მუშაობას. მთელი დღე ფეხზე დგომით ქანცაფაყვეტლ ცალხელას ყოველთვის შინ ეჩქარებოდა. ხარაზი კი სეირნობის გუნებაზე იყო და ფეხის გაშლა ერჩია ტრამვაით მგზავრობას, მაგრამ ხათრს არ უტეხდა ცალხელას და ისინი ძველი ძმაცხევივით ერთად მილასლასებდნენ გაჩერებამდე.

სადმომობით ქუჩაზე სიწყნარე იყო. ბავშვების ყვილ-ხივილის შემდეგ უფრო მკვეთრად იგრძნობოდა ეს სიწყნარე. ოთხსართულიანი სკოლა ჩაბნელებული ფანჯრებით ათვალეირებდა ქუჩის სიწყნარეს. ცოცხლობდა მხოლოდ საათი სკოლის შესასვლელთან. საათი ჩვეულებრივად ტყუოდა. უდისციპლინი და დაუდეგარი ხან ხუთი-ექვსი საათით გარბოდა წინ, ხან უკან რჩებოდა. ნოდარს უყვარდა ახალდაქორწინებულებთან სტუმრად მისვლა. ისინი წყნარ ქუჩაზე ცხოვრობდნენ. საღამომობით სკოლა მუნჯდებოდა და ჩაბნელებული ფანჯრებით ათვალეირებდა ქუჩის სიწყნარეს. ცოცხლობდა მხოლოდ საათი.

ნოდარმა ინსტინქტურად შეხედა საათს, თუმცა კარგად იცოდა მისი

უდისციპლინობა. საათის ორივე ისარი თორმეტზე გაჭიმულიყო. „დღის თორმეტია ამისი ქუთით თუ ღამისა, ნეტა ვიცოდე“, — გაიფიქრა ნოდარმა. მას, ცოტა არ იყოს, მოსწონდა ეს საათი, რომელიც სასტიკად ვერ იტანდა სიზუსტეს და სკოლის დირექტორისაც არ ეშინოდა. გაკვეთილიდან გაქცეულ მოწაფე-სავით დახტოდა აქეთ-იქით საათის პატარა ისარი.

კარს გვიანობამდე არ კეტავდნენ ახალდაქორწინებულნი. კარი მხოლოდ მოხუკრული იყო და ქრიალით იღებოდა. ნოდარმა აკვიატებული სიმღერის სტვენით ამცნო მასპინძლებს თავისი სტუმრობა.

დიდი ოთახი ყოველთვის ცარიელი იყო. ცენტრალური გათბობის ღუმელი ცივად გამოიყურებოდა. სახლს დეკემბრამდე არ ათბობდნენ და დიდი ოთახი ყოველთვის ცარიელი იყო. დიდ ოთახში, გრძელი მაგიდის გაკრიალებულ ზედაპირზე უსიცოცხლოდ იდგა ყვავილებით სავსე ლარნაკი. მეორე ოთახს, გაცილებით პატარას და ვიწროს, თამამად ავსებდა ორი საწოლი. საწოლებს გარდა, ოთახს ამშვენებდა ტრელიაფი. მომცრო მაგიდაზე — რადიომიმღები. რადიომიმღები დაუზარებლად მღეროდა, ცეკვავდა და ლაპარაკობდა. ღია ფანჯარა ოთახში უშვებდა შემოდგომის ფოთლების შრიალა ხმაურს. საღამოობით ქუჩაზე სიწყნარე იყო. გივი კითხულობდა ხოლმე ლექსებს. მან აუარებელი ლექსი იცოდა ზეპირად და თუნდაც არ ეთხოვათ, მაინც კითხულობდა. ყველანი გასუსულები უსმენდნენ. გივი წიგნივით იყო. კითხულობდა სევდიანი კილოთი სევდიან ლექსებს და თითქოს ქრებოდა ოთახიდან. რჩებოდა წიგნი და ფურცლები თვითონ იშლებოდა. ლექსები ენას იდგამდნენ. როცა ვინმე ხმას ამოიღებდა, გივი შუაზე წყვეტდა კითხვას, ცოტა ხნით დაყოვნდებოდა და ხათრიანად ჩამოვარდნილ სიჩუმეში აგრძელებდა წვიმის წვეთებზე თვითნაირ ლექსებს...

ოთახში სინათლე ჩაქროთ და წითლად ბეუტავდა ნოდარის სიგარეტი. თითქოს შორეული სემაფორი იჭმუხნებოდა გამაფრთხილებლად და ჩაბნელებულ სადგურზე თვლემდნენ მატარებლები.

— დაუკარი, თუ ძმა ხარ, — თქვა იუზამ.

ფანჯრის რაფაზე ჩამოძვლარი ნოდარა ხელს უსვამდა გიტარას გამობერილ მუცელზე. წითლად ბეუტავდა სიგარეტი. იუზა და თამრიკო საწოლზე ისხდნენ, ერთიმეორესთან ძალიან ახლოს, თითქმის ჩახუტებულნი.

— კარგად ვერ ვუკრავ, რა საჭიროა.

— დაუკარი რა, — თქვა თამრიკომ.

— შავი მაინც იყოს ეს ოხერი!

— რა განსხვავებაა?

— ძველებურ ავეჯს მაგონებს, ძვირფას და მძიმე ავეჯს. თანაც ეს გამობერილი მუცელი...

— სიბნელეში რა განსხვავებაა, — თქვა იუზამ.

— დაუკარი, რა, — პატარა ბეშვივით ყინიანად თხოულობდა თამრიკო. ნოდარმა საწოლზე დააგდო გიტარა და სიცილით თქვა:

— ველარ ვიტან გიტარას, მაგისი მუცელი გულს მირევს.

— ფანდური უნდა იშოვო, ფანდურია წერწეტა, — თქვა იუზამ.

— ნანამ დაუკრას პიანინოზე, — თქვა ნოდარმა.

— ცივა დიდ ოთახში, — იუარა ნანამ.

— ნუ იპრანკები, — თქვა ნოდარმა.

ოთახის ბინდი რამდენიმე ნაბიჯით ჰყოფდა მათ. ნოდარი თამამად ლაპარაკობდა, თითქოს ტელეფონის ყურმილი ეკავა ხელში და კილომეტრები ამორებდა თანამოსაუბრეს.



— არ ვიპრანჭები, მაგრამ შემეცევა დიდ ოთახში.

— ნანა, თუ ყავა გინდა, დაუკრავ, — თქვა თამარიკომ.

სინათლე აანთეს. თამარიკო ზღარბივით მოკუმშულიყო საწოლზე და ამოწეულ მხრებში ჩარგულ კისერს ისე ატრიალებდა, თითქოს უღტინებენო.

— დავუკრავ, თუ ყავით ვაგვიმასპინძლებდი.

ნანა ვაგიდა დიდ ოთახში. იუზამ და თამარიკომ თვალი ვერ მოწყვიტეს ვიწრო კაბაში შებოქილ სხეულს. ნოდარი ისევ ფანჯრის რაფაზე იჯდა თავჩალუნული და გიტარის სიმებს აწვალებდა. ისინი მორცხვად წყრიალებდნენ.

— ნანა თავპატყს არ იდებს, ზრდილობიანი გოგოა, — თქვა იუზამ და ნიშნისმოგებით გადახედა ნოდარს.

დიდმა ოთახმა თვალები გაახილა. მსუბუქი მელოდია აღვიძებდა ჩაძინებულ კედლებს, ფეხის ხმას გადაჩვეულ იატაკს და ყრულ დაგმანულ ფანჯარებს. სქელი ფარდებით ყბაახვეული ფანჯრები გარედან უსმენდნენ მუსიკას.

— კარგია, როცა გოგო უკრავს ან მღერის, — თქვა ნოდარმა.

— სწორი ხარ, — დაუდასტურა იუზამ. იგი სალოკ თითზე იხვევდა თამარიკოს თმებს, — მაგრამ უკეთესია, როცა გოგოს მილიონის მზითვეი მოჰყვება.

— საზიზღარო!

თავისი ხუმრობით კმაყოფილი იუზა ხარხარებდა. ნოდარმა თავშეკავებულად გაიღიმა.

— აღარ გნებავთ ყავა?

— როგორ არა, — ერთხმად უპასუხა ორივემ.

— შენ არ დაგაღვეინებ, საზიზღარი ხარ.

— მაპატიე, გენაცვალე, აღარ ვიხუმრებ.

— საზიზღარი ხარ, ნუ მეხუტები.

— ვიხუმრე, თორემ რათ მინდა მზითვეი. შენა ხარ ჩემი სიმდიდრე, შენა ხარ ჩემი ყველაფერი. ცხვირი ნუ ჩამუშვი, არ გიხდება.

— აპატიე, თამარიკო, აპატიე.

— მაპატიე, ჩვენი სტუმრების ხათრით.

— კარგი, მიპატიებია.

— ახლა წადი და ყავა მოადლუე.

ნანა ისევ უკრავდა. მსუბუქი მელოდია მაღლა სწევდა სქელ ფარდებს და ყრულ დაგმანულ ფანჯარებს აღებდა. ქუჩის სიწყნარე თბებოდა და ივსებოდა მუსიკით.

ნოდარი ისევ ფანჯარასთან იჯდა და თითქოს ქუჩიდან ესმოდა მუსიკა, რომელსაც ფოთლების ხმაურთან ერთად დროდადრო ესიტყვებოდა გიტარის სიმების წყრიალი. ნოდარი ხმადაბლა, ოდნავ ხრინწიანი ხმით ღლინებდა.

— შენ რას შემოგვეჩვიე ამ ბოლო ხანს, — თქვა იუზამ და მერე დააყოლა, — წინათ იშვიათი სტუმარი იყავი.

— რაო, ჭკუაში არ გიჯდება?

— არა, ისე გეკითხები...

— მომწონს თქვენი ოჯახი.

— მეტი არაფერი?! — დამკითხველის ცივი ღიმილით თქვა იუზამ.

— ყველაფერი მომწონს.

— ნანაც?

— შენ ჭურში ზიხარ?

იუზამ გაიცინა და თქვა:





— კარგი გოგოა ნანა, შენი შესაფერიც არის. გახსოვს, ექსკურსიაზე რომ ვიყავით, ყინწვისში...

— კამეჩებზე ამბობ?

— ჰო.

— არ შეეშინდა კამეჩების, — ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარ ნოდარს სახე გამოუცოცხლდა, — ძველი ნაცნობივით მივიდა და მოეფერა. ერთს რქაში ჩასქიდა ხელი, მეორეს ფერდებზე მოუთათუნა, კარგი საყურებელი იყო.

— შენც კარგი საყურებელი ბრძანდებოდი ორი რუქაჯივით.

— ეს ჩემი სიამოვნებისათვის გავაკეთე, თორემ ნანას როდი უქირდა.

— მივხვდი.

— ხანდახან ორი რუქაჯივით არ დაგდლის კაცს, ხანდახან საკუთარი თავის ორჯვაც გეზარება, — სიცილით თქვა ნოდარმა და ძირს ჩამოხტა.

— ყავა! ტექსტი ჩემი, მუსიკა თამარიკოსი, ვასრულებთ ყველანი.

— ოლონდ ფინჯანი არ კმარა, ყანწები გვინდა.

— ნანა, დაგვეწვიე ყავაზე, ნანა!

— ო, რა ყავაა, ყავა კი არა, ღვინოა!

— ვერი, ვერი გუდ, — აღტაცებით ყვიროდა იუზა.

ოთახში ყავის მომწარო სუნი დატრიალდა.

— სადილების კეთება ისწავლე? — ჰკითხა ნოდარმა თამარიკოს.

— ჩემზე გადის პრაქტიკას, — სიცილით თქვა იუზამ.

— სადილი არ ვიცი, მაგრამ ყავა გასაგიებელია. — თქვა ნოდარმა.

ნერე წყვილებად თამაშობდნენ კარტს. წაგებული წყვილი მაგიდის ქვეშ უნდა გამძვრაღყო ან წყალი დაეღია. ნოდარი წყლის სმას არჩევდა. სვამდა ორმაგად, ნანას წილსაც სვამდა. მოგებულები ამაყად იცინოდნენ, როცა ნოდარს ჭიქა მიჰქონდა პირთან, უნდილად სვამდა წყალს და სახე გიმანჭებოდა.

— ჩვენ იმიტომ ვიკებთ, რომ უკვი კარგად ვუვებთ ერთმანეთს, ცოლქმრობის ბრალია, — უხსნიდა იუზა ნოდარს.

— არა უშავს, მალე წააგებთ.

— ვნახოთ, ვნახოთ.

ნოდარი და ნანა ისევ აგებდნენ. ისინი უყურადღებოდ თამაშობდნენ, არც ინტერესდნენ მოკვამ, მაგრამ ყასილად ბრაზობდნენ. ნოდარი ნანას აბრალებდა წაგებას, ნანა — ნოდარს.

3

ტრამვაის შემცივნებულობით აჟრიალებდა. ვაგონის უკან ბაქანზე შეჯგუფებული მგზავრები ერთმანეთს ეჯახებოდნენ და ეძებდნენ ხელის მოსაკიდ ადგილს. ნანა და ნოდარი ჩუმად ისხდნენ. ტრამვაის რიტმულ რახარახს ძილის გუნებაზე მოჰყავდა მგზავრები.

ნოდარი ხმას არ იღებდა. ირგვლივ იყვნენ უცნობი ადამიანები. არ უნდოდა უცნობ ადამიანებს გაეგონათ მისი სიტყვები. არაფერს იტყოდა არაჩვეულებრივს. სიტყვები, რომლებიც მას აწუხებდა, არ იყო ახალი და უჩვეულო უცნობი ადამიანებისათვის. ნოდარმა შეხედა: ნანას პირზე მიედო ხელი და ამოქნარებდა. ტრამვაის რიტმულ რახარახს ძილის გუნებაზე მოჰყავდა მგზავრები. ნოდარმა გაიფიქრა, რომ მისი გაჩუმება იყო ნანას მოქნარების მიზეზი. მერე მოეჩვენა, რომ ტრამვაი დაცარიელდა და ნება-ნება მიიზღაზნებოდა, თითქოს ნოდარს უგრძელებდა ნანასთან ყოფნის წუთებს.

— ნანა, ხვალ სად შევხვდეთ?

— თამრიკოსთან, როგორც ყოველთვის.

— არა, იუზასთან აღარ მინდა.

— რატომ აღარ გინდა?

ნოდარს ეხალისებოდა ახალდაქორწინებულებთან სტუმრობა. ოჯახური იდილია თბილი ბუხარით იყო და არ იშურებდა სითბოს. რაღაც გაურკვეველი სუნით სუნთქავდა ახალდაქორწინებულთა ოჯახი. ისინი თითქოს ბედნიერებას აორთქლებდნენ. ნოდარს ეხალისებოდა სტუმრობა, თვითონაც ივსებოდა ამ ორთქლით და სითბოთი დამუხტული ბრუნდებოდა სახლში. სითბო იყო გამძლე და ხანგრძლივი. სითბო რამდენიმე დღით ნაზად ალაგებდა გაჯავრებული ნოდარის სხეულზე წამოშლილ ბეწვს.

— თქვი, რატომ აღარ გინდა?

ნოდარი არ პასუხობდა. ნანა იჯდა ჩაფიქრებული და ფანჯრისაკენ იყურებოდა.

— ხვალ საღამოს კინოში წავიდე. კარგი?

— ხვალ არ მცალია, უნდა ვიმეცადინო.

— ჰო, ხვალ არა გცალია, ზეგ არ გეცლება, ლექციები, ჩათვლები, გამოცდები, დღეობები.

— არა, ზეგ გეცლება.

— ხვალაც უნდა მოიცალო.

— შენ არ დავიწყია სამსახური?

— არა.

— არ აპირებ?

— როგორ არა, ალბათ მალე დავიწყებ.

„სულერთი არაა, ხვალ თუ ზეგ, — გაიფიქრა ნოდარმა, — მაგრამ ხვალ სჯობია, ხვალინდელი დღე უფრო ახლოა“.

— უეჭველად ხვალ, — თქვა მან.

მერე თითქოს რაღაც ხმა მოესმა: „კი მაგრამ ხვალ ფეხბურთზე არ მიდიხარ?“ ნოდარმა ყური მიუგდო, ხმა ისევ განმეორდა. „რა ფეხბურთი, რომელი ფეხბურთი, რა შუაშია ფეხბურთი, რა დროს ფეხბურთია!“ — გაოცება ტყვიამფრქვევით მიაყარა ნოდარმა რაღაც ხმას. „ჰმ, ფეხბურთი!“ — ირონიულად გაიფიქრა მან. ნანა იჯდა წყნარად. ოღნავ, სულ ოღნავ ეღიმებოდა. ალბათ ეღიმებოდა იმაზე, როგორ ააფორიაქა ნოდარი რაღაც ხმამ.

ყველის სუნით ცნობდა თავის ეზოს. მაღაზიაში ყოველდღე მოჰქონდათ ყველი. საბარგო ავტომანქანა მიუჩოჩდებოდა მაღაზიის კარს და თეთრხალათიანი ნოქრები თუშური ყველის ბურთებივით ფუსფუსებდნენ მანქანასთან. ნოდარმა იცოდა, რომ ყველს თავისი ჩვეულებრივი სუნი აქვს, ისევე როგორც ხორცს, კვერცხს, მარწყვს, მაგრამ მაინც არასასიამოვნოდ უღიჭინებდა ცხვირში ყველის სუნი, მძაფრი და გამაღიზიანებელი.

ეზოში დამალობანას თამაშობდნენ ბავშვები. მაღალი, ფრთებჩამოყრილი მუხის გარშემო ფეხისწვრებზე დატუნტულვებდა დოყლაპისავით პირდაღებული მოკლეშარვლიანი ბიჭი და მცირეოდენ ფაჩუნზე ყურდაცქვეტილი შეშდებოდა. რომელიღაც სადარბაზოდან წამლერებით იმეორებდნენ: „სახლში ფაფას ნუ ხარშავ, გაიარე ქალაქში!“ მაგრამ პირდაღებული ბიჭი არ შორდებოდა ხეს. ნოდარისთვის ყველაფერი ნაცნობი იყო. წინათაც ასე აბრაზებდნენ მშინარა დოყლაპებს, ნესტიან სარდაფში, კიბის ქვეშ იჯდა ხოლმე ნოდარი და ჩურჩულივით ესმოდა ეზოს ხმაური, ვერ პოულობდნენ ხმაგამენდილსა და ლოკოკინასავით მიყუჩებულს, უხაროდა რომ ვერ პოულობდნენ და უიმისოდ გრძელ-

დებოდა თამაში. წინათაც ასე იყო: დღისით თამაშობდნენ ფეხბურთს, შებინ-  
 დებისას ვაოფლილები გარბოდნენ შინ, ისვენებდნენ, სადილობდნენ და მერე  
 გვიანობამდე ჩაღებოდა დამალობანა. ყველაფერი ნაცნობი იყო ამ ეზოში და  
 ყველაფერი მეორდებოდა. თუმცა ზოგი რამ შეცვლილიყო. ცისფერი გარაჟი  
 უფრო წააგავდა ნამდვილ კარს, ვიდრე აქეთ-იქით დაგდებული ორი ჩანთა.  
 „სად იყო ჩვენ დროს გარაჟები“, — გაეცინა ნოდარს. ახლა უკვე ნამდვილი,  
 ტყავის ბურთით თამაშობდნენ და ტუმბოთი გაბერილი ბურთი ახანზარებდა  
 გარაჟის კედლებს. სახანძრო კიბის პირველ საფეხურზე საათიანი ბიჭი მოკა-  
 ლათებულები და მსაჯობდა. თითქოს ყველაფერი უფრო ნამდვილი იყო და  
 არაბავშვური. ადრე ზღაპრებსაც ადვილად იჯერებდნენ. ეგონათ, რომ ბერძე-  
 ნიშვილს მარჯვენა ფეხი დალუქული ჰქონდა, რომ ბასკების კარის ზემო ძელზე  
 მათი თილისმა — მიიმუნი იჯდა და ბურთი ჯიუტად სცდებოდა კარს. მერე  
 შავვულოძემ დაუმიზნა მიიმუნს ბურთი და საიქიოში გაატანა წერილი.

ბევრი იყო მსგავსება და განსხვავებაც ბევრი იყო. ოღონდ ომობანას აღარ.  
 თამაშობდნენ ეზოში. ხის თოფებით აღარ დარბოდნენ „ჩვენები“ და „ფაშისტე-  
 ბი“. ომი ეზოს ბავშვებისათვის შორეული წარსული იყო.

ნოდარს გაახსენდა ომის უკანასკნელი დღე. იქ, ფრონტზე, უკვე სრული  
 სიწყნარე იყო. ეზოში კი წამდაუწყუმ სკდებოდა ყუმბარა და მტკრიან მიწაზე  
 გორაობდნენ სუფთად ჩაცმული დაჭრილები. მოსაღამოვდა. ვიღაცამ შეჰყვირა.  
 სადღაც სიმღერა წამოიწყეს. სიხარული ხანძარივით ეკიდებოდა სახლებს და  
 რადიოსთან მიუყუთლ ადამიანებს. ბავშვები ისევ თამაშობდნენ ომობანას და  
 ეზოში ისევ ყურისწამლები სროლა გრძელდებოდა...

ღამით ძილი გაუტყდა. იწვა ლოგინში და ითვლიდა ათასამდე. მაგრამ  
 ორასს ვერ გასცდა. ფიქრები ამსხვრევდნენ ციფრებს და თავიდან იწყებდა  
 თვლას. მერე სინათლე ანთო, ადგა, გაიარ-გამოიარა ოთახში. მოსწია. თამ-  
 ბაქოს ბოლი მძიმედ იშმუშნებოდა მაგიდის ზედაპირზე. მერე ისევ დაწვა.  
 სინათლე არ ჩაუქრია. მეორე მხარეს გადატრიალდა. მაგრამ მაინც აწუხებდა  
 შუქი. მერე ისევ გამორთო სინათლე. ფიქრები არ აძინებდა. იყო ტკბილი,  
 მაგრამ დამღლეი ლოდინი ხვალინდელი დღისა. უაზროდ ეჩვენებოდა ხვა-  
 ლინდელ საღამომდე დარჩენილი დრო. მერე ისევ წამოდგა, ისევ ანთო  
 სინათლე, ჩაიცვა და მაგიდასთან დაჯდა. ქალალი აიღო და დიდი, ლამაზი  
 ასობით დაწერა: „რატომ არ გეძინება, კრეტინო?“, მერე დიდხანს ფიქრობ-  
 და და ბოლოს თვითონვე გასცა პასუხი: „იმიტომ, რომ ბედნიერი ვარ“. ეჩო-  
 თირებოდა მაღალი და გაცვეთილი სიტყვები, მაგრამ სხვა სახელი ვეღარ  
 დაარქვა იმ მომენტთავე გრძნობას, რომლის ქსელში უღონოდ განლართუ-  
 ლიყო.

მეორე ოთახში ეძინა დედას. წერილის გუნებაზე მოვიდა ნოდარი. დედა  
 მეორე ოთახში იყო, მაგრამ მას ეძინა და ნოდარს ეუხერხულებოდა მისი  
 ვაღვიძება. „დედა, შენ გძინავს და ალბათ მხედავ სიზმარში, ძილის დროსაც  
 გაწუხებს ჩემზე ფიქრი... ჩემგან არც გახსოვს რაიმე საჩუქარი, რამდენჯერ  
 გითქვამს გულისტკივილით, სულ უბრალო რაღაც საკმარისია ჩემს ვასახა-  
 რებლადო, სულ უბრალო და იაფფასიანი საჩუქარი რვა მარტს, და შენ  
 გწყინს, რომ არ მახსენდები. მე ყოველთვის მახსოვხარ და მიკვირს, რატომ  
 არაფერი მიყიდი შენთვის არასოდეს, თუნდაც აი ასე: გამოგართვა ფული  
 და გიყიღო პატარა და უმნიშვნელო საჩუქარი. მე დიდ საჩუქარს გიმზადებ.  
 საჩუქარს სახელად ჰქვია ნანა. ის მალე მოვა შენთან, იქნებ ერთ კვირაში,



იქნებ ერთ თვეში ან ერთი წლის შემდეგ. მოვა, მოგეხვევა და მოგეფერებ ჩემს მაგივრადაც; ალბათ გწყინს, არასოდეს არ გეფერები და შენ გწყინს. ის მოგეფერება, იგრძნობ, რომ მეც გეფერები მასთან ერთად. შენ შეათვალე მას, ახედავ და, იცი, ვერაფერს დაუწუნებ. მერე დიდხანს იჩურჩულებთ სამზარეულოში მოთუხთუხე ქვაბებთან. მე არ მეცოდინება, რაზე იჩურჩულებთ. ამოიწვეს ნავთქურა, შენ ვერ შეამჩნევ, ნანას თვალიერებით გართული. შეამჩნევს ნანა და ჩაუწვეს. მერე ისევ იჩურჩულებთ და იჩურჩულებთ...“

ინანა, რომ არასოდეს დაუწერია დღიური. ახლა იზრდებოდა დღეების გასენების სურვილი. ყოველი დღე უფრო სავსე იყო, უფრო მეტს ხედავდა ჩრგვლივ. ხედავდა სახეშეცვლილ შენობებს. მაგრამ ამ ბოლო დღეებში თითქოს გაუფართოვდა თვალები ნოდარს და გაცილებით მეტ საგნებს იტევდნენ. შენობები ახლა სხვადასხვანაირად უცქერდნენ მას, ზოგი ამხანაგურად, ზოგი ალერსით, ზოგი რატომღაც წყრომით. ჩაივლიდა თბილისის ქუჩებს და უცქეროდნენ სხვადასხვა განწყობილებით შეპყრობილი შენობები.

წერდა დღიურს და ფიქრობდა, რომ ერთ დამეზე მეტს ვერ გასძლებენ ეს დაჯღაბნილი ფურცლები. ხვალ დილით დახვეს სულელურ და გულუბრყვილო სტრიქონებს, აღარ მოეწონება გამოფხიზლებულს უძილობით ნაკარნახევი სტრიქონები და დილით დახვეს. მხოლოდ გულში დარჩება ტკბილი ლოდინის გრძნობა და არ მოსცილდება ხვალინდელ საღამომდე. ახლა საათებით ითვლის დროს, საათები დაიწურება, მერე დაიწყებს წუთების თვლას, წუთები საათზე გრძლად გაიჭიმებიან, უფრო მეტს გაიფიქრებს იმ ბოლო წუთებში, უფრო მეტს იგრძნობს.

საათი წიკწიკებდა და ითვლიდა ტკბილი ლოდინით გატენილ წუთებს. ნოდარი აივანზე გავიდა. შემოდგომის ცივი ჰაერი თეთრი ფერის თხელ, გამკვირვალე ქსოვილში გახვეულიყო. ღამის სიჩუმეს არღვევდა მამლების ყვირილი და ძაღლების ბეჯითი ყეფა. „ალბათ დღისითაც ყეფენ ისინი, ალბათ მამლებიც ყვირიან, მაგრამ ქალაქის ხმაური ჩრდილავს მათ ხმას, — გაიფიქრა ნოდარმა.“

უჩვეულოდ ეჩვენებოდა ძაღლების ყეფა და მამლების ყვირილი ამხელა ქალაქში. თითქოს მათაც სცხვენოდათ, რომ დიდ ქალაქში ცხოვრობდნენ და მხოლოდ ღამით იღებდნენ ხმას. ღამით ყველას სძინავს და მათი სიფხიზლეა მოგაგონებს, რომ ქალაქი ცოცხალია, და სძინავს. შორს მთაზე შეფენილ სახლებში ბეუტავდა სინათლე. „არა, სახლებში არაა სინათლე“, — გაუელვა გონებაში ნოდარს. ბოძზე შესკუბული ელნათურები ანათებდნენ უკაცრიელ ქუჩას და მთაზე შეფენილ სახლებს, მაგრამ სახლებიც ძილში წასულიყო.

ექინათ ხეებსაც. ცალფეხა კაცივით იდგა სამსართულიანი სახლის კედელთან უძრავად გაშეშებული ხე. ნოდარი დიდხანს უმზერდა მას. თვალშეუღვლებლად ირხეოდნენ ფოთლები და ტოტებით კედელს მიყრდნობილი ხე ისვენებდა.

შუალამისას დაბარებულებით ამოიარა მთვრალმა. ეს კაცი ყოველდღე თვრებოდა და ნოდარს უკვირდა, სად ჰქონდა მას ამდენი ჯანი ან ამდენი ფული. მთვრალი უცნაურად მღეროდა. მარცვლავდა სიტყვებს, თითქოს ასანთის ღერები დაუცვივდა და იხრებოდა მიწაზე დაფანტული ღერების საითთაოდ ასაღებად. ზოგიერთ ღერს მაშინვე ვერ პოულობდა და პაუზა დამარცვლულ სიტყვებში ზომავს გრძელი გამოსდიოდა...



უძილო ღამის შემდეგ დილაადრიან წავიდა ბაზარში. რაღაც უჩვეულო აღტყინებით შეპყრობილს ეხალისებოდა ყოველგვარი საქმე. ხაზვის ყვითელი გირლიანდებით მორთულ ბაზარში არჩევდა სანოვავებს, სხვებსავე მომამზერებლად ევაპრებოდა გამყიდველებს. მერე წავიდა ბორჯომის წყლის საყიდლად. მამამისს ხშირად აწუხებდა კუჭის ტკივილი და შინ ყოველთვის იმარაგებდნენ ბორჯომს. მერე ხორცს ატარებდა საკვებ მანქანაში და ესეც ეხალისებოდა. უმიზეზო ღიმილი დასტრიალებდა სახეზე და კუნთები უძღვროდა.

— რა არის, ბიჭო, სამსახურში ხომ არ გაგაფორმეს, რა გახარებული ხარ, — უთხრა მამამ.

ნოდარს არც გაუგონია მისი სიტყვები. ფიქრები ეძალებოდნენ დაღლასთან ერთად და უძილო ღამეს თავისი გაჰქონდა.

4

ხმაურობდნენ რეპროდუქტორები ქუჩაში, ბაღში, ტროტუართან გაჩერებულ ავტომანქანებში... ნოდარი და ნანა ხელჩაკიდებულნი დარბოდნენ ახმაურებულ ქალაქში სიჩუმის საპოვნელად. უძილო ღამით გატანჯულ ნოდარს ტანში ატრიალებდა. ქუჩაში ხმაურობდნენ რეპროდუქტორები. ერთი სენით გონებააშლილი ადამიანები ჯგუფ-ჯგუფად უსმენდნენ რეპროდუქტორს. ნახევარს ალბათ არც ესმოდა ფეხბურთი, მაგრამ სმენადგადაქცეულები იდგნენ რეპროდუქტორებთან. ჰაერში ცურავდა აგზნებული სახეები. ადამიანები იქნევდნენ ხელებს, მათი ხმადაბალი ბუზღუნა და აღფრთოვანებული შეძახილები საიმედო აკომპანიმენტად მისდევდა ხმაურს. გეგონებოდა, ჰაერი თვითონ ხმაურობსო. მთელი ეს ხმაური ერთ დაუსრულებელ, შფოთიან სიზმრად ეჩვენებოდა, სიზმრად, რომელიც ცივ ოფლს დაგასხამს ლოჯინში, იღვიძებ, გაღიხდი საბანს, ათრთოლებული ხელებით იმშრალე სხეულს და გიკვირს, როგორ დაგესიზმრა ასეთი შემზარავი სიზმარი.

ნოდარი და ნანა ხელჩაკიდებულნი დარბოდნენ ქალაქში და ეძებდნენ სიჩუმეს. ნოდარი ნატრობდა სიჩუმეს, ბაღში, ხეების ჩრდილში განახულ სკამს. სიჩუმე შეიწოვდა სიტყვებს, როგორც მიწა წვიმას, სიტყვები მძიმედ დაიძრებოდნენ, როგორც მატარებელი დიდი სადგურიდან, ლიანდაგებით დასერილ სივრცეს გასცდებოდნენ, შორსმხედველ თვალებს გამოისხამდა მატარებელი და გრიალით გაიგნებდა გზას. სიჩქარის შეუდარებელი სიმფონია შეცურდებოდა ბორბლებში და ლიანდაგები ბანს მისცემდნენ. მკირეოდენი აჩქარებაც კი არ შეეპარებოდა საკუთარ თავში დარწმუნებულ სიჩქარეს.

ფუნქიულორზე ხმაურობდნენ რეპროდუქტორები, სანაპიროზე, ბაღებში, ქუჩებში. ქალაქი ყურს უგდებდა ფეხბურთის რეპორტაჟს. ყველა ფანჯარა ღია იყო და გულისგამაწვრილებელი ხმაური აცხლებდა შემოდგომის ჰაერს.

— წავიდეთ ჩემთან.

— არა, ქუჩაში ვიყოთ.

— ყურები მტკივა.

— მეუხერხულემა თქვენთან ამოსვლა.

— გავგიყდები, გესმის, გავგიყდები, აღარ შემიძლია...

ხმაურს უკვე არა მარტო ყურები გრძნობდნენ. თვალები, პირი, ხელ-ფეხი,



მთელი სხეული სმენის ორგანოდ გადაქცეულიყო. ხმაური ყინულივით ცივი წყლის მსგავსად აქვავებდა სხეულს.

საკუთარი სახლის სიახლოვემ ოდნავ დაამშვიდა. თითქოს ბრუნდებოდა ხანგრძლივი მოგზაურობიდან და სახლი მონატრებოდა, როგორც არასოდეს.

სირბილით აყვანენ კიბეს. კედელზე ფანქრით ეხატა თმააჩიჩილი დიდი თავი, ერთი ხელის მოსმით მოხაზული ცხვირითა და თვალების მაგივრად მსხვილი წერტილებით, სიცილს მისი პირი ყურებამდე გაეხია და უზარმაზარი პირით ეკითხებოდა ყველას: „როგორა ხარ, ჭირიმე?!“ ეს სამი სიტყვა ავტორის ხელმოწერასავით იყო ქვევით, ნახატის მარჯვენა კუთხეში. ნოდარი ყოველთვის ჩერდებოდა „ჭირიმეს“ წინ, ფიქრობდა პასუხს, ბოლოს მიხვდა, რომ თმააჩიჩილ თავს არც აინტერესებდა მისი ამბავი და მხოლოდ ზრდილობის გამო ეკითხებოდა. მერე უცნობმა ავტორმა უფრო გარკვევით დაუხატა თვალები. თმააჩიჩილს აზრი შეემატა გამოხედვაში. „როგორა ხარ, ჭირიმე?!“ დაჟინებით ეკითხებოდა ნოდარს. კარგად ვარო, პასუხობდა ნოდარი და აღარ ჩერდებოდა „ჭირიმეს“ წინ. „ჭირიმე“ კმაყოფილი იყო ნოდარის პასუხით.

ახლა სულმოთუქმელად აირბინეს კიბე და ნოდარმა ხელი დაუქნია თმააჩიჩილ თავს სალმის ნიშნად. თმააჩიჩილი ჩუმად იყო და თითქოს ენით შლიდა ქვევით, მარჯვენა კუთხეში, წარწერილ სიტყვებს.

ცარიელ სახლშიც ხმაურობდა რეპროდუქტორი, ნოდარმა გამორთო. წუთით ჩამოვარდა დუმილი. დადლილი თვალებით უცქეროდნენ ერთმანეთს ნოდარი და ნანა. მერე ისევ მოესმათ ხმაური მეზობელი ბინიდან. მეზობლებთან იყო ალიაქოთი, ალბათ უსმენდნენ ფეხბურთის რეპორტაჟს.

ხმაური მოჰქონდა ღია ფანჯრებს და თხელ კედლებს. ნანა გაოგნებულ თვალებს ატრიალებდა აქეთ-იქით. ნოდარმა ხელი ჩასჰკიდა და საბაზანო ოთახში შევარდნენ. მაგრად მიკეტა კარი. წყალი მოუშვა ონკანიდან. ცივი წყალი პირზე შეისხა, გაივრილა გაოფლილი სახე. დიდხანს ისრესდა თვალებს, დიდხანს ისხამდა ყურებში წყალს, თითქოს ჩარჩენოდა რეპროდუქტორების ხმაური და მისი გამოთრევა სურდა. ნანა დარცხვენილი იყო. მიეყუდა კარს და შუბლზე ჩამოშლილ თმებს ისწორებდა.

სიჩუმეს წყლის ხმაური არღვევდა და ნოდარს ესმოდა სიჩუმის ხმაური.

მაგრამ სიტყვები დაავიწყდა. მატარებელი ვეღარ გასცდა ლიანდაგით დასერილ სივრცეს. სიტყვები თითქოს ყელში იყო უკვე. იასამანივით ალერსიანი სიტყვები ლამობდნენ ამოხტომას, გაუთავებელმა ხმაურმა შთანთქა ისინი.

ნოდარს საკუთარი სახელიც დაავიწყდა. ფიქრობდა და ვეღარ გაეხსენებინა. იცოდა, რომ ერქვა უბრალო და უპრეტენზიო სახელი, არც უზომოდ თანამედროვე, არც მეტისმეტად არქაული. მერე შეხვდა ნანას, დაძაბა მესხიერება და უცებ გაახსენდა თავისი სახელიც.

— ნოდარი, — თქვა მან ხმამაღლა, — ჩემი სახელია ნოდარი.

თითქოს დაბადებიდანვე მუნჯი იყო და ახლა, ერთ წუთში აიღვა ენა და თვითონ უკვირდა თავისი ლაპარაკი. ნანამ გაიცინა.

— მართლა? ნოდარი ხარ შენ? მე კი ნანა მქვია.

— ნოდარი, — ისევ გაიმეორა ნოდარმა, ტკბებოდა იმით, რომ როგორც იქნა, გაიხსენა თავისი სახელი.

— ნანა, — თქვა ნანამ. იგი მხიარულად იცინოდა.

ნოდარმა ხელები დააყრდნო მხრებზე და სახესთან ახლოს მიუტანა თვალები. გონება კიდევ რალაცას იხსენებდა.

„სიტყვები, სად დავკარგე სიტყვები“, — გაიფიქრა ნოდარმა.

— ნანა, გენაცვალე...

სიტყვები არ მოდიოდა.

— ნანა...

— არ გინდა, ვიცი.

— იცის, — დაიყვირა ნოდარმა და ტანში საამო ყრუანტელმა დაუარა.

— ჰო, ვიცი.

სიტყვები აღარ იყო საჭირო...

— არა, ნოდარ, ახლა არა, — უმწეოდ თქვა ნანამ.

— დაილაღე? კარგი, მერე იყოს, მეც დავილაღე.

— ამდენი სირბილი... რა ლამაზი სინთმეა და მხოლოდ წყალი ხმაურობს.

წყალი გაგულსებით ხმაურობდა სინთმეში. „არა, ახლა არა, მერე, ხვალ,

ზეგ“, — გაიფიქრა ნოდარმა.

— რას გაშტერებულხარ?

— მე მინდა ვიხტუნო, ვიყვირო, ვიცეკვო, ვიმღერო...

— მერე?

— მაგრამ დავილაღე და ღონე აღარ შემწევს. ახლა მოვწევ პაპიროსს და დიდხანს გიყურებ, რომ დავიმასხოვრო.

— მოგწონვარ?

ნოდარს უეტრად გაახსენდა კახეთის რომელიღაც სადგურზე ყურმოკრული ფრაზა და დინჯად გაიმეორა:

— ისეთი კარგი ხარ, ისეთი კარგი, რომ იტყვი: შენ თუ არ გიყურე, სხვას ვის ვუყურებო.

ორივეს სიცილი აუტყდა...

ბადრი იჯდა ბიბლიოთეკაში. მაგიდაზე უხვად განებულიყო სქელტანიანი წიგნები და მელნით აპრელებული ფურცლები. ბიბლიოთეკაში აუღელვებელი და ჩაფიქრებული სიწყნარე იყო, ვერც დაინახავდა კაცი წიგნებში ჩაფლულ ბადრის. სერიოზული სახით იჯდა ბიბლიოთეკაში და მუშაობდა.

ზურიკო მიფოფხავდა ჯვრის მონასტრისაკენ. პირდაპირ აქრა აღმართი, ეკიდებოდა ბუჩქებს, ფეხი რომ მოეკიდებინა ნაშალ ბილიკზე. დროდრო შეისვენებდა, ზურგს შეაქცევდა მონასტერს და მოჭუტული თვალებით გადაპყურებდა მცხეთას. უხეიროდ აეკაბიწებინა ხალათის სახელოები, მაჯასა და იდაყვს შორის. წამდაუწუმ ქვევით მიცურავდა ფუყედ დახვეული სახელო და ზურიკო მოთმინებით ისწორებდა მას.

გივის ზამზის დიდი ნაგლეჯებით გამოევსო ყურები, იწვა საწოლზე თამბაქოს ბოლში გახვეული და ოცნებობდა. ხანდახან ლექსებსაც შეუტრევდა თამბაქოს სქელ ბოლს.

## 5

ტროლეიბუსი გაჩერდა. მგზავრები წამსვე წამოიშალნენ. ბოლო გაჩერება იყო და მოლიანად დაიცალა ტროლეიბუსი. მერე ახალი მგზავრები ამოვიდნენ. ექებდნენ ადგილს ფანჯრის პირას, რომ კენტ-კენტად ჩამწყრივებულიყვნენ განათებულ ტროლეიბუსში. მერე თვალებით ჩხრეკდნენ ქუჩას დროის მოსაკლავად. ნოდარს ნემსივით ერჭობოდა განათებული ტროლეიბუსიდან გადმოყოფილი თვალები. იდგა მაღაზიის შესასვლელთან, მაღალი და მხარბეკიანი, გამელელ-გამომვლელნი ხან მხარს გაჰკრავდნენ, ხან ფეხზე



აბიჯებდნენ და საგანგებოდ გაწმენდილ ფეხსაცმელს უსვრიდნენ. არავინ აქცევდა ყურადღებას. ტროლეიბუსიდან გადმოყოფილი თვალები ჩხრეკდნენ თავიდან ფეხებამდე. ნოდარი იდგა წყნარად, თავისთვის და არავის აქცევდა ყურადღებას ძეგლივით გაქვაებული. მალაზიის აურზაური და ჰედვად გადაქცეული სივიწროვე მის შეგრძნებამდე ვერ აღწევდა. ბუნებრივად და კანონზომიერად აღიქვამდა მცირეოდენ ლოდინს. უმიზნო და გაუმართლებელი არ იყო ლოდინი. იცოდა, რომ ტროლეიბუსით უნდა მოსულიყო ნანა და უმზერდა მხოლოდ ტროლეიბუსებს, რომლებიც იცლებოდა და ხელახლა ივსებოდა.

გამოჩნდა. ყვითელი პალტო ეცვა, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი. თავსაფარმოსხვეული მინდორში სამუშაოდ გასულ კოლმეურნე ქალს ჰგავდა. ეს შორიდან. მაგრამ თუ დააკვირდებოდი, თავსაფარი სხვანაირი იყო, ლათინური ასოებით აპკრელებული, უცხო ქალაქთა ხედებითა და სახელებით. სულ რაღაც ნახევარი წუთი იყო საჭირო ტროლეიბუსის გაჩერებიდან ქუჩის მეორე მხარეს, მალაზიასთან გადმოსვლისათვის. მალაზიის შესასვლელთან იდგა ნოდარი.

ლოდინის უკანასკნელ, საზვიმო აკორდად ჟღერდა ეს ნახევარი წუთი და ნოდარს ათასი ფიქრი გაუელვებდა თავში. ნანა იყო უმწეო და საყვარელი. ნანას ტანმოჩილ გოგოდ ვერ ჩათვლიდა კაცი, მას დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა და მხრებამდე წვდებოდა ნოდარს. მაგრამ ნოდარი ხედავდა პატარა გოგოს, ძვირფასს მთელი არსებით, ერთი გამოხედვით, ერთი ფეხის გადადგმით, და ფიქრობდა: „ვის დანებებ ამ თვალებს, ჰკუხსა დაკარგავ, ფიქრშიაც რომ დაუთმო სხვას“.

ტროლეიბუსი აივსო და ცნობისმოყვარე თვალებს მეტი საქმე გაუჩნდათ. მალაზიის შესასვლელთან იდგა ქალ-ვაყი, ერთმანეთის პირისპირ, ერთმანეთთან ახლოს, ისინი უხმოდ იდგნენ. ცნობისმოყვარე თვალები ჩხრეკდნენ ორივეს თავიდან ფეხებამდე.

ნოდარმა ხელი მოჰკიდა მკლავზე და გაუყენენ ქუჩას.

— როგორა ხარ? — ჰკითხა ნოდარმა.

— კარგად. შენ როგორ?

— მეც არა მიშავს.

ნოდარი იკრებდა სუნთქვას შემდგომი სიტყვებისათვის. თითქოს ცივი მდინარის პირას მისული წყალში აპირებდა გადახტომას.

ნანამ თვალი შეავლო, რომ ნოდარი ოდნავ კოჭლობდა.

— კიდევ გტკივა ფეხი?

— არაფერია.

— ძალიან გტკივა?

— რა მოხდა მერე, ავიტან ფეხის ტკივილს.

— ნუ ვივლით ბევრს.

— გავუძლებ-მეთქი, ნუ გეშინია.

— გასალახავი ხარ, რომ არ უვლი თავს, — წარბშეკვრით თქვა ნანამ.

— გამლახე, — ნოდარმა მალლა ააწვეინა ხელი ნანას და სახეზე ერთი-ორჯერ მიირტყა მისი სილა. ნანა იცინოდა.

— მიიღე? უარესს გიზამ, თუ არ დამიჯერებ.

პროსპექტზე ზღვა ხალხი ირეოდა. კინოსთან გრძელი რიგი გაწოლილიყო. ისინი კოხტად უქცევდნენ გვერდს პროსპექტზე მოსეირნეებს. თითქოს მტკივნეული იყო გამვლელ-გამოვლელთა ოდნავი შეხებაც კი.

— ნახე, მტირალა ვიტრინა, — თქვა ნანამ.

— კარგად მოუფიქრებიათ, — შენიშნა ნოდარმა.

— რა ატირებს ნეტავ?

— დაიღალა, ყველანი მაგ ვიტრინას აშტერდებიან.

წყლის წვეთები სქელი და ფართო ნაკადით ლოკავდნენ მინას. მაღაზიის ვიტრინის იქით ბუნდოვნად კრთოდნენ ადამიანები. ვიტრინის ძირში პალოვ-ბევით ეყარა სტაფილო და ჭარხალი, მათ უკან მრგვლად მოკეცილიყო რამდენიმე თავი კომბოსტო.

— როდემდის იტირებს, ჰა? — თქვა ნანამ.

— რა ვიცი, სანამ არ დაუშრება ცრემლი.

— ნუთუ ღამითაც ტირის? ღამით ხომ მოსვენებულია, რა ატირებს.

— ალბათ ბევრს დარდობს.

ნოდარმა ნანას პალტოს ჯიბეში ჩაჰყო ხელი და თითებით ეალერსებოდა ნანას თითებს.

— ტროლეიბუსის ფანჯრები მარტო წვიმის დროს ტირიან, ეს კი სულ ტირის და ტირის...

— წვიმის დროს კარავში წოლაა კარგი. გარეთ წვიმს, შენ კი მშრალი ხარ. მცირეოდენი ფართობი გაქვს, სადაც ვერ აღწევს წვიმა და კმაყოფილი უსმენ, რომ გარეთ წვიმს და შენ კი ერთი წვეთიც არ გეცემა.

— რა გატირებს, სულელი?

— ცოდოა, თავი დაანებე, — თქვა ნოდარმა.

— მტირალა, მტირალა, ღორებს ჩამოგილაღავ, — ნაწყენი ხმით ჩაულაპარაკა ვიტრინას ნოდარის მკლავზე ჩანთასავით ჩამოკიდებულმა ნანამ და ენა გამოუყო.

— შენ არა ხარ მტირალა?

— არა, მხიარული გოგო ვარ.

— თუნდაც გაგაბრაზონ?!

— მაინც არ ვიტირებ.

— ეთქვათ, მე გაგაბრაზე.

— შენ არ გამაბრაზებ.

— რა იცი? — გაკვირვებით თქვა ნოდარმა.

— ვიცი. მე არ გაგაბრაზებ, არასოდეს გაგაბრაზებ და შექარივით ვიქნები.

— შექარზე გამახსენდა, აჰა შოკოლადი...

— გმადლობთ, შენ?

— არ მინდა.

— მოკვნიტე, ცოტა მოკვნიტე.

— არ მინდა დავტკბე.

— კარგი, ნუ დატკბები.

ხმამოუღებლევ მისეირნობდნენ პროსპექტზე და დროდადრო ერთმანეთს უმზერდნენ ღიმილნარევი დაფიქრებით.

— რას გვიყურებს ყველა, ერთი გამაგებინა, — თქვა ნოდარმა.

— გვიყურონ, რა გვიშავს. სანამ თვალეები არ დაედლებათ, გვიყურონ, — დაამშვიდა ნანამ.

— გვიყურებენ და ფიქრობენ: აფსუს, რა კარგი გოგოა და რა ცუდი ბიჭი.

— ჰო, ირემივით გოგო და დათვივით ბიჭი.

— დათვზე თანახმა ვარ, ოღონდ უარესი არ მიწოდონ.



- არა, ალბათ პირიქით ფიქრობენ.
- ნუ კეკლუცობ, ვიცით რომ კარგი ხარ.
- ეს მხოლოდ შენთვის.
- ეგრე იყოს, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ვაი, რომ ყველასათვის კარგი ხარ და მიმზიდველი.
- შენ გწყინს?
- არა, მიხარია და თანაც მეშინია.
- არაფერია საშიში.
- გახსოვს, ამას წინათ რომ წაგიმდერეს ბიჭებმა, ლამაზო ქალო, მოგიკლავ ქმარსო. იცი, როგორ გამეხარდა, — თქვა ნოდარმა და სიამაყით შეხედა ნანას.
- მერე ნანაც გაბრაზდა, გამველ-გამომველნი თვალს რომ არ აშორებდნენ.
- რა მოუვიდათ, შეყვარებულები არ უნახავთ?!
- ჩვენ შეყვარებულები ვართ?
- რა ვიცი, შენ როგორ გგონია?
- ჩვენ თანამშრომლები ვართ და მოვდივართ ადგილკომის კრებიდან.
- ვერის ბაზრის იქით ქუჩა ორად იყოფოდა. ქუჩის ხმაური თანაბრად ნაწილდებოდა მის ორივე განტოტებაზე. ქუჩის სიფართოვე იგივე რჩებოდა. მაგრამ ხმაური ორმაგად მცირდებოდა და ერთმანეთის მხარდამხარ მიედინებოდა ორი ხმადაბლა მოლაპარაკე ქუჩა.

(გაგრძელება იქნება)





## სუხა ბაგუა

### ჰადარი

მაღალი მხრებით აწვდილი ცამდე,  
 მსუბუქ ღრუბლებთან ნაალერსები,  
 ვით კიბორჩხალი მეთევზის ბადეს,  
 ის ეჭიდება მიწას ფესვებით.  
 მას ახსოვს — ბევრი ავდარიც, დარიც,  
 მას ახსოვს — ბევრი ტკბილიც და  
 მწარეც...  
 ტრიალ მინდორზე მარტოკა მდგარი  
 საჩრდილობელად ეძახის მგზავრებს.  
 იქ მუდამ არის ნიავი გრილი,

წყაროს წყალივით მგზავრს რომ  
 აქეზებს...  
 ჰადარს არ ჩრდილავს თავისი ჩრდილი —  
 ჩრდილს ნაბადივით შლის ბალახებზე.  
 გაშლილი მხრებით აწვდილი ცამდე,  
 მსუბუქ ღრუბლებთან ნაალერსები,  
 ვით კიბორჩხალი მეთევზის ბადეს,  
 ის ეჭიდება მიწას ფესვებით.  
 ბედს არ უჩივის. და დღენიადავ  
 მხოლოდ კეთილი ზრახვა ამალღებს:  
 იცის — უბრალო ჰადარია და  
 არ ეჯიბრება მუხებს — ამაყებს.

### ჯავახულის მტიუდი

ტყე დუმს,  
 დუმს ველი,  
 ზმას არ იღებს სოფელი — ცხელა.  
 სადღაც მამალმა იყივლა და...  
 მიყუჩდა უცებ.  
 მხოლოდ ფერდობზე მაღიანად  
 ბალახობს ცხენი  
 და იგერიებს უხალისოდ  
 დროდადრო  
 ბუხებს,  
 ცხელა.  
 სიცხისგან განაბულა ნიავიც ფრთხილა.

თვლელა ერევათ  
 ორღობეში მდგარ აკაციებს...  
 ცაცხვმა მდელოზე ნაბადივით დაფინა  
 ჩრდილი,  
 თითქოს სურს,  
 იქვე წამოგორდეს  
 დალილ კაცივით.  
 და იმ ცაცხვის ჩრდილს  
 გარე უვლის ზაფხული ცხელი,  
 ვით საიდუმლოს,  
 ძირს დაფენილს უჩინარ ხელით.

\*

გამომაფხიზლა წვიმის წკარუნმა,  
 ქუჩიდან ქარი  
 აწვება კარებს.  
 ბავშვური დღეღვით და სიხარულით  
 ხელეზგაშლილი გავრბივარ გარეთ.

თავზე დაშხუის შხაბუნა წვიმა  
 ბაღებს,  
 ხეივნებს და ქვაფენილებს  
 და ნაწწნიან პატარა ცირას  
 შინისკენ სწრაფად მიარბენინებს.

კიბეზე ადის მოხუცი მძიმედ,  
 მეზობლის სახლში  
 სტუმრად წვეული;  
 თვითონ საჩქაროდ შედის და  
 წვიმა  
 კარებთან რჩება დავიწყებული.  
 და ბრაზობს წვიმა,  
 და იხევს ნელა —  
 მაინც რად ხდება ასე, ნეტავი:  
 ის მიაცილებს კიბემდე ყველას  
 და უცებ — ცხვირწინ კარს უკეტავენ.  
 კარგია წვიმა.  
 თამაშობს გარეთ  
 ფეხშიშველი და უქუდო ბავშვი.

ვილაც მისწვდება აივნის კარებს,  
 გამოვა გარეთ და ქოლგას გაშლის.  
 შრიალა ბაღი მხვდება კარდია,  
 ვხედავ დალაღებჩამოშლილ ძეწვნებს.  
 მე არაფერი არ დამკარგვია  
 და მაინც გულით რაღაცას ვეძებ.  
 მთელი ბუნება ლაღობს, იცინის  
 და ხელებს იშვერს  
 თავს ზემოთ  
 ქარში,  
 როგორც შხაპისქვეშ თვალმოციმიციმე  
 მოუსვენარი  
 კეთილი ბავშვი.

**ბილიკი**

მინდორ და მინდორ,  
 ხევ-ხევ,  
 ტყე-ველად,  
 მირბის და ფეხქვეშ თელავს ბალახებს;  
 სოფლის შუკაში — შეუმჩნეველად —  
 ზედ გადევლება მაღალ ალაგეს.  
 და მირბის ისევ, და მირბის ისევ,  
 მიაქუნძულებს კვალდაკვალ მუხებს.  
 ტრიალ მინდორზე,  
 კენტად მდგარ ხისკენ  
 ზოგჯერ დაღლილი მგზავრით უხვევს.  
 ის ყველგან გვხვდება და იმედს  
 გვმატებს;  
 ჩაირბენს აღმართს,  
 გადაჭრის ახოს,  
 თუ ჩაიკარგა ბალახში სადმე  
 და გაწყდა,  
 იქვე გაჩნდება ახლოს.  
 ათვლიერებს უცნობ ადგილებს —  
 ახალი ეზო,  
 ახალი სახლი...

მასპინძელს უხმოდ კარს მიადგება,  
 ისე, რომ თავსაც არ ასწევს ძაღლი.  
 არ შეჩერდება ეზოში არსად,  
 ცვრიან ბალახის  
 იგრძნობს  
 სირბილეს;  
 ვერ მოახერხებს კიბეზე ასვლას —  
 გამობრუნდება უკან სირბილით.  
 არც დასაწყისი, არც ბოლო უჩანს.  
 სერავს ჰიუზებს,  
 მინდვრებს და  
 ველებს...  
 შეუერთდება ქალაქის ქუჩას,  
 ფართო მოედნად იქცევა მერე.  
 ... სად დასრულდება ჩემი შარავზა,  
 სად შევისვენებ მგზავრი დაღლილი...  
 ვხედავ —  
 ბილიკი ტყესთან ანაზღად  
 უხვევს და  
 გარბის დამფრთხალ ძაღლივით.

**სხივი**

ციცინათელად  
 შეიჭრა  
 უცებ  
 დაბურულ ტყეში — სინათლის  
 ფრქვევით;  
 გზა გაიკვლია

ფურცელ და ფურცელ,  
 ფოთოლ და ფოთოლ —  
 ქვევით და ქვევით.  
 ტყე იყო ქალის თმასავით ხშირი,  
 ტყე იყო ბნელი თითქოსდა განზრახ...  
 ათასჯერ მაინც



გადატყდა სხივი,  
ვიდრე ფოთლებში  
ნემსივით  
გაძვრა.  
... ნუ მკითხავ —  
შენსკენ მლტოლვარე მგზავრი  
სად შევეყარე ჭირსა და ვაის:  
ნუ მკითხავ —  
ეს გზა  
გართულდა რარვგ.

მაინც მოველი შენამდე,  
მაინც.  
და ნუ მიწოდებ  
ხელსა და მოცლილს,  
ნურც შემიმოწმებ  
განვლილ ნაბიჯებს...  
შენ ის მითხარი —  
ჩემი აქ მოსვლით  
პატარა სითბო თუ მოგანიჭე!



## ჯანსუღ ნიქაბუძე

### სიყვარულის ქვეყანა

1

მომენატრა იმერეთის  
იისფერი გორები,  
ქუთათური სიმღერები,  
მეზობლები, სწორები,  
გაჩენიდან სიბერემდი  
ტკბილი მაჭრის მორევი,  
მისი მზე და ცისარტყელა,  
დალოცვილი ყველგანა,  
მიწა ერთი ნაბდის ხელა,  
სიყვარულის ქვეყანა.  
ჩემი ფარცხანაყანევი,  
მალღაკი და ქვიტირი.  
დღდასავით საყვარელი,

ნმაყლურტულა ჩიტვიით.  
მისი ტკბილი ურმული და  
მისი ტკბილი „დილილმე“  
მისი „კაი გამარჯობა“,  
მისი „შენი ჭირიმე“.  
მომენატრა იმერეთის  
იისფერი გორები,  
გაჩენიდან სიბერემდი  
ტკბილი მაჭრის მორევი.  
მისით ვცოცხლობ, მისთვის ველავ,  
თვალწინ მიდგას ყველგანა,  
მიწა ერთი ნაბდის ხელა,  
სიყვარულის ქვეყანა.

2.

გამარჯობათ!  
გამარჯობათ! გზებო, ზვრებო, ველებო,  
სანაქებო ჭალაკებო, მთებო  
საკვირველებო.  
ხმაწკრიალა წყაროებო, მინდვრად  
ჩალის ზვინებო,  
მე უთქვენოდ მკლავის გაშლა აბა,  
როგორ ვინებო!  
მეგობრებო, მეზობლებო, ჰეი, ჩემო  
მოგვარევე,  
ჩემი თაფლა სადღა არი, ერთი აქეთ  
მომგვარეთ!..  
სიხარულში, სიყვარულში გაფრენილო  
დილებო,  
მე უთქვენოდ მკლავის გაშლა აბა,  
როგორ ვინებო!



იოანე ჩაღუნაძე

# ცხოვრების ზეპირბეჭედი

რომანი

თავი მეთხრამეტი

— ეჰ! — ამოიოხრა შვანგირაძემ და თავი იდაყვებში ჩარგო. გაოცებული ეთერი მამას ახლოს მიუჯდა.

შვანგირაძემ კიდევ ერთხელ ამოიოხრა, წამოდგა, ფანჯარას მიუახლოვდა და პაპიროსს მოუკიდა.

ეთერი გაინაბა.

— შენ გამოსადეგს გირჩევ, — ძლივს ამოიღო მამამ ხმა.

— თქვი, მამი, რაღაც გაწუხებს, ცუდი ხომ არაფერი მოხდა ან დედა როგორ არის?

— როგორ იქნება, შენი გადაჰკიდევ.

— მე რა შუაში ვარ?

— დარდმა მოტეხა ჯანმგებარი ქალი. სულ შენზე ლოცულობს, იმედს არ კარგავს, ოჯახს დაუბრუნდებო.

— არაფერი მესმის.

ქალიშვილის მიამიტობამ სახე დაუღრიჯა შვანგირაძეს.

— ვიფიქრე, შეურიგდება-მეთქი შენს გათხოვებას, მაგრამ არაფერმა გაქრა, ხელიდან მეცლება საწყალი ქალი. აბა დაუფიქრდი, რაღაა მისი ცხოვრება. საწყალი ქალი სულ იმას ჩამჩიჩინებდა, შვილს ნუ მითამამებო და აკი სწორი გამოდგა.

— მე რა დავაშავე?

— რა დავაშავე? რა სიკეთე მოგვიტანე, სტუდენტით ცხოვრობ.

— ბინას გვპირდებიან, მერე მაგას აღარ იტყვი მაგიყო...

— სსუ... არაფერი გინდა, მინებე ყველაფერს თავი, ეშმაკს მიაფურთხე და დედაშენს მიხედ.

— გურამი?

— უკეთეს ვაქაცს გაგაყოლებ.

— რას ამბობ, მამი?

— დაჯექი, შვილო, მინდა იცოდე მშობლების გულისტკივილი.

შეშფოთებული ეთერი ტახტზე ჩამოჯდა.

— რას ჰგავს შენი საქციელი, ერთხელ მაინც დაფიქრებულხარ? ერთადერთი შვილი გაგზარდეთ და სიბერის წლები გინდა ჩაგვიმწარო.

ეთერმა გაფართოებული თვალებით შეხედა მამას.

— ეთერ, შვილი ხარ და შენ თუ ვერ გამიგებ, მამ ვის ვუთხრა, ვის ავუთხრდე. შენთვის ვწვალობდი, შენთვის ვშრომობდი და ამდენი წლის ამბი წყალში უნდა ჩამეყაროს შენი ქმრის წყალობით. გურამი დირექტორს ებრძვის, ფაბრიკას უნდა რომ მოაშოროს. დირექტორი ჩემი მეგობარია, ჩემი ოჯახის მფარველი ანგელოზი... შენი ქმარი კი.. ძალდად არ მაგდებს. დემრთმა არ იცის მაგისი თავი, საიდან მოეხეტა ფაბრიკაში. დაწყნარებული ცხოვრება ამირია. ესეც არ მაქმარა, ერთადერთი შვილი, ჩემი ნუგეში არც კი უკითხავს, ისე წამართვა.

— გაჩუმდი, მამა, ნუთუ ასეთი შეუბრალებელი ხარ, ოდნავ მაინც არ გეცოდები?

— მეცოდები? მერე და მე ვის ვეცოდები, ვინ ფიქრობს ჩემს ოჯახზე, იცი თუ არა, ჩემო შვილო, შენი ქმრის წყალობით შეიძლება სამსახურიც დაკარგო და, ვინ იცის, იქნება თავიც?

— რა გურამის ბრალია, ვერ გამიგია? — ეთერი ტახტზე წამოჯდა.

— დირექტორთან საერთო ენა ვერ გამონახა. გიორგის დამარცხება ჩემი... ევეჰ... — ხელი ჩაიქნია უშანგიმ. — ამას შენ ვერ გაიგებ...

— მაინც ვერ მიგიხვდი, რა გაწუხებს, მამა. თუ დირექტორს მოხსნიან, შენ რას გეშინებ?

— სწორედ მაგაშია საქმე. თუ გიორგის მოხსნიან, მეც დავიღუპები. მისით მიდგას სული. გურამს სწორედ ის უნდა, სული ამომაძროს. ნუთუ ვერ მიხვდი და ვერ გაიგე?

ეთერმა მხრები აიჩეჩა.

— შვილო, ყური დამიგდე. გურამი ერთი გამოუცდელი ტლუ ბიჭია, უმარიფათო. რასაც დღეს შენს ოჯახში უყურებ, ამის მეტს ვერაფერს მოეწევი ცხოვრებაში. რა ყურადღებას გაქცევს, ოჯახიდან გამოყოლილი კაბები რამდენხანს გეყოფა?..

— რა ექნა, მამა, მითხარი, როგორ მოვიქცე?

— ოჯახი, შვილო, უფრო რთული რამ არის. ვიდრე შენ გგონია. ჯერ ახალგაზრდა ხარ, ვერა გრძნობ შენს დამცირებას, მერე კი, როცა ხალხში გახვალ, მწარედ ინანებ. მარტო კაცის შეხედულება რისი მაქნისია, ქონება და დიდო ცხოვრება ადამიანის გულის გამაზრებელი. უამისოდ სილამაზე ჩირად არა ღირს და ვეჯაკობა ჩალის ფასია.

— ისე მელაპარაკები, თითქოს ჩვენ ვერაფერს ვიძენთ, მერე და ვინ ვითხრა ასეთი რამ?

— შენი ქმრის საქციელმა.

— ვითომ რა შეატყვე ასეთი?

უშანგი შვილისაკენ მობრუნდა და მკვანედ მიახალა:

— ცხოვრებაში რაც უნახავს, იმაზე მეტს ვერაფერს მოესწრება. ხომ ნახე, სოფელში როგორ ცხოვრობენ, აჰა, აქაც კარგად ხედავ ყველაფერს. გიორგი მაგასავით ლამაზი არ არის, საზაგიეროდ ცხოვრებას იცნობს. მოდი და შეადარე, შენი ლამაზი ქმარი და გასწვით საცხე გიორგი.

— კმარა, მამა, მეტი აღარაფერი მითხრა, გეყოფა ჩემი წამება.

ეთერმა ოთახში აღარ მოიცადა, გარეთ გავიდა, კიბის საფეხურზე ჩამოჯდა და ქვეთინი აუტყდა.

უშანგი დიდხანს დაბორილებდა ოთახში, მერე სკამზე ჩამოჯდა, ოთახს თვალი მოავლო და თავის საქციელს ჩაუფიქრა.

„სწორი ვარ, ასე რომ ვიქცევი? რას მიქვიან, შვილმა თავისი გაიტანოს. ეყო იმ გლეხუქას, რაც მის ნებაზე ინავარდა. აბა იგემოს, როგორია გულ-მოკლული გულით სიარული. წავიყვან ჩემს ეთერს და მერე ნახოს. თუ ნებით არ წამომყვება, ძალით წავიყვან. ეს კაცი სიძედ არ გამომადგება, ეგ სხვა ყაიდის კაცია. შვილს დამიღუპავს, შვილს, მეც, მეც... თან მიმაცოლებს“.

უშანგის გამოუთქმელი ჯავრი აწუხებდა. ვერ ეთქვა სიძისთვის, ვერ გამოსტეხოდა. ვითომ თავმოყვარეობა აკავებდა? ეს საიდუმლოება არავისთვის გაუშვებია, თვით ეთერსაც კი ვერ გაანდო. იცის კი გურამმა სიმაძრის გასაქირი? რომ იცოდეს, როგორ მოიქცევა? გავანდო? იქნებ გამოგოს. რა ბედნიერი კაცი იქნება უშანგი. როგორი პატივისმცემელი გახდება სიძისა!

უთხარი, გაენდე. ბოლოსდაბოლოს ეთერის ქმარია, თითქმის მეორე შვილია, — ჩასძახოდა უცნობი ხმა და უშანგიც გარინდებული ყურს უგდებდა.

მაგრამ... რომ არ გავიგოს, რომ არ დაგინდოს, მაშინ რას შვრები, უშანგი?

ქუღს დაავლო და კარი თითქმის სირბილით გაიარა. ეთერისათვის არც კი შეუხედავს, ისე დატოვა იქაურობა.

ეთერი სახლში შელასლასდა, ტახტზე დაემხო და ატირდა.

ისე დაღამდა, ვერც კი გაიგო, როგორ შემოვიდა გურამი ოთახში და თვალეზზე ხელი როგორ დააფარა.

ეთერს უცებ შეეცვალა ხასიათი, გამხიარულდა, დაავიწყდა მამის სიტყვები და სიყვარულით შესცქეროდა ქმარს.

„საკვირველია, — ფიქრობდა ეთერი, — როცა ჩემს გვერდითაა, ყველაფერი მავიწყდება.“ ეთერმა ისევ ქმარს შეხედა. გურამი დაფიქრებული იჯდა.

— რა მოხდა გურამ? რა დაგემართა?

გურამი გამოერკვა. „როგორ გავუხიარო ამ ადამიანს გულის ნადები, ვაიგებს კი?“

— გურამ, ველარა გცნობ, რა მოგივიდა? — ეთერი ქმარს მიუახლოვდა, მკერდზე მიაღო თავი და ყური მიუგდო ვაჟაკის გულისცემას..

გურამი ქალს მოშორდა, კოლოფიდან პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა და ბოლი რგოლებად გაუშვა ჰაერში.

— ეთერ, ჩემი მეგობარი ხარ და არ მინდა შენგან დამალული მქონდეს რამე.

გურამის ხმამ ეთერი შეაშფოთა.

— რა დაგემართა, დღეს ველარა გცნობ?

— ეთერ, ცხოვრება რთულია და არ გავიკვირდეს არაფერი. ადამიანი ჭრელია. ჰოდა, მეც ბევრ წინააღმდეგობას წავაწყდი ფაბრიკაში. დირექტორთან ჩხუბი მომივიდა.

— შენგან რა უნდა? — ჰკითხა ეთერმა და ხელი მოხვია, ტახტთან მიიყვანა და თითქმის ძალით დაისვა გვერდით.

— რა ვიცი, ეთერ, — გაეცინა გურამს, იგი ახლა უკვე ნანობდა, ეთერთან ამ საკითხზე რომ წამოიწყო საუბარი.

— არა, გურამ, მაინც რა უნდა დირექტორს?

— ისეთი არაფერი, ჩვენი დავა წმინდა სამსახურებრივი ხასიათისაა.  
 — იქნებ მტრობა აქვს შენი?  
 — არა მგონია, რა უნდა ჰქონდეს ჩემთან სამტრო... ეთერ, მოდი, გავი-  
 სეირნოთ, ახალ წარმოდგენას უჩვენებენ ფაბრიკაში.

— ფაბრიკის კლუბში?  
 ეთერს დიდხანია ინტერესებდა ფაბრიკის ნახვა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ  
 გაუბედა ამისი თქმა გურამს. შალის კაბა გადაიცვა და სარკეში თმები შეისწო-  
 რა.

ეთერი ფაბრიკაში არ იყო ნამყოფი. დარბაზი ხალხით იყო გაჭედული-  
 უმეტესობა ახალგაზრდები იყვნენ.

ეთერი დაკვირვებით ათვალიერებდა ყველაფერს. მათი შესვლა არ დარჩათ  
 შეუშინებელი, ახალგაზრდების დიდი ჯგუფი გურამს შემოეხვია. ბევრს უკვე  
 იცნობდა ეთერი. გივი, ელგუჯა, მარიამიძე და სხვები ხშირად მიდიოდნენ მათ-  
 თან სტუმრად და ახლა ისინი შინაურულად ელაპარაკებოდნენ ეთერს.

— აქებდნენ და მართლაც კარგი გოგო ამოვიჩვენებ, — ეთერს მოხდე-  
 ნილმა გოგონამ გაუწოდა ხელი.

— ჩვენი ფაბრიკის ოსტატია, გივის მომავალი სარძლო, — გააცნო გურამ-  
 მა ქალი.

— თინა ტყემალაძე, — თქვა თინამ და ეთერს შინაურულად გამოსდო  
 მკლავში ხელი.

— ჩვენ კლუბს დავათვალიერებთ. თქვენ კი აქ იმუშაიფეთ.

ეთერმა და თინამ პარტერი გაიარეს, გვერდით ლოჯიაში შევიდნენ და პირ-  
 ველ რიგში დასხდნენ. ეთერი აღტაცებას ვერ მალავდა, ხალხიც მოეწონა. მალე  
 ლოჯიაში რამდენიმე ახალგაზრდა კიდევ შემოემატათ და თინა სათითაოდ აცნო-  
 ბდა ეთერს.

„მეც უნდა დავიწყო ფაბრიკაში მუშაობა“, — გაიფიქრა ეთერმა.

ამასობაში ფარდა გაიხსნა. ეთერი ბევრს ეცადა და სამსახურზე ფიქრს თა-  
 ვი მინც ვერ დააღწია.

ხასიათოვნები ბრუნდებოდა ეთერი შინ. გზაში გურამს ესიყვარულებოდა.  
 ველარ ითმენდა, ჩქარა უნდოდა ეთქვა, ფაბრიკაში მუშაობა გადაწყვიტეო.  
 ეთერმა იმ საღამოს განსაკუთრებული სილალე იგრძნო. გულიდან დარდი გადა-  
 იყარა.

— გურამ შენთან ფაბრიკაში მინდა ვიმუშაო, ერთად ვივლით ყოველდღე;  
 კარგი არ იქნება?

გურამმა გაკვირვებით შეხედა ეთერს.

— მუშაობა მინდა დავიწყო, რისთვის ვისწავლე თუ არ გამოვიყენებ? —  
 გაუმეორა ეთერმა.

გურამს გაეცინა, დაეთანხმა, მასაც გაეხარდა ეთერის გადაწყვეტილება.

#### თავი მეოცე

კვირა დღე იყო. ეთერი მოწყენილი იჯდა.

— რა გქნა, ასეთი ყოფილა ჩემი ბედი, — წაილულულდა თავისთვის და  
 თვალზე ცრემლი მოადგა. უკანასკნელ ხანს ეთერი მთლად შეიცვალა, მთელი  
 დღე ფანჯარასთან მოწყენილი იჯდა და გზას ვასცქეროდა.

მობეზრდა ასე ყოფნა. უდარდელად გაზრდილ გოგონას მძიმე ტვირთად  
 დააწვა ოჯახის საქმე. ცოტას ლაპარაკობდა, დუმილს არჩევდა. მიზეზიანობდა.



ხშირად ებუტებოდა გურამს. ეთერს გურამის სიყვარული შეუწედა. პირველი ალტაცება თანდათან გაუქრა და თითქოს იმით უნდოდა თავი დაესაჯა, რომ ოთახიდან აღარ გადიოდა.

რა უდარდელი ცხოვრება ჰქონდა, როგორ გამოიცივალა ყველაფერი!..

გურამის მუღამ დაფიქრებული სახე აღარ იტაცებდა. არც კითხულობდა, არც გასართობად მიყვებოდა საღამე. მძიმე და პირქუში ეჩვენებოდა გურამი.

ბოლოს ყურადღება მიაქცია გურამმა ცოლს. სამუშაოდან დაბრუნებულს ყველაფერში ეხმარებოდა, ეაღვრებოდა, სურდა გაერთო. სადამოობით სტუმრად სიარულს მოუხშირა. ამხანაგებთან და ნათესავებთან დაიარებოდნენ. ეთერს გურამის მზრუნველობა უფრო აბრაზებდა. არ მოსწონდა მისი ნაცნობები, მეგობრები, — „საქმიანი ხალხიაო“ — ფიქრობდა და ბოლოს სულაც შეწყვიტა გურამთან ერთად სიარული.

გურამი ვერ მიმხვდარიყო, რამ შეუცვალა ხასიათი ეთერს.

„იქნებ სჯობს მუშაობა დაიწყოს? — გაიფიქრა და ერთ საღამოს სიტყვა შეაპარა. ეთერი აიძრინა, თავი ჩაღუნა, ხმა არ გაუცია. გურამმა ისევ გაუმეორა ნათქვამი.

— სულაც არ ვაპირებ მახუთით გასვრილ მამაკაცებთან დავდგე და ვიმუშაო, — გაბრაზდა ეთერი.

გურამმა ტუჩზე იკბინა.

არა, ეთერს მუშაობა არ უნდოდა, იგი ოჯახს ვერ შეჩვეოდა, ვერ წარმოედგინა თუ ასეთი მძიმე იქნებოდა ოჯახის ტვირთი. ამან შეაქროთ, შეაძულა ოჯახი. გული დედისკენ მიუწევდა.

„იქ გამიგებენ და შემობრალებენ“, — ფიქრობდა ქალი. გურამს წინააღმდეგობა არ გაუწევია. ეთერი დედასთან გადასახლდა. თვითონაც იქ ათენებდა ღამეს.

დედასთან ყოფნამ მთლად გადარია ქალი. ასმათი სიძის წყევლაში აღამებდა. მყუდრო სივანის მაგივრად ჯოჯოხეთად გადაექცა ეთერს დედასთან ყოფნა.

რამდენი არ ეცადა, მაგრამ დედის გული ვერ მოაღბო.

ეთერი თანდათან უფრო დანაღვლიანდა. დღე დღეს მისდევდა და კვირას კვირა, იგი კვლავინდებურად მოღუშული ხედებოდა ქმარს. უკანასკნელ დროს მთლად შეიცვალა, დედის სიტყვები ყურში უწიოდა: „თუ მაგ ბიჭს თავს არ მიანებებ, მთელ შენს ცხოვრებას ჰაბანწყვეტაში გაატარებო“.

შიში ჩაუძვრა ქალს გულში. ეპვით უტყუროდა მოსიყვარულე ქმარს, ოთახში იკეტებოდა.

გურამს სიამარცე ერიდებოდა, რამდენიმეჯერ შეხვდნენ საღამოს, ილაპარაკეს აქეთურ-იქეთურზე. შევანგირაქემ მიუკბინა-მოუკბინა, უნდოდა სიძისთვის ეთქვა, ცხოვრება არ გესმისო, გამოიყენე შენი მღვთმარებლობა, მაგრამ ვერ გაუზღებდა.

გურამი ატყობდა, დიდხანს ვერ გავრძელებოდა ასე, მაგრამ იტანდა. ეთერი იყო მისთვის ყველაფერი და ისე იქცეოდა, თითქოს ვერ ამჩნევდა სიდედრის ზიზლით აღსავსე გამოხედვას, სიამარვის პირქუშ სახეს. გურამი შეიცვალა, ხალისი დაკარგა, ამხანაგებთან ლაპარაკს გაურბოდა და საქმეს მიეძალა.

გიორგი პირველ ხანებში იმედს არ კარგავდა. საღამო გულის კუნძულში იმედის ნაპერწკალი მაინც უღვივოდა. უშანგის ოჯახში სტუმრობას უხშირა.

ეთერი მასთან მარტო დარჩენას გაურბოდა. გიორგიმ ბევრჯერ სცადა დალაპარაკებოდა ქალს. მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაიმარტოხელა. არა და ეთე-

რის ხელში ჩაგდება ოცნებად გადაექცა. სულ იმაზე ფიქრობდა, მეტოქე როგორ მოეშორებინა. ბოლო დროს შევანგირაძეც გაურბოდა, აღარ ემორჩილებოდა. ძველებურად და ღირეპტორი მიხვდა, უშანგის ველარ ენდობოდა კაცი, შეილსა და სიძეს არ გაიმეტებდა, ეჭვიანობდა, ალბათ ორივენი ერთად მოქმედებენ ჩემს წინააღმდეგო.

გიორგის შევანგირაძეების ოჯახის კარი ფართოდ ჰქონდა გაღებული. ასმათი სიძის ჯიბრზე კარგად ღებულობდა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს გადასაუთებული ღირეპტორი, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, არაფრად ეპიტნავენოდა, ეჯავრებოდა კიდეც.

გიორგიმ შევანგირაძეების ოჯახში მომხდარი ცვლილებები ასმათისაგან შეიტყო. უხაროდა, იმედი მიეცა და ამიტომაც სტუმრობას უხშირა, ისეთ დროს შეარჩევდა ხოლმე, როცა გურამი შინ არ იყო.

ახლაც ჯერ თავის გულისშემატკივართან მივიდა, ასმას დამჰქნარ ხელზე აკოცა და მოიკითხა.

დრო იხელთა, ეთერთან ოთახში შევიდა. ეთერი საწოლზე იჯდა და წიგნს კითხულობდა, პირველად შემოსულს ყურადღება არ მიაქცია. გიორგი მიუახლოვდა, ქალი უსიამოვნოდ შეიმშუშნა, წამოდგა.

გიორგი მიესალმა, გაუღიმა, ხელში აიღო წიგნი და გულმოდგინედ დაუწყო ფურცელს. ლაპარაკი გაუბა. ქალი უგულოდ პასუხობდა. საუბარი არ ხერხდებოდა. ეთერმა სხვა რომ ვეღარაფერი მოისაზრა, ოთახიდან გასვლა დააპირა. გიორგიმ ქალის მკერდს შეავლო თვალი, სისხლი მოაწვა სახეზე, მიიხედ-მოიხედა და რომ დარწმუნდა მარტონი იყვნენ, ქალი მოულოდნელად მიიკრა გულზე. ცალი ხელით თავი გადაუწია და ტუჩებზე დააკვდა. მოულოდნელობისაგან დაბნეული ეთერი ვეღარ ახერხებდა მამაკაცის მარწუხებზე თუ შემოსალტული ხელებიდან თავის დაღწევას. ერთი შეხედვით დიდი ხნის შეყვარებულები ეგონებოდა ადამიანს, ისე იყვნენ გადაქდობილები.

კარი გაიღო, გურამმა თვალებზე ხელი მოისვა, არ დაიჯერა, რომ ეთერი და გიორგი იდგნენ მის წინ. მალე მოვიდა გონს, შეჰყვირა. გიორგი უცებ მოშორდა ქალს, შიშმა აიტანა, ერთ ადგილზე გაშეშებული იდგა და აღარ იცოდა, რა ექნა. ეთერიც გამოერკვა, თვალებიდან ღაპაღუპით წამოცვივდა ცრემლები. — გურამ მიშველე! — შესძახა და ვეუისაკენ გამოქანდა, გურამმა მოახლოებულ ქალს ხელი ჰკრა და თვითონაც წაბარბაცდა. ღირეპტორმა დრო იხელთა და სწრაფად გავარდა გარეთ.

გაოგნებული იდგა გურამი, ბოლოს გასასვლელისაკენ წავიდა და ისე მოშორდა იქაურობას, ქალისთვის აღარ შეუხედავს.

იმ დღის შემდეგ გურამი ეთერთან არ დაბრუნებულა.

#### თავი ოცდამეერთე

შევანგირაძე რეტდასხმული გამოვიდა გარეთ, საიდანღაც მამაკაცის ლანდი გამოძვრა, მკლავზე ხელი წაავლო და ჩასჩურჩულა.

— უშანგი, მე ვარ.

— ჰო, რა გინდა, — დაბნეულმა ვეღარც კი იცნო, ვინ ელაპარაკებოდა.

— გიორგის უნდა შენი ნახვა, გადაუდებელი საქმე აქვს.

— რა გინდათ ჩემგან, ჯანდაბამდის გზა გქონიათ, — იმძლავრა, ხელი გააშეებინა მამაკაცს და უკან მოუხედავად გაქუნშულდა სახლისაკენ. შიშისაგან



სულ მთლად კანკალებდა. კაცის ფერი არ ედო. სულმოუთქმელად აირბინა უბნებში ქოშინი აუვარდა. ეთერის ოთახს მიაღდა, ღრმად ამოისუნთქა და შევიდა. ეთერი საწოლზე მოცუტქულიყო, ჩაფიქრებული ფანჯარას გასცქეროდა.

— ეთერ, გურამი სად არის?

ეთერი დუმდა, მაგრამ მამის ფერშეცვილი, გაოთრებულ და აკანკალებულ სახეს რომ შეხედა, შეკრთა.

— წავიდა, — ძლივს გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა.

— რატომ? — შეეკითხა უშანგი შვილს.

ეთერმა თავი ჩაღუნა, ცრემლები წასკდა.

— მე ვარ დამნაშავე.

— არ მეტყვი, რა მოხდა?

— გიორგის ბრალია, — ქალმა მამას დაწვრილებით უამბო, რაც თავს გადახდა. უშანგიმ თავი ასწია. ეთერს შეხედა და შედრკა.

უშანგი ტახტზე ჩამოჯდა, გაწამებულ შვილს შეხედა, წუთით დაავიწყდა საკუთარი უბედურება.

— მერე რა დროს, — სიმწრით ამოიგმინა — მერე ვინ, ვინ გამიბედა ოჯახის წაბილწვა, შვილის შერცხვენა, — გუგუნებდა უშანგი და სქელი კისერი ხან უწითლდებოდა, ხან კი ისეთნაირად უთეთრდებოდა, თითქოს სისხლისაგან იცლებოდა.

— გურამს ნუ მიატოვებ, შვილო, — ძლივს ამომარცვლა იმედდაკარგულმა.

— ეთერმა გაკვირვებით შეხედა მამას.

— ის აღარ დაბრუნდება ჩემთან, არასოდეს აღარ შემირიგდება, არასოდეს... — ეთერი ლოგინზე პირქვე დაემხო და აქვითინდა.

უშანგი უცებ გამოცოცხლდა, წამოდგა. სწრაფად გავიდა სამზარეულოში, პურის საქრელი დანა პიჯაკის სახელოში ჩამალა და სირბილით დაეშვა დაღმართზე.

— მე ვარ დამნაშავე, საწყალი გოგო, — ბუტბუტებდა თავისთვის. სახლში არავინ დაუხვდა, „ალბათ ფაბრიკაში დარჩაო“, გაიფიქრა და იქითკენ წავიდა.

ფაბრიკის შესასვლელთან გაჩერდა. ფეხებს ველარ ადგამდა. მისთვის უკვე უცხო იყო აქ ყველაფერი, ველარ ბედავდა შესვლას. კართან იცდიდა, „გამოვა და შეეხვდებიო“. გურამი არ გამოსულა; მაინც იცდიდა.

— არა, ყველაფერი უნდა ვუთხრა, ეთერი არაა დამნაშავე.

მოულოდნელად ფაბრიკაში თავშალმობვეული ქალი შევარდა. ვილაყებმა გააჩერეს, რალაც ჰკითხეს, ქალის ხმა ეცნაურა.

„ეთერი უნდა იყოს“, თვითონაც შეჰყვა, ქალი აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა და მალე თვალს მიეფარა.

„ეთერი ხომ არ არის? არა, ეთერი აქ ასეთ დროს არასოდეს მოსულა, რისთვის მოვიდოდა ფაბრიკაში?“

დაზგების შეწყობილი გუგუნე ისმოდა. შენობისკენ გაიხედა, თითქოს აღმიანის კენესა მოესმა, იფიქრა, მომეჩვენაო.

ფეხის ხმა მოესმა, დაინტერესდა და შესახვედრად წავიდა, მოულოდნელად ჩაბნელდა იქაურობა.

— რომელი ხარ? — ჰკითხა უშანგიმ უცნობს. ხმა არავინ გასცა. უშანგი შეჩერდა. „ნეტავი კი ახლა გიორგის თავი ჩამაგდებინა, ოხ, როგორ დავუჩეჩქავავდი თავს“. ბოლმა მოაწვა, თავი ველარ შეიკავა და ლანდს შეეხმიანა.

უცებ თავზე მძიმე რაღაცა დაეცა, წამოიყვირა და გაიშლართა. ვილაცამ ჩაილაპარაკა: ჩაძლდა და აჩქარებული ნაბიჯის ხმა ჩაესმა. აუტანელი ტკივილი იგრძნო, მერე თვალი გაახილა. ფაბრიკის ეზო გაჩირადნებულყო. პირველად თავი სიზმარში ეგონა, ბოლოს ტკივილმა მთლად გამოაფხიზლა, წამოდგა. ცეცხლის ალი მოჩანდა ეზოში. უცებ გაიაზრა, საწყობსა და საბავშვო ბაგას უკიდია ცეცხლიო. ფაბრიკიდან მუშები სწრაფად გამორბოდნენ, თვითონაც ნაბიჯს აუჩქარა, თავი უბრუოდა, მთლად ვერ გამორკვეულებო.

— აბა, ბიჭებო, ცეცხლი ჩავაქროთ, — შესძახა და თვითონ აღმოდებულ ოთახში შეიჭრა. კვამლმა თვალეები ამოწვა, ტირილი მოესმა, მიხვდა ბავშვები იყვნენ. ალაღბედზე ამოპყავდა საწოლებიდან და გარეთ გამოპყავდა.

ის იყო მეორედ შევარდა უშანგი და გივი, ჯონდი და შოთაც ცეცხლის ალში შეიჭრნენ.

როცა უშანგიმ მეორედ გამოიყვანა ბავშვები, სახანძრო დაცვის რაზმი თავის საქმეს შესდგომოდა, სადღაც შორიანლო სასწრაფო დახმარებაც შეამჩნია, პატარა ბავშვი საკაცეზე დაეწვინათ და ფრთხილად შეჭქონდათ მანქანაში. უშანგი ისევ ცეცხლში შევარდა. აღარაფერი მოჩანდა, ცეცხლის ალსა და ბოლში გაეხვია ყველაფერი. ცეცხლი ყოველი მხრიდან უტევედა უშანგის, ბავშვი გულში ჰყავდა ჩახუტებული. მწვავე ტკივილი იგრძნო, ტანზე ეკიდებოდა კეცხლი, მაგრამ თავის თავზე აღარ ფიქრობდა. ბავშვი უნდა გადაერჩინა. გარკვევით ესმოდა შეშინებული ხმები. უნდა დაეძახა, ხმა მიეწვდინა, მაგრამ ძალი ისე ჰქონდა წართმეული, ენას ვეღარ ატრიალებდა პირში. ცეცხლის ალი სახეში სცემდა. ბავშვი კიოდა. ბავშვის ხმა აიძულებდა გადარჩენაზე ეფიქრა. თუ დაიღუპა, ბავშვიც დაიღუპება. არა, უნდა გადაარჩინოს. მხოლოდ ორიოდ ნაბიჯი და დარჩა, ბავშვი ისევ კიოდა, ვილაც თეთრხალათიანი მოეშველა და ბავშვი გამოართვა. უშანგი მესამედ შეტრიალდა ოთახში, მაგრამ ფეხი შედგა თუ არა კიბის საფეხურზე, ცეცხლმოკიდებული კიბე მოინგრა და თვითონაც შიგ ჩაპყვა. უნდოდა ეყვირა, მაგრამ ვერ დაიყვირა. მერე ვილაცებმა ასწიეს. სადღაც წაიყვანეს. უცებ ყველაფერი მიეუჩნა და უშანგიმ ღრმად ამოიოხრა უკანასკნელად...

ის იყო უშანგი სასწრაფო დახმარების მანქანაში შეასვენეს, რომ იქ მყოფთა ყურადღება გულწასულმა ქალმა მიიქცია, რომელიც ფაბრიკის სკვერში ეგდო. სანიტრებმა ქალი საკაცეზე დააწვინეს. ვერავინ იცნო. სახე შემურვოდა, ცალ ლოყაზე სისხლი შესდებოდა, ცნობისმოყვარენი მანქანას მიაწყდნენ, გივიც მივიდა, დაკვირვებით შეათვალიერა გულწასული ქალი.

— ეთერ! — შესძახა და ეზოში შემოსულ რაიკომის მდივანს მივარდა, — ამხანაგო ალექსანდრე, გურამის მეუღლეა უგრძნობლად.

ალექსანდრეს გზა დაუთმეს. იგი ექიმს მიუახლოვდა და ჩუმად ჰკითხა. — ცოცხალია?

ექიმმა თავი დაუქნია, სასწრაფოდ ჩაჯდა მანქანაში, საკაცე ფრთხილად შეატურეს და მანქანაც დაიძრა.

ცეცხლი ჩააქრეს.

შემთხვევის ადგილზე გამოძიებელი ფუსფუსებდა, სურათებს იღებდა, რაღაცას იწერდა.

საწყობში უმნიშვნელო ტყავის მარაგი გადარჩა. მეორე სართულზე ბავშვთა ბაგის ერთერთი ოთახი მთლიანად ჩამოინგრა. ბავშვები გადარჩნენ.

როინიშეილი გამოძიებელს არ მოშორებია. ფერწასული დირექტორიც იმათ დასდევდა.





— გურამი აქ არის? — მოულოდნელად იკითხა როინიშვილმა.  
 — სახლში იქნება, — უბასუხა შორიახლო მდგომმა ჯონდომ.  
 — მანქანაში ჩაჯექი და სასწრაფოდ მოიყვანე! — სთხოვა როინიშვილმა ჯონდოს.

ის იყო გურამი ლოგინში ჩაწვა და კარზე დაუბრახუნეს კიდევ.

— მე ვარ, გურამ!

გურამმა ტანსაცმელი გადაიცვა და ეზოში გამოვარდა.

— არ მეტყვი, რა მოხდა?

— საწყობს ცეცხლი გაუჩნდა, ძლივს ჩააქრეთ.

— რას ამბობ!

ფაბრიკაში შესულს დამწვრის სუნი ეცა. თავზარი დაეცა. მოულოდნელობისაგან შემკრთალმა ეზო მოათვალიერა. შავადშეტრუსული და ნახშირადქცეული სახლის სვეტებიდა იდგა.

ვიღაცამ ეთერი ახსენა, მერე უშანგის სახელიც გაიგონა. რაიკოლის მდივანიც შეამჩნია. ვიღაცას ელაპარაკებოდა. „აღბათ გამოძიებელი იქნება“. გურამი მისკენ წამოსულ რაიკომის მდივანს მიუახლოვდა.

— გურამ, წადი, მიხედე, საავადმყოფოში წაიყვანეს ეთერი, — გურამს თვალთ დაუბნელდა, ის იყო უნდა წაქცეულიყო, ალექსანდრემ შეაშველა ხელი.

საავადმყოფო ფაბრიკიდან ორასიოდ ნაბიჯზე იყო.

— ნახვა არ შეიძლება, მძიმე მდგომარეობაშია, — უთხრა მორიგე ქალმა.

— მხოლოდ თვალს შევავლებ, ექიმო! — ისეთი ხმით სთხოვა გურამმა, ექიმი მოტყდა.

პალატაში ფრთხილად შევიდნენ.

ეთერი არ ჩანდა. მთელი სახე და ხელები მარლით ჰქონდა შეხვეული. გურამმა ვერ იცნო.

— ეს არის, — თავის დაქნევით ანიშნა ექიმმა.

გურამი საწოლზე დაიხარა და მარლაში შეხვეულ ხელს ტუჩები შეაჩო.

— ეთერ, ჩემო სიცოცხლე! — ჩურჩულებდა გურამი.

#### თავი ოცდამეორე

გურამმა მდუმარედ შეაბიჯა გამომძიებლის კაბინეტში. დერეფანში ფაბრიკის რამდენიმე მუშა იცდიდა.

გამომძიებელმა პიჯაკი გაიხადა, სავარძელი მოსწია და ჩაჯდა, გურამსაც ანიშნა, — დაეჯეო.

გამომძიებელმა ფურცელი დაიღო, ვინაობა გამოჰკითხა. გურამი დაწყნარდა. აუღელვებლად პასუხობდა.

— ეთერ შვანგირაძესთან რა დამოკიდებულებაში იყავით?

გურამი გაშრა. არ ელოდა ეთერის ხსენებას.

— ჩემი მეუღლე გახლავთ, არავითარი გაუგებრობა ჩვენს შორის არ ყოფილა.

— უკანასკნელად როდის დაშორდით ერთმეორეს?

გურამმა არ უბასუხა. გამომძიებელმა გაუმეორა კითხვა და გურამი დაკვირვებით შეათვალიერა.

— იმ დღეს სულ არ მინახავს, — თქვა ბოლოს გურამმა.

გამომძიებელმა უჯრა გამოსწია, ქაღალდში შეხვეული შეკვრა ამოიღო და

მზრუნველობით გახსნა. გურამს თვალი არ მოუშორებია მისთვის. გამომძიებელმა ქალადლი მთლიანად შემოაცალა გრძელბირიან დანას და გურამს წინ დაუდო.

— ხომ არ გეცნობათ?

გურამმა დანა შეათვალიერა, „როგორ არ ეცნობა, რამდენჯერ უნახავს, მაგრამ რა უნდა ახლა აქ ამ დანას, რისთვის დევს?“ დაბნეულმა გურამმა გამომძიებელს შეხედა.

— მეცნობა დანა, მაგრამ თქვენთან საიდან მოხვდა, ჩემთვის გაუგებარია. გამომძიებელმა ეჭვით შეხედა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

— გისმენთ, ამხანაგო პროკურორო, გონზე მოვიდა? კარგია, კარგი! — ელაპარაკებოდა გამომძიებელი პროკურორს და თანდათან სახე ეცვლებოდა.

— დაპკითხეთ? რაო რა თქვა? ახლავე დავაკეცებ! ახლავე გავათავისუფლებ, — გამომძიებელმა ყურმილი დადო და წამოდგა.

— მომილოცავს, თქვენნი მეუღლე კარგად გრძნობს თავს, — გურამს ღიმილით გაუწოდა ხელი, — მაპატიეთ რომ შეგაწუხებთ.

გურამი გამომძიებლის ოთახიდან გამოვიდა და საავადმყოფოსაკენ გაეშურა.

ეთერი გონს მოსულიყო. გურამმა ქალის გაყინულ თვალებში სიძულვილი ამოიკითხა. ყურადღება არ მიაქცია. შეეცოდა ქალი.

— როგორ მოხვდი ფაბრიკაში? — ჰკითხა ჩურჩულით. ეთერი არ განძრეულა. გურამი წამოდგა. ეთერს დაკვირვებით დახედა.

— გამშორდი, ყველაფერი გათავებულია. — ძლივსძლივობით მარცვლავდა ეთერი სიტყვებს — შენი ბრალია ყველაფერი. ვაი, საწყალი მშობლები... — ამოიკენესა ქალმა და აქვითინდა.

— ეთერ, მაპატიე, ეთერ... — ემუდარებოდა გურამი და მის ხელებს ეალერსებოდა.

—სიკვდილის მეტი აღარაფერი მინდა, აღარ მიყვარხარ, აღარ... ხომ გაიგე? გურამი, კრიჭაშვიკი უყურებდა ქალს და ყურებს არ უჯერებდა. ეთერმა თვალები დახუჭა და გვერდი იცვალა.

თავჩაქინდრულმა გურამმა პალატა გაიარა და გარეთ გამოვიდა. ღამე თეთრად გაათენა. თავს ინუგეშებდა, აღელვებულია და ასე მკაცრად ალბათ იმიტომ მომექცაო. მეორე დღეს ხილი და ბარათი შეუგზავნა. დიდხანს იცადა, პასუხს ელოდა, მაგრამ უშედეგოდ.

ეთერი დუმდა. მეტის მოთმენა ველარ შესძლო. უფროს ექიმთან ნებართვის მისაღებად შევიდა. ღიმილით შემოხვდა მაღალი, შავგვრემანი მამაკაცი.

— თქვენი მეუღლე ვადარჩა. წარმოიდგინეთ იმედი არ მქონდა და აქაც კარგად წავიდა საქმე, — ტუჩები გურამს ყურთან მიუტანა და ჩასჩურჩულა.

— პა, რას ამბობთ!

— დიას, მალე შვილი გეყოლებათ, ორ დღეში გამოვწერთ საავადმყოფოდან.

გურამს ექიმისათვის აღარ მოუცდია, დერეფანში გამოვარდა და პალატას მიაშურა.

ეთერი საწოლზე წამომჯდარიყო. გურამი რომ დაინახა, შეკრთა, მაგრამ თავი შეიკავა.

— ეთერ, როგორა ხარ?

— არა მიშავს რა.

— ექიმმა მითხრა — ორ დღეში გავწერო, წასაყვანად მე მოვალ.

— ნუ შეწუხდები, მე დედასთან გადავალ.

— ეთერ, ნუთუ სამუდამოდ გამიმეტე?

— ჩემს გულში მხოლოდ სიცილია, ბოროტმა ადამიანებმა ყველა სა-  
თუთი გრძნობა ამომგლიჯეს. ნულარაფერს მკითხავ, ნურც ნულარაფერს მეტყვი-  
კმარა... კარგად იყავი...

— ეთერ!

— სსუ...

— ეთერ, რას ამბობ!

— კმარა, ყველაფერი გათავდა...

... გამოძიება მალე დამთავრდა.

მუშები ღელავდნენ, მოუთმენლად ელოდნენ სასამართლოს დაწყებას.

მთავარი მსჯელობის დღე, მუქყავისფერ სკამებზე მოსამართლენი  
ისხდნენ. ცოტა მოშორებით დირექტორის გაყვითლებული სახე, ჩია ბულა-  
ტრისა და საწყობის გამვის აწოწილი ტანი მოჩანდა. თავებჩაღუნულები ისხ-  
დნენ.

მარცხნივ, პატარა მაგიდასთან სრულიად ახალგაზრდა მამაკაცი იდგა და  
პატივებს გულდასმით ათვალევდა. ქალღმერთებს რაღაცეებს ინიშნავდა,  
ფურცლავდა, მერე დარბაზს მოავლო თვალი. ეს სახელმწიფო ბრალმდებელი  
იყო. ადვოკატებს წინ უშველბული ხელჩანთები დაეწყით და პატივებს რა-  
ღაცას ეჩურჩულებოდნენ.

სასამართლო პროცესი ფაბრიკის კლუბში მიმდინარეობდა.

— ბრალდებული ვასო უმადურიძე! — მიმართა ბრალმდებელმა უმადუ-  
რიძეს, — მოახსენეთ სასამართლოს, რისთვის დაადექით ბოროტმოქმედების  
გზას?

უმადურიძე ღუმიჯა. დარბაზში მოუთმენლად ელოდნენ, რას იტყობდნენ უმა-  
დურიძე.

— იქნებ აგვიხსნათ, რისთვის წაუკიდეთ საწყობს ცეცხლი? ბულატრული  
საბუთების მიხედვით მიმდინარე წლის ოქტომბერში მიღებული გაქვთ ზუთი  
ათასი დეცი ფეხსაცმლის საპირე, მიღებაზე ხელს აწერთ, შემოსავალში კი არ  
გაგიტარებიათ, რით ახსნით ამ მდგომარეობას?

— საპირე არ მიმიღია, შეანგირაძემ მარტო ხელი მომწერინა საქონლის  
მიღებაზე, ტყავი კი თვალთაც არ მინახავს, — ძლივს გასაგონად ისმოდა  
უმადურიძის პასუხი.

— აუ ნებას მომცემთ, ფაბრიკის ყოფილ ბულატრებს მინდა ამ საქმეს-  
თან დაკავშირებით შევეკითხო! — მიუბრუნდა პროკურორი მოსამართლეს.

ბულატერი წამოდგა. ისედაც მიღებული ტანი, უფრო დაჩიავებოდა.

— 15 ოქტომბერს შეანგირაძემ ჩამოაწერეთ იმავე რაოდენობის ტყავი,  
რაც უმადურიძეს არ გაუტარებია. რისთვის დაგჭირდათ ასეთი ოპერაცია?

— ბატონო პროკურორო, მე თავიდანვე სიმართლე გითხარით, არაფერი  
არ დამიბრუნებია, მინდა თქვენს წინაშე ახლაც გულწრფელი ვიყო. აქ რაღაც  
გაუგებრობას აქვს ადგილი: ალბათ, უმადურიძემ გასავლის ფაქტურა დაკარგა,  
თორემ რომელი ჰქუათმყოფელი ადამიანი ჩაიდენდა ამგვარ რამეს.

— მოწმე ოქრობირიძე! — გაისმა მოსამართლის ხმა. სასამართლოს წინა-  
შე წ. ჩსდგა დაბალი ტანის ჰარმაგი მამაკაცი.

— მოახსენეთ სასამართლოს, რა იცით საქმის შესახებ?

— იმ დამეს საწყობის გამგე შემომიჩნდა, გინდა თუ არა ღვინოზე უნდა  
დაეკატეოვო. ბევრი ვიუარე, მაგრამ ვერაფერა კაცმა მინც თავისი გაიტანა და



გზას ვადამაცდინა. ჰოდა, მეც ასე დაემართა. შევთვევით. მერე მანქანა დაქვეითდა და ეზოდან გააქროლა. კარი ეტყობა წინასწარ გაეღოთ, სანამ გონს მოვიდრიდი, ის უკვე შორს იყო. სიმართლე ვითხრათ, მთვრალი ვიყავი და ვერაფერი ვიქვი. გავიფიქრე, სამსახურიდან გამაგდებენ-მეთქი, ჩემი თავისა რა მოგახსენათ და ცოლშვილი შემეცოდა. ჰოდა, იქნებ სულაც არაფერი მეთქვა, უმადური იქი თვითონ რომ არ მოსულყო და ფული არ მოეტანა. „შენაო, კაცური სამსახური არ დაგეკარგებაო“, და ფული გადმომცა. მაშინვე ჩივხვდი, ცუდ საქმეში ვიყავი გარეული, ჰოდა, მეც არც ვატიე და არც ვაცხელე, მაშინვე გამოძიებულთან გამოვცხადდი.

— რას იტყვით, ბრალდებულ უმადური იქი? მანქანით რა გაიტანე?

საწყობის გამგე ხმას არ იღებდა, გაჩუმებული ერთ წერტილს მისჩერებოდა.

— სთხოვეთ მოწმე ცეცხლადქს!

— სად მუშაობთ?

— ბენზინს ვყიდი.

— იცნობთ თუ არა თქვენ, ამ ბრალდებულებიდან რომელია ჩქს?

— ვიცნობ.

— რომელს?

— აი იმ მაღალს, ვანოს ეძახიან.

— როდის ნახეთ უკანასკნელად იგი და სად?

— ოქტომბრის ბოლო რიცხვი იყო, ჩემთან მოვიდა. დიდი კასრი მოიტანა და მთხოვა, ბენზინი მიმეყიდა. როგორ დაეუქვრდი, მივეყიდე.

— თქვენთან ალბათ ბევრი მყიდველი მოდის, რისთვის დაგამახსოვრდათ მაინც და მაინც მაგის სახე?

— ერთმა ამბავმა დამაეჭვა, მთხოვა, თუ კაცი ხარ, სადამოს მოვალ და აქ დამხვდით.

— მერე თქვენ დაუხვდით?

— ღამის თორმეტ საათზე მოვიდა, მანამდის ველოდებოდი.

— კი მაგრამ, რატომ დაელოდეთ, თქვენ ხომ მუშაობას უფრო ადრე ამთავრებთ?

— ფულს შემპირდა.

— მოგცა?

— ასი მანეთი მაჩუქა.

— კასრს იცნობთ თუ არა.

— ვიცნობ. რკინის ორფუთიანი კასრია, რკინის ხრახნებიანი, შუა წელზე მუშტის ოდენა ადგილი ჩაჰყულებილი აქვს.

— სასამართლოს ვთხოვ, მოწმეს წარმოუდგინოს კასრი, რომელიც ნივთ-ჩტიცებად ერთვის საქმეს, — იშუამდგომლა პროკურორმა.

კასრი სასამართლო დარბაზში შემოიტანეს.

— სწორედ ეს გახლავთ, — მაშინვე იცნო კასრი ცეცხლადქმ.

— ბრალდებულ უმადური იქი, ეს კასრი საწყობის გვერდით ნახეს, რატომ მიიტანეთ კასრი საწყობთან?

ვასოს კასრისთვის არ შეუხვდავს. ჩუმად იღვა და პასუხის გაცემას არ აპირებდა.

— დიდებულები, ხომ არ გეცნობათ ეს რკინა?

— მე თავიდანვე განვაცხადე, რომ მაგ რკინასთან არაფერი საერთო არ მქონია. როცა საწყობს ცეცხლი გაუჩნდა, მე სახლში ვიყავი და მხოლოდ მას



შემდეგ მოვედი ფაბრიკაში, როცა ტელეფონით შემატყობინეს.

— ეს რკინა იპოვეს შემთხვევის ადგილზე. ექსპერტიზამ შეამოწმა და დაადგინა, რომ რკინაზე აღმოჩენილი სისხლი ეკუთვნის აწ განსვენებულ შვანგირაძეს. ამავე დროს რკინაზე აღმოჩნდა თქვენი ორივე ხელის თითების კვალი. დადგენილია, რომ ამ რკინით თქვენ თავი გაუბეთ შვანგირაძეს. რას იტყვით?

- მე არასოდეს არ მქონია ასეთი განზრახვა.
- მოახსენეთ სასამართლოს, ვინ შეგატყობინათ ხანძრის შესახებ?
- ტელეფონში ხმა ვერ ვიცანი, არც თვითონ უთქვამს, ვინ იყო.

— თქვენ უჩვენებთ, რომ შემთხვევის ღამეს ფაბრიკიდან არ გასულხართ და ბულალტრულ საბუთებს ასწორებდით. ადასტურებთ თუ არა თქვენს მიერ მიცემულ ჩვენებას? — პროკურორი ახლა ბულალტერს მიუბრუნდა.

— ვადასტურებ. დირექტორმა მიბრძანა საწყობი შემემოწმებინა. საწყობის გამგე და დიდებულიძე ხანძრის დაწყებამდე არ მომშორებია.

- ახლა რას იტყვით, ბრალდებულო დიდებულიძე?
- რა მეთქმის, მოწყობილი ამბავია, გაირკვევა ყველაფერი.

— თუკი ნამდვილად საბულალტრო საბუთებს ამოწმებდით, რისთვის არ დაისწარით შვანგირაძე? — მიუბრუნდა პროკურორი ყოფილ ბულალტერს.

— უმადურიძემ მითხრა, მაგ, მამაძალს ვთხოვე ფაბრიკაში დარჩენილიყო და ახლოც აღარ მომეკარაო.

- მოწმე თავართქილაძე! — გაისმა ისევ მოსამართლის ხმა.
- სასამართლოს წელში მოხრილი მოხუცი წარუდგა.

— რაზე დაგკითხეს წინასწარ გამოძიების დროს, თუ გახსოვთ, მოქალაქე თავართქილაძე?

— როგორ არ მახსოვს. ნეტავი ის დღე არ გამთენებოდა. ამ ხნის კაცი ვარ და ჯერ პროკურატურისა და სასამართლოს კარზე არა ვყოფილვარ. ერთ საღამოს ეს ვაქბატონი, — თავით ვასოზე აჩენა, — ჩემთან მოვიდა, ძმის-შვილი გახლავთ. მანქანა მომაყენა კარზე და მთხოვა; ძია შიო, ფაბრიკა დაკეტულია და ამ საღამოს ეს ტყავი თქვენთან შემინახეო. რას მოვიფიქრებდი თუ ამ დროულ კაცს ისე გამიმეტებდა, რომ თავის მამაძალტურ საქმეში გამრევდა, არაფერი ვიცოდი, სანამ გამომძიებელი არ მოვიდა და ტყავები არ წამოიღეს ჩემგან, სიმართლე არ დამიმალია, ყველაფერი სწორედ ვუთხარი გამომძიებელს. თუ სინდისის რაიმე ნატამალი შერჩა ამ უნამუსოს, სიმართლეს იტყვის, მე არაფერ შუაში ვარ.

- დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა.
- მოსამართლემ სიწყნარისაკენ მოუწოდა დარბაზში მსხდომთ.
- მოწმე შვანგირაძე!

ეთერი დარბაზში თავჩალუნული შემოვიდა. არავისთვის შეუხედავს. სისუსტისაგან ფეხზე ძლივს იდგა. გურამი წინა რიგში იჯდა.

— დიდი ხანია იცნობთ ამათ? — პროკურორმა ბრალდებულებს გადახედა.

- დიდი ხანია.
- რა დამოკიდებულება ჰქონდათ თქვენს ოჯახთან.
- ხშირად იყრდნენ თავს, თუმცა თავიდანვე მიეხვედი, არცერთი არ იყო წმინდა ადამიანი.

— როგორ მიხვედით ამ დასკვნამდე?



— მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. მე ვიცოდი, რომ გურამ საჩაღელის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდნენ. არ მოსწონდათ, ფაბრიკიდან მისი მოშორება უნდოდათ.

— ამის შესახებ თუ ვითქვამთ რაიმე თქვენი მეუღლისათვის?

— არა. მეშინოდა, ცუდი არაფერი მომხდარიყო.

— მაინც რაში გამოიხატებოდა მათი გურამისადმი სიძულვილი?

— ეჭვი ჰქონდათ — გურამს დირექტორობა უნდაო.

— კიდე?

ეთერი შეყოყმანდა.

— დირექტორს ჩემი ცოლობა სურდა, მე მეზიზღებოდა, გავურბოდი. მაინც არ მასვენებდა.

— რისთვის მიხვედით ფაბრიკაში?

— იმ საღამოს მამაჩემი ძალზე აღელვებული მომეჩვენა. გურამი მოიკითხა, — ეთერი შეჩერდა, ლაპარაკი უჭირდა. ჩემი მეუღლე სახლიდან იყო წასული, ძალზე იწყინა, მიზეზი მკითხა და მეც არ დამიმაღავს.

— რატომ წავიდა მეუღლე სახლიდან?

— მაგას ნუ მკითხავთ, — ეს ისეთი ხმით თქვა ეთერმა, რომ მოსამართლემ კითხვა აღარ გაუმერა.

— მამაჩემი სახლიდან აღელვებული გავიდა, ვიფიქრე, არავის არაფერი აუტეხოს-მეთქი, გამოვეკიდე. მინდოდა სახლში დამებრუნებინა.

— მამათქვენი რისთვის წავიდა ფაბრიკაში?

— მამას გურამის სახლიდან წასვლა ეწყინა, თანაც დირექტორზე იყო გაბრაზებული. იმის სანახავად წამოვიდა, მერე რა მოხდა, აღარაფერი ვიცი.

— ეს დანა ხომ არ გეცნობათ? — მოსამართლემ გრძელპირიანი დანა შეანგირაძეს აჩვენა.

— გეცნობა. სამზარეულოდან სწორედ იმ საღამოს გაქრა, როცა ეს უბედურება მოხდა.

— გთხოვთ დამიდასტუროთ, რომ საქმეზე დართული დანა იმ ადგილას იქნა ნაპოვნი, სადაც შეანგირაძე მოსაკლავად გაიმეტეს, — სთხოვა პროკურორმა მოსამართლეს.

— გიდასტურებთ, — წარმოთქვა მოსამართლემ და ეთერის დაკითხვა განაგრძო.

— ხომ არ გახსოვთ, ვინ შემოგხვდათ ფაბრიკის ეზოში ხანძრის გაჩენამდე?

— არა. ხანძარი სულაც არ მახსოვს. მე მხოლოდ ბუნდოვნად მაგონდება, ვიღაც მაღალმა კაცმა ხელები დამიჭირა, მე გავუძლიანდი, არ მეშვებოდა, ომებში ვწვდი ხელით და საშინლად შევკვილე. მეტი არაფერი მაგონდება.

— სასამართლოს ვთხოვ, გამოაქვეყნოს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა.

— სასამართლო აქვეყნებს ექსპერტიზის დასკვნას, — გაისმა მოსამართლის ხმა და დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— საქსპერტიზოდ წარმოდგენილი შავად შეღებილი თმები ედრება დიდებულის თმებს. ფერით, საღებავით და იმ ფორებით, რომელიც თმის იძულებითი ამოვლეჯის შედეგად შერჩა დაზარალებულ შეანგირაძეს ხელში, სამედიცინო ექსპერტიზა ასკვნის... — დიდხანს ისმოდა მოსამართლის აულელებელი ხმა.

— წურბელები, კაცის მკვლელები, — გაისმა დარბაზში...

სასამართლო-სამსჯავრო გამოძიება დამთავრდა.



პროკურორმა დიდხანს ილაპარაკა გადაგვარებულ, დრომოქმულ ადამიანებზე, მკაცრი იყო მისი სიტყვა და ტყვიასავით მძიმე.

სასამართლო სათათბიროდ გავიდა. დიდხანს ელოდნენ, სანამ სასამართლო განაჩენს გამოიტანდა.

— ფაბრიკის ყოფილ დირექტორს, ბულაღტერს, — გაისმა მოსამართლის მტკიცე ვაჟკაციური ხმა — ფაბრიკის საწყობის გამგეს, ჩადენილი აქვთ მძიმე ბოროტმოქმედება, რაც გამოიხატება სახელმწიფო ქონების დიდი რაოდენობით მითვისებაში. იმ მიზნით, რომ კვალი დაეფარათ, ცეცხლი წაუქიდეს საწყობს, საბავშვო ბაგას, რის შედეგად სახალხო ქონება დაიწვა, მსხვერპლად 'სევერია... ყოველივე აღნიშნულის გამო მიესაჯათ...

დარბაზში ტაშმა იგრიალა.

გურამი ჩაფიქრებული მიაბიჯებდა. როგორ შევიდა 'ოთახში, არ გაუგია, ტანგაუხდელი მიწვა საწოლზე. კარზე ფრთხილი კაკუნი მოესმა, წამოდგა, კარი გამოაღო, ფოსტალიონმა კონვერტი გადააწოდა.

გურამმა კონვერტი ფრთხილად გახსნა და ფურცელი ამოიღო.

„არ გამტყუნებ. შენი სიყვარულისათვის არ მიღალატია. რაც მოხდა, იმას ვერ წაშლი. უკან დაბრუნება შეუძლებელია. მიგდივარ, მაგრამ თვითონაც არ ვიცი, სად? ნახვამდის, ნახვამდის...“

ეს იყო და ეს, გურამმა ეთერისა ვედარაფერი შეიტყო.

#### თავი ოცდამეხუთე

გურამი გულაღმა იწვა და თვალები ჭერისთვის მიეპყრო. მეზობლის ოთახიდან როიალის შეწყობილი ხმა ისმოდა. ეს ხმა ყოველთვის სევდას გვრიდა გურამს, ეთერი ახსენდებოდა. სევდიანი თვალები ჰქონდა მუდამ ეთერს.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ეთერი აღარ უნახავს. ასე ეგონა, საუკუნე გავიდა, ცდა არ დაუკლია, ეძება კიდევაც, მაგრამ ამოაღ.

ახლადმიღებულ ოროთახიან ბინაში თავის მარტოობას უფრო მძაფრად განიცდიდა.

ზაფხულობით შევებულებას სოფელში ატარებდა. მშობლებმა გურამს ახლადამენებულ სახლში ერთი ოთახი დაუთმეს. შენობა რეხულას გადასცქეროდა. უყვარდა გურამს ღამით ღია ფანჯარასთან ჯდომა. მორაკრაკებდა რეხულა და თითქოს ბავშვობაზე ესაუბრებოდა. მთისკენ მიმავალი კაბუეტის ტყლაშუნი თუ შეაწყვეტინებდა ფიქრს.

თენგიზი სოფლის აგრონომად დანიშნეს, ცოლი შეირთო და ერთი წლის შვილიშვილი არჩილისა და ნატოს იმედად ქცეულიყო.

— იქნებ მეც ბედნიერი ვყოფილიყავი, აი აქ, მშობლებთან ერთად რომ მეცხოვრა? — სადღაც გულის კუნჭულში სინანულმა გაკენწლა.

იჯდა გურამი და ფიქრობდა, მის წინ ელვის სისწრაფით გაიქროლეს ბავშვობის წლებმა, სოფლის მოგონებებმა, ღამით განცდილმა შიშმა, ცხოვრების პირველმა ნაბიჯებმა. თვალწინ ხან მამა უდგებოდა, გაღიმებული, შუბლშეკრული, მაგრამ ყოველთვის მოსიყვარულე, ხან მოსიკას კეთილი სახე. ის ცელიც გახსენდა, საჩუქრად რომ მიიღო.

მაგრამ გურამის გულს აღარაფერი ახალისებდა. უხალისოდ შესცქეროდა ფართოთავიანი ბინას და მტკრით დაფარულ ნივთებს.



ფაბრიკაში ყველაფერი ავიწყდებოდა, ეთერიც კი. ამ ოთახში შემოდგამდა თუ არა ფეხს, მარტოობა ეუფლებოდა. ბევრს ეცადა, მაგრამ ამაოდ. ფიქრებს თავი ვერ დააღწია; უჩინარი და თავდამძიმებული მიდიოდა ფაბრიკაში.

ამ დილითაც ადრე ადგა, გაცხელებული შუბლი ცივი წყლით გაიგრილა და ფაბრიკისაკენ ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

ეზოში გივი ივანისელს შეხვდა რამდენიმე ხნის წინ. გივი პარტორგანიზაციის მდივნად აირჩიეს.

გივიმ გურამს ხელი მკლავში გაუყარა და ადმინისტრაციის შენობისაკენ წაიყვანა.

— მითხარი, რა ამბავია? — ველარ მოითმინა გურამმა.

— გუშინ დღის ბოლოს გორკის ფეხსაცმელების ფაბრიკის მოწვევა მივიღეთ, როგორც მთავარ ინჟინერს. შენც მოგიწევს წასვლა.

უხმოდ გაიარეს დერეფანი და დირექტორის კაბინეტში შევიდნენ.

მარიამიძე მხიარულად შეეგება, სკამები გაუწოდა და ხელები გაშალა.

— კარგია გამოცდილების გზიარების მიზნით წასვლა, სამწუხაროა, რამე ასეთი შორი გზის გავლა აღარ შემიძლია. ჩემი გული ველარ აიტანს, თქვენ კი, რამდენი ახალი ამბებუ გელით...

გივის სიხარულით სახე გადაებადრა, მიხვდა „თქვენში“ დირექტორი მასაც გულისხმობდა.

— შორს წასულან. — დაიწყო ისევ დირექტორმა, — ფაბრიკა ყოველწლიურად გეგმას გადაკარბებით ასრულებს. არ დაგავიწყდეთ, რომ ყოველ საამქროში კომუნისტური შრომის ბრიგადები მუშაობენ, ერთი სიტყვით, მათთან შეჯიბრება იოლი საქმე არ არის.

— გამოწვევა რომ უნდა მივიღოთ, ამას რაღა ლაპარაკი უნდა, დღესვე უნდა შევეუდგეთ საქმეს, ჩემის აზრით, დღეგაცაიაც ახლავე უნდა შევადგინოთ და გორკში გავაგზავნოთ, — წამოაყენა გივიმ წინადადება.

დირექტორს საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს.

შუადღისას ყველაზე დიდ საამქროში ფაბრიკის მუშათა კრება მოიწვიეს. გორკელი მუშების მოწოდება გივიმ წაიკითხა.

დღეგაციის ხელმძღვანელად გურამი დანიშნეს.

### თავი ოცდამეოთხე

მატარებელი გორკის სადგურში შუადღისას ჩავიდა. გაზაფხული ახალი დამდგარი იყო და სიცივის სუსხი ჯერ კიდევ იგრძნობოდა.

გორკის ფეხსაცმელების ფაბრიკის წარმომადგენლები დიდი სიხარულით შეეგებნენ, პური და მარილი, რუსული ჩვეულების მიხედვით სტუმრებს მიართვეს და სახელდახელოდ პატარა მიტინგიც გაიმართა.

ჩასული დღეგაციის წევრები მასპინძლებს უკვე დაეთითობინათ და მხიარული სიცილ-კისკისი იდგა. გორკის ფეხსაცმელების ფაბრიკის დირექტორმა, მწითურმა კაცმა, რომელსაც ვლადისლავს ეძახდნენ, მოკლე გულთბილი მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა. საპასუხოდ გურამი გამოვიდა, გულწრფელი სიხარულით მიულოცა გორკელებს დიდი გამარჯვება და მთავარი ინჟინრის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოება.

— ეს საამქროს უფროსია, — მიუთითეს ზორბა ყმაწვილ კაცზე.

— ეს პარტორგანიზაციის მდივანი, — აცნობდა ფაბრიკის დირექტორი თანამშრომლებს. სადგურიდან გამოვიდნენ თუ არა, მანქანაში ჩასდნენ და



დირექტორმა მაშინვე მთავარ ინჟინერზე ჩამოუგდო საუბარი.

— აი ქალი, ქალი კი არა ცეცხლია. უფროხილდი. ახლა მოსკოვშია, ხვალ ჩამოვა, ოღონდაც ერთი დიდი ნაკლი აქვს.

გურამმა დირექტორს ცნობისმოყვარე თვალებით შეხედა.

— მიუჯარებელია, ვერავინ ვერაფერს უბედავს. სამი წელია ამ ფაბრიკაში მუშაობს და მხოლოდ წიგნებში აქვს თავი ჩარგული. მერე როგორ უყვარს ბავშვი, ისეთი ბუთხუზა ბიჭი ჰყავს...

გურამს უკვე აღარ ესმოდა, რას ელაპარაკებოდა დირექტორი. ფიქრებში წასულს წინ ეთერის სახე დაუდგა.

„რატომ უნდოდა ამ უცნობი ინჟინრის ნახვა? რატომ?“ — ეკითხებოდა იგი თავის თავს.

ფაბრიკასთან სამასამდე მუშა გამოეგებათ. დირექტორი წინ გამოვიდა და საბოლოო სიტყვა თქვა.

გურამი ლაპარაკის ხასიათზე არ იყო, დირექტორთან საუბრის შემდეგ უხასიათოდ ვახდა, მაგრამ რამდენიმე ხელმა სახელდახელოდ გამართული ტრიბუნისაკენ უბიძგა. წყნარად ლაპარაკობდა, დამსწრეთ თავიანთ მიღწევებზე მოუთხრო, ფაბრიკაში ჩამორჩენილები აღარ გვყავსო, მუშები ზოგნი ათწლეულში, ზოგნი უმალღესში სწავლობენო. დღეისათვის ფაბრიკაში შეიდი ბრიგადიდან სამი კომუნისტური შრომის ბრიგადააო.

საზეიმო შეხვედრა დამთავრდა, სტუმრებმა ფაბრიკას მიაშურეს. გულდასმით ათვალეირებდნენ დაზგებს, პროდუქციას. საგულდაგულოდ იყო იქაურობა მოწყობილი. ყველაფერი იტაცებდა ადამიანის თვალს. კმაყოფილი დაბრუნდნენ სასტუმროში.

სალამოთი ვახშამზე მიიწვიეს, გურამმა თავის ტკივილი მოიმიზეზა, სასტუმროდან ფეხი არსად გაუდგამს. ელექტრონის დილაკს დააპირა თითი. კარი გაიღო და ცისფერთვალემა ხუჭუჭთმიანი გოგონა შემოვიდა.

— რას მიბრძანებთ?

გურამმა დაკვირვებით შეხედა მოხდენილი ტანის გოგონას, გაუღიმა. ქალმა თავი დახარა და მამაკაცს თვალი მოარიდა.

— მამატიეთ, შემდეგ შეგაწუხებთ, — მოიბოდიშა გურამმა.

გოგონამ თავი ასწია და ცისფერი თვალეები ერთხელ კიდევ შეანათა გურამს... თავი მოხდენილად დაუქრა და უხმოდ გავიდა ოთახიდან.

გვიან დაეძინა, ბუნდოვნად ესმოდა თუ როგორ დაბრუნდნენ მეგობრები, როგორ ჩურჩულებდნენ ერთიმეორეში, ერიდებოდნენ.

კარგი დილა გათენდა. აღმოსავლეთით მეწამულ ცაზე მზე ბრწყინავდა. გურამი აღარაფერზე ფიქრობდა, ფანჯრიდან იყურებოდა და გული სიამით ეცებოდა. სანახაობამ ააღელვა და მოხიბლა. მალე სხეებმაც წამოყვეს ლოგინიდან თავები.

საუზმის შემდეგ გაისეირნეს. მთელი ქალაქი შემოიარეს. ყველაზე უფრო საავტომობილო ქარხანა მოეწონათ. ღრმა შთაბეჭდილებით დაბრუნდნენ სასტუმროში.

გურამს ახალა მოავონდა, რომ მოსკოვის მატარებელი ერთ საათში შემოვიდოდა სადგურში. გვიის უთხრა, ფაბრიკის მუშები დაუხვდებიან თავიანთ ინჟინერს, ცუდივ არ იქნება თუ ჩვენც დავესწრებით მათ ზეიმსო. მით უმეტეს, ვლადისლავმა გუშინვე გამაფრთხილაო.

გურამს გზაში ისევ თავის ტკივილმა მოუარა. რატომ ღელავს? ბოლოს და

ბოლოს, არცკი იცნობს იმ ქალს. რატომ განიცდის ასე ძლიერ მასთან შეხვედრას? გურამი ჩაფიქრებული იდგა. გვერდზე მოიხედა. ვლადისლავის მხიარული ღიმილი და გამოწვდილი ხელი დაინახა. მის მსხვილსა და ფაფუკ ხელს ხელი შეაგება.

მატარებელი ჩამოდგა. ვაგონებიდან პირველი მგზავრები გადმოვიდნენ. დამხვდურები სიხარულს ვეღარ მალავდნენ. ხალხი მოზღვავედა. გურამი ხალხმა თავისიანებს დააშორა. კედელთან დადგა. ვაგონიდან ქალი გადმოვიდა, თან პატარა ხუჭუჭთმინი ბიჭუნა ჩამოჰყვა, რომელიც გაკვირვებული შესცქეროდა ყველას. შეჯგუფებული ხალხი გურამისაკენ გამოემართა. ლამაზი სახის მალაღლი ქალი დირექტორს მოსდევდა, დედის ხელს ბიჭუნა ჩაბლაუჭებოდა. ქალი მხიარულად ჰყვებოდა რაღაც ამბავს. აგერ დაიძრა გივი, მას ილიკო და სხვებიც მიჰყვნენ. სათითაოდ ართმევდნენ ხელს ინჟინერს. ქალის ხმა გარკვევით ჩაესმა გურამს. რა საოცრად ჰგავს ეთერს, მაგრამ არა, ეს ქალი თითქმის უფრო მალაღლია. ქალმა თვალი მიაღწო ბაქანს. ერთ წამს მათი მზერა ერთმეორეს შეხვდა.

გურამმა თვალებზე ხელი მოისვა, არა, ეთერი არსად იყო. რამ გააოგნა ასე? აღარ იცოდა რა მოემოქმედა და ერთ ადგილზე გაუნძრევლად იდგა.



## ნალი გუბრიჩიძე

მანქანებს ხატავენ პატარა ბიჭები,  
რალაც მანქანებს,  
ფრთამოტეხილი თოლიების  
მსგავსებს ხატავენ.  
შემდეგ გარბიან სწორედ იქით, საითაც ქარი  
მიერეკება ჩამოყრილ ფოთლებს.  
პატარა ბიჭებს მანქანების დარდი აქვთ მხოლოდ,  
სპილოების და აქლემების მსგავსებს ხატავენ,  
სიზმარში ესმით გრიალი და  
გუგუნი მათი...  
და ზის საჭესთან პაწაწინა ელამი ბიჭი...

### დათვი

დათვები იცისო,  
ამბობენ, დათვები იცისო  
ხეიძის ტყეში.  
საყვარელ ტყეში დათვის ნახვაც  
გამეხარდება.  
ისე ვენდობი ხეიძის ტყეს,  
ისე ვენდობი,  
და ისე მიყვარს მისი წაბლები,  
რომ, მე მგონია  
ამ ტყეებში დათვი რომ შემხვდეს,  
მართლა რომ შემხვდეს წაბლისფერი  
ბაჯბაჯა დათვი,  
ის შეჩერდება  
მოკრძალებით დადინჯებული,  
გვერდზე გადგება, შემომხედავს  
და თავს დამიხრის,  
როგორც ვაჟკაცი თავის სატრფოს  
თავს დაუხრიდა,  
შემდეგ სინაზით სავსე თვალებს  
გამომაყოლებს...  
დათვი რომ შემხვდეს  
ხეიძის ტყეში.



ბიჭი ძნელად

ჯოჯო

— აბა ჰე! თითოც დავლიოთ და... დრო არის უკვე! — თქვა თამადაძე, — გაუმარჯოს ამ ოჯახს! (ახედა ჭერს), ჩვენს ოჯახებსაც! (გადახედა ხალხს). ყველას გაგვიმარჯოს, ყველამ ვიცოცხლოთ! მგზავრობას გაუმარჯოს! შეხვედრებს გაუმარჯოს! იბედნიერეთ და იჯამრთელეთ! აბა, ჰე! ერთად! ერთხმად! — გადასწია თავი და დაამხო ჭიქა.

ეზოში ერთმანეთს ვეხვევით და ვკოცნით...

- აბა, წერილი!
- მალ-მალე ჩამოდი!
- ჭკუით იმგზავრე!
- ამ წელიწადს არ გადააცილო, შენი ჭირიმე!
- თუ ჩვენი სიცოცხლე გინდა, — მოგვასწარი, იცოდე!

ჭაღარა ქალს თავი ჩაუღუნავს და თვალში ცრემლი უბრწყინავს.

ეზოში ირევინა: ქათმები, ბატები, იხვები.

კაკლის ქვეშ, ურემზე სველი ფოთლები ჰყრია.

მაღალი ხარები ზვინის ქვეშ დგანან და შეყვითლებულ ჩალას ძურწავენ თავაწეულნი.

სერიდან მიმინომ გადმოიჭროლა.

— ჰაუ, ჰაუ, — ცივი ხმით აკივლდა ვილაც.

აკრიანდნენ ქათმები; დაიგრძელეს კისრები და... ზოგი გოდორს ამოეფარა, ზოგი სახლის ქვეშ შეძვრა, ზოგი სად შეიმალა და ზოგი — სად.

ახირებულად ქალაქი გამახსენდა: დასცხებს უცებ წვიმა და გარბის ხალხი: ზოგი სად აფარებს თავს და ზოგი — სად.

ქიშკრამდე მოგვაცილეს...

ატალახებული ბილიკი — მოსაფალტებულ გზაზე ავიდა.

იქიდან ხელისგულივით მოჩანს მთებით შემოზღუდული, შემოდგომის ნისლში ჩაფლული სოფლები. ელავენ კრამიტის სახლები და ბოლავენ აგუზგუზებული ბუხრები...

თუ ნანახი გაქვს — უსათუოდ გაგახსენდება პატარა და დიდი გემებით სავსე ნისლიანი ნავსადგური.

ასფალტისანი გზა გაიქცა და რკინიგზასთან მიიბნინა...





დატრიალდა მაზუთის სუნი.  
აკვილდნენ მატარებლები.  
იცვლება ხასიათი...

... მატარებელი დილას შემოჰყვა თბილისში...  
გულს ბაგა-ბუფი გაუდის და ძარღვებში სისხლი სიამოვნებით ჩქეფს.  
ტაქსი ჩემოდან-კალათებით ავავსეთ და მივჭრივართ ჩელუსკინელთა  
ქუჩით...

უცებ დასცხო წვიმამ...  
ჩვენი ტაქსი დაგმანულია და მინებში ჩანს: გარბი-გამორბიან ადამიანები,—  
ზოგი სად აფარებს თავს და ზოგი—სად.

ქადრის ძირში ცისფერი მანქანა დგას. ზედ ყვითელი, სველი ფოთლები  
აყრია...

მიჰქრის ჩვენი მანქანა და გარეთ შრიალებს შემოდგომის ქარიანი წვიმა.  
თანდათან ნელდება სოფლიდან წამოყოლილი განწყობილება და მიბრუნ-  
დება ჩემი ასაკი და ხასიათი...

ხმაურიანი, სიხარულითა და დამაბულობით სავსე იქნება ხვალ დღე.  
— მოვედიო! — ეუთხარი შოფერს...

... ავდიოდი კიბეებზე და თვალწინ მედგა ერთი საოცრად დიდი კომში, რო-  
მელიც ყვითელ ჩემოდანში იდო.

თითქოს იმის მეტი არაფერი მომქონდა სოფლიდან...

მეზობლის ქალმა გამომატანა პატარა დალისთვის და ვიცოდი — ძალიან  
გაიხარებდა...

— კომში რომ არ ჩამომიტანო, ისე არ ჩამოხვიდეო, — დამაბარა სოფელ-  
ში წასვლისას და, აჰა, გაიხაროს ახლა!

მე ძალიან მიყვარს გახარებული ადამიანის სიხილოვეს ყოფნა!

გახარებული ბავშვი ხომ სიცოცხლეა მთელი! — დე, უხაროდეს, ვიღრე  
დრო აქვს!...

... კარებზე დავაკაკუნე და დავიძახე:

— დალი!

— ჩამოვიდააა! — მომესმა გახარებული, წკრიალა ხმა.

*ელისა*

კაცმა არ იცის, ვინ დაარქვა ელისო!...

ჩვეულებრივი ადამიანია, მაგრამ... თუმცა რალა „მაგრამ“, — ავერ გეტყვიო,  
რაც არის იგი:

ბავშვობიდანვე ერთად ვიზრდებოდით...

თოვლ-ქუაპში ფეხშიშველი დარბოდა და დედის ხვეწნას, — ბიჭო, შე სა-  
სიკვდილე ფეხზე ჩაიცვიო, — არაფრად ავღებდა.

ფეხები ჰქონდა დაბრტყელებული და წყალ-ტალახში სიარულის გამო კანი  
კოჭებამდე ისე ჰქონდა გასქელებული, როგორც ფეხის გულზე აქვს ადამიანს...

ხელბიჯ დიდრონი და უხეში ჰქონდა...

ყველაფერ ბედნიერებასთან ერთად, ენაც ეჩლიქებოდა საწყალს.

დუქნების წინ პატარა ბიჭები გამოეკიდებოდნენ და „ელისია გიჟო, ელისია გადარეულო“ მისძახოდნენ...

არც გადარეული ყოფილა და არც გიჟი.

ერთი მშრომელი ბიჭი იყო:

— შრომა აჯანთელებს კაცსო, — უყვარდა თქმა.

ღვინოს ბევრს არ სვამდა, ორი ჭიქაც ყოფნიდა.

— ცოლს რატომ არ თხოულობ ელისოსო! — ჰკითხავდნენ.

— შენ რა იცი, არ ვთხოულობ, ჯერ მაცა, ძამა! — მიუგებდა თავჩაღუ-

შული.

უფრო ღრმად რომ ჩაეძებოდით, მიზეზსაც გეტყობათ:

— ჯერ ოდა უნდა ავაშენო, ტანზე უნდა შევიკეროო;

ცოტას ჩაფიქრდებოდა და დააყოლებდა:

— სიმინდი და ლებზე ბევრი უნდა მოვიწიოო.

ლობიოს — ლებზეს ეძახდა.

ღვინოს — „ღინოს“.

კიდევ კარგი, რომ ღვინოს მაგივრად წყალს არ ამბობდა ის საცოდავი.

ერთ დღეს საკარმიდამო ნაკვეთი, რომელიც ბუნჩებით, ჯირკებით და

ეკალ-ბარდით იყო დაფარული, მოჩირგვა, მოასუფთავა და საყანედ გაამზადა.

მერე სამტრედიისში წაიღო მსხალი და იქიდან, პირველმა, მოიტანა სოფელ-

ში მინერალური სასუქი.

იფეთქა ყანამ და გაოცდა ხალხი:

— უყურე შენ ელისოსო! — იძახდნენ გაკვირვებულნი...

იმ წელიწადს ყველაზე კარგი მოსავალი ელისომ მოიყვანა.

არც ამან უშველა: მაინც გიჟსა და გადარეულს ეძახდნენ საცოდაეს...

ისე, არც გიჟი იყო და არც გადარეული.

ერთი დაჩლუნგებული, ბეჩავი კაცი იყო და სხვა არაფერი.

ინდაურის ხორცზე გიჟდებოდა; თუ ვინმეს მიეხმარებოდა ან სიმინდის

ტუხვავში, ან შეშის მოჭრაში, ან ყურძნის კრეფაში, — ფულს არ აიღებდა,

ოღონდ შეეხვეწებოდა მასპინძელს:

— რა გინდა ბიძია, მთელ დღეს მოგვხმარები, ოღონდ ინდოურის წიწიე

მაჭამეო.

თქვენ წარმოიდგინეთ, თითქმის ყველა უსრულებდა სურვილს.

ინდოური თუ არა, ქათამი ხომ იყო და იყო.

ორ ჭიქა ღვინოს დააყოლებდა, დაიხურავდა ქუდს და ღიღინ-ღიღინით მი-  
დიოდა სახლისკენ.

მერე და მერე კარგა ღამაში ჩაცმა-დახურვაც შეუყვარდა ჩვენს ელისოს!

ბიჭები მაინც „გიჟო-გიჟოს“ ძახილით დასდევდნენ უკან...

კაცები გიჟს არ ეძახდნენ, მაგრამ სხვანაირად დასცინოდნენ, რაღაც უბე-  
დურებას ალაპარაკებდნენ და ერთობოდნენ.

გინდა დამიჯერეთ, გინდა არა: მე არასოდეს არ დამიცინია ელისოსთვის.

ერთხელ დუქნის წინ ვხორბოცობდით. ელისოც ჩვენთან იდგა.

— ძამა, რაცხა უნდა გითხრა! — ჩემკენ არც გამოუხედავს, ისე მითხრა

ელისომ.



საერთოდ, თვალეზში ყურება არ უყვარდა: თითქოს რაღაცა დააშფავებდა  
წინაშე და რცხვენიაო!

— რა უნდა მითხრა-მეთქი, — ვკითხე.

მან რომ იცოდა, ისე ჩაიღიმა და — მერე გეტყვიო, — მითხრა.

კვირაობით ბაზარზე ხილი ჰყიდა, ცოტა კოლმეურნეობაში იმუშავა, რაღა-  
ცეები სახლში მოიწია და შენმა ელისომ ოღა აიშენა...

— ახლა მაინც ითხოვე ცოლიო, — უთხრეს.

— ოღას გამოწყობა უნდა, ძამაო, — ჯავრობდა.

ცოლის თხოვას რომ უხსენებდნენ, მაინც და მაინც კარგ ხასიათზე ვერ  
დგებოდა...

ერთი უცნაური თვისება ჰქონდა ელისოს:

აბა ერთი იმღერე შენებურადო, რომ ეტყოდო, არასოდეს უარს არ ამბობდა;  
ხელისგულს ყურზე მიიდებდა, თავს გადასწყვედა და რაღაც გაურკვეველ  
სიტყვებს ამოიმღერებდა:

ციდილობდა სიტყვები ლექსად ყოფილიყო ნათქვამი...

ეგ არაფერი: საოცარი ის იყო, რომ სიმღერის დროს უსათუოდ ცრემლები  
მოადგებოდა თვალზე:...

დაამთავრებდა სიმღერას და — ახლა შენ იმღერეო — ეტყოდა იმას, ვინც  
სიმღერა თხოვა.

მაგრამ... მეორე ელისო ჩვენს სოფელში არ იყო!...

ერთხელ ელისო გზაზე შემხვდა, თხებს მოდენდა.

— რა უნდა გეთქვა იმ დღეს-მეთქი, — ვკითხე.

შეჩერდა, ჩაიღიმა და უცებ ასწია თავი:

— შენ ჩემი ძმაი ხარ! — თქვა და გადამხვია.

მერე გულისჯიბიდან ამოიღო ვეებერთელა წითელი ვაშლი და ძალად ჩამი-  
ღო ბალტოს ჯიბეში...

ამის შემდეგ დიდმა დრომ გაიარა. როცა სოფელში ჩავიდოდი, — „ოჰ!  
ჩემი ძმაი ჩამოსულაო!“ — ხელს გაშლიდა ელისო და გადამხვებოდა... უფრო  
სწორად — ერთმანეთს გადავხვებოდით...

წელს სოფელში არ ჩავსულვარ და ელისოს საიდან ვნახავდი...

მართალი გითხრათ — დასიზმრებთაც არ დამსიზმრებია!

ახლა ზამთარია...

ზის ალბათ ცეცხლის პირას ელისო და, ვინ იცის, რაზე ფიქრობს და რაზე  
ოცნებობს...

იქნებ... არც იცის: რა არის ფიქრი და ოცნება?!

*ზუსტია*

ახლა ბუხარში ბეოლის ჯირკებს გააქვს გუზგუზი და გარეთ თოვლია  
დიდი...

შენ ერთი სული გაქვს: როდის დააცხრება მზე თოვლს მიმინოსავით და...  
ერთი სიტყვით, — როდის „წაიყვანს“ მზე თოვლს.

ვიღრე რამეს ვიტყოდე, — უცებ მინდა გავიხსენო:

მე ბავშვი ვიყავი....

პატარა თოხი მეჭირა და გვერდში გედექი კაცივით.

ვამოროდებდით სიმინდს.

მიწა იყო გამოგვალული და ძლივს სძრავდა თოხი.

სალამოხანს დამძიმდნენ ღრუბლები და დასცხო წვიმა...

ახლაც ნათლად ვხედავ: თოხით მხარზე, შარვალდაკაპიწებულ, ჩამორბი-  
ხარ შენ ფერდობზე და, პატარა ბავშვივით გახარებული, ნეტარებით იმე-  
ორებ:

— უპ, შენი ჭირიმე, ბიჭო! — მონათლა ქვეყანა!...

... ჰო, თოვლია ახლა და შენ ერთი სული გაქვს: როდის გამოჩნდება მიწა...

მოფერები ნაზამთრალ ლერწებს; შეაკეთებ ჩალეწილ ღობეს, პირს გაუსინჯავ  
სასწლავ მაკრატელს, მოიმზადებ სათესლე სიმინდს...

ამასობაში იფეთქებს სიმწვანე და ახმაურდება სოფელი.

.... ზიხარ ახლა შენ ბუხართან და თლი კობიტის სატრეს, თოხისა და ბარის  
ტარს ხორკლავ ჭოპოსნით, აკეთებ სამფეხა სკამებს...

გარეთ თოვს, თოვს... უბერავს ქარი და ჰაერში ბრუნავს თეთრი მორვეი..

შენ უსტუმრო დღეს დღედ არ თვლი და გულში ნატრობ: — „შემოივლი-  
დეს ვინმე ნეტავი, თითო ჭიქას გადავკრავდით... არა, ისე არ იქნება, ვინმე  
გამოჩნდება ალბათ...“

ადგები შენ და შეიხედავ სხვენზე; შეარჩევ მომცრო ტაროებს და ჩაიწყობ  
ჯიბებში. ჩამოხვალ დაბლა და ვედროში ჩაფშენი სიმინდს... საღორეში შეუ-  
ყრი ღორებს, იქიდან ბაგასთან გამოივლი და ძროხას დახედავ, — ამოჭამა თუ  
არა ჩალა საპირედან შენმა „ლამაზამ“. ძროხას კისერს მოფხან და ისიც წყლიანი  
თვლებით შემოგხედავს: რაღაცას ელის... და შენც ამოიღებ ჯიბიდან ტაროს  
და პირში ჩაუღებ ძროხას...

ბბო?!...

აგერ, სულ პაწია ტარო გაქვს მისთვის:

— მო, ჩემო კოტონია, შე საწყალო.... ჰა, ჰამე...

და ხბოც თვალდაბუქული დეჭავს ტაროს...

.... მოვა, ჩქარა მოვა გაზაფხული, საყვარელო ბიძავ! გამოჩნდება, მალე  
გამოჩნდე? ა მონატრებული მიწა! შეეჭიდები მას და იბრძოლებ მანამ, ვიდრე არ  
ჩაქრება? უხარში ცეცხლი, ვიდრე გექნება მოლოდინი გაზაფხულისა!...





ბოჩის პოეზიი

ჩვენ სწავლა დაძვინება ვართ

ერთი შეხედვით ამ ქალიშვილზე იტყოდით, ცხრამეტი წლისა თუ იქნებაო. სუსტი იყო და ნაზი, მის შავგვრემან სახეს ჯერ კიდევ შერჩენოდა ბავშვური სიბუთხუხუხე, ხოლო თვალები, ფართოდ გახეილი, დიდრონი, ნათელი თვალები, რომელთაც გრძელი წამწამები ჰპურავენდნენ, ისე მხიარულად და გაოცებით გამოიყურებოდნენ, თითქოს გეკითხებოდნენ: ამხანაგებო, მართლა ნამდვილად ასე კარგია ყველაფერი გარშემო, თუ მხოლოდ მე მეჩვენებაო?

ქალიშვილს მსუბუქი, ყვავილებიანი კაბა ეცვა, წვრილი ოქროს ძეწკვი ეხვეოდა მის მალა, მზედაკრულ ყელს. უთუოდ თვითონვე ეგრძნო, რომ მეტისმეტად გამოირჩეოდა ამ მზისგან გამოხუნებულ, რიცხვით გამოთვთვებულ სალაშქრო გიმნასტურებიან ადამიანებში, მზით გარუჯულ სახეებში, — მხრებზე ვილაციის დიდი მაზარა წამოესხა და თუმცა აგვისტოს მშვიდი, სულისშემხუთველი საღამო იყო, ასევე მაზარამოსნმული იჯდა სუფთა, უკრაინული ქოხის მიწაყარილზე.

პირობით სახელად „ბერიოზას“ ეძახდნენ. არ ვიცი ეს სახელი როგორ გაჩნდა, მაგრამ უკეთესის გამოძებნა ძნელი იქნებოდა. იგი ნამდვილად წააგავდა ნორჩ, თეთრ, აშოლტილ, მოქნილ არყის ხეს, რომელიც ქარის ოდნავი დაქროლვითაც კი მთელი თავისი ქორფა ფოთლებით ცახცახებს.

პოლოკენიკმა, დაზვერვის უფროსმა, სიტყვა ჩამოართვა, არასოდეს წამოგცდეთ ქალიშვილის ნამდვილი სახელიო, და მისი საომარი ბიოგრაფია მიაშბო.

ეს იყო ქალაქის დატოვების უკანასკნელი საათები. დაქანცული, განაწამები, მწუხარებისაგან კრიჭაშეკრული ადამიანები ღუმელებში წვავდნენ ქალაღებს. მშრალი ფერფლი ოთახში დაფრენდა და ფეხქვეშ შრიალებდა. მუშათა ბატალიონების შეიარაღებული რაზმელები შედიოდ-გამოდოდნენ. ტელეფონები გაგულისებით რეკდნენ. გოგონასათვის არავის ეცალა, არავის სურდა ამ ნატიფი, ლამაზი, კარგად ჩაცმული ქალიშვილისათვის მოესმინა. მაგრამ უცხოებთან ჩვეულებრივად მორცხვ და მოკრძალებულ ქალიშვილში პირველად გამოძლავნდა ხასიათის სიმტკიცე: ვილაც მოატყუა, ვილაცა წაეხუმრა, ვილაც პირდაპირ ხელისკვრით მოიცილა გზიდან და რაიკომის მდივნის კაბინეტში შეაღწია, დაუსახელა თავისი, ქალაქში საკმაოდ ცნობილი გვარი, განუცხადა, ჩინებულად ვიცი ენებიო და თხოვა, რაიმე სამხედრო დავალება მომეცითო.

— რაო, რაო? თქვენ პროფესორ N ქალიშვილი ხართ? რატომ არ გასულხართ? — ჰკითხა რაიკომის მდივანმა, რომელმაც ძლივს გაანება თავი მწვავე საევაკუაციო დავიდარაბას და ყურადღებით გადაათვალიერა ქალიშვილის საბუთები. ანაზღად რაღაც მოავონდა და ჰკითხა: — გერმანული ენა იციო?

— როგორც მშობლიური — უკრაინული.

რაიკომის მდივანმა ერთხელ კიდევ იშვინულად შეათვალერა ქალიშვილის ნაზი, ჭორფა აღნაგობა და მისი სახე, რომელზედაც ძალიან ბევრი რამ იყო ბავშვური.

— დავალება შეიძლება მეტად რთული იქნეს და, პირდაპირ გეტყვი, სახიფათო.

— თანახმა ვარ.

რაიკომის მდივანმა ყველანი დაითხოვა, საველე ტელეფონის მიღს დასწვდა და რომელიღაც ნომერი გამოიძახა.

— მისმენთ? მე ვარ, დიად, შესაფერისი კანდიდატურა გამოიძებნა. დიად, გერმანული ჩინებულად, სავსებით შესაფერისია, მე ვიცნობ მის მშობლებს. შესანიშნავი, თავდადებული ადამიანები არიან. ახლავე გამოგიგზავნი. გავფრთხილე და კიდევ გავაფრთხილებ. — მან დასდო მილი და ისევ, ოღონდ ახლა უკვე აღერსიანი ყურადღებით თვალეში შეხედა ქალიშვილს: — კარგი, მე თქვენი დავაკავშირებთ ერთ ამხანაგთან, რომელიც იატაკქვეშ სამუშაოდ რჩება. მაგრამ იქნებ არა გაქვთ წარმოდგენილი თუ რა მოგელით? თქვენი სიცოცხლე მუდამ საფრთხეში იქნება.

— გთხოვთ, უბრალოდ ნუ ჰკარგავთ დროს, მე უკვე ვიპასუხებ. — უთხრა ქალიშვილმა.

და აი, ცნობილი მეცნიერის ქალიშვილი დარჩა ფაშისტების მიერ ოკუპირებულ მშობლიურ ქალაქში, კომენდატურას აცნობეს, ევაკუაციის დროს დაავიწყდათო.

ის ერთადერთი როდი იყო, ქალაქში ბევრი დარჩა ჭერქვეშ სამუშაოდ, მაგრამ მშვერავებიდან ყველაზე რთული, ყველაზე არასასიამოვნო დავალება მან მიიღო. ბერიოზას, რომელმაც ჩინებულად იცოდა გერმანული, იატაკქვეშა კომიტეტის დავალებით უნდა წარმოედგინა ფუქსავატი ქალიშვილი, ცნობილი მშობლების შვილი, დასავლეთის თაყვანისმცემელი, რომელმაც ვითომ არ მოისურვა რაღაც იდეების გულისათვის ხელი აედო კომფორტზე, ყველაფერი დაეტოვებინა და სადღაც ბნელით მოცულ აღმოსავლეთისაკენ წასულიყო. პროფესორის უზარმაზარ ბინაში ფაშისტი პოლკოვნიკი ჩასახლდა. მას მაშინვე თვალში მოუვიდა ახალგაზრდა დიასახლისი. სადამოობით ბერიოზა როილზე უკრავდა ვაგნერს, გერმანულად კითხულობდა გოეთეს ლექსებს. პოლკოვნიკმა ბერიოზა თავისი მეგობრების — შტაბის იმ ბობოლა ოფიცრების წრეში შეიყვანა, რომლებიც მასთან იყრიდნენ თავს, გაცნო თავის უფროსსაც — გენერალს.

უკრაინელ ფროილიანს წარმატება ჰქონდა. პროფესორის ქალი და, როგორც პოლკოვნიკი ვადაკვრით იტყოდა ხოლმე, რომელიღაც ძველ უკრაინელ მაგნატთა შთამომავალი, იგი თვალსაჩინოდ განირჩეოდა, განირჩეოდა ფაშისტთა წრის ვულგარული, მკივანა, მსუქანი და ტუტრუცანა ნაციისტი ქალებისაგან. ოფიცრები ყოველგვარად ცდილობდნენ ესამოვნებინათ ბერიოზასათვის და არც ერთ მათგანს აზრდაც არ მოსდიოდა, თუ სად დაიარება კვირაში ორჯერ ეს „მაგნატთა შთამომავალი“ მშვენიერი ასული, ხელში ჭრელი ქოლგით, პროვიზიის ჩანთით და ფიურერის წიგნით „მინი კამპფით“, რომელიც პოლკოვნიკმა აჩუქა საკუთარი წარწერით.

ის მიდიოდა გარეუბნის პატარა დაბაში, დიდ მდინარეზე რომ მდებარეობდა, შედიოდა მეწაღესთან — თეთრად შეღებილ ქონში, ჩანთიდან იღებდა ქუსლებმოცვეთილ კოხტა ფეხსაცმელებს, აწყობდა დაზვაზე, რომელზედაც



მეწაღეს ხარახურა ეყარა, და როცა დარწმუნდებოდა, არავინააო, წვერნახს, ზორბა მოხუცი მეწაღის მკერდზე იოხებდა გულს გულისწყრომის, გაბოროტებისა და ზიზღის ცრემლებით. აქ, ამ სუფთა, უბრალო ქოხში, რომელიც ბოსტანში იდგა, ბერიოზას სულ ერთთავად უკიდურესად დაძაბული ნერვები მოეწვებოდა. თავმომწონე ტინგიცა ქალიშვილი, ლამაზი სათამაშო, რომელსაც ეხერხებოდა უდარდელად გაერთო უხეში, თვითკმაყოფილი, ხეპრე სალდაფონები, თავისსავე თავად იქცეოდა — საბჭოთა ქალიშვილად, თავის დატყვევებული, მაგრამ დაუმორჩილებელი ქალაქის მოქალაქედ, გულწრფელ, პატიოსან, სევდიან და ზიზღით აღვსილ ადამიანად.

— რა გულისამრევი რამაა! რომ იცოდეთ, ძია, როგორ მეზიზღება მათ შორის ცხოვრება, მათი ტრაბახის მოსმენა, გაღიმება იმათთვის, ვისაც მზად ვარ ყელი გამოვლადრო, ხელის ჩამორთმევა იმისა, ვინც დახვრეტის ღირსია, არა, დახვრეტისა კი არა, ჩამოხრჩობის!

„მეწაღე,“ ძველი ბოლშევიკი, რომელიც ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს ეწეოდა იატაკქვეშა მუშაობას, როგორადაც შეეძლო ამწვიდებდა ბერიოზას. შემდეგ საკუჭნაოში აღგენდნენ ცნობას ყოველივე იმის შესახებ, რაც ბერიოზას ენახა და გაეგონა, სვამდნენ ცაცხვის ყვავილის „ჩაის“ სახარინით, შეექცეოდნენ ლაბას, მკავე პომიდორს, მაწონს. ამ მშობლიურ გარემოში ქალიშვილს ცოტათი მაინც უამდებოდა სნეული, დანადგლიანებული სული. შემდეგ კი პრელი ქოლგით ხელში კვლავ ბრუნდებოდა ქალაქში, უდარდელად მიიმდეროდა გერმანულ სიმღერას „ლილი მარლენს“ და დამშუული მოსახლეობის ზიზღით სავეს მზერა მიაცილებდა. ეს, ყველაზე მძიმე ეს აყო მის პროფესიაში.

ბერიოზას მაგარი ნერვები ჰქონდა. იგი ჩინებულად ასრულებდა თავის როლს და დიდი სარგებლობაც მოჰქონდა. მაგრამ ბოლოს ნერვებმა უღალატეს. მანვერირება, თავისი გრძნობების დაფარვა სულ უფრო საძნელო ხდებოდა. შეხვედრების დროს „მეწაღეს“ ემუდარებოდა, გამიწვიეთ, დამასვენეთ, რაიმე სხვა დავალება მომეცითო. როგორც დასვენებაზე, ისე ოცნებობდა ბერიოზასაბრძოლო საქმიანობაზე, მტრის ტრანსპორტზე თავდასხმების მოწყობაზე, საწყობების დაწვაზე, რკინიგზის შემადგენლობების აფეთქებაზე, სხვა იატაკქვეშა მუშაობების მსგავსად იარაღით ხელში ბრძოლაზე, მაგრამ იმხანად ქალაქში სამხედრო ჯგუფის შტაბი იდგა, ბერიოზას ცნობები ახლა უფრო საჭირო იყო, და „მეწაღე“ მკაცრად და მტკიცედ უკანვე აბრუნებდა მას.

ბოლოს შტაბი წავიდა. „მეწაღემ“ ბერიოზას უთხრა, კიდევ ერთ-ორი დღე და შეგიძლია გაიპარო. მაგრამ სწორედ ამ დროს უბედურება ეწვია ბერიოზას. მისმა მობინადრე პოლკოვნიკმა გენერლობა მიიღო. ამ საბაბით დამთვრალი პოლკოვნიკი, ღამით შამანურით ხელში შეეჭრა ბერიოზას. ქალიშვილმა ვერ მოითმინა და სილა გააწნა. პოლკოვნიკმა მხოლოდ გადაიხარხარა, ხელზე აკოცა და მეორე ლოყა მიუშვირა. არა, ამ მშვენიერ პაწაწინა ხელებს არ შეუძლიათ ფაშისტი გენერალი შეურაცხეოს! დიად, მან ექვსი ქვეყანა დაიპყრო, ახლა იგი მეწვიდეში ომობს! და ეს ქალიშვილი ომის წლების მისი საუკეთესო ჯილდოა! პოლკოვნიკი ბერიოზას თავის ხელსა და გულს სთავაზობდა.

ქალიშვილს თავზარი დაეცა, იგი ზიზღისგან ცახცახებდა. გენერალი მუხლებზე დაფორთხავდა, კაბაში წვდებოდა. ქალიშვილი შეეცადა მეორე ოთახში გაქცეოდა, პოლკოვნიკი იქაც შეიჭრა. იგი ხრიალებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება სულს დაფავს, რომ ბრძოლები მოსკოვში წარმოებს, რომ ყველა მათგანს აქ, ნაყოფიერ უკრაინაში მდიდარ მამულებს მისცემენ და იგი მისი ცოლი





იქნება. ჰო, ჰო, ჰო, გერმანელი მემამულის ცოლი. და ეს გლეხები, თავი რომ ცხოვრების ბატონ-პატრონად წარმოედგინათ და რაღაც-რაღაცეებს ლაყბობდნენ სოციალიზმზე, მათი ყმები იქნებიან, მათი მიწის მუშა-საქონელი. მთვრალმა ფაშისტმა შეურაცხყო მისი ხალხი, — და ქალიშვილმა ვედარ მოითმინა, ნებისყოფამ უღალატა: ბუდიდან ამოჰგლიჯა გენერლის ვერცხლის ხანჯალი, ვადაზე რომ ფრთებგაშლილი არწივი ეხატა, და ტარამდე ჩასცა ყელში.

ქალაქის მთელი სამხედრო და სამოქალაქო პოლიცია, მთელი ჟანდარმერია და ქალაქში საგანგებოდ ჩამოსული ესესელთა ჯარი მთელი თვე დაეძებდნენ ბერიოზას, ჩხრეკდნენ ყოველ ქუჩას, ყოველ სახლს, თავდასხმებს აწყობდნენ, ალყას არტყამდნენ, მაგრამ ქალიშვილი მიიმალა: მან მშვიდობიანად გადაჭრა ფრონტი.

როცა ბერიოზა თავისიანებში მოხვდა, ბეჯითად და დაყინებით დაიწყო ყოველივე იმის შესწავლა, რაც ხელს შეუწყობდა საქმობლოსათვის მის რთულსა და სახიფათო მუშაობაში.

უკრაინის დიდ ქალაქში დაიკარგა ცნობილი პროფესორის ქალის კვალი, რომელმაც ახალგაზომცხვარი ფაშისტი გენერალი მოჰკლა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი ხარკოვის სამხედრო კომენდანტმა მთარგმნელად აიყვანა ლამაზი ქალიშვილი ერნა ვეინერი. ფროლიან ვეინერის ბედმა მხურვალე თანაგრძნობა აღუძრა კომენდანტს, ბალტიისპირა ბარონების გამოფიტული შტოს იმ ნაშიერს, რომელსაც საერთო ფაშისტურ საბაბთა გარდა, საბჭოთა ადამიანების ზიზღისათვის პირადი მოტივებიც ჰქონდა. ერნა ვეინერმა თავის შეფს უამბო, რომ ოდესმინაში მცხოვრები დიდი გერმანელი კოლონისტის ქალია; მამამისს ბაღები, ვენახები, ბაღჩები ჰქონდა, ზაფხულობით ასობით მოჯამაგირე ჰყავდა, თავისი კანტორის მეშვეობით ყიდულობდა პურს, ჰქონდა წისქვილი, მაგრამ ყველაფერი ეს უწყალოდ ჩამოართვეს ბოლშევიკებმა. შემდეგ მამამისი დააპატიმრეს ახალი გერმანიისადმი სიმპათიისათვის, რომელსაც იგი, როგორც პირდაპირი ადამიანი, ვერ ფარავდა და არც სურდა დაეფარა...

ბოლშევიკებისგან დაზარალებული ფროლიან ერნა მალე მთავარი მთარგმნელი შეიქმნა კომენდანტურაში, ხოლო შემდეგ თვით გარნიზონის უფროსთან გადაიყვანეს.

ბრწყინვალე გერმანულმა ენამ, ძველი ბოვარული სიმღერების ცოდნამ, რომელიც განსაკუთრებით მოსწონდათ სენტიმენტალურ ჯალათებს, და როიალზე დაკვრამ დიდძალი თავყვანისმცემელი შესძინა ბერიოზას. „დიდო, ბებერი იოჰან ვეინერს ამ გაუგებარ ქვეყანაშიც კი მოუხერხებია შვილისთვის დიდებული განათლების მიცემა!“ — გაკვირვებით ამბობდნენ ისინი. და როცა ფაშისტები უეცრად მნიშვნელოვანი დოკუმენტების დაკარგვას შენიშნავდნენ ან მათთვის ცხადი ხდებოდა, რომ საბჭოთა სარდლობამ მეტად ბევრი რამ იცოდა მათი საიდუმლო ზრახვებისა, იოტისოდენა ექვიც კი არ მიჰქონდათ ერნა ვეინერზე.

ახლა იგი უადრესად საიდუმლო დაკითხვებს ესწრებოდა. ჯალათები ბერიოზას თანდასწრებით აწამებდნენ საბჭოთა ადამიანებს, რომელთაც სიკვდილი ჰქონდათ მისჯილი. ბერიოზას უნდა გადაეთარგმნა განწირულთა სასიკვდილო გოდება, უნდა მოესმინა მათგან წყევლა-კრულვა, ლანძღვა-გინება. მხოლოდ სამშობლოს სიყვარული, ყოვლისმომცველი უსაზღვრო სიყვარული აძლევდა მას ამ მუშაობის ძალას.

ბერიოზას ჩივილი ესმოდა მხოლოდ მეკავშირეს—პირქუშ მებრძოლს, დანგრეული სახლის სარდაფში ფეხმოუცვლელად რომ უჯდა თავის რაციას, რე-



მატიზმისაგან სრულიად დაფეხვილ ადამიანს, რომელთანაც ბერიოზას მიჰქონდა თავისი ცნობები. ეს გათოშილ ღამეში ცაზე გადმოკიდებულ მთვარესავით ფერგამკრთალი ადამიანი, რომელიც ძლივს მოძრაობდა, მთელ წელიწადს უმზოდ და უშაეროდ რომ იჯდა, ამშვიდებდა ბერიოზას თავისი მოუქნელი, ტლანქი ჯარისკაცული სიტყვით და თვით უჩვენებდა დიადი საქმისთვის თავდადების მაგალითს. მისი მშვიდი სიმამაცე მხნეობას მატებდა ქალიშვილს.

და აი, ხარკოვის აღებამდე რამდენიმე კვირით ადრე, ბერიოზას უკანასკნელი და ყველაზე მძიმე განსაცდელი დაატყდა თავს. ეს ამბავი თვითონვე გვიამბო აგვისტოს მშვიდ საღამოს პატარა ქობის მიწაყრილზე მჯდარმა.

— თქვენ, რა თქმა უნდა, იცით თუ რარიგ ნერვიულობდნენ ისინი, როცა კონევის ჯარებმა ბელგოროდთან გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა და აღმოსავლეთიდან უახლოვდებოდნენ ხარკოვს. ღმერთო ჩემო, რა ამბავი დატრიალდა! ქიანშველების ბუდე თუ წარმოგიდგენიათ, რომელშიც მუგუზალი შესჩხირეს! ჯარისკაცებზე არას ვიტყვი, — ისინი ხომ მანქანები არიან. მაგრამ თქვენ მათი მოთავეები უნდა გენახათ! გარეგნული წესიერებაც კი დაავიწყდათ და ცახცახით ახვევდნენ სურათებს, სამუხეუმო ნივთებს, იშვიათობას, ავეჯს — ყველაფერს, რაც წაეგლიჯნათ და წაეტაცნათ. ყოველივე ამას ზურგში ჰგზავნიდნენ ჯარისკაცების თვალწინ. შტაბი კი არა, რაღაც ბაზარი იყო, რომელშიც ათასნაირი დაუჯერებელი ჭორი დადიოდა: განსაკუთრებით ბევრი ლეგენდა იყო საბჭოთა ავიაციასზე. ამბობდნენ, შორეული აღმოსავლეთიდან რაღაც უზარმაზარი ახალი საავიაციო ნაწილები გადმოფრინდა, ათითასობით მანქანაა, ვერარნახული ხარისხის. რაღაც განსაცვიფრებელი შეიარაღებააო! ოფიცრები სარდაფში გარბოდნენ ღამის გასათევად. და მე ვზევიმობდი. დილით სამსახურში მისვლისას კი შეეჩიოდი შეფს: „ბატონო უფროსო, ნუთუ ყველაფერი დაიღუპა? მე ხომ მომკლავენი...“ ვხედავდი, როგორ ეკარგებოდა ფერი. მაგრამ მაინც მამლაყინწობდა: „როგორ გეკადრებათ, ფროილან, გერმანიაში იმდენი ძალა! შეიძლება ჭარბადაც კია! სისხლჭარბობა გვჭირს“. სიტყვას კი იმით აბოლოებდა, რომ მარწმუნებდა — რა დღეც არ უნდა დადგეს, მოასწრებთ ჩემი მანქანით გაქცევასო.

და აი, ერთხელ ღამით მღვდისებენ და შეფის კაბინეტში მეძახიან. იგი აღვზნებულა, სახე უბრწყინავს. მისხნის, რომ იქნება მნიშვნელოვანი დაკითხვა, რაზედაც დამოკიდებულია მისი კარიერა. მე გული ამოკანკალდა: ნეტავი ვინ დაიჭირეს? ვიცოდი, რომ ხარკოველი იატაკქვეშელები განსაკუთრებით გააქტიურდნენ და მეშინოდა, ვაი თუ რომელიმე მათგანი ჩავარდა-მეთქი. შეფი ოთახში დარბოდა. კაბინეტში არაჩვეულებრივი მზადება იყო, მაგიდაზე სუფრას აფარებდნენ, ზედ ღვინოს, ხილს, ტკბილეულს ალაგებდნენ. სულ უფრო და უფრო მელეოდა გული. ვინ უნდა იყოს, ვინ? რას ნიშნავს ასეთი არაჩვეულებრივი მზადება?

— რომელიმე ბატონი ხომ არ ჩამობრძანებულა არმიიდან? — რაც შეიძლება სასხვათაშორისოდ ვიკითხე და იმ კუთხეში დავჯექი, სადაც ჩვეულებრივ ვჯდებოდი ხოლმე დაკითხვების დროს.

— აჰ, რა სისულელეა, მეტი საქმე არა მაქვს, არმიიდან მოსული ვინმე ქეციანი ჩინოსანისათვის გაეწიო ხარჯი! — მიბასუხა შეფმა. — გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, გაცილებით უფრო საინტერესო! ბადეს უხვად მოჰყვა. დღეს მოეღება ბოლო წყეულ ბუნდოვანებას. ჩვენ შევიტყობთ, თუ რა სურბრიზი დაგვიმზადეს. ხო, ხო, ხო, ეს სულ ერთიანად აურევს მათ დავთარს“.

გადეწყვიტე, ჩვენი რომელიღაც დიდი სამხედრო პირია შეპყრობილი-მეთქი. მაგრამ ძალზე გავკვირდი, როცა მაგილას შეფი კი არა, მისი თანაშემწე მაიორი მიუჯდა. შემდეგ მცველების თანსლებით ოთახში საკაცე შემოიტანეს, გაშლილ სუფრასთან დადგეს და ავტომატებით შეიარაღებული ჯარისკაცები ის იყო კართან უნდა დამდგარიყვნენ, რომ მაიორმა ხელით ანიშნა გასულიყვნენ. საკაცეზე წვლიარეს ვერ ვხედავდი. ამასობაში მაიორი თავისი ყველაზე უფრო ტკბილი ღიმილით აღიჭურვა და მთხოვა „სტუმრისთვის“ გადამეთარგმნა, რომ იგი თვითონაც მფრინავია სპეციალობით და მხოხარულია აქ მიესალმოს თავის მამაც კოლეგას, სამხედრო ხარისხის მიხედვით, სახელოვან რუს ასს-ს. რაცა საჭირო იყო, მაიორს შეეძლო ალერსიან, გულდია ადამიანად მოეკატუნებინა თავი.

ახლა უკვე კარგად დავინახე, რომ საკაცეზე ახალგაზრდა, სულ ახალგაზრდა ადამიანი იწვა, თქვენ რომ გეჭეთ, აი ასეთი გამოსუნებული გიმნასტურით, რომელზედაც მიბნეული ჰქონდა საბრძოლო წითელი დროშის სამი ორდენი და კიდევ რაღაც სხვა ჯილდოები. მას ავიაციის უფროსი ლეიტენანტის სამხრეები ჰქონდა. მისი გამოხედვა კი... მახატით...

ქალიშვილს ისე დაეკარგა ფერი, რომ სახე ქონის კედელზე უფრო თეთრი გაუხდა. მძინედ სუნთქავდა, ტუჩებს იკენეტდა, თითქოს მწვავე ფიზიკურ ტკივილს უნდა მოერიოსო. შემდეგ თავი გაიქნია და გვითხრა:

— ნერვებმა მიღალატა... ფეხები მას თაბაშირში ჰქონდა, თავი — ბინდებით შეხვეული, მაგრამ დოღბანდის რიდედან შეკითხვით მიმწერდნენ მისი დიდრონი, ნაცრისფერი, არაჩვეულებრივად ალამართალი და დამფრთხალი თვლები.

— ფროილან, ვადაუთარგმნეთ, გეთყვა, კოლეგას, რომ უიარაღო მტერი ჩვენთვის მტერი აღარ არის, რომ ახალ გერმანიაში მამაცობისა და სამხედრო პატივის ცნებები ინტერნაციონალურია, ვადაუთარგმნეთ, რომ ე-ე-ე, როგორც გარნიზონის უფროსის თანაშემწე და როგორც მფრინავი პროფესიით, მოხარული ვიქნები მასთან ერთად შეესვა ერთი ქიქა... ე-ე-ე, არა, ეს რუსულად არ გამოვა... ერთი ფილა მაღლიანი ღვინისა.

როდესაც ვთარგმნიდი, მფრინავის ნაცრისფერი თვლები ჩემს სახეზე შეჩერდნენ და მათში იმდენი მძულვარება, არა, მძულვარება კი არა, რაღაც უსაზღვრო ზიზღი, გამანადგურებელი ზიზღი იყო, რომ შეურაცხყოფისაგან თვალზე კინალამ ცრემლი მომადგა ჩემდაუნებურად.

— არაფერსაც არ ვიტყვი; თუმცა, პაპიროსი მომცეს.

მაიორს სახე გაუბრწყინდა, წამოხტა და თავისი პორტსიგარი გაუწოდა. მფრინავი იდაყვზე წამოიწია, აიღო პაპიროსი და ხარბად მოქაჩა. ორივენი სდუმდნენ. მესმოდა თუ როგორ ტკაცუნობდა თამბაქო. შემდეგ მაიორი წამოდგა, ქუსლი ქუსლს მიარტყა, თავისი გვარი დაასახელა და თავზიანად განაცხადა, ნება მიბოძეთ გავიგო, ვისთან მაქვს პატივიო...

— აქედან გამიყვანონ, — უბასუხა მფრინავმა და პირი იბრუნა.

რამდენი არ იმტერია თავი მაიორმა, მაგრამ მფრინავი კედლისაკენ გადობრუნებული იწვა და სდუმდა. ვხედავდი თუ როგორ ნერვიულობდა მაიორი. ტუჩებს იკენეტდა და სახის კუნთები უთამაშებდა. შიში მიპყრობდა, რომ საცაა აიწყვეტს და მაშინ... კარგად ვიცოდი, რისი ჩადენაც შეეძლო ამ ადამიანს. მაგრამ ცნობები ჩვენი ავიაციის შესახებ უთუოდ სიცოცხლეზე მეტად უღირდათ, და თავი შეიკავა. ბრძანა გეყვანათ ტყვე და გზა მშვიდობისაც კი უსურვა. მაგრამ როგორც კი კარი დაიხურა, საშინელ ლანძღვა-გინებას მოჰყვა.

ერთი ჭიქა კონიაკი გადაჭკრა და ღონემისდილი დავარდა სავარძელზე. შეფი შემოვიდა. მე გამანთავისუფლეს და მანქანით გამისტუმრეს შინ.

იმ ღამით თვალი არ მომიხუტავს, თუმცა ძალზე არაქათგამოღებული ვიყავი. ო, ეს მფრინავი, მისი თვალები მიმზერდნენ, და ყურშიც მისი წკრიალა, ახალგაზრდა მტკიცე ხმა მესმოდა. დილით მინდოდა დათქმულ ადგილას წავსულიყავი, რათა ჩვენები გამეფრთხილებინა, ხელში ჩაუვარდათ ქალაქზე თავდასხმის დროს ჩამოგდებული ასი-მეთქი, მაგრამ ვერ მოვასწარი: სადარბაზო კართან მანქანა მოგრიალდა. შიგ თვითონ მაიორი იჯდა. „ნაბრძანები გვაქვს, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ცნობები გამოგტყუოთ ავიაციის შესახებ. საფიქრებელია, რომ იგი იმ ახალი ნაწილებიდან არის, ახლახან რომ მოფრინდნენ. ფროილიან, თქვენ უნდა მოელაპარაკოთ იმ წყეულ ბოლშევიკს. რაც გენებოთ ელაპარაკეთ, ოღონდ რაც კი შესძლოთ, ამოათქმევინეთ. ოქროში ჩაგსვამენ, სახელის საქმეა, რკინის ჯვარს დაიმსახურებთ“.

ეს მშვიდი, გულგრილი კარიერისტი-ჯალათი ესოდენ აღელვებული ჯერ არასდროს მენახა. ისე ღელავდა, რომ იქვე წამოაყრანტალა: მთავარსარდლობის ბანაკიდან ხარკოვში ავიაციის რომელიღაც გენერალი ჩამოვიდა, რომელსაც ეს ცნობები სიცოცხლეზე მეტად უღირსო. არჩევანი არა მქონდა. მფრინავთან მარტოდმარტო საუბარი ზელსაყრელიც კი იყო საქმისათვის: შემძლო გამეფრთხილებინა. მაგრამ მისი მზერა მომაგონდა და მე, მუდამ სიკვდილის შიშში ცხოვრებას ჩვეული, დავფრთხი, — სწორედ რომ საშინელი იყო მის საკანში შესვლა. წარმოგიდგენიათ, მის თვალში ვინ ვიყავი მე!

მაგრამ თავს ძალა დავატანე, შევედი, და, როცა კარი დაიხურა, ახლოც კი მივედი მასთან. წინაღობის აქეთ კიდევ უფრო ჩაფერფლილი და გამხდარი იყო, თვალები გაფართოებოდა. ეს თვალები ისეთივე ზიზღით შემომტკეპროდნენ. მე მომეჩვენა, რომ ჩემი მიახლოვებისას რაღაცნაირად შეაყრყოლა კიდევ.

— როგორ გრძნობთ თავს? გინახულათ თუ არა ექიმმა? — შევეკითხე, რათა როგორმე ლაპარაკი გამემა.

— მათ ვერაფერი გააწყვეს და ახლა თავისი გერმანელი ქოფაკი მოუშვეს, — გესლიანად ჩაიღიმა მან.

ავენტე, ალბათ ცრემლები მომადგა თვალზე.

სრულიად დაბალი ხმით ლაპარაკობდა, უთუოდ ძალზე დასუსტდა ამ დამის განმავლობაში, მაგრამ ისევე მტკიცედ და მკაცრად განაგრძო: — რაღად წითლდები, სინდისგარეცხილები აღარ უნდა წითლდებოდნენ! აი, დიაცადე, ჩავვივარდები ხელში, საკადრისს იქ მიიღებ.

ძლივს შევიკავე თავი, რომ მუხლებზე არ დავცემულიყავი მის წინ და ყველაფერი არ მეაშენა, ისე სამძიმო იყო ეს შეურაცხყოფა მის ბავთაგან.

იგი განაგრძობდა და სულ უფრო იმბლლებდა ხმას: — შენ გგონია ფაშისტებთან ერთად დაიხვე უკან, გაგვეტყევი? დაგვეწვიო! შუა ბერლინში აღმოგაჩენთ! ვერსად წავგიხვალ, ვერ დაგვემალები!

და მან გადაიხარხარა. არ გეგონოთ, რომ ნერვიულად, არა. ნერვები მას უთუოდ სრულიადაც აღარ ჰქონდა. მან გესლიანი აღტაცებით, ზარზემით გადაიხარხარა, თითქოს მტრის საპატიმროში კი არ იწვა სულ ერთიანად შებინდული და მომაკვდავი, არამედ გამარჯვებული იდგა ბერლინში და მტერს ასამართლებდა, ანგარიშს უსწორებდა.

მაშინ მივევარი მასთან, ყოველგვარი სიფრთხილე დამავიწყდა და წაჩხურჩულე: — მათ არაფერი იციან. თქვენგან უნდათ გაიგონ რაღაც ახალი საავი-



ციო ნაწილებს შესახებ. აქ საშინელი არეგდარევაა. დამფრთხალნი არიან, საშინლად დამფრთხალნი. არაფერი უთხრათ, ერთი სიტყვაც კი. განსაკუთრებით აი იმ გუშინდელი მწითური მაიორისა გეშინოდეთ. საშინელი ადამიანია.

დაკრილმა უკან დაიწია და გაცეებით დამიგდო ყური.

— ასე, — თქვა მან და გაიმეორა: —ა-ს-ე-ე! — თვალეში ოდნავი სითბო ჩაუდგა, მაგრამ რაღაც გამჟვალავად და შემსწავლელად კი მიმზერდა. —ა-ს-ე-ე, ხდება ხოლმე, — გაიღიმა მან, მაგრამ უკვე არა გესლიანი ღიმილით. მერე უცრად ჩამიკრა თვალი და მთელი ხმით დაიყვირა: აქედან გამეცალე, სინდისგარეცხილო! არაფერსაც არ გეტყვით არც შენ და არც შენს უფროსებს! ჩემგან ერთ სიტყვასაც ვერ შეიტყობთ!

დიღხანს ყვიროდა მთელი საპატიმროს გასაგონად. შემდეგ ჩუმად მკითხა: — მამ, თქვენ...

მე თავი დავუქნიე. სულ ერთიანად ვცახცახებდი, კბილებს რაკრაკი ვაპქონდა.

— კარგი, დამშვიდდით, — მითხრა მან, — და მითხარით, ოღონდ, იცოდეთ, მართალი მითხარით: ჩემი საქმე ცუდად არის?

— თუ არაფერს იტყვით, დაგზვრეტენ, — ვუთხარი; ჩვენ კვლავ თვალეში მივჩერებოდით ერთმანეთს.

— სამწუხაროა, მეტად სამწუხარო, ცოტა ხანს ვიცხოვრე, მერე როგორ მინდა სიცოცხლე!.. ახლა კი წადით, წადით აქედან!

— ხომ არაფერი გადავცე იქ? — შევეკითხე.

— ძალზე დატანჯული თვალეები გაქვთ, მე თითქმის მჯერა თქვენი, — მიბასუხა მან. — თითქმის. მაინც არ არის საჭირო, არაფერს არ გეტყვით, ასე სჯობია თქვენთვისაც და ჩემთვისაც — და მშვიდობით, ქალოშვილო... — მან ამოიხვნეშა და ხელახლა დაიწყო ჩემი ლანძღვა-გინება მთელი საპატიმროს გასაგონად.

ცრემლები მახრჩობდა. რა ადამიანია, რა ადამიანი! და ვერაფრით კი ვერ დაესმარებდი... საკანიდან გამოვევარდი. მაიორი მოუთმენლად დადიოდა ტალანში, იგი უთუოდ ყურს უგდებდა ჩვენს ლაპარაკს, მაგრამ, სახეზე შევნიშნე, ლანძღვა-გინების მეტი არაფერი გაუგია. ძლივს ვიდექი ფეხზე. ჩემთვის ყველაფერი ერთი იყო. სიბრაზისგან გაფთვრებული მაიორი ყვრიმალის ძელებს ათამაშებდა.

— ნუ ტირით, ფროილან, თქვენ სამსახურში ხართ. როგორც კი საჭირო აღარ იქნება ჩვენთვის... — მან აღარ დაამთავრა.

აღარ მახსოვს როგორ გამოვედი საპატიმროდან.

ქალოშვილმა ამოიოხრა და გაჩუმდა. ახლა მას ნერვები ალბათ მთლად აწეწილი ჰქონდა: კანკალს აეტანა, ქვედა ყბა უცახცახებდა, ნერვიულობისაგან სახე ეღმიჭებოდა. დიღხანს სდუმდა.

— ამ ამბის მოყოლა ძალზე მიმძიმს, მაგრამ მინდა მთელმა ქვეყანამ გაიგოს, როგორ უჭირავთ თავი იქ საბჭოთა ადამიანებს. თქვენ მხოლოდ მიხვედრათ თუ შეგიძლიათ ამისა. ეს ჩვენი ვალია. ჩემს მეტმა არაფერს იცის იმ ადამიანის უკანასკნელი წუთები.

საბაქამროში ჩვენი ლაპარაკის შემდეგ მთელი დღე რაღაც ბურუსში დადიოდი, მთელ ჩემს ნებისყოფას ვიკრებდი, მთელ ჩემს წვრთნას, ყველაფერს, რაც კი რამ საუკეთესო მქონდა, რომ თავი შემეკავებინა, მათთან, სწორედ მათ წინაშე არ ავტირებულყავი; მაინც ვერ შევძელი და, როცა მასზე დაიწყეს ლაპარაკი, ღრიალი მოვრთე. საბედნიეროდ, მაიორმა უკვე უამბო შეფს საპატიმ-





როში ჩემი ვიზიტის ამბავი, ჩემი საქციელი მათ თავისებურად ახსნეს ზვილდება დაძიწყეს. ვუსმენდი და თან სახეზე ხელებს ვიფარავდი, რომ არ შემეხედნა. მეშინოდა, ვერ მოვიტოვებ და რაიმე სისულელს ჩავიდენ-მეთქი.

მაგრამ ყველაზე უფრო საშინელი რამ თურმე აწი მელოდა. თქვენ უთუოდ იცით ჩვენი მუშაობის ამბავი? და ჩემი ამბავიც! მე ახალბედა არა ვარ, მაგრამ ჩემთვის ყველაზე მძიმე განსაცდელი ეს იყო. ავიაციის აი იმ გენერალმა, მათმა „ეროვნულმა გმირმა“, გერინგის საყვარელმა ადამიანმა, რომლის წინაშეც იქ ყველახი ფეხის წვერებზე დადიოდნენ, გადაწყვიტა თვითონ დაეკითხა მფრინავი. ეს იყო მაღალი, თავდაჯერებული აყლაყუდა, დაეღაჟა, რაღაც ფაიფურას-მაგვარი სახე ჰქონდა და უფერული, გოჭისებრი წამწამები. იგი თვითონ წავილა საპატიმროში. თან ვახლდით ჩემი შვეფი, მაიორი და მე. გენერალი თვითდაჯერებით მივიდა მფრინავთან, დაუსახელა თავისი საკმაოდ ცნობილი გვარი და ხელი გაუწოდა. მფრინავმა პირი იბრუნა და არაფერი უპასუხა.

— თქვენ ცუდად გიჭირავთ თავი, ყმაწვილო კაცო. მე გენერალი ვარ, ორი ომის გმირი. ზრდილობის კანონი გვიკარნახებს, სამხედრომ უპასუხოს უფროსთა სამხედრო მისალმებაზე.

ეს ფრაზა გადავუთარგმნე მფრინავს. გენერალი უთუოდ კარგი მსახიობი იყო. ყველანი, ვინც კი ფაშისტურ სათავეში ტრიალებს, მარჯვე კომედიანტები არიან. მაგრამ იგი მეტად გულისმომგები კეთილმოსურნეობით ლაპარაკობდა!

— თქვენ რა გავგეგმათ ზრდილობის? — დაცინვით უპასუხა მფრინავმა.

მე გადავთარგმნე. გენერალს მისი პასუხი არად ჩაუგდია. მხოლოდ წუთით შეიკუმხნა, მაგრამ მაშინვე შეეკითხა:

— იქნებ ცუდად გეპყრობოდნენ? რადა ხართ ესე გაბოროტებული? მოვლით და სამედიცინო დახმარებით არა ხართ კმაყოფილი? განმიცხადეთ და ახლავე ვუბრძანებ ყველაფერი გააკეთონ. გმირი გმირად რჩება ყოველნიერ პირობებში.

— ერთი ჰკითხეთ, რა უნდა ჩემგან? — ქანცგამოღებულად მითხრა მფრინავმა.

ეტყობოდა ძალზე იტანჯებოდა ჰრილობებისაგან, მაგრამ არ სურდა, მტრებს შეემჩნიათ მისი ტანჯვა, და მის გასაჭირს ამხელდა მხოლოდ ოფლი, რომელსაც დაეცვარა მისი შუბლი და წურწურით ეღვრებოდა ბანდებში.

გენერალი მოთმინებას ჰკარგავდა:

— უთხარით მაგას, ეშმაკმა დალახგროს, რომ კარგი არჩევანი აქვს. პატარა ინფორმაცია საავიაციო ნაწილების შესახებ, რომელსაც სულ ერთია ვერც ერთი მისი თანამემამულე ვერ გაიგებს, და ომის დამთავრებამდე მყუდრო, მშვიდი ცხოვრება ერთ-ერთ ვეროპულ კურორტზე — ნიცა, ბადენ-ბადენი, ბადვილდუნჰენი, კარლსბადი... ვერც მის უტეხობას გაიგებს ვინმე: საფლავის ჭიალუა ერთნაირად მადიანად შეეჭკევა გმირის გვამსაც და ლაჩრისასაც.

მფრინავმა გადაიხარხარა კიდევ: — უთხარით გენერალს, რომ იგი, როგორც ჩანს, თავისი ფიურერის ღირსეული ნაზარდია.

რაკი გერმანულ ენაში სახელდახელოდ ვერ გამოვძებნე სიტყვა „ნაზარდი“, ვთარგმნე როგორც „მოწაფე“ და რარიგ გავოცდი, როცა ამ თვითკმაყოფილ რეგვენს მოულოდნელად სახე გაუბრწყინდა.

მედიდურობისგან გაიბღინდა და თქვა, რომ ეს ასეც არის, ლეიტენანტმა სწორად აღნიშნა: იგი ნამდვილად ცდილობს წაბადოს ფიურერს. მან თქვა, ახლა უეჭველად გამოვძებნით საერთო ენას — ორი გმირი, ორი ჯარისკაციო. და

იციხა: დე, ბატონმა ლეიტენანტმა, რომელმაც ახლა დაგეანახვა, რომ თავის თანამემამულეებზე გაცილებით უფრო ჰყვინია, დე, მან თქვას, თუ რად არიან ეს რუსები ასე უიმედოდ ჯიუტები, უკანდახევის დროს რატომ სწვავენ თავიანთ სახლებს ფრონტის გადაღმა ხაზზე, რატომ არ სურთ დანებდნენ და რატომ განაგრძობენ ბრძოლას, რატომ იტყევენ რეპრესიებსა და სასჯელს, რად ამჯობინებენ დაიხოცონ და საიდუმლოება კი არ გამოამჟღავნონ, თუმცა ბრძივამაც კი იცის, რომ თმი წაგებული აქვთ. რატომ?

შეკითხვა იმავ წუთს გადაუთარგმნე მფრინავს.

— ყვეყჩი! — მკაფიოდ თქვა მან, — იმიტომ რომ ჩვენ — საბჭოთა ადამიანები — მაგათნაირები არა ვართ.

უნდა გენახათ იმ წუთში მისი სახე! იდაყვზე წამოიწია, წარბები, განსაკუთრებით შავი იმის გამო, რომ ბინდების ჩარჩოდან მოუჩანდნენ, შეეკუმუნხა, თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ.

გენერალი გაცოფდა, ფეხზე წამოიჭრა, ბილწად შეიგინა და ანდაზა თქვა. დაახლოებით იმდაგვარი, როგორიცაა ჩვენი „მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ, ის კი — თიკან-ცხვარი მეო“. გენერალი ყვიროდა, რომ ლეიტენანტი სულელი, უტვინო ცხოველია, რომ იგი ბინძური უმადურობით პასუხობს ასეთ რაინდულ მოპყრობაზე, ასეთ მოვლაზე.

— მე მგონია, რომ ეს მოვლა მეკუთვნის დაჭრილთა მოვლის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით, — უპასუხა ლეიტენანტმა.

— შეთანხმება! ხა, ხა, ხა, როგორ არა, გერმანულ ბინდებს დაეხარჯავთ რუსი ღორებისათვის, რომელთაგან სიმყარის მეტს არას ვღებულობთ!

გენერალი ყვიროდა, ფეხებს აბრაზუნებდა. ჩემი შეფი გრძნობდა, უკანასკნელი იმედიც ხელიდან გვეცლება და ნეტავ ცოტა რამ მაინც დაგვეცდევინებინა დაჭრილისთვისო, და თავაზიანად, თან დაბუჯითებით შეეცადა გენერლის შეჩერებას, მაგრამ საქმე არა გაქვთ!

როცა გენერლის ფრაზა გადაეთარგმნე, დაჭრილი მფრინავი საკაციდან წამოტოვა, მუშტებით შემოიმსხვრია თაბაშირი ფეხებზე და თავიდან და კისრიდან დოლბანდის შემოგლეჯა დაიწყო. მის სახეზე სისხლმა ითქარიალა.

— მე არ მჭირდება ფაშისტების მოწყალება! — გაიძახოდა ის.

— ბინძური ფანატიკოსები, ბარბაროსები! ჩრდილო პაპუასების ქვეყანა! — გაჰყვიროდა გენერალი.

და უცებ, თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი, გენერალმა თვალებზე ხელი იტაცა და უკან დაიხია: ლეიტენანტმა მას სისხლიანი ნერწყვი მიაფურთხა თვალებში.

სამთავნი მისცვივდნენ დაჭრილს და ფეხებით დაუწყეს ცემა ყველაგან, სადაც კი მოხვდებოდათ. დაჭრილი დღუოდა, თავს იცავდა, მას ჯერ კიდევ არ დაეკარგა ღონე, ხოლო სიბრაზემ გაუათქეცა. საკაცზე მჯდარი, სულ ერთიანად სისხლში მოსვრილი დაჭრილი სახეში ურტყამდა მათ. ფაშისტმა ქოფაკებმა ვერაფრით ვერ მოახერხეს მისი ხელში მოგდება.

მე იქვე ვიდექი, გვერდით, გესმით თუ არა, მე ვხედავდი, თუ როგორ აწვებდნენ ეს მხეცები ამ ნათელ, ამაყ ადამიანს, საუეტესოს იმ ადამიანთა შორის რომელნიც კი შემხვედრიან ჩემს ცხოვრებაში. მთელი ჩემი არსებით მინდოდა მივეზარდნოდი დასახმარებლად, და თუ ვერ დავეხმარებოდი, მასთან ერთად მაინც მოვმკვდარიყავი! სიკვდილის არ მეშინოდა, არა! მაგრამ მე სადარაჯოზე ვიყავი და ვიცოდი, რომ ახლა, ჩვენების შეტევის წინა დღეს, ჩემი მუშაობა განსაკუთრებით საჭიროა და უფლება არა მაქვს გავცე თავი. თავი რომ

გამეცა და დაჭრილის დაცვაში რომ დავლუბულიყავი, ეს სამშობლოს ღალატი იქნეოდა, ჩვენი საქმის ღალატი. რაც არ უნდა მომხდარიყო, ცნობა უნდა მიმეწოდებინა, რათა აქ, ჯარში, გცოდნოდათ, თუ რას ამზადებდნენ თქვენს წინააღმდეგ, რა განზრახვები ჰქონდათ ფაშისტებს.

და ჩემი ერთადერთი ნამდვილი გმირობა იმ დღეს მოვიმოქმედე: არც კი დამიყვირნია, ისე ჩაბლაუჭებული ვიჯექი სავარძელში, რომ შემდეგ ფრჩხილები დამილურჯდა, ვიჯექი და ვცდილობდი ყველაფერი დამემახსოვრებინა. ჩემ თვალწინ მას სასიკვდილოდ სცემეს. ეს უცნობი, შესანიშნავი ადამიანი თავდაცვის დროს დაიღუპა. მთელი საკანი მისი სისხლით იყო მორწყული. მაგრამ იმ წუთებში მეც აღმოვჩნდი მისი ღირსი, არ გავეცი თავი. შემდეგაც ხომ როგორ მიძიმდა, მაგრამ ჩემს საქმეს განვაგრძობდი იმ დღემდე, იმ საათამდე, ვიდრე თქვენ ხარკოვს აიღებდით...

იგი სულ ერთიანად ცახცახებდა, ეს სუსტი, ნატიფი გარეგნობის, გამობრძმედილი მებრძოლის ნერვებისა და ძველი ჯარისკაცის ნებისყოფის ქალიშვილი.

— მისი სახელიც კი არ ვიცი — დღესაც არ ვიცი, თუმცა არასდროს არ დავივიწყებ მას. მუდამ ჩემს თვალწინ იქნება ისეთივე ძლიერი, მამაცი და მშვენიერი!..

და უეცრად ხელები აიფარა სახეზე და აქვითინდა. მთელი სხეულით ისე ცახცახებდა და თრთოდა, როგორც ნორჩი არყის ხე შემოდგომის ქარის მძაფრი შემოქროლვისას. მაღლა ავარცხნილი თმები ჩამოეშალა, სარკები მიწაზე მიმოეფანტა, წაბლისფერი ხუჭუჭი თმა მაზარის უხეშ მაუღზე გადაეშალა და შიგ სრულიად ჭაღარა თმის ერთი ფართო ბლუჯა გამოუჩნდა.

მერე, როგორღაც ერთბაშად, დაწყნარდა, ცრემლით დანამულ სახეზე სიმტკიცე გადაეკრა, თითქმის სიმკაცრეც, ცრემლები მოიწმინდა, თმა აიკრიბა, დაიმაგრა და გაიცინა:

— ნერვების ბრაღია... რა გაეწყობა, დასვენება მომიწევს... შვებულებას მაძლევენ.

— შემდეგ?

— შემდეგ ისევ იქით გავწევ, მათთან, ჯერ ხომ ომი არ დამთავრებულა. ქალიშვილს ნახე მოეღრუბლა, დაებურა, და ერთბაშად თითქო ათი წლით დაბერდაო.

ისევ იქით? ასეთი განსაცდელის შემდეგ?

მან წელან თქვა: ჩვენ საბჭოთა ადამიანები ვართო. ამ სიტყვებში თავით ბოლომდე მოჩანს თვითონაც. ამას მთელ ჩემს სიცოცხლეში არ დავივიწყებ.

თარგმნა ბაბო ვაშაძემ



გიორგი და ელენე პაპაშვილები

სადეკი ყვანდელი შიძულთა მოხელე

პირველი დღე

დილის 5 საათზე გემის მანქანები გაჩირდა. 37 დღის გუგუნის შემდეგ გემზე პირველად დაისადგურა სიჩუმემ.

ჩვენ ამერიკაში ვიყავით.

მე წამოვედი, მწოლიარე მგზავრებს გადავაბიჯე და ილუმინატორიდან გავიხედე — წყალი და წისლი. ჩვენ ღუზას ვუშვებდით რომელიღაც კუნძულის მახლობლად. ჩაეცვი და გემბანზე ავედი.

და აი, დაიწყო ჩემი ტანჯვა-წამება. გემი ბერძნული იყო; მე ტრიუმის მგზავრი გახლდით და ამიტომ ჯერ კიდევ შუაგზაზე მთელი ფული საქმელში შემომეხარჯა, უფულოდ კი ნაპირზე არ გადამიშვებდნენ.

ჩემი ექვსადგილიანი კაიუტის ერთ-ერთი მგზავრი, თურქი ჰასანი ფეხდაფეხ ამომყვა ზევით.

— აკი გარიგებდი ჰკუას, — მომახალა მან, როგორც კი მომიახლოვდა. — აი უკვე ამერიკაში ვართ და შენ ფული არა გაქვს, რომ ნაპირზე გადახვიდე. ნახავ, თუ უკანვე არ დაგაბრუნონ. უფულოდ ვინ შეგიშვებს ამერიკაში? ვაი სირცხვილო! შენს ადგილას ნამდვილად თავს მოვიკლავდი!

გობრალტარიდან მოყოლებული ჰასანი მხოლოდ დამარილებულ ზეთის-ხილსა და მლაშე ყველზე გადადიოდა. მას აცოფებდა პატარა ხის შამფურზე წამოცმული მწვადები, რომელსაც მე გემბანის სტიუარდისაგან ვყიდულობდი ხოლმე.

გემიდან ხიდით ჩავედით დიდ დარბაზში. მგზავრები, ფოტოსურათებით ხელში, აქეთ-იქით აწყდებოდნენ და დამხვდურებში თავიანთი ნათესაების



ამოცნობას ცდილობდნენ. ინსპექტორები მაგიდებს უსხდნენ და ჩამოსულებს საბუთებს უსინჯავდნენ.

კარი გაიღო და დარბაზში ვიღაც ახალგაზრდა შემოვიდა. მას ხელში ერთი-მეორეზე დაწყობილი უბრალო, ზოლიანი ნაჭრისაგან შეკერილი „ხინკალა“ ქუდები ეჭირა. პირველად იგი ფანჯარასთან მდგომ კრაველის ბოხოხიან მოხუცებულთან მივიდა, შემდეგ — რიგში მდგომ კახაკთან, ბოლოს მე მომადგა.

— ერთი შენს ქუდს შეხედოს კაცმა, — მითხრა მან რუსულად, — შენ რა, მთელი სიცოცხლე ხამად გინდა დარჩე? ჰმ, კრაველის ქუდი! ხომ არ გგონია, შეერთებულ შტატებში შენს გარდა ვინმეს ეხუროს კრაველის ქუდი? აგერ, შეხედე ინსპექტორს, ექიმს, კაპიტანს — ეგეთი ქუდები ახურავეთ? რა თქმა უნდა, არა!

მე არაფერი ვუბასუხე.

— იცი, რას გეტყვი? მეც ოდესღაც ხამად ვიყავი ამ ქვეყანაში და შენ რომ გიყურებ, გული მიკვდება. არ მინდა სხვაეც ჩაეარდეს ჩემს დღეში. აი ჩემი კეპები. ნახე რა ძვირფასი ზოლიანი ნაჭერია! ასეთ კეპებს ხომ მემანქანებები, მღებავები და მალაროელები ატარებენ, — ბიჭმა ქუდი თითზე დაატრიალა. — ნუ გეშინია, ნამდვილი ამერიკული სტილია: ამ ქუდს რომ დაიხურავ, თავს დავებ, რომ ყველას ამერიკის მოქალაქე ვგონები. მე თანახმა ვარ ჩემი კეპი შენს გაქუთულ კრაველის ბოხოხში გაგიცვალო, პირდაპირ გაგიცვალო. სართად შაურიც არ მინდა.

უნდა გითხრათ, რომ კრაველის ქუდი გამომგზავრების წინ შევიძინე და ჯერ სულ ახალი იყო, მშვენიერი ვერცხლისფერი კრაველისგან შეკერილი. საქართველოში რომ მეცხოვრა, ალბათ, მთელი სიცოცხლე ვატარებდი, მაგრამ...

— იცი რა, — მითხრა ქუდების გამყიდველმა, — მინდა სამუდამოდ დავამახსოვრდეს, რომ ამერიკაში ჩამოსვლის დღესვე ფული ვააქეთე. დოლარს ვამატებ, მოვრჩით?

მე ბოხოხი მოვიხადე და კეპი დავიხურე, პატარა მომივიდა, ძლივს მიფარავდა კინკრისხოს, მაგრამ ამერიკაში ამერიკულად უნდა ჩაიცივა და თანაც რა სასიამოვნოა, როცა გემოვნებით იცვამ! ასე ჩავიგდე ხელში პირველი დოლარი.

სირიელი ისააკის გრძელ სკამზე იჯდა, იაფფასიან სიგარეტს აბოლებდა და ჩვენს ვაჭრობას თვალს აღევნებდა. ერთ კაიუტაში ვცხოვრობდით და ამიტომ ისააკსმა კარგად იცოდა, რა ავლადიდების პატრონიც ვიყავი. როდესაც ქუდების გამყიდველი სხვა მუშტარს მიადგა, ისააკსმა ინსპექტორისაგან თავის დაძვრენის ერთი შესანიშნავი ხერხი მასწავლა, და ინსპექტორმა ჩემს პასპორტსა და შესასვლელ ვიზას რომ გადახედა, მე უკვე მზად ვიყავი თავდაცვისათვის.

— გხვდებიან თუ არა მეგობრები? — მკითხა ინსპექტორმა. — გაქვს თუ არა ფული, რომ ამერიკაში თავი გაიტანო.

მე მწვანე ამერიკული დოლარების მსხვილი დასტა ამოვიღე, ათ და ოც-დოლარიანების მოზრდილი, რეზინაგადაკრული დასტა.

— ოქეი, გაიარეთ, — მითხრა მან და ჩემს ქალაღებს ბეჭედი დაარტყა.

ბარგი ავიღე და გარეთ გავედი, ფულის დასტა კი ისააკის მეგობარს არაბულეოპულოსს დაეუბრუნე: ალბათ ახლა სხვას მიაქირავენბდა ამ შეკვრას; არაბულეოპულოსი სულ ერთ დოლარს იღებდა ქირად. თითქმის მუქითა, არა?

გარეთა ბაქანზე ოსი ზორბეგი დავინახე. ზორბეგიც ტრიუმის მეგზავრი იყო, მაგრამ ჩემსავით პირველად როდი ჩამოდიოდა ამერიკაში. იგი ამერიკის მოქალაქე იყო და სათანადო საბუთებიც ჰქონდა ამის დასამტკიცებლად. გარდა ამისა, იგი „გასპადინ“ ბუფალო ბილის მეგობარი გახლავთ. ეს ზორბეგი პირველად ამ 20 წლის წინ ეწვია ამერიკას. მაშინ იგი მოჯირითე იყო, შემდეგ კი „გასპადინ“ ბუფალო ბილის მთავარი მზარეული გახდა. მან რამდენიმეჯერ დააგროვა ფული და ცოლის ჩამოსაყვანად წავიდა, მაგრამ ვერ იქნა, სახლამდე ვერ ჩააღწია.

— რაო, ნაპირზე გადასვლის უფლება არ მოგცეს? — მკითხა ზორბეგმა.

— როგორ არა, მაგრამ ფული აღარა მაქვს, რომ იმ გემში ჩავჯდე და ნაპირს მივადგე (მომცრო გემი თუხთუხით დაცურავდა კუნძულსა და ნაპირს შუა და ჩამოსულები გადაჰყავდა). იქნებ გადამეცურა, მაგრამ ბარგს რა მოვუწერბო? სულ ცოტა, ორი გზა მაინც უნდა გავაკეთო.

— აი შე ვირისთავო, — მითხრა ზორბეგმა, — ეს გემი უფასოა: მუქთად გადაგიყვანენ. წავედით!

ასე მოვხვდით ნაპირზე.

ნაპირზე კი: ქუჩები, ხალხი, ხმაური!..სახეები, და კვლავ სახეები. ქოთქოთი, ჯიჯლინი, ყვირილი, მაგრამ ყველაზე მეტი — ფუსფუსი და მოძრაობა: წინ და უკან, უკან და წინ. თვალები ამიპრელდა.

ასე გავიარე რამდენიმე კვარტალი. აქ ჩემი საბუთები გამახსენდა, ამოვიღე, ნაკუწ-ნაკუწად ვაქციე და საფურთხებელში ჩავყარე. „ახლა ვეღარავინ დამიმტკიცებს, რომ ამერიკის მოქალაქე არა ვარ“, — გავიფიქრე მე.

— ახლა რა უნდა ვქნათ? — ვკითხე ზორბეგს.

— სამუშაო უნდა ვიშოვნოთ. ეს ჩემზე იყოს.

ჩვენ მუშების დამქირავებელი სააგენტოსაკენ გავემართეთ. საბედნიეროდ, აგენტმა რუსული იცოდა. მან ზორბეგი მაშინვე რუსულ რესტორანში განაწესა შეფ-მზარეულად.

— ახლა თქვენს მეგობარზე მოვილაპარაკოთ. აბა, რისი გაკეთება შეგიძლიათ? — მკითხა აგენტმა.

— მე ტყავის ლამაზად გამოყვანის ოსტატი ვარ. განსაკუთრებით კარგად ვიცი ძველებური მათრახის ტარის კეთება.

— ღმერთო ჩემო, — ამოიხვნეშა აგენტმა. — ეს ხომ შეერთებული შტატებია, აქ ცხენები სადაა, სულ ავტომობილებია. სხვა რა შეგიძლია?

საბედნიეროდ მამაჩემი შორსმჭვრეტელი კაცი იყო და ორი ხელობა შემასწავლა, რადგან იცოდა, როცა ერთი ხელობა პურს ვერ გაქმევს, მეორით შეგიძლია თავი გაიტანო.

— მახვილების კეთებაც ვიცი, მოკლე და გრძელი, სევადიანი და უსევადო მახვილებისა, სანადირო დანებსაც ვაკეთებ — უბრალოსა და მოხატულს, წრთობა ვიცი, ალესვა; პირის აწყობა, — ვუთხარი აგენტს და ჩემოდნიდან ქარგლობის მოწმობა ამოვიღე.

— ო ღმერთო ჩემო, მათრახებისა და ხმლის ოსტატი... — ამოიხვნეშა მან



და ზორბეგს მიუბრუნდა: — ჯობს შენთან წაიყვანო და ჭურჭელი არეცხავი. რესტორანში ყოველთვის ჭირდებათ ჭურჭლის მრეცხავი.

მინისქვეშ ჩავედით და რამდენიმე გვირაბი გავიარეთ მატარებლით. ამ გვირაბებმა მომაგონა სამხედრო გზის გვირაბები, სადაც უზარმაზარი ღამურები ბუღობენ. ოღონდ აქ უარესად ჰყარდა.

რესტორანი შესახვევში მდებარეობდა. მისმა მფლობელმა — „ხაზეიკამ“ ძალიან ტყილად მიგვიღო.

— შენ საჩაიედან მახსოვხარ, — უთხრა მან ზორბეგს. — მოხარული ვარ, რომ ჩემთან იმსახურებ. ძალიან დახელოვნებული ხარ „პირაშკებში“, არა?

— ყველაფერში, მადამ, ყველაფერში, — თავმოწონედ უპასუხა ზორბეგმა. — ერთმა ჩემმა მეგობარმა, ბუფალო ბილმა ჯერზე 30 ცალი „პირაშკა“ შექამა. ეს ჩემი მეგობარია, ჭურჭელს გარეცხავს.

მე რესტორნის პატრონს თავი დავუჯარი.

სამზარეულო პატარა და ჩახუთული იყო. აქ ყველაფერი ღორის შიგანავით იყო გაქონილი. ზორბეგმა დანები ამოალაგა, მზარეულის ქუდი დაიხურა, შინაურულად დატრიალდა სამზარეულოში და მარჯვედ შეუდგა მწვანლის დაჭრას.

— შენ ეს დარეცხე, — მითხრა დიასახლისმა. — ოთხი საათისთვის უნდა მოასწრო, მაგიდა შეგვიყვეთეს.

ერთი ლანგარი ჭიქები უნდა დამერეცხა, თანაც რა ჭიქები! — მუტლიანები, მაღალფეხიანები, პატარები — ერთი ყლუბი თუ ჩაეტეოდა შიგ. პირველი მაშინვე ჩამატყდა ხელში, მეორეც თვალსა და ხელს შუა გამაქრა. რვა, როგორც იქნა, გავრეცხე, მეთერთმეტე თავიდანვე გაბზარული იყო; მეთორმეტე თასის კიდეს მოხვდა, ერთი დაიწკარუნა და ბოლო მოედო.

მე, ალბათ, დღესაც იქ ვიმუშავებდი, მაგრამ სწორედ იმ წუთს, როცა პირველი ლანგარი სარკმლიდან დარბაზში უნდა გადამწოდებინა, ფეხებში რესტორნის კატამ გამიბზინა.

როცა ნამსხვრევების ანგეტა დავამთავრე, ზორბეგს მივუბრუნდი:

— ახლა პური უნდა ვჭამოთ, უკვე შუადღეა. აგე, მუშტრები უკვე ჰამენ. მათ ცქერაში მეც მადა გამეხსნა. მწვადი შეწვი, კიტრი დაჭერი, ერთი კარგად ვისიამოვნოთ ამ ახალ ქვეყანაში.

— ეს რესტორანია, — მიპასუხა ზორბეგმა, — საქართველოს სამხედრო გზის პირას მიყუყული ღუქანი კი არ გეგონოს, სადაც სტუმრები და შინაურები ერთ სუფრაზე ქეიფობენ. ეს რესტორანია და თავისი წესი და კანონი აქვს: მუშტრები როცა გამოიღვეიან, შემდეგ უნდა დავნაყრდეთ ნასუფრალით. აბა, ისევ ჭიქებს შეუღექი, ოღონდ აღარ შემარცხვინო, თუ ძმა ხარ!

მე ერთი ჩარექა არაქანი ვიპოვე, რესტორნის უკან, ხეივანში გავედი და პურს შევატანე. ამას ერთი ქილა ხიზილალაც დავაყოლე. ხიზილალა ძალიან მლაშე გამოდგა. ალბათ, საქესპორტოდ იყო დამზადებული.

„ხაზეიკამ“ მომაგნო. მე წამოვღექი.

— მიირთვი არაქანი, გეთაყვა, მიირთვი, — მითხრა მან, — დაამთავრე, დაამთავრე. ოღონდ შემდეგ იქნებ წასულიყავი აქედან, სადმე შორს წასულიყავი. ნუ კი გეწყინება, მაგრამ ჭიქები და ხიზილალა ძალიან ძვირად მიღირს. შენი ჩეგობრის წყენინებასაც ვერიდები: ძალიან მჭირდება კარგი მზარეული. უცებ რომ გაუჩინარდე, 5 დოლარს მოგცემ.

— ჯერ არაფერი გამიკეთებია და ფულიც არ მერგება თქვენგან, — ვუ-





პასუხე მე. — რაც არის, არის. რესტორანი ჩემი ბედი არ ყოფილა. წავალ, ზორბეგს კი თქვენ უთხარით შემდეგ.

„ხაზიკამ“ ქუდი და ქალაღში შეხვეული რაღაცა გამომიტანა. ხეივანს დავეყვი და ქუჩაში გავედი. ვიარე, ვიარე, ფეხისგულები ამეწვა სიარულით, კისერი მეტკინა აქეთ-იქით ყურებით, მაგრამ მაინც მივიდიოდი. იმდენი ვიარე, უკვე მეორე დღე მეგონა. შევეცადე ინგლისურად გამოვლაპარაკებოდი გამვლელებს. „რა საათი?“ — ვიკითხე, მაგრამ არავინ გამომპასუხებია, ესე იგი, ვერ გამიგეს-მეთქი, ვიფიქრე, და ახლა სხვანაირად შევაბრუნე სიტყვა: „რამდენი საათი?“ — მივმართე ერთ-ერთ გამვლელს. მან თავის მაჯაზე მიმითითა, — ხუთის ნახევარი იყო. რა საოცარი ქვეყანაა! თუ მოინდომებ, უცებ ისწავლი კაცი, ინგლისურს.

პარკში შევედი, ჩრდილი მოგნახე, ფეხზე გავიხადე და წამოვწექი. გავხსენი „ხაზიკას“ გამოტანებული შეკვრა: ბური და ძეხვი აღმოჩნდა შიგ. ახალ ქვეყანაში ცხოვრების დასაწყებად ხუთცენტრიანი ნიკელის ფულიც მოეყოლებინა. „რა ვქნა, როგორ მოვიქცე?“ — სანამ ამაზე ვფიქრობდი, ჩამეძინა კიდეც.

ვილაცამ გამომადგინა. თავზე პოლიციელი მადგა, რაღაცას მეუბნებოდა; მე თავი გვაქნიე, ვერაფერი გავიგე-მეთქი, ვანიშნე. პოლიციელმა ხელები, ფეხები, თვალები და თავი მოიშველია, მოძრაობით, ყესტებით, მიმიკით, რომლითაც თბილისში ნანახი თოჯინა მომაგონა, მიმახვედრა, რომ ბალახზე წამოწოლა აკრძალულია; თუ გინდათ, სკამზე დაბრძანდითო. სკამები უფასოა, ყველას შეუძლია დაჯდესო. აი რა ქვეყანა ყოფილა!

მაგრამ დაწოლა ძნელი აღმოჩნდა — სკამებზე, ყოველი ორი ფუტის დაშორებით, რკინის სახელურები დაემაგრებინათ. ჯერ ცალი ფეხი შევეყავი, შემდეგ მეორეც მივაყოლე და დავეწექი. მაგრამ გვერდი რომ ველარ ვიცვალე?! თანაც, როგორც არ უნდა დავწოლილიყავი, რკინა ნიკაზე მებჯინებოდა. ვიღრე მოვიფიქრებდი, თუ როგორ შემომეველო ამ საქმისათვის, წავედი, ჩემი ხუთი ცენტით მიწის თხილი ვიყიდე და ციყვებს დაეუყარე.

პარკის ირგვლივ აღმართულ კოშკებში სინათლის ანთება დაიწყეს. უკვე დაბნელდა. მე შარავზის მახლობლად ფერდობზე ავედი. აქ, კლდის ქვეშ, პატარა ქვიშნარი ადგილი ვიპოვე. შამფური გავთალე, ტოტებით კოცონი გავაჩაღე, ძეხვი შევწვი და პურს შევატანე. მაგრამ მალე ისევ მომშივდა. პიჯაკი დავახვიე, თავქვეშ ამოვიდე — როგორც ომში ვიცოდით ხოლმე — და დავიძინე.

მე დამალა ამერიკამ და ამიტომ კარგახანს მეძინა. შუალამე აქნებოდა, რომ თვალებში შუქმა მომანათა. ქვევით, შარავზზე, მსუბუქი მანქანა მოქლოშინებდა და ეს მისი წინა ნათურების შუქი იყო. ვიღრე ვუყურებდი, ერთი ამოიხროტირა და დადგა. მანქანიდან კაცი გადმოვიდა. კარგა ხანს ჯახირობდა, ხსნიდა და ხურავდა კაპოტს, უკაკუნებდა მანქანას რაღაც იარაღებს, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ფერდობზე ჩავცოცდი და გზაზე გავედი; ომში თვითმფრინავებთან მქონდა საქმე და ავტომანქანაც ხომ თითქმის იგივეა, — თუ, რა თქმა უნდა, ფრთებს არ მივიღებთ მხედველობაში. წელანდელი პოლიციელის მსგავსად, ხელებით, ფეხებით, თავით მივახვედრე: მომეცი იარაღები, აბა ერთი მე ვცდი-მეთქი. მან იარაღები მომცა და გზისპირა სკამზე ჩამოჯდა.

შევამოწმე სანთლები, განმანაწილებელი, გრავნილა, დავხედე ბენზინის მიმწოდებელ მილს, მაგნეტოს. შემდეგ სახელური ავიღე და დაქოქვა დაეუწყე. ვატრიალე, ვატრიალე, კინალამ გული ამომვარდა. ავტომობილი სდუმდა. მე გავცეცხლდი და მანქანას ლანძღვა-გინება დაეუწყე. რა არ ვუწოდე: მთის დე-





ვის შვილი, ქვაბულის ეშმაკის ეტლი, დავარისზე შავრქიანი თხის სახელად, როცა ქართულად აღარაფერი დამრჩა, რუსულზე გადავედი, რომ ბოლომდე მომეოხებინა გული. შემდეგ ერთი გემოზე ჩავცხე წიხლი რადიატორს. ავტომანქანა ძველი იყო, T მოდელისა. მან დაიფრუტუნა, ვერხვის ფოთოლივით აცახცახდა და ამუშავდა. მანქანის პატრონი ჩემთან მოიჭრა. მიცინოდა, ხელს მართმევდა, რალაცას მეუბნებოდა, რალაცას მეკითხებოდა. მაგრამ პოლისმენის მეთოდი აღარ გამოგვადგა, მართო ექსტები არა კმაროდა. უცებ ჩემი ინგლისურ-რუსული და რუსულ-ინგლისური ლექსიკონი გამახსენდა, ხალათის ჯიბიდან ამოვიღე და მანქანის პატრონს მივაწოდე. მან ლექსიკონი შუქზე დაიჭირა და ფურცვლა დაუწყო. „მუშაობ?“ — მკითხა მან და ინგლისურ სიტყვაზე მიმითითა. იმ სიტყვის გასწვრივ დაწერილ რუსულ სიტყვას დახედე და თავი გავაქნიე. „ბინა?“ — მაჩვენა მეორე სიტყვა. კვლავ უარით ვუპასუხე. მე გამოვართვი ლექსიკონი: „გემი“, „დღეს“. „წამოდი“ — მაჩვენა მან ლექსიკონში — „ჩემთან“, და თითო მკერდზე მიიღო; „ჭამა“, „ძილი“, „სამსახური“, — კარგა ხანს იქექებოდა ლექსიკონში. „სამსახური ხვალ“. — „ავტომობილები?“ — ვკითხე მე, ჩვენ ხომ ქართულადაც „ავტომობილს“ ვიტყვი. „ავტომობილები“, — დამიდასტურა მან და ძალზე ნასიამოვნები დარჩა, რომ ერთი საერთო სიტყვა მაინც აღმოგვაჩნდა.

ჩავსხედით მანქანაში, მრავალი მილი გავიარეთ, მრავალი ქუჩა, რომელთა ორსავე მხარეს სახლები იყო ჩამწყკრივებული. ბოლოს მის სახლს მივალწვიეთ. შევედით, კარგა ბლომად ვსვით და ვჭამეთ — საბედნიეროდ ამას, როგორც მოგვხსენებთ, ენის ცოდნა არ უნდა. შემდეგ მისმა ცოლმა ოთახი მომიჩინა და დავეწქე. ძილის წინ ვფიქრობდი: „აი, უკვე მთელი დღეა ვცხოვრობ ამერიკაში და მართლაც ისე ყოფილა, როგორც ამბობდნენ: ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც ყველაფერი, მართლაც, ყველაფერი შეიძლება მოხდეს!“

— უკვე ოციოდ წელია ვცხოვრობ ამერიკაში და დღემდე ამ აზრისა ვარ.

### ღიას თქვენი უმჯობესობა!

ექვსი თვის ჩასულიც არ ვიყავი ამერიკაში, რომ ციხეში ამოვყავი თავი. ეს ამბავი ასე მოხდა:

ის პირველი ექვსი თვე ნიუ-იორკში გავატარე. კვირები უსაზღვროდ გრძელი მეჩვენებოდა. არც დღესასწაულები იყო და არც ქეიფები, რომ ცოტათი მაინც გავხალისებულყოფიყავი. მოვიდოდა შაბათი და კონკრეტით 12 ან, უკეთეს შემთხვევაში, 14 დოლარს მომცემდნენ ხოლმე. ჩამოსვლის პირველ დღეს რომ კაცს შევხვდი ცენტრალურ პარკში, იმან დაპირება შეასრულა და სამუშაო მომცა გარაჟში. მაგრამ ორი თვის შემდეგ სიდდარი გაუხნდა ავად, გარაჟი მიკეტა და ოჯახიანად სოფელში გადასახლდა. ჩემი ჩიქორთული ინგლისურით ძალიან გამიძინელდა ახალი სამუშაოს შოვნა.

ცოტა ხანს აბრეშუმის ფაბრიკაში ვიმუშავე, შემდეგ ქანდაკების ჩამოსხმელ სახელოსნოში გადავედი, თაბაშირისგან ვასხამდი ულანათო ქანდაკებებს. იქ ვიმუშავე, სანამ მთავარმა მოქანდაკემ აქლემის ჩამოსხმა არ დამავალა. ეს აქლემი უფრო ძროხას წააგავდა. მე არ ვიკადრე ასეთი მაზინჯი ცხოველის ჩამოსხმა და აქა-იქ ოდნავ შევასწორე, რომ აქლემის რამდენიმე ნიშან-თვისება მაინც მიმიცა.

როცა მოქანდაკემ ჩემი ნამუშევარი ნახა, გაცეცხლდა და ის სკოლები ჩამოითვალა, სადაც ესწავლა — ლონდონის, პარიზის, დრეზდენის (საქმეც ესაა: დარწმუნებული ვარ, არც ერთ ამ ქალაქში აქლემის ქაჭანებაც არ იყო). კვლავ უმუშევარი დავრჩი.

შემდეგ ოთახების მოხატვაზე ვიმუშავე, მაგრამ მე და ჩემი უფროსი რა-ღაც ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს. შემდეგ ერთი ქართველი ვნახე (იმ დროს სულ ორი-სამი თუ ვიქნებოდით ნიუ-იორკში), რომელიც ტანსაცმლის წმენდაზე მუშაობდა და მან თანაშემწედ ამიყვანა. საშინელი სამუშაო იყო: ტანსაცმელს ბენზინში ვრეცხავდით, რომ ლაქები ამოსულიყო. ბენზინი ტვინში მარტყამდა, ყელში ჩადიოდა და ყურებიდან გამოდიოდა. მთელი კვირა ბენზინით ვიყავი გაქლენილი.

მიუხედავად ამისა, რაც უნდა მძიმე ყოფილიყო მთელი კვირა, გამოსასვლელი დღე ყოველთვის შესანიშნავი გვექონდა, რადგან ყველანი მთელ დღეს ვან კორტლანდის პარკში ვატარებდით. ეს ხეებითა და ყვავილებით სავსე პარკი ქალაქგარეთ იყო. იქ შეგვეძლო ცეცხლი გაგვეჩაღებინა და ბატკნის მწვადებო შეგვეწვა, მთელი დღე გვესეირნა, სამუშაოზე არ გვეფიქრა და ერთი დღე მაინც დაემტკვარიყავით ადამიანური ცხოვრებით.

კვირადღეობით დილის ექვსი საათიდან მეტროს ვავონებში უკვე ტევა აღარ იყო ხოლმე. ყველა ჯურის ხალხს ნახავდით აქ — რუსებს, ბერძნებს, სომხებს — მიჰყავდათ მოხუცები და ჩვილები, მიჰქონდათ დოქები, დასაკეცი სკანები, ნახშირიანი თოფრაკები, ჰამაკები, სამოვრები, საუზნით სავსე კალათები და ფარდაგები. ყველა ამოჩემებული ადგილისაკენ მიეშურებოდა. იქ ჩაის გააწყობდნენ, საუზმეს ამოალაგებდნენ და ნატრობდნენ, ნეტავი გვიან დაღამდესო.

ის სამახსოვრო კვირა დღე, როცა უბედურება შემემთხვა, გაზაფხულის მიწურული იყო. კაშკაშა დღე იდგა, მოწმენდილ ცაზე აქა-იქ დაცურავდა ღრუბლის თეთრი ფთილები. სწორედ რომ ფათერაკების შესაფერი დღე იყო.

მე პირველად მეცვა ამერიკაში შექნილი კოსტუმი, მეწამულ ზოლებიანი გალსტუკი მეკეთა, ცხვირსახოციც გალსტუკის შესაფერი მქონდა. თავზე ჭილის ქუდი მეხურა, სწორედ ისეთი, იანკი დუდლი რომ ატარებდა. თავს ბედნიერად ვგრძნობდი და ცოტა არ იყოს ვიჯგიმებოდი კიდევ.

ხუთ-ექვს ახალგაზრდასთან ერთად პარკში ვსეირნობდი. პარკში მოკალათებულ ოჯახობით წამოსულ ხალხში ჩვენი ნაცნობი ოჯახებიც ბლომად იყო და ჩვენც ხან ერთ ოჯახს ვეწვეოდით, ხან მეორეს. აქ თითო ჭიქა ღვინოს დავლევდით, იქ ნამცხვარს წავატეხდით, ერთგან ბუფალოდან ახალჩამოსული ბიძა გავგაცნეს, მეორეგან ჰაერზე პირველად გამოყვანილი ჩვილი ვინახულეთ...

პარკის ბოლოს გვიწოდდა გავსულიყავით. მყუდრო ბილიქს დავადექით. გზად ლამაზი ხე დავინახეთ, რომელიც ისე თეთრად ყვავოდა, გეგონებოდათ, აქაფებულაო. ინგლისელები ძაღლის ხეს<sup>1</sup> ეტყვიან.

— ყვავილები! ყვავილები! — იყვირა ერთმა რუსმა, სახელად კირილემ. — დავამტვრევ, თაიგულს გავაკეთებ და ჩემს მეგობარ ქალს მივართმევ.

ამ კირილეს არ ვიცნობდი, საღდაც გზაში მოგვეტმანა. მისი აზრი ყველამ მოიწონა.

— დავგლიჯოთ! დავგლიჯოთ! დავგლიჯოთ ყვავილები, თაიგულებად შევკრათ, და მეგობარ ქალებს მივართვათ.

<sup>1</sup> შინდის ხე.



— ხე რატომ უნდა გავაფუქოთ, — ვთქვი მე, — ცოტა ტვინი გაანძრეთ: თუ გინდათ ლამაზ ქალს დაუშვებოდეთ, თხოვეთ სასაქონლო გამოგყვეთ; უთხარით: შესანიშნავ რალაცას გაჩვენებთ, სახლისოდენა თაიგულს, თაიგულს, რომელიც პირდაპირ მიწიდან იზრდება-თქო, იშვიათი სანახავია-თქო. მაშინ ძალიან ადვილად დაუახლოვდებით სეირნობის დროს და უკან რომ დაბრუნდებით, იქნებ ნაყინის საქმელადაც შემოგყვეთ.

არა, არავინ გამიგონა. მაინცდამაინც ხე უნდა დაემტვრიათ. მიესივნენ და სულ დაგლიჯეს ტოტები. ზოგი ქვემოდან ხტებოდა და ისე გლეჯდა ტოტებს, ზოგიც ზედ მიცოცავდა — აბა ვინ უფრო დიდ ტოტს მოტეხავსო! პირდაპირ ცუდად გავხდი.

— ჩემდა თავად, — ვთქვი მე, — მომერიდებოდა ქალისათვის მუქთად ნაშოვნის, მოპარული ყვავილების მირთმევა, ავადგებოდი და ვიყიდი. ეს პატარისცემა იქნებოდა, ან სულ არ მივართმევდი!

უცებ კირილე, რომელსაც უკვე ყველაზე დიდი თაიგული შეეკრა, ზედა ტოტიდან ძირს ჩამოცოცდა და მითხრა:

— ფეხსაცმლის ზონარი უნდა შევიკრა, ეს თაიგული დამიჭირე ერთი წუთით. ახლავე დაებრუნდები.

მეც გამოვართვი. უცებ ჩემს გვერდით პოლისმენი გაჩნდა.

— კარგია, კარგი! — თქვა მან, — ეს საზოგადო ქონების განადგურებაა. — პოლისმენმა გვარები გამოგვკითხა და პატარ-პატარა ქალაქებზე ჩამოწერა.

— რას შერება? — ვკითხვ სერგეის.

— უწყებებს გვაძლევს!

— უწყებებს?

— ჰო, სასამართლოში უნდა წარვსდგეთ.

— დაპატიმრებული ვართ?

— თითქმის. თუ ჯარიმას გადავიხდით, საქმე მიჩუმდება, მაგრამ თუ თავის არიდებას მოვიწოდებთ და უწყებებს გადავყრით, მოგენახვენ და ციხეში გამოგვკეტავენ.

— რა გვარი ხარ, ამობილო? — მკითხა პოლისმენმა.

ძალიან შევეცადე დამერწმუნებინა, მე არ დამიმტვრევია ტოტები, ეს სხვისი თაიგულია-მეთქი. არ დამიჯერა: ნუ მედავები, თორემ აქვე დაგაპატიმრებო.

კვლავ დაუწყე ახსნა-განმარტება: აი ბიჭები დამიმოწმებენ, რომ მე არა გლეჯდი, სხვა იყო-მეთქი. მაგრამ არც იმათ დაუჯერა. სხვას ნუ აპრალებო. მითხრა. სწორედ არ მინდოდა ამ პოლისმენს ვგანებოდი, ისეთი ეჭვიანი ვყოფილიყავი, რომ ყველა მატყუარა მგონებოდა. აბა რა გემო აქვს ისეთ ცხოვრებას, თუკი ვერავის ენდობი.

ასე რომ ჩემთვისაც გამოწერა უწყება და წავიდა. ის ახალგაზრდა, აი ის კირილე კი არ გამოჩენილა, — ჯერ კიდევ არ მოუთავებინა ზონარების შეკვრა.

— საშინელი საქმე დაგვემართა, — ვთქვი მე.

— არაფერია, — გაიცინა სერგეიმ.

— არაფერი? მთელი ცხოვრება სამშობლოში გავატარე და არაფერს გადავყრივარ. ახლა სულ ექვსი თვის ჩამოსული ვარ ამერიკაში და უკვე გარეწარი დამერქვა. ეს არაფერია? მამაჩემმა რომ გაიგოს ეს საშინელი ამბავი?! რომ გაიგოს ჩემი დაპატიმრება? ჩემი სოფელი რას იტყვის? პირველი აღამაინი, რომელიც კობიანთკარიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში წავიდა და რისთვის? იმისთვის, რომ ციხეში ამოეყო თავი.





— მომხედე, — მითხრა სერგეიმ, — შენ არც კი დაგპირდება სასამართლოში წასვლა: ფული გაგზავნე და თავი დამნაშავედ სცანი.

— თუ დამნაშავე არა ვარ?

— თქვი ვარ-თქო. დროს მოიგებს!

— მაშინ პოლისმენი სწორად მოქცეულა, რომ არავის უჯერებს. ჯერ გაიძახიან არაფერი დამიშავებიაო, მერე დამნაშავედ სცნობენ ხოლმე თავს.

— თუ თავს დამნაშავედ არ სცნობ; სასამართლოში უნდა წარსდგე, საქმე უნდა გაარჩიონ.

— ჰოდა, წარვდგები კიდეც!

— ერთი დღის ხელფასს დაჰკარგავ!

— დავკარგო!

— პოლისმენი რომ ვნახოთ და კიდეც ერთხელ მოველაპარაკოთ? — შემოგვთავაზა არკადიმ.

— არაფერი გამოვა, — თქვა სერგეიმ, — პირადად მე სასამართლოში თავს დამნაშავედ ვცნობ. გიორგი ივანიჩს კი მხოლოდ ერთით შეგვიძლია დავუგებმართო — ნიუ-იორკში დავბრუნდეთ და ფიქსერი ვინახულოთ.

— ვიქსერი? — ვიკითხე მე, — ვიქსერი მელია უნდა იყოს, არა?

— „ფ“, ფიქსერი. ადამიანი. ხალხი ფულს აძლევს საქმეების მოსაწესრიგებლად. სხვადასხვაგვარი ნებართვის შოვნა შეუძლია, გადასახადის ბლანკებს ავსებს, ტრანსპორტის ბილეთებს აუქმებს. ვთქვათ, ლიცენზიაზე უარი გითხრეს — ფიქსერს ფულს აძლევ და იგი რაღაცა მანქანებით ყველაფერს მოგიხერხებს.

— ჰოდა მელია ყოფილა!

— მელია ვიქსენია, — განმიმარტა სერგეიმ, — სულ არეული გაქვს სიტყვები თავში. ფიქსერს დიდი ნაცნობობა და გავლენა აქვს.

წავედით ფიქსერთან. მას დიდი ოთახი ეჭირა, ვითომდა დიდი კაცი ვარო, მაგრამ იატაკი ხელოვნური მარმარილოსი ჰქონდა. თუნუქის ტორშერები მოოქვრილი იყო, ფანერის მაგიდაზე ქაღალდის ვარდებით საესე უზარმაზარი ფიალა იდგა.

ნეტა კედლის პანელები ურთხელისაა? ხელით მოვისინჯე — არა, ფანერა ყოფილა.

— ამ ოთახით თუ ვიმსჯელებთ, მე მგონი, ფიქსერი ნამდვილი ადამიანი არც უნდა იყოს, — ვუთხარი ბიჭებს. — ალბათ, თივით გატენილი ფიტულია და ჩნის მაგივრად პატეფონი აქვს.

— ხმა გაიწყვიტე, თორემ ორჯერ მოგიწევს ციხეში წასვლა.

— აბა, რითი შემიძლია დაგეხმაროთ, ბიჭებო, — გვკითხა ფიქსერმა. — შეგემთხვავთ რაიმე?

მე უწყებები გავუწოდე.

— პოლიციასთან გაქვთ უთანხმოება? — ფიქსერმა თავი გადააქნია. — პოლიციასთან დავა სახუმარო საქმე არ არის. უეჭველად უცხოელი იქნებით, არა?

— კი, აქ უცხო ვარ!

— კარგი, პონორარს წინასწარ ვიღებ. ჩვეულებრივ ათ დოლარს. შენ ხუთს დაგჯერდება. მერე მოვიფიქროთ რისი გაკეთება შეგვიძლია.

ფიქსერს ფული ჩავუთვალე.

— ახლა მიაბმეთ რა მოხდა!

ჩემი მეურვე თავიდან ბოლომდე მოუყვა ყველაფერს.





ფიქსერი ჩაფიქრდა. რალაც ქალღლები გადაათვალიერა. ბლოკნოტში რალაც ჩაიწერა, კვლავ ჩაფიქრდა და ბოლოს განაცხადა:

— იცით რას გეტყვით? ერთადერთი გამოსავალია — შენ ხვალ სასამართლოში წახვალ და თავს დამნაშავედ სცნობ. რალაც ორ დოლარს გადაიხდო და საქმეც მორჩება. გარდა ამისა, მე მთელს ჩემს ნაცნობობას დავიხმარებ საქმის მოსაგვარებლად.

— მომისმინეთ, — ვუთხარი ფიქსერს, — რომ ჩამომხარჩონ კიდევ, იმას ვერ დავიბრალებ, რაც არ ჩამიდენია.

ასე გათავდა ეს ამბავი. ფიქსერი მეტიც ვერაფრით დაგვეხმარა და ძალიანაც გაგვიბრაზდა.

სერგეიმ თქვა, იქნებ მოხუცი მისტერ კოენი გვენახა, რა ხანია ამერიკაში ცხოვრობს და იქნებ რაიმე მოიფიქროსო.

აი რა თქვა მისტერ კოენმა, როცა ჩვენი ნამაზობი მოისმინა:

— ფიქსერ-მიქსერს<sup>1</sup> მოეშვით და მე დამიჯერეთ. უკვე 47 წელია, რაც ამერიკის სრულუფლებიანი მოქალაქე ვარ, პირადად პრეზიდენტმა ჰეისმა მომიწერა ხელი. წადი სასამართლოში. როცა პირველ კითხვას მოგცემენ, უთხარი: არა ვარ დამნაშავე, თქვენო ღირსებავ-თქო.

— არა ვარ დამნაშავე, თქვენო ღირსებავ! რას ნიშნავს „თქვენო ღირსებავ“?

— მოსამართლეს. ამერიკაში ყველა მოსამართლეს ასე უწოდებენ.

— არა ვარ დამნაშავე, თქვენო ღირსებავ! მერე?

— მერე ადექი და შენი ამბავი მოუყევი.

— ჩემი დამტკრეული ენით?

— შეეცადე კარგად მოუყევი. იქნებ მოსამართლემ მოგისმინოს და შეეცადოს გაგიგოს. რა თქმა უნდა, შეიძლება უხეირო მოსამართლე შეგხვდეს, ან ძალიან დადლილი იყოს და ყურადღებით არ მოგექცეს, ან ისეთი, რომლებსაც უცხოელები არ ეპიტნავენბათ; მაგრამ ასეთები თითზე ჩამოსათვლელია. თუ მინდებამინდც ასეთი შეგხვდა, გადაიხადე ჯარიმა, დავას ნუ დაუწყებ. ოღონდ ამერიკას ნუ შეიძლეებ. ჩემთან მოდი და მითხარი.

— რას იზამთ?

— როგორ თუ რას, რა თქმა უნდა, შავ კენჭს ჩაუფდებ მომავალ არჩევნებზე. თუ წესიერად არ მოიქცევა, აღარ გვაჩერებთ თანამდებობაზე.

მეორე დილას სასამართლოში მივედი. ჯერ სხვების სახელები წაიკითხეს: იგორი, არკადი, სერგეი, ფილიპე. აღიარა დანაშაული, აღიარა, აღიარა. ყველას გამოეგზავნა ჯარიმის ფული.

აი ჩემი სახელიც. რალაცას მეკითხებოდნენ, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ გავიგე — ვღელავდი. ჩემი ინგლისური ჩიტვით ვაფრენილიყო. როგორ მიმართე მოსამართლესო? თქვენო კეთილსინდისიერებავ! არა. თქვენო უმაღლესობავ! არა! ეს რუსულია. თქვენო... კიდევ რალაცა მკითხეს. მე უნდა მეპასუხნა. მხნეობა მოვიკრიბე და ვიყვირე: დამნაშავე არა ვარ, თქვენო უმწიკლოებავ-მეთქი! სასამართლოში ერთი ვაი-უშველებელი ატყდა. მთელი დარბაზი ახარხარდა. მოსამართლემ ჩაქუჩი დააბრაუნა — ბახ, ბახ, ბახ! სახე მამლის ბიბილოსავით გაუწითლდა. ნეტა რა ჩავიდინე? ეკვი არ მეპარებოდა, რომ ახლავე სინგ-სინგში<sup>2</sup> გამავგზავნიდნენ და ყველაზე ღრმა ჯურღმულში ჩამავდებდნენ.

<sup>1</sup> სიტყვათა თამაშია: mixer ნიშნავს ამრევს.

<sup>2</sup> ნიუ-იორკის ციხე.



მაგრამ მოსამართლე ჯერ დარბაზს მისდგა: სიტყვა „უმწიკლოების“ გამო ანგ-  
თი მხიარულების ატეხვა სასამართლოს შეურაცხყოფააო. დარბაზის დატუქსვის  
შემდეგ ჩემი ჯერი დადგა.

— ახალგაზრდავ, — მომიბრუნდა მოსამართლე, როცა დარბაზი კარგად  
შეახურა, — სასამართლოს მიმართეთ „სერ“.

— კარგი, სერ!

— როგორც მე მივხვდი, თავს დამნაშავედ არ სცნობთ, არა?

— დიახ, სერ. არა ვარ დამნაშავე!

— ეს ოფიცერი კი ამბობს, რომ თქვენ და თქვენმა მეგობრებმა დაარ-  
ღვეით მუნიციპალიტეტის ბრძანებულება. თურმე ხეს აფუჭებდით, ტოტებს  
ამტვრევდით.

— დიახ, სერ, სხვები ამტვრევდნენ! მე არა!

— რაიმე დამამტკიცებელი საბუთი გაქვთ?

— არა, სერ. ჩემთან მეგობრები იყვნენ, მაგრამ დღეს ვერ შესძლეს მო-  
სვლა. ყველამ დამნაშავედ სცნო თავი და ჯარიმა გამოგზავნა. ასე უფრო იაფად  
გამოვიდნენ — ერთი დღის ხელფასი შეინარჩუნეს.

— რატომ თქვენც აგრე არ მოიქეცით?

— იმიტომ, რომ, როცა დამნაშავე ვარ, ვაღიარებ ხოლმე. ოღონდ როცა  
არა ვარ, ვერაფერს მაიძულებს დავიბრალო. გინდა გითქვამს დამნაშავე ვარო,  
როცა არა ხარ, და გინდა გითქვამს არა ვარო, როცა ხარ! სულერთია, ორივე-  
ჯერ მატყუარა გამოდიხარ!

— დიახ, სწორია! რამდენი ხანია, რაც შეერთებულ შტატებში იმყო-  
ვებით?

— ექვსი თვეა.

— აქ სასამართლობა გაქვთ?

— არა, სერ.

— იქ, სამშობლოში ხომ არაფერში გარეულხართ? ვინმეს ხომ არ დასხმი-  
ხართ თავს, ხომ არავინ მოგიკლავთ?

— დიახ, სერ, მომიკლავს!

— რამდენი?

— უამრავი. მარტო პირველ წელს ვითვლიდი, მერე თავი დავანებე  
თვლას.

— ეგ სადა ხდებოდა?

— ომში. მე სნაიპერი ვარ. ჩემი ვალდებულება იყო მომეკლა ყველა გერ-  
მანელი, რომელსაც დავინახავდი. იშვიათად ბულგარელებიც მხვდებოდნენ,  
მაგრამ იმ საწყლებს მაინცდამაინც არ ეხალისებოდათ თავის ამოყოფა.

— გასაგებია. მაგას არ გეკითხებოდით. ჯარში კი არა, მანამდე ხომ არა-  
ვინ დაგიშავებიათ, ვინმესთვის ხომ არ გაგირტყამთ?

— დიახ, სერ. ერთხელ!

— რა ერთხელ?

— ერთ კაცს კბილები ამოვამტვრიე. ორიოდ კბილი!

ინგლისურიდან თარგმნა ანდრეაფარ ჭეიშვილმა

(გაგრძელება იქნება)



# თამარის მოქცევა

ჰორაციუსი

III — 30

ძეგლი ავიგე ბრინჯაოზე უფრო მაგარი,  
 პირამიდების ქვაზე გამძლე, მარადიული,  
 რომელსაც დეღამა და ვერც მძაფრი აქვილიონი  
 ვერას დააკლებს. ვერ დაანგრევს მას ქამთა სრბოლა.  
 სიკვდილი სრულად როდი შთამნთქავს, — ჩემი არსების  
 უდიდეს წილით გავუსხლტები მე ლიბიტინას  
 და ვიდრე შედის კურთხევისთვის კაპიტოლიუმს  
 ვესტფალთან ერთად ამოსული დიდი ქურუმი —  
 უფრო და უფრო განითქმება სახელი ჩემი.  
 იქ, სადაც მთებში აფვიდუსი ხმაურობს შმაგი,  
 სადაც მღაბიორთ განაგებდა დაუნუს უწყლო,  
 უახნოთაგან მე პირველმა — იტალიურად  
 ავახშიანე ეოლიის საგალობელნი.  
 ო, იამაყე მელპომენა, ღირსი ხარ ამის,  
 მე კი მოწყალედ თავს დამადგი დაფნის გვირგვინი.

კაპულუსი

ჩემო ძვირფასო ვერანიუს, ათას მოყვასში  
 და მეგობარში ბედნიერად გამოჩნეულო,  
 კვლავ მოუხვედი შენს სახლსა და პენატებს შენსას,  
 მოყვარულ ძმებს და დაბერებულს შენითვე დედას.  
 შენ დაგვიბრუნდი, დაგვიბრუნდი, ო, სიხარულო!  
 კვლავაც გიხილავ უვნებელს და მოვისმენ შენგან  
 ამბავს იბერთა ქვეყანისა და ტომებისა —  
 როგორც ვისმენდი მე წინათაც. ყელს მოგექდობი  
 და ძვირფას თვალებს და ბაგეებს კვლავ დაგიკოცნი.  
 ჰე, კაცთა შორის ბედნიერო, განა ოდესმე  
 ჩემებრ გულსავესედ ბედნიერი ყოფილა ვინმე?



## მარკუს ტულიუს ციცერონისადმი

ო, რომულუსის ძეთა შორის — ვინც კი ყოფილა  
ანდა ვინც არის ან ოდესმე მოვა, იქნება, —  
მჭერმეტყველებით უმჯობესო მარკუს ტულიუს!  
პოეტთა შორის უდარესი, უნარჩევესი,  
ყოვლად უჩინო კატულუსი მადლობას გწირავს.  
ჰო. ის იმდენად მდაბალია პოეტთა შორის,  
ორატორთ შორის რამდენადაც შენ მაღალი ხარ!

VII — 19

## „არბოს“ ნამუსრევე

ეგ ნამუსრევი — აწ უფასო და უსარგებლო  
ნაფოტის მსგავსი — ნავი იყო უპირველესი,  
რომელმაც უცხო ზღვის კიდენი შემოიარა.  
ვერც მოძრავ კლდეთა შეხეთქებამ და ვერც სკვითიის  
ბობოქარი ზღვის მძვინვარებამ დალეწა იგი. —  
საუკუნეთა სძლიეს მხოლოდ და ჟამთა სრბოლას  
თუმცა დანებდა, — ყველა მთელ და ახლადაგებულ  
ნავზე წმინდაა ეს პატარა შავი ფიცარი.

## კუბლიუს მონიუს ნაზო



### ქებლი

აჰა, დასრულდა ჩემი შრომა, რომელსაც ქვეყნად  
აწ ველარც ზევსის გულისწყრომა, ცეცხლი, მახვილი  
და ვერც ხარბი და ყრუ სიბერე ველარ შემუსრავს.  
დე, მოიწიოს იგი ჟამიერ მოდგეს დღე იგი,  
როზელიც ძალას ჩემს სჯულზე მოიცემს მხოლოდ,  
დე, მიითვალოს ბინდისფერი ჩემი სიცოცხლე.  
მაღალ ვარსკვლავებს ეახლება ეს ჩემი სული,  
სახელი ჩემი უქცეველი იქნება მარად.  
ყვილგან, სად რომის ხელმწიფება ძალმოსილია,  
ვემახსოვრები მე ქვეყნიერთ. და თუ ახდება  
ქურუმთა სიტყვა და წინასწარმეტყველებანი —  
საუკუნეებს მე უკვდავი დიდებით გავლევ.

თარგმნა თამაზ ჩხენკელმა







პეპკი ბელიაშვილი

მოგზაყრობა ამერიკაში

ამერიკელი კინემატოგრაფისტები საერთოდ მათ კარზე ატუხულ კრიზისს უჩივიან. როდესაც გაიგეს, რომ ლოს-ანჯელისში მივემგზავრებოდით პოლიუდის დასათვალისწინებლად, მათ ფრთხილად ჩამოაგდეს სიტყვა იმის შესახებ, რომ ამჟამად იქ გაფიცული არიან სცენარისტები და ელექტროგამანათებლები. უფრო წინათ კი მგონი სტატისტები ყოფილან გაფიცული. საერთოდ კი პოლიუდში ახლა ძალიან ცოტა ფილმს იღებენო. ტელევიზიამ, სპორტულმა სანახაობებმა თითქმის მთლიანად წაართვა მსაყურებელი კინოთეატრებს, ამიტომ ამერიკაში დადგმული ფილმები უკვე მდარ ანაღლებენ დადგმაზე გაწეულ ხარჯებსაც კი და ამიტომ ბევრმა ფირმამ სასვებით შესწყვიტა ფილმების გადაღებაო, გვითხრეს კინომუშაებმა. ჩვენი პროდუსორები ახლა ფილმებს ევროპაში იღებენ, სადაც ამ ფილმების გადაღება იმის ერთი მესამედით არ უჯდებათ, რამდენიც ამერიკაში და ამით ძლიერ აღწვივენ თავს ზარალსო.

შემდეგ მიგვიწვიეს საპროექციო დარბაზში მათი ახალი ფილმის „ის, ვინც ქარს მოიპოვებს“ სანახავად. ეს ფილმი ჩვენი სიამაყეო, გავიცხადა ასოციაციის პრეზიდენტმა, ჩვენ იგი გავგზავნეთ კანში ფესტივალზე და ვიმედოვნებთ, რომ პირველ ჯილდოს მიიღებსო.

სურათი ძალზე მარტივი სიუჟეტისაა და პროკურორის და დამცველის დიალოგის მეტს არაფერს არ წარმოადგენს. მთარგმნელი არა გვყავდა. ჩემს გვერდით მჯდომი გიდი იაკუბოვსკი ძლიერ დაპარაკობს რუსულს, გაპირებით მითარგმნის თითო-ორიო სიტყვას, რომელიც არაფრის გავება არ შეიძლება. მე კიანაღმ ხერინვა ამოვუშვი.

ამით დამთავრდა ჩვენი პირველი დღის სტუმრობა ვაშინგტონში.

შეორე დღეს გავემართეთ კაპიტოლიუმის და-

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 6.

სათვალისწინებლად. ამ შენობაში, რომლის გვიანტური გუმბათი მთელს ქალაქზე მბრძანებლობს, მოთავსებულია სენატი და კონგრესი. შიგ საგანგებო საშვებით უნდა შეხვიდეთ. ყოველ დღე-ღანში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე დგანან პოლიციელები, ტყავისბუდიანი ძველებური კოლტის რევოლვერებით შეიარაღებულნი. პოლიციელები თითქოს განგებ შეურჩევიათ, ერთნაირი ზომის ლამაზი, მხარბეჭიანი ვაჟაკები.

დავათვალისწინებთ სენატის სდომის დარბაზში. შემდეგ გავემართეთ ვაშინგტონის ბიბლიოთეკის დასათვალისწინებლად, რომელიც უდიდესია მსოფლიოში და სადაცაა თავმოყრილი მთელ ქვეყანაზე კი რაც წიგნი იბეჭდება. ჩვენი მისვლისას აქ დასათვალისწინებლად მოსულიყო ტილანდის მეფე, რომელიც ამალით გარშემორტყმული დადიოდა ბიბლიოთეკის დარბაზებში.

აქ ჩვენ გვაჩვენეს ამერიკელთათვის ყველაზე უძვირფასესი ხელნაწერები ჯეფერსონისა, ლინკოლნისა, გვაჩვენეს ძველებური მანუსკრიპტები, დიდი სამუშაო დარბაზი. შემდეგ დავათვალისწინებთ კინოფილმების განყოფილება, სადაც დაცულია ათასობით ფილმები დაწყებული უპირველესიდან უკანასკნელ დრომდე.

მე მაინტერესებდა, ნეტავ ამ ბიბლიოთეკაში ჩემი წიგნები თუ არის-მეთქი. გილის დახმარებით მოვხავე კატალოგების დარბაზში ის უჯრა, სადაც აღფაბეტის თანმიმდევრობით გვარები იწყებოდა „ბელ“-ით. მიუხედავად ასეთი მიახლოებული საძიებლისა, მე კარგახანს მომიხდა ფურცლა, სანამ ჩემ გუარს წაეწყვიტებოდა. აღმოჩნდა, რომ ოთხი სხვადასხვა სახელწოდების წიგნი იყო ჩემი, მხოლოდ რუსული თარგმანები. შემდეგში გავიგე, რომ ქართულებიც ყოფილა, მაგრამ, ვინაიდან აქამდე სპეციალისტი არა ჰყოლიათ, ათას ხუთასზე მეტი სხვადასხვა ქართული წიგნი დაეღავებინათ, ისინი ჯერ არ შეუტანიათ კატალოგებში. ეს მუშაობა ამჟამად მიმდინარეობსო.



დღით სამხატვრო ეროვნული გალერეის დასათავლიერებლად გავემართეთ. ეს უზარმაზარი შენობა მილიონერ მელონს აუგია. მან 15 მილიონი დოლარი გადასდო თურქე მის ასაგებად და თავისი სურათების უმიღდრესი კოლექციაც ამ გალერეას შესწირა. ამავე დროს ხუთი მილიონი დოლარი შეიტანა ბანკში, რომლის ღვიდენდები ხმარდება მუსეუმის საპროექტას, ახალი ექსპონატების შექმნასა და სარესტავრაციო სამუშაოებს. მელონს სხვა მიღდრებაც მიზამეს და თავისი კოლექციები შესწირეს ამ გალერეას. ამგვარად, გალერეის ფონდებში დაგროვდა 16 ათასი სურათი და ქანდაკება. უნდა ითქვას, რომ ლუვრისა, ერმიტაჟისა და დრეზდენის გალერეების შემდეგ, რაც ჩემი თვლით მინახავს, ამ სამხატვრო გალერეამ უდიდესი შთაბეჭდილება დასტოვა ყოველ ჩვენგანზე. შეიძლება ითქვას, რომ აქ თავმოყრილია აღორძინების ხანის უბრწყინველესი შედეგები. აქ ნახავთ სურათებს ტიციაინისა, რემბრანდტისა, ჯოტოსი, ტინტორეტოსი, ვერონეზისა, ჯორჯონისა, ფრანც პალისა, ვან-დეიკისა, ველასკესისა, ელ-გრეკოსი, მურილიოსი, ვატეტოსი, რენვანისა, სეზანისა, და ვინ მოთელის, კიდევ რამდენი ცნობილი ოსტატის მხატვრული შედეგები ამშვენებს ამ შენობის დარბაზებს. ერთადერთი გულდასაწყვეტი ის იყო ჩემთვის, რომ დროის სიმცირის გამო ვაქუნებული ცხენებით დავრბოდი დარბაზებში და დრო არა გვჭონდა უფრო გულდასმით დავეთვალიერებინა თუნდაც ის სურათები, რომელთა დედნების ნახვა მე ოცნებად მქონდა გადაქცეული.

აქვე, ქირით იძლეოდნენ საინტერესო სასმენ აპარატებს. ესაა ტრანზისტორებით მოქმედი მაგნეოფონი, რომელიც სამ ენაზე იძლევა ახსნა-განმარტებებს სურათების შესახებ. ვიკეტებ სასმენს ყურზე, მიღიხარ სურათთან და აპარატი გიხსნის ერთერთ ენაზე, თუ რას წარმოადგენს ეს სურათი, ვისი ნამუშევარია იგი და სხვა.

ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება. აქ სურათები, მგონი, ფერის კოლორიტის მიხედვითაა დალაგებული, რადგან ერთ დარბაზში თუ ნახავთ რემბრანდტისა და ტიციაინის სურათებს ერთად დაიკიდულს, გაიხედავთ და სულ სხვა დარბაზში ნახავთ რემბრანდტის მეორე სურათს სეზანის გვერდით. ამიტომ, როდესაც რომელიმე ცნობილი მხატვრის ერთ ან ორ ტილოს წააწყდებით, არ იფიქროთ, რომ ამით ამოიწურება ამ მხატვრის სურათების კოლექცია ამ გალერეაში. მაგალითად, ტიციაინის „ვენერა სარკესთან“ ცალკე დარბაზშია, სადაც სხვა მხატვრების სურათებია გამოფენილი, ხოლო მეორე დარბაზში ხუთი თუ ექვსი უმესანიშნა-

ვესი სურათია იმავე ტიციაინისა სულ სხვა მხატვრების გვერდით.

გალერეის ცალკე დარბაზში შესასვლელთან იყიდება მშვენივრად დამზადებული რეპროდუქციები სურათებისა, ალბომები და მონოგრაფიები. ჩვენც შევიძინეთ რამდენიმე რეპროდუქცია და შინისაკენ გამოვემართეთ, რადგან დღესვე უნდა გავფრინდეთ ლოს-ანჯელოსში.

„ლოს-ანჯელოს“—ჩვენებურად რომ ვთარგმნოთ, გამოდის „ანჯელოსის ხვედრი“, თუ რაღაც ამდაგვარი. და მართლაც, მთელი ეს სანაპირო წყნარი ოკეანისა, ჰავის მსრივ ამქვეყნიური სამოთხეა. აქ ზამთარ-ზაფხულ სულ ერთნაირი ტემპერატურაა, ოციდან ოცდაათხ გრადუსამდე სითბო. ყველაზე ცხელი დღე ოცდაცხრა გრადუსს არ აღემატება. აქ დეკემბერ-იანვარშიაც ისევე ბანაობენ ზღვაში თუ ეზოში გამართულ აუზებში, როგორც ივლის-აგვისტოში. წელიწადში აქ სპას ორმოცდაათი მზიანი დღეა და სწორედ ამან განაპირობა მთელი ამერიკის კინო-მრეწველობის ამ ქალაქში თავმოყრა. ისე კი ეს ქალაქი ნათვის მრეწველობის ცენტრია, აქაა უდიდესი საბადოები ნავთობისა. აქვეა საავიაციო და სამხედრო ქარხნები.

ფართობის მიხედვით ლოს-ანჯელოსი უდიდესი ქალაქია მსოფლიოში, მისი სიგრძე-სიგანე თითქმის ას კილომეტრს უდრის. მთელი ქალაქი, გარდა ცენტრალურ მიტროპოლიტან ნაწილისა, ერთსართულიანი, პატარა, ერთბინიანი სახლებიანია შედგება. მარტო ცენტრალურ ნაწილშია არსებულ ისე ბევრი მრავალსართულიანი სახლი და ისიც საგანგებოდ ნაგები, სეისმურად გამძლე. აქ ხშირი ყოფილა მიწისძვრები.

აერობორტიდან გასვლისთანავე მივიდევართ ხოვობებით ალაღამებულ ფერად-ფერადი მანქანების ზღვაში. აქ უმთავრესად რძისფერი მანქანებია, თუმცა არის წითელი, შავი, შინდლისფერი, მწვანე და მოლურჯო ფერისაც. ყველგან დიდი ფართობები აქვთ დომობილი მათ სადგომებს, არა მარტო ვაგზლებთან, არამედ ქალაქის ყოველ ვაჯჯვარდინზე, ბენზო-კოლონიკებთან და ყოველი ეს თვალუწვდენელი ბაქანი სავაეა მანქანებით.

გამოვედით ერთ-ერთ უფართოეს და უფრქეს ქუჩაზე „უილიშერ ბულვარზე“. აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ერთმანეთს ცვლიან ეკლესიები, სინაგოგები, ბაპტიტების სამლოცველო სახლები და სადამზღვევეო საზოგადოებების მრავალსართულიანი შენობები.

საერთოდ ამდენი სადამზღვევეო საზოგადოება, რამდენიც ლოს-ანჯელოსში დაგვანახეს, მე მგონია მთელ მსოფლიოში არ არსებობდეს.



ამერიკელებს, როგორც ამბობენ, ძალიან უყვართ ყველაფრის დაზღვევა, რადგან აქაც ხედავენ მიუღლოდნელად გაფიდრების მცირე შანსს.

ერთ იდგლას თვალი მოგვეტრა მარმარილოთი ნაგებმა ცათამბჯენმა. იგი ნავთობის დამამუშავებელი საზოგადოების სამმართველოს შენობა ყოფილა.

ქუჩის გასწვრივ ჩამწყრივებულია კელაბტრებივით მაღალი ოცდაათმეტრიანი პალმები ქოქოსისა. ისინი ისე ერთნაირი არიან, ხელოვნურსა გვანან. მთლად გამიშვლებულნი, უტოტონი ატყორცნილან მალა, იქ თავზე თარგულვით აღვათ მარაოსმსგავსი ფოთლები, თავისი ბუნებრივი ძენძის სქელი სახნით შემოსალტული.

ბევრია მალაზიებში იშვიათი და კარგი გემოვნებით გაფორმებული ვიტრინები და, რაც მთავარია, კარგი რეკლამები. თუ ნიუ-იორკი ვერ დაიტრბახებხს სისუფთავით, აქ ბირიქით, ყველაფერი, ქუჩები, ტროტუარები, სახლები ეზოები, ისე გაწყრილებულ-გასუფთავებული, ყველაფერი ისე ახლად და ცოცხლად გამოიყურება, გვგონება, მთელი ეს ქალაქი სულ ახლახან დაუმზალიბათ ქარხანაში და მსუზე გამოუდგამთ გასაშრობად.

პირიცი ისეთი სუფთაა, კასკასა და გამჭვირვალე, რომ ესეც ქიმიურად გაწმენილი გგონია კაცს.

თუ ნიუ-იორკის ცენტრში უამრავი მანქანების გულამუშავებული ბოლი თვალგს გწვას და სულს გიხუთავს, აქ, ამ ვაშლილ ადგილზე ამას ვერ იგრძნობთ, მიუხედავად იმისა, რომ აქაც უამრავი მანქანა მოძრაობს.

ღრობა ვარემოებამ მიიქცია ჩვენი ყურადღება, თითქმის არ დაგვიჩანავს საბარგო და სატვირთო მანქანები. არ ვიცი, ისინი ღამით მოძრაობენ თუ მათი საჭიროება აღარ არის, ეს კია, რომ მათ ძალზე იშვიათად ვხვდებით.

დავბინავდით სასტუმრო „კლარკში“. იგი ქალაქის ცენტრშია, იქ, სადაც მრავალსართულიანი სახლები თითქო საათბიროდ მოგროვილიან.

სასტუმროები აქ სტერეოტიპიურად ერთმანეთს გვანან. პატარა ნომრები, იატაკზე, ყველგან, ღერეფნებშიცა, ნომრებშიაც რბილი ნოხები, ხელოვნური ქსოვილისა თუ კაუჩუკისა, ტელევიზორები არაჩვეულებრივად დიდი ეკრანებით, გაწყრილებული აბაზანები და ქვესადგურებით მომუშავე ტელეფონები. აკერბთ სასტუმროში არ შემხვედრია ქალაქის ქსელში პირდაპირ ჩართული ტელეფონი, ისე როგორც ეს ჩვენს სასტუმროებშია.

დავბინავდით და მაშინვე მოვეწყვეთ დასაძინებლად.

დილას გავემგზავრეთ პოლიუდის დასათვლიერებლად, ხოლო წინასწარ მიგვიწვიეს მხატვრული ფილმების წარმოების გაერთიანებულ სამმართველოში თუ საბჭოში. დიდ დარბაზში შემოვუსხედით მრგვალ მაგიდას. ამერიკულ კინომრწველობის მხრიდან საუბარს ესწრებოდნენ: აქტიორთა კავშირის თავმჯდომარე ჯორჯ ჩენდლერი, ამავე კავშირის გამგეობის წევრები მსახიობი ქალი რუთ ასეის და ცნობილი ფილმის „ბენ-ჰურის“ მთავარი როლის შემარულბელი მსახიობი ჩარლტონ ჰესტონი, მწერლები რიჩარდ ბრაინი და „ბენ-ჰურის“ სცენარის ავტორი კარლ ტენბერგი; რეჟისორები: მარკ რობსონი, ფრანკ ბორზაკი, რომერტ რისი (მინცდამინც არ იყო დიდი რიბის პატრონი); პროდუსორები: ბრაინ ფლორი, ფრანკ როზენბერგი. სტუდიების ხელმძღვანელები: კოლუმბია ფილმისა — უელლი ლევი და დისნეის წარმოებისა — დონ მოიე და კიდევ რაღაც მთავარსამმართველოს ხელმძღვანელები: კლარკ ჰ. უალეს—მგონი, და ჯოჯორეი შერლოკი, ესეც რაღაც წარმოების დირექტორი. ცოტა მოგვიანებით საუბარს შემოვიბარა პროდუსორი თუ დირექტორი მისტერ ვანიი, რომელიც შესანიშნავად ლაპარაკობდა რუსულად. საერთოდ თარჯიმანის როლს ასრულებდა ვინმე ზემანიში, ისიც წარმოშობით რუსეთიდანაა, არ ვიცი ებრაელია თუ ოსტრეელი გერმანელი ან რომელიმე სხვა ეროვნებისა. რუსულად ლაპარაკობს იდეალურად.

პირველად ვიკითხეთ, თუ რას იღებენ ამკამად პოლიუდში.

გვითხრეს, რომ იღებენ „სპარტაკს“, დგამს სტენლი კუბრიკი. დგამენ სურათს „ალამო“, სურათი ამერიკისა და მექსიკის ომს ასახავს. დგამს ჯონ ევი. შემდეგ დგამენ „დიად ისტორიას“ ქრისტეს ცხოვრებიდან. (ნეტავ მერამდენჯერ უნდა დადგან). დგამს ჯორჯ სტივენსონი. იღებება აგრეთვე გოგოლის „ტარას ბულბა“. დგამს კალტენბერგი. შემდეგ „დაუმთავრებელი ისტორია“ ლისტის ცხოვრებიდან და თუ მივუშობთ „ჰარის მოკელს“ კრემერის დადგმას, რომელიც უკვე ვნახეთ ვაშინტონში, ესაა თითქმის მთელი იმ სურათების სია, რაც ამკამად პოლიუდში იღებება.

ეს მაშინ, როდესაც პოლიუდი წელიწადში დგამდა დაახლოებით რვაას ფილმს.

რა მოხდა? რამ გამოიწვია ასეთი კატასტროფული დაქვეითება ფილმების წარმოებისა?

პოლიუდის მესტერები ამას ხსნიან იმ გარემოებით, რომ ტელევიზიამ, სპორტულმა სტადიონებმა და სხვა ამგვარმა სანახაობებმა, გარდა ამისა, ქალაქების მოსახლეობის ლტოლვამ ქალაქგარეთ ცხოვრებისაკენ, რასაც ხელს





უწყოს ავტომობილიზმის განვითარება, დააკრავინა კინოთეატრებს მყურებელი და ახლა იწვიათა ამერიკაში გადაღებული ფილმი, რომელიც ანახლავრებდეს ხარჯებს, ხოლო, როგორც ცნობილია, კაპიტალისტურ ქვეყანაში თუ დახარჯული დოლარი დიდფინანსს არ იძლევა, ისეთი წარმოება იმწამივე კვდება.

ამიტომ ხარჯების გაიფხვინების მიზნით ამერიკელი პროდუსორები და დირექტორები ვერონასში და სხვა ქვეყნებში გაიკრნენ სურათების დასადგმელად, რათა იფად გამოსულაყვნენ. ახალ სურათების დაღმა, არამედ სცენარის შექმნასაც სახლავარგებ შეუდგნენ, რამაც გამოიწვია სწორედ რამდენიმე ათასი პოლიეუდელი სცენარისტის გაფიცვა.

როდესაც ვიღებთ ვეკითხებოდი, რამდენ ფილმს იღებენ ამჟამად წელიწადში პოლიეუდელ-მეთქი, მათ ისე ვითხარეს, დაახლოებით ას-მეტი, რომ მაშინვე ვუხეხაში ვაკიფიქრე. ალბათ ათი-თორმეტის მეტი არ იქნება-მეთქი. და მართლაც, ახლა საუბარში გამოირკვა, რომ თვით პოლიეუდში ამჟამად ამოიხსნა არ იღებენ და მთელი ეს გიგანტური სტუდიები ათეული თუ ასეული პავილიონებით, დეკორაციული ქა-ლაქებით, სიფფებით, მღინარეებით თუ „ლღე-ებით“ ღლეს უქმად დგას და ჩამკვდარია.

ფიქრობ, მყურებლის გაქცევა კინოდან არ აიხსნება მარტოდენ ტელევიზიით ან სტადიონებით. ტელევიზორები ამერიკაშიც არ არის ისეთი დიდალურები, რომ დიდი სიამოვნება მოაყვოს და, ცხადია, იგი ვერ შეედარება კარგსა და მყუდრო კინოში ნახულ სურაოს. სტადიონები და სხვა სანახაობით დაწესებუ-ლებები მაშინაც არსებობდნენ, როდესაც ხალხი აყუდებოდა კინოს.

ჩემის აზრით, ეს კრიზისი გამოწვეულია უნიკო სურათების დაღმით და უნიკო მსახიობების გაბატონებით ეკრანზე, ხაქმეს ვერ უშველა იმანად. რომ ამერიკაში არ მოერიდნენ თითქმის სავსებით პორნოგრაფიული სურათების გამოშვებას. ჩვენ, ნიუ-იორკში, ათწუთის განმავლობაში ვიღებოთ კინოთეატრის წინ, რომელშიაც ასეთი ფილმი მიდიოდა, ხოლო რეკლამებზე ასახული იყო ვულგარული ნახტერადმიშველი ქალის გადიდებული ფოტოსურათები ყოვლად უხამს პოხეში, მერე და რამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი ახალ-გაზრდა შეჩერდა სალაროსთან, იყიდა ბილეთი და შევიდა თეატრში.

დამარჩენი ფილმები კი მომამბურებელი მოსაწყინი და უნიკო. შეიძლება დათამისა და ტენიკურად შესრულების მხრივ ეს სურათები არცთუ ისე ცუდი იყოს, მაგრამ ერთფეროვნება, რავინდ გენიალურად არ უნდა იყოს. მოსაწყინია და მოსამბურებელი.

კინომსევერებმა სცადეს გამოსავალი ენახათ და ფართოეკრანიანი კინო მოიგონეს. არც უშველა, თუმცა ფართო ეკრანმა ერთგვარი სასწრაფო დახმარების როლი შეასრულა, მაგრამ ასეთი სურათის დაღმა ვაცილებით ძვირი ჯდებოდა და ხარჯებს მაინც ვერ ანახლავრებდა.

მასპინძლებმა კითხვა კითხვაზე დაგვყარეს. მათ ბევრი რამ აინტერესებოდა ჩვენი, ხაბტოთა კინომრეწველობის პრობლემებიდან.

მაგალითად, გვეკითხეს: ვინ წყვეტს ძირითადად ამითუ იმ სურათის გადაღებას.

ვუპასუხეთ: სტუდიის ხელმძღვანელობა და სამხატვრო საბჭო.

ვინ აფინანსებს სტუდიას? როგორ ხდება ეს აფინანსება? — ამ კითხვაზე რასაც ვეტყუ-დით, ჩვენი მკითხველისათვის ცხადია, ნათე-ლია.

შემდეგ გვეკითხეს, რას უშეგვიან იმ რეჟისორს, რომლის დაღმაც ჩავარდება?

რა უნდა უქნან? არაფერს. ხელახლა მისცე-მენ დაღმას, რადგან ხელოვნებაში მარცხე შეიძლება მიუვიდეს ყველას, დამდგმელი რეჟი-სორი იქნება ეს თუ მსახიობი, მაგრამ ეს რო-დი ნიშნავს იმას, რომ რომელიმე მათვანი უნიკია.

თუ მეორედ ჩავარდა? მესამედ მისცემენ დაღმას, შეიძლება მეოთ-ხეჯერაც. იყო ასეთი შემთხვევები.

ვინ უნდა ანახლავრდეს ის ხარალი, რომე-ლიც გამოწვეულია სურათის ჩავარდნით?

სახელმწიფომ, ვუთხარით ჩვენ.

— ნუთუ არავინ ისჯება ამის გამო? გაო-ცებით გვეკითხებოდა ისინი — განა დამდგმელი რეჟისორი არ დაპყარგავს თავის სამსახურს?

— არა, არ დაპყარგავს. — ვუთხარით ჩვენ, — ის დაპყარგავს მარტო პრემიალურ თანხას, რომელიც უნდა მიეღო, თუ სურათის დაღმას წარმატებით განახორციელებდა. ისე კი მას სამსახურიდან არავინ მოხსნის.

— არც დააქვეითებენ? — გვეკითხებოდა კვლავ ისინი.

არც დააქვეითებენ, თუ რაიმე დანაშაული არ ჩადინა. შემოქმედებითი მარცხი კი ჩვენში არ ითვლება დანაშაულად.

ასეთი იყო ჩვენი კითხვა-პასუხების მთელი სერია და ბევრი რამ ჩვენი პასუხებიდან გულ-წრფელად იწვევდა გაოცებას ამერიკის კინო-მსევერთა შორის.

გვეკითხეს. ვინ მოსაწყინობს მასიურ სცენებ-ში. როგორც ეტყობა, მათ სურდათ გავცოთ, დაქირავებული ხალხი ღებულობს მოსაწყინო-ბას თუ მოხალისენი. შემდეგ შეგვეკითხნენ, რომელი ამერიკული სურათი მოეწონათ საბ-ჭოთა კავშირშიო ამით ალბათ სურდათ ცოდ-





ნოდან, თუ რა ხასიათის სურათებს ექნებოდა გასავალი ჩვენში.

საუბრის დამთავრების შემდეგ ჩვენ ცალ-ცალკე ჯგუფებად გაემგზავრეთ სხვადასხვა კანონტულების დასათვალისწინებლად.

ჩვენ ოთხი კაცი წავიყვანა თავისი საკუთარი მანქანით კინოაპარატსა მისტერ მიშელ გრინმა. მისი მანქანა შავი ფერისა და მუზეზე საარაკოდ ხურდება. ჩავსხედით და თითქოს გახურებულ ღუმელში შეგვეყვოს თავი. მისტერ გრინი მიუჯდა საკეცს, ღიღის თითი დააკაზა და ფანჯრები სხაუნით დაიხურა. მეერ ჩართო კონდიციონერული ჰაერის აპარატი და ორიოდე წუთის შემდეგ ჩვენ უკვე საამო სიგრილეში ვისხედით და ისე მივქროდით სტუდიისაკენ.

ეს სტუდია ეკუთვნის რომელიღაც სააქციო საზოგადოებას და იგი მთელ ქალაქს წარმოადგენს. აქ ათეული დახურული გიგანტური პავილიონების გარდა ღია ცის ქვეშ აგებულია მუღმივი და მტკიცე დეკორაციები სხვადასხვა სახის ეპოქის და სტილის ქუჩებისა, მაღაზიებით, ბანკის შენობებით, თეატრებით, სასახლეებით. არის აგრეთვე სოფლები, ცალკეული რანჩოები, ძველებური ხის სახლების ქუჩები, ეკლესიები, და ვინ მოთვლის კიდევ რა სახის ან სტილის დეკორაციას არ ნახავთ. ზედა სართულზე გასანათებელი აპარატურისათვის ბაქნებია გაწყობილი.

მაგრამ მთელი ეს ქალაქი უპაციოებს და ამოწყვეტილსა ვაგვს, ჩვენს მეტი ამჟამად არავინ არ არღვევს მის მუდღერობას. მარტო ერთ პავილიონში მიმდინარეობდა გადაღება რაღაც ენობრივად. იღებდნენ სენანს სასამართლოს დიდ დარბაზში. ჩვენ დავესწარიით ამ ენობრივის გადაღებას. უნდა გულახდილად ვთქვა, რომ ასეთი კვალიფიციური და რეალისტურად გათამაშებული ენობრივი ყოველი შემსრულებლის მიერ, კარგა ხანია არ მინახავს. გადაღება სინქრონული იყო. მასიურ სცენაში მონაწილენი, რომელნიც სასამართლოს დარბაზში მოსული მაყურებლების როლს ასრულებდნენ, ისე ორგანულად განიცდიდნენ მოქმედების მსვლელობას, რომ იფიქრებდით, ესენი მართლაც რაღაც მეტად საინტერესო საქმეს ისმენენო.

შესვენების დროს მოგვიყვანეს და გავაცანეს მთავარი როლის შემსრულებელი ახალგაზრდა, საოცრად ლამაზი ვაჟკაცი, შავგვრემანი სახის, და გვითხრეს, ეს რუსია წარმოშობითო. მან გვითხრა, რომ ის მართლაც რუსეთიდან აყოფილა, კიევის თუ ოდესის რაიონიდან. ვფრთხილდებოდა, რომ ის მისი სახელი და გვარი. იგი ებრაელია და მამამისი არ ვიცი 1917 თუ 1918 წელს წასულა რუსეთიდან ამერიკაში ბედის

საძიებლად, ეფრამმა, ცხალია, გრესტლი არ იცის.

სასადილოდ სტუდიის სასადილოში წავედით, იგი არც თუ ისე დიდია, მაგრამ გზიბლავს გასაოცარი სისუფთავით. საქმელებიც მეტისმეტად ფაქიზად და გემრიელადაა დამზადებული.

აქ სასაუბროდ გვერდით მოგვისხდნენ მასპინძლები. მათ შორის ჩემთან ახლოს დაჯდა მწერალი ლუის სერანანო, წარმოშობით ესპანელი, დედა კი ფრანგის ქალი ჰყოლია. იგი უფრო ჟურნალისტიკა, თუმცა წერს მოთხრობებსაც და თანამშრომლობს სახმარეთ ამერიკის ქვეყნების ჟურნალებში.

ჩვენი საუბარი უმთავრესად ამერიკის მწერლობას შეეხებოდა, მე ვთხოვე მას დაესახელებინა ყველაზე პოპულარული მწერალი ამერიკაში. ეს მაინტერესებდა იმიტომ, რომ ჩვენში სახელმწიფოებრივი და პოპულარული ამერიკელი მწერლები ხშირად თავის ქვეყანაში არც თუ ისე ჰქვხან, როგორც ჩვენს გვეგონია. ასე მაგალითად, როდესაც ასახელებენ ყველაზე სხელმწიფოებრივს, იქ ვერცერთჯერ ვერ ვაგვიგონეთ, რომ დაესახელებინათ ან ჰემინგუეი ან კოლდუელი, მართალია, მათ შესახებ ძალიან კარგა აზრისანი არიან და ამბობენ, ესენი მართლაც მშვენიერი მწერლებიაო, მაგრამ მათზე წინ დამისახელეს ჯერ ფოლენერი, ახლა კი მისტერ ლუის სერანანომ დამისახელა ტენესი უილიამსი, როგორც ყველაზე პოპულარული მწერალი. შემდეგ მან მითხრა, რომ ახლახან გამოვიდა ა. მილერის ძალზე საინტერესო რომანი „ხელახლიდან“.

ჩვენი საუბრის დასაწყისში ამერიკაში წარმოშვა ლტერატურული მოძრაობა „ნაგავის მქექაობის“ სახელწოდებით. ამ მოძრაობის მიმდევარი აკრტიკები ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალის ძვიმე უილიამს, მე არ ვიცი, ზემოთ დასახელებული მწერლები ჰქექავენ თუ არა თანამედროვე ამერიკულ ნაგავს თავიანთ რომანებში, მაგრამ ეს კი ცხალია, რომ მათი პოპულარობა, ეფექტობა, არ უნდა იყოს გამოუწვეული დიდი პროგრესული იდეებით. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ძნელია ამ წიგნების წაუკითხავად რაიმეს თქმა მათ შესახებ. ზოლო ჩემს შეკობაზე. თუ რატომაც ასე პოპულარული ეს წიგნები, გარკვეული პასუხი ვერ მივიღე.

ჩვენს გვერდით მაგადას უსხდნენ გრიმას-მული მსახიობები. მათ შორის იყო ერთ-ერთი კინოარტისტიკური მსახიობი ქალი დიანა მაკენ, ქერათმიანი ტანწერწერტა გოგონა, წარმოშობით შოტლანდიელი. ჩვენ ერთმანეთი გააცანეს, ფელიქს ვისოცკიმ სურათიც კი გადავიღო ერთად. მე ვუთხარი ახალგაზრდა ქალს, თბლისში როცა ჩავალ, ჩვენს ჰანუკებთან ტრა-



ბაზს დაეწყებ, ამერიკელი კინოვარსკვლავი გეიცანი-მეთქი. შემდეგ ქართული სამკერდე ნიშანი ვაჩუქე და ამით დამთარდა როგორც ჩვენი საუბარი, ისე ჩვენი ნაცნობობაც.

მისტერ გრინმა ისევ ჩაგესვა თავის მანქანაში და ვხად თავის საკუთარ სახლში გაგატარა. როდესაც კიშკარს მიუახლოვდა, მანქანა შეაჩერა ერთ წუთს. კიშკარი თავისით გაიღო, შექვლით ეზოში, კიშკარი თავისით დაიხურა.

მისტერ მიშელ გრინი ანუ ძველებურად თუ ვუწოდებ მიხეილ იოსების ძე ვრინბერგი, რუსი ებრაელია, ამერიკაში ამ ორმოციოდ წლის წინათ გადასახლებული. აქ გამდიდრებულია და ახლა ცდილობს თვალი მოგვეპაროს თავისი სიმდიდრით. მისი ერთსართულიანი სახლი არც თუ ისე ღირდა. წინ, ცხადია, მოლით დაფარული ეზო, ბეტონის ბილიყები. თითონ სახლი საოცრად დაბალქერიანი და ოთახში, ჰერის აბაღების მიზნით, ჰერის ლამფა სახურავზეა აკრული. ოთახები არც თუ ისე ბევრია, წინ სასტუმრო, ძვირფასი, მაგრამ სადა ავეჯით, კედლებზე რამდენიმე სურათი (სადენები), გოონი ერთი მათგანი სისლეი იყო. ერთ კედელზეა აღმართული ბუტყეროს დიდი სურათი რალაე ბობლიურის მსგავსი სიუჟეტით. პატრონი მიმტყეებდა, ეს ძალზე ძვირფასი სურათიაო, მე კი მართალი ვითხრათ, მას სახლში არ შევიტანდი.

გავედი ეზოში. აქაც მთელი ეზო გასა—ნაბადივით რბილი მოლი, შეუაღლში თეთრი კაფელით მოვებული საბანაო აუზი, რომელშიაც ღრუჯი წყალი კამკამებს. ყოველ აუზში აწყობენ განათებას ლამაზობით, როდესაც ასეთ განათებულ აუზში ჩაიხიხართ, შეგიძლიათ თავი ზღაპრულ ფერიად წარმოიდგინოთ, თუ, რასაკვირველია, შესაფერი გარეგნობაც ხელს გიწყობთ.

აუზის მიღმა მარმარილოს იატაკიანი გრძელი და ფართე საიხიბია გამართული, რომლის ერთი მხარე მთლიანად შუშისაა და ეზოს მეორე ნახევარს ვაჭყურებს. იქაც მოლი ბიბინებს, ეზოს საზღვრების გასწვრივ რამდენიმე ციტრუსოვანი ხეა და რამდენიმე ჰერმისა და ატმის ხე. ეზოში კი ორი მოშინაობურებული ლეოპარდი დასკირნობს, მასპინძელმა მიგივწყვიტა, რომ ლეოპარდებს საკუთარი ხელით მოეფერებოდით. ისინი საოცრად მოალერსე ცხოველები აღმოჩნდნენ.

მასპინძელმა გვაჩვენა აგრეთვე ცალკე გალიაში დაწყვედული იაგუარი. იგი არცთუ ისე ღირდა, ფოტოების ჯიშისაა და მართალია პატრონს მოშინაობურებული ჰყავს, მაგრამ მის მეტი ვერაფერ ვერ მიეკარება; როგორც კი უცხოის დინახავს, მაშინვე აიჭობრება და საცემად ემზადება.

მასპინძელს მადლობა მოუხსენეთ სახლის

ჩვენებისათვის, ვუთხარით, რომ მისი კარმიჭარი მო მართლაც საამო შთაბეჭდილებას სტოვებს. შემდეგ მასთან ერთად გავემართეთ „მეტრო-გოლდვინ-მაიერის“ სტუდიაში, სადაც უნდა გვენახა ფართოეკრანიანი ფერადი ფილმი „ბენ ჰური“, დადგმული მწერალ ლეო უოლესის რომანის მიხედვით.

იქ ცოტა ხანს ცდა დაგვეჩირდა, სანამ ყველანი თავს მოიყრიდნენ და შემდეგ მიგივწყვიტეს სტუდიის საპროექტოო დარბაზში.

სანამ სურათს დაიწყებდნენ, მთარგმნელმა ზემანიშმა გავაცნო ჯერ საერთოდ ფირმა „მეტრო გოლდვინ-მაიერის“ წარმოშობის და განვითარების ისტორია, რაც ორიოდ სიტყვით შემდეგია: ჯერ ამ ფირმას ერქვა მეტრო (რატომ, ეს აღარ ვიცი), შემდეგ მას შეუერთდა ვინმე გოლდვინი (ბევრი ფულის პატრონი რეჟისორი) და ბოლოს მაიერი, ამჟამად მართალია გოლდვინი გამოეყო ამ ფირმას, მაიერი გარდაიცვალა, მაგრამ სახელი მაინც უტყდელი დარჩა. ოთხმოცი წლის გოლდვინი კვლავ ეწევა საქმიანობას. მისმა შეიღმა დადგა ფილმი „ტომ სოიერი“, თუმცა ამბობენ, რომ ეს სურათი მამამ თვითონ დადგა და შვილს მიაწერა, უნდა ცხოვრებაში გამოიყვანოს და გზაზე დააყენოსო. შემდეგ გვითხრა ისიც, რომ ეს ფირმა გაკორტების გზაზე დამდგარი. მაყურებელთა რაოდენობის დაქვეითებამ, დადგმული ფილმებისაგან ზედისზედ მოყვებულმა ზარალმა ფირმა ლიკვიდაციის წინაშე დააყენა თურმე, დივიდენდებმა იკლო, აქციების ფასი კატასტროფიულად დეცა და დაიწყეს თურმე ლაპარაკი ფირმის დახურვის შესახებ. მაგრამ აი, მოველინა ამ საზოგადოებას ახალი თავმჯდომარე, რომელმაც ნერგებულად მოჰკიდა საქმეს ხელი, განიზრახა გრანდიოზული ფილმის „ბენ-ჰურის“ დადგმა, სიიაფის გულისთვის წაიღო იგი და იტალიაში დადგა (ერთადერთი ნაკლებად სარიცხო გამოსავალი) და აი, ამ სურათმა არამარტო აანზღაურა ხარჯები, არამედ მისცა ინდენი შემოსავალი, რომ ფირმა ფეხზე დააყენაო.

ამ წინასიტყვაობის შემდეგ ჩვენ, ცხადია, უფრო მეტი ინტერესით მოვემზადეთ ფილმის სანახავად.

სანამ დარბაზში სინათლე ჩაქრებოდეს, ფილმი იწყება სიმფონიური უგერტიურით და უნდა ითქვას, რომ ასეთი მომჯადოებელი მუსიკა კარგახანია არ მომისმენია, შემდეგ სინათლე ნელ-ნელა ქრება და ეკრანზეა კლდოვანი ხრიოკი საზარეთი. ღამეა, ცაზე აინთო ვარსკვლავი თუ რალაე ალი. შარვანდელი მოსილი, წამოვიდა, გადაუარა თავზე ცხვრის ფარს და კომპლიან მწყემსებს. აი, დადგა იგი ერთ ქოხს და დააშუქა თავისი ნათელი, იშვა ქრისტე-მოდიან მოგვები...



ასე იწყება ეს სურათი, რომელშიაც შემდეგ ნამბობია ებრაელი ბენ-პურის თავდადასავალი, მისი უსამართლოდ დსჯა, წამება, შეხვედრა ქრისტესთან, როდესაც წყურვილისაგან დატანჯულ, გადასახლებაში მიმავალ ბენ-პურს ნაზარეთზე ვავლისას ქრისტემ წყალი მიაწოდა. შემდეგ მენიხზედ მუშაობა რომელს გალერაზე, რომელზედაც რგოლებით ერთ ჯაჭვზე დაბმული მსჯავრდებულნი, რომელს ჯარისკაცთა მათრახებით ზურგაჭრელებულნი, თავდაწირვით უსვამენ ნიჩბებს, ბოლოს ბენ-პური მოიპოვებს თავისუფლებას, მაგრამ შინ დაბრუნებულს დაუხვედრა გავერანებული სახლკარი, სალო კეთრით შეპყრობილი მისი დედა და მეუღლე ბნელ კატაკომბებში არიან დამალულნი.

სურათში ნაჩვენებია ძველ რომაულ კოლიზეუმში გამართული ოთხცხენიანი ეტლების მარულა, რომელიც მართლა და ფანტასტიკია, როგორც ვადალდების ტექნიკით, ისე გრანდიოზულიობით.

საერთოდ ეს სურათი, რომელიც ოთხი საათის განმავლობაში მიმდინარეობს, გვაოცებს თავისი მონუმენტალობით.

როგორც მითხრეს, ფილმი გადაღებულია ხვანგებო ფართო ფირზე და მის საპროექციოდ ხეციალური აპარატურაა საჭირო.

სურათის ნახვის დასასრულს ჩვენთან მოვიდა ბენ-პურის როლის შემსრულებელი მსახიობი ჩარლტონ ჰესტინი. ჩვენ გულწრფელად მივულოცეთ მას თავისი როლის ბრწყინვალედ შესრულება. მართლაც, მისი თამაში ამ სურათში კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. თუმცა ისიც უნდა დავძინო, რომ მისი თამაში არ გამოირჩევა შესრულების რაიმე განსაკუთრებულ და ინიციათი ღირსებით. ტექნიკურად კარგად დამუშავებული მისი მიმოცა და ყუსტი ვერ არის გამთბარი იმ დიდი შინაგანი ცეცხლით, რაც ყოველთვის ახასიათებდათ დიდი შთაგონების მსახიობებს. შეიძლება ამ შესაძლებლობას მას უსაბოზო კინოფილმის დანაწევრებულად ვადალდების ტექნოლოგიური მექანიკა, მაგრამ ერთი ცხადია, დღესდღეობით მთელ კინემატოგრაფიაში დიდ ხელოვნებას ცელის დიდი ხელოსნობა, ამიტომაც, რომ თანამედროვე კინემატოგრაფია კრიზისიდან გამოსავალს მონუმენტალობაში ეძიებს, არათუ მონუმენტალობაში, რისთვისაცაა გამოგონილი ფართოეკრანიანი კინო, და უფრო მეტი ზომის სინერამა, სადაც ერთდროულად უკვე სამი აპარატი აშუქებს ნახვეარწრიულ, ათი მეტრის სიმაღლის ეკრანს, არამედ ახლა ცირკორამაკ გამოიგონეს, სადაც ფილმს უკვე მთელ წრეზე უჭვენებენ. როგორ უნდა გამოიბას მაყურებელმა კეთხზე თვალები არ ვიცი, მაგრამ ასე-

თი ფილმის ცქერით, მიუხედავად იმისა, რომ იგი თხუთმეტი წუთის მეტი არ მიმდინარეობს, აღამიანმა შეიძლება ნამდვილად იღრბოს კისერი.

არ დამივიწყებდა, ერთხელ ჩემთან საუბარში ივანე პერესტიანმა, კინემატოგრაფიის ნამდვილმა ექტარანმა და ფუძემდებელმა, განაცხადა: არ არის მართალი, როდესაც აცხადებენ, კინემატოგრაფია ხელოვნებაა. როგორ შეიძლება მანქანით ამოტარებელი სურათები ხელოვნებად იქცეს. კინემატოგრაფია არის მრწველობად ქცეული ფოტოგრაფია და ფოტოსურათი, რაგინდ ბრწყინვალედ არ უნდა იყოს ვადალდებული, მაინც არაა ის, რაც ჯადოსნური ხელით შესრულებული მხატვრული ტილოა.

პერესტიანი ძველ თეატრალურ ტრადიციებზე აღზრდილი მსახიობი და რეჟისორი იყო და არ არის გასაკვირი, რომ მას კინო არ მიეჩნია დიდ ხელოვნებად, და მართლაც, განა შეიძლება მხატვრულ ტილოს გავეტოლოთ ფოტოსურათი? მაგრამ არც მთლად ასეთი ნიშლისტური შეხედულებაა მართალი, რადგან მხატვრის ინდივიდუალური შემოქმედების უნარ ფოტოგრაფიის შეიძლება იქნას გამოვლენილი და ზოგჯერ იგი მართლაც დიდი ხელოვნების სიმაღლემდე აღის. რაც შეეხება მსახიობის უნარს, ამ ფოტოსურათის შემწეობით გადასცეს მაყურებელს დიდი განცდები, ეს უდავოდ დადასტურებს წარსულში ცნობილმა მსახიობებმა და მათ შორის გენიალურმა ჩარლი ჩაპლინმა. მაგრამ თუ კინემატოგრაფიაში ხელოვნების ნაცვლად ხელოსნობა ვაბატონდა, მაშინ მის დაქვეითებას ველარაფერი ვერ უშველის. ტყუილად ჩივიან ამერიკელი კინომესხვეურები, მაყურებელი ტელევიზიამ წაგვართოვა, მე ძალაზე მეტეებმა, რომ იმ ტელევიზორებიოცა ხშირად სარგებლობდნენ მათი პატრონები, რადგან ერთჯერ საქმარისია უცქიროთ ამერიკულ სატელევიზიო გადაცემას, რომ გული აგერიოთ. პროგრამაში ყოველ წუთში ჩაჩრილია უნიჭო სარეკლამო ფილმები და იქ ამ სანახაობით მარტო უსააკო ბავშვები თუ ერთობიან.

კვირას გავემგზავრეთ დისნეილენდის დასათვალიერებლად.

რა არის ეს დისნეილენდი, რომელზედაც ამდენს ლაპარაკობენ ყველგან და მათ შორის ჩვენს პრესაშიც?

ეს არის კინორეჟისორ უოლტ დისნეის თაოსნობით გაშენებული ფანტასტიკური კეთხე, ერთგვარი საბავშვო კეთხე, კულტურისა და დასვენების პარკი, უამრავი, მართლაც და ფანტასტიკური ატრაქციონით. იგი საქამალ შორსაა





ქალაქიდან. გარშემო მას მოწყობილი აქვს დიდი ფართობის მოედნები ავტომობილების სადგომებად. თვით ქალაქი დისნიელენდი, გაშენებულია საკმაოდ მოზრდილ ფართობზე და წარმოადგენს ცნობილი მწერლების: მარკ ტვენის, ფენიმონ კუპერის, ჯონათან სვიფტის და სხვათა რომანების გააცოცლებულ სურათების გალერეას. აქ ნახეთ ძველებური ქალაქების ქუჩებს, მალაზიებს, შენობებს, უძველეს ტრავისი, ომნიბუსებს, ასე ვასინჯეთ, სახანძრო მანქანებსაც, რომლებზედაც შემსხდარი ბავშვები მზიარულად დაჰქრიან დისნიელენდის ქუჩებში ზარის რეკით და ბუქის ყვირილით, აქვე დააბიჯებენ ძველი ქალაქის მცხოვრებნი, მარკ ტვენის და სხვა მწერლების ნაწარმოებების გმირები, გრიმირებული სტატისტები, ძველებური ქრელი ქილტებით და კარდალა ქუდეებით, დააბიჯებენ მომავალი კოსმონავტები თუ მარსელები, საბლანეტთაშორისო ტანსაცმელში გამწყობილები. ქალაქს გარს უღლის რკინისგზა, რომელზედაც დადიან ღიაგაგონიანი მატარებლები და მგზავრების თვალწინ მართლა რომ ფანტასტიური სურათი იშლება. მატარებლიდან თქვენ ხედავთ ინდიელთა სოფლებს, ტროპიკულ მდინარეებსა და ჯუნგლებს, იალქნიან ხომალდებს და მარკ ტვენის დროინდელ ორთქლის გემებს, ხედავთ ცეცხლწაქიდილ ინდიელთა გვაგებს. კოლორადის გრან-კანიონს, „ოთვიან“ მწვერვლებს და ჩანჩქერებულ ვადმოვარდნილ მდინარეებს. იქვე ხედავთ მთებზე და გორაკებზე შემოხვეულ, ჰაერში დაკიდულ ცალფა ლიანდაგს, რომელზედაც დაჰქრის მომავლის მატარებელი. ესაა სიგარისებური ვაგონი. ამ ვაგონში სამოცამდე კაცი ეტევა. იქვე ხედავთ საჰაერო-საბაგრო გზას, რომელზედაც ერთმანეთს მისდევენ დაკიდული ვაგონები ორორი თუ სამსამი მგზავრით. ქვემოთ კი დაკლანკლ მიხვეულ-მოხვეულ გზატკეცილზე ერთ ციქნა საბავშვო ავტომანქანებს დააქროლებენ არა მარტო პატარები, არამედ მოზრდილებიც.

დისნიელენდში ბევრი ატრაქციონია. თითო ატრაქციონის ნახვა ღირს ნახევარი დოლარი. ჩვენ ჯერ ნავებში ჩავსხედით და ჯუნგლებსავე გზას ვაუღდექით. აქ მდინარიდან თავს ყოფენ და პირებს აფჩენენ ნიანგები, წყლიდან ამოუყურეუმაღლებიან ბეჭემობები, ბალახებში დაშლივიზონენ მარტორქები და სპილოები, ხეზე მოსრიალებს გიგანტური მახრჩობელა გველი, მობაჯბაჯებს დათვი, მაგრამ ყველაფერი ეს ხელოვნურია და ელექტრონის ფოტოელებენ-

ტებით მოძრაობს. ნაუზეზის მენავე და ყვებთ, თუ როგორი ცხოველებია ჯუნგლებში, ხოლო უფრო მეტი შთაბეჭდილებისთვის ხშირად იძირაბს თავის გრძელლულიან კოლტს და ხან ხახადაფჩენილ ნიანგს დაახლის და ხან ხეზე გადმოკიდებულ მახრჩობელა გველს. ამიტომ ამ ხელოვნურ მდინარეზე განუწყვეტილ იმის რეგოლვერების ბათქაბუთქი, თითქო მართლა დიდი ხოცეველტა იყოს გამართული ამ გარეულ „ცხოველებზე“.

ნავით მოგზაურობის შემდეგ ჩვენ დავსხედით მარკ ტვენის დროინდელ სამდინარო გემზე და ახლა ახალი მიმართულებით ვაუღდექით გზას. მე ძალიან მინდოდა იალქნიანი ხომალდით შემგზავრა, იმ ხომალდის ასლით, რომლითაც მოგზაურობდნენ კოლუმბი და მაგელანი, მაგრამ როდესაც ნავსადგურში მივედი, მან, რომ იტყვიან, ფეხად გაგავაწყო.

ეს გემიც არ არის ინტერესს მოკლებული. იგი საკმაოდ დიდი და რამდენიმე გემიანი აქვს. აქედანაც საოცარი პეიზაჟი იშლება ჩვენს თვალწინ. აგერ „მთის“ მწვერვალის აღმართს შედგომიან პატარა ჯორებზე და პონებზე შემსხდარი „ტურისტები“ ბავშვები, აგერ ინდიელების სოფელში ქრელურებში ჩაქმული ინდიელები ცეკვავენ თავიანთ რეგოგიურ ცეკვებს, ისინი ცხადია, ცოცხალი ადამიანები კი არ არიან, არამედ მოძრავი მანეკენები. აგერ სულთმობრძავი და ისრით განგმირული ინდიელი აგდია ძირს, იქით კი გვესალმება ცხენზე შემჯდარი უკანასკნელი მოპიკანი, ცხადია, ისიც მანეკენი. აგერ ძალღები გადმოდდარან მდინარის პირას და კელის ქიკინით გვესალმებიან კვლავ ინდიელთა სოფელი, სადაც ჩვენ ვხედავთ საოჯახო საქმით გართულ ქალებსა და მამაკაცებს.

მაგრამ მარტო ინდიელთა მანეკენები კი არა უკავთ დისნიელენდში. ერთ-ერთი ატრაქციონის შესასვლელთან იჯდა ნამდვილი მოხუცი ინდიელი, ძველებურ ინდურ ტანსაცმელში, მამლის ფრთებით მორთული ქუდი და ზურგზე დაცოცლებული, ასევე ფრთებით შემკობილი ხენხემლით თუ ნაწნავით, რა დეარქვა არ ვიცო. მე მას ხელისჩამორთმევეით მივესალმე, შემდეგ ორთავე გვერდგვერდ დავედქით და ფელიქსმა სურათი გადაგვიღო. როგორც ჩვენ მეღირსა ცოცხალი ინდიელის ნახვა, რომელიც, როგორც ჩაგრული ხალხის მიმართ, მე მუდამ ვიყავი განსსკვალული უდიდესი სიყვარულით. მაინ როდის, ფენიმონ კუპერის, და განსაკუთ-





რებით ჰენრი ლონგფელოს ნაწარმოებებმა შე-  
მაყვარეს ეს მართლა უბედურ დღეზე გაჩენილი  
ხალხი, რომელთა უკანასკნელი წარმომადგენე-  
ლი, ცოცხალი ადამიანი, მანკენის როლის მო-  
თამაშედ, აი აგერ დამიხვდა დისნეილენდში.

შემდეგი ატრაქციონია წყალქვეშა ნავი. დიდ  
აუზში ლურჯად კამაგებს გამჭვირვალე წყა-  
ლი. შუაში კუნძულია, რომელზედაც შესულან  
წყალში მობანავე ქალიშვილები, სირინოზებად  
ჩაემულნი. წელსქვევით მათ თევზის ქერეჭიანი  
ჩასაცმელი ამშვენებთ და როდესაც ქვაზე სხე-  
დან, ამ თევზის ბოლოებს მართლა თევზივით  
ატყაუნებენ.

ნავისადგომთან გრძელი რიგია, მაგრამ იგი  
სწრაფად მიიწევს წინ, რადგან წყალქვეშა ნავე-  
ბი ერთმანეთს ზედზედ მოსდევენ. თითო ასე-  
თი ნავი სამოც კაცამდე იტევს. ჩავედით ამ  
ხომალდში და დაესხედით მრგვალ ფანჯრებ-  
თან. დახურეს სახურავი და დავიძარით ადგი-  
ლიდან. ფანჯარაში მოჩანს ზღვის ფსკერი და  
ნარინარი ზღის ცხოველები, მცენარეები,  
მარჯნის პოლიები, თევზები. ეს ჯერ დღის  
სინათლით განათებულ ფსკერს დავყურებთ,  
შემდეგ წყლის ფარდით დაფარულ გვირაბში  
შევიდვართ და აქ უკვე ზღვის ფსკერთა დიდი  
სიღრმეების სანახაობებია. აქ არიან თვითმანა-  
თობელი ზღვის თევზები და სხვა ცხოველები,  
რვაფეხანი, ვარსკვლავანი, კიბორჩხალები, აქვეა  
დაღუბული და ჩაძირული გემების ნაშხვრევე-  
ბი, განძით სავსე ზანდუკებით, მოჩანს წყლის-  
ქვეშა ვულკანები, რომლებიც აფრქვევენ ლავასა  
და ციციბლს. ერთის სიტყვით, შეუძლებელია  
აღამიანმა ნახოს ამაზე უფრო მეტად ფანტას-  
ტიური წყალქვეშა სამყარო და მგონია მარტო  
მე კი არა, თვით ქოლ ვერნიც კი გაოცებული  
დარჩებოდა, ყოველივე ეს რომ ენახა.

მე არ ვიცი, რამდენხანს გაგრძელდა ჩვენი  
მოგზაურობა წყალქვეშ, ვფიქრობ არაუმეტეს  
10-15 წუთისა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება  
დამჩნია, თითქო მთელი დღე დავსვირნობდი  
ზღვის ფსკერზე, იმდენი საოცარი რამ ვნახე.

როდესაც ნავიდან ამოვედი, გული დამწყდა  
და მზად ვიყავი ეს მოგზაურობა გამემეორებინა.  
თუ ეს მე მომდიოდა, სამოც წელს მიღწეულ  
კაცს, წარმომიდგენია, რას ვანიცილიან ზვეშე-  
ბი, განსაკუთრებით იმ ასაკისა, რომელნიც  
კითხულობენ ისეთ ფანტასტიურ ლიტერატურას,  
სადაც აწერილია ეს წყალქვეშა სამყარო.

აქ ბევრი სხვა ატრაქციონია, რომელთა ნახვა  
ვერ მოვახერხე, მაგალითად, ისეთი, როგორცაა  
მოგზაურობა კოსმოსში. შესასვლელიან დღას  
გიგანტური რაკეტა, კოსმიური ხომალდი. შედი-  
ხარ ამ ხომალდში და თქვენ დებულობთ სრულ  
შთაბეჭდილებას, თითქო მართლა კოსმიურ სამ-  
ყაროში მიფრინავთ.

დიდი რიგი იდგა, აგრეთვე, საჰაერო-საბავრო  
გზით მოგზაურობაზე, მაგრამ მე არ გავყვი-  
რეხმ თანამგზავრებს, რადგან ასეთი და ამაზე  
უკეთესი ჩვენ თბილისსა და ჭიათურაში გვაქვს,  
რომლებითაც მოგზაურობა მე არ მაკლდა, ამი-  
ტომ გადაწყვიტე, სხვა ატრაქციონები გარეგ-  
ნულად მაინც დამეთვალეობინა.

აქ ბევრი სხვადასხვა სახის კარუსელები,  
პროპედერებიანი თვითმფრინავები, შესანიშნავი  
ტირები, კაფეები, სასადილოები, სვაჰრო ფარ-  
დულები.

დისნეილენდს არცთუ ისე დიდი ტერიტორია  
უჭირავს, მაგრამ ეს ატრაქციონები, მათთვის  
საჭიროა გზები, ან არჩები და აჩუბები ისე ოს-  
ტატურადაა ერთმანეთში ჩახლართული, რომ  
გამოუყვებელი არ არის არცერთი მტკაველი  
მიწა და არცერთი კუმბერტი საჰაერო სივრცე.  
მე უნებურად გამკრა გუნებაში, ნუთუ არ  
შეიძლება ჩვენს მულტაიდში, სადაც საბავშვო  
რკინიგზა გვაქვს და მთელი რიგი ატრაქციო-  
ნებისა, ზოგიერთი დამატებითი ხარჯები გავ-  
წიოთ და ასეთი რამე მოვაწყობო-მეთქო. მით-  
უმეტეს, რომ მტკავარი პარკს იქვე გვერდზე  
ჩამოუდის და წყლის მარაგით უზრუნველყო-  
ფილი ვიქნებით-მეთქი. ან არადა ასეთი პარკი  
თბილისის ზღვის შიდაშობებში მოეწყოს, ასეთი  
ზღვა დისნეილენდს არც კი დაესიზმრება, ხო-  
ლო მახათას მთა და მისი შიდაშობები პირდაპირ  
ზედგამოჭრილია ამგვარი ატრაქციონების მოსა-  
წყობად. საერთოდ კარგი იქნება ამ საქმის  
რამდენიმე სპეციალისტს რომ მიავლინებდნენ  
ჩვენგან დისნეილენდის სანახავად და შესას-  
წავლად, მე მგონია, რომ ჩვენი ინჟინრები ამაზე  
გაცილებით უკეთეს პარკებს მოუწყობენ ჩვენს  
ბავშვებს. საამისოდ ჩვენ ყოველი შესაძლებ-  
ლობა გვაქვს.

მე, სამწუხაროდ, ვერ შევიძელი გამეგო, თუ  
რა დაჯდა ეს ქალაქი და ან რამდენ ხანში  
უნდა მოხდეს მასზე გაწეული ხარჯების და-  
ფარვა-ამორტიზაცია. თუ დისნეილენდს ყოველ  
დღეს ჰყავს ამდენი მნახველი, როგორც მე  
ვნახე, მაშინ ამ ქალაქის მშენებლობაზე გაწეუ-  
ლი ხარჯები ძალიან მაღე უნდა დიფაროს.

პედაგოგიური თვალსაზრისით დისნეილენდი  
თვალსაჩინო სახელმძღვანელოა, მთელი მერი-  
კლოპედიია. აქ მოსწავლე ეცნობა არა მარტო  
ბუნებისმეტყველებასა და ისტორიას, არამედ  
ნახულობს თანამედროვე ტექნიკის მიღწევებს.  
ყოველივე აქ ნახულის შემდეგ არ შეიძლება  
მოსწავლემ უფრო მეტის ინტერესით არ გა-  
დაშალოს თავისი სახელმძღვანელოები, რომლე-  
ბითაც მანამდე შეიძლება თავი ჰქონდა გაბე-  
რბული.

ლიზო ლომთაძე

# მეზობლები

(რეპორტაჟი)

„ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა ახორციელებს კომუნისტური აშენების გრანდიოზულ გეგმებს, საბჭოთა მეცნიერების წინაშე დგება ახალი, კიდევ უფრო დიდებული ამოცანები, მეცნიერული კვლევა უნდა ვაწარმოოთ უფრო მიზანსწრაფულად, უფრო ფართო გზა მივცეთ მეცნიერებაში ახალგაზრდა ძალებს. დავიკავოთ მოწინავე პოზიციები მსოფლიოში მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა ძირითადი მიმართულებით — ასეთია ამოცანა.“

ნ. ს. ზრუშჩოვი

კომუნისტური საბჭოთა ხალხის ძლიერმოძრაო წინსვლის გზაზე, კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პრაქტიკაში ბევრი ახალი, ჯერ უცნობი, თითქოს ვადაუღალახავი დაბრკოლება, ტექნიკაში ჯერ გადაუწყვეტიელი და შეუსწავლელი პრობლემა იჩენს ხოლმე თავს. მათი შესწავლა და გადაწყვეტა, ასეთი პრობლემის გადასაჭრელად სათანადო ტექნიკურ საშუალებათა გამოჩნება აუცილებელია სახალხო მეურნეობის შემდგომი სწრაფი განვითარების დასაჩქარებლად, კომუნისტური მშენებლობის შეუწყვეტიელი წარმატების უზრუნველსაყოფად.

ამ სტრიქონების ავტორის განზრახვაა მოუთხროს მკითხველს, თუ რა წვლილი შეაქვთ ტექნიკური პროგრესის საკაცობრიო სავანეებში ჩვენი მიწაწყლის შვილებს, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს, როგორ გაიძარჯვებს მათ და ჭარბი კაცის გონებასაზივილობის რა შესანიშნავი ნიმუშები გვიჩვენებს ახალი ცხოვრების ყოველდღიურობაში წამოჭრილ ამოცანათა გადაწყვეტისას.

ენგურპესი, რომლის მშენებლობა წარმატებით არის გაჩაღებული, საქართველოს ენერ-

გეტიკული სიამაყეა არა მარტო იმიტომ, რომ ეს ჰიდროელექტროსადგური უმძლავრესი იქნება ამიერკავკასიაში, არც იმიტომ, რომ იგი მეტად ორიგინალური, თავისებური სქემის მიხედვით შენდება, არამედ იმიტომაც, რომ ენგურპესს ექნება მსოფლიოში ყველაზე მაღალი თაღოვანი კაშხალი, კიდევ იმიტომ, რომ აქ ახლებურად იქნება გადაჭრილი მთელი რიგი ჰიდროტექნიკური საკითხები.

ენგურპესის თაღოვანი კაშხლის სიმაღლე 300 მეტრი იქნება, ე. ი. 70 მეტრით მეტი, ვიდრე ფენიკულორის სიმაღლეა თბილისის ცენტრალური საქალაქო მოედნის — ლენინის მოედნის დონიდან. ეს იქნება მსოფლიოში ჯერ გაუგონარი სიმაღლის, უნიკალური ჰიდროენერგეტიკული ნაგებობა და სწორედ ამით აიხსნება ჰიდროენერგეტიკის მშენებელთა ფართო წრეების ის ინტერესი, რომელსაც ენგურპესის მშენებლობისადმი იჩენენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

რატომ არის ენგურპესზე დამროეტებული ზემოაღნიშნული თაღოვანი კაშხალი და არა ისეთივე ტრაპეციული მოყვანილობის კაშხალი, როგორცაა ზაქესზე, რიონქესზე და ა. შ.?



იმიტომ, რომ ტრაპეციის მოყვანილობის ე. წ. გრავიტაციული კაშხალი დიდად შრომატევადია, დიდი შრომის გარდა მის აგებას დიდი დროც და უმარავი საშენი მასალებიც სჭირდება. მაშასადამე, მის ასაგებად საჭიროა დიდი კაპიტალდახარჯება, თაღოვანი კაშხალი კი საჭიროებს ბევრად ნაკლებ კაპიტალდახარჯებას ე. ი. ბევრად ნაკლები რაოდენობის საშენ მასალებს, მისი აშენება შედარებით უფრო მოკლე დროში შეიძლება და, რაც მთავარია, ბევრად უფრო ხანგამძლე და მაღალწინევათა ამტანია, ვიდრე ჩვეულებრივი წყალსაგებობრივი კაშხალი.

ენგურპესის ზემალაღი კაშხალის მშენებლობის გამო წამოიჭრა ჰიდროენერგომშენებლობის ტექნიკაში სრულიად ახალი, ჯერ შეუსწავლელი და გადაუჭრელი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია წყალსაცავიდან ზედმეტ წყლის გადასადგობი ნაგებობის მშენებლობასთან. რა მოხდება მის შემდეგ, როცა თაღოვანი კაშხალის მშენებლობა დამთავრდება, წყალსაცავი საესე იქნება და ელექტროსადგური იმუშავებს.

საქმის არის, რომ ენგური მთის მდინარეა და, როგორც თითქმის ყოველმა მთის მდინარეში, მანაც უცაბედად, ერთბაშად და მიუზღოდნულად იცის აღიდება. მრავალი წლის დაკვირვებები მოწმობენ, რომ ზოგჯერ ასეთი ერთბაში აღიდებისას ენგურს მოაქვს წაშში 1500 — 2000 კუბმეტრი ნიაღვრის წყალი, ე. ი. 10-12-ჯერ მეტი, ვიდრე ჩვენი დედა-მტკვრის ჩვეულებრივი ნაყალია.

სად გადავადგოთ მანინ ეს წყალი, როგორ მოვიშოროთ ეს მძლავრი ნაკადი თავიდან ისე, რომ ვერავითარი ზიანი ვერ მოგვაყენოს. რასაკვირველია, საჭიროა ამ ე. წ. „კატასტროფული“ წყლის თავიდან მოსაშორებელ წყალგადასადგობის მოწყობა, მაგრამ 300 მტკვრის სიმაღლიდან თუნდაც 1500 კუბმეტრი წყლის გადადგებას რა მასალა, რა ნიადაგი აიტანს. დაანგრევს, დაღწავს ყველაფერს ასეთი სიმძლავრის გადადგებელი წყლის გიგანტური ტავალი. ჯერ არსად, არცერთ ქვეყანაში არ დასჭირდებათ ასეთი სიმაღლიდან წყლის ესოდენ მძლავრი ნაკადის ერთბაშად გადადგება და საამისო განაგარიშებაც არავის მოუხდენია. კიდევაც რომ დასჭირებოდნო, იტყოდნენ შეუძლებელიაო და ამით გადაწყდებოდა მშენებლობის ბედი.

ჰიდროტექნიკაში ცნობილია სიმაღლიდან ქვევით ნაკადის გადადგობის საშუალებანი. მაგრამ აქ, ენგურპესის მშენებლობის პირობებში საჭიროა ამ საშუალებათა სხვანაირად განაგარიშება, ახლებური სქემით მოწყობა. საჭირო იყო დიდი შემართების, აღამიანების შემოქმედებითი მიძალბა ამ პრობლემის გადასაჭრელად და

ჰიდროენერგომშენებლობაში ახალი სიტყვის სათქმელად.

განაგარიშების შესასრულებლად საჭიროა ზუსტი მონაცემები, საიდან უნდა მიიღონ ეს ზუსტი მონაცემები, როდესაც ჯერ არც თაღოვანი კაშხალი და არც მისი სიმაღლიდან გადადგებელი ენგურის 1500 კუბმეტრიანი ნაკადი?

ამ პრობლემის შესწავლა, გადაჭრა და მშენებლობისათვის სათანადო რეკომენდაციების მიცემა დაეკისრა აკადემიკოს ა. ვინტროს სახელადის ნაგებობათა და ჰიდროენერგატორის თბილისის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მეცნიერმუშაკთა კოლექტივს. საკითხის შესწავლისა და გადაჭრისათვის მუშაობას სათავეში ჩაუდგა იმავე ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი პროფესორი გ. ჯიმშელიანი. მისი ხელმძღვანელობით შემოქმედების კვლევა-ძიებაში ჩაებნენ ახალგაზრდა მეცნიერმუშაკები ნ. კერესელიძე და რ. კილაძე. საჭირო შეიქნა ინსტიტუტის ჰიდროტექნიკურ ლაბორატორიაში ენგურპესის საგებობარო მოქმედი მოდელის მოწყობა, სათანადო დაკვირვებების დაწესება ზუსტი მათემატიკური მონაცემების დასაგროვებლად, რათა შეესრულებინათ წყალგადასადგობი ნაგებობის განაგარიშება.

ახლა ეს პრობლემა, შეიძლება ითქვას, უკვე გადაჭრილია. შემუშავებულია ზედმეტი, ე. წ. „კატასტროფული“ წყლის სწრაფდენებით გადადგობის მეტად ორიგინალური და გონებაშევილური სქემა: წყალსაცავთან მიახლოებისთანავე მდინარის კალაპოტში აღდგებული მდინარის მთელი ნაკადი წააწყდება წყალგადასაშვებ ნაგებობას, წყლის მასა რამდენიმე ჰეკლად განაწილდება, დაქუცმაცდება და სწრაფდენებით დაეშვება ძირს. სწრაფდენებით გადადგებული ჰეკლები ძირს დაშვებისას ისეთი კუთხით შეეჯახებიან ერთმანეთს, რომ ურთიერთის ვარდნის ძალა ჩააჭირონ და ძირს გადადგებული წყლის ხელახლა გაერთიანებული მასა უენებელი გახდება. ამკამად ინსტიტუტში ამუშავებენ კონკრეტულ რეკომენდაციებს, თუ როგორ ააშენონ და მოაწყონ მშენებლებმა წყალგადასადგობ ნაგებობათა მთელი ეს კომპლექსი.

წამოიჭრა კიდევ ერთი ახალი, არანაკლებ რთული ამოცანა:

საგებობრივად გადადგებულ ზედმეტ წყალს, აგრეთვე ენერგეტიკული დანიშნულებისათვის ტურბინების ამუშავების შემდეგ გაშვებულ წყალს, ბუნებრივია, საბოლოო გზა შავი ზღვისაკენ უნდა მიუჩინონ. ენგურპესის პროექტით გათვალისწინებულია მძლავრ ტურბინებში გა-

დამუშავებული წყლის, აგრეთვე მდინარის მთელი ჩამონადენის (გარდა იმ მცირე ნაწილისა, რაც დატოვებული იქნება მდინარის ძველ კალაბრში) ჩაშვება ვეირაბში და ამავე ვეირაბით მდინარე ერისწყლის კალაბრში გადაშვება. აქ წყლის ეს მარაგი ენგურპესის კასადის ბოლო საფეხურის ჰიდროელექტროსადგურს აამუშავებს და დიდი პროფიტის მოუპირკეთებელი არხით ზღვას შეუერთდება, ოღონდაც სულ სხვა უბანზე, ვიდრე ახლა მდ. ენგური უერთდება.

შეუერთდება? ხომ არ შეტბორდება და ძვირფასი სუბტროპიკული კულტურებისათვის საჭირო მიწის ფართობს, თუნდაც ცოტას, ხომ არ წაგვიართმევს და დაგვიკარგავს?

ოკეანოგრაფები ამბობენ, რომ შავი ზღვა საქართველოს სანაპიროებისადმი ველურ აგრესიულობას იჩენს. ამაში დარწმუნდება ყველა, ვისაც საშუალება მიეცემა ჩვენი სანაპიროები დაათვალიეროს. საქართველოს სანაპიროებზე, რომლებიც ელემენტური საზღვაო კურორტების ზონას წარმოადგენენ, თვალნათლივ იგრძნობა აბრაზა — ზღვის ნაპირების ნგრევა ზღვისავე ტალღებისაგან. ამიტომ დგას ახლა დიდი სახელობრივი მნიშვნელობის საკითხი შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაცვის, ზღვის შემოტევისაგან ნაპირთა გამაგრების ისეთი მეთოდის გამოხატვისა, რომ სამუდამოდ აღიკვეთოს ზღვის ტალღათა ლტოლვა ხმელეთისაკენ. ეს, რასაკვირველია, არა მარტო „ქართული“ დანტერესების, არამედ საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საკითხია, მაგრამ ახლა, ენგურპესის მშენებლობასთან დაკავშირებით მკაფიოდ ისახება ახალი კონკრეტული ტექნიკური ამოცანა:

როგორ უნდა შეეუერთოთ ზღვას ენგურის მთელი ნაკადის წყლის მასა ისე, რომ სანაპირო არ დაზიანდეს, მნიშვნელოვანი შეტბორება არ მოხდეს, მშვიდად მიიღოს თავის წილში დაუდევარმა და ქირვეულმა შავმა ზღვამ ენგურის დეაწლმოსილი წყალი?

ამ საკითხის შესწავლას, სათანადო, როგორც ტექნიკოსები იტყვიან ხოლმე, ოპტიმალური საშუალებების გამოხატვისა და დადგენის მრავალი თვის განმავლობაში დამატული შემოქმედებითი შრომით შეუქმლდა ინსტიტუტის მეცნიერმუშაკთა სხვა ჯგუფი ახალგაზრდა მეცნიერის თეიმურაზ ვიონი-სიანოყენსკის თაოსნობით. უკვე არის შემუშავებული იმის ტექნიკური საშუალება, რომ აიძულონ ზღვა დინჯად და მშვიდად მიიღოს მდ. ენგური ახალი ჰემორიდან, უნებებლკაოს თავისი ჯიუტი ტალღების მიძალაბა სანაპიროს ამ უბნისაკენ...

მიხეილ ქუმარიტაშვილს — საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორს იმ დროს შევესწარით კაბინეტში, მუშაობაში ვართულს, როცა აჯამებდა მათი ინსტიტუტის მეცნიერმუშაკთა მიერ პარტის ისტორიული XXII ყრილობის შემდგომი პერიოდში გაწეული კვლევა-ძიებითი მუშაობის საფეიქრო მრეწველობისათვის კონკრეტული დახმარების აღმოჩენის შედეგებს.

დირექტორის მაგიდაზე დასტობით იყო დაწყობილი ოქმები, აქტები, მოხსენებები ბარათები, აქსპერტების დასკვნები და მათს ვეერთდით ახალი კონსტრუქციისა და ახალი თვისების იმ ქსოვილთა ნიმუშები, რომლებიც იქვე, ინსტიტუტის ლაბორატორიებში მოექსივით, დირექტორმა მუყაოს ყდაში ჩაყრებული დოკუმენტების წყება გადმოგვაწოდა, ყდაზე წარწერაა — „გორის საფეიქრო კომბინატის საქმე“.

— გაცენით! — შემოგვთავაზა დირექტორმა და ჩვენც შევედუქით „საქმის“ გაცნობას. აი, რა გავიგეთ ამ დოკუმენტური ფურცლებიდან:

გორელი ფეიქრები დიდ გაჭირებებაში ჩავარდნილან, მაგრამ მკითხველს რომ დახლოებითი წარმოდგენა მიანიც ვქნეს ამ გაჭირვების შესახებ, საჭირო იქნება მას მოვთხოვოთ საფეიქრო მრეწველობის წინაშე შეიღწეულდის ამ შუაპერიოდში წამოჭრილი ძირითადი ამოცანები: ახლა ხოციალისტური მრეწველობის, რასაკვირველია, საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებისაც, მთავარი ამოცანაა, არა მარტო პროდუქციის გამოშვების რაოდენობრივი ზრდა, არამედ ამასთან ხარისხის ამაღლება, თვითღირებულების შემცირება, შრომის ნაყოფიერების გადიდება. ჩვენში გამოშვებული ქსოვილი, სათანადო კლასის ანუ ჯგუფის ქსოვილებთან შედარებით უნდა იყოს მსოფლიოში საუკეთესო. ასეთია საბჭოთა ფეიქრების დევიზი, მაგრამ გორელი ფეიქრები ჩამორჩნენ ამ დევიზისათვის ბრძოლაში.

გორის ბამბულის საქსოვი კომბინატი ყოველწლიურად გვაძლევს 53 მილიონამდე მეტრს სხვადასხვა ქსოვილს. ამ ქსოვილებში ყველაზე მეტი ხვედრითი წონა აქვს სატინის ჯგუფის ქსოვილებს და სწორედ ეს გორული სატინი გადაიქცა დამოკლეს იმ ლევენდარულ მახიოლად, რომელსაც გორელმა ფეიქრებმა ვერასვებით თავი ვერ გაართვეს.

გორელი ფეიქრები დიდძალ რეკლამაციებს ღებულობენ როგორც საეპრო ორგანიზაციე-





ბისაგან, ისე მომხმარებლებსაგან იმის თაობაზე, რომ გორული სატინისაგან შეკერილმა ტანსაცმელმა ისინი გააწამა — ტანსაცმელი მალე ხუნდება, საღებავი ვადადის და მრავალჯერადი გარეცხვის შემდეგ ფერს კარგავს, თუ კაცი წვიმაში მოხვდა, ტანსაცმელიდან საღებავი თეთრეულზე ვადადის, ტანს აქუჭყიანებს...

— გავაწამა თქვენი კომბინატის მიერ გამოშვებული სატინის ტანსაცმელმა, ბევრი თეთრეული შეიწირა, ლაგინშიაც ვერ დაწვოლოვართ ტანდაუბანელიო, — იწერებოდნენ მომხმარებლები.

რა ღონისძიებას არ მიმართეს, რა არ გააკეთეს საფეიქრო კომბინატში იმისათვის, რომ შედეგის ხარისხი გაუმჯობესებულყო, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს და ბრლოს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს მიმართეს დასახმარებლად.

დაყოვნება არ შეიძლებოდა, გორის საფეიქრო კომბინატს დიდი ზარალი მოსდიოდა იმით, რომ არამდგრადად შედეგების გამოსავაჭრო ორგანიზაციებს სატინის ქსოვილები მალეობი ხარისხებიდან გადაყავდა დაბალ ხარისხებში. მალე გორში ჩაივლიდნენ ინსტიტუტიდან მივლინებული სპეციალისტები: ახალგაზრდა ინჟინერ-ქიმიკოსი ტურფა სიხარულიძე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინჟინერ-მექანიკოსი ნიკო დემურიშვილი და მეცნიერი თანამშრომელი ელენე დადიანაძე.

განსაკუთრებული მძიძვლით იმუშავა ამ საკითხის შესწავლასა და სათანადო ტექნოლოგიის შემუშავება-დადგენაზე ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკმა, კომპაგნირელმა ტ. სიხარულიძემ. ქსოვილების შესაღებავად მრავალი ათასი მარკის სინთეზურ საღებავებს იყენებენ, მაგრამ ყველა ქსოვილას მდგრადად შედეგა არ ხერხდება, თუ შედეგილი ქსოვილების ფერის მდგრადობისათვის რაღაც დამატებითი პროცესი არ შეასრულეს. ფერის მდგრადობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებად ცნობილია ქსოვილის შეორთქლით გამოხარშვის მეთოდი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთი მეთოდის გამოყენება ახანგრძლივებს პროდუქციის გამოშვების პერიოდს, ადიდებს ქსოვილის პროდუქტვადობას.

გორული ფეიქრების დასახმარებლად ჩასულებმა ეს სიძნელეც დაძლიეს. წარმოების ნაკადურ-კონვეიერულ ხაზში ჩართეს ე. წ. სასუსპენზიო აგრეგატი, რომელშიც უშუალოდ ვადადის საღებავში გატარებული ქსოვილი, 100 გრადუსის ზომამდე ცხელ ორთქლში იხარშება ქსოვილი და მასზე საღებავი იმ ზომამდე

„მწიფდება“, რომ ქსოვილიდან მისი მოშორება აღარ შეიძლება.

ამრიგად, გორულ ფეიქრებთან შემოქმედებითი თანამეგობრობით მიღწეულ იქნა სატინისა და სხვა ქსოვილების ფერთა მდგრადობა, სინთეზური საღებავების დიდი ეკონომია, ამასთან ტექნიკური წყლისა და ორთქლის ეკონომია, რაც საწარმოს ყოველწლიურად დიდ თანხას დაუზოგავს. ჯერ ეს ეკონომია არ არის გამოთვლილი, ქსოვილთა შედეგების ახლადმიწეული ტექნოლოგია ახალი დანერგოვია; მაგრამ „გორის საფეიქრო კომბინატის საქმეში“ სამავიეროდ არის ერთი პატარა დოკუმენტი — 1962 წლის 16 მარტს დაწერილი აქტი, რომელსაც ხელს აწერენ საქსოვი საწარმოს გამგე ინჟინერი გ. კობინაშვილი, კომბინატის ქიმიური ლაბორატორიის გამგე ლ. ბუროვა, სამუდებრო საწარმოს ხელმძღვანელი ა. რიყამაძე და სხვები, რომლებიც მალეობას გამოთქვამენ ინსტიტუტისა და აქედან გორული ფეიქრების დასახმარებლად ვადადინილია მიმართ. აღიარებენ, რომ გორული სატინი საუკეთესოდ, გაუხუნებლად შედეგილი გამოდის, რომ იგი ფერის მდგრადობის მხრზე თუ სჯობს, თორემ არ ჩამორჩება უცხოეთის საუკეთესო ფირმების მიერ გამოშვებულ ასეთივე ჯგუფის ქსოვილებს.

კიდევ ერთი საინტერესო, განსაკუთრებით ქართველი მეჩაიეებისათვის საინტერესო მიღწევა საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტის მეცნიერმუშაკთა კონფერენციისა:

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა დიდ შრომას და ღრობის რაც შეიძლება მეტი ნაყოფიერებით გამოყენებას მოითხოვს. თუ ჩაის ფოთლი დროით არ მოიკრიფა, ვადადინდა, მისგან მალალხარისხივან ჩაის ვერ მივიღებთ.

ამიტომ არის, რომ კრეფის სეზონის განმავლობაში ადრე დილიდან გვიან შეღამებამდე მეჩაიეები პლანტაციისაში არიან და ფოთოლს კრეფენ.

როგორ უნდა ჩაიცივას ჩაის მკრეფავმა, როგორი ტანსაცმელი გამოიყენებოდა უნდა გადოდეს იგი ჩაის პლანტაციის სამუშაოდ?

ნუ გავიკვირდებით, რომ ეს საკითხი დიდგანგებში, საქართველოში, როგორც ეროვნული მნიშვნელობის საკითხი და არასოდეს დამდგარა ჩაის კულტურის კლასიკურ ქვეყნებში, სადაც ამ ბოლო ხანებამდე კოლონიზატორი-ექსპლოატატორები პარპაშებდნენ ან ახლაც პარპაშებენ. ექსპლოატატორებს რათ ენადღელებათ ჩაის მკრეფავთა ჩაცმულობა!

ჩვენში, სადაც ყველაზე დიდი ფას-ულობა ადამიანია, საკითხს ჩაის მკრეფავის ჩაცმულობის შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა

ექლავა. საქმე მარტოოდენ ესთეტიკური მოსაზრება როდია. თუმცა, რატომაც არა, მოხდენილი ჩაცმულობა კაცს ყველა საქმეზე ამშვენებს, მაგრამ საკითხი, თუ როგორი ჩაცმული უნდა იყოს ჩაის მკრეფავი, სხვა მოსაზრებით არის აქტუალური.

ჩაის ფოთლის კრეფაში ფართოდ არის გამოყენებული ქალთა შრომა. დილით, როცა შრომა უფრო ნაყოფიერია და ჩაის ბუჩქზე ცვარი ჯერ კიდევ შემშრალი არაა, ჩაის ფოთის მკრეფავს უსველდება კიდურები და ხშირად გულ-მკერდიც. ასე განაგრძობს მკრეფავი მუშაობას, დანამული ტანსაცმელი აწუხებს, მაგრამ ამასობაში მზეც საშუალებებს მიუახლოვდება და მკრეფავს შეუმჩნევლად შემოაშრება ტანსაცმელი. დღეს, ხვალ, მრავალჯერ, მრავალ წელიწადს განმეორდება ასე და ბოლოს ადამიანი იგრძნობს რევემატიული დაავადების ნიშნებს.

დავიფაროთ ჩვენი ჩაის მკრეფავები ამ საფრთხისაგან! ასეთია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალება ჩვენი ფიქრებისადმი. მათ უნდა შექმნან ისეთი ქსოვილი, რომელიც სისველეს არ მიიკარებს, წყალგაუმტარი, როგორც სპეციალისტები იტყვიან, პირობობური იქნება, ხოლო ამასთან ქსოვილი უნდა იყოს ჰაერგამტარი. ასეთი ქსოვილისაგან შეკერილი ტანსაცმელი, კომბინიზონის სახით იქნება შეკერილი თუ მოსახსამად, ჩაის ფოთლის მკრეფავს პლანტაციაში დიდად გამოადგება, დღის ცვარისაგან დაიფარავს და შემდეგ, როცა შუადღის მზე დააჭერს, ჰაერგამტარ ქსოვილში ადამიანის ტანი თავისუფლად ისუნთქავს, სურდოთი და გაციევებით დაავადებისაგან უზრუნველყოფილი იქნება.

ამოცანის გადაწყვეტა დაეკისრა საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერმუშაკთა კოლექტივს, რადგან ჩაის კულტურის ძირითადი ბაზა საბჭოთა კავშირში საქართველოს სუბტროპიკული რაიონებია. ჩვენი ინსტიტუტი ახალი ავტორიტეტული სამეცნიერო ცენტრია და სავარაუდებელი იყო, რომ თუ შესაძლებელია საერთოდ ამ ამოცანის გადაჭრა, ინსტიტუტის მეცნიერმუშაკები შეძლებდნენ მისი გადაჭრის საიდუმლოების გახსნას.

პირობობური ქსოვილები, მათ შორის მსუბუქი ქსოვილებიც ცნობილია და მათი ქსოვის ტექნოლოგიაც დადგინილი, მაგრამ ეს ქსოვილები ჰაერს როდი ატარებენ. ისეთი ქსოვილის შექმნა კი, რომ წყალს არ ატარებდეს და ამავე დროს ჰაერს ატარებდეს, თითქოს შეუძლებელია, თითქოს უძლეველის დამლევას ჰგავს.

იქ, სადაც ჰაერი გაატანს, უთუოდ წყალს გაატანს. მშენებლებმა იციან, რომ ბეტონი „სუნთქავს“, ე. ი. ჰაერს ატარებს შეუმჩნევლად და ამიტომ არის, რომ ბეტონში წყალც გაჟონავს, თუ მშენებლებმა წინასწარ საგანგებო ზომები არ მიიღეს. ქსოვილი კი, თუ ისე მოქსოვეს, რომ წყალი არ გაატაროს, მაშასადამე, არც ჰაერს გაატარებს.

ასეთი, როგორც იტყვიან, უპრეცედენტო, რთული ამოცანა, უცნაური პრობლემა აღიშარათა ვანუქერეტი საიდუმლოებით დაფარული მთელი თავის სიღრმით ამ ინსტიტუტის მეცნიერული ძალების წინაშე და მათს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი წინაპართა უტუბი შემართებით, ნამდვილი პატრიოტული ერთუზიანებით შეუდგნენ ახალი თვისების ასეთი ქსოვილის მოსაღებად შემოქმედებითს ძიებას, დაუღალავ შრომას, ქიმიის მიღწევებისა და ქსოვის უმაღლესი ოსტატობის კომბინირებულად გამოყენების ჯადოსნურ საშუალებათა შესწავლას.

ჯერ არ დამთავრებულა მთელი ეს მუშაობა, მოცემულ თემაზე ჯერ ისევ ვანაპრობენ შემოქმედებითს შრომას, მაგრამ პირველი მახარობელი მერცხალი უკვე აჰიკვიკადა, ინსტიტუტის სათანადო ლაბორატორიაში უკვე მოქსოვეს ისეთი ქსოვილი, რომელიც წყალს არ ატარებს, ხოლო ჰაერს დამაკმაყოფილებლად ატარებს.

ამაყობს ამ ქსოვილით. მისი მიღების ტექნოლოგიის დადგენით ინსტიტუტის მთელი კოლექტივი, ხოლო ყველაზე მეტად ნიჭიერი და გონებაბამებული ინჟინერ-ფიქარი აკაკი მიქელაძე, და ინჟინერ-ქიმიკოსი ამირან ქარჩაული, რომელიც ხელმძღვანელობს ახალი თვისების ამ ქსოვილის მიღება სხვადასხვა დარგის სპეციალისტების კოლექტივს.

მართლაც უცნაური ქსოვილია: დაფინეთ იგი ტაშტზე, შემდეგ აავსეთ ტაშტი წყლით და რამდენიმე ხნის შემდეგ ამოაძვრინეთ წყლიდან ქსოვილი. იგი სრულიად მშრალი იქნება. აიფარეთ ტუჩსა და ცხვირზე და ისუნთქეთ, ნახავთ, რომ იგი ჰაერს ისევე გაატარებს, როგორც ჩვეულებრივი ხეშეში ნითთ ან ბამბაშია.

ასეთია ეს ქსოვილი, რომლისგანაც ინსტიტუტის სამკერველო ლაბორატორიაში გამოცდილმა შემოღულე-მკრეფებმა საცდელად უკვე შეკერიეს ჩაის მკრეფავისათვის შესაფერისი სპეციალური ხალათები. წელს ჩაის კრეფის სეზონის დასაწყისისათვის მეჩაიეობის რაიონებში უკვე ვიგზავნა საწარმოო პირობებში გამოსაცდელად თბილისში შექმნილი ახალი თვისების ქსოვილისაგან შეკერილი 15 ცალი სპეციალური ტანსაცმელი.





## არსჯომა ედანიძე

### თვალის ბროლის აღგენა

მაისის შუა რიცხვებში ჩვენთან, ზოოლოგიის ინსტიტუტში მოვიდა სტუდენტობის ამხანაგი გარსევან ზენაური, სწორედ მაშინ, როცა კურდღლის თვალის ოპერაციას იწყებდა ემბრიოლოგიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი თამარ სიხარულიძე. ვანზრახული მქონდა ამ ოპერაციას დავსწრებოდი და სტუმარსაც შევთავაზე.

— ზოოლოგებთან სხვას რას ნახავს ცაცო, თუ არა გაფარჩხულ კურდღელსა და გველ-ბაყაყს— იხუმრა მან და გამოხევა.

მეორე, ვანათებულ ოთახში საოპერაციო მაგიდაზე იწვა ტან-ფეხშეკრული შინაური კურდღელი „ზორბა“, წაშლით მიბნედილს, ისე ღრმად ეძინა, ვერაფერს გრძნობდა. ფაქიზად და გამოზომილად მუშაობდა მკვლევარის ხელი, ადვილად ემორჩილებოდა საოპერაციო იარაღები, ლაბორანტები უსიტყვოდ ასრულებდნენ მის ყოველ ნიშანს...

ოპერაცია გავრძელდა დაახლოებით ერთ საათს.

— მე მეგონა, ეს კურდღელი ამდენხანს გაიგულებოდა — წამხურჩულა სტუმარმა, როცა ზუნდებდემოხსნილი „ზორბა“ წამოდგა.

— მკვლევარის მიღწევის ერთ-ერთი მხარე სწორედ ეგ არის, რომ შესაფერი ობიექტი შეარჩია — დავძინე მე, — თვალის ბროლის აღდგენის პირველი ცდები სხვა ცხოველებზე რომ დეწყო, ან არ გამართლებოდა ან დიდ სიძინელებს წააწყდებოდა თურმე...

— მაინც არა მეჯობა, ამ კურდღელს სინათლე დაუბრუნდესო, მითხრა გარსევანმა საოპერაციო ოთახიდან გამოსვლის შემდეგ, — როგორ?! თვალი ამოთხარეს და იმას რაღა გაუმთვლებს?!..

პასუხი არ მიმიცია, პირდაპირ თამართან დავაბეზლე სტუმარი...

— ცხადია, ამ საქმიდან შორსმდგომი ძნელად დაიჯერებს, ვიდრე შედეგს არ ნახავს, — თქვა თამარმა ღმილით და თავის სამუშაო ოთახში შეგვიძღვა.

აი, შეგიძლიათ ნახოთ ფოტოსურათები კურდღლის თვალის ბროლის თანდათანობით აღდგენის შესახებ. ამ სურათზე გამოხატულია შესაღარებლად ბროლამოკვეთილი კურდღლის თვალი, სადაც ამოკვეთის შემდეგ არაფერი გადანერგილა და აღარც ბროლი განვითარდა. სურათი გადაღებულია ოპერაციიდან ერთი წლისა და ექვსი თვის შემდეგ.

მეორე სურათზე ნაჩვენებია კურდღლის თვალი, სადაც ამოკვეთილი ბროლის ადგილას გადაენერგა კურდღლის ჩანასახის თვალის ქუთუთოს ეპიდერმისის ნაჭერი. ეს ოპერაციაც ერთი წლისა და ექვსი თვის წინ ჩატარდა, პირველი კურდღლის ოპერაციის დროს. და ხედავთ, ამ ხნის განმავლობაში როგორი ბროლი განვითარებულია გადანერგილი მასალის შედეგად. ახლა ეს შევადაროთ მესამე სურათს, სადაც მოცემულია ნორმალური (არა ოპერირებული) კურდღლის თვალი, რითაც ნათლად ჩანს, რომ აღდგენილი ბროლი თითქმის არ განსხვავდება თავისი ფორმითა და აღნაგობით ნორმალური ბროლისაგან.

— არა, ნუ დამძრახავთ და ვერც ამ სურათებში ვერკვევი — დასძინა გარსევანმა — ჩემთვის ყველაზე უფრო დამაჯერებელი საბუთი ის იქნება, თუ თქვენს „ზორბას“ თვალ-გამთვლებულს ვნახავ...

— კეთილი. არც ეგ იქნება ძნელი — უთხრა თამარმა, — ოღონდ ერთ წელზე ცოტა გვიან უნდა მობრძანდეთ, რომ ბროლმა მანამდე მოასწროს აღდგენა...

— ჩამოვლ, უსათუოდ ჩამოვალ, მარტო იმ კურდღლის სანახავად, რომელსაც უღანაშაულოდ ამოთხარეთ თვალი — დავგვირდა სტუმარი და დავვემშვიდობა.

იმ ოპერაციის შემდეგ გავიდა ერთ წელზე მეტი, გარსევანი აღარ შემხვედრია; სხვა დროს სოფლიდან ხშირად ჩამოდიოდა და ახლა რატომღაც დაიკვირდა...

მაისის შუა რიცხვებში, ერთ დღეს მოულოდნელად მესტუმრა. ისე მოხდა, რომ სახლ-



ში მართო დაგვიდა. კარგახანს ვისაუბრეთ, მერე თბილისის ზღვაზე გასეირნება შევთავაზებ.

— შესანიშნავია! — მითხრა მან, — რამდენი ხანია ვე წყალსაცავი შეიქმნა და ჯერ არ მინახავს.

მით უფრო საინტერესო იქნება ჩვენი მგზავრობა-მეთქი, დავიძინე. გამოვედით სახლიდან.

ტაქსმა ნახევარ საათში გადავიყვანა ზღვის სანაპიროზე. გრილი ნიავი უბერავდა ავჭალის მხრიდან, ზღვა ოდნავ შეეთურებულყო.

— აქ თუ სადმე რესტორანია, იქით წავიყვანეთ! — უთხრა მძღოლს ჩემმა თანამგზავრმა.

— უმჯობესია, აქეთ წავიდე — ვუთხარი მე. აგერ, იმ ხეობაზე, ზღვის პირას ჩვენი ზოლოდის ინსტრუმენტის სამეცნიერო-კვლევითი ბაზაა, ჯერ იმას გავეცნოთ.

ბაზის შესასვლელთან პირველად თამარის საკურდღლეს წავაწყდით, კურდღლის სადგომები ერთიმეორაზე იყო ჩამწყობებულნი, მათ თეთრხალათიანი ქალი დასტრიალებდა.

გარსევანს ახალა ვაახსენდა გასული წლის ოპერაცია და კურდღელი „ზორბა“ იკითხა.

— ის აქ უნდა იყოს, ამ კურდღლებში — ვუთხარი მე და დაიწყოთ სადგომების დათვალიერება...

გარსევანმა ყველა სადგომს მეორედ, მესამედ ჩამოუარა და უნდაოდ ჩაილაპარაკა:

— არა მგონია!.. აქ ყველა კურდღელს საღი თვალები აქვს!..

— აქ იქნება უსათუოდ! — დავიძინე დაბეჯითებით და ამ დროს თამარიც გამოჩნდა. ჩვენსკენ მოდიოდა.

მოკითხვის შემდეგ საუბარი ისევ „ზორბაზე“ ჩამოვარდა, თამარი კურდღლის სადგომთან მივიდა და გვიოთხრა:

— აი, ის კურდღელი, რომლის ოპერაციასაც თქვენ დაეწყეთ, ახლა მას ოპერაციისა აღარაფერი ემჩნევა, თვალები სრულიად ნორმალური აქვს.

— რა ვიცი, კურდღელი კურდღელსა ჰვავს — იხუმრა გარსევანმა.

მის ნათქვამზე ყველას გაგვიცინა. — მე მოვავიციე:

— გახსოვს, მაშინ ოპერაციის დროს თამარმა რომ გაგაფრთხილა:

„ამ კურდღლის ნიშნები დაიხსომე და მერე ადვილად დარწმუნდებით“. აბა ვახსენე: უკანა ფეხის ტერფები თეთრი, შუბლში ნიკორი, კულისწვერი შავი.

— დიდი მიღწევაა! ის არის ნამდვილად, თვალი ამოთხრილი ჰქონდა და ახლა მთლად გამოვლენილია... — თქვა კარგახანის შემდეგ გარსევანმა — საქმე ალბათ იქამდე მივა ამ გამოკვლევებით, რომ ბოლოს ადამიანსაც ვაუმთვლებთ დაზიანებულ თვალს.

— სწორედ ეგ არის ამ ცდების საბოლოო

მიზანი — თქვა თამარმა, — ადამიანის დაზიანებული თვალის ბროლის აღდგენა. მოგეხსენებათ, ბროლი დიდ როლს ასრულებს მხედველობაში.

ბროლი ნერვებს მოკლებული მკვრივი ბოჭკოვანი სხეულია, რომელიც მოთავსებულია თვალის რქოვანას უკან; კუთხვებში მიმავრებულია იოგებით, ჩანასახის დროს ჩხიერია, ხოლო შემდეგ მკვრივდება. ბროლის უკან გვერდებზეა ფერადი ვარსი; თვალის ღრუ ამოვსებულია მინისებრი სხეულით, სულ უკან იწყება მხედველობის ნერვი.

ყველაზე გარედან სხივები პირველად ეცემა სულ წინ მოთავსებულ რქოვანა ვარსს, იქიდან გაცილებს ბროლს, ბროლი გადატნის, გაფანტავს სხივებს, ამის შემდეგ გაივლის მინისებრ სხეულს, აღწევს მხედველობის ნერვის დაბოლოებას და ამის შედეგად ადამიანი ხედავს სხეულს.

დაზიანებით, ან ავადმყოფობით ხშირად ხდება ბროლის შემღვრევა, ე. წ. კატარაქტი, რის გამოც სხივებს ვეღარ გადატნის და მხედველობა ქვეითდება, ან სულ იკარგება, ამ შემთხვევაში ერთადერთი საშუალებაა ოპერაცია — ბროლის ამოკვეთა, რის შედეგადაც რქოვანა ვარსი სხივებს პირდაპირ გაატარებს მინისებრ სხეულში მხედველობის ნერვისკენ, ე. ი. შემღვრეული დაზიანებული ბროლი ხელს აღარ შეუშლის და მხედველობა აღსდგება იმდენად, რომ ახლოს შიტანილ ხელს ამჩნევს; ამის შემდეგ უკეთებენ ორმხრივ ამოზნექილ სათვალევებს, რაც ბროლის მაგვირობას სწევს, ოღონდ ახლა სხივები პირველად ვარსს ეცემა, იქ გადატყდება, გაივლის რქოვანა ვარსს, მინისებრ სხეულს, აღწევს მხედველობის ნერვსა და ადამიანი შედარებით უკეთესად ხედავს.

ახლანა დაიწყეს ამოჭრილი ბროლის ადგილას მის მსგავსად გამოყვანილი მინის მცირე ფორტიკის ჩასმა, რის შემდეგაც ორმხრივ ამოზნექილი სათვალე საჭირო აღარაა; ამ ხერხმა კიდევ უფრო გააუმჯობესა მხედველობის აღდგენა, თუმცა ცხადია, ყველა ეს საშუალება არ არის სრულყოფილი, ამიტომ დაიბადა მეცნიერებაში ახრი დაზიანებულ თვალში ახალი ბროლის აღდგენის შესახებ.

ამ მიმართებით პირველი მკვლევარია პროფესორი ვ. პოპოვი, მან ცდები ჩაატარა 1936 წელს ბაყაყის თავკომპლექტზე და მიიღო ბროლის აღდგენა; ამ შედეგების აღწერისას მან თავის ნაშრომში აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა თვალის ბროლის აღდგენის ცდები ბაკაყიდან გადატანილი ყოფილიყო ძუძუმწოვარ ცხოველებზე...

— სწორედ ამან წავახალისა, ამ სამუშაოსათვის მოვეყვია ხელი — განავრძო თამარმა,

— რა თქმა უნდა, ეს ფრიად ძველი საქმე იყო. მაგრამ მაინც შევუძღვეთ მუშაობას...



ჩვენც პირველად ბაყაყიდან დავიწყეთ; ცდებმა შესანიშნავად ჩაიარა, ბროლი აღდგენილ იქნა უნაკლოდ, ეს იყო 1941 წელი. ამ ცდების შედეგად დაიწერა ჩემი საკანდიდატო დისერტაცია.

ამის შემდეგ შევეუღებეთ კურდღლებზე მუშაობას. ოპერაციები ახალ ობიექტზე ბაყაყთან შედარებით უფრო რთული და საინტერესო აღმოჩნდა, გარკვეული ცვლილებები მოხდა მუშაობის მეთოდოლოგიაში, ახლა კურდღლის საღი თვალიდან ვკვეთავდით ბროლს; მის ადგილას კნერგავდით კურდღლის ჩანასახის თვალის მფარავ ეპიდერმისს...

ამგვარად, დაწყებულმა პირველივე ცდამ კარგი შედეგი მოგვცა. ამოკვეთილი ბროლის ადგილას ვადანერგავდი მასალიდან განვითარდა ახალი ბროლი, ამის შემდეგ დაიბადა კითხვა— დაზიანებული ბროლის ადგილას განვითარდებოდა თუ არა ახალი ბროლი. ამ კითხვის საპა-

სუხოდ შემდეგი ცდები ჩავატარეთ დაზიანებულ თვალზე და შედეგი მივიღეთ ისეთივე, ოღონდ ახლა ბროლის აღდგენას დასჭირდა მეტი დრო...

მუშაობა გრძელდება. ბროლის უფრო დაჩქარებით აღდგენის მიზნით ვიყენებთ სხვადასხვა საშუალებებს. დღემდე მიღებული ჩემი შედეგები უკვე საკმაოდ ცნობილი გახდა როგორც ჩვენთან, ისე უცხოეთში...

მომდევნო მუშაობა წარიმართება იქით, რომ ცდები გადატანილ იქნას ჯერ ძალზე და შემდეგ მიმდინარე...

როგორც ნათქვამი იყო, ამ ცდების საბოლოო მიზანია გარკვეული წვლილი შევიტანოთ ადამიანის მხედველობის დაცვაში და აღდგენაში— თქვა ბოლოს მკვლევარმა. მცირე ხნის შემდეგ მე და ჩემი მეგობარი კმაყოფილები დავემშვიდობეთ მეცნიერს.



## ხელოვნება მატყავიანი

### გერონტი ქიქოძე

ჩვენმა საზოგადოებრიობამ სიყვარულით და პატივისცემით აღნიშნა გერონტი ქიქოძის დაბადების 75 წლისთავი.

გერონტი ქიქოძე ორი წლის წინათ გარდაიცვალა.

მისი გარდაცვალება მით უფრო სამწუხარო იყო, რომ ის 73 წელს მიღწეული, სრულიად ახალგაზრდა იყო, არა მარტო გონებით, მსოფლალქმით, ფილოსოფიური კვრეტის უნარით, შეხედულებითაც, ვეკაცური იერით, სილამაზით, მთელი თავისი არსებით... ყველას ახსოვს, რა სიყვარულით მიესალმა ის ქართველი მწერლობის ახალგაზრდა თაობას.

აღამიანს უყვარს წარსულის განდიდება. წარსულს ის რომანტიკული სითვლებით ვაკუურებს, ოცნების ფლიორით ალამაზებს, ხშირად მასზე შეთხზულ იგაეაჩაკებს უცილობელ ქეშმარიტებად აღიარებს და ამ მანდილით მორთულს თაყვანსა სცემს. სხვაც ხდება, თანამედროვენი ხან ისე უსაფუძვლოდ აძაგებენ ან წინააღმდეგ ისე შეაქებენ ხელოვნების ან მეცნიერების მოღვაწეებს, ყოველგვარ ზომიერებას ასცილდებიან ხოლმე, ობიექტურობას კარგავენ, ქეშმარიტებას სცილდებიან, მთავალ თაობებს ვერც კი გაუგიათ, რად აღიღებდნენ ესოდენ ამ აღამიანსო. 1958 წელს საფრანგეთში ჩემი ყოფნისას, იქ ორი დღიად გამოჩენილი აღამიანი გარდაიცვალა, დიდი მწერალი როჟე მარტენ დიუ გარი და საქვეყნოდ ცნობილი ფიზიკოსი ფრედერიკ ჟოლიო კიურე. არც ერთი არ დაუმარხავთ პანთეონში. სოფლად მიაბარეს მშობელ მიწას. ჩამოვედი, გერონტი ქიქოძეს ვკითხე, ეს რას ნიშნავს-მეთქი? — «ფრანგები ბრძენნი, კარტუზიანელები არიან. აღამიანის ფასის დადგენას ისტორიის სამსჯავროს მიანდობენო. დრო გადაწყვეტს, ვინ სად უნდა ესვენოს, სჯობია პანთეონში გადავსვენონ, ვიდრე გამოვასვენონო». ბრძენი იყო გერონტი ქიქოძე.

არა მგონია, რომ ჩვენი თაობა ცდებოდა

გერონტი ქიქოძის დეაწლის შეფასებაში. მისი შეფასებისას ჩვენ ძველი რომაელების წესს როდი მივსდევთ, De mortuis aut bene, aut nihil, მიცვალებულზე ან კარგი სთქვი, ან დაღუპილი. გერონტი ქიქოძეს თითქოს მეტის გაკეთება შეეძლო, ვიდრე გააკეთა, თითქოს მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა მეტიც შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ იგი ხომ სულ სხვა იყო. ჯერ ერთი, მას არ შეეძლო სხვისი ყოველი ორი წიგნის წაკითხვის შემდეგ მესამე თავისი დაეწერა. მას არ შეეძლო არც ისტორიული პრონიკების კონსპექტების გამოქვეყნება, არც ნებისმიერი თხზვა, რომლის საფუძველი საქვერემინისციენციბია, მაგრამ არც ეს არის მთავარი და ვადაამწყვეტო.

ყოველი ხელობა, კერძოდ მწერლობა შემოქმედებითი ნებისყოფის აბსოლუტურ კონცენტრაციას მოითხოვს, ასკეტის თავდადებას, სიმამაცს. ის ხშირად ერთ გარკვეულ ესთეტიკურ იდეალს ატარებს და მას ეტრფის, მით არის შთაგონებული, ჯიუტად მისდევს მას. გერონტი ქიქოძეზე ამას ვერ იტყვი, მას ცხოვრებაში მრავალი იდეალი ჰქონდა. იგი გატაცებით ისახავდა ბუნების აღქმის იდეალს. ცოტა მეგულება აღამიანი, რომელსაც ჰქონოდა ბუნების მშვენიერების ასეთი უშუალო განცდის უნარი. ის მარტოღმარტო დადიოდა კომკავშირის ხეივანზე, ატბაცებით შესცქეროდა, თითქოს ყნოსავდა დედა-ქალაქის სილამაზეს, ჩვენი განუმეორებელი ცის ლაქვარდს. იყო წუთები, როდესაც ის ვახტანგ ჭაბუკიანის ერთ ილეთს აჯობინებდა ყველაფერს ქვეყანაზე და იის თუ ვარდის, ან მიხაკის სურნელზე ისე დაათრობდა, რომ ტრისტანის და იზოლდას სიყვარულსაც დაავიწყებდა, იმ სიყვარულს, რომელიც, ყოველი გადაჭარბების გარეშე, გენიალურად ააქვრა მისმა კალამმა ქართულ ენაზე. მას, რომელიც ჩასწვდა სტენდალის გენიას, გატაცებით უყვარდა ეგნატე ნინოშვილი და ერთ-ერთ საუკეთესო მწერლად მიიჩნეოდა, თუმცა გ. ქი-



ქოძეს, ქართული სიტყვის დიდოსტატს, არ შეეძლო არ დაენახა ეგნატეს ლიტერატურული სტილის ზოგიერთი უხერხულობა.

გერონტი ქიქოძე დიდი ვატაცებით მუშაობდა ვ. ი. ლენინის „მატერიალიზმის და ემპირიოკრიტიციზმის“ თარგმანზე და გზადგზა ქმნიდა და ადგენდა ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას, რომელიც შემდგომ ხანაში გაუმჯობესდა და მრავალმხრივ შეივსო. ასევე ვატაცებით თარგმნიდა ის კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებებს. ამ შემთხვევაშიც ის ყამის ტენდა, ქმნიდა ორიგინალის ადექვატურ პოლიტიკურ ტერმინებს.

სხვა დროს კი თავადდებით და ვატაცებით იკვლევდა პატარა კახის ცხოვრების რთული დრამატული, ტრაგიკული თავგადასავლის მატიაწეს. გერონტი ქიქოძეს მუდამ ახასიათებდა ტაქტი, ტაქტი, რომელიც, როგორც ცნობილია, ესოდენ საჭიროა არა მარტო მოღვაწისათვის, არამედ უბრალო მოკვადეებისათვისაც. ერგულე მეორესადმი მიძღვნილ ბრწყინვალე ისტორიულიტერატურულ მონოგრაფიაში გერონტი ქიქოძე მკითხველს დაანახა, თუ რაივ ღრმად ჰქონდა მის ვანეითარებული ისტორიის გრძნობა, რა უღრმესი ტაქტით ითვისისწინებდა ის პოლიტიკურ თუ ეკონომიურ ფაქტორებს, რომელნიც ვანსაზღვრავენ ერის, ხალხის ცხოვრებას, მის წარსულს, აწმყოს, მომავალს.

ღრმად მოაზროვე გერონტი ქიქოძე ვაბრწყინებული, ვახარებული, მგონი აღტაცებულიც უჩრევდა ნაცნობ-მეგობრებს წაყიხობათ უკანასკნელი მონოგრაფიები ფრანგ იმპრესიონისტებზე. პარიზში პირველ რიგში, მირჩევდა იგი, ნახეთ იმპრესიონისტები, როდენის მუზეუმი, ერთი თხროვაც შემიხრულეთ, აიით ნოტრ დამის, ლეთისმშობლის კათედრალის სახურავზე, ქიქორებს მიუალერსეთ, იქიდან ვადახედეთ სენას, მის ხიდებს, ახლაც თვალწინ მიდგას პარიზის მშვენიერებაო. სხვა დროს კი იგი ფერწერის ქემპარტი დიდოსტატის დანახული თვლით აღწერდა ხოლმე მის მშობლიურ გურიას, მეკითხებოდა — წაყიხობთ ნოდარ დუმბაძის ზურაყელა, მართლაც ხომ ვარგია ჩვენი გურია, მისი ადამიანები? და, სრულიად ბუნებრივად, მისთვის ჩვეული თვალკერილი კდემამოსილებით და თავმდაბლობით დაიწყებდა საუბარს ქალაქ ვაიმარზე, ბრძენი გერმანელის, გოეთეს მშობლიურ ქალაქზე.

გერონტი ქიქოძეს ერთი ვენება ჰქონდა, ერთი ვანუშეორებელი შმაგი სიყვარული, ყოვლის დამტევი და ყოვლის შემცველი გრძნობა, ერთადერთი რამ, რაც მას ხანდახან წონასწორობასაც აკარგვინებდა, და როგორც შეყვარებულთ ჩვევით, ზოგს რამეს ავიწყებინებდა. მისი ტრფილის სავანი მისი სამშობლო იყო. საქაზთველი უყვარდა როგორც რაინდს, თავყანს სტემდა ამ ქვეყნის ყოველ მტყაველს, მის ძვე-

ლებს, მის წარსულს, აწმყოს და რწმენით ვასტყროდა მის მომავალს.

გერონტი ქიქოძესთან საუბარი სიამოვნებას, სიტკბობას ვეროდა ადამიანს. აქაც იჩენდა ის ვასაოცარ ტაქტს, თავის აზრს კი არ ვახვევდა, არამედ მისი მსჯელობის ლოგია და სიღრმე ვარწმუნებდათ მისი აზრების მართებულებაში და სისწორეში. გერონტი ქიქოძეს არ უყვარდა ფაშიზარობა, მას საყვირვლად ჰქონდა ვანეთარებული დისტანციის გრძნობა. ის ვამოჩენილი სტილისტი იყო, ბევრმა უნდა ისწავლოს მისგან, თუ რაოდენ საჭიროა ხანდახან არა მარტო მძიმის, წერტილის დასმაც.

გერონტი ქიქოძე ტპიური ვერობელი იყო, ამ სიტყვის საუკეთესო ვაგებით. მას ეზიზღებოდა პროვინციული ცრუპატრიოტიზმი, უტაქტო ლაყობა წმინდათაწმიდა გრძნობაზე, რომელსაც სამშობლოს სიყვარული ჰქვიან. გერონტი ქიქოძისაგან ვამოგონია ფრანგების ერთი მოსწრებული თქმა, ყოველ მამაკაცს თელი გულით, ვატაცებით ვერთი ქალი უყვარს, რომელსაც ამ გრძნობის სიძლიერის ვამო არასოდეს უტახებებს თავის ტრფილსო — ეს ქალი დედა არისო. გერონტი ქიქოძეს ისე უყვარდა სამშობლო, რომ უხერხულად მიაჩნდა ამ გრძნობაზე პათეტური წამოძახილები. ის უდიდეს პატრეს სტემდა თავის ხალხს, ამიტომ მოწინეებით და პატივისცემით იხსენიებდა სხვა დიდ თუ პატარა ერებს, მეზობლებს თუ უორეულებს. ერთნაირად ხიზლავდა მას მტყარი და ვუბაზოული, რაინი და სენა, თბილისის ვანუშეორებელი ფერები და პარიზის უქკნობი სილაბაზე, მან კარვად იცოდა შ. ზუსთაველის, დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის გენის ფასი, ამიტომ სტემდა ის თავყანს მარც აერულუსს, დანტეს, პეტრარკას, გოეთეს, სტენდალს, დოსტოვესკის, ტოლსტოის. მას უყვარდა მოსე თთიძის ადრინდელი ტილოები და ნიკო ფიროსმანიშვილის უშუალო ვანდებში, რომელშიც ის ა. რუსოს მხატვრობის პარალელეს ამჩნევდა. მან პირველთაგანმა დაინახა ლადო გულდაშვილის თვითმყოფადი ნიჭი ქვეყნის ახლებური ხილვისა.

მას უყვარდა ელადა, ძველი საბერძნეთი, უფრო ნაკლებად — ფუფუნებაში და ვანცხრომაში მყოფი რომი თუ ბიზანტია, ამიტომ ესმოდა და თავყანს სტემდა ჯგრის მონასტრის თუ სეტრეცხოვლის დახვეწილ ფორმებს და ყინწვისის ფრესკებს. საქართველო მის წარმოდგინა როგორც მსოფლიო კულტურის, საკაცობრიო ცივილიზაციის წრეში მოქმედი, შემოქმედი ქვეყანა.

გერონტი ქიქოძე ციხეებში, ვადასახლებაში. ემიგრაციაში ყოფილა, მაგრამ ის არასოდეს არ იჩემებდა პროფესიულ რევოლუციონერობას, ის მინისტრის მოადგილეც იყო, თუმცა მასზე



გერონტი იტყვის ის პროფესიული სახელმწიფო მოღვაწე იყო. ის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა, მაგრამ გაჭირდება იმის თქმა, გ. ქიქოძე პროფესიონალი პოლიტიკოსი იყო. ის ვაზუთებს რედაქტორობდა, „კომუნისტშიც“ მუშაობდა, მაგრამ ძნელი სათქმელია გ. ქიქოძე ყურნალისტი არისო, გ. ქიქოძეს შთაგონებული სტრიქონები აქვს მიძღვნილი მხატვრობის, ხელოვნობისათვის, მაგრამ ჯერ არავის უთქვამს ის ხელოვნებამცოდნეაო, ის ისტორიის მკვლევარია, თქმაც სწავლულ ისტორიკოსად არავის მიუჩნევია. მე ვაგებდავ და მეტსაც ვიტყვი, ის ხომ ბრწყინვალე, სწორუბოვარი სტილისტია, მაგრამ მგონი აქაც გაჭირდებოდა გვეთქვა, გ. ქიქოძე პროფესიონალი მთარგმნელიაო.

გერონტი ქიქოძეს დიდი შთაგონება, სხვადასხვა ვნება და მრავალმხრივი ნიჭი ახასიათებდა, ის მეტრისმეტად ადამიანური ადამიანი, კაცური კაცი იყო, რომ რომელიმე ერთი დარგის პროფესიონალი მოღვაწე გამხდარიყო.

მიუხედავად ამისა გ. ქიქოძისათვის ქართული ლიტერატურა წყნარი ნავთსაყურადი არ ყოფილა. მწერლობა მისთვის ბუნებრივი მოთხოვნილება იყო. პირველ რიგში ის ბრწყინვალე ესეისტი და პუბლიცისტი, რომელიც თანამედროვეობის ისტორიას წერდა.

ნარკვევში დ. გურამიშვილზე გ. ქიქოძე აღნიშნავდა: „ენა დიდი სოციალური სტიქიონია. საკმაო არაა, რომ მწერალი უნაკლოდ იცნობდეს დედაენის გრამატიკულ წყობას, ფლობდეს მის იდიომებს და მის ლექსიკას; ის მხოლოდ ის შემთხვევაში გაიმარჯვებს, თუ სინტაქსის და ლექსიკონის საზღვრებს სცილდება და უშუალო კონტაქტს ამყარებს ენის ბუნებასთან, გრძნობს იდუმალ ძალებს, რომლებიც ენაშია დამალული“. თვით გერონტი ქიქოძე მშვენიერად გრძნობდა იმ იდუმალ ძალას, ამიტომ არ შეიძლებოდა, რომ მას არ ეთარგმნა „ტრისტან და იზოლდა“, არ დაეწერა „მოგონებანი“, პუბლიცისტური წერილები, ნარკვევები. მისი ნაწერი ქართული ენის საუნჯეში დაჩაჩებდა, რადგან იქ ამოხსნილია იდუმალი ძალა ენისა.

გერონტი ქიქოძე წერს გამპვირვალბობით, მისი საყვარელი მხატვარ-იმპრესიონისტების მანერით და რაც მთავარია, დილასტატის სისადავით. ის არ აწვავლებს, არც სტანჯავს სიტყვას, არაფერს უმატებს მის ბუნებრივ იერს, მხოლოდ ამკობს მას შესაფერი ფერებით, ნახევარტონებით. ენის ჯაღაქარაო — შეიძლება ითქვას მასზე.

სულ მოკლე გვიდა შეგვირდეთ მის მოგონებებზე. ეს ნაწარმოებები ყოველგვარი ვადაქარბების გარეშე თანამედროვე ქართული პროზის სამავალითო ნიმუშს წარმოადგენს. სამწუხაროდ, გ. ქიქოძე თავისი ცხოვრების გზა

მხოლოდ სულ უკატარა მონაკვეთზე მოგვთხრობს, განთიადიდან შუადღემდე.

ავტორი თითქოს აქაც ძუნწობს, გუარბას მრავალსიტყვაობას, ერთი-ორი შტრიხით გადმოგვემს ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდს. დიდი ოსტატის ხელით ხატავს ბუნებას, ადამიანებს, მათ ხასიათებს. მკითხველის თვალწინ აღსდგება ჩვენი საუკუნის დასაწყისის მრავალი გამოჩენილი პიროვნება, მოაზროვნე, ფილოსოფოსი, მწერალი, მოღვაწე. არ შეგვიძლია ერთხელ კიდევ არ ვთხოვოთ მკითხველებს ჩვენთან ერთად გადაიკითხონ პოეტური ხილვით აღვსილი გ. ქიქოძის მშვენიერი სტრიქონები: „სოფლად ბუნების სტიქიონური ძალაც და რიტმიც განსაკუთრებით ვაზაფხულზე იგრძნობა, ზოდესაც ნუშის, ტყემლის და ქლიავის თეთრად აყვავებას ატმის, ვაშლის და კომპის ვარდისფრად აყვავებას მოსიღვას, ხოლო ბოლოს ბროწეულის ხეები ინთება აღისფერი ყვავილებით. აორთქლებული მიწის სუნი იის სურნელებას უერთდება; შემდეგ ზაფხულში და შემოდგომამდე კი ჰაერი ახლად მოცეცილი ან ხმელი თივის, ნესვის, ატმის, მწიფე ყურძნის სურნელებით იფილნთება. ქვეყნიერება მშვენიერი მეჩვენებოდა ზამთარშიც, როდესაც თოვლის საბურველი და ყინულის ლოლუები ჩვენს დიღსა და განმარტოებულ ეზოში ვენახიან ხეებსა, ხეხილსა და შენობებს იღუმალბობა აღსასვე გარეგნობას აძლევდნენ“.

ქუთაისში იწყება გ. ქიქოძის — ჰაბუკის შეგნებული ცხოვრება და მოგონებებში წარმოსახებიან ჩვენი სასიქადულო მოღვაწენი, სცენის ოსტატები ლაო ალექსი-მესხიშვილი, კოტე მესხი, ალექსანდრე იმედაშვილი, ვალერიან გუანია, ვასო დაშაშიძე, ნინო ჩხეიძე.

მახელი თვალით არის დანახული ჩვენი საუკუნის პირველი ათწლეულის გერმანია და საფრანგეთი. განთქმული მეცნიერების პორტრეტები, ვილჰელმ ვუნდტი, იოჰანეს ფოლკელტი, ჰუსერლი, კარლ ბიუხერი, რომელსაც თურმე მისმა მოწაფემ, ფილიპე გოგინაიშვილმა ქართული ფოლკლორიდან საინტერესო მასალა მიაწოდა განთქმულ ნაწარმოებისათვის „ზრომა და რიტმი“. გ. ქიქოძე შენიშნავს, რომ იმდროინდელ გერმანიაში ორიგინალური შემოქმედების სულის შესუსტება იგრძნობოდა, არა მარტო ფილოსოფიური აზროვნების და მეცნიერების, კულტურული ცხოვრების ყოველ დარგში. გერმანელ ერს, შენიშნავს გერონტი ქიქოძე, დიდად ჰქონდა განვითარებული სოციალური ინსტიტუტი, რაც აუცილებელი საფუძველია ყოველი სიდი ეროვნული მორალისაო. მას არ მოპარვია მილიტარიზმის ზრდა გერმანიაში, სოციალ-დემოკრატიის ლეგალიზმის ჰაობში თანდათანობითი ჩაფვლის პროცესი.

გერმანიიდან იგი კვლავ სამშობლოს უბრუნ-



დებდა. აქ პირველი რევოლუციის მრისხანე დღე-ეზი. გერონტი ქიქოძე მისთვის ჩვეული თავდაბლობით აღწერს ფ. მახარაძესთან, მიხეილ დავითაშვილთან, სტეფანე შაუმიანთან მეგობრულ ლიტერატურულ და პოლიტიკურ თანამშრომლობას. საინტერესოა სტეფანე შაუმიანთან შეხვედრის ერთი დეტალი. ავტორი შენიშნავს: „ავაკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ ხელმძღვანელი, ლურჯთვალეზიანი, წაბლისფერთმიანი სტეფანე შაუმიანი თავმდაბალი, თავაზიანი და რბაისელი ადამიანი იყო, ამასთანავე კარგი მოსაუბრე და კარგი ორატორი; თუ მისი ტემპერამენტი მისი ცოდნის და პრინციპულობის სიმადლეზე მდგარიყო, გამოჩენილი პუბლიცისტი იქნებოდა“. ერთხელ რედაქციაში ასოთაშეწყობს ს. შაუმიანი სრულიად უაქცენტოდ ქართულად დაელაპარაკაო. როცა გ. ქიქოძეს ამის გამო ვაკვირება გამოუთქვამს, სტეფანე შაუმიანს უთქვამს, ჩემი მშობლები თელაველები არიან, ჩემი სალაპარაკო ენა ბავშვობაში ქართული იყო“.

სიყვარულთ არის დახატული ცნობილი რევოლუციონერის მიხეილ დავითაშვილის პორტრეტი.

რეაქციის წლებში გერონტი ქიქოძე კვლავ ევროპაში ბრუნდება, ის აგვიწერს იენას, მიუნჰენს, შვეიცარიას და ბოლოს საფრანგეთს, და, პირველ რიგში, პარიზს. მოგონებებში, როგორც კალეიდოსკოპში, ერთმანეთს ცვლიან პირადი ინტიმური ხასიათის განცდები, საფრანგეთის ისტორიაზე ღრმა და საინტერესო დაკვირვებანი, ცოცხალი ჩანახატები საფრანგეთის და კერძოდ პარიზის ყოველდღიური ცხოვრებისა, ადამიანების, პირველ რიგში ემიგრანტების სურათები. გერონტი ქიქოძე ამჩნევს ბურჟუაზიული ევროპის კრიზისს. ის მართებულად აღნიშნავს, რომ ეს იყო, უწინარეს ყოვლისა, მსოფლმხედველობის და ზნეობრივი იდეალების კრიზისი.

გერონტი ქიქოძის მოგონებებს, როგორც ყოველ კარგ მუსიკალურ ნაწარმოებს, შესანიშნავი ფინალი აქვს. აი ეს ფინალი: „ერთხელ საღამოს პაოლო იაშვილმა და მე ჩვენ ნაცნობ ქართველ ემიგრანტთან შევიარეთ სასტუმროში. იქ მიხეილ დავითაშვილი დაგვხვდა. ის პარიზში რომელიღაც ქარხანაში მუშაობდა უბრალო მუშად. მან გვითხრა, ხვალ რუსი სტუდენტებს მოწვევით ლენინი მოხსენებს კითხულობს ეროვნულ საკითხებზე და ერთად დავესწროთო. მანამდე ლენინი არ მენახა. ის რატომღაც პალა, გამხდარ, ლამაზ, გრუზათმიან მამაკაცად მყავდა წარმოდგენილი. სახტად დაერჩი, როდესაც დარბაზში დაბალი, ჯმუხი, მელორტი კაცი შემოვიდა. მას ტუჩებზე ხანდახან ძალიან დამახასიათებელი ღიმილი უქრთოდა, თითქოს ისეთი რაღაც იცოდა, რაც სხვებისათვის მუდამ საიდუმლოებად დარჩებოდა. ლენინმა თავის მოხსენებაში ენერგიულად გააკრიტიკა კულტურული ავტონომიის იდეა და განაცხადა, ჩვენთვის პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი ერები არ არსებობენ, ყოველ ჩაგრულ ერს თვითგამორკვევის უფლება უნდა მიეცეს, ეს უფლება მის სრულს დამოუკიდებლობასაც გულისხმობსო. მაგრამ ჩვენ დაჩწუნებული ვართ, რუსეთის მომავალი რევოლუცია იმდენა მისცემს ჩაგრულ ერებს, რომ ისინი არ ისუოვებენ რუსეთიდან გამოთიშვასო. ქართველი დამსწრეების ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო იმ გარემოებას, რომ ლენინი დიდხანს შეჩერდა გურიის გლენკაცობის როლზე 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში. მან თქვა, გურულებმა დიდი შეგნება და ორგანიზაციული ნიჭი გამოამჟღავნეს 1905 წელს, თავის რესპუბლიკაში მოსპეს ყოველი ძალმომრეობა და დანაშაული...“



## ვლადიმერ ზამბახიძე

### ცაბუნია

ცაბუნია იმ პატარა გოგონას სახელია, რომელსაც მსოფლიო ომის დაწყების წელს მხოლოდ თერთმეტი შეუსრულდა.

ცაბუნია კონსტანტინე ლორთქიფანიძის იმავე სახელწოდების შესანიშნავი მოთხრობის გმირია. ეს ნაწარმოები მწერლის შემოქმედების ის ერთ-ერთი შედეგია, რომელშიაც „იდეა განვითარებულია გრძნობამდე“ და ამიტომ ბოლომდე შეინარჩუნებს თავის პოეტურ სურნელებას. ავტორი აქ დიდი ბუნებრივობითა და ზომიერებით, ძალდაუტანებლად და თან შინაგანი მღელვარებით გვიხატავს კაცთმოყვარეობის, სიპართლისა და სიკეთის იმ კეთილშობილი გრძნობების ზეიმს, რომელთა ჩახშობა ადამიანის სულში ვერც გადატანილი ომის საშინელებებმა შესძლეს.

„ცაბუნია“ ზომით „ციცქნა მოთხრობაა“, მაგრამ, როგორც იტყვიან, ნაწარმოების ზომა რა სახსენებელია, თუ კი მწერალი სათქმელს სრულად და ამოწურავად ამბობს! კონსტანტინე ლორთქიფანიძე ბრწყინვალედ აღწევს ამას „ცაბუნიაში“ და ამით ერთხელ კიდევ გვიდასტურებს თავისი ნიჭის ძალას.

რა თქმა უნდა, „ცაბუნია“ ჩვენ გვიბილავს არა მარტო თავისი ფორმის ოსტატური ლაკონურობით. იგი გულში გვრჩება როგორც საერთოდ მაღალპოეტური ქმნილება, რომელშიაც ასე ნათლად ჩანს ავტორის ერთგულება ქეშმარიტებისა და მშვენიერებისადმი. ეს კი, ბრანდისის თქმისა არ იყოს, თავისთავად ანიჭებს ხელოვნების ყოველ ნაწარმოებს არა მარტო ესთეტიკურ, არამედ ზნეობრივ ძალასაც.

მაღალი ზნეობის ნათელი ადგია კ. ლორთქიფანიძის ამ ნაწარმოებს და ამ ზნეობის ზორც-შესხმულ არსებად გვევლინება ყველა მისი გმირი — გარეგნულად სუსტი ცაბუნია იქნება იგი თუ მკლავმაგარი ვაჟკაცი, ომში დაჭრილი სერჟანტი მესხი.

სწორედ ამით გვიზიდავს მოთხრობის პირველივე სტრიქონებიდან საოცრად შეწუხებული პატარა გოგონა, რომლის სახელი ასე შეეფერება მოკაძალებით აღსაყვამის პიროვნებას და განმასხვავებელ გარეგნობას. მწერლის გადმოცემით, ცაბუნია იყო აკანჭული, წინდის ჩხირივით თავიდან ბოლომდე ერთნაირად გათლილი გოგო, გრძელი, წვრილი მკლავებით და მუდამ გადატყავებული წვეტიანი იდაყვებით. ცხვირსა და ლოყებზე ჰარბად ჰქონდა მოღუბული ჩალისფერი კორფი, თითქოს ზედ მთელი საცერი ქატო შეაყარესო.

ძალზე შეუხედავი ჩანს ამ სურათში ცაბუნია, მაგრამ გამხდარი „ძღაბი“ მაინც მთელი გულით გვიყვარს მწერალთან ერთად, რომელსაც სწორედ სიყვარულის ეს გრძნობა აიძულებდა თავისი თავი დაერწმუნებინა, რომ ცაბუნია საბოლოოდ ლამაზი და მოხდენილი ქალი დადგებოდა.

როგორც ყოველთვის, აქაც მწერლის აზრი, ყოველი მისი ნახატი, შეეხება იგი მოვლენებს თუ ადამიანებს, მუდამ ცხადი, მუდამ ნათელია. ცხოვრებიდან აღებული მისი პერსონაჟები სკულპტურულად გამოკვეთილი არიან ყოველთვის და მათ ხასიათში ვერაფერს ვიპოვებთ გამოგონებულსა და შეუსაბამოს. მწერალს არასოდეს შეუძნეველი არ რჩება ის დეტალგობი, რომელთა გამო მისი გმირები ასე მტკიცედ იჭრებიან ჩვენს მესხიერებაში.

საიმედოდ შეკრულია ყოველთვის ლორთქიფანიძის დიდი თუ მომცრო ნაწარმოები, მკვირვია მისი კომპოზიცია. ამის მიზეზი ისაა, რომ ნაწარმოებსაც და მის ცალკეულ მომენტებსაც მწერალი მუდამ უმოპოვებლად ერთ მიზანს: დამაჯერებელი მხატვრული ხერხებით გახსნას ნაწარმოების იდეა და პირდაპირი გზით შეგვიყვანოს გმირთა სულიერსა და ზნეობრივ სამყაროში.



ქ. ლორთქიფანიძეს არასოდეს არ იტაცებს თვითმიზნური სიტყვიერი ორნამენტი, მოქარგული ფრაზისათვის თხრობას არასოდეს არ აყუენებს და სათქმელს მუდამ სწრაფად და დამაჯერებლად ამბობს.

ასეა „ცაბუნიაშიც“. აქ ამბავი იწყება პირველივე აბზაციდან ავადმყოფ დედასა და მის პატარა ქალიშვილს შორის გამართული იმ სველიანი საუბრით, რომლის განწყობილებასაც შეესაბამებოდა მწერლის მიერ დახატული მარტისა თუ აპრილის წვიმიანი დღის პეიზაჟი. „როდესაც წვიმს (თუმცა იმერეთში როდის აღარ წვიმს მარტსა და აპრილში) — იწყებს ამბავს მწერალი — როდესაც წვიმს და რიონის ჭალიდან წამოსულ ქარს მიწაზე დასტადასტად ჩამოაქვს ატმისა და ტყემლის ყვავილი, პატარა ცაბუნია დედას ეკითხება:

— დე, მოვიხურო შენი ღაზლი? (რა შესანიშნავია ეს შეკვეცილი „დე“, ნაცვლად „დედისა!“ — ვ. ზ.).

— კი, შვილო. ცაბუნია უმაღლესად გამოსწევს ძველი კარადის უჯრისა და თითქოს იქიდან თეთრი ბატი ამოფრინდაო, ოთახში ღუნღუნა ღაზლი გაიფრიალებს და უხილავ ნაპერწყლებს გაჰყრის.

ღაზლი სულ ახალია, მისი მოუთელავე ბეწვი ჯერ კიდევ შუშხავს თავისიერს, სამაგიეროდ ცაბუნია შიგ ისე თბილად გაეხვევა, ღაზლიდან გურფლიანი ცხვირი და ბუხართან დაბრაწული წვივები მოუჩანს.

მამის ნაქონი ცხვირიანი კალოშები კარებთან უცდის პატარა გოგოს!“

დიდად შთამბეჭდავი და მეტყველია ავტორის ნაცადი ხელით შესრულებული ეს ფერწერული სურათი. ქარის ბეწვ დასტად-დასტად ჩამოცეკვნილი ატმისა და ტყემლის ყვავილები ომში დახოცილთა ტრაგიკულ ბედს მოგვაგონებს სიმბოლურად, ხოლო ავტორის პოეტური ფანტაზია ისეთ შთაბეჭდილებას ალგვიძრავს, თითქოს მეკდარი ნივთებიც სულს იდგამენ ცაბუნისა დასახმარებლად და გასაბარებლად.

ცაბუნისა გულშემმატკივარ მეგობრად წარმოგიდგენს მწერალი ახალ, ღუნღუნა ღაზლს, სკივრიდან ამოფრენილ თეთრ ბატს რომ ადარებს იგი. შთაბეჭდილების სისრულისათვის ავტორი იმასაც გვეუბნება, ღაზლი მოუთელავე იყო და ცაბუნისა კისერს შუშხავდაო, მაგრამ გოგონა, როგორც ჩანს, ამას ვერც გრძობდა იმ მძიმე და მწუხარე ფიქრების გამო, რომელიც თითქოს მის სხეულთან ერთად ვახვეულიყო ამ მოსასხამში.

ამ თვალსაზრისით, ღაზლზე უფრო დაუეჭვ-ჯარია მკითხველისათვის მამის ნაქონი კალოშები, რომლებიც ცოცხალ არსებასავით ელოდება ცაბუნისა კარებთან. ეს სურათი ისეთ

შთაბეჭდილებას ჰქმნის, თითქოს საქმე გვექონდეს არა უბრალო სახმარ ნივთთან, არამედ რაღაც ზღაპრულ კვიცებთან, რომლებიც მოუთმნელად ტრავენ ადგილს და მზად არიან ვააქროლონ ცაბუნია ამბოვის სანატრელი საღვურისაკენ.

ყოველ ცისმარე დღეს, ავდარსა თუ დარში, მიბრბოდა ცაბუნია სადგურისაკენ. „ე, ჩაიარა, აბულაძის ძაბამა“ — ამბობდნენ მეზობლები, როდესაც ნაწვიმარ თემშარაზე მისი დიდი კალოშების ტყაბუნს მოჰყავდნენ ყურს. წვიმიან დარში ხმარობდა ცაბუნია მამის კალოშებს, ხოლო კარგ დარში მხრებზე სანდღებ-ვადადებული და ფეხშიშველი მიტინტილობდა იგი ახლა ასე საყვარელი სადგურისაკენ. გარბობდა ცაბუნია და მისი ერთადერთი სურვილის იყო, რაც შეიძლება სწრაფად მოელოა გზა. ბავშვის ამ სურვილის ნათელსაყოფად გვიჩვენებს მწერალი, თუ როგორ ახტებოდა იგი გზადაგზა ნაწვიმარ გუბებზე, თუნდაც ზოგჯერ წუმშეშეა ცამოსვრილიყო ამის გამო, და ქალაქს მიახლოებული ბტუნვით იცვამდა სანდღებს, რადგან ფიქრობდა — თუ კედელს მიეყვარდენი, მაშინ მეტი დრო დამჭირდება ამისათვისო.

სამტრედიის სადგურზე ყველა იცნობდა ცაბუნისა, — ყველას ებრალებოდა იგი და ამიტომ სანიტარულ ვაგონში შესვლაზე უარს არც ეუბნებოდნენ. მინდვრის ყვავილებისა და ბაღბოსტნის სურნელში აღზრდილ გოგონას ცტახნით გულსაც ურევდა ვაგონში წამლის, ჩირქისა და მყარლი თუთუნის სუნე, მაგრამ მალე ეგუებოდა იქაურობას, რადგან მამის მდგომარეობას მოაგონებდა რალაცნაირად. მწერლის ბრწყინვალე შედარებები, როგორც ლანდი არაფერს არ წააქეებს და არავის არ შეაწუხებს, პატარა გოგოც ასევე ჩუმად გადადიოდა ერთი კუბედან მეორეში და უდიდესი მოჩირბებითა და მოკრძალებით ეკითხებოდა იქ მყოფთ: „ქერჩრადან მოიღხარ, ბიძია?“. როდესაც ამ კითხვაზე ჰსუსტს მიიღება, მაშინ შეეკითხებოდა კიდევ: მამაჩემი, ვალიყო აბულაძე ხომ არ გინახავთო. და თუ მამის მცნობი არაეინ გამოჩნდებოდა, „კარგი, ბატონოო“, უპასუხებდა და მყის გაშორდებოდა იქაურობას.

ცნობილია, რომ დიდ გასაქირში ჩვენი ქვეყნის ადამიანი არასოდეს მარტოდ არ დარჩენილა. ასეთ შემთხვევაში მისი თანამოზიარე. გამკითხავი და მეგობარია არა მარტო შინაური და ახლო ნათესავი, არამედ შორეული მეზობელიც. მაგრამ გასაქირში მყოფ ქართველ ადამიანს ერთი კარგი თვისება მოსდამს: იგი ცდილობს თავისი მწუხარებითა და დარღობი სხვა არ შეაწუხოს. ეს თვისება თითქოს თანდაყოლილია მისთვის და ამიტომ ამშვენებდა იგი



პაწია ცაბუნისაც, რომელიც ომის ჯოჯოხეთის გამო გამოემშვიდობა ასე ნაადრევად თავის ბავშვობას.

ლოკაციის და ინტონაციური ნიუანსებით სავსე ცაბუნისა ზემომოყვანილი სიტყვები «კარგი, ბატონო!» მასში იგაძნობა ადამიანის ზრდილობაც, მისი დიდი თავდაპირველად, ერთგვარი შინაგანი არისტოკრატიზმი და დაფარული ჩივილიც ბედის იმ უკუღმართობაზე, რომლის დამორჩილება ცაბუნის არც უფიქრია იმ დროს. თუ დაეინებულა, მაგრამ გონიერი მიზანსწრაფვეა, ადამიანის ნებისყოფის სიტყვის მიჩვენებელია, მაშინ სწორედ ამ სულიერი თვისებით გამოირჩევა ეს პატარა გოგოც.

სიხარული ხშირად მოულოდნელად მიადგება ადამიანს კარზე. ასე მოხდა ცაბუნისათვისაც იმ ბაზრობის დღეს, როდესაც მატარებელმა ქერიწიდან დაჭრილები ჩამოიყვანა და პატარა გოგომ პირველად ნახა მისი მამის „მცნობი“ ჯარისკაცი.

როდესაც დაჭრილები ვაგონებიდან ბაქანზე გადმოიყვანეს, უთვალავი ხალხი მიაწყდა იქაურობას. დაჭრილებთან ახლო მისვლა თითქმის შეუძლებელი გახდა, მაგრამ კლასისა და სიყვარულისათვის გადაულახავი დაბრკოლება არ არსებობს და თავგამებულად ცაბუნიაც, მწერლის საოცრად რეალისტური შედარებით, „ფიციარში ბურღი რომ შეიჭრება, ისე გამწარებული შეიჭრა ხალხში“. ყველაფერი ზედგამოჭრილი და დამაჯერებელია ამ შედარებაში: ისიც, რომ ეს აკანტული, გამხდარი და წვრილი გოგო მწერალმა ბურღის სახეს დაუკავშირა და ისიც, რომ იგი გამწარებული შეიჭრა ხალხში. განა ბურღი თითქოს გამწარებული არ სძლეეს იმ წინააღმდეგობას, რომელსაც ხე თუ ლითონი უწყევს მას?

დაჭრილებთან ცაბუნის მისვლის ამ მომენტიდან იწყება მოთხრობის სიუჟეტის ის კულმინაციური საფეხური, რომელიც ასე გვიხყრობს არა მარტო ესთეტიკურ-ლიტერატურულ, არამედ ფსიქოლოგიური და ეთიკური თვალსაზრისითაც. მოთხრობის სწორედ ამ ნაწილში გვიჩვენებს მწერალი, თუ რა ადამიანურია თავის არსებაში კაცის პიროვნება, რა ცხოვრებისეული და გამძლე ყოფილა ჩვენ დიდ წინაპართა მოძღვრება — რეალურია მხოლოდ სიკეთე და კეთილი, ხოლო ბოროტი წარმავალი და დროებითაო. სიკეთის ზეიმის შესანიშნავი სურათის მოქმედ გზების მწერალი, როდესაც დაჭრილებთან ცაბუნისა შეხვედრის ამბავს გადმოგვცემს. ყველა ფრონტელს თავისი კრილობა და ოჯახის დარდი აწუხებდა ალბათ იმ დროს, მაგრამ, ცაბუნისა მწუხარებით გულდამწვარი, ისინი თავის ბედს ივიწყებდნენ და იმას განიცდიდნენ მწარედ, რომ ამ საცოდავ

გოგონას ვერაფრით ვერ ანუღეშებდნენ. ეს უმეკველად დიდი ზნეობრივი მნიშვნელობის ფაქტია; მწერალი ამით დამაჯერებლად გვისუბრავს ადამიანის ეგოცენტრულ ინსტინქტებზე. კუშმარტი კაცთმოყვარობის გამარჯვებას, იმ დღეიზის შესაბამისად, რომ კაცი სიკეთეს უნდა სჩადიდეს, უპირველეს ყოვლისა, თვით სიყვეთის სიყვარულით.

ყველა თანაუგრძნობდა იმ წუთში ცაბუნისა, მაგრამ ეს აღარ ემაროდა ახლა მისთვის. გოგონას უნდოდა ვისმესაგან მამის ნამდვილი ამბავი გაეგო, მაგრამ ამ ბაქანზე ასეთი კაცი რომ არ აღმოჩნდა? თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, და ცაბუნისა ისღა დარჩენილა, შემობრუნებულიყო და შინისკენ გაეწია. მაგრამ არა, იგი აქედან ვერ დაიძვრებოდა, ფეხს ვერ მოიცივლიდა! ან როგორ შეეძლო ასე ადვილად გაშორებოდა! ამ უცნობ ჯარისკაცებს, წამლეებისა და თუთუნის სუნს და მატარებლის რახრახს, რაც ასე ცხადად მოაღანდებდნენ მამას? ესეც რომ არ ყოფილიყო, იგი, მიუხედავად ყველაფრისა, ხომ მაინც არ ჰკარგავდა იმედს? ცაბუნია რაღაცის მოლოდინში იყო და გმირის ეს ფსიქოლოგიური მდგომარეობა კარგად აქვს შენიშნული მწერალს. მაგრამ რას ელოდა იგი? სასწაულს? არაო, უპასუხებს მწერალი, მაგრამ იმ წუთში სწორედ სასწაულებრივი გავლენა მოახდინა ყველაფერზე იმ ორადრომა სიტყვამ „პატარა ქალთან“, რომლითაც ლერწმის მსუბუქი საკაცეან წამოწყობა წითელუღვაშა ჯარისკაცმა მიმართა ცაბუნისა. ეს ჯარისკაცი სერჟანტი არჩილ მესხი იყო.

ა. გერცენი ერთხელ წერდა: «ცხოველი ფიქრობს, რომ მისი საქმეა იარსების, ადამიანისთვის კი არსებობა არის შესაძლებლობა იმისა, რომ საკვირო და კეთილი საქმე აკეთოსო». ამ ფილოსოფიის მიმდევარია თავისი საქმიანობით, ადამიანებთან თავისი დამოკიდებულებით არჩილ მესხი. ეს მაღალზნეობრივი ქართველი ვაჟკაცი თავისი ცხოვრებითა და მოქმედებით ობიექტურად იმას ქადაგებს, რომ ადამიანი არ შეიძლება მთლიანი, გონიერი და, სულ უბრალოდ რომ ვთქვათ, კარგი იყოს, თუ მას სხვების თანაგარძნობის სურვილი არ ამოქმედებს, თუ მას მეორე ადამიანის სიხარული, მწუხარება, მისი სიყვარულის გრძნობა არ აღელვებს.

ჩანს, არჩილ მესხს სხვისი ბედნიერებისა და სიკეთისათვის ზრუნვა მიაჩნდა თავისი ცხოვრების ერთგვარ დანიშნულებად, რადგან მხოლოდ ასეთ ადამიანს შეეძლო გამოეჩინა მართლაც ზებუნებრივი თანაგრძნობა იმედგაცრუებული გოგონასადმი.

დაჭრილ მესხს მარჯვენა ფეხი რუმბივით ედო ბაღში და მწარე ტყვიელი გულს უწყვილებდა, მაგრამ მან სძლია თავის თავს, უკა-





ნასწავლი ძალა მოიკრიბა და ცაბუნისა შეეკოთხა:

— რა არის შენი ვალიყო აბულაქმე?

— მამა, — უპასუხა ცაბუნისამ.

— მეჩე, რა ვატირებ, პატარა ქალო მამა-შენი კარგად არის. წამოსვლის დღეს ვნახე და თქვენთან დამაბარა, ჩემი დარდი ნუ გეჭენებთ, მე არაფერი მიჭირსო“.

მწერლის სიტყვით, ესეც არ აკმარა ჯარისკაცმა ცაბუნისა მის დასაიხედებლად და ოინბაზურად ჩაუტრა თვალი ისე, თითქმის თვითონაც თერთმეტი წლისა ყოფილიყო.

„მამაშენი კარგად არისო! ცაბუნისა ჰორფლიან ლოყებზე ცხელი სისხლი შემოასკდა, ყურებზეა წივილი დაუწყეს.“

დაჭრილმა მკრთალად გულშია და კიდევ რაღაც უთხრა, მაგრამ გულის სიღრმემდე შეძრულ გოგოს მეტი არც არა გაუგონია, არც არა დაუწახავს.

სახარულის ელდამ ადგილიდან ისე მოსხლიტა, სანდულზე შესაკრავი გაუწყდა. მეორე სანდულიც უმაღლე წაიძრო და ფეხშიშველმა მოპკურცხლა შინისაკენ“.

მოკვრულმა, მაგრამ ერთი, ასე საჭირო ცნობის გამოკითხვა დააფიქრა მას. ვინ იყო ეს კაცი, რა გვარისა და სადაური?

ცნობილია, რომ მხოლოდ იმას შეუძლია ვაიზიაროს სხვისი დიდი მწუხარება, ვისაც დიდი სიყვარულის ნიჭი აქვს. ეს ნიჭი ამშვეინებდა არჩილ მესხს და ამიტომ შესძლო მან ცაბუნისა მწერე გულისტყვილის ასე გაიზარება. დაჭრილმა სერკანტმა არა თუ ვაიზიარა პატარა გოგონას დიდი მწუხარება, არამედ სცადა სხიარულითაც შეეცვალა იგი, ამიტომ არწმუნებდა ცაბუნისა, მამაშენი კარგად არის და ოჯახის ამბავიც დამაბარა თქვენთანო“.

ამგვარად შეიქმნა ვალიყო აბულაძის ნახვისა და კარგად ყოფნის ის ლეგენდა, რომლის უნებლიე გამეკრავება მუდამ ასე აშინებდა არჩილ მესხს ბავშვთან შეხვედრისას. ახლა, ამ ვეკაცის საზრუნავი მხოლოდ ის იყო, რომ წამოცდენილი სიძარბოთ, ხელოვნურად შექმნილი იმედო არ ჩაეხშო ცაბუნისაში და ამ საწყალ გოგონას ეცოცხლა იმ ტკბილი ილუზიით, რომელიც, მოთხრობის ქვეტექსტის მიხედვით საერთოდ არც უნდა დაგურდვით ადამიანებს არასოდეს, თუ კი ეს ილუზია მათ ბედნიერებას ანიჭებს.

გაცნობის პირველი დღიდან ეს „ცით მოვლენილი“ კაცი, არჩილ მესხი, იქცა ცაბუნისა ერთადერთ იმედად, მის ნამდვილ მეგობრად და კეთილ სულად. ჰოსპიტალში დაჭრილების გადაყვანის მეორე დღესვე დაპირა გოგონამ

ამ ღვთისნიერ კაცთან მისვლა, მაგრამ რა ექნა, რომ მისი ვინაობის არაფერი იცოდა? ვასპიტიში ჩაეარდა ცაბუნისა, მაგრამ კეთილ აღმზიანი არსად გამოილევია; ასეთი იყო სწორედ, საოცრად მსუყე და დასამახსოვრებელი ფერადებით დახატული, ჰოსპიტლის ის მუხუცი დაიჯი, რომელშიც მესხთან მისასვლელი გზა გაავნებია ცაბუნისა. სიკეთით სავსეა ამ მობუცის ყოველი სიტყვა და ოხუნჯობა. დარაჯმა იმაშიაც გამოიტყნა ცაბუნისა, რომ ხელოვნულტლევია ბაქულისა აბულაძის შვილიშვილი ყოფილა, და შემდეგ ბევრიც იცინა ამბზე, მაგრამ პატარა გოგონას ეს არც სწყენია, რადგან მთელი მისი არსება იმ დროს ერთ საწადელს, ერთ სურვილს შეეპყრო — როგორმე ენახოს ის ჯვარისკაცი და მამის ამბავი გაეგო დაწერილებით. როგორც ვთქვით, ამ სურვილის გამო, პატარა გოგონას არც არაფრად ჩაუგდია დარაჯის ოხუნჯობა ბაბუა ბაქულისა მისამართით, თუმცა სხვა შემთხვევაში ასეთი საქციელისათვის ისე ვადადგებოდა ადამიანს, რომ, მწერლის სიტყვით, „მეჩე ციდან ვარსკვლავი რომ მოგეწყვიტა, შენსკენ აღარ გამოიხედავდა“. მაგრამ ახლა მისთვის ამგვარი თამყოყვარობა არც არსებობდა. ახლა იგი ამ ვანცდას ადვილად სწირავდა იმ მაღალ გრძნობას, რომელსაც მშობლისადმი შეიღის სიყვარული ეწოდება და რომელიც, თავის მხრივ, ასეთ დიდ ზნეობრივ ელვარდობას ანიჭებს კ. ლორთქიფანიძის მიოთხრობას.

მწერალი არაფერს გვიამბობს იმაზე, თუ ჰოსპიტალში როგორ შეხვედა ცაბუნისა არჩილ მესხს, რა საუბარი ჰქონდათ, მაგრამ ყოველივე ამას ვასოცარი სიტყვათმჭირნობით გვიამბობს არჩილ მესხის ის ბარათი, რომელიც შეეწლო შეექმნა მხოლოდ და მხოლოდ ადამიანური ეთიკისა და ფსიქოლოგიის რთულ მხარეებში კარგად ჩახედულ კაცს. ეს ლიტერატურული დოკუმენტი ერთსა და იმავე დროს ნამდვილი ვეკაცის აღსარებაცაა და ადამიანის უანგარო სიყვარულის საგალობელიც. ბარათში, არჩილ მესხი თავის უფროსს მოუთხრობს, თუ როგორ ვაიცნო მამ პატარა ცაბუნისა. სამტრედიის საღვთარზე, წერს იგი, საცოდავად მობუზული გოგონა იდგა და ჩემად ცრემლს ჰყუბავდა. მის დანახვავზე გული ამიდუღდა, „ბევრი აღარ მიფიქრია, დაგეძახე და ვუთხარი: მე ვიცნობ ვალიყო აბულაძეს, ამას წინათ ვნახე და კარგად არის-მეთქი“.

თქმა არ უნდა, ერთგვარად იმბულსტრი იყო სერკანტის ეს საქციელი, რადგანაც ადამიანის მოქმედებაში იანჯვა და ანალიზი გამოირიყუბულია, მაგრამ იგი მიინც დიდებული და მომხიბ-

გელა იმ წმინდა უშუალობის გამო, რომელიც სხვათა სიყვარულის ნათელ გრძნობას ატლავს მუღამ. „შეიძლება შევეცი, არასწორად მოვიქცე, ამხანაგო კაპიტანო, — წერს არჩილ მესხი, — მაგრამ იმ წუთში მე ის მიწინააღმდეგეა, რომელიც დანუგეშება... (ხაზი ჩვენი — ვ. ზ.). აზრადაც არ მომსკლია, თუ ის ორი სიტყვა ამ ცეცხლში ჩამავდებდა“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემოთ ხაზგასმულ სიტყვებში ამ მოთხრობის დედაზარი, მისი ზნეობრივი პათოსი, ზოგადადამიანური ღირსება და ღირებულებაა.

ამ სიტყვების მოქმედი ჩვენ წარმოგვიდგება ისეთ ადამიანად, რომელსაც თავისი ყოველდღიური არსებობის საზომად და გასამართლებელ საბუთად მხოლოდ ის მიაჩნია, თუ რამდენი კეთილი საქმე გააკეთა მან გათენებიდან დაღამებამდე, რამდენს გაუწოდა ზნეობრივი დახმარების ხელი.

არჩილ მესხი არც იმას პფარავს ამ ბარათში, რომ ზოგჯერ სურვილი ებადებოდა სიმართლში გამოსტეხოდა გოგონას, მაგრამ თუ ამას ვერ ახერხებდა, მხოლოდ იმის გამო, რომ შეთხზული ამბის მოყოლისას „გოგონას თვალები ისე ბრწყინებდნენ და ჩემგან იმდენ სიხარულს ელოდნენ (ხაზი ჩვენი — ვ. ზ.), რომ სიმართლის სათქმელად ენა აღარ მიბრუნდებოდაო“.

იმედის გრძნობას უნერგავდა ცაბუნისა ეს მოგონილი ამბავი, მაგრამ მძიმე ტვირთად აწევბოდა იგი არჩილის სულს, რომელიც, როგორც ვეჯაკის შეპფერის, პირდაპირ აღიარებდა თავის ბარათში: „დავიღალე, ამხანაგო კაპიტანო, არ შემიძლია ამდენი გამოგონება. თანაც მეშინია არ აეუბრადავურიო, არაფერი შემეშალოს, თორემ ეს ჩემი ვუდა ხელად დიდშუტება და ყველაფერი გამოაშკარავდება. მერე ცაბუნიაო“.

უეპვოდ მართალია მესხის ეს სიტყვები. ადამიანის სულის, მის მრავალ საიდუმლოებათა კარგად მცოდნე ჩვენი მწერალი, საესებით სწორად, მართლად აგვიწერს იმ შეშფოთებას, რომელსაც აღუძრავდა არჩილ მესხს სიცრუის

გამომკვადენების უბრალო წარმოდგენაც კი. ეს სიცრუე კი მართლა შეიძლება გამოაშკარავებულიყო ბარათში საოცარი ფსიქოლოგიური სიზუსტით დასახელებული იმ მიზეზის გამო, რომლის შესახებ ჯერ კიდევ ბრძენმა მონტენმა თქვა: „სიცრუე — საკუთარი სინიდისთან შებრძოლებას ნიშნავს. ამ შემთხვევაში მე ვგულისხმობ იმ ადამიანებს, რომლებიც, მართალია, ერთს ამბობენ, მაგრამ გულის სიღრმეში სხვა, მეორე იციან. ეს ის ადამიანებია, რომელთა სიტყვები თავით ბოლომდე შეთხზულია, ანდა ნაწილობრივ ამახინჯებს სინამდვილეს. მაგრამ სინამდვილის დამახინჯების შემთხვევაში რომ ჩვენ ადამიანს ერთი და იგივე სიტყვები რამდენიმეჯერ გავამეორებინოთ ბოლოს და ბოლოს იგი თვით ამხელს თავის თავს სიცრუეში, რადგან შეუძლებელია ადრე თუ გვიან მის გონებაში არ წამოიჭრას ის წარმოდგენა სავანზე, მოვლენაზე, რომელიც სინამდვილეს შეესაბამება... უნდა გვახსოვდეს, რომ ეს წარმოდგენა თანდათანობით აძევებს მეხსიერებიდან ფანტაზიას, რომელსაც პირველის მსგავსი სიმტიკე არც გააჩნია“.

როგორც ვთქვით, მწერლის მიერ ეს ფსიქოლოგიური ფაქტია მხატვრულად ხორცშესხმული მესხის შესანიშნავ ბარათში. ამიტომ საესებით გასაგები, ბუნებრივი და ლოგიკურია, როდესაც ეს საყვარელი ადამიანი სხვა საპოსპიტლო ქალაქში ითხოვს გადაყვანას და განშორების წინ ცაბუნისა უსურვებს არ გაცრუებოდეს ის იმედი, რომელიც ადამიანის უანგარო, სუფთა სიყვარულის გამო ჩაუნერგა ამ კეთილშობილმა ქართველმა ვეჯაკმა მისთვის ადრე უცნობ პატარა გოგონას.

ვან-გოგი წერდა: „არაფერია მხატვრულად უფრო სრული, ვიდრე ადამიანების სიყვარული“.

ამ სიყვარულზე მოგვითხრობს დაუფიქრად კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ცაბუნია“, დღევანდელი ქართული პროზის ეს ნამდვილი მშვენიება.



## გიორგი ჯიბლაძე

### უკანასკნელი სიტყვა კორნელი კეკელიძეს

ქართული ფილოლოგიის ძველმა პლეადამ დაჰკარგა დიდი მეცნიერი — გარდაიცვალა აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე. მისი სახელი ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ამშვენებდა ჩვენს მეცნიერებას.

ძნელია იმ აზრს შეურიგდე, რომ ამიერიდან ჩვენ ვეღარ გავიგონებთ კორნელი კეკელიძის ხმას, ვეღარ მოვუსმინოთ, როგორც ეენაბი იტყოდა, „ცოცხალ უნივერსიტეტს“, რომელსაც ფენომენალურ ცოდნასთან ერთად, ხანდაზმულობის მიუხედავად, გასაოცარი გონების სინათლე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შერჩა. 84 წელი გაატარა ამ ქვეყნად კორნელი კეკელიძემ და აქედან 60 წელი მეცნიერების, ქართველი ხალხის უანგარო სამსახურს მოახმარა. პეტრე მელიქიშვილთან და ივანე ჯავახიშვილთან ერთად იგი იყო ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტის ფუძემდებელი და კულტურულ მსოფლიოში სახელგანთქმული პროფესორი.

ძველი ქართული ლიტერატურის ნამდვილად უდიდესი და უბადლო მცოდნე კორნელი კეკელიძე მაღალ გონებრივ შემართებას ყოველთვის დაუღალავი შრომით ავკირგვინებდა. მარტოოდენ მას შეეძლო 82 წლის ასაკშიაც საუნივერსიტეტო ლექციების კურსი წაეკითხა სივსებით უნაკლოდ და 84 წელს მიღწეულს კვლავ პირველხარისხოვანი ფილოლოგიური გამოკვლევებით გაემდიდრებინა მშობლიური მეცნიერება. მთელი მისი შემკვიდრება 15 მონორდილ ტომშიაც ვერ ჩაეტევა; აქედან, ფუნდამენტალური ორტომიანი „**პართიური ლიტერატურის ისტორიის**“ გარდა, „**ეტიუდების**“ მე-9 წიგნის გამზადება თვითონვე მოასწრო... და წამოეწია სიკვდილი... მის საშინელ აჩრდილს კორნელი კეკელიძე ისე ებრძოდა, როგორც ახალგაზრდობაში არქივის ძველ ფოლიანტებს; გვეგონა გაუძლებდა, მაგრამ შევცდიოთ, დაგვაწყდა, რომ ხანდაზმულობის დროს ჰაბუკურ

მონღომებას როდი შეუძლია ღრმად მოხუცის ფიზიკური ძალები ძველი ენერჯით აღადგინონ.

ეს ძალები უკვე შერყეული იყო ექვსი ათეული წლის მანძილზე მძიმე შრომით წიგნთ-საცავების მტვერში; მუდამ წიგნთან, თითქმის განუშორებლად საწერ მაგიდასთან, ასე ხანგრძლივად უმადლესი სკოლის კათედრასთან დგომა და ლექციების წაკითხვა — ადვილია ამის თქმა, მაგრამ შესრულება მხოლოდ ერთეულთა ხვედრია. რამდენი უნდა ემუშავა მას, რომ ამოექექა უძველესი წყაროები და ძეცნიერებაში მათთვის გზა გაეკაფა, სრულიად ახალი პორიზონტები დაენახვებინა.

კორნელი კეკელიძეს შორეული წარსულისა და თანამედროვეობის ფაქტების მჭიდროდ დაკავშირების დიდი უნარი ჰქონდა. გასაოცარი იყო აგრეთვე მისი დიპაზონი — უამრავი მასალის უზაღო ცოდნა, ბოლომდე უხარვეზო მესხიერებით განათებული, და წყაროების ენციკლოპედიური მარაგი.

პირველად კორნელი კეკელიძემ გვიჩვენა, რომ ქართული მწერლობის ხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია მარტოოდენ მარგალიტების კრებულს კი არ არის, შედევრების ოკეანეცაა, რომლის პორიზონტებიც ძალიან ფართოა. პირველად მან მოგვცა კიშნური და მეტაფრასული რედაქციების ღრმად მეცნიერული, სისტემატიკური დახასიათება. უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა აღრინდელ ნაშრომს სემიონ მეტაფრასტის შესახებ და იმ დღეულუბის წამოწყებას, რომ პრობლემა მეტაფრასტისა მთლიანად ვერ გადაწყდებოდა ვერც დასავლეთ ევროპულ ისტორიოგრაფიასა და ვერც სხვა ერის მწერლობაში, თუ ქართული წყაროები უგულვებლყოფილი იქნებოდა. მაშინ კი სწორედ ამ წყაროებს უყურებდნენ ოლმაცრად ან სრულიად გვერდს უგლოდნენ. ამას მიუმატებთ ავიოგრაფიული ძეგლების მხატვ-



რულ-ესტეტიკური ღირებულების ანალიზი, პირველი ცდა იმისა, რომ ჩასახვიდან მე-19 საუკუნემდე ქართული მწერლობა წარმოდგენილი ყოფილიყო, როგორც «ლიტერატურული პროცესის მთლიანი სურათი» და თქვენთვის მთელი გახდება კორნელი კეკელიძის გოლიანთური შრომის შედეგი.

როგორც წარსულის დიდმა მკვლევარმა, კორნელი კეკელიძემ შესანიშნავად იცოდა, რომ უფაქტოდ ისტორია არ არსებობს, მაგრამ თვით ფაქტიც ისტორია არ არის, თუ მისი ანალიზი სარწმუნო შეჯერებას გვერდს უვლის. ემპირიკოსი როდია ჭეშმარიტი ისტორიკოსი. ვისაც სურს ისტორიკოსი იყოს, დიდ ეროვლიანთან ერთად ანალიტიკოსისა და თეორეტიკოსის გონებას უნდა ფლობდეს. არა ჰიპოთეზების, არამედ, უეჭველი ფაქტების საფუძველზე მეცნიერული ჭეშმარიტების დადგენა მისი მთავარი მიზანი უნდა იყოს. ყველა ეს თვისება ბედნიერად იყო შეთავსებული ჩვენი მხცოვანი მეცნიერის პიროვნებაში. ანალიტიკური მეთოდით ფაქტებზე ამაღლება, მაგრამ ფაქტებზე დაყრდნობა — ეს კორნელი კეკელიძის დიდი მემკვიდრეობის უპირველესი ნიშანია. არაქუთ მასალებზე თანამედროვე გამართული მხატვრული ენით წერა, ისე, რომ იდეალიზაცია არ გამოვიდეს — ესეც კორნელი კეკელიძის დამახასიათებელი მანერაა. თავისი შრომებით პირველად მან გაიტანა საერთაშორისო ახა-

რეზე ქართული ლიტერატურის ისტორია რომელშიაც კარგად არის ნაჩვენები, რომ ქართული რენესანსი წინ უსწრებდა ევროპულ რენესანსს. ამით სავსებით გაცხადდა ის დებულება, რომ ქართული მეცნიერული აზრი გაცილებით ადრე გათავისუფლდა როგორც ეკლესიური სქოლასტიკის, ისე მისტიკის ბოროტებისაგან.

არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით, თავმდაბლობითა და პატიოსნებით კორნელი კეკელიძე მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეებისათვის შთაგონებაც იყო და სანიშნუშო მაგალითიც. ეს აღამიანური ღირსებები მხცოვან მეცნიერს სამარის კარამდე შერჩა, ხოლო სამუდამო აღგილი უკვდავთა შორის დაემკვიდრა.

კორნელი კეკელიძის გარდაცვალება არამართ ქართული ფილოლოგიის, არამედ, მთელი საბჭოთა მეცნიერების უდიდესი დანაკლისია. როგორც აუნაზღაურებელი იყო ივანე ჯავახიშვილის დაკარგვა, ასევე აუნაზღაურებელია კორნელი კეკელიძის სიკვდილი. თავიანთ დარგებში მათ ერთი და იგივე საქმე გააკეთეს, ისინი ერთმანეთის გვერდით დგანან.

გულისტკივილით ვეთხოვებით დიდ ქართველ მეცნიერს, რომლის უანგარო ამაგს ისტორია არასოდეს არ დაივიწყებს. ჩვენი სახელოვანი მასწავლებლის უკვდავი საქმე საუკუნეებში ყოველთვის უკვდავად გამოაჩენს მის ღვაწლმოსილებას, დამსახურებასა და სახელს.





შოთა როსტომიძე

# ქართული კულტურის ზოგიერთი ჯგირის შესახებ მე-19 საუკუნის მკვლევარში

მე-16 საუკუნეში ცეცხლითა და მახვილით დაიპყრო ოსმალეთმა სამცხე-საათაბაგო. ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას მოწყვეტილ ამ მხარეში თანდათან დაქვეითდა და დაემხო კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა. ხალხის ფიზიკური გადარჩენისათვის ბრძოლის გზაზე მამამლიანოზში თანდათან იმარჯვებდა და ყველაფერს ფანატიზმით შხამავდა. ამ ბრძოლაში მოსახლეობის ერთი ნაწილი კათოლიკობამდე მივიდა და თურქეთსა და საფრანგეთს შორის დადებულ ხელშეკრულებას შეაფარა თავი. ამგვარად შერჩენილი ქრისტიანული სარწმუნოება და გვაროვნობა კათოლიკე ქართველთა შორის ეროვნული ერთიანობის იდეას მტკიცედ ინახავდა და საქართველოს კვლავ გავრთიანებისათვის ხელსაყრელ მომენტს ელოდა. ბევრი ქართველი კათოლიკე კულტურულ სარბიელზე მოღვაწეობასა და შრომას ცდილობდა და მესხეთის ისტორიულ-ეთნიკურ და პოლიტიკურ ბედუკუღმართობას ფხიზლად ადევნებდა თავს. მესხეთში ძალაუნებურად შემოსული მრავალნაირი სარწმუნოება ზოგჯერ ხალხის ეროვნული მდგომარეობის საქმეს აბუნდოვანებდა და არეულობას შექმნიდა, ეს ხელოვნურად შექმნილი ბუნდოვანება ხანდახან ქართველ კათოლიკეებსაც სწევდებოდა და ათასნაირი ისტორიულ დასაბუთებასა და დამტკიცებას მოითხოვდა. ამ დასაბუთებამდამტკიცების გზაზე ქართველ კათოლიკეთა რიგებში ჩნდებოდნენ ისტორიკოსი-მწერლები და მათი ახალ-ახალი თხზულებანი.

რაც დრო გადიოდა, ქართველ კათოლიკე მოძღვართა წრეებში ქართული ნაბუკვი წიგნის შემოღებისა და გავრცელების აუცილებლობა უფრო და უფრო იგრძნობოდა. მით უმეტეს, რომ ამ მონასტრებში მრავლად მოიპოვებოდა მათ მიერვე თარგმნილი და შეთხზული ქართული ხელნაწერი წიგნები. თუ ამ ხელ-

ნაწერ წიგნთა დასტამბვა და მასიური გავრცელება თურქეთის დესპოტური რეჟიმის დროს ძნელდებოდა, სამცხე-ჯავახეთის საქართველოსთან შეერთების შემდეგ (1828-29 წლები) სრულიად რეალურ საქმედ ჩანდა, თუმცა შემდგომმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ეს საქმე დიდხანს დააყოვნეს და მიმართულება შეუცვალეს. საქმე ის არის, რომ სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ეკლესიები შეერთების შემდეგ არ დაკავშირებთან ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, როგორც დამოუკიდებელი ავტოკეფალის მქონე ორგანიზაციას. დიდმკვრებელურ რუსეთს მაშინ ქართული ეკლესია „უწმიდესი“ სინოდისათვის დაემორჩილებინა და ქართული ეკლესიის ეროვნული თავმოყვარეობა დაეთრგუნა და შეებლდა. რაღა თქმა უნდა, ქართულმა კათოლიკურმა ეკლესიამ რუსეთის საეკლესიო მმართველობის მხრივ უფრო აშკარა დევნა განიცადა და ამით ჩვენი ხალხის სარწმუნოებრივი შეკავშირება შეაჩერა.

ამიტომ ბევრი ქართველი კათოლიკე სასულიერო პირი იძულებული გახდა საქართველოს საზღვრებს იქით ეძებნა თავშესაფარი და საშოღაწეო სარბიელი. თუმცა ქართველ კათოლიკე მოძღვართა ნაწილი ადგილზე დარჩა და ახალი ძალით შეუდგა კულტურულ საქმიანობას. ამ დროისათვის უკვე მოპოვებული პოლიტიკური მშვიდობიანობა, კულტურულ სარბიელზე შრომის საშუალებასაც იძლეოდა და მართლაც, თანდათან გაიღვივა ხალხის სულმა და მესხეთის დიდი კულტურის მიმკრალ შარავანდელს თავისი ხმა შეაშველა.

მრავალნაირი სარწმუნოებრივი შეხედულებების მიუხედავად მესხეთის იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრი საჭიროდ სთვლიდა ქართული ენისა და ქართული კულტურის განმტკიცებას და ამით მთლიან საქართველოსთან

გაერთიანებას. ამ დიდი საქმის მეთაურებად გამოდიოდნენ ქართველი კათოლიკეები და თავიანთი საქმიანობით მავალით აძლევდნენ სხვაებს. ქართველ კათოლიკეთა ცხოვრების ისტორია ქართული ენისათვის საუკეთესოა ბრძოლის ისტორია იყო. მათი აზრით, ქართული ენის განმტკიცება-შენარჩუნების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართულ წიგნს — ამ შემთხვევაში ტიპიკოსს. რა ენაზე იქნებოდა იგი შესრულებული, რა ენაზე დაიწყო მრეველი კითხვას, წირვას, გალობას... ისინი ფიქრობდნენ, რომ ქართული წიგნი შეამკირებდა უცხო იდეების შემოტევას და დაიცავდა მათს ეროვნულ თვითმყოფლობას.

ამ ფიქრს გადაყოლილა იოსებ ხუციშვილმა (ხუციანოი) 1836 წ. სრულიად დამოუკიდებლად ქ. ახალციხეში ჩამოასხა ლითონის ასოები და შექმნა თავისებური ორიგინალური ქართული სტამბა. ამ ფაქტს მესხეთის კულტურული დაწინაურების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სტამბაში იოსებ ხუციშვილმა ჯერ სასულიერო და შემდეგ საერო წიგნების ბეჭდვა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ მისი შრომა დაკავშირებული იყო ბევრ უსიამოვნებასთან, მესტამბე გამომგონებელი ერთგან თავის მკითხველს ამცნობს: „სასჯელი ბევრი გავსწიე, გვირგვინად მივეცი ერსა“ ეს დაბეჭდილი წიგნებში.

სამშობლოდან უცხოეთში გადახვეწილ ქართველ კათოლიკე მოძღვართა ერთმა ნაწილმაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ხელი მიჰყო კულტურულ საქმიანობას და ქართული წიგნების დასტამბვით შეეცადა სამშობლოსათვის მიეცა თავისი მცირე მისაგებელი.

ამ მოძღვართა წრეში გაჩნდნენ მთარგმნელი ლიტერატორები, მწერლები და საქმის ერთუზისატები, როგორც არიან: მამულაშვილი, ხუციშვილი, ხარისპირაშვილი, მოძღვრისვილი, მერაბისვილი, გვარამაძე და მრავალი სხვანი.

60-იანი წლების დამდეგისათვის ლიტერატურული საქმიანობა ყველაზე მეტად მომწიფებული ჩანდა იმ ქართველ მოძღვართა შორის, რომელნიც ვენეციის მხიტარისტთა კონგრეგაციაში იყვნენ გაერთიანებული.

1846 წ. მხიტარისტთა კონგრეგაცია მოინახულა მარი-ფელსტე ბროსემ. ბროსემ კონგრეგაციის ახალდანიშნულ დირექტორ გეორგ ბურმუზიანთან საუბრისას გამოთქვა კონგრეგაციის საშუალებით ქართული წიგნების გაშენების სურვილი. ეს საკითხი კონგრეგაციაში, როგორც ჩანს, შემდგომაც მრავალგზის ყოფილა დასმული. ისიც ნათლად დგინდება, რომ ამ საკითხს ყველაზე მეტად მხარს უჭერდნენ კონგრეგაციის მძებად გაერთიანებული ქართველი კათოლიკეები. ბოლოს და ბოლოს ამ

ქართველ კათოლიკეთაგან ყველაზე დიდი მხარე და მთარგმნებელი ნიჭი გამოიჩინა ახალციხელმა აბაქმა პეტრე ხარისპირაშვილმა. მან ვენეციის მხიტარისტთა ძმობაში, როგორც ჩანს, შექმნა ქართული ჯგუფი, რომელმაც რთული საგამომცემლო საქმე ითავა.

პეტრე ხარისპირაშვილი დაბადა ქ. ახალციხეში 1804 ან 1805 წელს. იგი სწავლობდა ჯერ ახალციხის ნათლისმცემლის ეკლესიის სკოლაში პავლე შაყულაიანის (სოფელურაშვილი) ხელმძღვანელობით, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ენა და ლიტერატურა. პაულე შაყულაიანი იმ დროის კვალობაზედ ფრიალ განათლებული და გამოჩენილი პირი იყო და განათლებული იგი, როგორც თარგმანი, თურქულ-საქართველოს პოლიტიკურ საქმეებშიც იყო ჩარეული. სარწმუნოებით სომხურ კათოლიკურ რიტზე იდგა. თანამედროვეთა სიტყვით იგი იყო აგრეთვე შესანიშნავი მწიგნობარი და მთარგმნელი. მის მიერ სხვადასხვა ენიდან ქართულად თარგმნილი წიგნები მე-19 საუკუნის ბოლომდე ინახებოდა ახალციხის ნათლისმცემლის ეკლესიის წიგნთსაცავში, შემდეგ კი უკვალოდ დაიკარგა.

პაულე შაყულაიანთან სწავლის შემდეგ პეტრე ხარისპირაშვილი ევროპაში გაემგზავრა განათლების მისაღებად. ევროპიდან დაბრუნებული პეტრე 1842 წ. ეკურთხა მღვდლად და მანინ უკვე არქიმანდრიტ პაულე შაყულაიანის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. 50-იან წლებში სომეხ და ქართველ კათოლიკეთა შორის ატეხილი დავის გამო პეტრე ხარისპირაშვილი, რომელიც არარატაიანის წინააღმდეგ იბრძოდა, ახალციხიდან სოფ. ხიზაბაერაში გადაიყვანეს, ხოლო 1856 წ. საზღვარგარეთ წავიდა და მხიტარისტთა ძმობას შეუერთდა. როგორც აღვნიშნეთ, იქ მან ქართული წიგნების გამოცემისათვის თავგანწირულად იშრომა და 1858 წ. შესძლო დაებეჭვა საქმაოდ მოზრდილი წიგნი: „ისტორია გინა მოთხრობა საღმთო წერილის ძეგლისა და ახალის აღთქმითა, თარგმნილი ქართულს ხმასა ზედა წიგნთ საბეჭდვასა შინა წმიდა ლაზარეს მონასტრისასა“.

მომდევნო 1859 წ. მან იქვე მოახერხა კიდევ ორი ქართული წიგნის დაბეჭდვა. ეს წიგნებია: „წმიდანების ცხოვრება“... და „ივანე იეზუბოს ფილოსოფოსისანი“... ყველაფერი ეს კეთდებოდა „სასარგებლოდ ივერის“ მთელი ქართველი ხალხისათვის, და კეთდებოდა ყველასათვის გასაგები ენით. ერთ-ერთი გამოცემის წინასიტყვაობაში მთარგმნელი შენიშნავს: „ესიტყვით, რათა წიგნი ესე ყოფილიყო თარგმნილი მდაბიურსა ენასა ზედა; რათა ყოველთა ამის კითხვით და სიადვილით გულისხმის ყოფითა ძალ იდვან ნაყოფის გამოიღება“.



არა გვეონია სიმართლეს შეეფერებოდეს ძველი და ახალი აღთქმის ისტორიის წინასიტყვაობაში მოტანილი განცხადება ავტორისა, რომ მას არა ჰყავდა წიგნის გამოცემის დროს „ვინმე შემწე და არცა თანამშრომელი პირი ვინმე ქართული ენის მცოდნე“. ძალიან საეჭვოა, რომ ამოდენა საქმე თარგმნა, გადაწერა, აწყობა, დასტამბე და სხვა, ერთ კაცს შეესრულებინოს<sup>1</sup>, მით უმეტეს, რომ ეს წიგნები როგორც ენისა და სტილის, ისე ტექნიკურის მხრით საქმაოდ კარგადაა გამოცემული. ამ წიგნთა ავტორ-გამომცემელნი უაღრესად თავმდაბალი, კეთილმინდობიერი და მოარიდებელი მუშაენი იყვნენ. ამდენი უფასო შრომის გაწევისათვის ისინი მეოთხეულთაგან მხოლოდ მიტევებას ითხოვდნენ და თავმდაბლად იხვეწებოდნენ, ნუ გაიცხაეთ ჩვენს ქართულსო. ისინი ყოველთვის „დიდი ქართლოს სამამულოს“ საქართველოს ტრფიალში იყვნენ და უხაროდით, რომ უკვე მე-19 საუკუნის შუა წლებისათვის

„განელო რჩეულს საქართველოსა ბჳე ესე ქებულ მწიგნობრობისა და მშენიერთა წიგნთა ქონვისა“<sup>2</sup>.

ვენეციაში გამოცემული ქართული წიგნებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ივანე იეზუბოს ფილოსოფიისანი“. წიგნში სულ 95 ივავია, რომლებიც ლათინურიდან თარგმნილი უნდა იყოს. როგორც პირველი წიგნიდან ვტყობილობთ, განზრახული ყოფილა ამ ივავების გამოცემა ორ ტომად. პირველი ტომი დასტამბული სახით არის ჩვენს ბიბლიოთეკებში, ხოლო მეორე ტომი არსად ჩანს. შესაძლებელია იგი აღარც დასტამბულა. იეზუბოს ივავთა მთარგმნელი ქართული ენის შესანიშნავი მცოდნეა, თარგმნის დროს აშკარად ჰხადავს სულხან-საბა ორბელიანის სტილს, და თითქოს იმეორებს მის ბოლომდე დაწურულსა და შემოკლებულ წინადადებებს, თუმცა საბა მაინც საბაა და იმ სიმაღლემდე ჩვენი მთარგმნელი ვერ აღის.

პეტრე ხარისკირაშვილმა თავისი მომხიბველი სიტყვითა და საქმით ვატიკანის ყურადღება დაიმსახურა და ბოლოს იმდენს მცადა, რომ მის უმაღლეს საზღვდლოებას გამოთხოვა ნება, რომ ქ. კონსტანტინეპოლში შექმნილიყო ქართული კათოლიკეთა კონგრეგაცია ქართული ენითა და ტაპოკონით. და 1859 წ. პ. ხარისკირაშვილმა უკვე „დააფუძნა მონასტერი კონსტანტინეპოლს ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახვის სახელზედ. განამარჯულა ღვდელ-

მონაზონნი და მოლოზნება“. ვენეციის<sup>3</sup> ტანტინეპოლში (ფერეიკოვა) ვადმოსვლამ რამდენიმე ხანს თითქმის შეაჩერა საგამომცემლო საქმიანობა, მაგრამ პ. ხარისკირაშვილის მოუხვეწარი ბუნება და დაუცხრომელი სული ვერ ითმენდა კეთილად დაწყებული საქმის მიტოვებას და მან დაიწყო ძებნა საბუკედი მანქანისა, ზოგი რამ ვადმობიტანა ლაზარეს კუნჭულიდან, ზოგიც სხვაგან მოიძია, გამონახა სათანადო ადგილი და 1870 წელს კონსტანტინეპოლში აამუშავა ქართული სტამბა, რომელიც შემდეგ გაიზარდა, სრულიად დამოუკიდებელი სახე მიიღო და ჰყავდა თავისი მომსახურე პერსონალი. 70-80-იან წლებში სტამბის დირექტორად ითვლებოდა ვინმე ანტონ გოზალიშვილი.

როგორც ქართველთა ძმობის, ასევე საგამომცემლო საქმის გამგებელი იყო პეტრე ხარისკირაშვილი. მან საგამომცემლო საქმე ისე დააყენა, რომ წიგნთა ავტორებსა და მთარგმნელებს ჰონორარიც კი დაუნიშნა, რასაც „შეთხზვის ხარჯი“ და „თარგმნის ხარჯი“ ეწოდებოდა. 1877 წ. პ. ხარისკირაშვილი ი. ვეარამაძეს სწერდა: „მიახლება თქვენთვის 25 მანეთი...

5 მან დაიჭირეთ წა ესტატეს ლექსებისათვის; 10 მანეთი წა ეგნატის რვა დღის წურთენისათვის და 10 მანეთი როტურველის წიგნისათვის, რომელიც უნდა დასთარგმნოთ“<sup>4</sup>, ე. ი. ზოგიერთ შემთხვევაში „დათარგმნის ხარჯი“ წინდაწინაც ეძლეოდა მთარგმნელს. არსებული წესის თანახმად დასაბუკედად გამზადებული წიგნი სამ ცალად უნდა წარდგენილიყო: ერთი ცალი ინახებოდა მთავარი მონასტრის ბიბლიოთეკაში, მეორე დედათა მონასტრში და მესამე მიდიოდა სტამბაში ასაწყობად<sup>2</sup>. ზოგჯერ შავნთა გადაწერისათვისაც ცალკე ხარჯი გაიცემოდა. „ამ ორი წიგნის გადაწერისათვის, რასაც თქვენ შესარულებთ, ფულს კიდევ მოგართმევთ მათი გადათარგმნის ფულს გარდა“<sup>3</sup>, სწერდა ხარისკირაშვილი ვინმე მესსს.

გამომცემლობის ძირითად შემოსავალს შეადგენდა გაყიდული წიგნებიდან შემოსული თანხა. ამიტომაც იყო, რომ გამოსაცემ წიგნს ისინი გულმოდგინედ არჩევდნენ, „თუ დაიბეჭდება, იმისთანა რამე უნდა დაიბეჭდოს, რომელიც ჯერ არ იყოს დაბეჭდილი, ეგრეთ საჭირო და სასარგებლო მსგავსად „ბუნების კარი-სა“<sup>4</sup>, წერდა 1872 წელს პეტრე ხარისკირაშვილი ისინი ცდილობდნენ დაბეჭდილი წიგნები შედგენილი ყოფილიყო კარგი ქართულით,

<sup>1</sup> ისტორია გინა მოთხრობა სამხთო წერილისა, 1838, ვენეტკი.  
<sup>2</sup> წმინდანების ცხოვრება, გვ. 3.

<sup>1</sup> ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 2202.  
<sup>2</sup> იქვე.  
<sup>3</sup> იქვე.  
<sup>4</sup> იქვე.



რათა ყველასათვის გასაგებია ყოფილიყო და მყიდველიც მტერი დასტანებოდა. ხარისკირაშვილი თავის მთარგმნელებს ყოველთვის გაზეთ „დროების“ კარგ ქართულზე მიუთითებდა და ავალბდა, „დროება ვაზეთის ენაზე დაითარგმანოს ისენი“<sup>1</sup>, თორემ „ცუდი“ ქართულზე მთარგმნელი წიგნები არ იყიდება და ჩვენც დიდი ზარალში ვვარდებითო. მაგალითად, „ცხონებულ მანუშას ნათარგმნი წიგნები რომ დაესტამებ, ცუდი ქართულის მიზეზით არ გაიყიდა და დავიღებ“<sup>2</sup>, ჩიოდა იგი.

ზოგიერთი მონასტრის ძმა და მოძღვართან კრიტიკულად ეყრდნობოდა საგამომცემლო საქმეს და ხარისკირაშვილის გეგმები ყოველთვის არ მოსწონდა. ისინი მოითხოვდნენ, გამოცემი წიგნები შერჩეულიყო უფრო პრაქტიკული თემატიკისათვის, ე. ი. ვაზრდილიყო სასწავლო და საყოფაცხოვრებო ხასიათის წიგნების გამოცემა, შემყირებულყო თეოლოგიური ხასიათის წიგნების ბეჭდვა და საერთოდ შეწყვეტილიყო კათოლიკური ტრაქტატების გამოცემა. ამ მოთხოვნას პავლე კალიაჯიშვილი ასე ასახებდა: ჩემის აზრით, საჭიროა სახალხო წიგნები, მაგრამ არა იმისთანა, როგორებიც ვამოსცეს თბილისში, თითო შაურიანი წიგნები, რომელშიც არავითარი აზრი და მიზანი არ არის, თუ არ ყველფა ხალხისა. ჩემის აზრით, კარგი იქნება, რომ გამოვიტყოს ქართული გრამატიკა, მაგრამ ახალი ენისა, მოკლე ისტორია საქართველოსი, მოკლე გეოგრაფია საქართველოსი, თუ შეიძლება კარტიკი, საღმთო ისტორია მოკლე, სათემო ისტორია მოკლე და მისი გეოგრაფია. საქართველოში მოძღვრება და მოკლე განაკვეთი და არა ასრე ყრუ. ბუნების საგნების განმარტება, რაც კაცს ვარეშე არტყია, ესე იგი მოკლე წიგნებად და ცალცალკე: ბოტანიკა, ასტრონომია, ზოოლოგია, ფიზიკა და გეოლოგია. ასრე რომ ესენი იყვნენ მოკლეთ და ცხადთ. ამისთან არც შეუფერებელი იქნება სამკურნალო-საშინაო წიგნის გამოცემა. პავლე კალიაჯიშვილს არ სიამოვნებდა, რომ ხარისკირაშვილს არავისი არც კუთა მოსწონს და არც რჩევის იღებს, როცა რაიმეს ვეუბნებითო. მაგრამ პ. ხარისკირაშვილმა, თავისი საქმისათვის უკეთესად იცოდა. მის სტამბაში იმ დროისათვის ბევრი ე. წ. სასწავლო და სახალხო წიგნიც დაიბეჭდა, რაზეც ხალხში დიდი მოთხოვნილება იყო და საქმოდაც საღდებოდა.

1873 წ. ხარისკირაშვილი ი. გვარამაძეს შეკვეთას აძლევდა: „მოგწერე ერთი ქართული

ღრამატიკის გაკეთება და იმედი მაქვს, რომ თავის დროზე კიდევაც გააკეთებთ მას. ჯერ-ჯერობით მჭირდება ერთი მოკლე ქართული ღრამატიკა, ამისთვის მე დაგიწყებ აქ მოკლე ქართული ღრამატიკის გაკეთება და კიდევაც გააკეთე მისი დიდი ნაწილი და აზნარჩენ მტერი ნაწილსაც მალე შევასრულებ და იმასაც გამოგიგზავნი შესასწორებლად“<sup>1</sup>.

კონსტანტინეპოლის აღნიშნულ სტამბაში ამ წლებისათვის დაბეჭდულ წიგნებს შორის აღსანიშნავია: „ყვავილების კონა“, „გზა ცხოვრებისა“, „მოკლე რიტორიკა“ და სხვ. მათ სწამდათ, რომ „ჩვენი მამულე ჩვენი გვარია, ქართლისი მოღმა უკვდავ მყარია“, რომ ეს ქვეყანა მტერთა მძლეველი კვლავ აღსდგებოდა, როგორც შეჰყურისო. მათი სიტყვით, ამგვარი ლექსები მამულის სიყვარულისაგან გულგანგრილებულთა წამლად დასადები იყო. მამულისა და საზოგადოების ზრუნვაზეა საუბარი კონსტანტინეპოლშივე გამოცემულ „მოკლე რიტორიკაში“. „დღემდინ — ვითხულობთ მის წინასიტყვაობაში — არ ყოფილა რიგინი ხელად სახმარი მჭერმეტყველების წიგნი ჩვენს დედა ენაზედა; და არც არავის მიუქცევია ჯოგოვანი ყურადღება ამასა ზედა, რათა საზოგადოებას მისცოდნა რამე საშველი სწავლის გაადვილებისა... ამისათვის შევედუქეთ ამ ხელად სახმარი მჭერმეტყველების გამოცემის შრომასა და სწავლულ პირთა მიზანით გამოგჰკრიბეთ ძველი ქართული წერილების ადგილებითან სახმარნი მაგალითები რაც შეიძლებოდა, რაც არადა გარდმოვიღეთ ქართულად, როგორც ოქრობინისა და რომელი მწერლების ადგილები, რათა სასარგებლოდ დაუშოეს საზოგადოებას“<sup>2</sup>.

როგორც ქვემოთაც დავინახათ, საზოგადოებისა და ერისთვის ვარჯა ამ გამოცემილთა უპირველესი ამოცანა იყო. მათი აზრით, ერისათვის ზრუნვა-ს საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა მშობლიურ ენაზე მდიდარი ლიტერატურის შექმნას, რადგან, სხვათა ენით განსწავლა და მშობლიური ენის არ ცოდნა მამულს ვერ მოუტანს ვერავითარ სარგებლობასო<sup>3</sup>; თვით თარგმანშიც მთარგმნელმა მთავარი ყურადღება, აზრის მართლად გადმოღებასთან ერთად, თავისი დედაენის სიწმინდეს უნდა მიაქციოს და ვინც თარგმნის დროს მიჰყვება თავისი დედაენის ფორმას, თვისებას

<sup>1</sup> იქვე, № 2204.  
<sup>2</sup> იქვე.  
<sup>3</sup> ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 2670.

<sup>1</sup> იქვე.  
<sup>2</sup> მოკლე რიტორიკა გინა მჭერ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა კონსტანტინეპოლს ანთუნ გვიზალინის სტამბაში, 1879 წ.  
<sup>3</sup> იქვე.





და არა მხოლოდ სწორად ვადმოვლებასა — ცხადია, რომ კარგ ქართულ წარმოთქვამს ის მთარგმნელი<sup>1</sup>. თარგმნით ხელოვნებაში მიუთითებდნენ ჩვენს წინაპართა მავალითებზე, განსაკუთრებით მოსწონდათ გიორგი ხუცეს მონახუნისა და ეფთიმე და გიორგი მთაწმიდელთა სხვათა ენიდან ქართულად ვადმოვლებული შრომანი<sup>2</sup>. ამგვარად თარგმნილი წიგნები ხელს უწყობდნენ სწორ აზროვნებასა და სწორ მჭერმეტყველებასა.

ორიგინალური თხზულების ბრწყინვალე ნიმუშად ისინი ასახელებენ შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“ და სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ „რეტორიკის“ შემდგენელმა მარტო რუსთველის „ვეფხისტყაოსნიდან“ ასორთუვლიათი მავალითი მოიტანა ღრმა აზროვნების, ზატოვანი თქმის, მარტივი გამოხატვისა და სწორი მეტყველების ნიმუშად. „როგორ გაიწყობა სიმარტივე ლაპარაკში? — სვამს კითხვას რიტორიკის ავტორი და იქვე მიუგებს: — როცა თავისი გვარის წარჩინებული ძეგლი მჭერლების ლექსებას ბუნებითი მწიგნობრობისამებრ და იმათი სიტყვის სქესსა (ცილოს) იხმარებს, და არა შემოსულს, ახალგაზოგონილსა და რიგ ვარეთსა... მით მჭერმეტყველი სწორად უნდა კითხულობდეს ძველებური კარგი მჭერლების თხზულებებსა, რათა დახელოვნდეს დედა ენაშიდა“<sup>3</sup> და შესძლოს ღრმა აზრების მარტივად გაწყობა.

ავტორის აზრით, ახალი „ლექსებისა“ თუ სხვა თხზულებათა „გამწყობი“ დიდად ნიჭიერი უნდა იყოს, რათა შესძლოს „ზომიერად“ გაწყობა, ჩამოსხმა, შესძლოს „სხმით გარდასვლითა რთულ ჰყოს ლექსები, მაგრამ დიდად კი უნდა უფროხილდებოდეს არ იხმაროს ღრამატიკის ახირებული კანონები“<sup>4</sup> და არ გააბუნდოვანოს აზრი, რადგან ენის კანონებს ქმნის ხალხი, მჭერლობა, და არა გრამატიკაო. „გრამატიკა არის ცოდნა თხზულების იმ კანონებისა, რომელნიც მოლექსეთა და მჭერალთაგან... მრავალჯერ ხმარებულან და თქმულან“, ე. ი. მაღლიანი სამჭერლო ენა ისწავლება მხოლოდ ხალხისა და ლიტერატურისგან, თუცა იქვე შენიშნავს: ძველთა მჭერალთა ყოველ ცილოსა და ენას ისევე ვერ მივიღებთ, როგორც მაშინ იყო, რადგან ენა ბევრ რამეში შეიცვალა და განვითარდა.

„რეტორიკის“ ავტორს განსაკუთრებით მოსწონს ისეთი მჭერლობა, სადაც ყოველგვარი

რთული აზრი მარტივად, ყველაისთვის გასაგებში ენით არის ვადმოცემული; უფრო მეტოც მისი აზრით, არა კმარა მარტო „ნიეთიერი (სიტყვიერი — შ. ლ.) სიმარტივე... საქაროება თხოულობს აზრების სიმარტივესა. ამის გამო მჭერმეტყველმან ჯერ კარგად უნდა გამოიხატოს ვინებამაში აზრები და მერმე წარმოსთქვას“. იგი ვმობს ნამდვილი „აზრების ასახსნელად“ შემოკლებულ საუბარს და არც „ვაზვიადებული“ საუბარი მოსწონს. ვაზვიადებული საუბრის მავალითად მოყვავს ამონაწერი ბუხანდის თხზულებიდან: „ზამთრის არესა, როდესაც შეყრღ-შეგროვილი იყო დიდალი სიმრავლე თოყლთა და შეავებისა, შექვილი-შესიპულ იყვნენ საზამთრო ყინვითა მთები, მაშინ იმ მთებთა ზედა მისთანა ღროსა უნდა წასვლა სადმე მგზავრად“, და მიუთითებს: „ნახე აქ როგორი ვაზვიადებით აყრუებს აზრსა; შექვილი ეთქვა — ცხარი ზამთრის დღებში ღიჭრობა და ვარდაველო დათოვლილი მთები და წასულიყო სადმე“<sup>1</sup>. რეტორიკის შემდგენლის აზრით მხოლოდ მარტივი, მაღლიანი და მაღიდარი მშობლიური ენა აცოცხლებს ერის ლიტერატურას და აძლევს საგანს თავის დანაშნულებას. თვით ისტორიკოსებმაც მარტოვი და ვარჩეული სქესი და კილო უნდა დაიჭირონო, „მოთხრობის მჭერალსა არ უნდა ჰქონდეს მეთვისობა, დამოხმარებობა გინა მხარის დაქვრავისიგისა“, იგი უნდა იყოს მიუყვარძობელი მამიებელი წარსულის ცხოვრებისათა.

ამგვარი აზრია ვატარებელი კონსტანტინე პოლომ მათ მიერ ვამოცემულ ყველა წიგნში, რაც ერთხელ კიდეც ადასტურებს იმას, რომ უცხოეთში მომუშავე ეს მწიგნობარნი თავიანთ სამშობლოსთან არ წყვეტდნენ სულიერ კავშირს და ყოველთვის მისი პრაქტიკული საქმიანობით იკვებებოდნენ. რალა თქმა უნდა, ამ მოღვაწე ბერ-მონაზონთ უყურადღებობა და დარჩენიათ იმდროინდელ საქართველოში მამათა და შეილთა შორის ყველა ამ საყიბოზე ატეხილი დაეა. როგორც ცხადად ჩანს, ისინი ამ დღვისას შეილებს თორიულ შეხედულებებს იზიარებდნენ და თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით უცხოეთიდან ადასტურებდნენ მათი აზრების სიმართლესა და სისწორებს.

ქართველ კათოლიკე მოძღვართა საქმიანობა კონსტანტინეპოლში თანდათან ისე ვაძლიერდა და ვაიზარდა, რომ 70-იანი წლებსთვის ამ მშობამ ელზასში (საფრანგეთი) დააფუძნა ქართველ კათოლიკეთა ახალი ძმობა. ახალ დაფუძნებულმა კონგრეგაციამ კონსტანტინეპოლის მსგავსად მალე ხელი მიჰყო ლიტერატურულ საქმიანობას. მათ წრეშიც ვაჩნდა ორიგინა-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 111 — 112.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 121 — 122.  
<sup>3</sup> იქვე, გვ. 1.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 2.

<sup>1</sup> იქვე.



ლერი თუ ნათარგმნი თხზულებანი და დაიწყო ზრუნვა სტამბის შექმნისათვის.

ელზასში მონთობანის ქართული მონასტრის მთავარ მოძღვრად არჩეულ იქმნა ანდრია წინამძღვრიშვილი. იგი მეტად ენერგიული ხელმძღვანელი და პეტრე ხარისკირაშვილივით დაუზარელი მუშაკი გამოდგა. პეტრე ხარისკირაშვილის სიკვდილის შემდეგ კონსტანტინეპოლისა და მონთობანის მოძღვრთა შორის ანდრია წინამძღვრიშვილის, ალფონს ხითარიშვილისა და სტეფანე გიორგიძეზე უფრო საქმიანი არაიქნა. მანამდე წლებისთვის ანდრია წინამძღვრიშვილმა მონთობანში ქართული წიგნების გამოცემა დაიწყო. პარტიისა და „დაიბარა საბჭო-სტამბაში“, რომელიც 500 ფრანკი დაჯდა, „სტამბა-ბანის ოთახები გაავლესინა“ და ყველაფერი წესიერად მოაკვარა.

უფრო გვიან, როცა ერთმა ფრანგმა ქალმა მშობის შესწირა ტიპოგრაფიის მანქანა, მონთობანის ქართული სტამბა საკმაოდ გაძლიერდა, თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო ეს საბჭო-სტამბა მონთობანის მშობის აღარ შერჩებოდა. „გესიამოვნებათ შემდეგი — სწორად ალფონს ხითარიშვილი მ. თამარაშვილს: — პ. ანდრიას მონთობანში ყოფნის დროს შემოსწირა ერთმა ფრანკულმა დედაქალაქმა კარგი, ახალი სისტემის მანქანა ტიპოგრაფიისა. სტეფანე რა ჩვიდა მონთობანში, უნდაოდა გაეყვიდა, მე სასწრაფოდ მივსწერე, რომ აქ გამოგზავნა“<sup>1</sup>. მართლაც, ეს მანქანა მონთობანიდან კონსტანტინეპოლში ჩაიტანეს და იქ ძველ რედაქტორიაში გამართეს“<sup>2</sup>.

მონთობანის გამომცემელი უფრო ლექსიკონებისა და სასოფლო სკოლებისათვის სახელმძღვანელოების გამოცემით იყვნენ გატაცებულნი. იაფი ქართული წიგნის გამრავლებით ცდილობდნენ ღარიბი ბავშვებისათვის, რომელთაც ქართულის მეტად სხვა ენა არ იცოდნენ, შეეძინათ „სწავლულის საშუალება“. იცოდნენ, რომ ქართული საზოგადოება ამ დროისათვის მთელი მონდომებით ეცილებოდა სწავლის საკითხებს, აშენებდა სკოლებს, ქირაობდა მასწავლებლებს და სხვა... „აღაშენე და განამრავლე რამდენათაც გინდა სკოლები, განაწესე იმათში რამდენათაც გინდა მეცნიერი მასწავლებელი, ადაესე სკოლები ბავშვებით, რა სარგებლობა წარმოსდგება ამათგან, თუ რომ არ იქმნებიან თანვე დასტამბული წიგნები უხვად, რომელზედაც შეიძლება დიდგვარის მი-

ცემა და სწავლება ყრმათა“<sup>3</sup>, წერდნენ ისინი და ასახულებდნენ, რომ საქართველოში სკოლების გამრავლებისათვის საქირაო სასწავლო წიგნების გამრავლება, რომლებითაც შეეძლებოდა სწავლა პატარა შევირდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში უწიგნებოდ გახსნილი სკოლები დღევანდელი იქნებოდა.

რომ მართკ ხელების კარი“ არ იმარებდა სკოლებში მოსწავლეთა გასაწრთენლად, მონთობანელი ქართველი გამომცემელი იმეოშვილდნენ ი. გოგებაშვილის სიტყვებს: „ბევრ ემანციპაციას სურს და ცოდნაც ნებას აძლევს, რომ სხვადასხვა მეცნიერებაზედ წიგნები შეადგინოს, მაგრამ კითხვა: ვინ მოითხოვს და ვინ მომზადებს. იმაჲ ხელითგან კალამს ავღუნებებს სამუდამოდ“<sup>4</sup>. და ჩვენცო, წერენ ისინი შემდეგ, რომ ქართველთა შორის ყოფილიყო მომთხოვნისა და მომზობელიც, გადაწყვიტეთ „გვეშრომა გულმოადგილებით ამ ფრიალ სასარგებლო საქმისათვის“<sup>5</sup>, რადგან ჩვენს მშობაც ამ ორ ძირითად ამოცანას ისახავს: რათა „მეცნიერული გართმულებისაგან მოცილებით... შევიძლოთ უფრო კეთილად მსახურება დღიოსა, სიტყვებულად სულისა ჩვენისა“ და „ქართული ენის მოუბრათ რომის კათოლიკეთ და სომხის კათოლიკეთ საეკლესიო, გინა დასაზოგო სკოლებში მასწავლებლობის ქმნით ეპაწავლოთ კათოლიკე ყრმათა კითხვა, წერა, კათხიზმი, არითმეტიკა და სხვა ამნაირი სასწავლო რამეები“<sup>6</sup>. ისინი ურჩევდნენ მასწავლებლებსა და მომზობებს წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ მოსწავლისათვის ესწავლებინათ გერქ ქართული გრამატიკა, შემდეგ მოკლე გეოგრაფია, საზოგადო ისტორიის საწყისები და სხვა, რადგანო, კვლავ იმეოშვილდნენ იაკობ გოგებაშვილის სამართლიან აზრს, „ემანციპაციის თავის დედაცნაზედ, რომელიც საკმაოდ ესმის, გონება სულ მალე გაეხსნება და ადილიად შეისწავლის სამეცნიერო დასაწყისებს“<sup>7</sup>.

მონთობანელმა გამომცემლებმა დიდი ამაგი დასდეს ლექსიკონების გამოცემის საქმესაც. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ გამოეცათ დიდი ქართული ლექსიკონი. რომელიც შეჯერებული უნდა ყოფილიყო სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონთან. როგორც ირკვევა ჩვენს არქივებში დაცული წერილებიდან. მათ ასეთი ლექსიკონის გამოადგენილი ხელნაწერიც ჰქონიათ, მაგრამ დაბეჭდვა ვეღარ მოხერხებულა. სამაგი-

1 მოკლე ქართული გრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის, მონთობანის ენრიკოს ფიბრას სტამბაში, 1877 წ., შესავალი.

- 2 იქვე.
- 3 იქვე.
- 4 იქვე.

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, № 10, საქ. 470, ფ. 9.  
<sup>2</sup> იქვე, საქ. 319, ფ. 49.



ეროდ დაბეჭდეს მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულ-ქართული და ლათინურ-ქართული ლექსიკონები, რომელიც განკუთვნილი იყო აგრეთვე სასოფლო სკოლებისათვის. ამ ლექსიკონების გამოქვეყნებით მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარების საქმეში.

მონთობანელ ლექსიკოგრაფებს ამ გზაზე დახვლათ ერთგვარი სიძნელეც, რაც მათ დიდის დაკვირვებით გადაჭრეს და დაძლიეს. „ენიანიდან დღემდე არ იყვნენ ქართულს ენაზედ — წერდნენ ისინი — დაბეჭდლნი მეცნიერების სწავლისათვის საჭირო ხელთა სამძღვანებელი წიგნები, რომლებსაცანაც შესაძლებელი ყოფილიყო ზოგადი ტექნიკური ლექსების ამოკრება, ამისათვის ყოველის ღონისძიებით ვეცადეთ, რათა გვეპოვნა იმნაირი ლექსები, რომელნიც ყოფილიყვნენ ქართული ენის თვისებისანი და ზოგნიცა ეთარგმნეთ ფრანციცულითგან. მაგრამ, რადგან ამ ლექსთაგან ზოგიერთი პირველში ძნელი მისახვედრია, ვიდრემდის კაცი კარგად შეერგვიოს იმათ, ამის გასაადვილებლადაც ბევრს ადგილს გვერდითვე მიუწერეთ ის ფრანციცული ლექსები, რომელთაგანაც გადმოითარგმნენ ისინი, საცნობელათ თუ რომელი ფრანციცული ლექსის მაგიერად გვიხმარია ჩვენ ის ქართული ტექნიკური ლექსი“<sup>1</sup>.

კონსტანტინეპოლისა და მონთობანის ქართული წიგნების გამოცემელთა სასახლეოდ მართო ისიც კმარა, რომ მათ 1877 წლიდან 1881 წლამდე, სულ რაღაც ოთხი წლის განმავლობაში, შესძლეს 25-მდე სხვადასხვა წიგნის დაბეჭდვა და საქართველოში გავრცელება. ეს კეთილშობილი ადამიანები, რომელთა გვარი არც ერთ წიგნს არ აწერია, წუხდნენ მხოლოდ იმას, რომ ეს „წიგნები ჩვენი ნატურის დაგვარად კიდევ ვერ უბასუხებენ საქართველოს საზოგადოების ყოველს მოთხოვნილებას, და შეამჩნევს საზოგადოება ამათში სხვადასხვა სახის ნაკლებულობათაცა, რომელნიც საზოგადოდ მოხდებიან ხოლმე წიგნების პირველ გამოცემაში... მაგრამ იმედი გვაქვს ამ გზობად მოგვიტეიებს საზოგადოება... რადგან ახლა მრავალი სიძნელეების გამო შეუძლებელი იყო უკეთესი გამოცემა“<sup>2</sup>, და მკითხველს აღუთქვამდნენ, ამ წიგნების მეორე გამოცემაში შევასწორებთ გულმოქაღვინებით ყველა ნაკლოვანებას და დავაკმაყოფილებთ მკითხველსო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პ. ხარისპირა-

შვილმა დიდი ცდისა და შრომის შედეგად 1859 წ. პაპისა და თურქეთის მთავრობის ნებართვა აიღო და სტამბოლში ფერეიკოს (სტამბოლის უბანია) დააარსა ქართველ კათოლიკე ძმათა საჯანე. შემდეგ აქვე დააარსდა ქართველ კათოლიკე მონაზონთა (დედათა) საჯანეც. დაარსებიდან უკვე ერთი წლის შემდეგ მონასტერთან შეიქმნა მცირე სასულიერო სასწავლებელი, რომლის პირველი მოსწავლენი იყვნენ სტამბოლის ბაზარზე გასაყიდად გაყვანილი გურული ბავშვები და ახალციხიდან საგანგებოდ ჩაყვანილი ყმაწვილები. რათა ამ სასწავლებელს, სადაც ქართულ ენაზე მიმდინარებდა სწავლება, ოფიციალური სახე ჰქონოდა, ხარისპირაშვილმა შეადგინა სპეციალური დებულება, რომელიც დიდი ბრძოლის შემდეგ 1864 წ. დაამტკიცებინა კარდინალმა<sup>1</sup>.

სტამბოლის ქართულ სასულიერო სასწავლებელში სწავლების ხანგრძლივობა თავდაპირველად ორი წელი იყო. 1870-იანი წლებიდან კი სამწლიან სასწავლებლად გადაკეთდა და ქართული სასულიერო სემინარიის შექმნის რეალური პირობები მოამზადა. საყურადღებოა, რომ 1894 წელს მონასტრის ახლოს დაიწყეს ახალი ოთხსართულიანი სასახლის მშენებლობა იმ ვარაუდით, რომ აქვე მოთავსებულიყო მომავალი ქართული სასულიერო სემინარია<sup>2</sup>. ახალდაარსებულ ქართულ სკოლაში საღვთისმეტყველო საგნების გარდა ისწავლებოდა: ქართული ენის გრამატიკა, ქართული ლიტერატურა და ისტორია, მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია, სამედიცინო საქმე და სხვ.; დიდი ყურადღება ჰქონდა დამთმობილი აგრეთვე ფრანგული და ლათინური ენების სწავლებას, რადგან ლათინური ენა ძველი სამეცნიერო და სასულიერო ენა იყო და ვატიკანი ლათინურ ენაზე მუშობდა, ხოლო ფრანგული ენა იმდროინდელ ევროპაში ყველაზე უფრო პოპულარული ენა იყო.

სასწავლო პროგრამა ისეთნაირად იყო შედგენილი, რომ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ყველა მოსწავლეს შესძლებოდა ფრანგულსა და ლათინურ ენაზე წირვის აღსრულება და ფრანგულ სემინარიაში სწავლის გაგრძელება. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ლიტერატურული ქართული ენის სწავლებასაც. კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკე ძმათა მთავარი მოძღვარი პ. ხარისპირაშვილი 1873 წ. წერდა: „ამისათვის გვსურს შეისწავლონ კარგად სუფთა, დაბიური

<sup>1</sup> მოკლე ქართული გრამატიკა, მონთობანი, 1877 წ., შესავალი.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. № 10, საქ. 787, ფ. 9.

<sup>2</sup> იქვე, საქ. 109, ფურც. 11.



ქართული თხზვა, კანონიერად ქართულზე, თვარემ უამისოდ რას არგებს მათ და ანუ მამულს მართო ევროპულის ენებით ლაპარაკი, ოდესმე თუ ვერაფერს ასარგებლებენ მამულსა და თავიანთ მამებსა; ვითარცა ავტორი... იოსები, ავტორად საქებულად შეთხზავს ლათინურებ, ფრანგი-ცულზე და იტალიანურებ, რომ ბევრს ნასწავლ ფრანცუზს და იტალიანს გაუჭირდება ეგრეთ შეთხზვა, მაგრამ ოდეს მოვა ქართულზე თხზვად ორ სირას<sup>1</sup> ვერ შეთხზავს რომ სწორე ქართული იყოს და წადგეს სადღე ის თხზულება..."

იმისათვის, რომ ფერაქოვის ქართულ კათოლიკეთა მძობას ჰქონოდა ეკონომიური დასაყრდენი პ. ხარისკირაშვილის ინიციატივით დაარსდა საეპარქიო ამხანაგობა—ქარავსლა, რომლის შემოსავალი მძობის საერთო ფონდში გადადიოდა და მის სხვადასხვა საჭიროებას ხმარდებოდა. ჩვენს ხელთ არსებული ცნობებით 1900 წლისათვის ამხანაგობის განკარგულებაში ყოფილა 5 დუქანი და სხვა საეპარქიო, რომლის წლიური შემოსავალი 4.000 მანეთზე მეტი იყო. 1900 წლისათვის მძობას ბანკში დაბანდებული ჰქონია 45.000 მანეთი. გარდა ამისა მძობას ჰქონდა ძროხების ფერმაც, რასაც ემსახურებოდა დაქირავებული მუშახელი<sup>2</sup>.

ამ შემოსავალზე იყო დამოკიდებული კონსტანტინეპოლის ქართული სასულიერო სკოლის ბედიც, რომლის კონტიგენტი თანდათან იზრდებოდა. პეტრე ხარისკირაშვილის აზრით ამ სასწავლებელდამთავრებულს შეუძლია შესარულოს როგორც სასულიერო, აგრეთვე სამოქალაქო სამსახური. იგი განსაკუთრებული გულსხმირებით ეკიდებოდა სასწავლებელში ქართველი მაჰმადიანების მოზიდვასა და მომრავლებას, და განზრახული ჰქონდა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ყოველი მათგანი განეწყესინა ადგილზე, როგორც ქართული ენისა და მამულიწველი გრძნობების დაცვისათვის მებრძოლი მისიონერი. მისი აზრით, როცა ამგვარად მომზადებული პატრიოტებით დაიფარებოდა „თურქეთის საქართველო“, მაშინ დადგებოდა რეალური პირობები საქართველოს სრული გაერთიანებისა. კათოლიკური სამყარო ამ საკითხს თავისი კუთხით უყურებდა და სულ სხვანაირად აფასებდა; „წმიდა რომა“ ფიქრობდა, რომ მუსულმან ქართველთა შორის გვაროვნული პროპაგანდის წარმოება და ეროვნული გრძნობების გაღვივება შექმნიდა პირობებს მათი გაკათოლიკებისათვის. ამ საქმეში ქართველი კათოლიკენი მეტად საჭირონი იყვნენ. 1876 წ. ფრანგული გაზეთი „ინდემენდასტ

ბელგეში“ წერდა: „ცხრამეტ მარტს 1876 წ. იოსების დღესასწაულის დროს დიდძალი ხალხი დაესწრო სტამბოლში ქართველ კათოლიკეთ ეკლესიაში ქართულ ენაზე წირვას, სხვათაშორის იყვნენ სამი პრიმასი (მღვდელი) ქართველ კათოლიკებისა და მონსინიონერი კრასერი, არხიეპისკოპოსი დეკლორესი, ვიკარი—ტესტა და სხვანი. წირვის დროს ქართულად გალობდნენ. ქართული გალობა სამო სასმენელი ყოფილა. წირვის შემდეგ ამ ქართველ ეკლესიის დამფუძნებელმა პ. ხარისკირაშვილმა და ერთმა სხვა პატრმა სიტყვა წარმოსთქვეს ქართულად. ამ შესანიშნავ მოხატვრთან გამართულია ორი სკოლა, ერთი სავაეებო და მეორე საქალბო, რომელშიაც მოწაფეებს ქართულად ასწავლიან ყველა საგნებს. ეს სკოლები ამ თხუთმეტი წლის წინ არის დაფუძნებულნი... მიზანი მძობისა არის ნაციონალურის გრძნობების აღძვრის საშუალებით კათოლიკე სარწმუნოების ვაერცელება ოსმალიეთის გამაჰმადიანებულ ქართველებში“.

ქართველთა ამ სასწავლებლებში სწავლობდნენ აგრეთვე ბერძნები, სომხები და ზოგიც ქართველი მაჰმადიანი. ის ვარაუდი, რომ ბევრმა ქართველმა მაჰმადიანმა მიაშურა სტამბოლის ქართულ სკოლას, იქიდანაც მტკიცდება, რომ 1896 წ. სკოლის მასწავლებელი ალექსანდრე მელვინიოვი ივ. გვარამაძეს ახალციხეში სწერდა: „მამო ვგარამაძე, მაქუს ვედრება თქვენდამი და ვიცი, რომ ამ ჩემს ვედრებას უღებ ყოფთ თუ რომ შეიძლება. თქვენგანით, როგორც წერაკითხვის გამავრცელებელი წვერი შეიძლოთ სახეში მიღება და ცოტა ოდენი წიგნების ორ-ორი ეგზემპლარი მომიძენოთ, რადგან ქართველ თათრებმა ზალა წაიღეს და ზოგი მათგანი კიდევაც გაკვეთილს იღებენ ჩემგან—და წიგნების სიმცირემ მეტის მეტათ შეწყუბება მომაყენა“<sup>1</sup>.

ბეგის ქართველი მაჰმადიანი იქამდე დაუახლოვდა „ქართველთა მძობას“, რომ ეკლესიაში ქრისტიანულ ქადაგებაზეც კი დაიწყეს სიახრული. აქ სამი რიგის ქართველები არიან—წერდა სასწავლებლების მოძღვარი სტეფანე გიორგაძე 1909 წ. — კათოლიკენი, არა კათოლიკენი და მაჰმადიანნი<sup>2</sup>. მართლაც, რელიგიური და პოლიტიკური წინააღმდეგობის მიუხედავად, შორს გადაკარგული ბეგის მაჰმადიანი ქართველი თავის თვისებებში ქართველებთან არჩევდა ყოფნასა და სიახლოვეს. აღსანიშნავია, რომ ამ სასწავლებლებში მოსწავლეებს თურ-

<sup>1</sup> სირა — მწკრივი, ხაზი (თურქული).

<sup>2</sup> ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 2684.

<sup>1</sup> ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 2684.

<sup>2</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, № 10, საქ. 169, ფ. 81.





ქულ ენასა და ისტორიას ასწავლიდა ჯგერალ-  
 ეფენდი მეჰარინშვილი. ფერიქოვის ქართული  
 სკოლის მასწავლებლებს სწავლების თავისებუ-  
 რი მეთოდები და ხერხები ჰქონდათ. როცა  
 1900 წ. დ. მულაშაშვილმა მოინახულა სტამბო-  
 ლის აღნიშნული სკოლა, მისი ყურადღება მიი-  
 პყრო იქ სწავლების ახლებურმა მეთოდებმა.  
 მულაშაშვილი კონსტანტინეპოლიდან თამარა-  
 შვილს სწერდა: „აქ ყმაწვილებს ბუნდიქტეს  
 მშვენიერი მეთოდით კარგად შეუსწავლიათ  
 ფრანგული, ფრანგულად ლაპარაკობენ უკვე“.

მოსწავლენი განსაკუთრებული მონღომებით  
 ეწავებოდნენ ქართულ ლიტერატურას. განსა-  
 კუთრებული სიყვარულით ეკიდებოდნენ „ვეფ-  
 ხისტყაოსანს“, რომლის ავტორის პორტრეტი  
 1874 წ. თამარ მეფის სურათთან ერთად დაბეჭ-  
 დეს კონსტანტინეპოლში. როგორც ფაქტებიდან  
 ჩანს, ბევრმა მოსწავლემ ზეპირად იცოდა „ვეფ-  
 ხისტყაოსანი“ ადგილები, ხოლო ზოგიერთმა  
 მთელი პოემაც. ალბათ ქართული ლიტერატუ-  
 რის დიდი სიყვარული წყალობით იყო, რომ ამ  
 მოსწავლეთაგან ბევრი თხზავდა ლექსებს. დიდად  
 უყვარდათ აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის  
 იგავ-არაჯთა წიგნი და „ვერთაში მოგზაურო-  
 ბა“, რომელიც ხელნაწერის სახით ინახებოდა  
 სკოლის ბიბლიოთეკაში. ამავე ბიბლიოთეკაში  
 იყო შენახული „ქართლის ცხოვრების“, „მარგა-  
 ლიტის“ (დიდაქტიკური კრებულის), „ოთხთავე-  
 ბის“, „იაპიეოებისა“ და სხვა მრავალ წიგნთა  
 ხელნაწერი ფონდები<sup>2</sup>.

სკოლის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ  
 ყურადღებას აქცევდა იმას, თუ სკოლაში ვინ  
 კითხულობდა გაკვეთილს, ანუ, როგორც მაშინ  
 ამბობდნენ, „ვინ აძლევს დასებას“. მასწავლე-  
 ბები განსაკუთრებით მომზადებულნი „ფილო-  
 სოფონსი“ უნდა ყოფილიყვნენ, რათა შესძლე-  
 ბოდათ მოსწავლეთა კარგ გაწერონა. მკაცრ  
 მოთხოვნებს უყენებდნენ მოსწავლეებსაც. მა-  
 თი შერჩევა მარტო „ღვთის მოწიშობითა“ და  
 მორჩილი ბუნების მიხედვით როდი ხდებოდა.  
 მოსწავლის მიღებისას ანგარიში ეწეოდა იმას,  
 თუ ვის შეეძლო გამოუსულიყო „სამავალითო  
 სწავლული“ და ვის შეეძლო თავისი ცოდნით  
 გამოისდგომოდა სამშობლო ქვეყანას<sup>3</sup>.

1880 — 1900-იანი წლებისათვის სკოლაში გან-  
 საკუთრებული რეჟიმი, თითქმის სპარტანული  
 მეთოდები ყოფილა შემოღებული. ფერიქოვის  
 ქართულ სკოლადამთავრებულ მოსწავლეთა ნა-

წილი (ვინც სწავლაში გამოიჩინდა თავს) საეკ-  
 ლესიო ძმობის ხარჯზე სწავლას აგრძელებდა  
 ფრანგულ და იტალიურ სემინარიებში. მოსწა-  
 ვლეთა მეტი ნაწილი მაინც სტამბულის იენიშა-  
 რის ფრანგულ სემინარიაში რჩებოდა, სადაც  
 ქართველ სემინარისტებს კვირაში ორჯერ  
 ჰქონდათ ქართული გაკვეთილები ქართულ  
 ენასა, ლიტერატურასა და ისტორიაში<sup>4</sup>.

მე-19 საუკუნის მიწურულისათვის კონსტან-  
 ტინეპოლის ქართულ სკოლას ყურადღება მიაქ-  
 ცია საქართველოს საზოგადოებრიობამაც. ქარ-  
 თულ პერიოდულ პრესაში სულ უფრო ხშირად  
 იბეჭდებოდა კორესპონდენციები და წერილები  
 ამ სკოლის შესახებ.

1897 წ. გაზთე „ივერიის“ კორესპონდენტი  
 ეწვია სტამბულის ქართველთა ძმობას და მოი-  
 ნახულა მისი სასწავლებელიც. კორესპონდენ-  
 ტის ჩასვლა დაემთხვა სკოლაში გამოცდების  
 დაწყებას. იქ ნახულით გაოცებული და აღფრ-  
 თოვანებული კორესპონდენტი ამავე წლის ივ-  
 ლისში „ივერიის“ სწერდა:

„3 ივლისს ამას წლისა იყო წლიური გამოცდა  
 კონსტანტინეპოლის ჩვენს ქართველ კათოლიკე-  
 თა ახალ დაარსებულ ქართულ-ფრანგულ სკო-  
 ლაში. ყმაწვილებმა ზედმიწევნით კარგათ იცო-  
 დნენ ქართული კითხვა-წერა, გრამატიკა და  
 ხალხური სიმღერები. ფრანგული და ლათინური  
 გვარიანად იცოდნენ. ყველა აქ დამსწრენი კმა-  
 ყოფილი დაერჩით. გამოცდამ ვასტანა ოთხი  
 საათი. ბოლოს დავარიგეთ საყმაწვილო წიგნე-  
 ბი... ის წიგნაკები დიდის სიხარულითა და პა-  
 ტივით მიიღეს პაწაწინა მესხებმა, რომლებს  
 მომავლისაც დიდი იმედო ევაქეს. დამფუძნებე-  
 ლი წინამძღვარი სკოლისა მამა სტეფანე გიორ-  
 ვაძე ძმებითურთ დიდ მადლობას უძღვნაბ  
 შეწირულებისათვის“<sup>2</sup>.

კონსტანტინეპოლის ქართული სასულიერო  
 სასწავლებლის მოსწავლეებს სისტემატური მი-  
 წერ-მოწერა ჰქონდათ წერაკითხვის გამავრცე-  
 ლებელი საზოგადოების წევრებთან და ბევრ  
 მოწინავე ქართველ მოღვაწესთან; მათი წერი-  
 ლების შინაარსი ყოველთვის სამშობლო ქვეყ-  
 ნის ამა თუ იმ საკითხს შეეხებოდა. ზოგი მათ-  
 განი სკოლის მერხინაწვე ფიქრობდა ქართული  
 ისტორიული მეცნიერების შესწავლისათვის  
 მოეკიდა ხელი. ასეთები იყვნენ მ. თამარაშვი-  
 ლი, მ. ანტონაშვილი, დ. მულაშაშვილი, მ. თარ-  
 ხნიშვილი და მრავალი სხვა.

„ყურადღებით შევავრთვე ყველა ჩვენი ძვე-  
 ლი ცხოვრების ნაშთსა, — წერდა 1907 წ. ამ  
 სკოლის ერთ-ერთი მოსწავლე ალიოზ ბათმანა-  
 შვილი. — ეს შრომა კიდევ დაწყებული მაქვს.

<sup>1</sup> იქვე, საქ. 319, ფურც. 49.  
<sup>2</sup> ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის  
 ხელნაწერთა ფონდი, № 2662.  
<sup>3</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. № 10, საქ.  
 410, ფურც. 3.  
<sup>4</sup> იქვე, საქ. 165, ფურც. 14.

<sup>1</sup> იქვე.  
<sup>2</sup> გაზ. „ივერია“, 1897 წ., № 185.



ჩვენი მონასტრის ბიბლიოთეკაში უყურადღებოდ მიყრილი იყვნენ რამდენიმე ხელნაწერები, მძლიერად შექმნილი და ნოტიობისაგან დაზიანებული. ესენი შევავროვე და სულ გავჩხრიკე. ჯერჯერობით 10 ხელნაწერი მაქვს. ძნელად წარმოიდგენთ რა რიგი ნუგეშია მწიარ ქართველსათვის როდესაც იგი ეღიბება მაჰამაა დიდებულ ნაშთების ნახვას<sup>1</sup>. ბათმანევილის მიერ აღწერილი ველისის ბიბლიოთეკაში დაკული ეს ხელნაწერი წიგნები, დაწყებული ტყავზე ნაწერი ოთხთავიდან გათავებული ქვეყნით ღვთისმეტყველებით, დღეს უფრო დიდ ინტერესს იწვევს. სამწუხაროდ, ახლა ამ ძეგლებისა აღარაფერი ვიცით. იქნებ იქვე არიან. ამის დადგენა არც ისე ძნელი საქმეა ჩვენი ისტორიკოსებისათვის.

შემდეგ იგივე ბათმანევილი იტყობინებოდა, რომ ბიბლიოთეკაში „რაც ხელნაწერი გვექონდა, შევავროვე და აღწერე“<sup>2</sup>. ამ ხელნაწერთა რიცხვს მისივე ცნობით 36 — მოზრდილი სახის წიგნი შეადგენდა. გულისხმიერი მოწაფე დიდხანს უკირკიტებდა იოანე პეტრიწის თარგმან „მარკელის“, რომელიც მე-15 საუკუნის ბოლოს მესამედ გადაწერა ნათანელს. ამ ერთ-ერთ წარწერას — „ი ნემ ნ ფსფსმნ ჰეიმეიმელმან აღტყურისა ელიდელთა ხმისაგან. სპანთ მოსახლედ ენად მოცეალა ესე“<sup>3</sup> — იგი საფიქრებელში ჩაეგდო; ეს „სპანები“ ახალი საბუთი ხომ არ არის იმისა, რომ ქართველები ისპანელთა განაყოფნი არიანო, და თბილისსა თუ სხვა ქალაქებში მოწერილი წერილობით ცნობობდა პასუხის გაგებას. „ბეკ“ რა ნაწილია კარისა, როცა „კარიბუქს“ ერთად წარმოეთქვამთ, ან ბუბა რა ურთიერთობაშია ამ სიტყვასთანო, კითხულობდა იგი სხვაგან. კონსტანტინეპოლელ მოსწავლეთა მიზანი და ნატურა სამშობლოში დაბრუნება და აქ მოღვაწეობა იყო. აი რა აღფრთოვანებით ლაპარაკობენ ეს მოსწავლენი იმ ერთ შემთხვევაზე, როცა მათ კონსტანტინეპოლის ბაზარში საქართველოდან ჩასული ქართველი ნახეს: „ამ დღეებში ერთი ქართველი მგზავრი მოვიდა საქართველოდა... ეს მგზავრი ბაზარში შეგვხვდა... სულ ვაგვაიჟაჟა... რამდენი ხანია ერთი ქართველი კაცი არ გვენახა. მაშინვე ვიცანიო. მოწითალო ჩოხა ეცვა, წელზე ხანჯალი ეტყა. რა წამსვე მას თვალი მოვკარიო, დავეუყირეთ: ქართველო, ქართველს გაუმარჯოს! და დაგვაიწყდა, რომ შუა ბაზარში ვიყავით. მოვრთეთ მადალი

ლაპარაკი და სცილი. ფატიონები გადიოდნენ და გამოდიოდნენ. გამეღული და გამოვლული აქეთ-იქით ეტნებოდა, თანაც ბნელოდა... მეორე დღეს სანლის სალაპარაკოში მოვიდა და მაშინ კარგა ვილაპარაკეთ. საქართველოს ამბები გამოვკითხეთ“<sup>1</sup>.

ქართველი მოსწავლენი ფერიჭოვის დედათა მონასტრის მონაზვნებთან ერთად ხშირად სალაპარაკო წარმოადგენდას მართავენ. ამ წარმოდგენებზე ისინი ჩვეულებრივ მდიდარი პროგრამით გამოდიოდნენ (ფრანგულ, ქართულ, თურქულ ენებზე) და მათგან მოწონებას იმსახურებდნენ. „ქართველმა მოსწავლეებმა და მონასტრის ქალწულებმა ერთი ასეთი წარმოდგენა გააკეთეს 1894 წ. მაისის მ-ს. რომელსაც ბეკი ხალის დაესწრო და 40 ოქროზე მეტი აიღეს“<sup>2</sup>; აღებული ფული საერთო ფონდში ირიცხებოდა და ახალდაწყებული სასახლის მშენებლობას ხმარდებოდა.

განსაკუთრებით კარგი იყო აქ 1908 წლის 26 აპრილს აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. აკაკის სურათს ყველის გვირგვინი ჰქონდა შემოვლებული და თავზე ოქროსვარაყაიანი ასოებით ეწერა: „აკაკი ჩვენი, ვითა შოთა რუსთაველი და სარგის თმოგველი“... ქრისტიანი ქართველები ვისაც კი გავეო და ბარათი მიეღო, ყველა მოვიდა თავის ოჯახობით. მოახერხეს და მოვიდნენ ჩვენდა სასიამოვნოდ მაჰამადიანი ქართველებიც“<sup>3</sup>.

საღამო პარაკლისით დაიწყო. პარაკლისი გადიხდა სტეფანე გიორგაძემ, პარაკლისის დროს მოსწავლეთა გუნდი ქართულად გალობდა. შემდეგ შესავალი სიტყვა კვლავ გიორგაძემ წარმოიტქვა და კვლავ გალობა დაიწყო. მოსწავლეთა ორკესტრი ყოველი სიტყვის შემდეგ „მრავალკამირს“ ასრულებდა. ამის შემდეგ იასე რაქველი შეეხო აკაკის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. საღამოზე სიტყვები წარმოსთქვენ აგრეთვე დომინიკე მულაშვილი, ელდიმერ წერეთელი და სხვებმა. ფერიჭოვის ქართული სკოლის მოსწავლემ ნებაძემ აკაკისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა, სხვები აკაკის ლექსებს კითხულობდნენ.

ქართული კულტურის ეს ცენტრები კონსტანტინეპოლში, მონთბანსა თუ ვენეციაში წარმოადგენდნენ სინას, ათონის, ჯვრისა და სხვა ძველი კულტურული ცენტრების დავიანებულსა და ფერშეცვლილ გამოძახილს, რომლის მოღვაწეობის მთელი შინაარსი საქართველოს ეროვნული და ეკონომიური კონსოლიდა-

<sup>1</sup> ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 507.  
<sup>2</sup> იქვე, № 2665.  
<sup>3</sup> იქვე.

<sup>1</sup> იქვე.  
<sup>2</sup> იქვე.  
<sup>3</sup> გაზ. „დროება“, 1908 წ., № 11.

ციის ბაზაზე ევროპული კულტურის დაახლოება იყო. თუ შუა საუკუნეებში საქართველოს გარეთ დაარსებული ეს მონასტრები (კულტურის კერები) ფეოდალური საქართველოს სამეფოს პოლიტიკური ძლიერების გამოხატულება იყო, მე-19 საუკუნის ევროპაში დაარსებული ქართველ კათოლიკეთა აღნიშნული კულტურული კერები დაქუცმაცებული და უფლებდაცარგული საქართველოს გაერთიანება-აღდგენის სუსტი ილუზია გახლდათ.

ფერიჟოვის ამ ცენტრში გზად გავლილი ქართველი მეცნიერები, სტუდენტები, მოგზაურები, ვაჭრები და სხვ. ყოველთვის ჰქმნიდნენ ეროვნული და ეკონომიური ერთიანობის მომხიბვლელ ატმოსფეროს და კულტურული მოღვაწეობის დიდ გეგმებს აღგვნიდნენ. ამგვარი ურთიერთობის ერთ-ერთი მაგალითია აზნაურ ვლადიმერ წერეთლის მიერ კონსტანტინეპოლში დაარსებული ქართველთა სავაჭრო ამხანაგობა. ამ კომერსანტული ამხანაგობის შესახებ სტ. გიორგაძე მიხეილ თამარაშვილს სწერდა: „შეიტყობდი, რომ აქ აზნაურმა ვლადიმერ წერეთელმა მოისურვა სავაჭრო ამხანაგობის დაწესება აგერ ერთი წელიწადი იქნება. აქ ჩვენი ახალციხელები ყველა ჩაეწერნენ და აგრეთვე ბევრი ქართველი მაჰმადიანიც... ჩვენს მონასტერში ერთი ოთახი მათთვის მიცემულია და ქართული პატარა ბიბლიოთეკაც აქვს... მენაც მოვიწვიე ყველა ქართველი ქრისტიანი თემში ერთხელ, ერთ კვირას ქართული ქადაგებისათვის თუ მამანი და თუ დედანი, და ჯერჯერობით აგერ მეოთხე თვეა ესწრებიან ქადაგებას. აქ ქართველთათრებმაც დაიწყეს მოსვლა... ასე რომ არც ერთს წაეკრება ფეხი ქვაზე, რადგან სამი რიგნი არიან: კათოლიკენი, არაკათოლიკენი და მაჰმადიანი“<sup>1</sup>. აქვე თითქოს ხორციელდებოდა ეროვნული კონსოლიდაციის ღონისძიება. რელიგიითა და გამოვლილი ისტორიული უბედურებით ერთიმეორის დაცლიებული ქართველობა თითქოს ერთიანდებოდა. ფერიჟოვში დამყარებული ამგვარი ურთიერთობის მნახველ დომინიკე მულაშაშვილს უფლება ჰქონდა ეთქვა: „მე ამაში ზეგადმო მაღლსა ვეხდა, და ვრწმუნდები, რომ სამი სარწმუნოების სამი შვილი

ქართველთა გვაროვნებისა ისევ ერთ ხეზე ყოფილა დამყნული და თავის ფესვებს არ მოშორებია“<sup>2</sup>; ეს ფესვები ყველას საქართველოსკენ ეწეოდნენ. ამგვარი სიტუაციას უფრო აცხოველებდნენ და სიცოცხლისუნარიანს ხდიდნენ ფერიჟოვში დროდადრო სტუმრად ჩასული გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი: დიმიტრი ბაქრაძე, ალექსანდრე ხახანაშვილი, ალექსანდრე ცავარელი, თედო სახოკია, აკაკი წერეთელი, მიხაკო წერეთელი, ალექსანდრე მრეველიშვილი, პეტრე უმიკაშვილი, იაკობ ნიკოლაძე და სხვანი. ევროპაში შექმნილმა ამ კულტურის კერებმა თავისებური როლი ითამაშეს ქართული კულტურის ისტორიის განვითარების საქმეში. ფერიჟოვის ქართული სასწავლებლის მრავალმა მოწაფემ შემდეგ მეცნიერების ასპარეზზე გამოიჩინა თავი; ასეთები იყვნენ ისტორიკოსი მიხეილ თამარაშვილი; პუბლიცისტი დომინიკე მულაშაშვილი — ჟურ. „ჯვარიანისას“ რედაქტორი, მკვლევარი ალიოზ ბთომინიშვილი, რომელიც საქართველოს ისტორიისა და საეკლესიო მუსიკის საკითხებზე მუშაობდა; მიხეილ ანტონაშვილი (ანტონოვი), სარატოვის სასულიერო სემინარიის რექტორი; მიხეილ თარხნიშვილი, გამოჩენილი ქართველოლოგი, ევროპაში ქართული კულტურის მგზნებარე პროპაგანდისტი, ქართული ლექციონარისა და ქართული ლიტურგიული ძეგლების გამომცემელი და კომენტატორი, რომელიც შრომებს გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ, ლათინურ და ქართულ ენებზე აქვეყნებდა; მერაბიშვილი, რომელმაც თავი ისახელა მედიცინის საქმეში. ბოლო დროს იგი მოღვაწეობდა ეთიოპიაში, სადაც რამდენიმე ტომად გამოსცა ეთიოპიის ხალხური მედიცინის ისტორია და ეთიოპიის მეფის მანგლიკის პირადი ექიმი იყო; შალვა ვარდიძე, ბეირუთის უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი, არაბისტი, დაუცხრომელი პატრიოტი და მრავალი სხვა.

ასეთი იყო მე-19 ს. ევროპაში დაარსებული ქართული კულტურის ზოგიერთი კერა თვალის ერთი გადავლევით, რისი ანგარიშგაუწეველობაც არ ეპატებება საქართველოს კულტურის ისტორიის მკვლევარს.

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. № 10, საქ. 169, ფ. 81.

<sup>2</sup> გაზ. „დროება“, 1908 წელი, № 11.



## რეპუ ბაკიძე

# გიორგი წერეთელი—ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი

XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსი მწერლები დიდ ენერგიასა და დროს ანდომებდნენ როგორც ვიწრო სამეურნეო-პრაქტიკული საკითხების მოწესრიგებას, ისე რთული კულტურულ-სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაჭრას. აღორძინების გზაზე დამდგარ ერს ჯერ კიდევ არ ჰყავდა მეცნიერები და ცალკეული დარგის სპეციალისტები, ამიტომ ქართველმა მწერლებმა იტვირთეს დიდი მისია — ისინი ცუცხენ იმ დროის მეცნიერებიც.

გიორგი წერეთელმა ღრმად შეისწავლა ძველი ქართული მწერლობა და დაწერა საყურადღებო წერილები როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობაზე. მას არ გამოარჩენია ჩვენი ძველი მწერლობის არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი; დაწყებული ორიგინალური ქართული აგიოგრაფიითა და გათავებული დ. გურამიშვილის შემოქმედებით. მას მიმოუხილველი არ დარჩენია იმ დროისათვის ცნობილი არც ერთი აგიოგრაფიული ძეგლი. 1893-95 წლებში ყურნალ „კვალში“ გამოქვეყნდა მისი წერილები შუშანიკის, ვესტატე მცხეთელის, აბოს, გობრონის, არჩილის, დავით და კონსტანტინეს მარტილობათა და ნინოს ცხოვრების შესახებ.

ქართველ „მოწამეთადმი“ მიძღვნილ წერილებში გიორგი წერეთელი განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას პატრიოტულ მოტივზე აგიოგრაფიულ ძეგლებში.

გიორგი წერეთელი გობრონის, არჩილისა და სხვა „მოწამეთა“ მოღვაწეობის აღწერის შემდეგ აღნიშნავს: „მეთუ საუკუნის დამდგეს არაბები მეოთხედ შემოესიენ საქართველოს. მაშინ მთელი აზიის ქვეყნები და სახელმწიფოები უკვე ფეხ-ქვეშ ამოდებული ჭონდა მაჰმადის სარწმუნოებას. მხოლოდ ერთი საქართველო გადაარჩა. ვერც ტანჯვა-წვალებამ, ვერც აუტანელმა ხარჯმა, ვერც მეფეთა მოკვდინებამ ვერ გასტეხა საქართველოს ერი, ვერ შეარ-

ყია მისი სარწმუნოება, ვერ აცლევინა ფერი მის ეროვნებას. სარწმუნოება გვარს ამაგრება და და გვარი სარწმუნოებას“. ეროვნული რწმუნის გასამტკიცებლად მწერალი დაპირისპირების ხერხს მიმართავს, ჯერ იხსენებს არაბთა მიერ ისეთი დიდი სახელმწიფოების დაპყრობას, როგორც ბიზანტია და სპარსეთი იყო, და შემდეგ აღნიშნავს, თვით ასეთმა ძლიერმა მტერმაც ვერ მოსპო ჩვენი ქვეყანაო: „არაბებთან ბრძოლაში ბიზანტიის იმპერია მიუძღურდა, მთელი სპარსეთი არაბული ცხენების ფეხებმა გაუფგრეს, მისი სარწმუნოება დაითრგუნა, მისი ეროვნება მაჰმადიანად გადაიკვალა და ხალხი გადაგვარდა. მხოლოდ საქართველოს ვერა მოუხერხეს რა“ („კვალი“, 1893 წ., № 47).

გიორგი წერეთელი ქართულ სასულიერო მწერლობას გარკვეული თვალსაზრისით განიხილავს: მისი აზრით, აგიოგრაფიულ ნაწარმოებთა თავისებურებაა სარწმუნოების საფარველქვეშ ეროვნული მოტივის განვითარება, ამიტომ აღნიშნული მწერლობის მიმოხილვისას განსაკუთრებით გამოჰყოფს ეროვნულ ტენდენციებს. ამასთანავე ხაზს უსვამს ქართულ მწერლობაში სომეხთა და ქართველთა მეგობრობის გამოხატველ იდეას. და ისტორიული წყაროების შესწავლის საფუძველზე ამტკიცებს, რომ ისტორიულად სომეხები და ქართველები ყოველთვის ერთიანდებოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. კერძოდ, „გობრონის წამების“ გარჩევისას გიორგი წერეთელი წერს: „საქართველოსა და სომეხთის მეფეებს, ადარნასეს და სუმბათს, განზრახვა ჰქონდათ, აბუ-კასიმი თავისი ჯარით შუაში მოემწყვდიათ. დასაუღეთიდან ადარნასე უნდა მოდგმოდა ჯარებით, ხოლო აღმოსავლეთით მეფე სუმბათს უნდა აებუნებინა სომეხთის ერი“.

გიორგი წერეთელმა თავისი წერილებით



შექმნა მოკლე, ერთგვარად კონსექტური კერ-სი ძველი ქართული მწერლობის ისტორიისა. ის შეეხო ძველი მწერლობის თითქმის ყველა მნიშვნელოვან წარმომადგენელს, დაწყებული ავთოგრაფებით და გათაყებული დ. გურამიშვილით. მაგრამ მწერალი განსაკუთრებით ხშირად უბრუნდება „ვეფხისტყაოსანს“.

„ვეფხისტყაოსანი“ გიორგი წერეთელს მიაჩნია, ერთი მხრივ, ძველი ქართული მწერლობის მდიდარი ტრადიციების განვითარებად და, მეორე მხრივ, იმდროინდელი მსოფლიო კულტურის გვირგვინად: „თამარის დროს ძველი კლასიკური, არაბული და ირანული კულტურა შეერთდა ერთ დიდებულ ნაკადად, რომელმაც მიიღო თავისებურება ნაციონალური ნიადაგზე და ამის გამო განვითარდა ქართული უმწვერვალესი კულტურა“ — წერს იგი.

გიორგი წერეთლის აზრით, შოთა რუსთაველის დიდი დამსახურება ისაა, რომ მან დააღწია თავი აღმოსავლურ ფანტასტიკობას და ზღაპრულის ნაცვლად ასახა რეალური ცხოვრება: „რუსთაველის თხზულებაში უხარბახარ ვეშაპების და მგელ-კაცების უმგზავსო სურათებს ვერ იპოვნით“, ამის ნაცვლად „ვეფხისტყაოსანში“ გზიდავთ რეალურ აღმანიშნებს, ადამიანური განცდებით. რუსთაველმა „დახატა მაშინდელი ყოფა-ცხოვრება, ჩვეულება, ხასიათი და განსაკუთრებით ღრმად არის გამოკვლეული კაცის გულისთქმა და სულისკვეთება“. იგი ხაზს უსვამს „ვეფხისტყაოსანის“ რეალიზმს, ეროვნულობასა და ღრმა ფსიქოლოგიზმს.

გიორგი წერეთელი განსაკუთრებით ამხევილანს ყურადღებას ჰქმნა იმზე „ვეფხისტყაოსანში“. სიყვარული და მეგობრობა მიაჩნია „ვეფხისტყაოსანის“ ძირითად თემად. „რუსთაველმა — წერს გიორგი წერეთელი — აღიჩინა თავის თხზულების საგნად უმანკო გრძნობით გაცხოველებული სიყვარული“. ხოლო ავთანდილის თავგანწირულ მეგობრობად დასძქნის: „ამ მაღალს თავგანწირულობას დიდი ზედმოქმედება აქვს მკითხველის გონებაზე. ის უღვიძებს მკითხველს მაღალს გრძნობას და სწვრთნის იმის ზნეს“.

გიორგი წერეთელმა ერთ-ერთმა პირველმა დახასიათა „ვეფხისტყაოსანი“ გმირები. ტარიელს იგი ახასიათებს, როგორც ჰარბი გრძნობისაგან ნებელობადაკარგულ ადამიანს — „აქ რუსთაველის მაღალ-ზნებობრივმა გამოხატულებაში გვიჩვენა ნამდვილი კაცი, რომლის ზნობითი სიდიდე და დამტკობა უმეტეს ნაწილად გარემოებაზე დამოკიდებულია“.

მეორე გმირი ავთანდილი სრულებით არა ჰგავს ტარიელს: ერთია ცეცხლი, მეორე წყალი, ერთი ჰგავს მრისხანე ცას, რომელიც ეღვივთ და გრგვინვით ჰმუსრავს ყოველსავე, რაც იმის

გამწყარალს სახეს წინ უდგება დედა-მიწის ზურგზე; მეორე ჰგავს მოწმენდილს ცას, ბრწყინვალე დღეს, რომელიც ერთს მხიარულად გამოანათებს და, რაც ცის კამარაზე შავი მრისხანე ცეცხლ-მოქიშნავი ღრუბელია, სულ ერთიანად გადაწვავს. ცხოვრების დარჯჯაში გატარებული ავთანდილი ყოველს საქმეში ისე გამოკლებულია, რომ იმის მკვებელი გულისთქმა ერთს წამსაც ვერ ასცდება იმის გონების ბრკეალებს: — არასოდეს არ აჩქარდება, თუ არ გონიერება, ვნება ვერასოდეს ვერ შეიპყრობს იმას“. აღნიშნავს რა, რომ ავთანდილი თვით იყო გამიჯნურებული, გიორგი წერეთელი ხაზს უსვამს: „მაგრამ ავთანდილს აკობრიული გრძნობით გული შესტევა მეგობრის უბედურებაზე და უსასყიდლოდ სწირავს საკეთარს ბედნიერებას, სიყვარულს და სიცოცხლესაც, რომ განსაცდელიდან დაიხსნას თავისი ღირსი მეგობარი“.

დასასრულ, გიორგი წერეთელი ჩამოთვლის ყველა იმ ღირსებას, რომელთა გამო ასე თავდაუწყებით შეიყვარა ქართველმა ერმა „ვეფხისტყაოსანი“. „ის ღრმა გრძნობა, რომელიც თითქმის ყოველს „ვეფხისტყაოსანს“ მუხლში მწვეფარებს, მთლიანად გამომოყარდნილის ნაკადულსავე, ის ღრმად შესწავება ცხოვრებისა, რომელიც ანდაზებად დაბნეულია საქართველოში, ის კეთილმოხილულია მხედველმა ბუნებაზე და კაცის თვისებებზე, ბოლოს ის მდიდარი გარეგანი შემკულობა ამა თხზულებისა შეიქმნენ მიზეზად, რომ „ვეფხისტყაოსანი“ გახდა საერთო წიგნად, რომლითაც ყოველი ქართველი კაცი თავს იქებს და იმით იწვრთნება“, ი. ჰავეკაძესა და ნ. ნიკოლაძესთან ერთად გიორგი წერეთელმა სასტიკად ამხილა სენოვსკინსა და ჯაბაძარის მსგავს მოხალისე ლიტერატორთა უციურობა. მისი აზრით მხოლოდ ზერე-ლე, ყურმოკრული ცოდნის შედეგად შეიძლება დაუთავიროს „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულ სამყაროს.

აი, რას წერს «Новое Обозрение»-ს ფურცლებზე 1890 წ. გიორგი წერეთელი: «Грузинскому поэту, имевшему тогда перед собою на своей родине примеры подвигов великих полководцев, великих женщин времен царизма Тамары, не за чем было ходить в подавленную сельджуками и грузинами Персию и набирать в персидском гареме типы женщин и помешанных людей для своих поэтических идеалов».

გიორგი წერეთლის მტკიცებით, თინათინისა და ნესტან-დარეჯანის სახეების შექმნას ეროვნული საფუძველი ჰქონდა, რადგანაც „საქართველოს ისტორიაში დედა-კაცის მოღვაწეობას უწარჩინებულესი ადგილი უჭირავს. ეს გარე-



მოება უტყუარს საბუთს გეაძლევს იმისას, რომ ქართველთ ტომში თავიდანვე დედა-კაცი არ ყოფილა დაზარალი. ამით აიხსნება მისი დიდი ზეგავლენა საქართველოს ისტორიულს ცხოვრებაზე.

გიორგი წერეთელს ასევე საყურადღებო მოსახრებები აქვს გამოთქმული აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაზე. ქართულ მწერლობაში სპარსული პოეზიით დროებითი გატაცების გამო ის წერს: „მაგრამ ერი მტრულად შესცქეროდა ამ სპარსულს კილოზე ღიღინს. ის ნათლად ზედავდა ამ ქვიფში თავის თეთ-არსებობის მოსაზრებას. ყოველი ბიათის ხმა იმას აგონებდა მინარეთიდან მაჰმადის მოლის ყვირილსა, სარწმუნოების დაკარგვას, ზნის შერყვნას და ქართველობის შემუსრვას. ამის გამო ის გულდამწვდებით ვერ მიუხედებდა ყურს ამ სევდის გამაქარებებელს პოეზიას. როცა კაცს სიკვდილს ემუქრებინან, მაშინ მტარავლის სიმღერა სამარის აგონებს.

ამისათვის ერმა დაიხშო გული ამ პოეზიისათვის, ყურები დაიკცა და დაუცხრომელი ბრძოლისათვის გამზადებულმა გამოიძახა ღრმა ბატრიოტული საყვირითა. ტბილი ბაიათებისა და სიმღერის მავიერად, იმან დაუტრა ბრძოლის ნალარა და გული განიმხნევა თავისი გამოჩენილი კაცების დეაწლის აღწერითა. არჩილ მეფემ და იოსებ თბილელმა მისცეს პოეზიას ნაციონალური მიმართულება“. ასე აქვს წარმოდგენილი მას ქართულ მწერლობაში ნაციონალური თემატიკის შემოქრა. გ. წერეთელი პირველთაგანია, რომელმაც აღიარა არჩილი ნაციონალური თემატიკის დამამკვიდრებლად აღორძინების ხანის მწერლობაში. „არჩილიანისა“ და „დიდმოურავიანის“ ანალიზისას გიორგი წერეთელი აღნიშნავს, რომ ამ თხზულებებში „არის გამოხატული ერის უზღდური ცხოვრება; ეს ნაციონალური კილო ჰხდებოდა წყარო, რომელშიც ერი ჰპოებს დაუშრეტელს ზნეობის ძალას მტრის საწინააღმდეგოდ“.

გიორგი წერეთელს მისთვის ჩვეული გონებამახვილობით აქვს მიგნებული ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებთა დელაბარის. „ზემოსხენე-ხელს თხზულებებში — წერს გ. წერეთელი — ყოველგან ერთი თავი აზრია გატარებული, რომელიც საქართველოს მოუძღვრებას უფრო შინაურს ცუდს დაწყობილებას აბრუნებს და არა გარეშე — მტერს. მაღალ-წოდების თვად-აზნაურობამ და თავგასულმა ერისთავებმა შემოიხლუდეს თავისი ყოფა-ცხოვრება და ცდილობდნენ, რომ განსაკუთრებულ იყვნენ დანარჩენ ერისაგან, რომელიც დასაჩაგრავად და თავის მონად თუ უნდოდათ, თორემ კეთილს არას დასდევდნენ. როცა სამშობლო ქვეყანას

მტერი მოადგებოდა, ყოველს ერისთავს თავისი საკუთარი სარგებლობა თვალწინ ედგა და იმის გულისთავის დაღატობდა თავის სამშობლოს“.

გიორგი წერეთლის აზრით, არჩილის დიდი დამსახურებაა აღორძინების ხანის მწერლობაში ნაციონალური თემატიკის დამკვიდრება, ზღაპრულ-აღმოსავლური სიუჟეტების უარყოფა და ამ პრობლემების გაშუქება, რომელიც იდგა თანამედროვეობის წინაშე, მაგრამ ამ დამსახურების მიუხედავად, ფაქიზი გემოვნებისა და ღრმა პრინციპულობის მქონე გ. წერეთელი აღნიშნავს იმ ნაკლსაც, რომელიც აქვს როგორც „არჩილიანის“, ისე „დიდმოურავიანის“. „ამ თხზულებებს („არჩილიანისა“ და „დიდმოურავიანის“) ერთი უაღრესი ნაკლუენება აქვთ: იმით აკლიათ ღრმა გრძნობა და ის სიცხოვლე, რომელიც ჰხადებს მაღალს და ნამდვილს პოეზიას, რომელიც ასე უხვად გაფენილია მთელს „ვეფხისტყაოსანში“. „არჩილიანი“ და „მოურავიანი“ უფრო ისტორიულს ქრონიკებს გვანან, ვიდრე ნამდვილს პოემებს. ისინი არიან მასალანი მაღალი გრძნობით გაცხოველებულ ნაციონალურ პოეზიისათვის, რომელიც ნამდვილად დაჰხატა დავით გურამიშვილის დიდმა პოეტურმა ნიჭმა“.

გიორგი წერეთელი არჩილის მიერ დამკვიდრებული ნაციონალური თემატიკის განვითარებასა და გაღრმავებას სამართლიანად ზედავს დავით გურამიშვილის შემოქმედებაში. იგი ერთ-ერთი პირველია, რომელმაც შენიშნა დ. გურამიშვილის შემოქმედებაში რეალისტის ელემენტები. „დავით გურამიშვილის შემოქმედებაში მოჭორილი არა არის რა. — წერს გ. წერეთელი. — ავტორი რასაც ამბობს, სულ მისი თვალთ ნახული და გამოცდილია. დავით გურამიშვილის თხზულებაში აღიბეჭდა თავის თანადროული სურათი ერის ცხოვრებისა: იმისი აზრი, სულისკვეთება და გაჭირება. ამით ის შეიქნა ნაციონალური პოეტი, რომელმაც მის ღრმოდის ნაციონალურ კილოზე მოლექსეთა ბევრად გადაამეტა ღრმა პოეტურის გრძნობით, აზრით და უფრო გაცხოველებულის სურათების გამოხატვით“.

„დავითანი“ ლირიკული პოემაა, რომელსაც თითქოს არ გაანინა ერთი მოლიანი სიუჟეტი, რაც თავის დროზე აღნიშნა გ. წერეთელმა და ამავე დროს ხაზი გაუსვა პოემის შინაგან მილიანობას: „ცალ-ცალკე რომ ავიღოთ, — წერს გ. წერეთელი, — ყოველი თავი შეადგენს განწყობილს ღაღადებას ერთს რომელსავე საგანზე და ეს თავები ძვირძვეს ქველივით ბრწყინავს მრავალ გვაროვნებით“.

ამ პოემაში თავიდან ბოლომდე გატარებულია ერთი აზრი, რომელიც იხატება წუთის-სოფლის უსამართლობის აღწერით. ამის გამო



თუმცა გარეგანი ერთიანობა დაპყლებია, მაგრამ ნაცვლად ამისა შინაგანი ერთიანობით განმტკიცებულია“.

გიორგი წერეთელმა ერთ-ერთმა პირველმა შენიშვნა დ. გურამიშვილის ევრისფერადი სიახლენი და „დავითიანის“ ღრმა ხალხურობა. გურამიშვილი, წერს გიორგი წერეთელი, „ძალას არ ატანს თავის აზრის გამოხატვას. იმ განზრახვით, რომ ლექსი თექვსმეტ მარცვლოვან შაბრად გამოვიდეს, ამისათვის ის თავის აზრს არ შეტყვევებს და ზოგჯერ მომეტებულ და გამომხატულების დამამძიმებელ სიტყვებს არ ხმარობს.

ოღონდ სურათში თავის სიტყვებზე არ დაპყრობს და ლექსში მუხიკა, თორემ გურამიშვილისათვის სულ ერთია, გინდ შაირი იყოს, გინდ სხვანაირი ლექსი.

ბევრი თავები სულ სახალხო სიმღერის ხმაზეა დაწერილი და ერთი ამათვანი ისეთი ტკბილ-გასაგონია, რომ როცა კითხვობ, თითქმის ტკბილი სალამურის ხმა გაისმისო. აი, ეს თავი: „საფარგონია, მგონია, ეს სიტყვა გასაგონია“...

გიორგი წერეთელმა მოგვცა ძველი ქართული მწერლობის ზოგადი მიმოხილვა, რომელშიაც ჩამოყალიბებულია მეტად მნიშვნელოვანი დებულებები ჩვენი მწერლობის სხვადასხვა საკითხზე. ძველი ქართული მწერლობის კონკრეტულ საკითხთა კვლევასთან ერთად გ. წერეთელი გამოიქმნა აქვს საყურადღებო მოსაზრებები ზოგადთეორიულ სფეროშიც.

ძველი ქართული მწერლობის შესწავლისას გ. წერეთელი ეცნობოდა როგორც პირველ წყაროებს, ისე მეცნიერულ ლიტერატურას. „ეგსტატე მცხეთელის მარტივობის“ განსახილველად მას შეუსწავლია შემდეგი წყაროები — „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტის ისტორია და უხტანისის ისტორია „ქართულ სომეხთა და შორებისა დგინის კრებაზე“, „მიწერ-მოწერა ქართლის არხიებისკობისის კირიონისა (სვიმონის) სომეხთის კათალიკოსთან, აბრაამთან, უხტანესთან, Addition V Brosset, „რჯულის კანონი, ახალ თარგმნილი წმიდისა მამისა ჩვენისა ევთიმისა“. ასევე მდიდარ მეცნიერულ აპარატურას იყენებს გ. წერეთელი ქართული კულტურის ნიპილისტ შემფასებლებთან კამათისას. ამ შემთხვევაში ის უფრო უცხო წყაროებს იშველიებს (რუფინის, სოკრატის, სოზიმენის, მოსე ხორენელის, პრაპოფი ბიზანტიელის, ვარდან დიდის, მათე ედესელის, ჰუსეინ-შეიხ-ბაი-ზაიდ ოღლის ისტორიები და ევროპიელი მეცნიერების — შამპოლიონის, ბოტის, ლეირდის, ეიულ-სიურის, ეორჟ პეროს გამოკვლევები).

გიორგი წერეთელი ცდილობს ხელი შეუწყოს და წახალისოს ახალგაზრდები, რათა მათ უფრო მეტი ვატყებთა და მონდომებით მოვიდონ ხელი ძველი ქართული მწერლობის შესწავლას. დიდი სიბოძო, ზრუნვა და იმედი აქვს გამოიქმნა გიორგი წერეთელს ალ. ხახანაშვილის წიგნზე დაწერილ რეცენზიაში: „ამ ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერმა — წერს გ. წერეთელი — მთელი თავისი ნიჭი, ღონე და ძალა მოახლოდა სამშობლოს გონების საუწესის შესწავლას იმ განზრახვით, რომ შემდეგ უცხო ენაზე გამოქვეყნებინა მთელი ორი ათასი წლის კულტურული მოძრაობა საქართველოს ერისა და მისი დამსახურება კაცობრიობის წინაშე. ამით მას ჰსურდა ევროპის ძლიერ ერთა შორის აღეძრა თანაგრძნობა და სიყვარული ჩვენი პატარა ერისადმი, რომელიც აქამდის დაფიქვების ჩრდილ ქვეშ იყო მიმალული“. ასევე აფხვებს დ. ბაქრაძის ლექსს: „ლიბირტი ბაქრაძემ თავისი სიციცხლე შესწირა ცალკე პერიოდით ისტორიული ფაქტების გამოძიებას, მათ შევსებას, ახალის ნაშთების აღმოჩენას“. და იქვე უარესად პრინციპულად შენიშნავს: „ისტორიული მასალის სიმრავლემ დაამძიმა მისი გონება, დატვირთა მისი კვლევა, რომ ევლარ შესლო გზის გაკვლევა და თვით კომენტარების სიმრავლეში დაიხანა“. ასევე, რამდენადაც აღფრთოვანებული არ უნდა იყოს ალ. ხახანაშვილის ნაშრომებით, გ. წერეთელი მაინც არ ერიდება ნაჯლის აღნიშვნას და აყალიბებს ლიტერატურის ისტორიის დაწერის პრინციპებს: „იქნება კრიტიკული მხარეც ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა და ამათი ტიპიური შესწავლა, ჩვენის აზრით, ამ იყოს აქ ღრმად გამოკვლეული და საქმათ დაფასებული, მაგრამ ასეთი მცირეოდენი ნაკლებევაი მაინც ვერ დაადებენ წუნს ამ თხზულებას“.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს გ. წერეთელი მარი ბროსეს ღვაწლს ქართულ მეცნიერებაში: „ამ საუკუნის მეორეოთე წლებში თითქმის განგებით მოველინა ამ ვრს ერთი საკვირველი მკვლევარი მარი ბროსე, რომელიც მიხვდარა საქართველოს ისტორიული ნაშთების მნიშვნელობას მსოფლიო ისტორიისათვის და თავი შეუწირავს იმის გულისათვის, რომ ქართული ისტორიული მასალებით გაბმული ქსელზე წარსულსა და აწმყოში არ შეწყვეტილიყო. მას თავის კვლევით დაუმაგრებია ეს ქსელები და ხელი დაუფარებია ძვირფას სამეცნიერო წყაროსთვის, რომ შეუგნებელის კულტურის განუთიხავს ზვირთს ახალის დროისას არ წაეღვა და არ აღმოეფხვრა ეს შემეართებელი კვალი გარდაცვლილსა და ცოცხალს კაცობრიობას შორის. მ. ბროსემ საკმაოდ მიჯ-



ცვინა ყურადღება ვეროპის განათლებას ამ საკვირველის ერის ძვირფას ისტორიულს საუნჯეზე და წაჰკრა ცხოველ-მყოფელი ქისტი ქართველს გონებაგანვითარებულს თაობას, რომ შემდეგ თვითონ როგორც ნამდვილი მემკვიდრე თავის მამა-ბაბათა საუნჯისა შესდგომოდა ქართული ისტორიის წყაროთა კვლევასა და შექმის მოფენას“. ამასთანავე, როგორც მ. ბროსეს, ისე თაყაიშვილის, ცაგარელის, ჟორდანიას ნაშრომთა ერთ საერთო ნაკლად მიიჩნია ის, რომ „მათ გამოკვლევას ერთი სახელმძღვანელო პრინციპი, დედა-აზრი, სისტემა აკლია“.

ძველი ქართული მწერლობის ასე ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა გამოწვეული იყო არა უბრალო დაინტერესებით, არამედ, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძველ თხზულებებში გამოიხატა ჩვენი ქვეყნის ბუნება; იქ ქართველს

ესმის თავისი გულისძგერა, თავისი სიხარული და წადილი, ნაღველი და უიმედობა; ყოველივე რაც ცხოვრებასთან დაახლოვებულია; რასაც კითხულობს, კარგად ესმის და ამიტომ უყვარს, — ლეიძლ დედასავეთ“. ესაა მიზეზი, რომ გ. წერეთელი განსაკუთრებული გულისხმიერებით სწავლობდა ძველი ქართული მწერლობის საკითხებს და თანამედროვეთა ყურადღებას ამხვეილებდა იმ დიდ სულიერ კულტურაზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე შექმნა ქართველმა ხალხმა.

გ. წერეთელი არა მარტო იკვლევდა ძველ ქართულ მწერლობას, არამედ აუცილებლად მიიჩნევდა ჩვენი კლასიკოსების თხზულებათა დაბეჭდვას და ამ მხრივაც მან ერთ-ერთმა პირველმა გადადგა ნაბიჯი და გამოსცა დ. გურამიშვილის თხზულებები.





## ნიკოლოზ ჯაში

# პრესის როლი ახალი აღმავლის

## აღზრდის საქმეში

პარტიის ახალ პროგრამაში ჩამოყალიბებული კომუნისმის მშენებელი ადამიანის მორალური კოდექსი, მსოფლიოში ყველაზე ჰუმანური ზნეობრივი პრინციპები. ისინი სავსებით შეესაბამებიან ვ. ი. ლენინის გენიალურ მითითებას იმის შესახებ, რომ „კომუნისტურ ზნეობას საფუძვლად უდევს ბრძოლა კომუნისმის განმტკიცებისა და დამთავრებისათვის“.

კომუნისმის მშენებლის მორალური კოდექსი საბჭოთა ადამიანის საუკეთესო ნიშან-თვისებებს გამოხატავს. პარტია გვასწავლის, რომ კომუნისმზე გადასვლის პროცესში სულ უფრო გაიზრდება ზნეობრივი საწყისების როლი საზოგადოების ცხოვრებაში, ვაფართოვდება მორალური ფაქტორის მოქმედების სფერო და შესაბამისად შემცირდება ადამიანთა ურთიერთობის ადმინისტრაციული რეგულირების მნიშვნელობა. კომუნისმის ზნეობრივი პრინციპები თანდათან გადაიქცევა ადამიანთა პირადი რწმენის, ყოველდღიური ქცევის ნორმებად.

კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში იმ ძირითადი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც პარტიამ დასახა, დიდია პრესის, როგორც ჩვენი ხალხის კოლექტიური ტრეზინის მნიშვნელობა.

ჩვენი პრესისათვის, თვითეული საბჭოთა ეურნალისტიკისათვის არ არის იმაზე უფრო საპატიო და კეთილშობილი ამოცანა, ვიდრე სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, მათი განხორციელებისათვის დაუღალავი ბრძოლა. კომუნისმისათვის ბრძოლაში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანებში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდას. ადამიანის მომზადება შრომითი მოღვაწეობისათვის, შრომითი წირობა, შრომისადმი, როგორც პირველი სასიცოცხ-

ხლო მოთხოვნებისადმი, სიყვარულისა და პატივისცემის აღზრდა კომუნისტური აღზრდის დედაარსია, სული და გულია.

სკკპ XXII ყრილობის შემდეგ თბილისის არაერთი საწარმო გამოვიდა ახალი შრომითი ენიციკლოპედია. ამ მხრივ საყურადღებო იყო კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივის თაოსნობა — კომუნისმის მშენებლობის საქალაქო ფონდის შექმნა. ამ თაოსნობის ძირითადი აზრი ის არის, რომ დიდსა და მცირეში მივაღწიოთ მასალების, დროის, ელექტროენერგიის მაქსიმალურ მომჭირნეობას, ზეგეგმითი ეკონომიით დავაჩქაროთ კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. კიროველებმა გადაწყვიტეს ერთ წელიწადში — შეიდგინათ მეთოხე წელს — 100 ათასი მანეთი შეიტანონ ამ ფონდში. თაოსნობას მხარი დაუჭირეს დედაქალაქის საწარმოებმა, იგი მოიწონა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ.

დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისმის მშენებელთა ახალი თვისებების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, მაღალი ზნეობისა და საბჭოთა მორალის სხვა თვისებათა ნიმუშების პოპულარიზაციას, კომუნისმის მშენებელი ადამიანის მორალური კოდექსის ისეთი პრინციპების დანერგვას, როგორცაა „ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმია“, „ვინც არ მუშაობს, ის არც სჭამს“ და ა. შ.

კომუნისტური შრომის კოლექტივების, დამკვერულების, მოწინავეების გამოცდილების პროპაგანდა და გავრცელება პრესის საპატიო ამოცანაა.

მკითხველებში დიდი პოპულარობა აქვს მასალებს, რომლებშიც აღწერილია ადამიანების მაღალი შეგნებულობა, ახალი კომუნისტური



თვისებები, ისინი, ვინც პასუხისმგებლობით ასრულებს მინდობულ საქმეს, დახმარებას უწყვეს გვერდში მდგომ ამხანაგს, ბრიგადას, ვისაც ცვლისა თუ საამქროს ავ-კარგი თვისის საკუთარდ მიიჩნია, ვინც იბრძვის წუთისა და გრამის მაქსიმალურად გამოყენებისათვის, ცხოვრობს და შრომობს პრინციპით — „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“. ეს წერილები უნერგავენ მკითხველებს მაღალ მორალურ თვისებებს, აცნობენ არა მარტო კომუნისტური მორალის დამახასიათებელ ნიშნებს, არამედ ზრდიან ახალი თვისების მქონე აღმავანებს.

პირველი სამკერვალო ფაბრიკის მეორე საამქროს კოლექტივმა მაღალი ზნეობრივი თვისებები გამოავლინა. საამქროს მუშა-მოსამახურებმა მზრუნველობა გამოიჩინეს მკერავთა შვილებზე როგორც მატერიალური დახმარებით, ისე მშობლიური სითბოთი. ყოფილი მკერავის პეტროვას უდემამოდ დარჩენილ შვილს ლიუდას მკერავთა კოლექტივმა ნამდვილი დედური ზრუნვა გაუწია: გაგზავნეს სანატორიუმში და რამდენიმე თვეს უგრძობდნენ საგზურის გადას. საამქროს მუშებმა ასევე შეფხაბა იყირის ქვრივი მკერავი ქალის იარაჯაულის ბიჭუნაზე.

მაულ-კამეოლის კომბინატის კომუნისტური შრომის ბრიგადის ქვეოსტატი გიორგი ხარიტონაშვილი მაღალმოქალაქეობრივ შეგნებულობას იჩენს, სოციალისტური ქონების გადღებისათვის ზრუნავს და დროს სრულად იყენებს. სსრკავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სუკაინოვი ჩვენს დედაქალაქში ომის დროს ევაკუაციით მოხვდა. უპატრონო ბავშვი თბილისელეებმა შეიფარეს, აღზარდეს, მამა მიიღეს, ხოლო შემდეგ დიდი ნდობა გამოუცხადეს — საბჭოთა პარლამენტში დეპუტატად აირჩიეს.

ურთიერთობათვისცემა ოჯახში, ზრუნვა ბავშვების აღზრდისათვის — მორალური კოდექსის ამ პრინციპის პროპაგანდას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მშრომელთა აღზრდას ამ პრინციპით შეიძლება დახმარება გაუწიონ მსალებმა, რომლებიც პრესაში ქვეყნდება რუბრიკით „მშობელთა დაუსწრებელი უნივერსიტეტი“. მათ ავტორებმა შეიძლება პედაგოგების, ამ დარგის სპეციალისტების, მშობლების მოზიდვა. კომუნისტური მორალის პრინციპების დამკვიდრებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დადებითი მაგალითის ძალას, ფართოდ უნდა ვაჩვენებდეთ საბჭოთა ხალხის უდიდეს წარმატებებს, ახლის, კომუნისტურის ყლორტებს ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში.

კრიტიკა და თვითკრიტიკა ბოლშევიკური პრემიის უმნიშვნელოვანესი მეთოდია. ამიტომ კრიტიკის ცეცხლი უნდა წარგმართოთ იმ დრომოქმულისა და ჩამორჩენილის წინააღმდეგ,

რაც ხელს გვიშლის ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში, უნდა ვამხილოთ ფუქსავატები, უსაქმურები, იოლი ცხოვრების მოყვარულები, პარაზიტული ელემენტები.

მშრომელთა წინადადებებისა და საჩივრების საფუძველზე კრიტიკული მასალები მზადდება ვაქრობის, ტრანსპორტის, კომუნალური მეურნეობის და საყოფაცხოვრებო მომსახურების, კეთილმოწყობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსავლინებლად. მუშა-კორესპონდენტების, ტრანსპორტისა და მილიციის მუშაკების, სავაჭრო დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით ეწყობა არაერთი რეიდი. კრიტიკული მასალების გამოქვეყნების შემდეგ დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოხმარებას. დედაქალაქის ბევრი ორგანიზაცია დროულად და საქმიანად პასუხობს რედაქციებსა და ავტორებს, რაც უფრო სიცოცხლისუნარიანსა მებრძოლს ხდის პრესას.

საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელსაც წილად ხვდა დიდი ბედნიერება, საკუთარი ხელებით აშენოს კომუნისმი, პარტიის ხელმძღვანელობით გაბედულად იპყრობს შვიდწლიანი ახალ-ახალ ზღუდეებს. ჩვენი დედაქალაქის ქაბუკები და ქალიშვილები მთელ საბჭოთა ახალგაზრდობასთან ერთად ბეჯითად ეუფლებიან ცოდნას, მეცნიერებას, სასწავლებლს ახდენენ საწარმოებში, საკოლმეურნეო მინდვრებსა და მეცხოველეობის ფერმებში. ეს არის შრომის რომანტიკა, ქვაკუთხედი ჩვენი დიდი ცხოვრებისა, რომელიც ზღაპრულ სასწავლებლს ახდენს, კოსმოსის, სამყაროს ახალ, დღემდე ამოუცნობ მოვლენებს სწავლობს.

ახლა ბევრი ახალგაზრდა საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პირდაპირ წარმოებაში მიდის სამუშაოდ. ქარხნებში, ფაბრიკებში, მინდვრებში, ჩარხებთან, დახვედთან, ხარაჩოებზე დგანან ნასწავლი აღმავანები, რომლებიც გონივრულად წარმართავენ მანქანების, მექანიზმების მუშაობას და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევენ.

მთელი ქართველი ხალხი, საქართველოს ყველა მშრომელი ამყობს ასეთი ახალგაზრდებით. ისინი ჩვენი მოზარდი თაობის უმრავლესობას შეადგენენ. დედაქალაქის საწარმოებში, მშენებლობებსა და სასწავლებლებში ბევრი ახალგაზრდა სოციალისტური საერთო ცხოვრების შესანიშნავ მაგალითს იძლევა. ასეთებია აპოლონ ჩიქოვანი, პეტრე ტენიშვილი, ეთერ სოლომონია, უშანგი გურგენიძე, პოლინა ბოგდანოვა, გ. სტეპანოვი და მრავალი სხვა.

ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი თავადღებით იბრძვის კომუნისმის ასაშენებლად, ჩვენთვის უცხო უნდა იყოს ყველა უქნარა და ხუდიანი, ყველა, ვისაც ის კი უნდა, რაც შეიძ-



ლება უკეთ ჩაიკვას, უფრო ლამაზი და უფრო კარგი კოსტუმი და ფეხსაცმელი ჰქონდეს, კარგ ბინაში ცხოვრობდეს, ჰქონდეს საკუთარი „ვოლგა“ და სხვა სიკეთე, ხოლო მუშაობა არ სურს, თვითონ თითს თითზე არ აკარებს.

ასეთ ახალგაზრდებს თბილისშიაც შეხვდებით. ისინი მთელ დღეს რუსთაველისა და პლენანოვის პროსპექტებზე ატარებენ, დგანან მაღაზიების წინ, სასტუმროებთან, ხშირად გამვლელებს, ვანსაკუთრებით ქალიშვილებს გზას უღობავენ, უშეერი სიტყვებით ამოებენ. ეგრეთ წოდებული „რაინდები“ უსაქმურ ცხოვრებას ეწევიან, ლაზლანდარობენ, ზოგიერთი უცხოელი ტურისტის ავტობანქანებისა და კრეკტორულა ტანსაცმლის მოდებსა და თარგებს „სწავლობენ“, ლოთობენ, ხოლო ღვინის უზომო, გონების დაკარგვამდე სმას, ბუნებრივია, დანაშაული მოსდევს.

სამწუხაროდ, ჩვენი ახალგაზრდობის ერთ ნაწილში დამკვიდრება იწყო უცნაურმა, ყალბად გაგებულმა ე. წ. „ტრადიციის“ ჩვევებმა. ზოგიერთი ახალგაზრდა ჩაის ჰიქებით ღვინის უზომო სმაში ეჯობრება ერთმანეთს და ეს დიდ ვაჟკაცობად მიაჩნია. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ სასადილოებსა და რესტორნებში, მაღაზიებში ძნელად ნახავთ ჩვეულებრივ ღვინის ჰიქას. არაერთი დანაშაული ლოთობის შედეგია.

ამ უსაქმურების, პროსპექტის „რაინდების“ არა ერთი „მოღვაწეობა“ სამწუხარო შედეგით დამთავრებულა. მარჯანიშვილის ქუჩაზე საზოხდარი მკვლელობა მოხდა: ღვინით გაღვნილმა ხულიგნებმა ბ. გიორგობანიძე, ჯ. ფრანგიშვილმა და გ. თევზაძემ სრულიად უმიზეზოდ, „სამგირო საქმეების“ ჩადენის წყურვილით, ჩხუბი აუტეხეს ე. ი. ლენინის სახელობის ელვაგალმუშენებელი ქარხნის ინჟინერს რ. ვაჟაქს და მის მეგობრებს ჯ. ეჯიბიასა და ბ. ყაზაშვილს, და დანით დაჭრეს ისინი. რ. ვაჟაქს იქვე გარდაიცვალა.

ამას წინათ გაზეთ „თბილისში“ რუბრიკის ქვეშ „გვერდს ნუ აფუელით!“ გამოქვეყნდა მხატვარი ქალის ნ. ოქრობირიძის წერილი — „გრცხვენოდეთ, ვაჟკაცებო!“, რომელშიც აღმამფთობელი ფაქტია აღწერილი. ხულიგნებმა შეურაცხყოფა მიაყენეს მანდილოსნებს, ხოლო კაცი არ აღმოჩნდა, რომელიც წესრიგსაკენ მოუწოდებდა მათ. მასალამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. რედაქცია ყოველდღე ლებულობს ჩვენი საზოგადოების მოწინავე ადამიანების წერილებს, რომლებშიც ისინი კანონიერ გულისწყრომას გამოთქვამენ ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდის თავაშვებულობის გამო, საყვედურობენ მშობლებს, სკოლას აღზრდის საქმეში

დაშვებული სერიოზული ნაკლებუნებურებისთვის.

მეტად ყურადსაღებია ირაკლი აბაშიძის გამომხატველი („თბილისი“, 1962 წლის 31 მაისი). ბოტიკა—ავადმყოფის სამაშვილურად მიმართავს ალიაქოთის ამტებ ყმაწვილებს და სასველებს სწორად აღნიშნავს: „განა ჩვენს დიდებულ ტრადიციებს მილიციითა და სახალხო რაზმებლებით უნდა ვიცავდეთ? განა მილიციით შევიწინებთ ეს ტრადიციები საუკუნეების მანძილზე?“

სამშობლოს ლიტონ სიყვარულს, ლიტონ სიტყვებს რა ფასი აქვს, ლიტონი სიყვარულით თავისი კუთხე ზომ ყველა ფრინველსა და ცხოველსაც უყვარს, კუთხე, სადაც მას თვალი აუხილა. სამშობლო იმის ღირსია, რომ კაცმა მას მთელი თავისი სიცოცხლე ზეარაკად მიუტანოს რითაც და როგორც კი შეუძლია. განა იგი ყოველთვის დიდსა გვთხოვს? „მცირედით შეიწირების“. და ვისაც ჯერ ეს „მცირედით“ კი არ შეგვიწირავს მისთვის, ნუ შევარცხვენთ მაინც მას“.

ამ საკითხებს ეხებოდა თავის გამოსვლებში პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში აგრეთვე პროფ. იასე ცინცაძე. მისმა გამოსვლებმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვეს მკითხველებში.

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, სამწუხაროდ, გვხვდებიან ადამიანები, რომლებსაც არ სურთ შეიგნონ თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობანი და რომლებიც ჩამოგითვლიან თავიანთ უფლებებს და სხვათა მოვალეობას: ხულიგანს უნდა ებრძოლოს — მილიცია, თუ უნდა წაიკვეთილია — უნდა წამოაყენოს მეტოქეებში, სახლის წინ ქუჭყია — უნდა მოასუფთაოს სახლმპართველობამ, ტრამვაისა და ტროლეიბუსში მოქალაქე პაპირის აბოლებს — შენიშნა უნდა მისცეს კონდუქტორმა და ა. შ.

ამას წინათ გაზეთ „თბილისში“ რედაქციამ მიიღო მკითხველის წერილი. მოქალაქე აღნიშნავდა, რომ იგი ამაყობს თბილისით, ყველაფერი სურს გააკეთოს მისი სილამაზისა და კეთილდღეობისათვის... მაგრამ აღშფოთებულია იმით, რომ ორი დღეა გმირთა მოედანზე ზოთაბრიკის წინ ურნა გადაუბრუნებია ვილდაცს და ყურადღებას არავენ აქცევს, ხოლო რიალმასკომისა და დასუფთავების კანტორის მუშაკები ამას ვერ ამჩნევენ

მეორე დღეს ავტორი რედაქციაში მოვიდა, გვაცნობა: ურნა ისევ ისე გდია და მეტი ოპერატიულობა გამართებთო. როდესაც ვუთხარით, ამდენ სიარულსა და წერას ის აჯობებდა, თქვენ თვითონ წამოგვეკენებინათ ურნაო, გაიკვირვა: კი მაგრამ აღმასკომი, კანტორა რიდასთვის არსებობს, მშრომელთა სიგნალებს რაღა აზრი აქვს, რიდასთვის არის მოწოდებულიო.

რამდენიმე სიტყვა ჩვენი ახალგაზრდობის



მხატვრულ აღზრდაზე. ზედმეტია იმის ლაპარაკი, რომ ყოველმხრივ განვითარებული ადამიანების აღსაზრდელად უდიდესი მნიშვნელობა აქვს შაბუცებსა და ქალიშვილებში მაღალი ესთეტიკური გემოვნების განვითარებას. ამ მიზანს ემსახურება, კერძოდ, მხატვრული თვითმოქმედება, რომელიც ჩვენს სასწავლებლებსა და სკოლებში ფართოდ არის დანერგული. თუ აღრე თვითმოქმედება ცალმხრივად ვითარდებოდა და ყურადღება მხოლოდ მსუბუქ ქანრს— ესტრადას ექცეოდა, ახლა მდგომარეობა ერთგვარად შეიცვალა. უნივერსიტეტში შექმნილი სიმღონიერი ორკესტრი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც გახდა ცნობილი.

სიმღონიერი ორკესტრი შეიქმნა პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც, თუმცა მისი პირველი საჯარო გამოსვლა მხატვრული თვალსაზრისით უნაკლო არ იყო, მაგრამ თვით ორკესტრის შექმნა ფრადი კარგი საქმეა. ამავე ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრის რეპერტუარის მხატვრული დონე ამალდა, რეპერტუარიც დიხვეწა. მომღერალთა კარგი გუნდი ჰყავს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, რომელიც, სამწუხაროდ, საჯარო გამოსვლას იშვიათად აწყობს. ასეთი კოლექტივების ხშირი გამოსვლა უმდიდრესი ქართული საგუნდო კულტურის საუცხოო პროავანდა იქნებოდა. ამ მიზნით იქნებ რესპუბლიკის საგუნდო და ქორეოგრაფიულ საზოგადოებას ყოველწლიურად, მაგალითად, ზამთრის არდადეგების დღეებში, მოეწყოს თუ შიტილი საქართველოსი არა, თუნდაც მხოლოდ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების გუნდების კონკურსი და ეს ტრადიციად დაემკვიდრებინა. ამასთანავე დებულებაში შეიძლება შეგვეტანა მიხელი, რომლის მიხედვითაც წინა წელიწადს შესრულებული სიმღერები მომღერნო კონკურსზე აღარ განმეორებულყო. ეს ხელს შეუწყობდა შედარებით უცნობი ან სირთოდ მივიწყებულ ხალხური სიმღერების შესწავლას, სტიმულს მისცემდა სტუდენტებში საგუნდო სიმღერის დანერგვასა და მის პროავანდას.

ახალგაზრდობის მხატვრული თვითმოქმედების სასიამოვნო ძვრების ფონზე გვერდს მაინც ვერ აფუცვლით მის სერიოზულ ნაკლოვანებებს. ამას მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი ცალმხრივობა, ერთგვარი გატაცება საექვო ღირსების უცხოური სიმღერებით. თუ უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში ეს რამდენადმე შეიძლება გამართლებულად მივიჩნიოთ, თუმცა რეპერტუარის ერთგულ ხასიათს მაინც შეეძლო ყურადღება უნდა მიექცეს; ამას ვერ ვიტყვით პუშკინის სახელობის ინსტიტუტზე. არც ისე დიდი ხნის წინათ მოვისმინეთ მომავალ პედაგოგთა თვითმოქმედება და მისმა მიმართულებამ გა-

ვაციო. პროგრამაში გაბატონებულია ფსევდო-ხალხური უცხოური ნაწარმოებები, რომლებიც კაფე-შანტანების რეპერტუარიდანაა ნასესხები. სტუდენტები საზღვარგარეთული კინოფილმებისა და საესტრადო ჩანაწერების წაბაძვით ისე შეეჩვივნენ უცხოურ ყიადღე მღერას, რომ ქართულ ნაწარმოებებსაც კი უპარავენ ეროვნულ ელფერს. ეს მართკ ამ ინსტიტუტს როდი ეხება. ამაზე ბევრჯერ ითქვა, დაიწერა, მაგრამ არსებით გაუმჯობესებას ჯერაც ვერ ვგაძნობთ. ასევე ითქმის მხატვრული თვითმოქმედების მონაწილე ზოგიერთი ქალიშვილის ჩაცმულობაზე. ვფიქრობ, ამ ნაკლოვანების მიზეზები თვითმოქმედების ხელშეწყობა მხატვრული მოზადების კულტურაში, მის დონეში, ახალგაზრდებთან არასისტემატურ მუშაობაში უნდა ვეძებოთ.

ღროა სტუდენტთა ესთეტიკური აღზრდის საკითხებს გაიკლებით მეტი ყურადღება მიექცეს და შეიქმნას რალაც ერთიანი შტაბის მსგავსი; რომელიც ამ საქმეს სათავეში ჩაუდგებოდა და ჯეროვნად წარმართაედა.

უცხოური კინოფილმები, ტურისტული მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყანაში დიდი შემეცნებითი მნიშვნელობის გარდა ერთგვარ მავნე გაელენასაც ახდენს ნაკლებად მომწიფებულ ახალგაზრდებზე. ქუჩაში ხშირად შეხედვებით მხრებზე ხელგადადებულ წყვილს; ამ ახალგაზრდებმა არ იციან, ხოლო ჩვენ ცუდად ვუხსნიით იმას, რომ ეს უცხოეთში მსუბუქი ყოფქციევის ადამიანების ჩვეულებაა. ჩვენი ახალგაზრდების ნაწილი ბრმად აჰყვა საზღვარგარეთულ, ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო გემოვნებას, ჩიცმასა და დაუხვრვას, მანქანასა და გრეხას. ესტრადაზე შეხედვებით არა ერთ სიმპათიური შეხედულების ქალიშვილს, რომელსაც კაბა მუხლებს ზემოთ აქვს, გულმკერდი გაულელია, თავი დათმა დაუმახინჯებია, ლოგინიდან ახალ უმდგარსა ჰგავს. ქალიშვილების ერთი ნაწილი შევწინდას იცვამს და ეს ულტრამოდად მიანჩია. სამწუხაროდ, ისკი არ იციან, რომ უცხოეთში შავი წინდა კაფე-შანტანების მუღმივი პაციენტების, თავისუფალი ყოფაქციევის ქალიშვილს გაუმსაცნობი ნიშნია. ზოგიერთ ახალგაზრდა ყმაწვილს ჰგონია, რომ თუ ნიანგი, ლომით და ცხოველთა სამყაროს სხვა წარმომადგენლის გამოხატულებითა და ზიზილ-პიილებით არა აქვს დამწვენებული ხალათი, იგი მოდას ჩამორჩა. ამ საქმეში, ვფიქრობთ, საყვედურის ღირსნი არიან აგრეთვე ჩვენი საფეიქრო მრეწველობის მუშაკებიც, რომელთაც, როგორც ჩანს, მარტო კომერციული მოსაზრებები ამოქმედებთ.

მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობა უნდა წარიმართოს ისე, რომ გადაწყვეტი ბრძოლა





გამოუცხადოთ მტრულ პროპაგანდას, ცდას შერყვნას ახალგაზრდობა, მოწამლოს საბჭოთა ადამიანის სული ყალბი ზღაპრებით ცხოვრების კაპიტალისტური წესის „სიკეთის“ შესახებ. საჭიროა აღვზარდოთ ჩვენი ახალგაზრდობა საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ყოველმხრივ განვუვითაროთ მას ეროვნული სიამაყის გრძნობა, საბჭოთა მოქალაქის ღირსების შეგნება.

საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქის მაგალითზე დამტკიცებულია დიდი აღმზრდელობითი ძალა მასობრივი მუშაობის სხვადასხვა ფორმისა, რომლებიც დამყარებულია ადამიანისადმი ღრმა ნდობაზე; მაგალითად, ხელფასის დარიგება უმოლაროდ, საამქროები უკონტროლიროდ, ბიბლიოთეკებში წიგნებთან მკითხველების თავისუფალი მისვლა, მაღაზიები უგამყიდველოდ, საქალაქო ტრანსპორტის მუშაობა უკონდუქტოროდ.

ახლის ეს შესანიშნავი ყლორტები გაჩნდა შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების შედეგად, შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ამაღლდა მშრომელთა პოლიტიკური დონე, თავის მხრივ თვით ეს ფორმები წარმოადგენენ ადამიანთა აღზრდის მძლავრ ფაქტორებს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს საქალაქში ვერ იქნა და ვერ დამკვიდრდა უკონდუქტორო ავტობუსი, ვერ იქნა და ვერ დამყარდა წესრიგი ტრანსპორტზე ჩასხდომისა და გადმოსხდომისას, მგზავრობისას. ამაში პრესის მუშაებსაც მივეძიძღვის ბრალი.

საჭიროა მთელი ჩვენი ზემოქმედებითი ძალა, საზოგადოების აზრი მივმართოთ ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში ჩრდილოვანი მხარეების აღსაკვეთად, უფრო აქტიურად გამოვიყენოთ საზოგადოებრიობის მორალური წონა და ავტორიტეტი სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებისა და წესების დამრღვევებთან საბრძოლველად.

საჭიროა კიდევ უფრო ავამაღლოთ მშრომელთა აქტივობა და ინიციატივა, გავაძლიეროთ თვითღიმილი მოქალაქის პასუხისმგებლობის გრძნობა კეთილშობილი კომუნისტური იდეალების განხორციელებისათვის, ხელი შევეწყობოთ იმას, რომ ადამიანებს გამოუმუშავდეთ შინაგანი ორგანული მოთხოვნილება, ყველაფერში იქცეოდნენ და მოქმედებდნენ კომუნისმის მორალური კოდექსის სრული შესაბამისობით.



## ღიღია თაქთაქიშვილი-შაგუბაძე

# ქართულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნის პირველი ცდა

მარჯორი სკოტ უორდროპის პირველი ცდები თარგმანში 1894 წელს ეკუთვნის. ამ წელს მან ინგლისურად გამოაქვეყნა „ქართული ხალხური ზღაპრები“, რომელმაც ინგლისელი მკითხველის დიდი მოწონება დაიმსახურა. აი, რას წერდა ამ თარგმანის შესახებ ლონდონის ყურნალი „Saturday Review“: „ჯერ არ გამოცემულა წიგნი ასეთის მობეზრებით, როგორც არის მის მარჯორი უორდროპის „Georgian Folk Tales“, გამოცემული ალფრედ ნეტის მიერ, რომლის გამოცემულ წიგნებსაც სწორედ ლამაზად ეწოდება „Grimm Library“. ეს მშვენიერი მონოგრაფიაა საერო სიტყვიერებისა არაკების სახით დაწერილი კრიტიკული გამოკვლევისათვის და დიდად სასიამოვნო და სახალისო საშრომი საქმეა. ამ წიგნს კიდევ ისა ჰქვას უფრო ძვირფასად, რომ ბევრი მეცნიერებისათვის უცნობ ენიღდან არის გადმოთარგმნილი, რის გამოც წიგნი დიდად იზიდავს „Grimm Library“-ის ინგლისელ მკითხველთა ყურადღებას.

Miss მარჯორი უორდროპს ქართულს საერო სიტყვიერებაში ძვირფასი საუნჯე უბოძნია, და თავის წიგნში მოუქცევია, რაც ერთადერთი ახალი ამბავია ინგლისელ მკითხველებისათვის. ამ მიზნადღეულ კრებულის სამი ნაწილი ქართულ-კახურ-გურულ-მეგრული არაკებისა, ერთმანეთისაგან განსხვავდება ხასიათითაც და წერის კლოთითაც.

არსებითი განსხვავება თვით არაკებში, როგორც სამართლიანად აღნიშნავს თვით მთარგმნელი, არაფერია, რის მიზეზიც გეოგრაფიული მდებარეობა უნდა იყოს იმ ადგილებისა, სადაც არაკებია გავრცელებული. არაკები ძალიან საინტერესოა და კმოწმობს, რომ ბევრით ჰმსგავსებია ერთმანეთს აღმოსავლეთისა და დასავლეთის საერო სიტყვიერებაში.

მარჯორის უორდროპის ეს თარგმანი თავიდანვე გამოსაქვეყნებლად არ ჰქონია გამიზნული, იგი თარგმნიდა მოცალეობის ქაშს, ქართულის უკეთ შესწავლის მიზნით. ამდენად ჩვენს მიერ ქვემოთ მოტანილი შენიშვნები ეხება მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენის შესწავლის პერიოდს. თუმცა ამ თარგმანშიც უკვე ჩანს ის დიდი გულისყური და, სერიოზული მიდგომა, რითაც, ჩვეულებრივ ხასიათდება უორდროპის ყველა ნამუშევარი.

თავისთავად უადრესად საინტერესოა უორდროპის, როგორც მთარგმნელის თანდათანობითი დაოსტატების პროცესი, მოყოლებული ქართული ზღაპრებიდან „ვეფხისტყაოსანამდე“.

ზღაპრებისათვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში მ. უორდროპი მიგვითითებს იმ წყაროებზე, საიდანაც შეუსრულებია თარგმანი. ესენია:

1. კოლექცია, გამოქვეყნებული აღნიშვილის მიერ თბილისში, 1891 წელს ფოლკლორისტთა საზოგადოების მიერ სათაურით — „ხალხური ზღაპრები“.

2. პროფ. ცაგარლის „Мингрельскія этюды“-ში შემაჯავლი მეგრული ზღაპრები. პეტერბურგი, 1880 წ. (მეგრულად და რუსულად).

3. ანონიმური კოლექცია სათაურით „Грузинскія народнія сказки“, პეტერბურგი, 1880 წ.

თარგმანის ძირითადი წყარო ლადო აღნიშვილის მიერ გამოცემული კრებული ყოფილა. სწორედ ამ კრებულიდანაა შესრულებული ზღაპრების უმეტესი ნაწილის თარგმანი. აღნიშვილს გამოქვეყნებული აქვს თხუთმეტი ზღაპარი. უორდროპს ქართული ქრესტომატიიდან დაუმატებია მათთვის „მიფის ძე და ვაშლი“ და ყველა ზღაპარი მოუთავსებია წიგნის პირველ ნაწილში, რომლისთვისაც „ქართული“ (Georgian) უწოდებია. როგორც მთარგმნელი მიგვითითებს, გურული და მეგრული ზღაპრების

1 იხიერია“, 1894 წ., № 234.



თარგმანი რუსულიდანაა შესრულებული და, ვინაიდან თარგმანის თარგმანს წარმოადგენს (მეგრული ზღაპრები ცაგარელის მიერაა თარგმნილი რუსულად), მათ განხილვაზე აღარ შევჩერდებით.

რამდენიმე სიტყვა ზღაპრების დასათურების თაობაზე. მარჯობი უორდროს ზღაპრები დაყოფილი აქვს სამ ნაწილად:

1. ქართული (Georgian),
2. მეგრული (Mengrelian),
3. გურული (Gurian).

ამგვარი დასათურების გამო ინგლისელ მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნება, თითქმის ქართულიც ისეთსავე დიალექტს წარმოადგენდეს, როგორც, ვთქვათ, გურული. ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა მთარგმნელს ამ შემთხვევაში „Georgian“-ის ნაცვლად „Kartlian“- ეხმარა.

ზღაპრების თარგმანის განხილვისას ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს:

1. აზრობრივ სიხუსტეს,
2. ქართული, ყოფისათვის დამახასიათებელი საყოფაცხოვრებო დეტალებისა და
3. მხატვრული მეტყველების ელემენტების — ხატოვანი თქმებისა და იდიომების გადატანას.

მ. უორდროში, ძირითადად თანმიმდევრულად მიჰყვება დედნის ტექსტს, მაგრამ ვხვდებით ისეთ ადგილებსაც, რომელთა აზრი მთარგმნელს არასწორად გაუგია, განსაკუთრებით თარგმანის პირველ ნაწილში. მაგალითად:

თარგმანის პუყარედღი.

„წყლიდან ადამიანის სახით ეშმაკი გამოვიდა და უთხრა“..

ორიგინალი:

„იმის თქმაზე წყაროდან ეშმაკი გამოვიდა, კაცის სახედ შეიცვალა და გლეხს უთხრა“..

თარგმანის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქმის ეშმაკი მაშინვე ადამიანის სახით ამოსულა წყლიდან, როცა დედანში ნათლად ნათქვამი, რომ ეშმაკი ჯერ გამოვიდა წყლიდან და მერე მიიღო ადამიანის სახე.

„ერთხელ ცოლი აუტყდა ნაცარქექიას: გინდა თუ არა, ხელმწიფე დევატიყოთო“ (გვ. 32).

ნიუფანს სიტყვიანა „აუტყდა“ ვერ გაუგია მთარგმნელს, რომელსაც ის უთარგმნია როგორც „უთხრა“ (Said); უნდა ყოფილიყო „შეაწუხა“; „დაუყინა“, თავი მოაბუხრა“ (bothered, persisted, annoyed).

„დედაქვემი რო ამ სოფლით მიიცივალა, თან ვრით ბეჭედი გაყევა“ (გვ. 30).

„ამ სოფლით“ მთარგმნელს გაგებული აქვს პირდაპირი მნიშვნელობით.

უნდა ყოფილიყო „in this world“, ისევე როგორც მარჯობი თარგმანის მას „ვეფხისტყაოსანში“.

„იცოდე, თუ პირის ბანაში წყალი სისხლად

გმქცეს, გავირებაში ვიქნები და მიშველა“ (გვ. 552).

როგორც ჩანს, მთარგმნელს ფორმა „ბანაში“ ვერ გაუგია და უთარგმნია როგორც „სახურავი“ (roof) არსებითი სახელიდან „ბანაში“.

მარჯობი უორდროს ზოგი ქართული ზნეჩვეულება და ადით-წესი ინგლისურად არასწორად აქვს გადატანილი.

მაგალითად ზღაპარში „ნაცარქექია“ ნათქვამია, რომ „ნაცარქექია შევიდა, ყველას (ე. ი. დევებს) ძმობა უთხრა, დევებმაც ხმა არ გასცეს“ (გვ. 19):

პუყარედღი:

„ის შევიდა და მეგობრულად ესაუბრა მათ“. საპირო იყო მთარგმნელს ხაზი გაესვა ქართველთა მიერ საყოველთაოდ აღიარებული „ძმობის“ აღათისათვის. „მეგობრულად ესაუბრა“ ქართული „ძმობის“ ან „დამძობილების“ ცნებასთან შედარებით სუსტია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ხარვეზს მთარგმნელი მომდევნო ზღაპრებშივე ასწორებს.

„ტირიან, ტირიან, რო პირისახეს სულ ფრჩხილით იკაწრავენ“.

თარგმანი:

„იტირეს, იტირეს, სანამ პირისახე არ გაუფითრლათ“.

როგორც ვხედავთ, თარგმანში სულ სხვა აზრია გატარებული. ეს პატარა, თითქოსდა უმნიშვნელო დეტალი მოწმობს, რომ მ. უორდროში ჯერ კიდევ საკმაოდ არ იცნობს ქართველთა ჩვეულებებს — ინგლისელისათვის სახის კაწვრა უჩვეულო რამ არის. ამიტომ, ცხადია, მთარგმნელს შეიძლებოდა სწორად ვერ აღქვა ამ სიტყვის მნიშვნელობა, სანამ უშუალოდ არ გაეცნობოდა ქართველი ხალხის ცხოვრებას. „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობის დროს კი „სახის ხოკვა“ მარჯობისათვის უკვე უცნაურობას აღარ წარმოადგენდა და სწორლად თარგმნა — „scratch the face“.

მ. უორდროში, ძირითადად, კარგად ახერხებს ქართული კოლორიტის დაცვას. ეთნოგრაფიული ხასიათის საგანთა სახელწოდებანი პირდაპირ გადააქვს თარგმანში („ლიტრა“, „ლოქი“, „საწერი“, „კოლი“ და სხვა). მაის განმარტებებს შენიშვნაში იძლევა, მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა მთარგმნელი, მაგალითად, ნაბაღს თარგმნის როგორც „a piece of felt“, ქალამანს — „shoe“, განჯინას — „cupboard“, ფეშვას — „basketfue“, კვირისტავს — „spindle“, ბანს — „roof“. თითქმის მთარგმნელი პრინციპში სწორია, როცა „ბანს“ თარგმნის სახურავად, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ზღაპართან გვაქვს საქმე, ინგლისელი მკითხველი გაოგნებული დარჩება — არ დაიჯერებს, რომ ძროხა სახურავზე დარბის; კომენტარი რომ



ქონდეს, გასაგები იქნებოდა რა ტიპის შენობაზეა საუბარი და ქართველთა საცხოვრებელი შენობაც ნათლად წარმოუდგებოდა ინგლისელ მკითხველს.

მარჯორი უორდრობი თარგმანში ტოვებს ზღაპრების სახელწოდებებს — „კონკიეჟლარუნა“, „ასფერცელა“, მაგრამ, რატომღაც ასე არ გადააქვს „ნაცარქექია“ — საქართველოში ყველაზე პოპულარული ზღაპარი — „Good For Nothing“.

რაც შეეხება ხატოვანი თქმებისა და ილიომების გადატანას, უნდა ითქვას, რომ მთარგმნელს, უმრავლეს შემთხვევაში, სწორად აქვს გაშიფრული მათი მნიშვნელობა.

ასე, მაგალითად:

„შენ ხელი აღარ გქონდესო“ (რაც ნიშნავს — შენ მასთან საერთო არაფერი გქონდესო), თარგმნილია — ის შენთვის დაკარგულია;

„პირ კატა ეცა“ (გაოგნებული დარჩა), თარგმნილია — გაოცდა;

„ასე იდგა ყურებჩამოყრილი“ (ე. ი. ნადვლიანი) თარგმნილია — სევდიანი, უხალისო და სხვ.

როგორც ვხედავთ, ქართული ხატოვანი თქმები და ილიომთა უმეტესი ნაწილი თავისი ნიუანსებით დაუძლეველი არ აღმოჩნდა მარჯორი უორდრობისათვის — ის მათ კარგად ხსნის, მაგრამ მარტო ეს როდი კმარა; მთარგმნელმა სათარგმნი ენის წიაღში უნდა ეძიოს ექვივალენტური ხატოვანი თქმა ან ილიომი და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიმართოს აზრის ზედმიწევნით, მაგრამ ლაკონიურ თარგმნას, როდესაც სათარგმნ ენას არ მოეპოვება ასეთი ექვივალენტობა.

ასე, მაგალითად, სიტყვა „ყურებჩამოყრილის“ ნაცვლად შეიძლება ეხმარა „be in an agony of despair“; „ყველა თავში უფაჩუნებდა“ — „put an ape in s. d.'s hood“; „მუცლის ამოყორვა“ — „live close one's belly“; „პუპლუცზე დაეკასხამს“ — „Out of god's blessing into the warm sun“ და სხვა ხატოვანი თქმები, რომელთა რიცხვი განუსაზღვრელია ინგლისურ ენაში — საჭირო იყო მხოლოდ მათი შერჩევა და ქართული კონტექსტისათვის მიყენება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მარჯორი უორ-

დრობი მთელი თავისი მთარგმნელობითი მუშაობის მანძილზე იშვიათად, ან თითქმის არასდროს არ იყენებს თარგმნის ამ მეთოდს. შესაძლებელია ის ამას შეგნებულად ჩაიღოდეს ქართული კოლორიტის, ქართული სულის უკეთ შენარჩუნების მიზნით.

ზოგ შემთხვევაში მ, უორდრობი იმდენად ნიქერად ახერხებს ამა თუ იმ გამოთქმის აზრისა და ლაკონიურობის გადატანას, რომ ინგლისური ენა კარგად ითვისებს მას: „დარჩა ბურთი და მოედანი“ — „was left the master of the field“, „მოპყო პირი“; და „მთელი ქვეყნის ტალახი თავზე ჩამოსახა“ — „cast all the dirt in the world on his head“ და სხვა.

მარჯორი უორდრობი ინგლისური სიტყვის შესანიშნავი ოსტატია. ის კარგად იცნობს თავივინი მშობლიური ხალხის ზეპირმეტყველების ნიმუშებს, რაც დიდ დახმარებას უწევს მთარგმნელს. მისი ენა ისეთივე ნათელია, სადა და უშუალო, როგორც ეს, საერთოდ, ახასიათებს ხალხურ ნაწარმოებს, სულ ერთია, ქართული იქნება ის, ინგლისური, თუ სხვა რომელიმე ერის ზეპირმეტყველების ნიმუში. უორდრობი ქართულ სიტყვას ადვილად უძებნის შესაფერის შესატყვისს და ლალ მდინარებას, ექსპრესიულობას უნარჩუნებს ორიგინალს.

ქართული ქვეყნების უკეთ დაცვის მიზნით მ. უორდრობი ზომიერად იყენებს არქაიზმებსაც; რაც ინგლისური ფოლკლორისათვის დამახასიათებელია.

თარგმანში არასწორადაა გადატანილი ზოგიერთი სიტყვა. ასეთია: კამეჩის ტყავი — bullosk skiu უნდა იყოს — buff; საღილი — supper, უნდა იყოს — dinner; მუცელი — brest, უნდა იყოს — belly; წამოყუნებდა — eroack (უნდა იყოს — to stand on one's hind legs; საკვამური roof, უნდა იყოს chimney და სხვ.

შემოადინიშნული ხარვეზების მიუხედავად, „ქართული ხალხური ზღაპრების“ უორდრობის სეული თარგმანი დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებს დღემდე. ვინაიდან ის უორდრობის პირველი ნამუშევარია, შეუძლებელიცაა, რომ ის დაზღვეული ყოფილიყო ნაკლოვანებათაგან.



## ასინეთ შიდაკაპე

# მუსიკა ვაჟა-ფშაველასა და აღმსარებლურ ყაზბეგის შემოქმედებაში

ვაჟა ფშაველასა და ყაზბეგის მდიდარ ლიტერატურულ შემოქმედებაზე დაკვირვება შესაძლებლობას იძლევა არა მარტო საინტერესო ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების გამოვლინებისა, არამედ ეთნოგრაფია-ფოლკლორისტიკის ზოგიერთი საკითხის დაყენებისაც. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ავტორების შემოქმედებაში მუსიკალური ფოლკლორის მასალები გადაჯაჭვულია პოეტური ფოლკლორის მასალებთან, მაგრამ ზოგი რამ მინც გამოიყოფა ისეთი, რაც მხოლოდ მუსიკალური ფოლკლორის სფეროს განეკუთვნება: ესაა ცალკეული სამუსიკო ტერმინები, ხალხური სიმღერების სახელწოდებანი, ხალხური საკრავების სახელები, ზოგიერთი სიმღერის შესრულების წესები და სხვა. ყველა ეს ცნობა მეტად მნიშვნელოვანია ქართული კულტურის ისტორიის მკვლევართათვის.

ვაჟასა და ყაზბეგის ნაწერების (მხატვრულია თუ არამხატვრული) განხილვა თითქმის ყოველთვის ადასტურებს, რომ ორივე მწერალი დიდად აღასებდა მუსიკას. მათ ნაწერებში ნათლად იგრძნობა მუსიკის მომავლადი ძალა. „ბუნების მგოსნებში“ ვაჟა ფშაველა მისთვის ჩვეული ოსტატობით აღწერს ბულბულის გალობას, სიმღერის გამაყვითლობილებელ ძალას. სვავიც კი ღრმად შეიგრძნობს ბულბულის სიმღერას: „თუ კარგად დაუვლო კაცმა ყური შენს გალობას, გულში ეწვეთება ისეთი მძიმე, მწვავე ცვარები. არ ვიცი, ეს ცვარები რისაა, მხოლოდ ვგრძნობ და ვიცი ის, რომ გულზე აღიბეჭდება და იწერება შემდეგი სიტყვები: ნუ მოჰკლავ, სისხლს ნუ დაღვრი!“

ვაიხსენოთ ამავე მოთხრობიდან შევარდენის სიტყვები: „დიდებულო მგოსანო, იქნებ არც მე მესმოდეს ეს შენი ღირსება სრულიად: როგორც მტაცებელს და მოსისხლე ფრინველს, მე სრულიად სხვა წარმოდგენა მაქვს კარგზე, სიავებზე. ისე ვარ აღზრდილი და იმისთანა ზენ-

ჩვეულება მაქვს შესისხლბორცებული, რომ შენი გალობა და შენი ვინაობა თითქმის არც კი რაშიმე უნდა მებიტნავებოდეს; მაგრამ ეს ასე არ არის, მე კარგად მესმის შენის გალობის, თვით შენი მნიშვნელობა; შენ რომ არა გვეყვინდე, ფრინველები ერთმანეთს მუსრს გავავლებდით, შევარდენი შევარდენს აღარ დაინდობდა; შენი მშვენიერი ხმა ჩვენ სასტიკ მოსისხლე მადას გვიწოდებს; ეს ჩემ თავზე გამომიცდია. როგორა ესთქვა ტყუილი, და ამიტომაც ვავეცე სასტიკი ბრძანება, რომ ჭორს, ალას, მიმინოს და სხვ. არ შეეძლოს შენ ხელი გახლონ, რამე დაგეშალონ, იყავი გამარჯვებული და იცოცხლე მრავალ-ქამიერა“.

თუ ვაჟა ფშაველასთან შეუდარებელი ოსტატობით არის აღწერილი მუსიკის ჰუმანური ძალა, რომელიც გეძახის — „ნუ მოჰკლავ, სისხლს ნუ დაღვრი“, ძალა, რომელიც გამშვილებს, ყაზბეგთან ვხვდებით მუსიკის ძალის განსხვავებულ გაგებას, მოვიტანოთ ადგილი „ხევისბერ გოჩაძანს“: „ცოტა ხანიც და გაისმა წერილი წკრილა ხმა — ჯვარულისა. მის მისცეს ბანი და ჰაერი დაიფარა მედლიდორის ძრავლის და ამ ერთადერთის სავაეცო სიმღერის ხმით, რომელიც თავის ჰარმონიით კაცს გაიტაცებს და სმენას დაუტყობს, ძლიერებით ძვალსა და რბილს აუთოთოლებს, სისხლს აუყურებს და სახელის გამოჩენას მოაწყურებს“.

ერთი მხრივ მუსიკის ძალა აწყურებს, აყვითლობილებს, ცული გზიდან ააცდენს, ხოლო მეორე მხრივ, თუ საჭიროა, „სისხლს აუყურებს“, გმირობისა და ვაჟაყაცობის სულს შთაბერავს. ეს ორი მოსაზრება ერთმანეთს კი არ გამოირიცხავს, არამედ ავსებს; მუსიკა, ორივე ამ მოსაზრების მიხედვით, მხოლოდ დადებით როლს თამაშობს. იყო კეთილშობილი, სრულებითაც არ გამოირიცხავს იმას, რომ საჭიროების დროს იყო გმირი და ვაჟაყაცი. ეს თვისებები კი აღებული ერთად, ავსებს ერთმანეთს



და დიდ სოციალურ მნიშვნელობას ანიჭებს მუსიკას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მუსიკა სეფერას ამშვენებს, ლინს აღამაზებს. აი რას წერს ვაჟა ფშაველა: „მაგრამ უმღერლად სმა-ქამა როგორღაც არა ვარგია“ (შდრ. ხალხური: „სმა უმღერალი არ ვარგა, ქაბუჯი — დაუთრობელი“...).

მუსიკა შრომას ამსუბუქებს, ახალისებს. ვაჟასთან ვკითხულობთ:

„რომ ამოკვებენ ცხვრებსა და ხბოებს, ფერხულს აბამენ, „გოგონას“ მღერობენ“.

ყაზბეგს აღწერილი აქვს მწყემსების სიმღერა: „საქონელი, რომელიც მწყემსებს მთაში მიჰყვანდათ, უცხოოდ შედგენილიყო ზურმუხტოვანს ფერდობზედ და მზის შუქზედ თეთრად ბიბინებდა. ცხვარი მიეზიდა ნოციერს, სურნელოვან ბალახს და განაბულიყო. აქა-იქ ფერდობის თავზედ მოჩანდნენ ნაბაღმოსხმული და ქუდაგვერდზედ მოგდებულნი მოღარაჯე მწყემსნი, რომელნიც ხანგამოშვებით ქეას დასწვდებოდნენ და ეშმაკად გადაქცეულს თხას, მუდამ კლდებისაკენ მიმბრძოლავს, მოსაბრუნებლად ესროდნენ. დასკვიცილებდნენ და ჭყივილის შემდეგ მალლად, ზანსავით უხადო წყრიალას ხმით შემღერდნენ:

მარტო ვარ, მარტო ვიმღერი,  
არავინა მყავს მობანე,  
მაისის წვიმავ, წამობა,  
გული სევდიგან დაბანე,  
ნიავე, წყნარად დაპჭროლე,  
ფთოილს ტაშ დააკერეინე,  
სწორის არ ვამტანს, უფალო,  
ცხვირი სადმე წააკერეინე.

მას ხმას მისცემდა მეორე, მეორეს მესამე და ერთმანეთს შელაღებულნი, შვირით ბაასს ვამართავდნენ, ლექსითა გამოთქმით გაჯიბრებულნი აღარ ისვენებდნენ“.

მზიარულების დროს ტაშ-ფანდურსა და სიმღერას აღწერს ყაზბეგი „მოძღვარში“: „გაიმართა ლინი, ტაშ-ფანდურა და მასპინძელი, დაპირებისამებრ, სტუმრებთან ერთად მზის სიხეებს მზიარულს „გოგონათი“ მიეგებნენ“.

მუსიკას შეუძლია ავადმყოფს უმკურნალოს, წუხილი და სატყვიარი დაავიწყოს. მუსიკის ამ ძალას შესანიშნავად აღწერს ყაზბეგი მოთხრობაში „მამის მკვლელი“: „ამგვარი ფანდურის ხმა, რომელიც თითქმის აღვლენებს ავადმყოფს, ამასთანავე ერთად ამშვიდებს თუ ასიამოვნებს, ავიწყებს წუხილს, სატყვიარს, კრილობას და მკურნალი ძილი უხუტავს და სუსტებულს თვალებს, რომელიც ისე მკურნა-

ლად მოქმედებს. მხოლოდ იმას შეუძლიან ამ დაძახილის ღირსეულად დაფასება, ვინც ავადმყოფი და გაუგონია ეს ხმა, უგრძობია თავის თავზედ ის ნეტარების და უკვდავების ნეტარი, რომელსაც ეს ხმა თითქმის წვეთ-წვეთად უსხავს ავადმყოფს სხეულს და აგებულებასში“.

მუსიკა დიდად მნიშვნელოვანია გლოვის დროსაც. ს. ჩოფიკაშვილის დატირების სცენას ყაზბეგი შემდეგნაირად გვიხატავს: „მოხევემ ჩაქრა და ჩაქრა ფანდურის ძაღებს, დაათამაშა თითები და, ჰაერი მკენესავე ხმით შეირყა. ბოლოს გაივლო ტუჩებს კბილები და ისე ძალზედ მოუჭირა, თითქმის მოკვნიტას უპირებნო, მოჰყვა უსიტყვოდ ზუზუნს და ამ ხმაზე ყველას გული ამოუჯდა, ცახცახი დააწყებინა. თითქმის თვით ჰაერსაც კი ვგრძნო ხევის მწუხარება და მისი გულის თრთოლას აწყობოდა. მოხევემ ფანდურს კიდევ ჩაქრა, ჩაქრა და ერთბაშად დიძახა:

შენ რომ გეშორებდი, გმირთ-გმირი,  
რადას გვიპირებ ჩვენაო?  
გიუხრებთ, გული დუღდების,  
ძღოვს-ლა გვიბრუნავს ენაო.  
წვიდა ჩენი კაცობა,  
ვევარ ვიხილეთ ლხენაო,  
ბღავის ცხვარი და ბატყანი  
საღლა იმათ სენაო?!..

როდესაც ეს სიტყვები გაათავა, ფანდური უქუდავლო, მიცვალბულს დაიკარდა და ჩაწითლებულის თვალბილდგან ცრემლები ხელახლადა დალაღებით გადმოსცვიდა“.

მიცვალბულთან ფანდურზე დაძახილით გამოთხოვება ორიგინალურ მოვლენად მიაჩნია პროფ. გ. ჩხიკვაძეს. ის აღნიშნავს: „განსაკუთრებით საინტერესოა მიცვალბულთან გამოთხოვება დაძახილით („მღვლეჯა“), რაც მეტად ორიგინალური მოვლენაა არა მარტო ქართულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში, არამედ საზოგადოდ ფოლკლორულ მუსიკაში“<sup>1</sup>.

მაგრამ ზემოთაღნიშნულით როდი ამოიწურება ვაჟას და ყაზბეგის თხზულებათა მნიშვნელობა მუსიკის შესასწავლად. უწინარეს ყოვლისა უნდა შევინიშნოთ, რომ ვაჟა და ყაზბეგი ძირითადად გულისხმობენ ხალხურ მუსიკას. მათი ნაწარმოების სწორედ ამ თვალსაზრისით შესწავლას შეეძლო გარკვეული სამსახური გაეწია ქართული ხალხური მუსიკის მეცნიერულად შემსწავლელთათვის. იმ უამრავი მასალიდან, რომელიც შეიძლება ამოიკრიბოს ვაჟას და ყაზბეგის თხზულებებიდან მუსიკის შესახებ, აქ შეეჩერდებით მხოლოდ ერთ სა-მუსიკო ტერმინზე, რომელიც ორივე მწერალს

<sup>1</sup> გ. ჩხიკვაძე, ა. ყაზბეგი და მოხუცი სიმღერები, ლიტ. გაზ., 1959 წ., № 8, გვ. 2.



სხვადასხვა კონტექსტში აქვთ ნახმარი და რომელთა მნიშვნელობის დაზუსტებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

დადასტოვებით მრავალაქმიერ ძალიან კარგად ვშვებობითა“.

**დაძახილი**

ასეთივე შინაარსისაა:

„და შემოსაძახეს ერთის ხმით ქართ-კახეთური-ბეურია“.

უნდა აღინიშნოს, რომ ყაზბეგის მხატვრულ ნაწარმოებებში ვხვდებით ეთნოგრაფიულ მასალებს, რომელიც გვიჩვენებს თუ რა სიმღერა როდის და როგორ სრულდება. ამდენად ეს მასალები ავსებს ჩვენი ჩამწერლების ცნობებს. ყაზბეგთან გვხვდება ტერმინი „დაძახილი“. ამ ტერმინის რაობის გასარკვევად ჯერ ძახ-ძირიდან წარმოებული ზმნები განვიხილოთ.

თვით ყაზბეგი და ძახილზე შემდეგს ამბობს: „არ იშვიათად იციან ფანდურზე ლექსის დაძახილი, რომელშიც ან ვისმე ვაუჯაცობას აქებენ, ან საშინაოდ ჰყავთ ვახდლო ვისმე მღვთმარება და მოქმედება“.

ტერმინი დაძახა ყაზბეგთან ნიშნავს დაამღერას. ყაზბეგის თხზულებებს დართულ ლექსიკონში შ. ძიძიგური აღნიშნავს და ძ ა ხ ი ლ ი დ ა მ ლ ე რ ე ბ ა ს . რომ დაძახა ნამდვილად უდრის დაამღერას, ამის დასამტკიცებლად ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება როგორც ვაჟა ფშაველას, ასევე ყაზბეგის შემოქმედებიდან. მაგალითად: „ერთბაშად მოისმა ფანდურის ხმა და ყველანი გაჩუმდნენ, მეფანდურემ ჩაჰკრა, ჩაჰკრა ძალებს, რამდენჯერმე ჩააკენსა ფანდური და მგლოვიარის გულის დამლონებელი ლექსი დაძახა.“

ამრიგად, დასძახა აქ ყველგან ნიშნავს — დაამღერა, იმღერა. როგორც ცნობილია, ძახ-ძირიდან ნაწარმოები სხვა მუსიკალური ტერმინებიც მოგვეპოვება. მაგალითად, მოძახილი და მოძახხენელი; არსებობს ცნობილი კახური სუფრული სიმღერა „შემოძახილი“.

ხალხურ ლექსშიც გვაქვს ტერმინი შემოძახილი:

„გუთნისა ქრიჭინი მიყვარს,  
მებრისა შემოძახილი“.

ის ამბობდა გრძნობით, ხერხიანად და ძლიერს აღგიღვდ ხმას ხან მედგრად ატრიალებდა, ხან შეწყვეტამდის ასუსტებდა, როგორღაც გულში ჩაბრუნებულს რამოდენსამე ხანს აკანკალებდა“. აქ ნათლად ჩანს დასძახას მნიშვნელობა. დაძახება, ე. ი. დამღერებას აღწერს ა. ყაზბეგი „მამის მკვლელობა“.

ამ ტერმინების შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: „მოძახილი და მოძახხენელი თუ მთავარი ჰანგის თქმისა და მიქმელის სახელია, მიძახილი და მიძახხენელი მაღალი შებანებისა და შემბანებლის აღმნიშვნელია, ე. ი. უდრის იმას, რასაც თანამდროვე მუსიკათმცოდნეობაში რუსები втора-ს უწოდებენ“.

„ამგვარი ღამეები გათავდებოდა გულის ამღვდლების ფანდურის ხმით, რომელსაც ისე მშვენივრად უკრავდა კობა და გმირულს — ლექსებს ნახევარ ხმაზე დასაძახადა.“

როგორც ირკვევს შემდგომში აკად. ივ. ჯავახიშვილი, მოძახილი ჰანგ-სიტყვების მოძახხენლის ხმის აღმნიშვნელი ყოფილა; იგი ხშიერ მუსიკაში ყველაზე ადრე უნდა იყოს გაჩენილი.

ამგვარი ფანდურის ხმა, რომელიც თითქოს აღეღვებს ავადმყოფს, ამასთანვე ერთად ამღვდებს თუ ასიამოვნებს, ავიწყებს წუხილს, სატკივარს, ჭრილობას და მკურნალი ძილი უხუტავს დასუსტებულს თვალს. მხოლოდ იმას შეუძლია ამ დაძახილის ღირებულად დაფასება, ვინც ავიდა ყოფილა და გაუგონია ეს ხმა, უგრძნობი თავის თავზედ ის ნეტარების და უკვდავების ნეტარი, რომელსაც ეს ხმა თითქოს წვეთ წვეთად უსხავს ავადმყოფს სხეულს და აგებულეაში“. დასძახას ამავე მნიშვნელობით ვხვდებით ვაჟა ფშაველასთანაც, მაგალითად, „როდემდის უნდა შენს დენაში ზოგი ცმკავდეს, ზოგი-კი ჯავრით, ნაღვლით საესე მწარედ კენსოდეს, ზოგა ჩანგური ხელთ ეყარას, ლექსს დასაძახოდეს, ზოგს მიწის თხრაში ქარის ქნევით წელი სწყუდებოდეს“.

„ამიტომაც თავდაპირველად მოძახილი გარკვეული, სახელდობრ მეორე, ან დიაპაზონით საშუალო ხმის აღმნიშვნელი — კი არ უნდა ყოფიყო, არამედ მხოლოდ ჰანგ-სიტყვები იქნებოდა“.

„...ცხადია, რომ ხშიერ მუსიკაში ყველაზე ადრე უმარტივეს ჰანგ-სიტყვების მიქმელი ანუ მოძახხენელი უნდა იყოს გაჩენილი, რადგან, რამდენადაც შებანება ხმის უქველად სხვა ხმასთან შეწყობას წარმოადგენს, ბანი უკვე თავისთავად შესაბანებლის არსებობას გვაგულისხმებინებს“.

დაძახილი მუსიკალური ტერმინია, ყაზ-

ან კიდევ:

„რითაც იქნება ვიშოვით,  
კიდევაც დაეთვრებიოთა.“

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, თბილისი, 1938 წ.



ბეგთან იგი წარმოშობით ძახ-ძიჩიდან წარმოებული ზმნის მიმღეობაა.

როგორც აღვნიშნეთ, ყაზბეგთან გვხვდება ტერმინი დაძახილი, რომელიც შეიძლება გარკვეულ კილოს მიუთითებდეს. „ელგუჯას“ ვარიანტის ვხვდებით ამ დასახელებას. ავტორი გვიხატავს ს. ჩოფიკაშვილის დატვირთვის სცენას: „შემოვიდა ელგუჯა ფანტურით ხელში, თმა გაწეწილი და მკერდ-ვადადელილი. პირსახეზედ ეტყობოდა ნამდვილი მწუხარება და მღელვარება. ის შევდა შუა ადგილას და ჩაჰკრა ფანტურს „დაძახილისა“, რომლის ხმამაც ჰაერში გაიბრინა რაღაც გულის გამტაც კვნესათ. პირველმა მან დაიწყო ზუზუნი, ტურნე-მოკუ-მულმა; სიმწარით ამ ტურნებს თითქოს მოკვნიტას უპირებდა, და ამ სურათმა ისე დაიმორჩილა იქ მყოფნი, რომ ბუზის ვაფრუნასაც კი გაივებდით. ყველა გრძნობდა, რომ ეს მწუხარება იყო ნამდვილი გულიდგან მოწყვეტილი, და ამისათვის ისე დაიმორჩილა მსმენელი ელგუჯას პირველმა სიტყვებმა და თითონაც ზუზუნითგანვე ერთნატილი დაუტარა სხეულში. ელგუჯამ ჩაჰკრა კიდევ ფანტურს და დასძახა:

შენ რომ გემორღები, გმირთ-გმირო, რაღას გვიპირებ ჩვენაო  
გიყურებთ გული დღღღების,  
ძლივსლა გვენძრევის ენაო...  
წაივდა ჩვენი კაცობა,  
ველარ ვიხილით ლხენაო,  
ბღაივის ცხორი და ბატკანი,  
საღლა იმათ სმენაო.

გათავა, ფანტური უკუავდო“.

აქ ტერმინი „დაძახილისა“ თვით ავტორის ჩაუსვამს ბრჭყალებში. ეს ადგილი კი ძირითადად ტექსტში შემდეგნაირად არის მოცემული: „მოხვევმ ჩაჰკრა და ჩაჰკრა ფანტურის ძალებს, დაათამაშა თითები და ჰაერი მკვნესავის ხმით შეირაყა. ბოლოს გაივლო ტურნებს კბილები და ისე ძალზე მოუჭირა, თითქოს მოკვნიტას უპირებდეს, მოჰყვდა უსიტყვოდ ზუზუნს და ამ ხმამზე ყველას გული ამოუჯდა, ცახცახი დააწყებინა. თითქოს თვით ჰაერსაც კი ეგრძნო ხევის მწუხარება და მისი გულის თრთილას აპყოლოდა.

მოხვევმ ფანტურს კიდევ ჩაჰკრა, ჩაჰკრა და ერთბაშად დასძახა და შემდეგ: „როდესაც ეს სიტყვები გაათავა, ფანტური უკუავდო, მიცვილებულს დააქქერდა, დააქქერდა და ჩაწითლებულის თვალებიდგან ცრემლები ხელახლად დაა-ლუპით გადმოსცივიდა“.

თუ შევადარებთ ერთმანეთს ძირითად ტექსტს და ვარიანტს, შევნიშნავთ, რომ ძირითად ტექსტში აღნიშნულია „ჩაჰკრა ფანტურის ძალებს, დაათამაშა თითები და ჰაერი მკვნესავი ხმით შეირაყა“, ვარიანტში კი ეს ადგილი ასეა მო-

ცემული: „ჩაჰკრა ფანტურს „დაძახილისა“, რომლის ხმამაც ჰაერში გაიბრინა რაღაც გულის გამტაც კვნესათ“.

ორივე შემთხვევაში ჰაერი მკვნესავა ხმამ შეირაყა, ძირითად ტექსტშია—ჩაჰკრა უბრალოდ, ვარიანტში — ჩაჰკრა „დაძახილისა“. „ელგუჯაში“ კიდევ ერთგან გვხვდება „დაძახილისა“: „ხანდისხან რომელიმე მათგანი აიღებდა ფანტურს, ჩაჰკრავდა ძალებს და წარსული გმირების ცხოვრებას „დაძახილით“ მოუთხრობდა“ .

უპირველეს ყოვლისა ჩვენს ყურადღებას იქცევს ამ ტერმინის ბრჭყალებში ხმარება — ეს ნიშნავს, რომ ის სპეციალური ტერმინი უნდა იყოს. მაგრამ ერთიკაა: მრავალ ადგილას ვხვდებით ყაზბეგთან „დასძახას“ დამღებების მნიშვნელობით, ამიტომ შეიძლება გვეფიქრა: რადგანაც ზმნის სახელით გამოხატვა დასპირდა მწერალს (დასძახა — დაძახილი), ამან ხომ არ გამოიწვია ამ სიტყვის ბრჭყალებში მოთავსება. დასძახა, დაძახა, შესძახა და სხვა ზმნებია.

მაშინ „დაძახილი“ სპეციალური ტერმინი კი არ იქნებოდა, არამედ დასძახა დამღერა ზმნის სახელით გამოხატვა: დასძახა-დაძახილი, როგორც, მაგალითად თქვა—თქმული, იყვირა—ნაყვირალი და სხვ.

მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს, ამის საწინააღმდეგოს მეტყველებს შემდეგი ადგილი ა. ყაზბეგის „მამის მკვლელობა“.

„ამგვარი ღამეები გათავდებოდა გულის ამღლელების ფანტურის ხმით, როდესაც ისე მშვენიერად უკრავდა კობა და გმირულს ლექსებს ნახევარხმამზე დასძახებდა.

ამგვარი ფანტურის ხმა, რომელიც თითქოს აელეებს ავადმყოფს, ამასთანავე ერთად ამშვიდებს თუ ასიამოვნებს, ავიწყებს წუხილს, სატკივარს, პრილობას და მკურნალი ძილი უხუჭავს დასუსტებულს თვალებს, რომელიც ისე მკურნალად მოქმედებს. მხოლოდ იმას შეუძლიან ამ დაძახილის ღირსეულად დაფასება, ვინც ავდა ყოფილა და გაუგონია ეს ხმა, უგრძნობა თავის თავზედ ის ნეტარების და უკვდავების ნეტარი, რომელსაც ეს ხმა თათქოს წვეთ-წვეთად უსხავს ავადმყოფს სხეულსა და აგებულებაში“.

როგორც ვხედავთ, აქ სწორედ ისეა, როგორც ზემოთ ვვარაუდობდით: „დასძახა“ ზმნა მწერალს გადაუქეთებია, მაგრამ ბრჭყალებში არ ჩაუსვამს. ამიტომ აქ დაძახილი ადარაა ტერმინი, სპეციალური ჰანგისა თუ კილოს (მელოდიის) სახელი. ამიტომ, სავარაუდოა, რომ, როდესაც ავტორი ამ სიტყვას ბრჭყალებში სვამს, იქ მას ტერმინის მნიშვნელობა ენიჭება, ე. ი. რაღაც სპეციალური ჰანგის თუ კილოს (მელოდიის, სიმღერის) სახელია, ხოლო





მეორე შემთხვევაში უბრალოდ ზმნიდან წარმოებული სახელია.

რა შეიძლება იყოს ეს „დაძახილი“?

გარკვეული მელოდიის მქონე მუსიკა თუ მუსიკალური რეიტატევი?

ზუზუნი, ზრუნი თუ ხმაყალი სიმღერა? მარტო იმღერებოდა, თუ სხვა ხმებიც მიჰყვებოდა?... ა. ყაზბეგის მოთხრობებიდან მოყვანილი მაგალითებით ჩანს, რომ ეს იყო გარკვეული მუსიკალური ტექსტი, რომელსაც დასძახონდნენ, მღეროდნენ. ის უნდა იყოს ერთხმიანი სიმღერა, რადგან მოტანილი ადგილის მიხედვით მღეროდა მხოლოდ ერთი, ამრიგად ორივე შემთხვევაში, როდესაც ეს ტერმინი („დაძახილი“) ყაზბეგთან ბრჭყალებშია ნახმარი, შეიძლება ვთქვათ შემდეგა:

1) „დაძახილი“ გარკვეული ტერმინია და არა უბრალოდ ნასახელარი ზმნა.

2) იგი გარკვეული ჰანგის (კილოს, მელოდიის) აღმნიშვნელი ტერმინია.

3) „დაძახილი“ ერთხმიანი სიმღერის აღმნიშვნელი ტერმინია. რა ხასიათის ერთხმიანი სიმღერა უნდა ყოფილიყო „დაძახილი“? ამის დადგენა ჭირს, მაგრამ ა. ყაზბეგის ცნობის მიხედვით, აგრეთვე ზოგი სხვა ცნობის მოშველიებით, ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმა შეიძლება. ყაზბეგის ერთი ცნობის მიხედვით დაძახილი გამოყენებული იყო შეკრებულებაში გმირთა ცხოვრების გადმოსაქვამად: „გმირების ცხოვრებას „დაძახილით“ მოუთხრობდა“. ამის მიხედვით, იგი გარკვეული მელოდიაა, რომელიც საგმირო ტექსტებს ეყრდნობა, ხოლო თვით ტექსტი განსაზღვრული არაა, მასზე შეიძლება ყველა საგმირო ტექსტი აეწყოს.

არსებითად ამას აღსატურებს მეორე ცნობა, სადაც ტექსტი ისევ საგმირო ამბის გადმოცემაში ლექსია. მაშასადამე, ამ მელოდიის („დაძახილი“) თავისი განსაკუთრებული ტექსტი არ ჰქონია და იგი არ უნდა იყოს სარიტუალო სამღერა, რომელიც მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში (გლოვის, მგზავრობის, შრომის ანა თუ იმ სახეობის შესრულებისას) იმღერებოდა. მაგრამ

მეორე ცნობაში სხვა რამ იქცევა უბრალოდ. იქ ნათქვამია: „ჩაპკრა ფანტურს“ დაძახილია“. ეს პირდაპირ მიუთითებს, რომ იგი გარკვეული მელოდია, სიმღერა იყო და გლოვის თუ გართობის დროს ეს მელოდია ერთი და იგივე იყო... მაგრამ დაძახილის ხასიათს ეს მაინც ვერ გვჩვენებს. საფიქრებელია, რომ იგი იყო ღიჯი, მინორული ხასიათის მელოდია, რადგან იგი სრულდება გლოვის დროსაც, ხოლო ძნელი დასაჯერებელია, რომ მაკორული განწყობილების მელოდია შესრულდებოდა გლოვის დროს.

ამას აღსატურებს ერთი კახური ცნობაც, რომელიც ი. ჯავახიშვილს მოაქვს თავის შრომაში: „საეცეკაოს გარდა, ჩანგურზე ძველად, იმავე ნივთს დავითნიძის სიტყვით, თურმე დაძახილსაც უკრავდენ. ის ამბობს: ერთი მძიმედ დაკვრა იყო კიდე, დაძახილს ეტყოდენ, ერთი ვინც უკრავდა, ლექსებს დაძახოდა:

დაუკარ ჩემო ჩონგურო,  
შორით მოჭრილო ხისაო,  
მამი ჩემისა ნაქონო,  
პაპი ჩემისა ხნისაო.  
დაუკარ თორემ დაგამტრევე  
დაგაყრი ცეცხლა პირსაო“<sup>1</sup>.

ეს ცნობა მრავალმხრივ საყურადღებოა. ჯერ ერთი, იგი აღსატურებს, რომ „დაძახილი“ მართო მთის საკუთრება არ ყოფილა, იგი ბარშიც გვექონია; ბარშიც იგი გარკვეული ჰანგია, ორავეგან ამ ჰანგის მუსიკალური ხასიათი მინორულია, ღიჯი; ბარშიც მას მტკიცედ დადგენილი ტექსტი არა აქვს და შემთხვევით ტექსტებს იყენებენ. ბარშიც და მთაშიც ერთხმიანი სიმღერაა. ამის მიუხედავად, მაინც ძნელია ვამტკიცოთ, რომ ბარისა და მთის დაძახილი სავსებით ერთი და იგივეა. დამატებითი ცნობების გარეშე ეს საკითხი ვერ გადაიჭრება.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, თბილისი, 1938 წ., გვ. 283.

## თენისნო ნოკვი

### ვეერისტე

შემდეგ, თუ ისინი ვერ შეძლებენ წინ წაწე-  
ვას, ჩემი და ჰილარის რიგი დადგება. მაგრამ  
ჩვენთვის რაც შეიძლება მალა, უკვე გაშლი-  
ლი იქნება კიდევ ერთი, მეცხრე ბანაკი. ასე  
რომ, ჩვენ მნიშვნელოვანი უპირატესობა გვექ-  
ნებოდა წინა წყვილთან შედარებით. ახალი  
მარცხის შემთხვევაში, რეორგანიზაციის შემ-  
დეგ შეიძლებოდა კიდევ ერთი, მესამე ცდის  
ჩატარება; ჯერჯერობით კი, გვემის მიხედვით  
ვალამწყვეტი იერიში ჩვენი ხედვრი იყო. ექს-  
პედიციის დამთავრების მერე ბევრი გაზეთი  
წერდა, თენისნი ალმოდობებული იყო, იერიშ-  
ზე პირველი რომ არ გამიშვებსო. ეს წმინდა  
სიცრუეა. ჩემი შანსები სრულიადაც არ იყო  
სხვებისაზე ცუდი. პირიქით. კაცმა რომ თქვას,  
სწორედ ჰილარი და მე ვიყავით ყველაზე უფ-  
რო ხელსაყრელ პირობებში. ჩემის აზრით,  
გვემა ყოველმხრივ სწორი და გონივრული  
იყო. ისეთ მთას, როგორც ვეერესტია, ქულ-  
მოვლევადი წინ გავარდნიოთა და ამხანაგების  
გასწრებით ვერ აიღებ. ასეა ხორციელდება  
ნელა და ფრთხილად, ადამიანების მთელი ჯგუფ-  
ის საერთო ძალდონით. რასაკვირველია, მე  
მინდოდა პირველი ავსტრალიყავი მწვერვალზე —  
ეს იყო მთელი ჩემი ცხოვრების ოცნება, მაგ-  
რამ, თუკი სხვას ხედებოდა წილად წარმატება,  
ამას ისე შეეხედებოდი, როგორც მამაკაცი და  
არა პირვეული ბავშვი. ასეა მთებში მიღებუ-  
ლი.

ამრიგად, 23 მაისს ცირკი დატოვა ბურდი-  
ლონ-ევანსის ჯგუფმა. 25 მაისს ჩვენც მივეყ-  
ვით: ჰილარი და მე, ლოუ და გრეგორი და რვა  
ყველაზე ღონიერი შერპი. ლპოტსეს კალთაზე  
შეგვხვდნენ შერპები, რომლებმაც ბანაკი გაგ-  
ვიშალეს სამხრეთ უნაგირზე და წარმატება  
გვისურვეს. ამავე დროს, არც ვიცოდით, წავი-  
დოდით თუ არა საერთოდ იერიშზე — ხელის-

თვის ხომ ბურდილონ-ევანსის ცდა იყო და-  
ნიშნული.

ჩემი წერაყინის ტარს ოთხი დროშა შემოვახ-  
ვიე. ორი მათგანი, ინგლისური და გაერთიან-  
ებული ერებისა, ექსპედიციამ ჩამოიტანა.  
მესამე, ნეპალური, კატმანდუში მოგვართვეს.  
ხოლო მე, კოტხე, ინდური, რომი მიტრამ მოცა  
დარჯილინაში

— იტყვი, თან რომ წავილო? — შევე-  
კითხე პოლოვნიკ ჰანტს იერიშამდე რამდენიმე  
დღით ადრე.

— ჩინებულეა აზრია, — მიპასუხა მან.

და აი, ძივაბიჯებ თოვლზე ჩემი ოთხი დრო-  
შით, მაგრამ სად მივიტან, ღმერთმა უწყის.  
ბურდილონსა და ევანსაც მიჰქონდით დროშე-  
ბი და ჩვენზე გაცილებით მალა ასვლაც მოას-  
წრეს.

როგორც უნაგირზე პირველი ლაშქრობის  
დროს, ისე ახლაც, მე და ჰილარი თითქმის  
მთელ გზაზე ქანგბადით ვსარგებლობდით. ექს-  
პედიცია ალპურული იყო ორი ტიპის აპარატე-  
ბით: ევრტე წოდებული „დახურულით“, რომელიც  
გაწვდის სულთა ქანგბაღს და „ლიათი“,  
სადაც ქანგბადი გარემომოცველ ჰაერს ერევა.  
ბურდილონსა და ევანსს პირველი ტიპის აპა-  
რატები მიჰქონდით, ჰილარის და მე — მეორე.  
ჩვენი აპარატები დიდად არ გვიადვილებდნენ  
სუნთქვას, სამაგიეროდ არ იგრძნობოდა მკვე-  
თრი ვადასვლა მათი გამორთვის დროს; საერ-  
თოდ ისინი უფრო საიმედო შთაბეჭდილებას  
ტოვებდნენ. ასვლისათვის განკუთვნილი ალპურ-  
ვილობის გარდა ზემო ბანაკებში ევრტეწოდ-  
ბული „ღამის ქანგბადითაც“ ვსარგებლობდით;  
როცა ძალიან გვეხუთებოდა სული ან ვერ  
ვიძინებდით, აპარატები კარავში შეგვექონდა,  
ჩავრთავდით ნარევის სუსტ ნაკადს და ხანგა-  
მოშვებით ვსუნთქავდით ღამით.

კიდევ ერთი ღამე გავათიეთ მეშვიდე ბანაკ-  
ში, მაგრამ ახლა ვიწროდ აღარ ვიყავით. —  
ზოგი ზევით წავიდა, ზოგი ქვევით დარჩა.

დასასრული. იხ. „ცისკარი“, № 4, 5, 6.



მოწმენდილი დილა გათენდა. სტარტის შემდეგ, ძალიან მაღლა, თითქმის სამხრეთ მწვერვალთან ორი წერტილი — ბურდილონი და ევანსი — დაეინახეთ. მერე გაქრნენ ისინი, ჩვენ განვაგრძობდით ასვლას ლპატსეს თოვლიანი კალთის ზემო ნაწილში. ავიღით ჟენეველთა კონტრფორსის უმაღლეს წერტილზე და შემდეგ ქვემოთ, სამხრეთ უნაგორსკენ დავეშვიტ. მერევე ბანაკში დაგვხვდა შერპი ანგ თენსინგი, რომელიც ბალუს, დათეს<sup>1</sup> ექმანდით. პოლკოვნიკ ჰანტს ორი მზიდავი ახლდა. ერთ-ერთი მათგანი ანგ თენსინგი იყო. მაგრამ იმ დღით თავი ცუდად ეგრძნო და სხვებს მაღლა აღარ გაყოლოდა. ჯგუფი ძალიან დრე ვასულყო: ბურდილონი და ევანსი რაც შეიძლება მაღლა უნდა ასულყენენ. პოლკოვნიკ ჰანტსა და და ნამგიალს აღჭურვილობა წადით ყველაზე მაღლა მდებარე ბანაკისთვის, რომელიც ჰილარისა და ჩემთვის იყო განკუთვნილი. დღის შემდეგ ანგ თენსინგს მთასეულეები აღარ დაუხანავს. და საერთოდ მან ჩვენზე გაცილებით ნაკლები იყო — ჩვენ ორი წერტილი მაინც დაეინახეთ სამხრეთ მწვერვალთან.

ლომანი დიდხანს არ დაგვიჩვენეს. მათთან მისვლისთანავე დავეინებეთ პოლკოვნიკი ჰანტი და და ნამგიალი, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ თხემის თოვლიან კალთაზე ეშვებოდნენ. ჩვენ მათ შესახებდრად გავეშურეთ. ორივენი საშინლად დადილიყვნენ. პოლკოვნიკი ჰანტი ჩაიკეცა და რამდენიმე წუთს გაუძნრევლად იწვა, მერე ღმომნათი დაკალევიენ და კარავში შესვლა ვუშველუ. ცოტა რომ დაისვენა, გვითხრა, დაახლოებით 8.340 მეტრზე ავიდითო. ესე იგი, ჰანტი და და ნამგიალი საშოცი მეტრით მაღლა ავიდნენ იმ ადგილიდან, სადაც მე და ლამბერი ვისვენებდით შარშან. ჰანტი ფიქრბოდა კიდევ, უფრო მაღლა, 8.535 მეტრამდე ასვლას, მაგრამ ღონე აღარ ეყოთ. თოვლზე დაეწყოთ მეცხრე ბანაკის აღჭურვილობა, დაეტოვებინათ ჟანგბადის ბლონებიც, რომლითაც ასვლისას სარგებლობდნენ. ჰანტისა და და ნამგიალის მძიმე მდგომარეობა, ცხადია, იმით აიხსნებოდა, რომ უკან სრულიად უჟანგბადოდ დაბრუნდნენ. ახლა ორივენი კარგებში იყვნენ. მე ისევ ვასმევედი მათ ჩაისა და ლიმონის წვენს. ამასობაში მოსულიერდნენ კიდევ. პოლკოვნიკმა ჰანტმა საძილე ტომრიდან გამოიხედა და მისუსტებული ხმით ჩაილაპარაკა: „თენსინგ, მე ამას არასოდეს არ დავივიწყებ“. მუდამ სიამოვნებით ვიგონებ ამ სიტყვებს.

მერე ბურდილონსა და ევანსს დაველოდეთ. ეს მოლოდინი დიდხანს გაგრძელდა. პოლკოვ-

ნიკსა და და ნამგიალსაც ვუვლიდი, მაგრამ უფრო ხშირად გარეთ ვიდექი და მწვერვალისკენ ვიციკირებოდი, ვედილობდი გამომეცნო, რახლებოდა იქ; ერთხელ, როცა ჰანტის კარავში შევიხედე, მან თქვა:

— კარგი იქნებოდა დედოფლის კურთხევისათვის რომ მოესწროთ.

ვიფიქრე, იქნება ამიტომაც წავიდნენ პირველად ინგლისელები, და არა მე და ჰილარმეთქი, მაგრამ მაშინვე ვუთხარი ჩემს თავს: „არა, სისულელეა. არ არსებობენ „პირველები“ და „მეორენი“ — არის მხოლოდ ევერესტი, და ვილაცამ უნდა აიღოს მწვერვალი“. ისე გარეთ გამოვიდო, ზვეით აიხიხედე და ამხანაგეზის ბედზე დავფიქრდი.

უნავირზე, ჩეულებსამებრ, ისევ ყინავდა და ქარ უბერავდა. ბანაკი ყინულისა და ქვის ღორღში მიტოვებულს ჰგავდა. ჩვენ იქ გაეჩერდით, სადაც შევიცარიელები შარშან დბანყენდენ. ირგვლე კარავთა ლტანები, ფუთები და ჟანგბადის ბლონები ისე ეყარა, თითქმის აჩრდილებს დაეტოვებინოს. ჩვენი ბანაკი ოთხი კარავისგან შედგებოდა: ერთ-ერთში აღჭურვილობა ეწყო. ქვემოთან აქ დაახლოებით სამას ორმოცდაათი კილოგრამი ტვირთი ამოვიტანეთ. მე ვამაყობდი, რომ ამ საშუაოს ძირითადი ნაწილი შერპებმა შეასრულეს. მთელი ექსპედიციის მანძილზე ჩვიდმეტი შერპი ამოვიდა უნავირზე. მათგან ექვსი აქ ორჯერ ამოვიდა. თითოეულს თხუთმეტ კილოგრამამდე ტვირთი მოჰქონდა, ისიც უჟანგბადოდ. „სად ექნებოდი ახლა, ისინი რომ არ ყოფილიყვნენ?“ — ეკითხებოდი ჩემს თავს. პასუხი თავისთავად ნათელი იყო: „მთის ძირში“.

შერპები, რომლებიც ჩვენთან ერთად ამოვიდნენ, ქვევით წასასვლელად ემზადებოდნენ. მათ თავიანთი საქმე შეასრულეს, ბანაკში კი ღამის გასათევი ადგილიც არა გქმონდა. საინტერესოა, რომ მათ შორის იყო ექსპედიციის ყველაზე უხუცესი მონაწილე დავა ტპონდუპი და ყველაზე ახალგაზრდა, ჩემი დისწული ტოპკეი. მათთან ერთად ამოვიდნენ ანულუ, ანგ ნორბუ და თენსინგი (სავსებოთ სწორია, თენსინგი ბეგერი იყო და ყველას სახელი სხვადასხვანაირად იწერებოდა). პირველ ჯგუფთან ერთად ამოსული და ნამგიალი და თენსინგ ბალუც ძირს მიდიოდნენ.

— ნახვამდის. ბედნიერად... ხუსიერი ფრთხილად იყავი!.. ყველაფერი ახა — რიგზე იქნება.

და აი, წავიდნენ. ახლა უნავირზე, ჩემს გარდა, მხოლოდ სამი შერპი დარჩა: ანგ ნიში, ანგ ტემპა და ზემბა. ესენი სპეციალურად შეაჩიხეს ჩემი და ჰილარის დასახმარებლად მეცხრე ბანაკის გადასასვლელზე. ჩვენ ვიცდიდით და ზვეით ვიყურებოდით. ვიცდიდით და ზვეით ვიყურებოდით. და აი, როგორც იქნა, სალა-

<sup>1</sup> ლამბერი, ტილმანი, ანგ ტემპა, ახლა კიდევ ანგ თენსინგი — ბლომად გვეყოლია „დათვები“ ექსპედიციებში, არაა?!



მოს, თოვლიან კალთაზე გამოჩნდნენ ორნი. ისინი ბანაკისკენ ეშვებოდნენ. „არ ასულან, — გაიფიქრე მე — ასე ცოტა დროში მწვერვალზე ასვლასა და უკან დაბრუნებას ვერ მოასწრებდნენ“. მათ შესახებდრად გავეშურეთ. ორივენი ისე იყვნენ დაღლილები, რომ ძლივს დალაპარაკობდნენ და მოძრაობდნენ.

— არა, — გვეთხრეს მათ — მწვერვალამდე არ მივსულვართ.

ბურდილონმა და ევანსმა სამხრეთ მწვერვალს აიღეს. ისინი ავიდნენ მსოფლიოს ყველა ალპინისტზე უფრო მაღლა და მიზნის მიღწევამდე სულ რამდენიმე ასეული მეტრი-ლა დაჩნათ. მაგრამ გზის განგრძობა აღარ შეეძლოთ. სამხრეთ მწვერვალზე ასულები, ისევე, როგორც მე და ლამბერი, ფიქრობდნენ, შესაძლოა მთავარ მწვერვალს მივაღწიოთ, მაგრამ უკან ცოცხლები ვეღარ დავბრუნდებითო. დაღამდებოდნათ და ლამბერს ერთად სიკვდილიც წამოეწეოდათ. ეს იცოდნენ და უკან დაბრუნდნენ.

ბურდილონსა და ევანსს გათბობა ეუშველეთ, ჩაი და ლომონათი დავალევიეთ. იმდენად წყუროდნათ, რომ ერთმანეთს შესვეს ორ-ორი კვარტი სითხე. მერე დასვენებისა და გონზე მოსვლის საშუალება მივეციეთ. მაგრამ მოგვიანებით, როცა მომჯობინდნენ, შეკითხვები დავაყარე: რას აკეთებდნენ, რას ხედავდნენ, როგორა თანსრუტი და რა სიძნელეებია.

— მაგნიტ, დარწმუნებულნი ვარ, რომ თქვენ და ჰილარი ახვალთ, — თქვა ევანსმა — მაგრამ ასვლა ძალზე ძნელია. ზემო ბანაკიდან კიდევ ოთხი თუ ხუთი საათის სავალია. თანაც საშიშია, — ძალიან ცივებია და ლავგარდანიც ბლომადა. ასე რომ, ფრთხილად იყავით. თუმცა, თუ ამინდი არ შეიცვალა, ახვალთ. საჭირო აღარ იქნება მეორე წელს მოსვლა!

ევანსსა და ბურდილონს ქანცი ჰქონდათ გაწყვეტილი. გადაღლისაგან ავად გახდნენ და, რა თქმა უნდა, საშინლად განიცდიდნენ თავიანთ მარცხს. და მაინც, მიუხედავად ამისა, ყველა კითხვაზე გვეასუებოდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ ჩვენს დასახმარებლად. გაიფიქრე: „ასეც უნდა იყოს-მეთქი ასელების დროს. აი, როგორ ზრდის მთა ადამიანში კეთილშობილებას“. საღ ვიწებოდით მე და ჰილარი მეგობრების გარეშე? ბურდილონისა და ევანსის, ჰანტისა და და ნამგაილის გარეშე, რომლებმაც გავალეს გზა მწვერვალისკენ? საღ ვიქნებოდით ლოუსა და გრეგორის, ანგ ნიშას, ანგ ტემპასა და პემას გარეშე, რომლებიც აქ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს მოსაშველებლად მოვიდნენ?.. მათი შრომისა და თავგანწირვის წყა-

ლობით მოგვაქვს ახლა იერიში მწვერვალზე.

უნაგირზე სამ კარავში ღამეს ათი კაცი შევიდა. გეგმის მიხედვით, დილით უნდა დაგვეწყო იერიში, მაგრამ ღამით არაჩვეულებრივად ძლიერმა ქარმა დაპბერა. გამთენიისას ქარი ისე ღრიალებდა, როგორც გალიაში დამწყვედელი ათასი ვეფხი, ასევალე ფიქრიც ზედმეტი იყო. სხვა რა გზა გვექონდა, უნდა გვეცადა. იმდეს არ ვკარგავდით, რომ გრივალს ძალა გამოეღო; სახედნიეროდ, მარაგი გვექონდა და შეგვეძლო კიდევ ერთი დღეც მოგვეცადა. შეუადლებო ქარი შენგდა. იერიშის დაწყება უკვე გვიან იყო, სამაგიეროდ, ბურდილონი და ევანსი ქვევით ჩასასვლელად მოემზადნენ. პოლკონიკი ჰანტს უნაგირზე დარიჩნა უნდოდა, ვიდრე მე და ჰილარი მწვერვალის აღებას შევეცდებოდით, მაგრამ ბურდილონი იმდენად ცუდად გრძნობდა თავს, რომ ჰანტმა მისი გაცილება ვაღწევიტა. მათთან ერთად წავიდა ანგ ტემპაც. ისიც უჩიოდა ჯანმრთელობას.

— აბა, კარგად იყავით! თავს გაუფრთხილდით! — თქვა ევანსმა წასვლისას — დაიმახსოვრეთ: თუ მწვერვალს აიღებთ, გაისადღარ მოგიჩვენებ უკან დაბრუნებას.

ახლა მერვე ბანაკში ექვსი კაცი დავრჩით: ლოუ, გრეგორი, ანგ ნიშა, პემბა, ჰილარი და მე. ვადიოდა საათები, ჩვენ კარვებში ვიწეკით. ვცდილობდით სითბო შეგვენარჩუნებინა და წარმოუდგენლად ბევრ ჩაისს და ყავას, ბურდილონსა და ლომონათს ესვამდით. მერე ამოვიღე სემგა, ნამცხვარი და ხილი. თავს ძალას ვატანდით, რომ ცოტა რამე შეგვეჭამა, თუმცა არც ერთი ჩვენგანი არ იყო მშვიერი. მთელი ამ ხნის მანძილზე ყურის ვუჯდებდი ქარის ხმაურს. ხან ძლიერ ქროდა და ჩემს შფოთვას ამერიებდა, ხან შენელებდობდა და მამშვიდებდა. დროდადრო გარეთ გამოვიდიოდი, ქარსა და ყინვაში ვიდექი და წინ აყუდებულნი მთის ნაწილს შევეყურებდი.

მეორედ დაღამდა, ამინდი კი უფრო და უფრო უარესდებოდა. საძილე ტომარებში ვიწეკით, ერთმანეთს მჭიდროდ მივეკარით და „ღამის ენგბადით“ ვსუნთქავდით. ინგლისელებმა და საძინებელი აბები ვადაყლაპეს. მე ვუსმენდი ქარს და ვფიქრობდი: „უნდა ჩადგეს, რომ ხვალ ზევიტ ასკლა შევძლოთ. მეშვიდეს მოვიდი ევერესტზე. მე მიყვარს ევერესტი. მაგრამ შვიდი გზობა საკმარისი უნდა იყოს. აქედან უნდა ავიდეთ მწვერვალზე. ამჯერად გამარჯვება ჩვენი იქნება. ახლა ან არასოდეს...“

გაიდა კიდევ ერთი საათი, შემდეგ მეორენელა, საშინლად ნელა ვადიოდა დრო. ჩავთვლიმი, გავიღვიმი, ისევე ჩავთვლიმი. ძილ-ღვიძილში ტინი მუშაობას განავრძობდა... „რამდენი ადამიანი დაიღუპა ევერესტზე, როგორც

<sup>1</sup> ინგლისური საიმპერიო კვარტი უდრის 1, 136 ლიტრს.





ბრძოლის ველზე. მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს ადამიანმა უნდა გაიმარჯვოს. და როდესაც ის გაიმარჯვებს...“ ფიქრები შორს მიქროდნენ გამახსენდა პროფესორი ტუჩინი და მისი დაპირება, ნერუს გავაცნობთ. მწვერვალს თუ მივალწი, ვინ იცის, იქნებ ეს ასეც მოხდეს. მეერ ფიქრობდი სოლო ქუმბუზე, ჩემს ძველ სახლზე, დედასა და მამაზე. ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ სწამდათ მათ ღმერთი, რო-

გორ ლოცულობდნენ ჩემზე და გადავწყვიტა, თვითონ შევედრებოდი ღმერთსა და ევერესტს. აქ ფიქრები გაქრა. და სიზმრები მოვიდა. მესიზმრა იალაღზე მონაგარდე იაკები, მეერ დიდი თეთრი ცხენიც. ჩვენ გვეყამს, რომ სიზმარში ცხოველის ნახვა კარგია, და აი კიდევაც მესიზმრა. სადღაც შორს, იაკებსა და ცხენს იქით, კიდევ ერთი მოჩვენება მეღანდებოდა: რაღაც ცამდე მაღალი, მაღალი და თეთრი.

ოცნება სინამდვილედ იქცა

28 მაისი... ამ დღეს მე და ლამბერტა უკანასკნელი ნახტომი გვაკეთეთ. ზემო ბანაკიდან, რამდენადაც შეიძლებოდა, მაღლა ავედით თხემზე. ახლა აქ მე და პოლარი ვართ, ოღონდ ერთი დღის სავალით უფრო დაბლა. შარშანდღელთან შედარებით, ერთი დღით ვიგვიანებთ. გავიდა ზუსტად წელიწადი.

გამთენისის კიდევ ქროდა ქარი, მაგრამ რვა საათისთვის ჩადგა. ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ და გადავწყვიტეთ — რაც მოხდება, მოხდეს — უნდა ვცადოთ.

მაგრამ ღამით უსიამოვნება შეგვემთხვა: ავად გახდა პეშბა, და, მეერ იმდენად სერიოზულად, რომ ნათელი იყო — იერიშიში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. წინა დღით ანგ ტეშა იყო შეუძლოდ, ახლა პეშბა. იმ ჯგუფიდან, რომელსაც მეცხრე ბანაკამდე უნდა მივეცილებინეთ, მარტო ანგ ნიმა დარჩა. ეს იმას ნიშნავდა, რომ დანარჩენებს ზედმეტი ტვირთი უნდა წაეღოთ, რაც შეიანგლება და გაანელებდა ჩვენს მოძრაობას. მაგრამ რა უნდა გვექნა. ცხრას ცოტა-და უკლდა, როცა გზას დაადგინენ ლოუ, გრეგორი და ანგ ნიმა. თვითეულს დაახლოებით ოცი კილოგრამი ტვირთი და ქანებადის აპარატი მიჰქონდა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ დაიწყეთ ასვლა მე და პილარმი. თვითეულს ოც კილოგრამზე მეტი ტვირთი გვექონდა. შეთანხმებული ვიყავით, რომ დამხმარე რაზმი შეასრულებდა მძიმე და ხანგრძლივ სამუშაოს — ყინულში საფეხურებს გაჭირდა. ნორმალური სიჩქარით რომ გვევლო, ანდა, უფრო სწორად, ძალიან რომ არ დავდელიყავით, მათ ფეხდაფეხ უნდა მიეყოლოდით.

გავიარეთ უნაგირის გაყინული კლდეები. მერე ავედით თოვლიან კალთაზე, საიდანაც სამხრეთ-აღმოსავლეთ თხემისკენ გრძელი დერეფანი მიემართებოდა. სხეების მიერ გაჭრილი მოხერხებული საფეხურები საგრძნობლად გვიადვილებდა ასვლას. დაახლოებით შუადღისას, თემის ძირში დავეწვიეთ წინ წასულებს. ცოტა ზემოთ, ოღონდ სხვა მხარეს, რამდენიმე ქოკი და ბრუნეტის ნაგლეჯები მოჩანდა. — აქ იყო

ოღესდაც ჩემი და ლამბერტის ზემო ბანაკი. მოგონებანი წამოიშალნენ... ჩვენ დაუყოვნებლოდ გავწიეთ წინ და თხემზე ავედით. თხემი საკმაოდ ციკაბო იყო, მაგრამ არც ისეთი ვიწრო, ზედ რომ ვერ გავვევლო. კლდე საიმედო დასაყრდენი იყო, მაგრამ, ცხადია, წუთითაც არ შეიძლებოდა იმ ფხვიერი თოვლის დაიწყყება, რომლითაც ეს კიდევ იყო დაფარული. ძველი შევიცარული ბანაკიდან ორმოცდაათიოდ მეტრით მაღლა მივწვდით უმაღლეს წერტილს, სადაც ამ ორი დღის წინ პოლკოვნიკი ჰანტი და და ნამგიალი ავიდნენ; თოვლზე მწყობრ ჩვენი კარავი, სურსათი და ქანებადის ბალონები. ყველაფერი ეს ზურგზე მოვიკიდეთ და ახლა თითქმის ოცდაათი კილოგრამი მიგვექონდა თუითულს.

თხემი უფრო ციკაბო გახდა და ჩვენც მძიმემძიმედ მივიწვდით წინ. შემდეგ დაიწყო ღრმა თოვლი და ისევ დაგვეჭირდა საფეხურების გაქრა. ამ სამუშაოს მეტწილად ლოუ ასრულებდა. წინ მიმავალი თანაბრად იქნებოდა წერაყისნ. ჩვენ ფეხდაფეხ მივყვებოდით. დაახლოებით დღის ორი საათი იქნებოდა, როცა საგრძნობლად დავილაღეთ და გადავწყვიტეთ ბანაკისთვის შესაფერი ადგილი მოგვეძებნა. გამახსენდა ერთი პატარა ადგილი, რომელიც მე და ლამბერტა შარშან შევამჩნიეთ, იქ ვაპირებდით უკანასკნელი ბანაკის გაშლას, თუკი ოდესმე უკან დაბრუნება მოგვიწყევდა; მაგრამ ის ადგილი სადღაც ზემოთ იყო დამალული. ირგვლივ არსად ჩანდა ისეთი ადგილი, სადაც კარავი დაიდგებოდა. ზოდა, გზა განვავრძეთ. წინ ახლა უკვე მე მივდიოდ — თავდაპირველად ისევ თხემით, შემდეგ ხელმარცხნის, ციკაბო თოვლიან კალთაზე.

— ეპეი, საით მივყავართ — შემიკითხნენ ლოუ და გრეგორი — ჩვენ უნდა დავბრუნდეთ. — სულ ცოტა დარჩა, — ვუპასუხე მე — კიდევ ხუთი წუთი. მივდიოდით და მივდიოდით, მე კი ვერა და ვერ ვნახე ის ჩემი ადგილი. მხოლოდ ამასღა გავიძახოდი:

— კიდევ ხუთი წუთი... მხოლოდ ხუთი წუთი.

— ბოლოს და ბოლოს, რამდენია ეს შენი ხუთი წუთი? — წამოიძახა უკმაყოფილოდ ანკ ნიმაძე.

როგორც იქნა, მივედით. თოვლზე, გაშლილ ლეზელზე თხემის დაბლა, დიდი კლდის საფარქვეშ, შედარებით ვაკე მოედანი იყო გადაშლილი. იქ დაეყარეთ ჩვენი ტვირთი და სასწრაფოდ გამოეთხოვეთ ერთმანეთს: „ნახევანის, ბედნიერად“, — ლოთ, გრეგორი და ანკ ნიმაძე უნაგირისკენ გაბრუნდნენ, მე და ჰილარი მარტო დავჩრჩით. მოსალამოვდა; დაახლოებით 8500 მეტრის სიმაღლეზე ვიყავით. მსოფლიოს მეოთხე მწვერვალს, ლკოსტს, რომელსაც აქამდე ქვევრიდან შევცქეროდით, ახლა ჩვენს ქვევრით იყო. სამხრეთ-აღმოსავლეთით მაკალა აღმართი იყო. ირგვლივ, ასობით კილომეტრზე, ყველაფერი ჩვენს დაბლაა. მხოლოდ კანჩენჯანგის მწვერვალი ჩანს შორს, აღმოსავლეთით. ზედ თავზე კი ცამდე აზიდული თეთრი თხემი დაგვეცქერას.

აქამდე არსებულთაგან ყველაზე მაღალი ბანაკის გავლას შევუდგებით და მუშაობა დაბინდებისას დავამთავრეთ. თავდაპირველად ყინულის კუხეები გადავქვრიეთ და ადგილი გვასწორეთ. მერე დაიწყო ორთაბრძოლა გაყინულ თოვლებთან და ბრეხენტთან. განაწილები ქანგბადის ბალონებს შემოვახვიეთ. ყველაფერზე ხუთჯერ მეტი დრო იხარჯებოდა, ვიდრე დაბლონებში. როგორც იქნა, დავდგით კარავი და შიგ შევქვრიეთ. აღმოჩნდა, რომ არცთუ ისე ცუდად ვიყავით მოწყობილი. ნელი ჭარი ქროდა. არც შალიან ყინავდა, ხელთათმანებიც კი გავიძვრეთ. ჰილარმა ქანგბადის აპარატები შეამოწმა, მე პრიმუსს მოვუკიდე და ყავა და ლიმონათი გავათბე. ისე საშინლად გვეწყუროდა, რომ აქლემებივით ვსვამდით. მერე ცოტა სუფთ, სარდნები, ნამცხვარი და დაქონსერგებული ხილი შევჭამეთ. ხილი ისე გაყინულიყო, პრიმუსზე ძლივს გავალღვეთ.

რამდენი არ ვეცადეთ, მაგრამ ვერა და ვერ გავასწორეთ ადგილი თვითონ კარავში — ერთი ნახევარი ოცდაათი სანტიმეტრით მაღალი იყო მეორეზე. ჰილარიმ თავისი საძიებ ტომარა ზედა „თაროზე“ გავაღა, მე — ქვედაზე. შევქვრივით ტომარებში და ახლოს მიგვორდით კარვის კედლებთან, რათა მისი კალთები ჩვენი ტანის სიმპიძით დაგვემაგრებინა. მართალია, ზომიერი ჭარი ქროდა, მაგრამ, ხანდახან ისე წამოუბერავდა, რომ კარავს მოგლეჯით ემუქრებოდა. ვიწვეით და მეორე დღისთვის ასკლის გეგმას ვადგენდით. მერე მოვიწყვეთ „ღამის ქანგბადი“ და დაძინება ვცადეთ. ტანსაცმლი-

ნად ვიწვეით ბუმბულის ტომარებში; მე ცარული ბეწვის ჩექმებიც არ გამიხდია. ჩვეულებრივად ალპინისტები ღამე ფეხზე იხდიან, მათი აზრით, ეს ხელს უწყობს ფეხებში სისხლის მიმოქცევას; მაგრამ დიდ სიმაღლეებზე მე გაუხდელად ვწვები. ჰილარმა კი ფეხსაცმელი გაიძრო და გვერდით დაიწყო.

დრო ვადიოდა. ჩავთვლემდი, გამეღვიძებოდა. ჩავთვლემდი, გამეღვიძებოდა. გამეღვიძებოდა და ყურბი ვუვლდებდი. შუალამისას ჭარი ჩადგა. „ღმერთი გვეწყალობს, — გავიფიქრე — რომოლუნგმა გვეწყალობს“. ახლა სინამდის მხოლოდ ჩვენი სუნთქვა არღვევდა.

29 მაისი... ამ დღეს მე და ლამბერი უნაგირიდან ცირკისკენ ვეშებოდით. ქვევით, ქვევით, ქვევით...

დაახლოებით დღის ოთხის ნახევარი იქნებოდა, როცა ნელ-ნელა გამოვიღვიძეთ. პრიმუსს მოვუკიდე და თოვლი გავათბე ლიმონათისა და ყავისთვის, მერე ვაზმის ნარჩენებსაც გავახელით. უქარო ამინდი იდგა. ცოტა ხნის შემდეგ, კარვის კალთა გადავწყვეთ და დილის სინათლეზე მოწმენდილი ცა და წყნარი ლანდშაფტი გამოჩნდა. ჩვენგან ხუთი ათას მეტრით დაბლა მდებარე პატარა წერტილი — თიანგბოჩის მონასტერი დავინახე. „მამანჩისა და დედაჩემის ღმერთო, — ვთქვი ჩემთვის — დღეს შემეწვიე“.

მაგრამ თავიდანვე უსიამოვნება გველოდა: ჰილარის ფეხსაცმელი ღამით გაიყინა და პირდაპირ თუჯივით იქცა. მთელი საათი ვათბობდით და ვთელავდით პრიმუსზე. კარავი დამწვარი ტყავის სუნით აივსო, ჩვენც ისე მძიმედ ვსუნთქავდით, თითქოს შეტვინებულ გარდაცვიართო. ჰილარი ძალიან შეწუხდა. ფეხებიც აფიქრებდა.

— ვი თუ, ლამბერივით წამეყინოს თითები, — თქვა მან.

როგორც იქნა, ფეხზე ჩაცმა მოახერხა და დანარჩენი აღჭურვილობის მომზადებას შევუდგით. ამ გადაწყვეტ დღეს ტანზე სულ სხვადასხვა მხრის სამოსი მეცვა. ჩექმები, როგორც უკვე ვთქვი, შვეიცარული იყო, ქურთუკი და ზოგიერთი სხვა ნივთი — ინგლისელებმა მომცეს. წინდები ანკ ლამუმ მომიქსოვა, სეიტერი მისი გენდერსონმა მიაქუა. შალის ჩაჩი ერლ დენმანის სამახსოვროდ დამირჩა. და, ბოლოს, რაც მთავარია, ჩემი წითელი შარფი რაიმონ ლამბერისგან მივიღე. ეს შარფი ლამბერმა შემოდგომის ექსპედიციის შემდეგ მომცა და ღიმილით მითხრა: „გქონდეს, იქნებ გამოგადგეს“. მას შემდეგ, კარგად ვიცი, თუ რაში გამოამადგებოდა ლამბერის შარფი.

6. 30 წუთზე კარვიდან გამოვედით. ისევ წყნარი და უქარო ამინდი იდგა. სამი წყვილი



ხელთომანი გვეცვა: ჯერ აბრეშუმის, მერე შალის, ბოლოს ქარშეუვალი. ფეხსაცმელებზე წრიაპები დავიმარეთ და თოთხმეტკილოანი ყანგბადის აპარატები ავიკიდეთ ზურგზე — სულ ეს იყო ჩვენი ტვირთი ასვლის უკანასკნელ მონაკვეთზე. ჩემი წერაყინის ტარს მქიდრად ეხვია ოთხი პატარა დროშა, ქურთუკის ჯიბეში კი ლურჯ-წითელი ფანქრის ნაღრდენი მელი.

— მზად ხარ?

— ა ჩა. მზადა ვარ.

და წავედით.

ჰილარის ფეხსაცმელი ჯერ კიდევ არ იყო კარგად გალხობილი, ფეხები ეყინებოდა და მთხოვა, წინ წაესტლიყავი. თოვკადაბმულები ასე მიედლოდი ერთხანს — ბანაყის ზევით, სამხრეთ-აღმოსავლეთ თემისკენ, შემდეგ თხემზე, სამხრეთ მწვერვალისკენ. გზადაგზა ბურდილონისა და ევანსის ნაკვალავი გეხვდებოდა. ხანდახან ამ ნაკვალავს მიყვებოდით, მაგრამ ნაკვალავი უმეტესად ქარს წაეშალა და იძულებული ვიყავი, ახალი საფეხურები გამეჭრა. მაღლ იმ ადგილსაც მიეღწეოთ, სადაც მე და ლამბერი შეეჩერა და უკან გამოვბრუნდით. ადგილი ვიცანი, ჰილარის ვაჩვენე და ყანგბადის ნიღამოფხსნელად შევეცადე ამეხსნა რაში იყო საქმე, თავად კი ვფიქრობდი, როგორ განსხვავდებამეთქი ახლანდელი შეტევა შარშანდელისგან: მაშინ ყინვა და ქარი მძეინვარებდა, ახლა მზე კაშაყებდა; ვფიქრობდი იმაზეც, რომ ახლა, ამ ვადამწყვეტ ღღეს, ბედი გვიღიმიდა. ჰილარი სიარულში გამოკეთდა და ადგილები შევიანცვლეთ; შემდეგაც ასე განვავრძობდით — ხან ერთი, ხან მეორე მიდიოდა წინ და საფეხურებს ქრდა. სამხრეთ მწვერვალთან ბურდილონისა და ევანსის მატოვებულ ყანგბადის ორი ბალონი ენახეთ. დანომეტრებს ყინული ჩამოვაფხიკეთ: ჩვენდა სასიხარულოდ, ბალონები საცხე აღმოჩნდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყანგბადის საქმით მარაგი გვქონდა და, თუ უკან დაებრუნდებოდით, უნაგირამდე გვეყოფოდა. ამასთანავე, შევეველო გზის უკანასკნელ მონაკვეთზე მტერი ყანგბადი დაგვეხარჯა.

ყანგბადის ბალონები ადგილზევე დაეტოვეთ და გზა განვაგრძეთ. აქამდე, ამინდს გარდა, ყველაფერი ისევე იყო, როგორც წინა წელს: ციციბო კიბლოვანი თხემი, მარცხნივ ერთი კლდოვანი უფსკრული, მარჯვნივ თოვლის ლავგარდანებით დაფარული მეორე უფსკრული. მაგრამ შემდეგ, სწორედ სამხრეთ მწვერვალის ქვეშ, თხემი ფართოვდებოდა, ქმნიდა თოვლის ფერდობს, და მთავარი ფრილო კლდე ახლა უკვე წინ იყო და არა გვერდით. ჩვენც თითქმის შევეულად ავიდიოდით თეთრ კედლებზე. ყვე-

ლაზე საშინელი ის იყო, რომ თოვლი ფეხები აღმოჩნდა, ცურდებოდა და ჩვენც მივეყვებოდით; ერთხელ, გავიფიქრე კიდევ: „ახლა თოვლი აღარ გაჩერდება და მისი ძირამდე ჩავცურდებით-მეთქი“. მთელი ასვლის განმავლობაში ჩემთვის ეს იყო ერთადერთი, ნამდვილად ყველაზე ძნელი ადგილი. აქ საყუთარ სიმარჯვებე ცოტა რამაა დამოკიდებული. მნიშვნელოვან როლს თამაშობს შენს ფეხქვეშ თოვლის მოქმედებაც, მისი გამოცნობა კი შეუძლებელია. იშვიათად ვყოფილვარ ასეთ საშიშ ადგილას. არა და ახლაც, როცა ამ ამბავს ვიხსენებ, იმასვე ვგრძნობ, რასაც მაშინ ვგრძნობდი და ერთხანტელი მივლის.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ვადავლახეთ ეს კედელი და, ცხრა საათზე ფეხი შევდგით სამხრეთ მწვერვალზე, უმაღლეს წერტილზე, რომელსაც ბურდილონმა და ევანსმა მიაღწიეს. აქ ათიოდე წუთი შევისვენეთ და დავთავალიერეთ ის, რაც წინ გვაღწია. მწვერვალამდე ბევრი აღარ გვრჩებოდა, რაღაც ასიოდე მეტრი, მაგრამ თხემის ეს ნაწილი გაცილებით ციციბო და ვიწრო იყო, ვიდრე ადრინდელი. გზის ბოლო მონაკვეთი დაუძლეველი არ ჩანდა, მაგრამ, ცხადი იყო, რომ მაგარად გავივირდებოდა. მარცხნივ. ისევ საშინელი უფსკრული იყო და დასავლეთ ცირკამდე. ორი ათას ხუთასი მეტრით დაბლა ეშუებოდა. ცირკზე გაშლილი მეოთხე ბანაყის კარები პაწაწკინტლა წერტილებივით მოჩანდა. ხელმარჯვნივ თხემს ისევ უფსკრულზე გადაწოლილი თოვლის ლავგარდანები მიუყვებოდა. უფსკრულის ნაპირიდან, ჩვენს ქვემოთ მდებარე მყინვარ კანშუნვამდე სამი ათას მეტრზე მეტი მანძილი იყო. მწვერვალისკენ მიმავალი გზა ორ უფსკრულს შუა მდებარე ვიწრო დაკლავნილ ზოლზე გადიოდა. საკმარისი იყო, ოღნავ გადახრულიყავ, მარცხნივ ან მარჯვნივ და მშვიდობით.

სამხრეთ მწვერვალზე ერთმა ამბავმა გავახარა: ორ-ორი ბალონიდან, რომლებიც თვითველ ჩვენგანს მიჰქონდა, ერთში ყანგბადი გამოილია, ზურგთან მოვიხსენით და ტვირთი ერთბაშად ცხრა კილოგრამით შევიკმისუბუქდა. გზა რომ განვაგრძეთ, კიდევ ერთი სიამოვნება მივიღეთ — თოვლი მყარი და სიმძლავრე ვახდა. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა უკანასკნელი მონაკვეთის წარმატებით დაძლევისთვის.

— ყველაფერი რიგზეა?

— ა ჩა. ყველაფერი რიგზეა.

სამხრეთ მწვერვალს ერთხანს პატარა დაღმართი მოსდევდა, მაგრამ მერე ისევ მაღლა და მაღლა წავედით. დიდი სიფრთხილე გვმართებდა. გვეშინოდა, თოვლი არ დაეცურებულყო ან ძილიან შორს არ წავწეულყოყავით თოვლის ლავ-



გარდაწვე, რომელიც ჩვენს სიმძიმეს ვერ გაუძლებდა; ამიტომ ერთიმეორეს ვენაცვლებოდით — ერთი რომ წინ მიდიოდა, მეორე თოქს ახვევდა წერაყინს და თოვლში ამაგრებდა. ამ დროს წერაყინი თავისებური ღუნის როლს ასრულებდა. მაინცდამაინც არ დაეღლივართ, მაგრამ, დროდადრო, ისევე, როგორც მთელი ასვლის დროს, სუნთქვა გვიძნელებოდა. ვერღებოდით და ქანგბადის აპარატის მიღს ყინულისაგან ვწმენდით. ამასთან დაკავშირებით გულწრფელად უნდა ვთქვა: პილარი სავსებით სწორი არ არის, როცა ამტიკებს თენსინგს უფრო ხშირად ეკვროდა სუნთქვა და, ჩემს დაუხმარებლად, ვაგუდებოდა კიდევო! მე მგონი ჩვენ ერთნაირ სინდრელებს ვხვდებოდით და, საბედნიეროდ, დიდ სინდრელები არც შევხვებდრია. თვითელი ჩვენგანი მეორეს ესმართოდა და მისგანაც ასეთივე დახმარებას იღებდა.

ცოტა შევისვენეთ და ისევ განვაგრძეთ ასვლა. სულ მალა და მალა მივიწვედით — უფსკრულსა და ლავგარდანებს შორის. და აი, უკანასკნელი სერიოზული დაბრკოლების წინაშე აღმოჩნდით: ეს იყო შეუღლი კლდის კედელი, რომელიც ზედ თხემზეა აღმართული და ხელს უშლის შემდგომ წინსვლას. ჩვენ უკვე ვიცოდით ამ კლდის არსებობა. აეროფოტოსურათებზეც გვინახავს და თიანგზობის მონასტრიდანაც დაკვითვალეობა დურბინდით. დადგა საკითხი: როგორ გადავიდეთ კლდეზე? ან იქნებ შემოვიყაროთ? აღმოჩნდა მხოლოდ ერთი შესაძლო გასასვლელი — ვიწრო ციკაბ, ნაპრალი თვით კლდესა და მოსაზღვრე ლავგარდანს შორის. პილარი წინ წაიდა. ის ნელა-ნელა და ფრთხილად გავიდა ფართო შვერილზე. მერე იძულებული გახდა, ზურგით მიყრდნობოდა კლდეს. ფეხები ლავგარდანისთვის მიებჯინა და ასე ავითრებულყო მალა. მე მეშინოდა, ვაითუ ლავგარდანმა ვერ ვაუძლოს-მეთქი და დასაკავად მთელი ძალდონე მოვიკრიბე. საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. პილარი მშვილობიანად გავიდა კლდის წვერზე, მერე აქც ავყვირე თოქს, რომელიც პილარის ეჭირა.

აქ ისევე უნდა ვთქვა, რომ არ მიმარჩია სავსებით ზუსტად პილარის მონათხრობი (რომელიც მოყვანილია წიგნში „ვეერესტრე ასვლა“). ჯერ ერთი, პილარი ამ კედლის სიმაღლეს დაახლოებით თორმეტი მეტრით სახლვრავს, მე კი ვფიქრობ, რომ ის ხუთ მეტრს არ აღემატება. შემდეგ, პილარის ნაამბობიდან ისე გამოდის, თითქოს მხოლოდ ის აცოცდა კლდეზე, მე კი

პირდაპირ ავუთრევივარ ზევით. თანაც ვაჩვენებოდა დავმხოზილვარ, როგორც „სულშეგუბებულნი“, ძალდონეგამოღებულნი უზარმაზარი თევზი, რომელსაც შეუზოგარი ბრძოლის შემდეგ ამათრევენ ზღვიდან“. შემდეგში მე იძულებული ვიყავი, ხშირად მეკლაა მე „თევზი“, რაც, უნდა ითქვას, სულაც არ მომწონს. სიმართლე კი ისაა, რომ არავინ არ მეზიდებოდა და არც მიმათრევა კლდეზე ისევე, როგორც პილარი, მე თვითონ ავცოცდი. თუ ამ დროს პილარი მიცავდა, მეც ხომ ამასვე ვაკეთებდი მისთვის. ამასთან დაკავშირებით, ერთი რამ უნდა ავხსნა. პილარი ჩემი მეგობარია. ის ჩამებული აღპინსტი და შესანიშნავი აღამიანია და, მე ვამაყობ იმით, რომ მასთან ერთად ავედი ვერერესტრე. მაგრამ, მე მგონია, რომ თავის ნაამბობში ის მაინცდამაინც სამართლიანად ვერ მეპყრობა. ასე გამოდის, რომ, თუ საქმე კარგად მიდიოდა, ეს მარტოდენ მის დამსახურება იყო, ხოლო, თუ რაიმე სინდრე შეგვხვებოდა, ამაში უთუოდ მე მიმიძლოდა ბრალი. ეს უბრალოდ არ არის მართალი. არასოდეს არ დავიწყებ იმის მტიკეებას, თითქოს მარტოდმარტო შევძლებდი ვერერესტრის აღებას. ვფიქრობ, რომ პილარისაც არ უნდა დაეკარა სიტყვა იმაზე, თითქოს მას შეეძლო მარტო წასვლა, ხოლო მე მწვერვალს უიმიოდ ვერ მივაღწევდი. მთელ ვაზე, — იქით და უკან დაბრუნებისას, ჩვენ თანაბრად ვეხმარებოდით ერთმანეთს და ეს ბუნებრივიცაა. მაგრამ ჩვენს შორის არ ყოფილა წამყვანი და გამყოლი. ჩვენ თანასწორუღებანი ბარტნიორები ვიყავით.

კლდეზე რომ ავედით, ისევ შევისვენეთ. ბუნებრივია (ნაპრალებს ასვლის გამო), მძიმედ ვსუნთქავდით, მაგრამ აი, რამდენიმეჯერ შევისუნთქე ქანგბადი და თავს ისევ შესანიშნავად ვგრძნობ. ვიუტრები ზევით — მწვერვალი სულ ახლოსაა; გული სიხარულით მიძგერს. ასვლა გრძელდება. ხელმარჯვნივ ლავგარდანებია, მარცხნივ ისევე უფსკრული, მაგრამ თხემი ისე ციკაბა აღარაა. ახლა ის თოვლით დეფარტრივ ვშვერილებს წარმოადგენს. ერთი შვერილი მეორეს მისდევს, ერთი მეორეზე მაღალია. ჩვენ ისევ ვუფრთხით ლავგარდანებს და, იმის მაგიერ, რომ თვით თხემზე ვიაროთ, ოდნავ მარცხნივ ვუხვევთ — აქ, უფსკრულის პირს, თოვლის ფერდობი მიუყვება. მწვერვალამდე ოცდაათიმდე მეტრზე შიშველი კლდის უკანასკნელი ნაკეთი გვხვდება. ჩვენ ვხვდებით სწორ მოვლანს, რომელიც საკმარისია ორი კარვის გასაშლელად და მე ვეკითხები ჩემს თავს: გაიშლება თუ არა ოდესმე აქ, დედამიწის უმაღ-

. 1 თენსინგს მხედველობაში აქვს პილარის ნაამბობი ასვლის შესახებ (იხ. პანტის წიგნის XVI თავი).





ლესი წერტილის სულ ახლოს, ბანაკი? ვიღებთ ორ კენჭს და ჯიბეში ვინახავ; ისინი ჩემთან ერთად ჩავლენ ქვევით, იმ სამყაროში. მაგრამ აი, კლდე უკან მოვიტოვეთ და ისევ თეთრი შვერილებითა ვართ გარშემორტყმული. ისინი მარჯვნივ უხვევენ; მორიგ შვერილს რომ გავივლოთ, ჩემს თავს ვეკითხები: იქნებ შემდეგი შვერილია უკანასკნელი? როდისღა იქნება უკანასკნელი? და, ბოლოს, გავდივართ ისეთ ადგილზე, საიდანაც ჩანს ის, რაც შვერილებს იქითაა—მალა—ციხის ლურჯი სივრცე, ქვევით—რუხი ბარი. შორს ვადაკიშულა ტბებტი. წინ კი მხოლოდ ერთი შვერილია. უკანასკნელი. მთა წვეტიანი პიკით არ მთავრდება. უკანასკნელი შვერილიდან გვეყოფს იოლად ასასვლელი, საკმაოდ ფართო და თოვლით დაფარული ფერდობი, რომელზეც ორ ადამიანი გაივლის ერთად. ათიოდე მეტრი გავიარეთ და წამით შევჩერდით, ზევით რომ აგვიხედა. მერე განვაგრძეთ გზა...

ბევრი ვიფიქრე იმაზე, რის მოყოლასაც ახლა ვპირებ: როგორ მივალწიეთ მე და ჰილარიმ ევერეტის მწვერვალს. მოგვიანებით, როცა მთიდან დაებრუნდით, ბევრი სულელური ლაპარაკი ატყდა იმის გამო, თუ პირველად რომელმა შევდგით ფეხი მწვერვალზე. ვინ მე მაწერდა პირველობას, ვინ—ჰილარის. ამბობდნენ, რომ ან მხოლოდ ერთ-ერთი ჩვენგანი ავიდა, ანდა სულაც არავინ ასულა; თითქოს ერთმა ჩვენგანმა მიათარი მეორე მწვერვალამდე. ყველაფერი ეს სისულელეა. ბოლო რომ მოგველო ამ ლაყბობისათვის, მე და ჰილარიმ კატმანდუში ხელი მოვაწერეთ განცხადებას, სადაც ნათქვამია, რომ ჩვენ „მწვერვალს თითქმის ერთბაშად მივალწიეთ“. იმედი გვქონდა, რომ ასეთი განცხადება შეწყვეტდა ყოველგვარ მითქმა-მოთქმას. მაგრამ არა, ამით არ დამთავრებულა. ხალხი მაინც განაგრძობდა გამოკითხვას და ათასგვარ ისტორიებს თხზავდა.

გვეკითხებოდნენ, როგორ უნდა გავიგოთ სიტყვა „თითქმისო?“. მთასვლელებს ესმით ამ კითხვის მთელი უპასურობა. მათ იციან, რომ წყვილი ერთ მთლიან წარმოადგენს და მორჩა. მაგრამ სხვებს ეს არ გაეგებათ. სინანულით უნდა აღვნიშნო, რომ ინდოეთში და ნეპალშიც ყოველნაირად მიიძღვებდნენ განმეცხადებინა, თითქოს ჰილარიზე აღრე მე მივალწიე მწვერვალს, ყველგან ამას შეკითხებიან: „ვინ შედგა ფეხი მწვერვალზე პირველად? ვინ იყო პირველი?“

ვიმეორებ: ეს სულელური კითხვაა, მასზე პასუხის გაცემაც არ ღირს. და მაინც, ამ კითხვას ისე ხშირად მისვამენ, ამ კითხვამ იმდენი ქორი, იმდენი მითქმა-მოთქმა და გაუგებრობა

გამოიწვია, რომ ახლა, ბევრი ფიქრის შემდეგ იძულებული ვარ, პასუხი გავცე. ვპასუხობ არა ჩემთვის და არა ჰილარისათვის, არამედ ევერეტისა და მომავალი თაობებისათვის. „რატომ აქციეს ეს ამბავი საიდუმლოებად? — იკითხვენ ისინი—განა აქ სამარცხვინოა რაიმე? რა არის დასაშალო? რატომ არ უნდა ვიცოდეთ სიმართლე?..“ დაე, გაიგონ სიმართლე, ევერეტი მეტად დიადია საიმისოდ, რომ სიცრუე შეპხებო.

ცოტალა გვიკლდა მწვერვალზე ასვლას, როცა შევჩერდით, ზევით ავიხედეთ და გზა ისევ განვაგრძეთ. ჩვენ გვეერთებდა ათმეტრიანი თოვი. მისი დიდი ნაწილი ხელზე მქონდა დახვეულად, ასე რომ ჩვენს შორის მანძილი ორ მეტრს არ აღემატებოდა. მე არ ვფიქრობდი „პირველზე“ და „მეორეზე“. არ ვფიქრობდი იმაზე, რომ „იქ ოქროს ვაშლი ძეგს; ახლა ჰილარის ხელს ვკრავ და ვაშლიც მე დამარჩება-მეთქი“. ჩვენ ნელა-ნელა, მაგრამ სწორად მივდიოდით. და აი, მივადწიეთ მწვერვალს. პირველად ჰილარიმ შედგა ზედ ფეხი, მერე მეც მივეყვი.

აჰ, ესეც პასუხი „დიდ გამოცანაზე“. და, თუ ყოველგვარი ჭორებისა და კამათის მერე, პასუხი მშვიდობიანად და უბრალოდ მოგჩვენებთ, სხვანიარად არც შეიძლება მომხდარიყო. ვიცი, რომ ბევრ ჩემ თანამემამულეს იმედი გაუტრუფებდა. ისინი შეცდომით აზიანდებდნენ „პირველის“ მნიშვნელობას. ყველანი ძალიან კარგად მემტყვიან და მათგან ბევრითაც ვარ დაფალებული, მაგრამ ევერეტისა და ქვემარტების ვალატი არ შემეძლია. თუ სიტყვილია, რომ ჰილარის ერთი ნაბიჯით ჩამოვრჩი, — რა ვუყოთ, ვიცხოვრებ ამ სირცხვილით. მაგრამ მე ამას თავის მოჭრად არ ვთვლი. არც ის არის სირცხვილი, რომ ყველაფერს ისე ვყვები, როგორც სინამდვილეში მოხდა. ისეც და ისეც ვეკითხები საუბრით თავს: „რას იტყვიან ჩვენზე მომავალი თაობები, თუ ამ გმირობის ამბავს საიდუმლოების წყვედილში დაეტოვებთ? განა არ შეტყვებთ ჩვენს მაგიერ, სიკვდილს სიცოცხლეთ ერთმანეთთან დაკავშირებული ორი ამხანაგის მაგიერ, რომლებიც ხალხისაგან რაღაცას მაღავენ?“ და ყოველთვის ერთი და იმავე პასუხს ვიძლევი: „მომავალი მხოლოდ სიმართლეს მოითხოვს. ევერეტის მხოლოდ სიმართლეს მოითხოვს“.

და აი, სიმართლე ნათქვამია. დაემყარეთ მას და ისე გამასამართლოთ.

და აი, აველით. შევდგით ფეხი მწვერვალზე. ოცნება სინამდვილედ იქცა.

პირველ რიგში გავაკეთეთ ის, რასაც აკეთებს მწვერვალის ყველა დამპყრობი: ერთმანეთს ხელი ჩამოვარებეთ. მაგრამ ევერეტზე მარტო



ეს კმაროდა? დაიწყეთ ხელების ქნევა, მერე პილარის გადავხეი და ერთმანეთს იმდენი ვუბაგუნეთ ზურგში, სანამ, ქანებადის მუხე-ღავედ, სული არ შეგვეხუთა. მერე ირგვლივ მიმოვიხედეთ. დღის თორმეტისნახევარი იყო, მზე კასკაშებდა, ხოლო ცა? — ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ამაზე ლურჯი ცა! ტიბეტის მხრიდან მსუბუქი ნიავი ქროდა, თოვლის ღრუბელი, რომელიც მუდამ ახვევია ევერესტის მწვერვალს, სულ პატარა იყო. ვეყურებოდი ქვევით და ვცნობდი ადგილებს, აღრინდელი ექსპედიციებიდან რომ მახსოვდა: რონგბუკის მონასტერი, სოფელი შექარ ძონგი, ქპარტას ხეობა, რონგბუკის მყინვარი, ჩრდილოეთ უნაგირი, მოვადნ სამხრეთ-აღმოსავლეთ მწვერვალი სინაი თხემთან, სადაც მეექვსე ბანაი გავშალეთ 1938 წელს. შემდეგ მივბრუნდი და თვალი მოვაველე ჩვენს მიერ განვლილ გრძელ გზას: სამხრეთ მწვერვალი, გრძელი თხემი, სამხრეთ უნაგირი, დასავლეთ ციკი, ყინულვარდნლი ქუჩუმუს მყინვარი, გზა თიანგბორემდე და თიანგბორეს შემდეგ ჩემი სამშობლო ქვეყნის ხეობებსა და მთა-გორებში.

ხოლო ჩვენს ირგვლივ უსასრულობამდე გამოლილიყო დიდი ჰიმალაები, რომლებსაც ნებალისა და ტიბეტის უმეტესი ნაწილი უჭირავთ. ახლო მდებარე გიგანტების ლოტუსეს, ნუბსესა და მაკალეს მწვერვალები რომ დავგინახა, ქვევით უნდა გაგახედდა. მათ მიღმა ჩამწკრივებული მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალები, თვით კანჩენჯუნგლაც კი, აქედან პატარა გორაკებივით მოჩანდნენ. ასეთი სანახაობა — გელუჩი, მშვენიერი და შემადრწუნებელი — ჯერ არ მენახა და, ალბათ, ეღვარც ვნახავ, მაგრამ შიში არ მიგრძენია. უსაზღვროდ მიყვარს მთები, მიყვარს ევერესტი. იმ დიად წუთში, რომელსაც მთელი სიცოცხლე ველოდი, ჩემი მთა უსიცოცხლო ყინულით დაფარული ქვების გროვა კი არ იყო, არამედ რაღაც თბილი, ცოცხალი და მეგობრული. ის ჰგავდა კრუხს, დანარჩენი მწვერვალები კი მის ფრთხილქვეშ შეფარებულ წიწილებს. მეჩვენებოდა, თითქოს მეც შემეძლო ფრთები გამეშალა და ჩემს საყვარელ მთებს გადავფარებოდი.

ქანებადი გამოვთიშეთ. დედამიწის უმაღლეს წერტილზეც შეიძლებოდა უქანებადოდ სუნთქვა, თუ ძაძლონეს არ დავძაბავდით. ნიღბებს ყინული ჩამოვაფხიკეთ. პირში ყინულის ლოლუა ჩავიდევით. შემდეგ ნიღბები ისევ გავიკეთეთ, მაგრამ ქანებადი არ შეგვიერთებია, სანამ დაშვება არ დაიწყეთ. პილარიმ ფოტო-აპარატი ამოიღო, რომელიც სიცივისაგან დასაფარავად ტანსაცმელზე უკონდა დამაღული. მე წერაყინზე შემოხვეული დროშები გავშალე. დროშები წერაყინის ბოლოს დამაგრებულ

ზონარზე მქონდა ასხმული; წერაყინი დროშების ბიანად ავწიე მაღლა და პილარიმ სურათი გადაიღო. მან სამი კადრი გადაიღო. მე დიდ წარმატებად მიმანია, რომ ასეთ ძნელ პირობებში გადაღებული სამი კადრიდან ერთი ძალიან კარგი გამოვიდა. დროშები ასე იყო განლაგებული: ჯერ გაერთიანებული ერების, შემდეგ დიდი ბრიტანეთის, მერე ნუპალისა და, ბოლოს, ინდოეთის. ადამიანები, რომლებიც საერთოდ ამახივებდნენ ჩვენი ექსპედიციის მნიშვნელობას, ცდილობდნენ დროშების ასეთი განლაგებისთვისაც მიეცათ რაიმე პოლიტიკური აზრი. ამის გამო მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მაშინ სულაც არ მახსოვდა პოლიტიკა. წინააღმდეგ შემთხვევაში ზევიდან, ალბათ, ინდოეთის ან ნუპალის დროშას მოვათავსებდი, თუმცა ვერც მაშინ გადაწყვეტილი იოლად, რომლისთვის მიმეცა უპირატესობა. ისე კი, ნამდვილად მოხარული ვარ, რომ ყველაზე მაღლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროშა იყო: ჩვენი გამარჯვება ზომ არა მარტო ჩვენი, არა მარტო ჩვენი ორი ერის, არამედ მთელი მსოფლიოს ადამიანების გამარჯვებაა.

პილარის სურათის გადაღება შევთავაზე, მაგრამ, უარის ნიშნად, თავი ვააქნია — რატომაც არ მოისურვა. სამაგიეროდ ირგვლივ ყველაფერს იხებდა. მე ამ დროს სერიოზულ საქმეს ვაკეთებდი. ჯიბიდან ტკიბილუელი და ის ლურჯ-წითელი ფანჯარი ამოვიღე, ნიშან რომ მომცა. თოვლში პატარა ორმო ამოვთხარე და ყველაფერი შიგ მოვათავსე. ეს რომ დინახა, პილარიმ შავი ნაჭრის, თეთრთალებს დასუნია — თლისმა ვაბომიწოდა, რომელიც ჰანსს მიეცა წამოსვლისას; ფისუნიაც იქ ჩავდევი, პილარი ამბობს, ჰანსმა ჯვარი მომცა და მწვერვალზე დავტოვე; შეიძლება ასეც იყო, მაგრამ მე არაფერი შემომჩნევია. მისგან მხოლოდ ნაჭრის ფისუნია მივიღე და ტკიბილულისა და ფანჯარის გვერდით დავდევი. „შინ ტკიბილუით ვუმსაპინძლდებით ჩვენთვის ახლობელ და ძვირფას ადამიანებს, ევერესტი ყოველთვის ძვირფასი იყო ჩემთვის, ახლა კი მახლობელიც გახდამეთქი“, — ვეჭიკრობდი. საჩუქრებს თოვლი რომ წავაყარე, ლოცვა და მაღლობა წარმოვთქვი. შევდჯერე წავდი ჩემი ოცნების მთაზე და აი, მეშვიდედ, ძვლის შეწვევით, ოცნება სინამდვილედ იქცა.

„თუჯი ჩეი, ჩომოლუნგმა. მაღლობელი ვარ...“

მწვერვალზე თხუთმეტი წუთი დაეყავით. დაბრუნების დროც დადგა. წერაყინი დაშვებისას დამეპირდებოდა. ამიტომ აქ ვერ დავტოვებო. ზონარი შევსხენი, დროშები თოვლზე გავფინე, ზონრის ბოლოები კი რაც შეიძლება, ღრმად ჩავფალი თოვლში. რამდენიმე დღის



შემდეგ ინლოეთის თვითმფრინავებმა გადაუარეს მწვერვალს სურათის გადასაღებად. მფრინავებს ჩვენს მიერ დატოვებული საგნები ვერ დაუნახათ. ან თვითმფრინავები იყვნენ ძალიან მაღლა, ან იქნებ ჭარმა გადააგდო დროშები — არ ვიცი.

დაბრუნებისას ერთხელ კიდევ დავათვალიერეთ ყველაფერი. იყვნენ თუ არა მელორი და ირვინი? მწვერვალზე? ხომ არაფერი დარჩა აქ მათ შემდეგ? ჩვენ ძალიან ყურადღებით ვაკვირდებოდით ყველაფერს, მაგრამ ვერაფერი აღმოვაჩინეთ. და მაინც ისინი აქ იყვნენ — ჩემს ფიქრებში და, დარწმუნებული ვარ, პილარის ფიქრებშიც. და არა მარტო ისინი, აქ იყვნენ ყველანი, ვინც ადრე ევერესტის ექსპედიციებში მონაწილეობდა, ევროპელებიცა და შერაბებიც; ინგლისელები და შვეიცარიელები, შესანიშნავი მთასვლელები და მამაცი ხალხი; ოცდაცამეტი წელი ოცნებობდნენ და შეტევებზე გადადიოდნენ, იბრძოდნენ და მარცხდებოდნენ ამ მთაზე, და ჩვენი გამარჯვებაც მხოლოდ მათი გამოცდილების, აღმოჩენებისა და სიმამაცის წყალობით გახდა შესაძლებელი. მე ვფიქრობდი ქვევით დარჩენილ ამბავებზე — მათ გარეშე, მათი დახმარებისა და თავგანწირვის გარეშე ჩვენ აქ ვერასოდეს ვერ ამოვიდოდით. მაგრამ ყველაზე ნათლად ჩემი მეგობრის რაიმონ ლამბერის სახე მედგა თვალწინ. ისე ახლო, ისე მკაფიოდ ვხედავდი ლამბერს, თითქოს ეს მოჩვენება კი არა, სინამდვილე ყოფილიყოს. საკმარისა მივბრუნდე, და დავინახე მის ფართო, მომღიმარ სახეს, გავიგონებ მის ხმას Ga va bien, თენისნე! Ga va bien!\*

მაგრამ ლამბერის შარტი ნამდვილად ჩემთან იყო. ყალბე მჭიდროდ შემოვიხადე. „როცა დადებრუნდები, — ჩემ თავს ეუთხარი — შარფს პატრონს გაუეგზავნი-მეთქი“. სიტყვა მივეცი ჩემს თავს და ასეც მოვიქეცი.

ევერესტის აღების შემდეგ უამრავ კითხვას მაძლავდნენ. ეს კითხვები მარტო პოლიტიკური ხასიათისა როდი იყო. აღმოვივლეთა კითხვები ხშირად ეხებოდა რელიგიურ და ზებუნებრივ საქმეებს. „ნახე თუ არა მწვერვალზე ღმერთი ბუდა? — მეკითხებოდნენ ისინი. ან კიდევ: „დაინახე ღმერთი შივა?“ ბევრი მორწმუნისთვის, მინდოდა თუ არა, უნდა მეთქვა, რომ მწვერვალზე ან მჩვენება გამოიქცხადა, ანდა გულთამხილავად ვიქეცე. მაგრამ აქაც, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ბევრს იმედი გაუტრუდევს, მხოლოდ სიმართლე უნდა

ეთქვა. სიმართლე კი ისაა, რომ ევერესტზე ზებუნებრივი არაფერი მინახავს და არც რაიმე ზეადამიანური განმიცლია. ევროპელები ღმერთთან საოცარ სიახლოვეს და ეს ჩემთვის საკმარისი იყო. გულის სიღრმეში ღმერთს მაღლობა შეეწივრი, უკან დაბრუნებისას კი ძალზე მიწიერი და საქმიანი თხრობით მივმართე — გამარჯვება ხომ გვაქვია, ახლა მოგვეხმარე და ქვევითაც ცოცხლები ჩავიყვანე-მეთქი.

ჩაერთეთ ეანგზადის აპარატები და დავეშვიტ. მართალია, ჩამოსვლა ძალიან გვეჩქარებოდა, მაგრამ ფრთხილად და ნელ-ნელა მოვდიოდით — რაც არ უნდა იყოს, დავილაღეთ და რეაქციაც ისეთი აღარ გვექონდა. მთებში უზედური შემთხვევები მეტწილად იმის გამო ხდება, რომ დაღლილი ადამიანი საკმაო სიფრთხილეს ვერ იჩენს ძირს დაშვებისას. ნაბიჯ-ნაბიჯ ეშვებოდით ციკაბო თოვლიან კალთაზე და ხშირად ვსარგებლობდით იმ საფეხურებით, ზევით მიმავლებმა რომ გვიჭკერიოთ. ნაპრალიანი კლდე შედარებით ადვილად გადავლახეთ; ის კი არა და ერთ ხანს ხტუნა-ხტუნვითაც კი ჩამოვიდოდით. შემდეგ ისევ თხემით ვიარეთ. ფეხი გვისხტებოდა და სიმძიმე ქუსლებზე გადავგვქონდა. ერთი საათის შემდეგ სამხრეთ მწვერვალთან ჩამოვედით. მთელი ამ ხნის მანძილზე პილარის წინ მიდიოდა, მე მივყევობოდა და საშუა ადგილებში თოკით ვიცავდი. დაღლილობის მიუხედავად, ძალა კიდევ გვერჩოდა. ყველაზე მეტად წყურვილი გვაწუხებდა. მთარებში წყალი გაიყინა და ვერც თოვლს ვკამდით, შეიძლება ყელის ანთება დაგვმართოდა.

სამხრეთ მწვერვალზე შევისვენეთ. შემდეგ თოვლიანი ფერდობი უნდა ჩაგვევლო. ახლა ის კიდევ უფრო იყო საშუაში, ვიდრე ასკლისას. პილარი მთელ ძალდონეს ძაბავდა, რომ არ მომწყდარიყო; ისე ძლიერ ღუნავდა მხოლოდ, რომ დროდადრო თოვლში იჯდა. მე თოკი მაგრად მეჭირა და ვკვიმავდი იმ შემთხვევისათვის, თუ პილარის ფეხი დაუსხტებოდა — ჩვენს იქით უფსკრული ეშვებოდა კანშუნგის მყინვარამდე, აქედან სამი ათასი მეტრით დაბლა. მაგრამ ეს უზანიც მშვიდობიანად გავიარეთ და ცუდი გზა უკან დარჩა. ცოტა ხნის მერე ბურღილონისა და ევანისის მიერ დატოვებული ეანგზადის ბალონები ავიღეთ და სწორედ სულზე მოგვისწრო: ჩვენი მარაგი უკვე თავდებოდა. დღის ორი საათისთვის ზემო ბანაკში ჩამოვედით და ცოტა შევისვენეთ; პრიმუსზე ცოტაოდენი ლიმონათი გვათბებოდა. რამდენიმე საათის შემდეგ სასმელი პირველად მივიღეთ და გვეგონა ხელახლა დავიბადეთ.

მაგრამ აი, მეცხრე ბანაკიც უკან დარჩა. მოვიდოდით თხემის გასწვრივ, გვერდით ჩაუტარეთ

\* სახელგანთქმული ინგლისელი ალბინისტები. 1924 წელს მონაწილეობდნენ ევერესტის მესამე ინგლისურ ექსპედიციაში. მწვერვალის იერიშიდან უკან აღარ დაბრუნებულან.



შევიკარული ბანაის ნაშთებს და დიდი დერეფნით სამხრეთ უნაგირისკენ წავედი. ამ ადგილზე ჩვენი ნაველევი ზოგან შემონახულიყო, ზოგან ქარს წაეშალა. მაგრამ მთის კალთა ძალიან დაქანებული იყო, იძულებული ვიყავით, ახალი საფეხურები გაგვეჭრა, რადგან წრიაპებიც ვეღარ გვიცავდა სრიალისგან.

ადგილები შევინაცვლეთ — ახლა მე მივდიოდი წინ და ხან ჭუსლით, ხანაც წერაყინით გვირდი საფეხურებს. დრო მძიმედ გადიოდა. მაგრამ აი, უნაგირზე კარვები და მოძრავი წერტილები გამოჩნდა და თანდათანობით გაიზარდა. სულ მალე ზედ უნაგირზე შევდგით ფეხი. ჩვენს შესახვედრად ამ ბანაის უფროსი ლოუ მოიჩქაროდა. ლოუ გადაგვეხვია და იქვე დაგვალევირა ცხელი ყავა, მერე სხვებიც მოგვეშველნენ და ბანაკამდე მიგვიყვანეს.

გრეგორი იმავე დღეს ადრიაანად წასულიყო ქვევით. სამაგეროდ ნოისი და შერპა პასანგ პპეტარი<sup>1</sup> ამოვიდნენ და ახლა ლოსთან ერთად თავი არ დაუზოგავთ, რომ გავებთ და მოხერხებულად დავებნავებინეთ. ლოუმ ყავა უკვე დაგვალევირა, ახლა ნოისმა მოიტანა ჩაი. ალბათ, ძალიან ღელავდა, წყალს რომ აღუღებდა, რადგან პრიმუსი გადაყირავებინა. ჩისაც ნავთის გემო დაჰკრავდა, მაგრამ ჩვენთვის სულ ერთი იყო. ეს ჩაი ახალ ნაღებს მერჩია, რადგან ვიცოდი, რომ კეთილი გულით იყო მომზადებული. რა თქმა უნდა, ქვეყნის კითხვები დაგვყარეს. მაგრამ იმ წუთში ლაპარაკიც არ შეგვეძლო დასვენება გვესაჭიროებოდა. ბინდი ჩამოწვა და აცივდა, ჩვენ საძილე ტომრებში შევრგეთ თავი. ჰილარი, ლოუ და ნოისი ერთ კარავში მოთავსდნენ. მე და პასანგი — მეორეში. მშვილად ვიწექი, „ლამის თანგბადით“ ესუნთქავდი და ძილი მერეოდა. თავს ა ჩა — კარგად ვგრძნობდი, მაგრამ ძალიან დავიქანე. აღარც ფიქრის თავი მქონდა და აღარც განცდის.

<sup>1</sup> ეს სხვა პასანგ პპეტარია და არა ყოველი, რომელმაც ექსპედიცია დატოვა თიანგოჩეში.

„ნამდვილი სიხარული, — ვფიქრობდი მე — უფრო გვიან მოვა“.

მაშ ასე, ევერესტი აღებულა. ცხოვრება გრძელდება. ამ წიგნში წარსული გავიხსენე, მაგრამ კაცი წინ უნდა იყურებოდეს.

ერთხელ, მხოლოდ ერთხელ, ჩემს ახალ ცხოვრებაში ის გაეაყეთ, რასაც წინათ ასე ხშირად ვაკეთებდი: გამთენიისას დარჯილინგთან მდებარე ვეფხვის გორაკზე ავედი და ჩრდილო-დასავლეთისკენ გავიხედე. არც ერთი ტურისტის, მხოლოდ რამდენიმე მეგობარი მახლდა თან. შეგველო წყნარად მდგარიყავი და გეცქირა, როგორ ამოდიოდნენ წყვილიდან უზარმაზარი თეთრი მწვერვალები. მეც ვიღვექი და ვუცქერდი. და აი, უცებ წარსული დამიბრუნდა. სრულიად სხვა დილა, სრულიად სხვა წელი. გორაკზე ვიღვექი და შევიდ ამერიკელ მანდილოსანს ვუხსნიდი:

„არა, ეს არა — ეს ლოტსეა. არც ის — ის მაკალუა. აგერ, აი ის, სულ პატარა“.

„ის, სულ პატარა“... ალბათ უცნაურია დედამიწის უღადადს მწვერვალზე ასე ლაპარაკი, მაგრამ იქნებ, არც უცნაური იყოს და არც შეცდომმა, რადგან რა არის ევერესტი იმ თვალის გარეშე, რომელიც მას ხედავს? დიდა ის, თუ პატარა, — ეს ადამიანის სულზე დამოკიდებული.

ვეფხვის გორაკიდან ევერესტი მცირე ხნით ჩანს. აი, მზე მალა აიწია, ღრუბლები დაიძრნენ. ახლა ის არც დიდა და არც პატარა, გაქრა. დროა მეც დაუბრუნდე დარჯილინგს, სახლს, ოჯახს, ახალ ცხოვრებას, რომელიც ასე ძლიერ განსხვავდება ძველისაგან. ერთერთი მეგობარი მეკითხება:

— აბა, რას იტყვი, ახლა რაღას გრძნობ?

მაგრამ მე არ შემიძლია ვუპასუხო. მე შემიძლია ვუპასუხო მხოლოდ ევერესტს და ისიც ჩემს გულში, როგორც იმ დილით, როცა დავიხარე და მწვერვალზე ლურჯ-წითელი ფანქარი დავდე:

— თუჯი ჩეი, ჩომოლუნგმა, მადლობელი ვარ.

თარგმნა ლ. ჩხიტიძე





## მეუარე ბასი

მრავალმხრივი იყო „კლაპზუბების გუნდის“ ავტორის, ედუარდ ბასის (1888 — 1946) შემოქმედება. სატირული ლექსები, აქტუალურ თემაზე დაწერილი მიმოხილვები, საგაზეთო მოწინავე წერილები, ფელეტონები, მოთხრობები, უფრო გვიან კი, ორმოციან წლებში რომანები — აი, ის ლიტერატურული ჟანრები, რომლებშიც მას უხდებოდა მუშაობა. ჩვენმა მწერალმა ედუარდ ბასმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა შემოიტანა მხატვრულ ლიტერატურაში სპორტული თემა. მისი „კლაპზუბების გუნდი“, რომელიც ჯანსაღი, სპორტული სულითაა გაჭელთილი და აღსაყვება პაშეკისებური იუმორით, ერთ-ერთი საყვარელი წიგნთაგანია ყველა ასაკის მკითხველისათვის, ამიტომაც, რომ იგი მრავალჯერ გამოიცა არა მარტო მწერლის სამშობლოში, არამედ საზღვარგარეთაც.

# კლაპზუბების გუნდი

### I

ცხოვრობდა ოდესღაც ღარიბი გლეხი კლაპზუბი და ჰყავდა თერთმეტი ვაჟი. არ იცოდა ღატაკმა, რა გზაზე დაეყენებინა ისინი, ადგა და შეიღებინა აგან ფეხბურთის გუნდი შეადგინა. მისი სახლის მახლობლად იყო სწორი, ღამაზი მინდორი, რომელიც სათამაშო მოედნად გამოიყენა. გაყიდა მოხუცმა თხა, ადებული ფულით ორი ბურთი შეიძინა და ბიჭებმა ვარჯიში დაიწყეს. ყველაზე უფროსი — ლონიერი და ახმახი გონა, კარში დადგა, უმცროსი ბიჭებმა — ფრანტიკი და იურა, მკვირცხლები და დაბლები იყვნენ, მოხუცმა კლაპზუბმა ისინი ვარჯიშობებდა დააყენა. მამა დღითი ძალზე ადრე აღვიძებდა შეიღებს და მათთან ერთად, ერთი საათის განმავლობაში ტყე-ტყე დადიოდა ჩქარი ნაბიჯით. ექვსი კილომეტრის გავლის შემდეგ ისინი ჩორთით ბრუნდებოდნენ უკან. მერე ბიჭები საუზმობდნენ და იწყებდნენ ბურთით ვარჯიშს. მოხუცი კლაპზუბი მკაცრად ადევნებდა თვალს, რომ თვითველ მოთამაშეს ყველაფერი ცოდნოდა; ასწავლიდა ბურთის პაერში დაჭერას, გაჩერებას, მიწოდებას, ცრუ მოძრაობებს, დარტყმას ადგილიდან, შეუჩერებლად, ცენტრში ჩაწოდებას, უკან დაბრუნებას, მოტყუებას, თავით თამაშს, თერთმეტმეტრიანი საჯარიმოს დარტყმას, კუთხურის ჩამოწოდებას, თამაშში ბურთის შეყვანას, ბურთის ართმევას მოწინააღმდეგის ფეხიდან, მკვირდით გაჩერებას, კომპინაციის გათამაშებას სამ თავდამხმელს შორის, ნახევრადმცველებს შორის, შეტევას, თავდაცვას, ბურთების შეგდებას, მრავალმხრივი კომპინაციების გამოყენებას, მისწრაფებას, გამოსვლას, უკუვდებას, თამაშვარჯიშე მდგომარეობიდან თავის დაღწევას, ჩადგმულ ფეხზე გადახტომას, დამცველის მოტყუებას, ბურთის დარტყმას ფეხის წვერით, ზურგით, მუხლით, ქუსლით, როგორც ხედავთ, კლაპზუბი ბიჭებს ბევრ რამეს ასწავლიდა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ისინი საგანგებოდ ვარჯიშობდნენ სირბილსა და ხტომაში. თვითველ მათგანს უნდა ერბინა 50 იარდიდან 2 მილიმედ, გადახტარიყო სივრცეზე, სიმაღლეზე, ჭოკით. ევარჯიშნა სამაგ ხტომაში, წინააღმდეგობის გადალახვაში და, რაც მთავარია, აეღო უეცარი, სწრაფი სტარტი. არც ამით თავდებოდა საქმე — თვითველი მათგანი სტყორცნოდა ბირთვს, შუხსა და ბაღროს, რათა განეეითარებინა მხრები, ჭიდაობდა, რათა გამაგრებოდა კუნთები, ხოლო იმისათვის, რომ სხეული რკინას დამსვაგესებოდა — ჭიმავდნენ ბაგირს. მაგრამ პირველ რიგში, სუნთქვის დასაყენებლად, მათ დაიწყეს მსუბუქი გი-



რებით ვარჯიში; მოხუც კლავაზუნს სჯეროდა, რომ სწორი სუნთქვისა და ნორმალური პულსის გაკრძელების რეჟიმზე ყოველგვარი ვარჯიში საზიანო იყო. ერთი სიტყვით. უამრავი საქმისგან დაღლილი ბიჭები შუადღისას ბრუნდებოდნენ სახლში და მგლებივით ნთქადნენ ყველაფერს, რაც ქოთნებში და ტაფებზე ხედებოდათ. მერე მკვდრებივით მიყურებოდნენ: ზოგი იატაკზე, ზოგი — გარეთ, მიწდორზე, და ერთ საათს ასე ისვენებდნენ. ამ დროს მათ ლაზრანდარობისთვის არ ეცალათ, ყველას სიამოვნება გაუნძრევლად წოლა. ერთი საათის შემდეგ მოხუცი კლავაზუბი დაბერტყავდა თავის ჩიბუხს, გაბაზღებდა, დაუსტვენდა ბიჭებს და ყველაფერი თავიდან იწყებოდა. საღამოს მამა თვითონაც იცვამდა ბუციებს და მეოთხრეტივით მოთამაშედ უერთდებოდა შვილებს. თამაშობდნენ ორ კარში, ექვსი ექვსის წინააღმდეგ. მერე ჯგუფად შემოდიოდნენ სახლში. კლავაზუბი რივირივით უწეულდა მათ კუნთებს, თვითუღს სამ-სამ კასრ წყალს ასხამდა (შინ შხაპი არ ჰქონდათ), ავახშებდა, ცოტა ხანით ლაზრანდარობის ნებასაც მისცემდა და შემდეგ დასაძინებლად ისტუმრებდა. დილით ისევ ბიჭებივით იწყებდა საქმეს ხელს. ასე ავარჯიშებდა შვილებს ყოველდღე. მესამე წლის ბოლოს კლავაზუბი პრალაში წავიდა და ჩამოიტანა აბრა, რომელიც თავისი ეზოს ქიშკარზე მიაკრა. აბრის თეთრ ფონზე წითელი ასოებით ეწერა:

### სპორტული კლუბი. კლავაზუბების ბუნდი

ჯიბეში მოხუცს ედო ჩეხეთის ცენტრალური რაიონის სამმართველოს მოწმობა, იმის შესახებ რომ კლავაზუბების გუნდი ჩარიცხული იყო მესამე ჯგუფში. ბიჭები გაბრაზებას აპირებდნენ ამის გამო, მაგრამ მოხუცმა კლავაზუბმა თქვა:

— ყველაფერს თავისი რიგი და წესი აქვს, ღმერთმა ქნას, რომ „სლავისას“ გამოვავლოთ პირში ჩალა, მაგრამ ჯერ იქამდე ძილწევია საჭირო, მე ყველაფერი შეგასწავლეთ, რაც საჭირო იყო, ახლა თქვენ გაიკეთეთ ზუა. ასეა ეს ქვეყანა მოწყობილი.

ბიჭებმა ცოტა ხანს კიდევ იკამათეს, მერე დასაძინებლად წავიდნენ. მხოლოდ ფრანტიკი და იურა ჩურჩულდებდნენ, როგორ აჯობებდნენ ისინი რაცს, როგორ შეუვადებდნენ ხანებს აუღებელ, მოუგერიებელ ბურთს, როგორ დასვამდნენ მშრალზე, „სპარტელ“ გოერას, ხოლო რეერას გაუტანდნენ ბურთის კარის სულ ზედა კუთხეში.

ვაზაფხულზე დაიწყო ჩემპიონატის გათამაშება. კლავაზუბების გუნდი პრალაში გამგზავრა გლეზოჩიკის ატლეტურ კლუბთან სათამაშოდ. მათ არავინ იცნობდა; მათი გვარებისა და სახელუბის გაგონებაზე ხალხი იციინოდა, უფრო მეტად კი აოცებდათ თერთმეტი გაოცებული, დაბნეული, ცხერის ტყავის ქუდებიანი სოფლები ბიჭის დანახვა, რომლებიც პირველად ჩამოიყვანა ქალაქში ჩიბუხიანმა მოხუცმა. მაგრამ როდესაც კლავაზუბებმა დაიკავეს თავთავიანთი ადგილები მოედანზე და მსაჯმა მისცა ნიშანი, დაიწყო საოცარი სანახაობა. პირველი ნახევარი დამთავრდა კლავაზუბების სასარგებლოდ, ანგარიშით 39:0, მეორე ნახევარში კი გლეზოჩიკის ატლეტურმა კლუბმა გამოსვლაზე უარი თქვა. როგორც ჩანს სამმართველოში შეცდნენ, — განაცხადეს დამარცხებულებმა — ჩვენი მოწინააღმდეგე მსაჯე ჯგუფის გუნდი არ არისო. მოხუცი კლავაზუბი სკამზე იჯდა და ყურს უვადებდა საუბარს, ჩუმად იციინოდა, ჩიბუხს ათამაშებდა პირში და ხვადი კატასავით უბრწყინავდა თვალები. როცა მიხვდა, რომ ეს ამბავი მსაჯესაც გაუგებრობად მიარნდა და ცენტრალურ სამმართველოში აპირებდა საქმის გარკვევას, მოხუცი კლავაზუბი თავის ბიჭებთან მივიდა, მხრებზე დაკრა ყველას ხელი და სახლისკენ წაუძღვდა.

ოთხშაბათს ფოსტალიონმა მას დიდი წერილი მოუტანა, რომელიც იტყობინებოდა, რომ რაიონის სამმართველოს გადაწყვეტილებით, კლავაზუბების გუნდი გადაყვანილია მეორე ჯგუფში და კვირას იგი შეხვდება ერშოვიცეს სპორტულ კლუბს. მოხუცი კლავაზუბი ხარხარებდა, მასთან ერთად ხარხარებდნენ მისი ვაჟებიც.

კვირას ისინი ვრშოვიცეში იყვნენ. სტადიონზე ცოტა მაყურებელი როდი შეგროვდა, რადგან პრალაში უკვე ხმა დაირიხა კლავაზუბების შესანიშნავი გუნდის შესახებ. მოხუცი კლავაზუბი, თავისი განუყრელი ჩიბუხით, კვლავ დაჯდა სკამზე, თვალი ჩაუკრა ბიჭებს და — მათ მოიგეს მატჩი ანგარიშით 14:0. კვლავ ატყდა აურზაური და კვლავ მოვიდა წერილი, რომ კლავაზუბების გუნდი გადაყვანილია პირველ ჯგუფში. ახლა უკვე აღარ შეიძლებოდა უკან დახევა. და კლავაზუბების გუნდიც ერთიმეორეზე უკებდა სხვადასხვა კლუბებს: კროჩევლევის სპორტულმა კლუბმა წააგო მასთან ანგარიშით — 0:13, კოშირკეს „სპარტამ“ — 0:16, კლადნოს „სპარტამ“ — 0:11, კარლინის „ჩეზიამ“ — 0:9, „ნუსელსკაიას“ სპორტულმა კლუბმა — 0:12, პრალის „მეტეორ VIII“ — 0:10, ჩეხეთის ატლეტურმა სპორტულმა კლუბმა — 0:8, კლადნოს სპორტულმა კლუბმა — 0:15, ჟიკოვის „უნიონმა“ — 0:4, „ვიქტორკამ“ — 0:6 ნახევარფინალში ისინი შეხვდნენ „სპარტას“. ამ კვირაში მოხუცმა კლავაზუბმა ბიჭებს უფლება მისცა ჩატარებინათ მსუბუქი ვარჯიშები, გაძლიერებოთ უკეთებდა მასაც. კვირას, მატჩის წინ, გუნდში გადაადგილება მოახდინა.



ორი საათის შემდეგ მან დეპეშა გაუგზავნა თავის მეუღლეს:

„სპარტამ“ წააგო 0 : 6.

იმვე კვირას „სლაივამ“ მოუგო „უნიონს“ — 3 : 2, და ერთი კვირის შემდეგ ისინი შეხვდნენ კლაპზუბებს. ლეტნის ქრწაზე ისეთი ჭედვა იყო, რომ იძულებული გახდნენ გამოეძახათ ჯარი და ქრწა გადაეკეტათ. დანარჩენი შეჯიბრებები გადაიდო, რათა ყველა მსურველს ჰქონოდა საშუალება ენახა კლაპზუბების თამაში. გუნდი ავტობუსით მოვიდა. მოხუცი კლაპზუბი მძლოსის გვერდით იჯდა და ხალხს გაპყურებდა. მან თავისი ბიჭები გასახდელში შეიყვანა, დაუცადა, სანამ გადაიცამდნენ და შემდეგ უთხრა:

— რას იტყვით, ბიჭებო, შევეყაროთ ბურთები?

— შევეყაროთ! — უპასუხეს ბიჭებმა და მოედანზე გავიდნენ. მამა კი კომიტეტის ორმა წევრმა ლოკავში მიიწვია, სადაც ის პრალის ბურგომისტრის, პოლიციის უფროსის და ფინანსთა მინისტრის გვერდით დაჯდა. ლოკავში თამაბაქოს მოწვევა არ შეიძლებოდა, მაგრამ როდესაც მოხუცმა კლაპზუბმა ჩიბუხი ამოიღო, პოლიციის უფროსმა თვალი ჩაუკრა პოლიციელებს: ამ ბატონს შეუძლია მისწიოსო. ამასობაში მოედანზე ჩიბუხი ატყვდა ფოტორეპორტიორთა შორის — ისინი სამოცზე მეტნი იყვნენ და ყოველ მათგანს უნდოდა კლაპზუბების გუნდის გადაღება. კლაპზუბებმა თამაშის მალაღობა გამოამჟღავნეს. „სლაივაც“ კარგ ფორმაში იყო, მაგრამ უკვე ბევლ ნახევარშივე ავებდნენ სახით ნოლზე. მეორე ნახევარში ბურთი კიდევ ორჯერ გავებია მათ ხელში. კლაპზუბების გუნდი ვულშემატიკობებმა ციმციმ მიიყვანეს სასტუმრომდე. სასტუმროს წინ ისეთი ჭედვა იყო, რომ პოლიციის უფროსმა მოხუც კლაპზუბს თხოვა, აივნიდან სიტყვით მიმართე ხალხსო, უამისოდ ისინი არ დაიშლებინათ. მოხუცი კლაპზუბი აივანზე გავიდა, გამოიღო პირიდან ჩიბუხი, ცხვირის ტყავის ფეხები შეისწორა და როდესაც ხალხი მიწყარდა, დაიწყო:

— პოდა, მამ ასე! მე მათ ვუთხარა: „ემშამკა წაიდოს თქვენი თავი, შეჰყარეთ ბურთები!“ და მათაც შეჰყარეს. ყველაფერი კარგად მთავრდება, როდესაც შვილები ყურს უგდებენ მშობლებს.

ასეთი სიტყვით მიმართა მოხუცმა ოცი ათას კაცს, როდესაც მისმა გუნდმა გაიმარჯვა ქვეყნის პირველობაზე, საერთო ანგარიშით — 122 : 0.

II

პირველობა ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო, საზღვარგარეთის პრესა კი შეივსო კლაპზუბების გუნდის ამბებით. ევროპის დიდი სპორტული გაზეთების კორესპონდენტები უკვე გაემგზავრნენ ვენაში, რათა საკუთარი თვალით ეხილათ „მწვეან მინდერის საორება“. ქვემო ბუკვიჩების ღარიბულ ქოხში კი ერთმანეთს ენაცლებოდნენ ფართო პალატოებსა და ეკებში გამოწყობილი უცნობი ადამიანები, რომლებიც მოხუც კლაპზუბს მატჩების ჩატარებას სთავაზობდნენ საზღვარგარეთ. კლაპზუბი უსმენდა, ყველა დანაბირებს იწერდა ძველ კალენდარში, მერე ხშირად მიუჯდებოდა ხოლმე ამ ჩანაწერებს. ბიჭებმა იცოდნენ, რომ მამას რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ განგებ არ ეკითხებოდნენ, რადგან პირველობა ჯერ არ დამთავრებულიყო. „სლაივისთან“ ჩატარებული სახელოვანი მატჩის შემდეგ ბიჭებმა დედას ჩაუტანეს უამრავი გაზეთი, სადაც მათ შესახებ დამეხვედით უზარმაზარი სტატიები და ფოტოსურათები. საცოდავი ქალი აცრემლდა, როცა ნახა, რა პატივისცემითაც სარგებლობდნენ მისი შვილები, და ღმერთს მადლობა გადაუხადა: ყველა გაპირებმა განვილია, შვილებს აღარ დაჰპირდებოდათ წელში წყევტაო.

— რას ბუტბუტებ, მარია? — ჰკითხა მას მოხუცმა კლაპზუბმა.

— სანამ ჩვენი შვილები მოსწავლენი და შეგირდები იყვნენ, — უპასუხა დედამ, — მეცოდებოდნენ; წვალობდნენ საწყლები, ახლა კი ოსტატები გახდნენ, შეუძლიათ დაისვენონ. აი, ოსტატი კოპეიტკო, მთელი სიცოცხლე ხარისხით მუშაობდა, ახლა უფროსია, შეგირდებს ამუშავებს.

— ღმერთო ჩემო, რას ამბობ, მარია! — თავი გააქანია კლაპზუბმა, — ქალები ვერასოდეს ვერ ერკვეოდით სპორტში. შენ ალბათ გგონია, რომ დაეჭირავენთ ახლა თერთმეტ კაცს, რომლებიც ჩვენს მაგივარდ ითამაშებენ და ისა დაგვეჩება გასაკეთებელი, დავჯდეთ და მათ ვუყუროთ!

— რა თქმა უნდა... ეს ყველაზე უკეთესი იქნებოდა...

— აზრადაც არ მოგივა, რასაც ეს დაწყველილი ქალი მორჩავს ხოლმე! სწორედ ახლა დავგატყვება თავს მთელი საზრუნავი. ბიჭებო, მოდით აქ!

კლაპზუბმა ამოიღო თავისი კალენდარი, დაბერტყა ჩიბუხი, ცხვირზე სათვალე წამოიგა, გადახედა, ყველა იყო თუ არა ადგილზე, და დაიწყო:

— მამ ასე, ყველანი აქა ვართ. ახლა შეხედეთ იურას ცხვირს.

ყველა იურასკენ მიბრუნდა. ის კი ერთბაშად გაწითლდა, თუმცა ცხვირზე არაფერი ჰქონდა.

— არა, თქვენ კარგად დააკვირდით, — დაუმატა მამამ, — ნახეთ, როგორ ცხვირაწული დადის, რაც „სლაივას“ სამი ბურთი შეუგდო. თქვენც მათ კვალს მისდევთ, რადგან ჩემთვის პირველობა მოიპოვეთ და გგონიათ, ყველაფერს მიაღწიეთ. გადახედეთ პირველ ჯგუფში და ჩემიონი-ბიცი გახადით — ეს კარგია, თქვენი გუნდი საუკეთესოა ჩვენს ქვეყანაში — ამასაც არაუშავს, მაგრამ



ამით გინდათ დაგმავოფილდეთ? გგონიათ, ეს გეყოფათ მთელი ცხოვრების მანძილზე? მე კი უჭირდება, სასტიკად სცდებით. ადამიანი კოველთვის უნდა ისწრაფოდეს რაღაც ღიადისაკენ ვინც პირველთა მოიპოვა თავის სამშობლოში, მსოფლიოს ჩემპიონობას უნდა უმიზნებდეს. არ შეიძლება დამშვიდებლა, სანამ სწრაფვის მიზანი არის. თქვენ კი ჯერ ბევრი ვაქნათ მისაღწევით, ასე რომ, ჩამოშვებით დაბლა ცხვირები და მაღლა ნუ იზბევთ ყოველთვის შეიძლება გამოჩნდეს ისეთი გუნდი, რომელიც 7: 0-ზე გაგვიგებთ. ამის შესახებ მე ველაპარაკე ბევრ დიდ ადამიანს, და გადავწყვიტე, ვერსაიასკენ ვაგსწვიოთ. აი, აქ აღნიშნული მაქვს, სად უნდა წავიდეთ: ბერლინში, ჰამბურგში, კოპენჰაგენში, ოსლოში, სტოკჰოლმში, ვარშავაში, ბუდაპეშტში, ცენაში, ცურობში, მილანში, მარსელში, პარსელონაში, ლიონში, პარიზში, ბრიუსელში, ამსტერდამში, და ლონდონში. თუ ყველგან მივივებით, მაშინ შეგიძლიათ კებებამდე აპოკოთ ცხვირები. ურჯერობით კი მაგაზე ფიქრს თავი დაანებეთ. უკოს მოეზადოთ, ზეგ გერმანიაში მივემგზავრებით.

ბიჭები სუნთქვაშეკრულნი უსმენდენ მამას და, როცა მან დაამთავრა, უზომოდ გახარებულნი, რომ მთელ ქვეყანას შემოიფილდნენ, წამოცივდნენ და ერთმანეთს ძიძგილაობა დაუწყეს. შემდეგ მოიტანეს რუკა და დაიწყეს მომავალი მარშრუტის შესწავლა. ისევ და ისევ იკრავდნენ მკერდში დედას და მამას. იურა კი ორეშეთან შეძვრა. ჯიხურში და მისი ღრენის მიუხედავად, უამბო, სად და სად აპირებდნენ წასვლას. საღამოს მოხუცი კლაპუზები იძულებული იყო ჯობით შეერევა ბიჭები დასაძინებლად. როცა კლაპუზებმა ღამეა ჩააქრო და სვითონაც დასაძინებლად წავიდა. იურკა წამოდგა, დაიხარა ფრანტიკისკენ, ფერდში ხელი ჰკრა და დაიძახა — „დანია“, ფრანტიკმა წამოიყვირა — „შევიცარია!“ — და მუსტები წაუბაგუნა იურას. დანარჩენები კი გააჟეიროდნენ: „მეგობრებო, — ნორვეგია“, „ემსკაბეო, — ბერლინი“, „ზატონებო — პარიზი!“, „ესპანეთი როგორია?“, „ინგლისი?“ — და სიზნელეში ერთმანეთს ბალიშებს ესროდნენ. შემდეგ ისევ დაიწყეს კოტრიალი და ერთმანეთის ბავა-ბუვი, სანამ არ დაიღალდნენ ბოლოს წამოჯდნენ ლოკინზე და დაიწყეს ნოლაპარაკება, თუ ვის სად ეთამაშება. ისე აღვზნებულები იყვნენ, ვერც კი შეამჩნიეს, როგორ დაათენდათ თავზე.

მეორე დღეს კლაპუზების სახლი თავდაყირა იდგა. ბიჭები წინ და უკან დარბოდნენ, ალაგებდნენ საჟირო ნივთებს, ზოგს ისევ უკან იღებდნენ. ზედმეტიაო, და სხვა მოჰქონდათ. ყვირილი და გნისის საღამომდე არ შეწყვედარა, სანამ საბოლოოდ არ დალაგდნენ და სანამ ოჯახი არ შეუდგა უკანასკნელ გახშამს ქვედა ბუციკიაში.

მესამე დღეს, ბიჭებთან გამოშვებობებისას, ღედა ტიროდა. მართლაც, ძალზე დასალონებელი იყო დაკარგებულულ მოთახეში სიარული. მასთან მარტო ორეშევი დარჩა, იგი წუთითაც არ შორდებოდა დიასახლისს — ხანდახან თუ გავიდოდა შოსაფხანად. ერთი კვირის შემდეგ ოსტოლინი მოვიდა და დეპოშა მოიტანა. „კლაპუზების გუნდმა ბერლინი თორმეტით ნოლზე მოიგო“ ყველა ჟანბრთვლადაა. „მადლობა ღმერთს, — ამოიხიხრა ღედა, — მე ამ საქმეებში კერ ვერკვევი. მე ხომ ბენერი დედაკაცი ვარ, მაგრამ აქ რომ ნოლი არ ეწეროს, ვინ იყის. რას იზამდა მამა!“ ასე დაუსრულებლად მიოდგა დეპოშა დეპოშზე. გაზეთი გაზეთზე, წერილი წერილზე ყველგან ლაპარაკი იყო გამარჯვებზე. დიდი ზნა გადასახეს კლაპუზებმა ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე და მილანში 6: 0-ზე გამარჯვების შემდეგ, გაეგზავრნენ ესპანეთის ძალების შესამოწმებლად.

ისინი უკვე აღარ პავედნენ სოფელ დოკლაპიებს, ყველაფერზე რომ თვალგუს აცეკებდნენ პრალის სტადიონზე. გამოიჩიქნენ, ხალხში გამოვიდნენ. ეცვათ ელვიგანტური კოსტუმები. წვრილცხვირა ფეხსაცმელები და სპორტული ტუდები; ყველანი ფრანტებს ჩამოავდნენ, მარტო მოხუცი კლაპუზები არ შეცვლილა.

— თუ გინებს გვირდები, ჩაცმულობას არ დამიწუნებს, — პასუხობდა ის შეილებს, რომლებიც ქალაქურად გამოწყობას ურჩევდნენ, — ამ ტანისამოსში დაგებრდი და ამაზევი ვივლი! მოხუცმა თვალმზეზე ჩამოიფხატა ფაფახი, ჯიბიდან ამოიღო ჩიბუხი. რომელზეც მონადირე ეხატა, გააბოლა, და ისეთი კვამლი დააყენა პირველი კლასის კუბეში, რომ სულ ერთიანად ამოიკვარტლა“ მგზავრები. ყველას როდი შეეძლო კლაპუზების მაგარი თამაშაის ატანა.

III

აფორიაქდა არა მარტო პარსელონა, — თითქმის მთელი ესპანეთი. ყველგან იმაზე ღაპარაკობდნენ, როგორ დამთავრდებოდა კატალიონის ჩემპიონისა და კლაპუზების საოცარი გუნდის შეხვედრა, რომლის შესახებ კავშირგამბულობის ყოველგვარი საწულებით ზღაბრული ცნობები ქვეყნდებოდა. ამ ცნობების სამი მეთხედვი რომ გაბერილი და მონაჭორი ყოფილიყო, ერთი რამ იყო აშკარა და ნამდვილი — კლაპუზების მატჩების საერთო ანგარიში, რომლის ერთ მხარეზე რიცხვები გამწვივებულიყო, მეორეზე კი — ნულები.

იცოდნენ რა, რომ მათი ღრისების საქმე სასწორზე იყო, „პარსელონას“ ხელმძღვანელობამ არაერთხელ მოიწვია გუნდი და კომიტეტი იმის გადასაწყვეტად, როგორ გამკლავებოდნენ ჩეხებს. კრება ღელავდა და ხმაურობდა, სანამ ალკანტარა არ გამოვიდა თავისი წინადადებით.





— ბატონებო, რაც გინდათ ის იფიქრეთ. — ასე დაიწყო მან თავისი სიტყვა ერთ-ერთს უკვე დასრულებული ზე. — მაგრამ უკეთესია ისინი ერთბაშად დავასახიროთ! ეს გარანტიაა! მე ჯერ არასოდეს მიხსავს, რომ ხერხემალივით ნახევარდამცველმა მდგომარეობა გამოასწოროს!

— ბრავო! — დაიყვირეს დანარჩენებმა. — სამს, ერთბაშად სამს გადავუტეხოთ! გარანტია არის, გარანტია!

— ჩემის აზრით, პირველ რიგში უნდა დავასახიროთ ორივე შუამარბი და ცენტრალური დამცველი. პირველი ნახევრისათვის ესეც საკმარისია.

— და მეკარეც! მას ლავიფი ამოუფვლოთ! გარანტია არის, გარანტია!

აქვე შემოვიდა წინადადება, დამტკიცებით ორივე გარემარბი და ერთი დამცველი. ერთ-ერთი პარსელისათვის იცავდა ცენტრიდან თავდასხმის პრინციპს და ასეთ ტაქტიკურ კომინაციას აყენებდა: ცენტრალური თავდასხმელი, ცენტრალური დამცველი, მეკარე. გამოითქვა კიდევ სხვა მოსახერხებელი და, რომ შესრულებულიყო ყველა წინადადება, მაშინ მატჩის დაწყებიდან ხუთი წუთის შემდეგ კლამაზუბების მთელი გუნდი ქორსოვლად კლინიკაში აღმოჩნდებოდა.

— შესანიშნავია! — ყვიროდნენ მოთამაშეები, — მაშინ რამდენ ბურთსაც გვინდა, იმდენს შევუვლებთ!

— ბატონებო! — აიღო სიტყვა თავმჯდომარემ, — მე გულწრფელად აღტაცებული ვარ თქვენი კეთილშობილური მოსწრაფებებით, რომლებიც ჩვენი ღირსების დაცვისკენა მიმართული. მაგრამ ეს არც ისე იოლია, როგორც თქვენ გგონიათ. თუ ყველა დავასახიროთ, ერთ ბურთსაც ვეღარ გავიტანთ.

— რატომ? ვითომ რა? ოპო! ვნახოთ! — ღრიალვდა მთელი გუნდი.

— ბატონებო, არაფრით შემოიღია დაგეხმაროთ, ჩვენ ვერ შევაგვებთ ვერცერთ ბურთს!

— კი მაგრამ, რატომ?!

— იმიტომ, რომ გამუდმებით თამაშვარ მდგომარეობაში ვიქნებით.

მოთამაშეებმა გაოცებისაგან თვალები გადმოკარკლეს და მიჩუმდნენ. მართლაც, ცხადია, თუ შენს წინ მოთამაშე არ დგას, „ოფსაიდში“ იმყოფები, თავმჯდომარემ ჩამოვარდნილი უხერხულობით ისარგებლა და განაცხადა:

— მე ვიცი, რომ საზღვრებს არ უნდა გადავცდეთ. ალკანტარის წინადადება, ალბათ, ჩვენთვის საკმაოდ ხელსაყრელია, დავამტკიცებთ ორივე შუამარბი და ცენტრალური დამცველი, შემდეგ ვნახოთ, თუ ეს ცოტა იქნება, ვაგარდეთ თუა ხაზი, თანახმად მესამე წინადადებისა. ოღონდ, თუ დღემთი გწამთ, სამი მოთამაშე მაინც დატოვეთ მინდორზე, რომ „ოფსაიდებს“ გადავურჩეთ. ეს კომპრომისული წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. ყველანი კმაყოფილები დაიშალნენ; გამარჯვება უზრუნველყოფილი იყო.

მეორე დღეს ეს ამბავი მთელმა ბარსელონამ შეიტყო და მოსახლეობა წინასწარ ზეიმობდა. გაზეთებმა სასწრაფოდ მოათავსეს ჩეხი შუამარბების, იოზეფის და ტონდის, აგრეთვე, ცენტრალური დამცველის, კარლიკის ფოტოსურათები, რომელთაც თან ახლდა დიდი ტრაქტატი — ისტორიის, ბუნებისმეტყველების და მათემატიკის საშუალებით ამტკიცებდნენ, რომ ეს სამი ფეხბურთელი საშინელი უხეში თამაშით გამოირჩეოდა, „ბარსელონა“ უნდა შორიდებოდა მათ. საპარიკმახეროებში, ღვინის სარდაფებსა და საკონდიტროებში ხალხი მზიარულობდა და იცინოდა. პატარა ბიჭებმა კი ჩეხი მოთამაშეების სურათებს ჯერები დაუსვეს, თითქოს ისინი აღარ არსებობდნენ, უკუნიით უკუნისამდე, აინ! ასეთი განწყობილება სუფევდა ბარსელონაში, როდესაც კლამაზუბის გუნდი ეწვია ქალაქს.

მატჩამდე სამი დღე იყო დარჩენილი; კლამაზუბები დასეირნობდნენ ქალაქში, ათვალეირებდნენ ყველაფერს, რაც მათ ყურადღებას იზიდავდა. პირველ რიგში გაზეთებს ეცნენ — ყველაზე მეტად მოხუცი კლამაზუბი ზრუნავდა მაგრამ რომელი გაზეთიც აიღო, იოზეფის, ტონდისა და კარლიკის ფოტოები ყველგან ჯერებით იყო გადახაზული.

— რას უნდა ნიშნავდეს ეს? — თავს იმტრევდა მოხუცი კლამაზუბი. სანამ ბიჭები ქალაქში დახეტიალობდნენ, მოხუცი სასტუმროს წინ იჯდა, გაშვებებით ახრჩობდა ჩიბუსს და ამოადკიდობდა გაერკვია ფოტოების ქვემოთ წარწერილი ესპანური აზღაურება. ყველა გაზეთში დახაზული სამი ჯვარი მას შიშს ვეროდა. გუნებაში დაიფიქრა, რომ სახლში დაბრუნებისას შეილებდა აიძულდება უცხო ენების შესწავლას, რათა ასეთი უმწეოები არ ყოფილიყვნენ საზღვარგარეთ.

დადავ კვირა დღე. მართალია, მატჩი ხუთი საათისათვის იყო დანიშნული, მაგრამ მასურებელი უკვე შუადღისას დაიძარ სტადიონისაკენ. შესასვლელში ხალხი იქედებოდა და ამ არეულობაში არავის შეუმჩნევია უცხოელი მოხუცი, რომელიც გზის პირას იჯდა ხის სკამზე და, ესპანური ალმურის მიუხედავად, ცხვირის ფაფახი ეხურა თავზე. იგი აპოლებდა ჩიბუსს და თვალს აყოლებდა მიმავალ ბიჭებს.

ასეთი შეწუხებული არასოდეს ყოფილა მოხუცი კლამაზუბი. ამ გარემოში იგი გრძობდა რაღაც მტრულს, ვერავლს, მაგრამ ვერ გაეგო, რაში იყო საქმე. ბიჭები უზრუნველად დასეირნობდნენ — იმათ რა! მაგრამ თვითონ ნემსებზე იჯდა. შუადღისას მოხუცმა გადაწყვეტილება მიიღო. ბიჭები



სასტუმროს ნომრებში ჩაკეტა, რამე რომ არ მოსვლოდათ, თვითონ კი დასაზვერად წავიდა. სამი ჯგერარი არ გამოდიოდა მისი თავიდან, მაგრამ რაში იყო საქმე. ვერაფრით მიმხვდარიყო.

იგი იჯდა გზის პირას, ხალხს ათვალიერებდა და უცებ ხმაური და ყვირილი მოესმა. ხალხი აქეთ-იქით გარბოდა, ტროტუარებზე გროვდებოდნენ. შუა გზაზე, სტადიონისაკენ კი მიემართებოდა წითელჯვრებიანი სასწრაფო დახმარების სამი კარეტა. მოხუცმა კლავზუმმა ყურადღებით შეათვალიერა კარეტები, დანახა სამი ჯგერი, დათვალა: ერთი, ორი, სამი კარეტა — ფაფახი წინ გადაივლო და მანამ იფხანდა კეფას, სანამ კარეტები ალაყაფის კარებში არ მიიმაღლნენ. მაშინ პირიდან ჩიზუბი გამოიღო. გადააპურქყა და წაიბურღლუნა:

— ეშმაკმა წაიღოს! არამზადები, თქვენ, ესე იგი... — და თვალები დააფახულა.  
— დიახ, დიახ! — თავის თავს გასცა მან პასუხი, — ასეთი საძაგლებისაგან ყველაფერს უნდა ელოდო. კიდევ კარგი, რომ მივხვდი, საზოგადოებრივი ტურები!

მან ჩიზუბი დაბურტყა, ჯიბეში ჩაიღო და კისრისტებით, ქუსლების ბრახბარებით გასწია სასტუმროსაკენ.

ეს მხიდა ზუსტად დღის ორ საათზე, ოთხზე კი კლავზუმებს ავტობუსმა მოაკითხა. ჩვეულებრივ, ბიჭები სტადიონზე ყოველგვარი ბარგის ვარგზე მიდიოდნენ ხოლმე. ამჯერად კი კლავზუმმა ბერლინში წაყიდი უზარმაზარი ჩემოდანი ჩამოიტანა, ბიჭებმა არც იცოდნენ, რა იყო ჩემოდანში. მსახურმა და შევიყარმა ჩემოდანი ავტობუსის სახურავზე შევადგეს, ბიჭები ჩახსდნენ, მოხუცი კი, ჩვეულებრივ, მძღოლის გვერდით მოთავსდა. ავტობუსი ათუთებულა და სტადიონისაკენ გაემართა. მოხუცი კლავზუმი თითქოს გამხიარულდა, მაგრამ დანახა თუ არა გზაზე მიმავალი ადამიანები, რომლებიც ბოროტად ამოკურებდნენ მის შვილებს, ისევ შეივცვლა გუნება და თავი ველარ შეიკავა, მთელი გზა იწყველებოდა და ივინებოდა.

შვილებმა ადრევე შეამჩნიეს, რომ მამა რაღაც უცნაურ გუნებაზე იყო, მაგრამ მიზნს ვერ მიმხვდარიყვნენ. ახლა კიდევ მიიღო გამოცანა: რად უნდოდათ ეს უშველებელი ჩემოდანი? სტადიონზე ორმა თანამშრომელმა ძლივს ახილეს ჩემოდანი გასასდელამდე. მოხუცი კლავზუმი მღვმარედ მიმოდინდა და როგორც კატა მზვზე, ისე ჭუტავდა თვალებს. როცა ბიჭებმა გახა დააწყეს, მან დერეფანში გასასვლელი კარები გასაღებით ჩაკეტა.

ამდენი დრო არასოდეს დასჭირებიათ ჩაცმისათვის კლავზუმის ბიჭებს, „ბარსელონას“ გუნდი უკვე მოედანზე იყო. ორმოცდახუთი ათასი მაყურებელი ღრიალებდა, ყვიროდა და უსტვენდა, მსაჯი ორი თანამშრომელთან ერთად გაშმაგებით ბოლოთვდა — კლავზუმები მაინც არ ჩანდნენ. ბოლოს შავი ბრბოს შუაში, კულუბის წინ რაღაცამ თეთრად გაივლია, ბურთი ჰაერში ავარდა და კლავზუმების გუნდიც გამოჩნდა. ორმოცდახუთი ათასი მაყურებელი ერთბაშად ჩაჩუმდა და იმავე წუთს ისევე ახარხარდა. ადამკამობიდან, რაც კი არსებობს ფეხბურთი, ასეთ ფორმაში გამოწყობილი გუნდი მოედანზე არასოდეს გამოსულა. კლავზუმებს ფეხები კუნძებივით დასქელებოდა და ვინც მათ ახლოს ნახავდა, მიხედებოდა, რომ წინდების ქვეშ დოლბანდები ჰქონდათ დახვეული, როგორც ეს ფეხბურთის ადრეულ პერიოდში იცოდნენ. მუხლისთავებზეც მანქანის სახურავების მსგავსი რეზინის დოლბანდები შემოეხვიათ. თემობი ორივე მხრიდან დაფარული ჰქონდათ კაუჩუკის სქელი საფენებით, რომლებსაც რეგების თამაშის დროს ხმარობენ. მხრები იდაყვებამდე დაფარათ რეზინის ჯავშნით. თავზე მოტოციკლისტის რეზინის ჩაფხუტები ეხურათ, მაგრამ ყველაზე სასაცილო მათი მუცლები იყო.

ყველა კლავზუმი საშინლად ღიბიანი გახლდათ. დიახ, ახალგაზრდებს, რომლებსაც მთელი ქვეყანა ცნობდა, როგორც მკვირცხლებს, მარდებსა და ახოვნებს, მუცლები უსაშველოდ გაზრდოდათ. ისინი თითქოს ქონით იყვნენ გატენილები და ტლანქ ფეხებზე შემდგარ თერთმეტ უზარმაზარ სახამთროს დამსგავსებოდნენ. „ბარსელონას“ მოთამაშეები განცვიფრებისგან გაოგნებულიყვნენ. ალკანტარა ჩუმად მიუახლოვდა ფრანტიკს და ზურგზე ხელი ჰკრა. ხელი უკანვე ასხლტა.

კლავზუმებს ჰაერით დაბერილი რეზინის ჯავშანი ეცვათ. მათი სხეული ხელმიუწვდომელი იყო.

გულგატეხილმა ალკანტარამ ცხვირი ჩამოუშვა. ბარსელონას გუნდმა აბნეულად დაიწყო თამაში. შეძრწუნებული იყო ბარსელონას მაყურებელიც. მხოლოდ შუა ლოკაში ჩუმად ხითხითებდა ვიღაცა: ეს იყო მოხუცი კლავზუმი, რომელიც ჩიზუბს აბოლებდა, ძლივს იკავებდა სიცილს და ლოყებზე ცრემლები ჩამოსდიოდა.

— ეშმაკმა დალაზგროს! — სიცილნარევად ბურტყუნებდა იგი. — ასეთ ტანსაცმელში ბევრს ვერ ირბენ. მაგრამ რას იზამ! ადამიანის სიცოცხლე კომფორტზე ძვირია. მხოლოდ, ეშმაკმა წაიღოს მათი თავი, არ დაავიწყდეთ ბიჭებს ჩემი დარიგება.

მაგრამ ბიჭებს არ დაევიწყიათ, ისე თამაშობდნენ, როგორც მამამ ასწავლა. როდესაც ბურთს დაეპატრონებოდნენ, ისინი, შეძლებისდაგვარად, გრძელი გადაცემებით თამაშობდნენ. მარცხენა ნაფეხმარცველი მარჯვენა ფრთას აწვდიდა, მარჯვენა — მარცხენას, ხოლო გარემარბები — ერთმანეთს.



დანარჩენები კარებთან ჯგუფდებოდნენ. ამის შედეგად ესპანელები გიჟებოვით დარბოდნენ მარცხნიდან მარჯვნივ და ვიდრე ისინი კლამაზუნელებამდე მიაღწევდნენ — ფრჩხ. და ბურთი მათ თავს ზემოთ, მინდვრის მეორე ბოლოში მიფრინავდა, სადაც ბარსელონას არცერთი მოთამაშე აღარ იყო. ესპანელებმა გაბრაზებაც ვერ მოასწრეს, ისე შეეარა მათ კარებში პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე ბურთი... ბარსელონელებმა დააპირეს გარემარბებზე შეტევის დაწყება, მაგრამ, კლამაზუნელებმა თამაში ცენტრში გადაიტანეს. ესპანელებმა მთელი შემადგენლობით შეუტეეს თავდამსხმელებს, მაგრამ მათ ბურთი უკან დააბრუნეს, სადაც დამცველებმა და ნახევარდამცველებმა თვისუფლად გაათამაშეს და შეაგდეს კიდევ ესპანელთა კარში. ერთი სიტყვით, თამაშმა ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ესპანელები ვერც მიეკანენ კლამაზუნელებს, დააპირებდნენ თუ არა მათთან მისვლას, ბურთი საწინააღმდეგო მხარეს მიჰქროდა. კარებში კი კლამაზუნელები შორიდან ურტყამდნენ, მაგრამ ისე მოულოდნელად და სწრაფად, რომ მხოლოდ ხუთი ბურთის გადაგდება მოახერხა კუთხურზე შეკარებმ. დანარჩენი, რამდენიც დაარტყეს, იმდენი კარში აღმოჩნდა. მეორე ნახევარში ალკანტარა ისე გაბრადა, რომ ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ორივე ფეხით მიახტა მკერდზე ტონიკს. ვაისმა საშინელი ტაკანი, ალკანტარა ამ მეტრზე გადავარდა, ხოლო უეცრად გამხდარი ტონიკი იღვა შუა მოედანზე და როგორც ჯოხზე, ისე ეკიდა მხრებზე ტანსაცმელი.

— საშიში არაფერია, ბიჭებო, — დაიყვირა ლოკიდან მოხუცმა კლამაზუნემ, — ისევ გავებრავ! — მართლაც მან სასწრაფოდ დააწვება და გაებრა. და როდესაც შუე ჩავიდა, კლამაზუნელებს მატჩი მოგებული ჰქონდათ ანგარიშით — 31 : 0!

— მილიონ ვახეთილ ბუროს ფეცავარ!!.. — ხითხითებდა მამა, თან ტანზე ხდიდა ბიჭებს, — ასე მოუხდება მათი მე მათ ენახებ, როგორ უნდა ჯერების დასმა!

სამაგიეროდ სასწრაფო დახმარებას ყველამდე ჰქონდა საქმე. ისინი ვერ აუვიდნენ საქმეს და ტელეფონით სხვებსაც მოუხმეს საშველად, რადგან იმ დღეს გამაგებებისაგან სტადიონის ტრიბუნებზე ორას სამოცდაჩვიდმეტ ესპანელს გაუსკდა გული.

IV.

— ყური მიგდე, ალენი, ერთი შეკითხვა კიდევ: რამდენ მაყურებელს ვარაუდობენ თქვენში?  
 — თხოთმეტი წუთის წინ სალაროებში ას სამოცი ათასი ზილეთი გაიყიდა. ყველა რეკორდი მოხსნილია, კორმიკ!

— როგორი სანამძლეობია?  
 — სამი ერთის წინააღმდეგ, ხადერისფილდის სასარგებლოდ. ჩვენ უნდა მოვიგოთ. ეს ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია.

— დიდად გმადლობოთ, ალენი. ნახვამდის.  
 — ნახვამდის, კორმიკ, მშვიდობით...

ეს საუბარი მიმდინარეობდა თავმჯდომარის ლოჯაში, ლონდონის ყველაზე დიდი სტადიონის სახმარე ტრიბუნაზე. თავმჯდომარე ალენი იმ გულითადად ჩამოართვა ხელი თავის დიდი ხნის ახლობელს, რაზეთ „ახალი სპორტული ცხოვრების“ რედაქტორს, შემდეგ მთავრითან დაჯდა, კორმიკი კი დერეფანში გაქრა.

ეს იყო დაუსრულებელი დერეფანი, სადაც ახლა უამრავი ადვოკატი ხალხი მიმოდიოდა. ამ ბრბოს კორმიკი მოხერხებულად უქცევდა მხარს. შემდეგ კიბეებზე შეუხვია, აღმოჩნდა რა ტრიბუნაზე, სულ ზემოთ ავიდა და უქანასქნელ რიგს ჩაუარა. აქ, ხის გადაღობულში პატარა კარი იყო. კორმიკმა გასაღები ამოიღო. კარები გააღო და ფეხი შედგა პატარა აივანზე, რომელიც ტრიბუნის გარეთა ფასაღზე გადაიდა. ეშვებით გაშლილი ზალახით დაფარული დიდი მოედანი, რომელზედაც სამი ფართო ტუნა გამოდიოდა. მთელი მოედანი გაშვებული იყო ხალხით და მანქანებით. ხალხი აწყდებოდა სტადიონის თერმეტ კარებს. ჰაერს კეთვავდა ადვოკატი შეძახილები და მანქანების საყვირები. ამ საყვირთა გამაყრუებელი ხმები, როგორც სამი უზარმაზარი გველი, ისე მიიკლანებოდნენ სტადიონისაკენ მანქანების, სპორტული ფურგონების, ოთხთავლებისა და ავტობუსების მწყრივები. კორმიკმა ცრტახანს უეცრად ამ გამოცოცხლებულ მოძრაობას, შემდეგ კარი მოიხურა და აივანს მთავრითან შეხტა. კედელზე დამაგრებული იყო რკინის კიბე, რომლითაც ის ავიდა ტრიბუნის სახურავზე უზარმაზარ, ოდნავ დახრილ სახურავს შხის კაშკაშა სხივები აცხუნებდა. ამაღლებული ადგილის შუაში ანა იღვა. კორმიკი მისკენ გაემართა. იქვე სკამზე ორი ყურმილი იდო. რედაქტორმა მიირთო ისინი და მიკროფონიც ზედ პირთან აღმოჩნდა. ორი გრძელი მაგთული ანძამდე იყო გაუქმილი. ანძიდან მაგთული ტხას განაგრძობდა რამდენიმე კილომეტრის მანძილზე. „ახალი სპორტული ცხოვრების“ რედაქციამდე, იქ მაკრადს უჯდა ახალგაზრდა კაცი. მასაც ყურმილები ეკეთა. წინ ედგა საბეჭდი მანქანა. გარშემო, რბილი ტყავის საფარძლებში გადაწოლილიყო რამდენიმე კაცი.





ყველა უცდიდა. როდის დაიწყებდა კორმიკი ვადმოცემა. მეზობელ მაგიდაზე მომზადებულად იჯდნენ. პატარა მინა, რომელზედაც მეორე თანაშრომელს მოკლედ უნდა გაერჩია თამაშის მიმდინარეობა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ამ ცნობების იქვე, ხელოვნურად ჩაბნელებულ ფანჯარაზე პროექტირება. რედაქციის შენობასთან ასობით ადამიანი უცდიდა პირველ ცნობებს.

ამასობაში კორმიკმა სკამი სახურავის კიდესთან გადაიტანა და ჩამოჯდა. მის თავს ზემოთ ორი დროშა ფრიალებდა. ინგლისური, ჯერიაინი, და ჩეხური, რომელსაც ლურჯი სამკუთხედებით დამშვენებული — თეთრი და წითელი ზოლები დროშის ტარიდან შუაგულამდე გასდევდა.

ქვემოთ, სიღრმეში, მწვანედ ბიზინებდა შესანიშნავი მინდორი. მკვეთრად გამოირჩეოდა თეთრი ხაზები და ტრიბუნებზე ჩამოქმედული მაყურებლები. ტრიბუნებზე და მინდორს შორის სარბენი ბილიკი გადიოდა. ბილიკზე იდგა ოცდახუთ-ოცდახუთი ნაბიჯით ერთმანეთისგან დაცილებული ას ოცდაათი პოლიციელი. ზემოდან ისინი უცნაურ, მსხვილ კუნძებს წააგავდნენ. ორივე კართან შეგროვილიყვნენ ფოტორეპორტიორები. კორმიკმა გამოცდილი თვალი მოაღწო მთელ ამ სანახაობას და დარწმუნდა, რომ ყველგან სამავალით წესრიგი სუფევდა. შემდეგ მოხერხებულად მოთავსდა სკამზე, ფეხი ფეხზე გადადო, ამოიღო ზუღიდან საზღვაო დურბინი, მოირგო თვალები და შეუდგარეპორტაჟის გადაცემას.

— ალო, ატიკნსონ, გამარჯობა! კარგად ისმის ჩემი ხმა? რაო, ხმაურია? დროშები ფრიალებენ, არაუშავს. მალე მიჩვენებ. აქ ნიაგია აქ გაცილებით უკეთესია, ვიდრე ქვემოთ აღმურში ჯდომა. გარდა ამისა, მე არავინ მიშლის ტელეფონზე ლაპარაკს. შესანიშნავი იდეაა. გადაეცით ფრედს, რომ მან წააკო ჩემთან სანაძლეო. თხოუმეტი წუთის წინ გაიყიდა ასსამოცი ათასი ბილეთი. სალაროებში ახლაც ვანაგრძობენ ბილეთების გაყიდვას. თუ საშინელ ხმაურს გაიკონებთ, შეკრებულ ხალხს ვანუშარტე: ტრიბუნებზე ვერ ვაუქმობო დღაწილას და ჩამოინჯარა-თქო. საეჭვოა. რომ მე რაიმე გაცნობოთ ამის შესახებ... დარწმუნდით მეტრის სიმაღლიდან ჩავასკდები. როგორ გგონიათ, დაიწყო? კეთილი. შესაგალო? მე წინასწარ დავიწვრეთ. გთხოვთ, შესამოწმებლად კიდევ ერთხელ წაიკითხოთ.

კორმიკი გაჩუმდა და ახლა თვითონ უსმენდა სწრაფ ლაპარაკს. რამდენიმე წუთის შემდეგ მან ბქვა:

— კარგია, დასტოვეთ ევრე, ყველაფერი ისე გამოიყურება, როგორც წინასწარ აღმოჩერია, მხოლოდ 170 ათასის ნაცვლად, ჩასვით — 190; ამ ნახევარი საათის განმავლობაში ოცი ათასამდე მაყურებელი მიემატა. ალო, ყურადღება, ჩაიწერეთ თუ შეიძლება, მე ვიწყებ კარნახს: ექვსის ათ წუთზე უზარმაზარი სტადიონი მქუხარე ტაშმა ააზანზარა, ჩრდილოეთის ტრიბუნის ქვეშ კარები იღება — ხადერსფილდის თერთმეტი გმირი აუჩქარებლად შემორბის მოედანზე. როგორც ყოველთვის, მას მოუძღვება მომღიზიარი უინიკლდა... სულ ბოლოს უზარმაზარი კლარკი მორბის. რა უდიდესი სიამოვნებაა უყურო ოცდაორი ოქნილ ფეხს, ლურჯ და ყვითელ მაისურებში გამონაკეთილ ძლიერ მკერდებს! თავშეუაყენელი სიხარულით და ზემოთ ესალმება ინგლისელი მაყურებელი თავის გუნდს, რომელმაც დღეს უნდა დაიცვას ბრიტანეთის დიდება და ზატონობა მწვანე მინდორზე. ყველა დარწმუნებულია, რომ ჩვენი გუნდი არ გაგვიმტყუნებს მოლოდინს. სამი ერთის წინააღმდეგ — ასეთია სანაძლეოს შედეგები; ხადერსფილდის წინააღმდეგ გამოდიან მხოლოდ უცხოელები და ხალხი... ხალხი... მოითმინეთ წაშალეთ ბოლო ფრაზა — ამას ჩვენ ცალკე აზნაცს მივუძღვინთ. ამომალეთ? ვაგრძელებ კარნახს — კარები მორქმდ იღება და გამოდიან კონტინენტის ოსტატები. მათაც ტაშით ეგებება ხალხი... აი ისინი, განქმული მოთამაშეები, რომლებიც ევროპის შუაგულიდან მსოფლიო დიდების მოსაპოვებლად გამოგზავნა მათმა პატივმოყვარე რესპუბლიკამ რა წარმტაცად გამოიყურება ეს თერთმეტი ძმა, რომლებმაც თანდაყოლილი ნათესაური გრძობების წყალობით შესძლეს მონოლითური კოლექტივის შექმნა! ერთი შეხედვით, მათ განსაკუთრებული არაფერი გააჩნიათ. არცთუ ისე მოსული ვეგაკეები არიან და ახლოსაც ვერ მივლენ ხადერსფილდედ ათლეტებთან. მათ მგონი აერთობს კიდევაც სავეე აღმართულ ანძაზე აღრიალდა ვინძორული დროშა. ცენტრალური ლოკორც ჩანს. ერთმანეთთან სიახლოვე გამედეაობას მატებთ. მათ შესახებრად მიეშურება მსაჯი, სერეი. კაბიტანი უინიპოელი თავისიანებს გამოეყო, უნდა მიესალმოს სტუმრებს. ალო, ყურადღება, რაღაც უჩვეულო ხდება! დაწერეთ ტექსათური: მისი უდიდესუღესობა მეფე! დაწერეთ? დაიწყეთ ახალი აზნაციო. ვკარნახობ: ამ დრდს სტადიონზე კვლავ გაისმის აღფრთოვანებული შეძახილები. ჩრდილოეთ ტრიბუნის თავზე აღმართულ ანძაზე აღრიალდა ვინძორული დროშა. ცენტრალური ლოკის კარები იღება და შემოდან მისი უდიდესუღესობა მეფე, დედოფალი, და ფელსის პრინცი. კლეუნის დირექცია. გ. ე. ალენზის მეთაურობით ესალმება დიდად პატივცემულ სტუმრებს. მეფის ოჯახი მანადლობას უხდის ხალხს აღფრთოვანებული ოვაციისათვის. მეფე ხელის აწევით ესალმება მოთამაშებს, რომლებიც მის ლოკასთან შეიკრიბნენ თავყანსაცემად. მეფე უჯდება, რათა ნახოს ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება ინგლისის ისტორიაში. სიტყვას — ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება ინგლისის ისტორიაში" ხაზი გაუსვით ცალკე, როგორც ტექსათური. მზადა? ალო, ვაგრძელებ კარნახს: ხადერსფილდელები ექვსს ყრიან — ისინი ითამაშებენ იმ მხარეს, საიდანაც ზურგის ქარი



დაუბერავთ. ტრიბუნებზე სიწყნარე და უდიდესი დაძაბულობა სუფევს. სერ სერეიმ სასტენეს ჩაპ-ბერა. ახლა 17 საათი, 21 წუთი და 16 წამია. კლაპზუბელთა ცენტრალური თავდამსხმელი ბურთს მარჯვენა შუამარბს აწვდის. შარკო წინ ეღობება, თავდამსხმელი ბურთს მარჯვენა ნახევარმცველს აწვდის. შარკო ეწევა ნახევარმცველს. ართმეცს ბურთს... ალო, არა, ამოშალეთ ეგ! ეშმაკმა იცის, როგორ მოახერხა ამ კაბუკმა და როგორ შეინარჩუნა ბურთი. ვკარნახობ: ბარინგი და უინიგელდი ეხმარებიან მას, დარტყმა, და ბურთი ბზრიალით მიდის წინ, მარცხენა ფრთაზე. ბრწყინვალე გადაცემა ჩვენს ნახევარმცველსა და დამცველს შორის. მარცხენა ფრთისაკენ ორნი გარბიან. ვინ მისაწრებს? თეთრ-წითელთა თავდამსხმელები დაეუფლენ ბურთს. უორსი, წინ! გვიანაა!.. გადაცემა ცენტრში. ძალზე მაღალია. მარცხენა და ცენტრალური თავდამსხმელები ვერ მიწვდნენ. გერინგერი, მარცხენა დამცველი, ფეხს წევს. საიდან გაჩნდა აქ მარჯვენა ნახევარმცველი? თავით აწოდებს მარცხენა შუამარბს უორსის! ოხ, მოატყუა! ღმერთო! დარტყმა... ფუ! ნება მიბოძეთ, გადავაფურთხოთ, რა? რა თქმა უნდა! უკვე იქაა. ეშმაკმა წაიღოს, აი მესმის დარტყმა! რას შვება ხალხი? სდუშს. აი, ახლა უკრავენ ტაშს. შემამრწუნებელია! ერთი ბურთი არც ისე საშინლია... რომელ წუთზე? დაწყების 67-ე წამზე დაწერეთ: შუამარბის უსაშინლესი დარტყმით, რომლის მსგავსი უკვე ათეული წლებია არ უნახავთ ინგლისის სტადიონზე. კლარკმა ხელის აწევაც ვერ მოასწრო, რომ ბურთი ბადეში შევარდა.

აღლევებისგან კორმიკი ადგილზე ვერ ჩერდებოდა. იგი წამოხტა და სკამი გადადგა. შემდეგ კვლავ გააგრძელა კარნახი, სადაც აღწერდა ხედერსფილდელთა შეტევებს. აღფრთოვანებისგან სულ-შეზუთული განმარტავდა იგი გუნდის კომბინაციებს, მაგრამ წამადუწმუთ თხოვდა ატკინსონს ამოეშალა სტატიიდან ის ადგილები, სადაც კლაპზუბელთა შესანიშნავი დაცვას წყველიდა. უცებ მოულოდნელად დადუმდა, შეშინებულმა ატკინსონმა ჰკითხა, რა მოხდათ. კორმიკმა დამწუხარებით აცნობა, რომ ინგლისელებს მეორე ბურთი შეუგდეს.

— ვერაფერს ვერ იხამ, ატკინსონ! იძულებული ვართ დავადასტუროთ, რომ უპირატესობა ჩვენების მხარეზეა. დაწერეთ მინაზე, რომ ჩვენები სულეირად არ ეცემიან და აუცილებლად გაათანაბრებენ ანგარიშს, თორემ ხალხი დაანგრევს რედაქციას. ალო, დაიწყო 43-ე წუთი. უტენს ჩვენი მარცხენა გარემარბი. ნახევარდაცვა აფერხებს მას. ცენტრში ბრძოლაა ბურთისათვის. ორივე მხარის დაცვა გრძელი გადაცემებით საწინააღმდეგო მიმართულებით აბრუნებს ბურთს. ბურთი აქვს შარკოს. აწოდებს წინ. ბურთი აქვს უინიგელს, ატყუებს, თვითონვე მიიწევს... აი, ახლა, ახლა... ოხ, ურტყამს. ბურთი სცდება კარებს. ბედიც ამას ჰქვია! ბურთი მარჯვენა გარემარბთანაა... პირველი ნახევარი დამთავრდა. ვაგებთ 0 : 2, მაგრამ ჩვენი მოთამაშეები მხნედ არიან. მეორე ნახევარში ისინი შესთავაზებენ თავიანთ სწრაფ, დამავიგრავინებელ ტემპს. მაყურებელი იმედგაცრუებულია, მაგრამ აღფრთოვანებულია ჩვენი მოწინააღმდეგის სრულყოფილი თამაშით, მართლაც რომ არაა სამარცხენო ასეთი გუნდთან წაგება. მისი უდიდებულესობა აშკარად აღლევებულია. ხადერსფილდის დირექტორები უხსნიან მას დამარცხების მიზეზს. თავმჯდომარე აღენბი გადის. აი, იგი უკანვე ბრუნენს. ოპო! ეს ხომ კლაპზუბელთა მამაა. მე ახლავ უნდა გაგიქცე იქ, უნდა გაგარკვიო, რაზე ისაუბრებენ. დასვენეთ, ატკინსონ. მეორე ნახევრის დასაწყისისათვის მე ადგილზე ვიქნები. აღნიშნეთ, რომ მეფემ მეტად გულითადად ჩამოართვა ხელი მოხუც კლაპზუს.

კორმიკმა დაყარა ტელეფონის კურმილები, სახურავზე გაირიბა, კიბეებით ჩასრიალდა აივანზე და აღლევებულ, ახმაურებულ მაყურებლებში მიიმალა.

(ვაგრძელება იქნება)



### ამსტრალია

#### რომანი რომანის უმასხაბ

ცნობილმა ავსტრალიელმა კომუნისტმა მწერალმა ფრენკ ხარდემ დაწერა ახალი რომანი — „მძიმე გზა“, რომელშიც აწერილია, თუ რა დევნა განიცადა მას მერე, როცა გამოსცა თავისი სახელმწიფოებრივი რომანი — „ძალაუფლება, რომელსაც არ ახლავს დიდება“.

### ალჟირი

#### შაჰისტა მსხვერპლი პოეტი

ქალაქ ალჟირის გარეუბანში ოას-ელმა ბანდიტებმა მხეცურად მოჰკლეს მწერალი მულუდ ფერაუნი და მისი ზუთი ამხანაგი. ალჟირული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, მწერლისა და მთარგმნელის მულუდ ფერაუნის სახელი კარგადაა ცნობილი როგორც აფრიკის კონტინენტზე, ისე ევროპაში. მის ერთ-ერთ რომანს — „მიწა და სისხლი“ 1958 წელს ლიტერატურული პრემია მიენიჭა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა იგი ფრანგულ ლიტერატურულ საზოგადოებრიობაში, როგორც ფრანგ ავტორთა ნიჭიერი მთარგმნელი. საფრანგეთის ლიტერატურული საზოგადოებრიობა დიდად აღაფრთოა ამ მკვლელობამ. პროგრესული გაზეთი „ლიტერ ფრანსეზი“ ამ შემთხვევაზე ამბავს ადარებს დიდი ესპანელი პოეტის ფრედერიკო გარსია

ლორკას მკვლელობას ესპანელი ფაშისტების ხელით. მწერლის მეგობრები ემანუელ რაბულე და არმან ლანუ ამავე გაზეთში წერენ, რომ ამ შემადარწუნებელი მკვლელობის მამოძრავებელი ძალები იყო მდებალი ეროვნული შუღლი, უნაშუსობა და პოლიტიკური სირვენი. ფრანსუა მორიაკი „ფიგაროში“ მოუწოდებს მათ, „ვინც აქამდე ბრმა იყო, თვალი გაახილონ და მიხვდნენ, თუ სადამდე ძიშყავს უმოქმედობის პოლიტიკას და მეთვალყურეთა როლით დაკაყოფილების პოზიციას, რასაც მიმართავს ბევრი ფრანგი ინტელიგენტი ალჟირში მშვიდობიანობის დამყარების საკითხში“. პარიზის „პენ-კლუბის“ წევრებმა სამგლოვიარო-საზეიმო საღამოთი აღნიშნეს მულუდ ფერაუნის ხსოვნა.

### არგენტინა

#### მეზამორლი პოეტი

ბუენოს-აირესში გამოვიდა უდიდესი ესპანელი პოეტის რაფაელ ალბერტის ლექსების არასრული კრებული, რომელიც მოიცავს 1.000 გვერდს. ლექსებს გარდა კრებულში მოთავსებულია ფოტოგრაფიათა შესანიშნავი კოლექცია. პოეტის დაწვრილებითი ბოლოგრაფია და ბიბლიოგრაფია ალბერტის შემოქმედებითი გზის მოდის სიურრეალისმიდანი და ფუტურისმიდანი იმ ლექსებში, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც ესპანური პოეზიის მწვერვალი და თანამედროვე მსოფლიო პოე-

ზიის საგანძურის მნიშვნელოვანი საუნჯე. ალბერტი იძულებული შეიქნა მიეტოვებინა ესპანეთი, ჩამოშორდა მრავალ მეგობარს და გაწყვიტა კავშირი თავის ოჯახთან. პოეტი თვითონვე წერს: „1931 წლიდან მთელი ჩემი შემოქმედება და სიცოცხლე ემსახურება ესპანეთის რევოლუციას და მსოფლიო პროლეტარიატს“.

საინტერესოა ალბერტის მემუარები — „დაკარგული ტყე“, რომელშიც ავტორი მოგვითხრობს, თუ რა გზები განვლო მისმა პოეზიამ უკანასკნელი 50 წლის მანძილზე, აგრეთვე თავის ურთიერთობაზე ჩვენი საუკუნის გამოჩენილ პოეტებთან, მხატვრებთან და პროგრესულ მსახიობებთან.

#### საუბარი დრამატურბთან

ცნობილმა არგენტინელმა დრამატურგმა ანდრეს ლისაროგამ, სამხრეთ ამერიკის ლიტერატურული კონკურსის ლაურეატმა, შავანას პრესის კორესპონდენტების შეკითხვაზე მისი შემოქმედების შესახებ განაცხადა: „ჩემი ერთ-ერთი უკანასკნელი ნაშრომია პესა „ლინარტის“. ესაა სოციალურ-ფსიქოლოგიური კომედია, რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ ცდილობს ბუენოს-აირესის ბურჟუაზია შეინარჩუნოს თავისი ჰეგემონია და პრივილეგიები პერიანას რეჟიმის დამხობის შემდეგ, როგორც ცნობილია, პერიანა გაურბოდა ბურჟუაზიულ ოლიგარქიასთან კონფ-

ლიქტს, მსხვილ კაპიტალის-  
ტებთან იგი მშვიდობიანად  
ცხოვრობდა, ამავდროულად კი  
ბევრს ღაპარაკობდა „უხალა-  
თოვზე“, თავის მთავრობას  
„ხალხის მთავრობად“ წაიღებ-  
და. ციხეები სავსე იყო კულ-  
ტურის მოღვაწეებით, პოლი-  
ტიკური ლიდერებით, მუშე-  
ბით, ოლიგარქია კი კვლავ  
განცხრომით ცხოვრობდა. ბე-  
რონას დაცემის შემდეგ ოლი-  
გარქია ისწრაფვის შეინარჩუნ-  
ოს თავისი აღრინდელი პრი-  
ვილეგიები. ყოველივე ეს  
უშვებს საფუძვლად ჩემს კო-  
მუნისტს“.

ანდრეს ლიხაროვას კალამს  
გუთუნის ისტორიული პიესე-  
ბის ტრილოგია, რომელშიც  
შედის დრამა „ამერიკის წმიდა  
ხუანა“; ამ დრამაში გამოყვანი-  
ლია ხუანა ასურდუი, 1815 —  
1816 წლებში პოლიციის ხალ-  
ხის ესპანეთის უღლისაგან  
განთავისუფლებისთვის ბრძო-  
ლის გმირი. სწორედ ამ პიესამ,  
რომელშიც კარგადაა ნაჩვენე-  
ბი ხალხის გადამწყვეტი რო-  
ლი დამოუკიდებლობისთვის  
ბრძოლაში, მოუტანა ავტორს  
სახელი და პრემიერებული იქნა  
კონკურსში.

კითხვზე, როგორ დაიწყო  
თეატრისთვის წერა, მწერალ-  
მა მიუგო: „ვიდრე დრამატურ-  
გი ვავსდებოდი, მე მხატვარი  
ვიყავი. მაგრამ ჩრდილოეთ არ-  
გენტინის მშენიერი პროვინ-  
ციებში ყოფნისას, სადაც ასე  
ღამაზია მთები და ადგილობ-  
რივ ინდიელთა ტანსაცმელი,  
დავინახე ხალხში რაღაც უფ-  
რო მეტი, ვიდრე ჰქონდა ფე-  
რები. დავინახე ხალხის სილა-  
ტაკე, ექსპლოატაცია, ვარაი;  
მოვისმინე „ბიგულა“ — ნადე-  
ლიანი ხალხური სიმღერა, რო-  
მელშიც ინდიელი უჩივის  
უღიმღამო ცხოვრებას, უთვის-  
ტომობას — და მე აღარ შე-  
მძლო ხატვა. მე ვიგრძენი  
უდიდესი მისწრაფება თეატ-  
რის, როგორც ბრძოლის ია-  
რალისადმი, და დავიწყე თეატ-  
რისთვის წერა“. მან აღნიშნა,

ბერთოდ ბრეტის მიმდევარი  
ვარო, და განაცხადა: „დრამა-  
ტურგის ამოცანა იყოს თავი-  
სი დროისა და ცხოვრების მე-  
ტატიანე. თეატრისთვის წერა  
წავაგას მუშის შრომას. დრამა-  
ტურგი არ უნდა ელოდოს აღ-  
მავრდნას: თემები გველოდე-  
ბიან გარეთ. დრამატურგის მუ-  
შაობა — ესაა დაკვირება,  
მოსმენა, ახსნა“.

სუფი

**თანამედროვე ამერიკული  
კლასიკა**

კალიფორნიის უნივერსიტე-  
ტის პროფესორმა, ლიტერატუ-  
რისმცოდნე მენრი დან პაიპერ-  
მა ამერიკულ ყოველკვირულ  
ორგანოში „სატერდო რივეი“  
გამოაქვეყნა ფრიალ საინტერე-  
სო ლიტერატურული ანკეტის  
შედეგები. პროფესორს კითხ-  
ვით მიუშარათეს თავისი კო-  
ლეგებისთვის მსოფლიოს მი-  
ქვეყანაში: ვის თვლით თანა-  
მედროვე ამერიკული ლიტერა-  
ტურის კლასიკოსებადო. პასუ-  
ხი ერთობ მოულოდნელი აღ-  
მოჩნდა: ყველაზე მეტი ხმით  
პირველ ადგილზე მოხვდა  
სელენჯერი თავისი ნაწარმოე-  
ბით — „წყლის ნაყვ“, მეორე  
ადგილზეა მილერი პიე-  
რით — „ჟომივითაჟურის სიკე-  
დილი“; შემდეგი ადგილები  
გაიყვეს ფოლკნერმა, უილიამს-  
მა და ბულოუმ. ჰემინგუეი თავისი  
„მოხუცი და ზღვით“  
მეექვსე ადგილზე მოხვდა.

**ამერიკის ხმალხალი  
აღმოჩენა**

„მე, ამერიკელი მწერალი,  
ამერიკის ცხოვრების აღმწე-  
რელი, ვწერ ზეპირად. მაგრამ  
ეს მეთად მცდარ და სასტიკ  
წარმოდგენათა რეზერვუარია.  
მე არ ვისმენ ამერიკის ენას,  
არ ვიყნოსავ მისი ბალახისა  
და ხეების სურნელს, ვერ  
გხვდავ მის მთებსა და მდინა-  
რებს, არ ვიცნობ მის ფე-  
რებს. მე წიგნებიდან და გაზე-  
თებიდან ვტყობილობ ამერი-  
კაში მოხმადარ ცვლილებებს.  
უფრო მეტიც — ოც წელზე

მეტია აღარ მიგრძენდა მსხვილ  
სამშობლო. ამიტომ ვადგენვი-  
ტე ხელახლა აღმოვაჩინო საყუ-  
თარი თავისთვის ეს უსარბაზა-  
რი ქვეყანა. სხვაგვარად ვერ  
შევძლებდი მეწერა იმ მცირე  
სიმართლეთა შესახებ, რომელ-  
თავან იშვებო ერთი დიდი სი-  
მართლია, — ეს სიტყვები კი-  
ვისი ჯონ სტეინბეკს, რომელ-  
მაც ამას წინათ მანქანით იმოგ-  
ზაურა თავის სამშობლოში ერ-  
თადერთი თანამგზავრის, ძალღ  
ხარბის თანხლებით.

შემდეგ სტეინბეკმა დაწერა  
ვრცელი რეპორტაჟი; ამ რე-  
პორტაჟში მწერალი ილაშქრებს  
თავის სამშობლოში გადმეგებუ-  
ლი შეიარაღებისა და საომარი  
სულიკვეთების წინააღმდეგ;  
რომელიც აღმოაჩინა ამ საინ-  
ტერესო მოგზაურობის დროს.  
„შინშილინების წილი“  
კინომაგისტრალმა

დემდე არსებული გეგმების  
მიხედვით 1962 წელს პოლიტე-  
დის ყველა ფრია გადაიდებს  
მხოლოდ 16 ფილმს. თუმცა შე-  
საძლოა შეიქმნას დაუგეგმავი  
ფილმები, — მინც დაბეჯითე-  
ბით შეიძლება ითქვას, რომ  
წელს პოლიტედი ვერ მოხვდე-  
ბა მსოფლიოს ფილმისწარმო-  
ებელ ქალაქთა პირველ ათეუ-  
ლშიც კი. ამ გაკატრების მი-  
ზეში, ამერიკელ კინოსპეცია-  
ლისტთა გარით, ჯერ კიდევ  
წარმატებით წლებში (1945—  
1947) ჩაისახა. მაშინ ვაშინგ-  
ტონმა ბრძოლა დაუწყო ამე-  
რიკის კინომრწველობას, სა-  
დაც აშკარად იჩინა თავი  
პროგრესულმა განწყობილე-  
ბებმა. ამერიკის ფილმის ის-  
ტორიაში საუკეთესო სურათე-  
ბი კონგრესის სხვადასხვა კო-  
მისიამ არასაკმაოდ პროკაპიტა-  
ლისტურად სცნო. ვაშინგტონის  
ბრძოლას თავისი შედეგი მოჰყ-  
ვა. დაიწყო „ცივი ომი“ კინო-  
ხელოვანთა წინააღმდეგ. თავ-  
დაპირველი თავდასხმა ვანიცა-  
დეს და ციხეში მოხვდნენ მ-  
ლივეულის შავ სიაში შეტანილი  
პირები — ცნობილი „პოლიტე-  
დის ათეული“. მათ სხვა ათეუ-





ლებიც მიაყოლებს. ათასებმა დაპყარგეს საარსებო წყარო. ბევრმა საზღვარგარეთს მიაშურა. შემდეგში შავ სიათა მოქმედებამ შენელება იწყო და უკანასკნელ ხანებში კვლავ გამოჩნდა კარგი ფილმები, მაგრამ დიდი ბიზნისი, ჩანს, საბოლოოდ გაქპირა ჰოლოდუში. რა იქნება მომავალში — ამ კითხვას აუენებს ფილმის ავტორიტეტული ჟურნალი „ვარიტეტი“, და პასუხობს: „ეტუბოა ამერიკის კინოინფრესტრუქტურის 1968 წლამდე შემოიღობის პერიოდი იქნება“.

„მესტ სიდიის ისტორიის“

წარმბტმბტ

მსოფლიო ეკრანებზე დიდი წარმატებით მიდის ამ წლის ოსკარის პრემიით აღნიშნული ფილმი — „ვესტ საიდის ისტორია“. ეს ფაქტი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ესაა მუსიკალური დრამა, თანაც ამ დრამას არა აქვს ტრაფარეტული ბედნიერი დასასრული. ისეთ ცნობილ მუსიკალურ ფილმსაც კი, როგორცაა ო. პრემინგერის „პორგი და ბესი“ (გრემუინის მამვე სახელწოდების ოპერის მიხედვით), რამდენიმე მილიონით ნაკლები შემოსავალი ჰქონდა.

ფილმს საფუძვლად უდევს გათვლიერებული „რომეო და ჯულიეტას“ თემა. მოქმედება წარმოებს ნიუ-იორკის დასავლეთის ერთ ღროს მნიშვნელოვან რაიონში, რომელიც ახლა თანდათან დაქვეითებას განიცდის. ახალგაზრდა განსეტრთა ჯგუფები დღისით-მზისით ერთმანეთს ებრძვიან ქუჩებში. ამ გარემოში არ ძალუძს გაიფურჩქნოს ორი ახალგაზრდის სიყვარულს და ერთ დღეს ორივე გმირი ტრაგიკულად კვდება. შეგანიშნავი მუსიკა კარგად გადმოგვცემს, თუ როგორ დევნიან და უმწარბენ დღეს ერთმანეთს ახალგაზრდობა, იგი ამავე ღროს ხედვლიანა და განამათრახებელი; კომპოზიტორი ლეონარდ ბერნ-

შტაინი თვითონ იწოდებოდა ნიუ-იორკის ჯგურღმულეებში. ცრეები, რასაც მნიშვნელოვანი როლი აქვს დათმობილი ფილმში, და მთელი ფილმის იდეა ეკუთვნის ჯგურღმ რომინსს. „ვესტ საიდის ისტორიაში“ როლებს ახალგაზრდობა ასრულებს, არ მიუწევიათ არც ერთი კინოვარსკვლავი, და დღეს ეს ახალგაზრდები უკვე ცნობილი გახდნენ, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ საქირაო ორიგინალობა, თემატიკის აქტუალობა, რომ საქირაო ახალი, გაბედული სურათები.

„ბედნიერი დღეები“

ინგლისელი დრამატურგის სემუელ ბექტის პიესა „ბედნიერი დღეები“ კინოლამ ჩაფლავდა ნიუ-იორკში პრემიერის დღეს. თეატრალური კრიტიკოსები წერენ: „ესაა აუტანელი სატანჯველი — ორი საათის განმავლობაში უტყირო მიწაში კისრამღე ჩაფლული ქალის თავს და ისმინო მისი დაუსრულებელი მონოლოგები“. ზოგა რეცენზენტის აზრით, სცენაზე მოჩვენებითი ამბები სდება და ეს გასაგებიცაა, რადგან ბექტი პოეტია და სურს რადეც უნდა დაუჯდეს, მოაჯადოოს მაყურებელი. ყველაზე უფრო შესტად გამოთქვა თავისი სათქმელი ნიუ-იორკელმა კრიტიკოსმა უოლტერ კერმა, რომელმაც დაწერა: „ბედნიერი დღეები გათავდა — სცენაზე კვლავ გამოჩნდა ბექტი“.

მაქურბმავლი ბაღმმავალი

თორიტონ უაილდერი წერს თითოაქტიან პიესებს — შვიდ-შვიდი პიესისაგან შემდგარ სერიებს. პირველ სერიას ეწოდება „ადამიანის შვიდი ხსაკი“, ხოლო მეორეს — „შვიდი მომკვდინებელი ცოდვა“. აქედან სამი პიესა უკვე დადგა ნიუ-იორკის თეატრმა „წრის კვადრატურა“; მაყურებელმა გაოგნებით მიიღო ეს პიესები. მავალითად პირველი სერიის ერთ-ერთი პიესის — „ყველაზე

მუდრო ასაკის“ მთავარი რეზია ორი ჩვილი ბავშვი, რომლებიც თავიანთ აკენებში წვანან და დიდების განსჯავში არიან.

„სიმშობილი მალმბს“

ამერიკელმა პროზაიკოსმა ნორმან მეილერმა, რომელსაც ეკუთვნის ცნობილი რომანი მეორე მსოფლიო ომის შესახებ — „ტიტევენი და მკვლარნი“, პოეტობა დაიწყო. ამა წინათ ის გამოუშვეს ფსიქოტიკული საავადმყოფოდან, სადაც მოათავეს იმის გამო, რომ ხანჯლით დასტრა თავისი ცოლი. ახლა გამოდის მისი ლექსების კრებული — „სიკვდილი ქალმბს და სხვა უბედურებანი“.

ხან კლოუნი — ხან რამისნორი

ორსონ უელსი, ოდესდაც ამერიკული კინემატოგრაფიის დიდი იმედი, რომელმაც მწწლისამ გადაიღო ფილმი „მოქალაქე კეინი“, ახლა უკვე კინოკლასიკად რომ იქცა, — აშუამად იღებს ფილმს დონ კობტაზე. ფილმის მოქმედება იწყება სცენით, რომელშიც ქალიშვილი კითხულობს სერვანტესის რომანს, და მთავრდება საშინელი ატომური აფეთქებით, რის დროსაც იღუბება გმირი. სცენარის გარდა ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ის, თუ რა სიძნედეები ხდება მას ფილმზე მუშაობისას: ვინაიდან ვერ იპოვნა პროდუსერი, რომელიც დააფინანსებდა ფილმს, რეჟისორი თავის ხარჯზე მუშაობს. ვიდრე ფული ჰყოფნის, იღებს სურათს, როცა ფულად გამოედგა, წყვეტს გადაღებას და კლოუნად გამოდის ტელეხედვის სარეკლამო პროგრამებში, კაბარეტში და ა. შ., რათა დაავროგოს ფილმის გასაგრძელებლად საქირო ფული.

ბრმების პორტრეტმმმ

ბროდვეის ერთ-ერთმა თეატრმა მოახდინა ბერთოლდ ბრეტის ნაწარმოებების ინს-



ცენირება — აქა ნაწყვეტები მისი წერილებიდან, სიმღერებიდან, ნარკვევებიდან და ზოგი პიესის საკვანძო სცენები. ტექსტს კითხულობს, მღერის და პიესის ნაწყვეტებს თამაშობს ექვსი მსახიობი. ცარიელ სცენაზე დგას ექვსი მაღალი სავარძელი, ხოლო უკან აღმართულია ბრეტის უზარმაზარი სურათი. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა; კრიტიკოსმა აზროთ, ეს ძალზე დიდი წვლილი ამერიკელებისათვის ბრეტის შემოქმედების გაცნობის საქმეში.

### წიგნი ჰემინგუაიჯი

ამერიკული ლიტერატურული უფრანღო „ატლანტიკ“ ბექდავს ერნესტ ჰემინგუაის დის, მარსელინა ჰემინგუაი-სენფორდის წიგნის ცალკეულ თავებს. მალე ეს წიგნი მთლიანად და მასობრივი ტირაჟით გამოვა, მასში უხვად იქნება მწერლის დღემდე უცნობი წერილები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ მისი რთული შემოქმედებითი გზისა და აფორიაქებული ცხოვრების შესასწავლად.

### ბელგია

#### არქიტექტურული ფილმი

პაულ ხესერტის ახალ ფერად დოკუმენტურ ფილმს ეწოდება „არქიტექტურა — სივრცობრივი ხელოვნება“. ფილმი წარმოადგენს მსოფლიოს სამშენებლო ხელოვნების მიმოხილვას, რომლის ნახვისასაც მაყურებელი გადადის კერუნიდან რიოში, პარიზიდან ნიუ-იორკში, მექსიკიდან სტამბულში... აქ ნახავთ არა მხოლოდ სახელგანთქმული არქიტექტორების რაიტის, ნეტრის, ლა კარბუსეის და სარინენის ნაშთს, არამედ აგრეთვე უძველეს ნაგებობებს, ბრეტონულ პაწია სახლებს, ეგვიპტის პირამიდებს, მარკულის ატომურ ცენტრს და ბრაზი-

ლიის ახალ დედაქალაქ ბრაზილიას.

### ქალსინის პრომესტი

ბელგიის პროტესტანტულმა ეკლესიამ რადიოთი განაცხადა პროტესტი დასავლეთ გერმანიის კრიმინალური ფილმების ჩვენების გამო, ვინაიდან ამ ფილმების საღისტური ხასიათი საფრთხეს უქმნის „მაყურებელთა სულიერ და მორალურ სიფხანსაღეს“.

### ბრაზილია

#### ბრაზილიელთა მიგობარი

ბრაზილიის საზოგადოებრიობამ ზეიმით აღნიშნა მწერალ ალფონსო შმიდტის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წელი. თავის მოთხრობებში, რომანებში, პიესებში და ლექსებში მან აღბეჭდა ბრაზილიის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის სან-პაულუს ცხოვრება და ბრაზილიის საზოგადოების გარდაქმნა უკანასკნელი 10 წლის მანძილზე. წიგნში — „მშვიდობისათვის“ მან გადმოხსცა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიაში მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებები.

### ბულგარეთი

#### თეატრების აღმავლობა

უკანასკნელ ხანებში თეატრალური ცხოვრება ძალზე იფურჩქნა. ბულგარეთის საუკეთესო პროფაიკოსებმა და პოეტებმა თეატრს მიაშურეს. ბულგარეთში მომხდარ ცვლილებებს და აქაურ აღამიანთა გარდაქმნას მიეძღვნა მთელი რიგი ახალი პიესები: ივან რადოვიცის „ქვეყნიერება ვიწროა“, ლოსან სტრელკოვის „მძიმე წლები“, გეორგ შიგაგარეის „პარი იზურება“, ივან პეტრევის „შემოდგომის ეს საღამო“. ამას წინათ სოფიაში დაიდგა დიმიტრი დიმოვის (რომან „თამბაქოს“ ავტორის)

პიესა — „ვიანა დამნაშავე?“. სოფის სატირის თეატრმა წელს განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ვალერი პეტროვის პიესით — „თუც ვარდები ცვეკვენ“. მთელს ბულგარეთში ხალხით გაქედლ დარბაზებში იღმებოა კამენ სილაროვის ისტორიული დრამა ლექსად — „ივან სისმანი“, რომელშიც აღწერილია თურქეთის ბატონობისდროინდელი ლეგენდარული გმირის თავგადასავალი.

### გერმანია

#### გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

##### კურმალს ხბალ რომანი

ალფრედ კურელას ახალი რომანი — „პატარა ფიგურა დიდს თამაში“ მოგვითხრობს გერმანელი მწერლის ბელჯურომელიც 1938 წელს ემიგრაციაში მიდის. ყოველკვირული „ზონტაგის“ რეცენზენტი წერს: „რა პარალელი შეიძლება გავატაროთ რესპუბლიკის დღევანდელ დღესა და იმ დროს შორის, როდესაც ემიგრაციაში მყოფი მწერალი სამშობლოში დაბრუნებას ოცნებობდა? ალფრედ კურელას რომანი არაა მწერლის ემიგრაციაში ყოფნის უბრალო ეპიზოდები. რომანი გაუღწეოლია ღრმა პარტიულობით. ნაწარმოების ძირითადი აზრი მჭიდროდ უკავშირდება სკპ XXII ყრილობაზე შოლოხოვის ნათქვამს—„მე პირველყოფლისა კომუნისტი ვარ, ხოლო შემდეგ — მწერალი“. რომანში ლაპარაკია აღამიანთა შორის საზოგადოებრივ კავშირზე, აღამიანის აღზრდაზე და, ბოლოს, რომანის გმირის დამოკიდებულებაზე შტრეზისა და მეგობრებისადმი. ყოველთვიე ამან შექმნა პირობები, რათა გმირს ჩამოყალიბებოდა მოვლენათა მსვლელობის კომუნისტური გაგება. „პატარა ფიგურა დიდს თამაში“—უხაა ნაწარმოები, რომელიც გვიჩა-



ვენებს, თუ საზოგადოებრივი ძალების ზეგავლენამ როგორ აღწარდა პოლიტიკური მოვლენების მიმართ პასუხი ადა მიაჩნ კომუნისტური იდეებისთვის აქტიურ მებრძოლად“.

**ბასლგაზრდა მწერალი ძალიან დამნიჭი**

ეროკა მიხელ-ვაგნერმა ახლახან მოჰქიდა ხელი კალამს, მაგრამ მკითხველთა ფართო წრე მას უკვე კარგად იცნობს — ისაა ავტორი მოთხრობისა — „ხალ არის რუთი?“. მოთხრობაში მოქმედება წარმოებს ჰიტლერულ გერმანიაში. სკოლის დირექტორმა კლასიდან განდევნა 13 წლის რუთი: შუა ადგილი არ არის სკოლაში; რადგან არაპირულად წარმოშობისა ხარო. ნაციტური სულისკვეთებით აღზრდილი მოსწავლეები ადვრთოვანებით ხედებიან დირექტორის ამ არაადამიანურ მოქმედებას. ამ სცენამ დრამად აღაშფოთა ვილი. გერმანელი ანტიფაშისტის შვილი. ვესტპალსიდან დევნილი რუთი თავშესაფარს პოულბოხ ვილის მამის ოჯახში, საიდანაც, ანტიფაშისტური ორგანიზაციის დახმარებით, იგი გადაჰყავთ ჩეხოსლოვაკიაში.

დემოკრატიული პრესის აზრით ეროკა მიხელ-ვაგნერის გმირს ვეიხაბას არაჩვეულებრივად თბილ და ლირიულ ფერებში. ახალგაზრდა მწერალი ქალი გამოდის აგრეთვე პოეზიაშიც. გაზეთ „იუნგ ველტის“ კრიტიკოსი განსაკუთრებით აღნიშნავს მის ლექსებს — „მე დაგებ შენ, მეოცე საუკუნე“ და „კომუნისმის ქუჩა“.

**ბერმანის ფადრაციული რისპუგლიკა**

**„სამღვთო ომის“ კრახი**

ეს ისტორია შარშან დაიწყო უფრნად „შტერნის“ ფურცლებზე — აქ დაიბეჭდა ვინმე გ. ტრემპერის ცილისმწამებლური რომანი — „გაქცევა ბერლინი“. თავისი ამ ღვარძ-

ლიანი ოპუსის გამოქვეყნების მერ ტრემპერმა განიზრანა გადღეული ფილმი ამავე რომანის მიხედვით. ადრე მას შეთითხნილი ჰქონდა რამდენიმე კინოსცენარი, რომლებმაც ვერ მოუტანეს დაფინს გვირგვინები. ფილმის დასადგმელად მან კომპანიონად მოიწვია ვინმე შვაბახერი — ერთი უოლსტრიტელი ფირმის დირექტორი ევროპაში, რომელმაც ამერიკელ ბოსს კარგა დიდი თანხა გამოსცანელა და, ამჟამად, შეიქნა ახალი კინოფირმა „შტუნის“ სახელწოდებით (სამივე კომპანიონის ინიციალების მიხედვით). ფტრ-ს კათოლიკურმა წრეებმა მხარი დაუჭირეს ახალ კინოფირმას. იკლესიის მამებმა დალოცეს ეგ და ვა და მღვდლებ ჯგუფს ნება დართეს ებუშავთ კვირა და რელიგიური დღესასწაულების დღეებშიც კი „კომუნისმის წინააღმდეგ სამღვთო ომის“ დროითი. ამ წამოწყებას გულთბილად გაუგებდნენ აგრეთვე ბონის საერთო გერმანულ საქმეთა სამინისტრო, რომელმაც სცენარისტი შეუშვა არქივებში.

როგორც მოსალოდნელი იყო, „შტერნ“, „შტურნის“ წამოწყება — ცილი დაეწამებინა ხალხის დემოკრატიულ მონაოვართათვის გდრ-ში, ჩაიფუშა. ყოველკვირეულმა „დოიჩე ვოხე“ ფილმი დაახასიათა როგორც ნაჩქარევი ფალსიფიკაცია. ასევე მარცხით დასრულდა ამ ბინძური კინონაუბლებვის საერთაშორისო ევროპულ გატანის ცდა ჰაინრიხ ბიოლის პირველი სცენარი

იმ დღეებში, როცა დიუსელდორფში რეჟისორი კარლ ჰანც შტარუკი ამზადებდა ჰაინრიხ ბიოლის პირველი პიესის — „ერთი ყლუბი მიწის“ დადგმას სცენაზე, კინემატოგრაფისტთა ჯგუფი შეუდგამისი მოთხრობის — „ადრეული წლების პურის“ ევროპულ ცილისმწამებლური ფილმის რეჟისორი პეტრ ტრეპერ ვეწელი ავტორთან ერთად მუშაობდა სცენაზე, რო-

გორც ვაწ. „თაგსში ბელნი იუწყება, ვეწელის აზრით ბიოლის ნაწარმოების ევროპულ ციამ უნდა მოგვეცეს „ჩვენადროის ადამიანებისა და ჩვენი საზოგადოების დოკუმენტური ასახვა“. მონაწილეთა არჩევნის ფილმის დამდგმელმა უარი თქვა ცნობილ მსახიობებზე; ვალტერ ფენდრიხის როლს ასრულებს ახალგაზრდა კინოსახიობი ე. დიორმერი, მისი სატრფოს შედგავას როლს კი კარენ პლანკენრონი.

**ინგლისი**

ჰაქსლის ბასლი რომანი ოლოფ ჰაქსლის ახალ რომანს ძალზე უფერული სათაური აქვს — „კუნძული“. ესაუტოპიური რომანი, რომელმაც უნდა მოგვითხროს, თუ რა ნაირი იქნება ქვეყნიერება, რომელიც ადამიანი ნამდვილად ბედნიერი იქნება, ყოველ შემთხვევაში, მწერლის აზრით. ეს „მშვენიერი ახალი ქვეყნიერება“ მდებარეობს წყნარი ოკეანის რომელიღაც კუნძულზე. მის მცხოვრებლებს ცხოვრება მოწყობილი აქვთ თანამედროვე მეცნიერების საფუძვლებისა და ბუდღიშემის პრინციპების მიხედვით. კუნძულ პალას მოქალაქეები უახლეს ფილოსოფიურ თეორიებში განსწავლულნი, თავისუფალი სიყვარულისა და ხელგონური განყოფიერების თავყვანისმცემლები არიან. — ე. ი. თვით ჰაქსლის პრინციპების მიხედვით ცხოვრობენ. მაგრამ კუნძულის მცხოვრებთა ბედნიერება ხანმოკლე გამოდგება. მათს ქვეყანაში აღმოჩნდება ნავთი, რაც გაცხოველებულ ინტერესს აღუძრავს სხვა დიდ სახელმწიფოებს. თანამედროვე უტოპიის მშვიდობიანი მცხოვრებლები ვიღარ უმაგრებდნენ გარესაშყაროს, რომელსაც ვერ აუტანია განხორციელებული ბედნიერება. უტოპიის განადგურებით თვით ავტორი აღიარებს ამ უტოპიის პრაქტიკულობას. გაზეთ „თაიმის“

ლიტერატურული დამატების კრიტიკოსი წერს, მაქსლის უტოპიის ცხოვრება არცთუ ისე მიმწიღველია; რომანში ყველაზე უფრო სიმატიური ფიგურაა გულგატეხილი ევროპელი უფროსი ძიგო, რომელიც გულიერის მსგავსად წააწყდება ამ კუნძულს, ხოლო ამ შესანიშნავი კუნძულის მცხოვრებლები ძალზე მოსაწყენნი და უინტერესონი არიან თავიანთი ბედნიერებით.

„სპირიტუალური“ პლანეტრი „ფიგურის“ ცნობით, ინგლისმა მწერალმა ქალმა პატრიხა ჯარდნი განაცხადა, რომ მას სპირიტისტული კავშირი აქვს ბერნარდ შოუსა და ანტონ ჩეხოვთან. ორივე ეს მწერალი მას ყოველდღე „კარნახობს“ მთელ პიესებს, ნოველებს, რომანებს, რომლებიცაც „მწერალმა ქალმა“ აავსო თეატრები, რედაქციები და გამოცემლობები. ზოგან „სპირიტისტის“ მწერლის“ ნაწარმოებებს სერიალურად დებულობენ, ზოგან იციან. მაგრამ მოსკოვში გამოგზავნილმა ჩეხოვის მიერ „ნაკარნახევმა“ პიესამ ჯარდის კრახი განაცდევინა, ვინაიდან გამოირკვა, რომ ეს იყო ჩეხოვის ცნობილი პიესის ინგლისური თარგმანი.

რამ ალაფორთა უილსონი „დეილი ექსპრესმა“ გამოაკვეყნა მწერალ კოლინ უილსონის სტატია, რომელშიც იგი თავს ესხმის „გაბარაზებულ ყმაწვილკაცთა“ ლიტერატურულ მოძრაობას ორი ახალი რომანის გამოცვლასთან დაკავშირებით. ესაა თომას მაინდის „ადელინი, რომელიც მშობლიურ სახლს მაგონებს“ და აღრიან მიტჩელის — „როდისაც მე მოვიდვიარ“.

კოლინ უილსონის და „დეილი ექსპრესის“ არ მოსწონთ ამ რომანებში გამოთქმული „მემბოზური“ აზრები. მიტჩელის რომანის ვიირი გამოთქვამს თავის შეხედულებას წყალბა-

დის ბომბის, ინგლისის მთავრობის პოლიტიკის, საერთოდ ინგლისის პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ. უილსონი დაუფარავად წერს: „მიკვირს, რატომ არსებობს ეს მოძრაობა დღემდე. კარგა ხანია, ათ წელზე მეტი იქნება, რაც ის ძირს უთხრის ინგლისის ლიტერატურას“. ცნობილია, რომ ისეთ „გაბარაზებულებს“, როგორცაა ჯონ ოსბორნი, კონგლი ემისი და სხვები, სრულიადაც არ „გამოუხერხათ ძირი“ ინგლისური ლიტერატურისთვის; პირიქით, მათ შეიტანეს ახალი ნაყოფი, შექმნეს სინტერესო, თანამედროვე ინგლისის განწყობლებათა ამსახველი ნაწარმოებები.

უილსონი „დეილი ექსპრესის“ ფურცლებზე პრეპარატის სუფევს კაპიტალისტური ქვეყნების მმართველი წრეების საყვარელ იდეას — ლიტერატურა არ უნდა ერიოდეს პოლიტიკაში. „ვის აინტერესებს, — წერს ის, — რომ ამ ახალგაზრდა მწერლებს სულთ მაკმილანი და კენტრბერის ქორეპიკოპოსი? ვის რა ესაქმება, თუ რას ფიქრობენ ისინი ატომურ ბომბზე? მათ იქნებ თავი მოსწონთ თავიანთი შეხედულებებით, მაგრამ პიესებსა და რომანებში ამ შეხედულებებს არაფერი ესაქმებათ“. უილსონი ამავე სტატიაში თავს ესხმის ჯონ ოსბორნის ყრველკვირულ „ტრიბიუნში“ დაბეჭდილი ცნობილი ღია წერილის გამო, სადაც ოსბორნი აკრიტიკებს მაკმილანისა და გეტისკელის პოლიტიკას. მაინდისა და მიტჩელის ახალ ნაწარმოებებზე თავდასხმით უილსონი ცდილობს სახელი გაუტეხოს იმ ლიტერატურულ მიმართულებას, რომლის ზოგიერთი წარმომადგენელი ხანდახან ბედავს ინგლისის მთავრობის საერთადაც საგარეო პოლიტიკის გაკრიტიკებას.

შეშხპირის მმტოპი დღემდე ინგლისსა და მთელს მსოფლიოში ყველაზე პოპულა-

რულ მწერლად აღიარებული იყო უილამ შექსპირი. „იუნესკო“ მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით შექსპირს პირველობა ჩამოართვა მისივე თანამემამულემ, დეტექტიური რომანების ცნობილიმა ავტორმა, მწერალმა ქალმა აგატა კრისტინი. მისი წამ რომანს გადათარგმნილია 10მ ენაზე. მაშინ, როცა შექსპირის ნაწარმოებები მხოლოდ 8მ ენაზე თარგმნილი. იმ ავტორთა შორის, რომელთა ნაწარმოებები ყველაზე მრავლად იბეჭდება მსოფლიოში, აგატა კრისტინს უჭირავს მეხუთე ადგილი ლენინის, ლეე ტოლსტოის, ვიუდვერნისა და დოსტოევსკის შემდეგ.

„ილიოტი“ ინგლისის სცენარე

ლონდონის თეატრ „ლირიკში“ ხალხით გატეხილ დარბაზში წარმოადგინეს დოსტოევსკის „იდიოტის“ ინსცენირება. პიესის დადგმა მოაწყო თეატრალურმა დასმა „იკონ“, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რუსულ კლასიკურ პიესებს დაგამს.

ღრამატურგთა აკვანდი

ინგლისის ტელევიდეა იქცევა „ღრამატურგთა აკვანდა“, ვინაიდან მათ თავდაპირველად ტელევიდეაში უნდა მოიხეტოვოს სახელი, რომ მათი პიესა მიიღოს რომელიმე თეატრმა, რადგან თეატრებს არ უნდათ რისკი დასწიონ და ჩაფლავდნენ უცნობი ავტორის პიესის დადგმით. ამრიგად, ამჟამად ტელევიდეა — ჯონ არდენის, ალან ოუენის და სხვა ღრამატურგთა წყალობით — ინგლისის თეატრებს „უბრუნებს“ მათუარბებელს, რომელიც მანვე წაართვა ერთ ღროს, როცა ტელევიდეა ტექნიკური სიახლე იყო.

მომიის მემშარბი

ლონდონში მალე გამოავსო მერსეტ მოემის მემშარბის I ტომი, II ტომის გამოცვლას კი





რამდენი დაავადებდა, არავინ იცის — ავტორის სურვილის თანახმად იგი მხოლოდ მისი სიკვდილის მერე გამოქვეყნდება, რადგან მასში მოემა მოიხსენიებს ხელოვნების, მეცნიერებისა და ლიტერატურის მოღვაწეთა გარდა მრავალ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელიც ახლო ურთიერთობაში ყოფილან მასთან და დაკავშირებულნი არიან მის ლიტერატურულ და დიპლომატიურ მოღვაწეობასთან.

**„აღმღვთვი ჰიტლერის ცხოვრება“**

ინგლისისა და ევროპის ეკრანებზე არნახული წარმატება ხვდა ცნობილი ინგლისელი დოკუმენტალისტის პოლ როთის ახალ ფილმს — „აღმღვთვი ჰიტლერის ცხოვრება“, რომელიც მოლიანად დოკუმენტურ მასალაზეა აგებული. „ეს ფილმი — წერს „ფილმზე ენდ ფილმინგის“ რეცენზენტი — ერთი ყველაზე შესანიშნავია პოლ როთის შემოქმედებაში. ფილმის მიეღი მასალა ოსტატურადაა შერჩეული, მონტაჟი — ზუსტი და აუცილებელი, როგორც ქირურგის სკალპელი. ფილმზე მუშაობისას შემოქმედმა უარყო ყოველგვარი კომერციული და კომპრომისული შეზღუდვებანი და ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვა.“

**ჩაპლინის ფარადი ფილმი**

ჩარლი ჩაპლინი აპირებს ახალი ფერადი მუსიკალური კინოკომედიის გადაღებას. ამ ფილმით ჩაპლინი კვლავ უბრუნდება „პატარა კაცის“ პირობებს, მისთვის დამახასიათებელი შავი ქვაბურა ქუდი, ვეება, დაგლეჯილი ფეხსაცმელებით და განუყრელი ჯოკით. ეს იქნება ჩაპლინის პირველი ფერადი ფილმი კინოში მისი მოღვაწეობის მთელს მანძილზე.

ჩაპლინი ფილმს გადაიღებს ინგლისში, მას მცირე ხნითაც კი არ სურს დაბრუნდეს ჰო-

ლივუდში, თუმცა შეურიგდა იმ აზრს, რომ მისი 17 წლის გოგონა უერალდინა სწორედ ჰოლივუდში მიიღებს პირველ კინონათლობას.

**ლოურენს ოლივიის თეატრი**

ლოურენს ოლივიემ ინგლისის საკურორტო ქალაქ ჩიჩესტერში შექმნა საკუთარი სასაფუხოლო თეატრი, რომლის სეზონიც 10 კვირას გასტანს. თეატრის რეპერტუარშია პიესები ოლივიეს მონაწილეობით, აგრეთვე პიესები, რომელთა რეჟისორიც თვითონაა.

**ინდომეტი**

**„ქაბუღელი“ კვლავ მარბნებზე**

რამდენადაც თავორის მოთხრობა „ქაბუღელის“ გმირთა ღრმა ადამიანურობა და სიტუაციის ტრაგიზმი ამ მოკლე ხანში უკვე მეორედ იზიდავს ინდომეტის კინომოღვაწეთა ყუარადებს. 1956 წელს ინდომეტის ეკრანებზე წარმატებით აჩვენებდნენ „ქაბუღელს“. რომელიც ამ მოთხრობის მიხედვით დაღვა ახალგაზრდა რეჟისორმა ტაპან სინგამ. ამა წინათ ინდომეტი მაყურებელი დიდი ინტერესით შეხვდა მოთხრობის ახალ ეკრანიზაციას ბინდურ ენაზე. ფილმი დაღვა ცნობაღმა პროდიუსერ-რეჟისორმა ბიშალ რომ (რონი ბიშპი მიწა) რეჟისორ ხემენ გუპტასთან ერთად. კრიტიკა ერთსულგვანი მოწონებით შეხვდა ამ ახალ ფილმს.

**ირლანდია**

**პიესა უმხასიომოდ**

დუბლინის თეატრში ჩატარდა სამუდელ ბეკეტის ახალი პიესის „უკანასკნელი სამხუაეროს“ პრემიერა. ამ პიესის თავისებურება ისაა, რომ მასში მხოლოდ ერთი მოქმედი პირობა, რომელიც სამი მოქმედ-

ბის მანძილზე ერთხელაც კი არ ჩნდება სცენაზე. პიესის მხველეობის დროს დაბაზნი ჩანებლებულია, ფარადი კი ჩამოშვებული. ისმის მხოლოდ მსახიობის ხმა, რომელიც გადამოსცემს პიესის შინაარსს.

**იტალია**

**რომი — კინომოღვაწეობა**

იმ დროს, როდესაც დასავლეთ გერმანიასა, ინგლისსა და ჰოლივუდში ფილმის წარმოება განუზრდელად ეცემა, იტალიაში, უკანასკნელი სტატისტიკური ცნობებით, 1961 წელს, გადაღებული იქნა 210 ფილმი. მხოლოდ იტალიელმა პროდიუსერმა დინო დე ლაურენტისმა შარშან გადაიღო 10 ფილმი. სულ ორიოდ წლის უკან შექმნილმა მეორე ფირმამ „არკო“, სადაც რეჟისორად მოღვაწეობს რომერტო როსელინი, შარშან გადაიღო რამდენიმე ფილმი, რომელთაც დიდი წარმატება ხვდათ. „არკოს“ გერადით ასევე წარმატებით მოღვაწეობს კინოსაზოგადოება „აიტალიტიკა“, სადაც რეჟისორია ფილერტო ფელინი. იტალიის სხვა კინოფირმებიდან უნდა დავასახელოთ აგრეთვე „კინო დელ დუჩა“, „დოკუმენტო“, „კინოპროდუციონე ასონიტი“, „ფონო რომა“, „ეურო ინტერნაციონალე“, „დუილიო“, „გლოსტე“, „ილირია“, „მადენოტი“, „იტალიუს და ვიდასი“. აქვე უნდა აღინიშნოს დამოუკიდებელი პროდიუსერები — სოფია ლორენ-კარლო პენსი და ვიტორიო დე სიკა.

თქმა არ უნდა, უშუალოდ ომის შემდეგ იტალიაში შეიქმნა ბევრი კარგი ფილმი, თქმა არ უნდა, შემდეგაც ამა თუ ამ რეჟისორმა გადაიღო საუცხოო ფილმები, მაგრამ სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით იტალიის ფილმის რენესანსი დაკავშირებულია „ტიტოლ ცხოვრებასთან“. იტალიურ ფილმთა წარმატების საიდუმ-



ლოება ბევრ კინომოდერნიზაციას იწვევს რომში. და აი „მარადიულ ქალაქში“ „ტექნიკური ცხოვრების“ საძებნად მოემზავრებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პროდუქტებით, რეჟისორები, კინორეჟისორების წარმომადგენლები. პირველი მათ შორის იყო ვინსენტ მინელი. იგი, წარმოშობით იტალიელი, ათეული წლებია საზღვარგარეთ ცხოვრობს და იღებს ფილმებს. „ტექნიკური ცხოვრების“ ნახვის მერე იგი მიემგზავრება რომში, იღებს სურათს — „ორი კვირა უცხო ქალაქში“ და აქვე რჩება. ასევე იქცევა ბევრი უცხოელი.

საზღვარგარეთის კინოსპეციალისტების აზრით ამჟამად იტალიურ ფილმსა და რომს, როგორც კინოდედაქალაქს, დასავლეთის ქვეყნებიდან ვერაირცვრის ვერ შეეცვლება.

**წინააღმდეგობის პრემია**  
ომენიეში შედგა წინააღმდეგობის მესამე ყოველწლიური ლიტერატურული პრემიის, ანუ, როგორც მას უწოდებენ, „ომენიის პრემიის“ მინიჭება. ეს პრემია დააარსა ამ ქალაქის მუნიციპალიტეტმა და პროგრესულ მწერალთა ჯგუფმა. ომენიის პირველი ორი პრემია მიეკუთვნათ ანრი ალფესა და უან-პოლ სარტრს. წელს უფროა, რომელშიც შედიან გვიდო პოვენი, კარლო სალინარი, ჩეზარე ძავატინი და იტალიის ლიტერატურული წრეების სხვა გამოჩენილი წარმომადგენლები, პრემია მიანიჭა გერმანელ ანტიფაშისტ ფილმსოფოსს გიუნტერ ანდერსს წიგნისათვის — „ყოფნა, არ ყოფნა“, რომელიც გამოსცა იტალიის გამოცემლობა ეუნალიამ. წიგნისადმი მიძღვნილ სტატიაში „უნიტას“ ლიტერატურული კრიტიკოსი ჯ. ფერატი წერს, რომ ანდერსის დაშრომნი ვაჟდენთილია ფაშისმისა და ატომური ომის წინააღმდეგ ბრძოლის სულიკვეთები. ანტიფაშისმის იდეა

ერწყმის ატომური საფრთხის წინააღმდეგ გალაშქრების აუცილებლობის შეგნებას და გადაღის მშვიდობისათვის ბრძოლის იდეაში. ანდერსი აღნიშნავს, რომ კომუნისმის წინააღმდეგ ბრძოლის მოწოდებასა და ატომური ფსიქოზის გაღვივებაში, რასაც ეწვევიან დასავლეთის გარკვეული წრეები, იფარება ფაშისმის აღორძინების საფრთხე.

გიუნტერ ანდერსის წიგნი წარმოადგენს ხიროსიმასა და ნაგასაკუი მოგზაურობის თავისებურ „ფილოსოფიურ დღიურს“.

**პოლონეთი**

**შურნალისტის თეატრი**  
ქალაქ კიელში გაიხსნა ახალი, ორიგინალური თეატრი — „შურნალისტის თეატრი“, რომელიც დაარსა შურნალისტთა კლუბმა. მის პირველ პროგრამას, რომელიც დაწერა და დადგა რიშარდ სმოლევსკიმ, ეწოდება „სუთი შეითხვა და სხვა არაფერი“. არსებობდა ესაა პოლონეთში მოგზაურობის ინსცენირებული რეპორტაჟი.

**„ორბიტაზე“**

გამოვიდა სამეცნიერო-ფანტასტიკური რომანების ავტორის, გამოჩენილი პოლონელი მწერლის სტანისლავ ლემის ფელეტონებისა და ნარკვევების წიგნი — „ორბიტაზე“. წიგნი ძირითადად მიეძღვნება კოსმონავტიკას, მეცნიერებასა და ფანტასტიკას, და დიდი გამოხმაურება ჰპოვა პოლონეთშიც და უცხოეთშიც.

**საფრანგეთი**

**არ მოუვიდა ფრანგულ ლიტერატურას**  
ახეთ შეკითხვას იძლევა „ნაწვეულ ლიტერატურაში“ ფრანგი კრიტიკოსი პიერ ბუაღეფრი. „პირველი მსოფლიო ომის

წინა წლებში ჩვენს ლიტერატურას ჰყავდა ანატოლ ფრანსი, რომენ როლანი, კოლექტივის მომდევნო წლებში გვაყვდნენ მარსელ პრუსტი, ანდრე ჟიდე, პოლ კლოდო, პოლ ფაბრი, უან შირაღე. ახლა? ახლა აღარავინ გვაყავს და ფრანგული ლიტერატურა აღარაა მსოფლიო რეზონანსის ლიტერატურა... როგორ უნდა დავუბრუნეთ მას ყოფილი სახელი და დიდება? — კითხულობს ბოლოს კრიტიკოსი და მოკლედ ურჩევს: — ლიტერატურა კვლავ უნდა მიუბრუნდეს აქტუალურ თემებს“.

ფრიალ დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ამ სტატიის დაბეჭდვის მეორე დღესვე ოს-ელმა ფაშისტებმა მისი ბიზა ააფეთქეს. ეს იყო ლაკონური პასუხი პროგრესული კრიტიკოსის სამართლიან გულისტკივილზე.

**ჰოლივუდის გზით**

„თანამედროვე ფრანგული ფილმები ისეთივე ელემენტუარია, როგორც პარიზული ტანსაცმელი, მაგრამ ისევე სწრაფად გამოდის მოდიდან, — წერს იან დალასი, „ფილმზე ენდ ფელმინგის“ პარიზელი კორესპონდენტი თანამედროვე ფრანგული კინოს მოკლედ მიმოხილვაში. — თუმცა რაღაც მაინც რჩება მოდიდან: ესაა სტილი ფრანსუაზა საგანისა, რომლის პირველი რომანი „სადავამ“ თავისებურ პატენტად იქცა გარკვეული სახის ხელოვნებისათვის, რომელიც განკუთვნილია მოწყვენილ უსაქმურთათვის. როგორ კეთდება ასეთი ფილმები? როგორია ფრანსუაზა საგანის ქიმიის ძირითადი ელემენტები? — კითხულობს დალასი. მისი აზრით ასეთი ელემენტი ოთხია: „პირველი ელემენტი — ესაა მოწყვენილობა. საღვს მობეჭრება შრომა, მოზერდა უსაქმურობა, მოპერდა სიყვარული. მეორე — ფეტვიში, ავტომობილებს და რესტორნ-



ბის ფეტიშიზმი. მესამე — ფული. ფულშია ყველაფრის პირველშივე. თუ ის ბლომადაა, — განმარტავს დალასი, — მაშინ ბევრია თავისუფალი დროც, რომელიც როგორმე უნდა „მოკლას“. მეოთხე — ესაა პენსიონი“.

დალასი ამ ელემენტების მიხედვით განიხილავს რამდენიმე ფრანგულ ფილმს და, ბოლოს, გულიანტივილით აღნიშნავს: „მეორე წოდებული „ახალი ტალღა“ — მოძრაობა ფრანგული კინოს მოღვაწეებისა, რომლებიც ისწრაფვიდნენ დაემკვიდრებინათ თავიანთი დამოუკიდებლობა დიდი სტუდიების მკაცრ კომერციულ ჩარჩოებს გარეთ, საბოლოოდ შეუქმნა დიდი სტუდიებმა მოიგეს. „ტალღა“ მხოლოდ ქველი გამოდგა... კინო დაუბრუნდა „თავის სივრცის“, — და იქვე განმარტავს ამ „თავის სივრცის“: — „ფრანგული კინო გადაიქცა პატარა ჰოლივუდში“. შემდეგ დასძენს, რომ მას მხედველობაში აქვს ჰოლივუდში ბიბლიურ თემებზე შექმნილი უამრავი ფილმი, რომლებმაც ამ ბოლო დროს წაიკურს ვეროპია და ანტირეის ეტრანები. ერთი შეხედვით, თითქოს რა უნდა ჰქონდეს საერთო ფრანგულ კამერულ სურათებს და ბიბლიურ თემებზე გადაღებულ სურათებს? მაგრამ საერთო არის — ესაა კინოს როლისა და ამოცანებისადმი ის მიდგომა, რომელსაც დალასი სამართლიანად უწოდებს „პოლივიდურს“. ბიბლიური სიუჟეტები სწორად უბრალო საბაბია, მათს საფუძველზე იქმნება ისეთივე „დროსიმოსაკლავი“ ფილმები, როგორსაც იღებენ საფრანგეთში. განსხვავება, მხოლოდ ისაა, რომ ზემოაღწერილი პარიზული რესტორნების ნაცვლად ბიბლიურ ფილმებში ვხედავთ ძველ, არანაკლებ ბრწყინვალე სანადიმო დარბაზებს, ხოლო ნათივი ფრანგი ქალების ნაცვლად — სულამითებსა და დაღლილებს. თანა-

მედროვე ფრანგული კინოს დაცემაში ძალზე საგნძობია ეს ცდუნება, ეს დაუძლეველი სისუსტე—სინამდვილის გვერდის ახვევის მისწრაფება, — აღნიშნავს დალასი. — ფრანგი მხატვრები ისწრაფვიან ოცნებისა და სურვილთა სექსუალური დაკმაყოფილების სამყაროში გაეცნენ მახინჯ, სინამდვილეს, დაუსრულებელ ომსა და მანკიერ სოციალურ წყობილებას.

შაბბალი აღნიშნავს

80 წელს მიღწეულ ფრანგ მხატვარს მარკ შაგალს დღემდე 1.500-დე ტილო აქვს შექმნილი. იგი ამჟამადც მხნედ გრძნობს თავს და ყოველდღიურად რამდენიმე საათს მუშაობს. მისი სამხატვრო მოღვაწეობის 60 წლისთავის აღსანიშნავად საფრანგეთში მოეწყო მხატვრის ყველაზე თვალსაჩინო ნაწარმოებთა გამოფენა, რომელზეც ექსპონირებული იქნა 185 ახლა შაგალი საფრანგეთში მესამე მხატვრად აღიარებული. საინტერესოა ის გარემოება, რომ პირველი 30 წლის განმავლობაში შაგალს დამოხვეულად თვლიდნენ, მომდევნო 20 წლის განმავლობაში — ფანტაზიორად, ამ ბოლო დროს კი აქებენ და აღიდიბენ. გლაზგოს უნივერსიტეტმა მას ამას წინათ მიაკუთვნა საპატიო დოქტორის წოდება. დღემდე ეს წოდება მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ ერთ მხატვარ-მოქანდაკეს — ოგუსტ როდენს.

საბო შინაი პიპასოვა

პაპლო პიკასოს 80 წლისთავისთვის გამოსულ მრავალწიგნ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამი წიგნი: პიკასოს ავტორიზებული ბიოგრაფია, რომელიც დაწერა მისმა მეგობარმა და მისი შემოქმედების მცოდნემ როლან პენროსმა; შამპრის წიგნი — „შუქი და ჩრდილები“, რომელშიც ხელოვნების ფრანგი თეორე-

ტიკოსი თავმოყრილი დოკუმენტების საფუძველზე იკვლევს პიკასოს შემოქმედებისა და მისი შთავგონების წყაროებს; და მესამე, თითქმის ყველაზე საინტერესო წიგნია დუნკანის ილუსტრირებული გამოცემა — „პიკასოს პიკასო“, რომელშიც ავტორმა პიკასოს ნებართვით 200 საუცხოოდ შესრულებული ფერადი რეპროდუქციისა და 60-გვერდიანი კატალოგის სახით გამოაქვეყნა პიკასოს პირადი კოლექცია; ეს კოლექცია მოიცავს მხატვრის შემოქმედების სხვადასხვა პერიოდს.

გაველიის ცნობრება მარბნზე

რევისორი კლოდ შაბროლი იღებს ფილმს, რომლის სცენარსაც საფუძველად დაედო ცნობილი მეკლეის ლანდრიუს ცხოვრება. სცენარის ავტორია ფრანსუაზა სავანი. ლანდრიუს, რომელიც გასამართლებული იყო 11 ქალის მეკლეობისათვის, რატომღაც დღემდე არ დაუინტერესებია არც ერთი კინომუშაკი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩაბონის „მუსიკ ვერდუს“, რომელშიც შეიძლება მონახოს ლანდრიუს სახე. სავანმა და შაბროლმა წაიკითხეს ყველა წიგნი ლანდრიუსზე, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთები, სადაც აღწერილია მისი დაპატიმრება და სამართლო პროცესები, მათ მოძიენს მისი პირველი მატრიმონული დოკუმენტი კი (1915 წ.). იეს ის სახეა, რომელიც მე დიდი ხანია მიტაცებს, — წერს ფრანსუაზა სავანი. — ლანდრიუს იყო არა მარტო მეკლეი; ის იყო უდიდესი აფერისტი. ავეჯითა და მანქანებით მოვაჭრე; 10-ჯერ გასამართლებული და 3-ჯერ სიკვდილიმსჯილი; კაცი ცოლიანი და 4 შვილის მამა (პარიზში ახლაც ცხოვრობს მისი ორი ქალიშვილი გამოცვლილი გვარით), მაგრამ ყოველგვარი რისკის მოყვარული“.

ლანდრიუს ორი მსხვერპლი

ქალის როლს შეასრულებენ მიშელ მორგანი და დანიელ დარიო. ჯერ ცნობილი არაა, ვის მიანდობს რეჟისორი ლანდრუს როლს.

**მეზობელი ხელოვნება**

პარიზის გარეუბან პიუნტო-ში ფრანგმა მხატვრებმა ფრანკოს რეჟიშისგან შევიწროებულ-ესპანელ პატრიოტთა სასარგებლოდ მოაწყვეს თავიანთი ნაწარმოებების გაყიდვა. ამ ღონისძიებისათვის თავიანთი სურათები აჩუქეს პიკასომ, ბიუფემ, ზადკინმა, პინიონმა და სხვ.

**ელიუბარის წერილები**

ურნალმა „ლეტრ ფრანსეზ“ დაბეჭდა პოლ ელიუარის რჩეული წერილები, რომლებსაც ის წერდა დედას 1914-18 წლების ომის დროს. ეს წერილები გამოვა აგრეთვე კრებულში — „ახალგაზრდობის წერილები“, რომლითაც ზეგერისის გამომცემლობა აღნიშნავს დიდი პოეტის გარდაცვალების 10 წლისთავს.

**ბრემბ ბარბოს დაბრუნება**

ხმები დაღის, რომ 21 წლის დუმილის შემდეგ წარსულის ცნობილი კინოვარსკვლავი გრეტა გარბო კვლავ უბრუნდება ეკრანს. ის შეასრულებს ჩინე-

თის იმპერატორი ქალის როლს ბოქსიორების აჯანყებისადმი მიძღვნილ ფილმში. ჯერჯერობით გრეტა გარბო ინკოგნიტოდ ცხოვრობს საფრანგეთის რივეიერაზე.

**ხაზინის ბურჯი**

შარშან ბრიჯიტ ბარდომ საფრანგეთის ხაზინას თავისი კინოფილმებით ერთი მილიარდი ახალი ფრანკის შემოსავალი მოუტანა ვალაუტით. ეს დაახლოებით ნახევარია იმ შემოსავლისა, რასაც იძლევა ცნობილი საავტომობილო ფირმის „რენოს“ პროდუქციის ექსპორტი.



ՅՃՆՈ 60 333.

0 1278  
  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՆԱԽԱՐԱՐԱԾՈՒԹՅՈՒՆ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„**Ц И С К А Р И**“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„**ՏԱԲՉՈՒՄ ԴՇԵՐԱԼԻ**“